ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

6

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე | № 6 | ივნისი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### პროზა, პოეზია


ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 3

ფრიდონ ხალვაში — ჩემი და შენი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . 7

ლადო სულაბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 42

ლია სტურუა — ლექსები . . . . . . . . . . . 46

ლევან მალაზონია — ...სტუმრები. მოთხრობა . . . . . . . . . 50

ნოდარ ნარსია — ლექსები . . . . . . . . . . 71

მიხეილ ანთაძე — ოქროს ტახტი. მოთხრობა . . . . . . . . . 74

ნუგზარ კობერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 98

რევაზ დანელია — ლექსები . . . . . . . . . . 102

ჯემალ ქირია — სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ. დასასრული 104


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


გიორგი ნატროშვილი — ოთხმოცი წლის ჭაბუკი . . . . . . .120

ნუგზარ მუზაშვილი — „პოეტის სიკვდილი“ . . . . . . . 126

ალექსანდრე ღლონტი — ქვეყნად სიკეთის მთესველი . . . . . . . . . 137


### მეცნიერება


თეიმურაზ ბიბილური — ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში 142

ნოდარ გაბაშვილი — საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში . . . . . . 146


(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე მოსაზრება . . . . . 156
რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა . . . . . . . . . 161

## უცხოეთის ლიტერატურა

ელისო ჟიჟიაშვილი — „და მაინც ეს ანატოლ ფრანსია!“ . . . . . . 170

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
მიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე,
ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩა-
რკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი),
რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

* * *

ის ყვარელში დაიბადა,
იმას ნანა ძიძამ უთხრა,
დღეს შენ მშვიდად შეგიძლია გაიარო წიწამურთან.
შენ გამზირზე მიაბიჯებ,
ღმერთი შენი კეთილია,
გზას არ იცნობ ეკლიანს და ტყვიის მრავალწერტილიანს.
ბევრჯერ, როცა კარი ცისა განიხვნა და განიზიდა,
ტაბლა-ტრაპეზ-გარდახდილი წამოსულხარ კრწანისიდან.
ქებამ გვირგვინოსნებისა — თვითონ გაგამეცამეტა,
ღილინ-ღილინ მოიარე საწირე და მოწამეთა.
ქება თანამედროვეთა — სახიფათო ანკესია,
თუ ტყვიები არ გესროლეს,
ისე ვარდებს არ გესვრიან.
შენ არც მაშინ არ გესროდნენ ფანჯრიდან თუ აივნიდან,
ეტლი შენი წიწამურში ზარ-ზეიმით გაივლიდა.

## ილია

გვამხნევებდა,
გვასწავლიდა,
ჯავრი როგორ გვეყარა,
გვარიგებდა
ისე, როგორც
მოგვი მრევლს და მოგვი გლეხს, —
ამიტომაც,
ჩემო კარგო ქვეყანავ,
კი არ მოკლეს, —
მოგვიკლეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარსია ლორკას

წლები და წლები გამოგატარა,
უმცროს ძმასავით გამოგეტირა,
უფროს დასავით გამოგიტირა,
იასამნებიც გამოგიტარა, —
და მიყვარს ამის გამო —
გიტარა.

* * *

— რა ეშველება ახალგაზრდობას? —
სწუხდნენ და სწუხან ბებრები...

ისმის პასუხი:
— ჰკითხეთ გასტელოს,
ჩვენც ისე დავიფერფლებით!..

მათი მარჯვენაც დაიბერება,
დრო ტკივილს აუვნებლებს...

სწუხან და სწუხან ისევ ბებრები,
რა ეშველებათ ბებრებს?

* * *

ბაზარშიაც გაზაფხულდა: ვაშლებს დარჩათ ბაზარი,
დამძიმდა და დაიზნიქა დახლი უზარმაზარი.
რენეტების პირამიდა ბრწყინავს ფერად-ფერადი
და იწყება და გრძელდება ბანანების პარადი.
რიყე თურაშაულთა და ტერასების სინაპი
ისე გვეპატიჟებიან,
არ სჭირდებათ სინები.
შაფრანს ცეცხლი ეკიდება და ივსება ხარვეზი:
ჩინური და ისეთები,
სახელი რომ არ ვიცი.
ივერია დამავიწყდა ამდენ რჩევა-რჩევაში,
არც მამული გამახსენდა...
რომელია ევასი?
მაგას ფასი მაშინ ჰქონდა!
ალი ასდით კეხურებს
და ათასი ბანოვანი შეუპოვრად შეჰყურებს.
ინებივრეთ, მადონნებო, მთელი ქვეყნის წინაშე:
ინებეთ და
იგემეთ და
იხილეთ და
ივაშლეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვინები

თქვენი ნახვა ვისურვე და გაცნობაც ვინებე,
მაგრამ ვერ კი გავიგე,
                    ვინები ხართ, ვინები?!
ვაკვირდები თქვენს სიტყვას,
                    ღიმილსა და მიმიკას,
თქვენს სიმღერას ვბაძავ და
ჩრდილიც თქვენს ჩრდილს მიმიგავს,
მაგრამ მაინც ვერასგზით გეჩვევით და მეჩვევით
და ცალ-ცალკე ვქეიფობთ მაჩვივით და მაჩვივით.
ენებს აქირქილებენ,
სუფრებს აგვირგვინებენ,
სტუმრებს აპინგვინებენ თქვენისთანა ვინები, —
და საგულეს აწყდება —
                    გადანერგილ გულივით —
გული ჩემი — გამწყრალი უფლის განკარგულებით.
დარდით დავიტვირთები,
ბოლმით დავიზვინები,
როცა რაებს როშავენ ვიგინდარა ვინები.

## ზომიერი

გვაფრთხილებს: არ შეარცხვინოთ
მამების რეპუტაცია...
არც წყალია და არც ღვინო, —
არაუშავსრა კაცია.
უგანა მაგის ნაგრამმაც
შავ ღამესა და შავ ნაღველს,
არც უგნურია, მაგრამ არც —
ვაიმედედარავნახე.
გვირგვინებს ითვლის მეფეთა,
სიზმარში ხედავს ფარაონს,
გეშენიჭირიმება და
თანაც გინდათუარაობს.
დროა, აჩვენოს ირაო
მიწის აკვანს და ცის აკვანს,
გადახტეს,
გადაირიოს,
გადა-რაცუნდაისაქნას.
. . . . . . .
ცა პირს გახსნის,
ათას-ცხრაას —
                    რომელიღაც წელიწადს —
აღზევდება,
ამაღლდება ჩვენი მასპინძელი ცად
და მიაღწევს მთვარემდე და
                    მარსამდე და მზემდე —
ათას-ცხრაას-რომელიღაც
                    წელიწადის შემდეგ.

## ირონიულ-პაროდიული

უკვდავების გარანტია:
მაჟორს მოსდევს მინორი!
პაროდია პარადია,
ირონია — მირონი.
დაუდგებათ დრო და დრონი
ნიღბებიან განჯინებს,
ატომმა და ნეიტრონმა
თუ ვერ გადაგვარჩინეს.
და სიცილი გადაარჩენს
ჩვენს ცოდვიან გვარ-ჯილაგს,
თუკი სილიმაზემაც
ველარ გადაგვარჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაგრამ

ახარისხებს ომი ცოდვებს,
ღმერთიც გადაიბირეს,
სიჭაბუკემ რომ იცოდეს,
რომ შეეძლოს სიბერეს...
რომ არ იყოს მაგრამები,
რომ არ იყოს რომები,
წაგიძღვება აფრა მეფის,
ზღვებს დაეპატრონები.
მაგრამების ბარიერთან
ლოდინს არ იკარებ და
ფიქრი დაგიცარიელდა
რომის ბარიკადებთან.
მაჯას გაისინჯავ უკეთ,
რაკი ალერსს იფერებს,
რა იცოდა სიჭაბუკემ,
რა შეეძლო სიბერეს...
რა შეკრიბავს მაგ არმადებს:
რა ჩაიყვანს რომამდე —
მაგრამიდან მაგრამამდე
დაყოვნებულ ხომალდებს?!

## მონანიება

ბრალიანი თუ უბრალო —
ჩემი მე მიყვარს, შენი — შენ...
ო, მაპატიე, უფალო:
სხვის თვალში ბეწვი შევნიშნე!
თავზე მევლება ღრუბელი,
ჩერო მამშვიდებს ხეთა,
კვლავ მაპატიე, უფალო:
მტრის თვალშიც ბეწვსა ვხედავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

# ჩემი და შენი

## რომანი

### ხალითის მეოთხე რვეული

### ლამაზი მიცვალებული

ქალაქი იმიტომ არ მიყვარდა, რომ ყოველდღე სიკვდილს ვხედავდი.

გული ისევ სოფლისაკენ მიმიწევდა. მაგრამ, რაც მართალი მართალია, მრცხვენოდა, იქიდან გამოპარული მხდალივით უკანვე გავბრუნებულიყავი.

იცი, გულო, რატომ ვფიქრობდი, ქალაქში ყოველდღე სიკვდილს ვხედავმეთქი?

აბა, დაუფიქრდი.

მართლაც ხომ ასეა. ადგები კვირადღეს, გაივლი ქუჩებში, გინდა სითბოში, მზეში, ღიმილში, სიცოცხლეში გაიხალისო, გაინავარდო, გული გაიმხნევო, ჯავრი გაფანტო. შეუხვევ მეორე კვარტალთან და უცებ რომელიღაც ეზოში თავჩაქინდრული ხალხი ერთმანეთს ნაღვლიანად ეჩურჩულება, შედგები წუთით და გულს დაგიზარავს მოტირალთა შეკივლება.

ან ცოტაზე გაივლი და ხედავ, შუა ქუჩას მოყვება პროცესია, ვიღაცა მეორე სახლიდან გამოუსვენებიათ. ფეხი შეგეშლება, ადგილს ველარ პოულობ, იმფერ დღეში ვარდები, გინდა სადღაც გაიქცე, დაიმალო, რომ შენი სიხარული გაიხანგრძლივო. ქალაქში ბევრი ხალხი ცხოვრობს და სიკვდილიც ხშირია. სოფელი სხვაა, სოფელში სიკვდილს იშვიათად ხედავ. ამიტომ, ალბათ, მეტხანსაც ცოცხლობ.

ეს სიკვდილი თითქოს შენ არ გეხება, შენ არაფერს გართმევს. შენ მისგან თავისუფალი ხარ, მაგრამ, თითქოს მაინც ბნელი ძალით შეგბორკავს, გაგაშეშებს, ფეხს ადგილიდან ველარ მოიცვლი.

იმხანად უბინაო მაწანწალასავით დავეხეტებოდი, ჰოდა, ერთ კვირადღეს, ზღვის ქუჩიდან მშვიდობისაზე გავუხვიე. დავინახე, პირდაპირ მთელი ქუჩა სავსეა სამგლოვიარო პროცესიით. ყველა მე შემომცქეროდა, თითქოს გავიყინე, ველარც უკან მივბრუნდი, ველარც წინ წავდგი ფეხი.

მაინც უკან მიბრუნება ვამჯობინე. მაგრამ მეც მიმავალთ შორის, პროცესიაში აღმოვჩნდი და ახლა ცალკე, გვერდზე გასვლა ან ჩამორჩენა მეუხერხულა.

ვიღაცამ ზურგზე მსუბუქად გამკრა ხელი, მერე მხარზე შემეხო და წინ მიბიძგა. შევხედე, თითქოს არაფერი.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5.

ის ვიღაცა წინ იყურება, მხოლოდ ხელით მიბიძგებს იქით, კუბოსაკენ, შეეშველეო.

რაღა უნდა მექნა? მივედი და კუბოს მზიდავ ოთხიდან ერთი კაცი შევცვალე. კუბოს მეოთხედი მხარზე დამაწვა. მკვდარი ცოცხალზე მძიმეა. მაშინ მაინც ისე მემძიმა, კინაღამ ჩავიჩოქე. უცნაურმა შიშმა დამცეცხლა, არ გამივარდეს ხელიდან-მეთქი, ცხელმა ქარმა დამქროლა ტანში და თანაც ჩემთვის, მალულად, გულში ჩამეცინა. ირგვლივ მყოფებს მეც ახლობელი და შინაური ვეგონე ალბათ.

ცალი ხელი მაგრად ჩავავლე კუბოს ყურს, მხარიც უფრო უკეთესად მივუსადაგე, თანდათან შევეჩვიე და წელში გამართული უფრო მშვიდად, მგონი მსუბუქადაც ავმოძრავდი.

ფეხი დანარჩენ სამს კარგად ავუწყვე.

მართალი გითხრა, ერთხანს მეგონა სულ მარტო ვიყავი, სულ მარტოდ-მარტოს მიმქონდა კუბო თითქოს.

მგლოვიარეთაგან არავინ მიცნობდა, არც არავინ მიყურებდა და ამიტომაც ასე დამოუკიდებლად ვგრძნობდი თავს.

ხანაც მეგონა ადიდებულ მდინარეში ჩამაგდეს და ბობოქარ, დაუნდობელ ტალღებს დასაღუპავად მივყავდი და არავინ იყო ჩემი მშველელი.

დადუმებულნი, თავჩაქინდრულნი, ცალ-ცალკე, თანაც ერთად მიაბიჯებდნენ. იმათი ფეხის ხმა, არეული, შნოწართმეული, მძიმე და ბლაგვი, თითქოს სხეულს მიტკეპნიდა, სულს მიხუთავდა.

წვიმასა და ღვარს ჩვენებური, უხეიროდ დასხმული ასფალტი ალაგ-ალაგ ჩაენგრია და ოღროჩოღრო გზაზე, ისიც მხარზე შედგმული კუბოთი, რაც მართალია, სიარული ძალიან ჭირდა.

ჩემ გვერდით მიმავალი, კუბოს შემდგარი ერთი ვიღაცა მეორე ვიღაცამ შეცვალა, წინა ორიც შეცვალეს.

მე კი თითქოს ვეღარავინ მამჩნევდა. ამდენი კი ვიცოდი, რომ კუბოს ზიდვისას მალიმალ ეცვლებიან ერთმანეთს. თავიდან მეც ამის იმედი მქონდა, მაგრამ, უკაცრავად, ჩემკენ არავინ იყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა უნდა მექნა?

ხომ არ ვიყვირებდი, ან ხომ არ გადავაგდებდი მხრიდან ტვირთს? შევურიგდი ბედს, გავმართე კისერი და კუბოს გრილ ფიცარს ლოყითაც კი შევეხე. მაგრამ იმ წუთას უკვე, რაც მართალია, რაიმე შიში ან ზიზღი აღარ განმიცდია.

სწორედ ამ დროს, იქვე, ჩემს თავს ზემოთ, სივრცეში, მიცვალებულის ღია, თოვლისფერმა სახემ იელვა.

მკვდარი ასე ცოცხალი და ლამაზი მე არასოდეს მინახავს. შავ ცისარტყელებად გადაქნეულ წარბებქვეშ დახუჭული თვალების ორი იისფერი ბორცვი მარაოსავით გაშლილი წამწამების წყვილი ბწკარით მთავრდებოდა. ოდესღაც სქელ-სქელი, ახლა ოდნავ შემჭკნარი და ჩაღრმავებული ბაგეები, სულაც რომ არ ეტყობოდათ გამოვლილი ტანჯვის კვალი, ბოლო სიტყვის სათქმელად მოკუმულიყვნენ თითქოს.

უეცრად ამონგრეული ასფალტის ღარდაში ჩავაბიჯე ფეხი და წავიბორძიკე. მიცვალებულის სახე ჩემკენ გადმოქანდა ოდნავ, მეგონა რაღაცა ჩამჩურჩულა კიდეც და, მომეჩვენა, თავიც ისევ წინანდებურად გაისწორა. ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

მართლაც გლახად შევიქენი. ტკივილმა და საშინელებამ სხეული დამიჭინჭრა. მაგრამ იმ წუთას მე უკვე აღარ მინდოდა კუბოს ზიდვაში ვინმე შემშველებოდა. ის, მაღლა, სივრცეში რომ განისვენებდა, ჩემი ოცნების სილამაზე იყო და, თითქოს მსიამოვნებდა, მხარზე რომ მაწვა იგი.

ახლა უკვე გაშლილი ნაბიჯით მივდიოდი. პირდაპირ შორს, სივრცეში ვიმზირებოდი და ცალი თვალით იქვე, ჩემ გვერდით, მის მშვენიერ, მდუმარ და მოალერსე სახის ჩვენებას ვდარაჯობდი.

ახლაც მიკვირს, ჩემო გულო ხევაძევ, მიკვირს, როგორ ამაჭიკჭიკა ასე იმ სევდიანი და იშვიათი ამბის გახსე-

ნებამ, ამდენ ქარიშხალებსა და შტორმებს შეჩვეული ბოცმანი?!

იმ წუთებში ყველაზე ამაყი, მდიდარი და ბედნიერიც ვიყავი. მაგრამ ვერაფრით ვერ მოვნახე სიტყვა, სახელად რომ დავარქმევდი იმ გრძნობას, რაც მაშინ დამეპატრონა, გულს დაეუფლა და მთელი სხეული ერთნაირი განგაშით შეკოჰა.

ვილაცამ მსუბუქად წამკრა იდაყვში ხელი. მოვიხედე, შავქოჩორა, აცრემლებული, მაღალი ბიჭი მომდევდა გვერდით. ტანჯვა კი ეხატა სახეზე, ჩემ ზურგსუკან ცალი ხელი უკვე შეეშვირა კუბოსათვის. მანიშნებდა, ადგილი მისთვის დამეთმო.

შევეცადე არ ეგრძნო, რომ მე იგი შევნიშნე. არა, რატომღაც საშინლად არ მინდოდა სხვა მოსულიყო აქ, ამ მშვენიერების გვერდით და ყოველივე ამ ენით გამოუთქმელი სურათით დამტკბარიყო. არ მინდოდა ამ უღელში ვინმე შემშველებოდა, არ მინდოდა ამ მონობიდან ვინმეს გამოვეხსენი.

ის კი, ჩემს გვერდით მომავალი, თანდათან ჯიქურ მიჯიკავებდა, გამოდი ახლა, მე შევუდგები კუბოსო. მეც არანაკლებ ჯიქურ ვპასუხობდი და ჩემს გზას ჯიუტად ვაგრძელებდი.

ის კი, მსუბუქად მიძინებული ფერია, რომელიც უკვე ძველ ნაცნობად მიმაჩნდა, თითქოს გრძნობდა ჩემს ერთგულებას და უხაროდა. სწორედ იმ წუთს გამიელვა თავში — იგი უსათუოდ ჩემთვის დაიბადა ქვეყანაზე, ჩემთვის არსებობდა, ჩემგან წავიდა და სამარადისოდ მარტო დამტოვა-მეთქი.

ამასობაში სასაფლაოს მივუახლოვდით.

ამ დავაში მესამე ახმახიც მოგვადგა, ხელი მოჰკიდა კუბოს ყურს ჩემს მხართან, მაღლა აიტაცა და მე ცარიელი დამტოვა. კუბო თავზე გადამევლო. კაცმა გვერდი თავისუფლად ამიარა და წინ გაემართა. ოდნავ შემრცხვა და წელანდელ შავქოჩორა ბიჭს დამნაშავე თვალით გავხედე.

მაგრამ იგი გზის გასწვრივ ჩარიგებულ მეყვავილეებთან მისულიყო და სხვადასხვა ფერის ყვავილთა დიდ თაიგულს კრავდა.

შარვლის ჯიბეში რამდენიმე დაჯღუ-რკული მანეთიანი მეგულებოდა. მეყვავილეებს მივადექი.

ჩვენი სასაფლაოს მიდამოებში რაც მოსახლეები ცხოვრობენ, მხოლოდ ყვავილების გაყიდვით ირჩენენ თავს. ისინი რომ არ ყავდეს ქალაქს, არ ვიცი, რა ეშველებოდა. ერთ ყვავილსაც ვერ იშოვიდი ვერსად.

ჯერ არ მინახავს, მაღაზიაში კარგი, ცოცხალი ყვავილი გაეყიდოთ.

გამწვანების ტრესტს უკეთესი მიწებიცა აქვს, ხალხიც ჰყავს, თესლიც, ნერგიც, სასუქიც, და მანქანებიც, მაგრამ ამ კერძო მეყვავილეთა მიერ, ეზოებში მიტოვებულ ციცქნა ნაკვეთებზე, ხელით დამუშავებულ მიწაზე, წლის ყოველ დროს მოყვანილი ყვავილები გაცილებით უკეთესია. ფასით, რა თქმა უნდა, საშინლად ძვირი. მაგრამ მაინც ხელმისაწვდომი და ადვილად მისაგნები.

კოკორგაუშლელ ვარდებს ცეცხლმფრქვეველი მიხაკები, ქრიზანთემები, ყელმოღერილი ყაყაჩოები, ჰორტეზიები და სხვა მრავალი უცნობი ყვავილი მივაყოლე. ვეებერთელა კონა შემიგროვდა. ფეხს მოვუჩქარე და უკვე ახალგათხრილ საფლავის პირთან მისულთ წამოვეწიე.

ახალამოღებულ გოროხებს მსუბუქი ორთქლი ასდიოდა. მიწის ნედლი ბელტები, გაჭრილი ორმოს ორივე მხარეს ეყარა და მომეჩვენა, თითქოს დედამიწას თავისი თბილი და მძლავრი მკლავები გაეშალა უმშვენიერესი არსების სამარადისოდ გულში ჩასაკრავად.

კუბოსთვის სახურავი უკვე დაეხურათ და უსაზღვროდ დამწყდა გული, რომ ველარ ვიხილე ის უცნობი, მაგრამ უკვე ასე ნაცნობი, დაუვიწყარი სახე. მინდოდა ვინმეს შევხვეწებოდი, ერთხელ კიდევ აეხადათ კუბო და ქალის შავით დაფარულ მკერდზე ფაქიზად დამეწყო ეს ყვავილები.

მაგრამ, ამასობაში, რეზინისჩექმებიანმა ორმა მესაფლავემ კუბოს თავ-

ბოლოში ორი თითის სიგრძე ლურსმანი უხეშად ჩააჭედა, თოკი მოაკოჭა და თხრილში ჩაუშვა.

მალე იქიდან, სიღრმიდან, ფიცარზე დაცემული გოროხების ყრუ გრუხუნი მესმოდა.

თხრილს იქით, ძველ საფლავთან ის შავქოჩორა ბიჭი იდგა, წეღან ადგილი რომ არ დავუთმე და რაღაცნაირ ჯავრიან თუ შურისძიებით სავსე თვალებს მიმიზნებდა.

ახლა უკვე მომერიდა იმ ბიჭისა, მაგრამ, როცა ყველა ყველაფერს მორჩა, ყვავილების გვირგვინი ახალ საფლავთან მივიტანე და დაბნეულმა მოკრძალებით დავდე. შავქოჩორა ბიჭმა დამინახა, ისედაც ფერმკრთალი სახე სულ გაუთეთრდა, თვალები კი ეჭვითა და შურისძიებით ჩაუღამდა.

**დღიურიდან: 198... იანვარი**

უცნობი დილა ეფინება ზღვას.

გემი თავის ნებაზე მოძრაობს. ძაგძაგებენ მანქანები. თითქოს სუფთა, კარგი უნდა იყოს ჰაერი, მაგრამ იგი, ალბათ, უმცენარეებოდ, უფოთლოდ, უმიწოდ ვერ იქნება ისეთი გემრიელი და სანდო, როგორსაც ვიცნობთ მთის შვილები. ჰაერი მლაშე და სქელია.

სამუშაოდ გემბანზე გადიან. ქარი უეცრად შენელდა. ქარი ალბათ სრულებითაც არ უბერავს. ეს ქარი მხოლოდ გემის მოძრაობითაა გამოწვეული. გავდივარ ზედა გემბანზე. ოკეანის უსაზღვროება ყველაფრის საზღვარია თითქოს. სტიქიონი მშვიდად ლივლივებს, რაღაცას გვემუსაიფება. გადარეულან დელფინები. მგონი ადამიანების ნახვამ გადარია ისინი.

მარჯვნივ გაიხედავ თუ მარცხნივ, გეგონება დელფინების აღლუმია. სამსამად დაწყობილნი, აბსოლუტურად სინქრონულად, აკრობატულად ამოხტებიან სიღრმიდან, ზუსტ წრეს მოხაზავენ მაღლა, ჰაერში და ისევ დაწყობილად, შხუილით ჩაეშვებიან ოკეანეში.

შხუილს ვამბობ, თუმცა, შესაძლოა, არავითარი ხმაც არ გამიგონია, მაგრამ თვით იმ სისწრაფით, ისე მწყობრად წყალში ჩაშვება მაინც წარმოშობს შხუილის ილუზიას.

მომინდა შვილს ბარათი მივწერო. სასაცილოა, რა თქმა უნდა, სადღაც შუა ატლანტიკიდან, ისიც სამხრეთისაკენ მიმავალი, როდესაც თვით სინგაპურამდე ესე იგი, მთელი თვე, მიწას ფეხით ვერ შეეხები, როგორ გაგზავნი შინ ბარათს?

გიხო ამ გაზაფხულზე საშუალოს ამთავრებს. მე თუ გვერდით არ ვეყოლე, გაუჭირდება უმაღლესში შესვლა. არა უშავს, კარგად დაამთავრებს ალბათ საშუალოს (ყველა მშობელი ასე მსჯელობს), მაგრამ უსინდისობა იმდენი ხდება, ბიჭს პატრონი მაინც დასჭირდება. ვინა ჰყავს ჩემს მეტი? ახლა როგორ ვუღალატო? არა, არ ივარგებს! თუ დაენახე ნაცნობს, მოგხედავს. არა და — არაფერი.

უხეშ ხალხს გვეძახიან, მაგრამ საქართველო მაინც სხვაა, გაჭირვებაში შველა ასე ვინ იცის? მეზობლობა, მეგობრობა, ხელის გაწყობა? თუმცა შენ რა გაუკეთე სხვას ისეთი, რომ პატივს ელოდო?

ვანგარიშობ, შევძლებ თუ არა მისაღები გამოცდების დროს დავბრუნდე? საეჭვოა.

რა ჯანაბად ავიტეხე ეს ზღვა? — მერამდენჯერ ვკითხულობ და თავს ვიტუქსავ.

რომანტიკა? რა დროს შენი რომანტიკაა!

ისევ კაიუტაში ვბრუნდები. ოდნავ აღეწვილი ვარ სირცხვილით. ყველა რაღაცას აკეთებს. ზოგი მთავარ გემბანზე, ზოგი ქიმზე, ზოგი ბრამშპილზე, ზოგი ტაქელაჟზე, ბაგირების ნახვევებთან. სამანქანოში ხომ გახურებული მუშაობაა.

მე კი გაკრიალებულ ოროთახიან კაიუტაში, მარტოდმარტო, საღამომდე, გათენებამდე ვარ სიმყუდროვეში, ვიქექები ქაღალდებში, რუკებში, მოგონებებში, განვლილზე ფიქრებში და ბევრ სხვა რაღაცაში, რომლის სახელს ახლა ვერც კი ვამბობ.

ერთი სიტყვით, უსაქმურად ვარ, აბა რა ჰქვია ამას?

კაპიტნის პირველ თანაშემწეს კი მეძახიან.

ალბათ, არის საქმე, უსათუოდ ბევრია საქმე, მაგრამ მე ამ საქმეებში თითქოს საჩემოს ვერ ვპოულობ და ვერ ვაკეთებ ვერცერთს. აბა, ამ კედლის გაზეთს და ღამის საუბრებს საქმე ეწოდება?

გემბანზე ველარ გამოვდივარ. ბიჭებისა მერიდება. ამასობაში სამუშაო მაგიდასთან აღმოვჩნდი. ქაღალდები თითქოს სუნთქავენ, გემის მოძრაობაზე ირთიან.

ფურცელზე მიჯღაბნილად, დაუდევრად, ლობიოს მარცვლებივით რომ მომიბნევია სიტყვები, სულმოუთქმელად, ერთგვარი ალტაცებით და ბედნიერი კმაყოფილებით ვწერ:

რა ლამაზი არის მშვიდი ოკეანე,
ნისლებაკეცილი თეთრი ჰორიზონტი.
ხედავ, მოთმინებავ?...

ადგილზე ვერც ლექსი მაბამს. მოუსვენრობა მჭირს. ისევ გარეთ გავდივარ და პირველ ბანზე ვეშვები, ვჩერდები კაიუტკომპანიის წინ. იქ, დიდ რუკასთან, ძელსკამზე, შალვა — კაპიტანი და პოლონელი გარანტიის მეორე ინჟინერი, ზდენეკი, საუბრობენ.

— თავის კერძ ტვირთს იაპონელი პირველ პორტში, მეოთხე ტრიუმიდან წაიღებს.

— ოო, ეგ საშიშია, — აცხადებს პოლონელი სპეციალისტი.

რატომაა „საშიში“? მიკვირს, მაგრამ ვერ ვეკითხები, უვიცობის გამხელისა მეშინია.

— მთელი სიმძიმე წინა ნახევრისაკენ გადაიწევს და გემს შეიძლება გადატყდომის საშიშროება დაემუქროს. — ახსნა ზდენეკმა და შევატყვე, ეს უფრო ჩემ გასაგონად განმარტა.

რუკაზე იაპონიის კუნძულებს შევხედე. ოთხი წითელი წრეხაზი შემოვლებულია საპორტო ქალაქებს — საკატას, ქოკუიამას, ხოსოშიმას, ხაჩინოს, სადაც „მხატვარი“ ლუზას ჩაუშვებს და ნაწილ-ნაწილ დაიცლება.

მარცხნით, სადღაც სიღრმეში, ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ აფრიკას. მახსენდება რომელიღაც პლაკატი, სადაც ამ ცხელი და ყვითელი მატერიკის მოხაზულობა ზანგი კაცის სხეულისნაირად ხატია. იგი მკლავებით ჯაჭვებს იგლეჯს, თავს ითავისუფლებს.

ავდივარ საშტურმანო ჯიხურში. მაგიდაზე დევს „სახომალდო წიგნი“, რომელშიც მორიგე შტურმანი დღიურს წერს დადგენილი წესითა და ფორმით.

ვფურცლავ და ვეძებ დღევანდელ დღეს. 08 საათი, 00 წუთი, განედი $14^0$, 247 სამხრეთისა, გრძედი — 03,40,9 აღმოსავლეთისა, ხედვა — 15-20 მილი. სიჩქარე — 14,5 კვანძი, ტემპერატურა — $29^0$, ქარი სამხრეთ აღმოსავლეთისა, 4 ბალი. ზღვისა 3 ბალი, წყლის ტემპერატურა 25 გრადუსი.

აი, ერთადერთი ზუსტი ამონაწერი გემის ადგილსამყოფელის დასადგენად.

კმაყოფილი ვარ, რომ ეს გრადუსთა ბადე ამოვიხატე, ამით ალბათ ოდესმე ვილაცას დავარწმუნებ, მეც მეზღვაური ვიყავი-მეთქი. სათავგადასავლო წიგნებს დიდი გატაცებით ვკითხულობდი. უბეში ჩამალული წიგნი მიმქონდა, საძოვარზე რომ საქონელს გამატანდნენ. ჩავემხობოდი სადმე კორდზე, ვკითხულობდი, ვკითხულობდი, თხები კი ამ დროს, აბდულას ყანას შესეულნი, არხეინად წიწკნიდნენ ახალამობიბინებულ სიმინდს.

ვკითხულობდი, მაგრამ არ მიყვარდა გრძედების, განედებისა და ათასნაირი გრადუსების აღმნიშვნელი ციფრების კითხვა. ახლა კი მომეცა შესაძლებლობა შევიბრალო ვინმე მკითხველი მწყემსი. დიახ, ამ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებ...

ჯიხურიდან კაიუტკომპანიაში ჩავდივარ. მაგიდაზე ვხედავ ლას-პალმასიდან წამოღებულ რძის ცარიელ ბოთლს. იგი თეთრი პლასტიკური მასისაგან გაუკეთებიათ. ძალიან უხდება წითელი სახურავი და ამავე ფერის ქამარი შუაწელზე. გეგონება თოჯინა-მატადორია.

ბოთლი ზემო და ქვემო ნაწილში უცნაურადაა დაჭმუჭნილი. მითხრეს, ეს

იმიტომ, ტროპიკულმა სიცხემ გაფართოებისას არ გახეთქოსო.

ამაღამ ინფორმაციის საღამოა. ვალდებული ვარ ხალხს ახალი ამბები გავაცნო. რადიოკვანძში ავდივარ. ვიჭერ „მაიაკს". დღეს ქვეყნის მეთაურის საახალწლო სიტყვას გადასცემენ. მოსკოვი შორიდანაც ახლოა და, ვგრძნობ, იგი გხედავს, არ გვკარგავს, თან დაგყვება.

მენატრება ზამთარი, თოვლი, ყინვა, სიცივეში რომ სითბოა, ის სითბო, სიმყუდროვე, მეგობრები, შინაურების გარემოცვა, შინაურული შეჭამანდები, აჯიკისა და ტყემლის გემო, მჭადი, ფელამუში, ხაჭაპური, ჩურჩხელა.

ინფორმაცია კარგი გამოვიდა თითქოს. ისე კი, უნდა გამოვტყდე, ბნელში ხელების ფათურით მივიკვლევდი გზას. კარგად ხომ არ ვიცი რა ხდება მსოფლიოში, მაგრამ მაინც ვილაპარაკე. ორიენტირად გუშინდელი რადიოგაზეთი მაქვს, ტელეტაეპით რომ ვიღებთ.

გემის კიჩოზე გავედი, გრძელი გემბანი ზუზუნებს, ჭრიჭინებს, ირხევა. ქვეშ ოკეანეა, დიდი, მძლარი, ცოცხალი, საშიში.

თბილი, თიმთიმა ტროპიკული ქარი შარვალზე გადაშვებულ პერანგს აფრიალებს, იღლიებში ფრთებს მიშლიგინებს, სხეულზე მეღვრება, კანზე მარილს მიტოვებს.

იქ, გემბანის უკაცრიელ სიმარტოვეში ბაგირის ნახვევ ვეება მორგვზე მივისვენე. ისევ ვიმეორებ წეღანდელ საუბარს საერთაშორისო მდგომარეობაზე, ის ჩვენს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობილი საუბარი იყო. მე კი ჩემთვის ვაკეთებ დასკვნებს, იმიტომ, რომ ვიცი ეს ყველაფერი, რაც ირგვლივ, მთელ დედამიწაზე ხდება, მეც მეხება, ჩემი ზიარიცაა. ჩემი აზრი ერთი კაცის აზრია, მაგრამ ერთი კაცი ხომ კაცობრიობაა?!

ეჰ, სასაცილოა ახლა ალბათ ასე მსჯელობა, მაგრამ ჩემთვის არაა სასაცილო. მაწუხებს ეს ყველაფერი. დიახ, მეც ამ სამყაროს ნაწილი ვარ, მისი ერთი შემადგენელი.

დიახ, ჩემია ის პალესტინაც, ისრაელიც, ირანიც, ავღანეთიც, ჩინეთიც. ჩემია დედამიწა, მე ადამიანი ვარ! ჩემი და შენი ინტერესები ადამიანური, კაცობრიული, დედამიწური სასიცოცხლო ინტერესებია, ყველაფერი ეს არაა უცხო, ყველაფერი, რაც მიწაზე ხდება, ჩემი ზიარიცაა, იგი მეც მეხება.

ესე იგი, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ჩემია და შენი, ჩემო ხალით!

მთელი სიცოცხლე თავიდან ბოლომდე, ერთი ამოსუნთქვით კვლავ ამოვირბინე, ერთი თვალის გადავლებით, ერთი ჩაფიქრებით, კვლავ გადავიქროლე ყოველ განვლილზე, და, აი, ისევ აქა ვარ.

შორიდანვე ვხედავ ჩემი კაიუტის სახელურში გამოჩრილ დახვეულ რვეულს. ვიცანი, ხალითისაა.

## მეხუთე რვეული

## სოფლის სევდა

ჩემო გულო, ისევ ბავშვობა და სოფელი გავიხსენე. მომისმინე ცოტახანს. კარგი?

ღამე.

ჩვენი ფიცრული სახლი, კვარის შუქზე წითლად მოკიაფე კედლებით. სექვზე, ლოგინში, დედის ზურგს მიმხობილს მეძინა, მაგრამ ალბათ სუნთქვის შეკავებამ გამომაღვიძა. ასთმის შეტევა იყო, მგონი; ავტირდი, უფრო შემიწუხდა სული, უფრო ავტირდი.

ისე ცხადად მახსოვს ყოველი, აი ახლა თითქოს ხელით შევეხები იმ ავადმყოფ, გაყვითლებულ ბიჭუნას.

დაღლილ მამას გაეღვიძა, ძილი გაუტყდა, აშფოთდა, აყვირდა. დედა წამოდგა, მტირალი ბიჭი ზურგზე მოიმხო, თავშალი გარედან წამოაფარა და შუაღამით სოფლისაკენ გზას გაუდგა.

ღამის სიწყნარის უცნაურობამ, შიშმა, დედის გამუდმებულმა ალერსმა გამაყუჩა, რაღაცის მოლოდინი თან მახლდა.

წისქვილის კარი შეაღო, ხვიმირს თავი მიადო.

ბინდში, ქვაზე მბრუნავ ქვას ცეცხლი სცვიოდა. შევცქეროდი, მიკვირდა, მაგრამ სუნთქვა მიჭირდა. ვხიხინებდი, სული მეხუთებოდა, მიგუბდებოდა. დედა გრძნობდა ჩემს გაჭირვებას და წუხდა. ვეცოდებოდი, ტიროდა უხმოდ.

შუაღამე იყო, სოფელს ეძინა. მთვარე უფერულად ანათებდა მიდამოს. მეშინოდა, მაგრამ დედის ზურგს მიკრული, თავს ვიმაგრებდი.

წისქვილიდან ქვედაურებისაკენ დაეშვა. სარავიძეების სახლის კიბეს აუყვა ფრთხილად, გაუბედავად. კარს მიუკაკუნა, მალე დედაბერმა გამოიხედა.

— გო, ხენიფე, ბალანა მიკვდება, მეხრჩობა, მემეხმარე რაცხა... ა, ღმერთის ხათრით, მემეხმარე რაცხა, — ქლოშინობდა, ოფლს ლეჩაქის ყურით იწმენდდა შუბლზე.

— ვაიმე, რა ჭირს, ამფერი! — ფაშარი, მოკანკალე, გრილი ხელი შემეხო ლოყაზე.

— არ ვიცი, აჰა და ასე, თვალწინ მეხრჩობა შვილი. გოვ, მემეხმარე რამე, ღმერთი თუ გყავს, მემეხმარე. შელოცვა იცოდი შენ, ან რაცხა შეუხრჩოლე. შენ იცი, ხენიფევ, მემეხმარე, შვილი მიდის... გოვ. — ქვითინებდა დედა.

დედაბერმა ჯოხი, ღაზლის ძაფი, სანთლის ნატეხი, ფქვილი და კვეს-აბედი გამოიტანა.

საშინელი სუნი მეცა. კვამლმა თვალი ამიწვა, მაინც ძალით ჩამასუნთქეს, თან დედაბრის ჩიფჩიფი და თავზე სულის გადაბერვა მესმოდა. სუნთქვა უფრო მიჭირდა, ჩამახველა, მგონი, გულიც ამერია და მაღებინა კიდეც. ცოცხალმკვდარი, მიბნედილი, ზურგზე მოკიდებული წამიყვანა დედამ. ასე, ზურგზე ჩავიძინე. მიმიყვანა შინ, ლოგინში მძინარე ჩამაწვინა. დილით არა მიშავდა.

მახსოვს, მახსოვს, რაც მართალი მართალია, მახსოვს, იმ სარავიძის დედაბერმა რომ მომარჩინა.

თხილის ბუჯგებს რომ ვკრეფდი რეჯების ბოსტანში, თხილი ჯერ უმწიფარი იყო. ნედლი, მწვანე, ჩვილი ფოჩები მფხაჭნიდნენ გვერდსა და მუცელს, მაინც ვიყრიდი უბეში.

მახსოვს, მამას სათოხარში წავყევი.

წინ ვთოხნიდი, უკან გამოშენებულ და ფესვებზე მიწამიყრილ სიმინდებს ფეხს ვაბიჯებდი და ვქელავდი.

— ჰო, მიიხედე ხანდახან უკან. ცოდვაა ეს საწყალი სიმინდი! — მარიგებდა მამა.

თანაც ეხათრებოდა ჩემი. მატყობდა, მასავით ფაქიზად გათოხნას ვცდილობდი, მაგრამ ჯერ არ გამომდიოდა.

როგორ ეპნეოდა ფეხვიერად გრილი, შავი მიწა ფეხებზე და როგორ ნაწილდებოდა ყოველი მოსმა თოხისა გამარგლილ სიმინდებს შორის. მის განათხარში გამოშენებული ლორთქო სიმინდები არხეინად და მშვიდად მოიქნევდნენ ხოლმე მორკალულ ფოთლებს, გეგონებოდა ფრთებს ისწორებენო.

იმ წელიწადს სიმინდის კარგი მოსავალი მოიყვანა მამამ. გარე ყანაშიც კი, წინა გაზაფხულზე რომ გაკაფა, მოწვა და ნადით მოთხარა, დიდებული ტაროები დაისხა სიმინდმა. წელიწადი მართლაც ძალიან კარგი იყო, გაზაფხული, — წვიმიანი, თბილი. შემოდგომა კი — მშრალი.

იმ წლის სიმინდი გარეყანიდან აღარ ჩამოგვიზიდავს. კოლექტივი მოძლიერდა, საკარმიდამო მოგვიზომეს, სამსამი „ჩეთვერი“ იკმარეთო, და გარეყანების მოსავალი საერთო ნალიებში ჩაყარეს. ოჰ, რა ჯავრიანად აკრაჭუნებდა მამაჩემი კბილებს, თუმცა სიტყვა არ დაცდენია.

მაგრამ გარეყანაში, მიწაში საზამთროდ ჩადებული სამოცი ფუთი კარტოფილი რომ ამოგვალებინეს, ვერც თავად წაიღეს დროზე და სულერთიანად აშოალპეს ორმოში, ეს ველარ მოითმინა და პაწია საყვედური შეჰბედა თავმჯდომარეს.

— არაა მაგი შენი საქმე! — უპასუხა სოფლისთავმა და რაიონიდან ახალმოტანილი პატეფონი აუშვა. დაფხაჭნილ ფირფიტაზე ფრთხილად დაადო

ნემსი და რაღაც უცნაური, მჭახე ხმა სიმღერად გაისმა:

„ახ, ტრაქტორო,
მე შენს გამჩენს...“

არ ვიცი იმ შემოდგომაზე თუ მომავალ გაზაფხულზე, შეღამებულზე მოვიდნენ მეშისპალტოიანი კაცები. დაიძახეს. მამა ვახშმობდა, ბუხართან, მომცრო ტაბლაზე ჯამით ლობიოს და მჟავე კეჟერას მიირთმევდა.

უხალისოდ მიატოვა ვახშამი, წამოდგა და აივანზე გავიდა. მობრძანდითო, მოიპატიჟა.

არა, გვეჩქარებაო, ამოძახეს. ერთი ჩამოდით, ახორი გაგვიღეთ, ძროხები უნდა დავთვალოთო.

მიხვდა მისახვედრს, ალარაფერი უპასუხნია. დედაჩემს მიმართა უჩვეულო შებრალებით და მწუხარე ალერსით:

— არ დეიწყო ახლა წუწუნი და ფლიკვინი, ჩადი და უჩუმრად გაუღე ახორის კარი... დათვალონ და აირჩიონ, გადენონ და, თუ უნდათ, რქები იკრან...

ადგა, აანთო დედამ ჭრაქი, უჩუმრად წამოიდო ფეხებზე ძველი ჩლატები, უსიტყვოდ ჩაუარა მოსულებს და გაალო ბოსელი. პირნათია ძროხამ, ხანუმამ, იმწამსვე იცნო პატრონი და ნაღვლიანად მიაზმუვლა.

— ჰო, ნენი, ჰო, — მიეფერა დედაჩემი ნათია ძროხას და ბნელში ცეცებით თავზე თითები მოუთათუნა.

ბოსელში ორი კაცი შევიდა. დასაძინებლად გამწესებული საქონელი ულაზათოდ და უგემურად წამოდგა ფეხზე. ჭრაქის წითელ შუქზე, ბინდში, აქა-იქ აციმციმდნენ ძროხების შეშფოთებული თვალები.

არაფრით არ გამოდიოდნენ გარეთ, მაგრამ ერთმა ყურში ჩაავლო ხელი და ძალით წაათრია ხანუმა. დედა კუთხეში იდგა. ძროხამ ერთ-ორხელ შემოხედა, ალბათ გაუკვირდა, პატრონი რატომ არ მპატრონობს, რად არ მიმყვებაო.

ხანუმას ოთხი-ხუთი ბოხრიკიც მიაყოლეს და ფერმისკენ გარეკეს.

შინ რომ შევედი, რაც მართალია, შევშინდი, მამამ არ გამლახოს-მეთქი.

ჩაფშვნილი ჭადის მოზრდილი ლუკმა ჯამში ისე ჩაეტოვებინა, აღარ იღებდა. ხელში მაშა ეჭირა და წიფლის ჯოხს გამწარებით უჯიჯგინებდა.

დროის შვილი, ახალი კაცი თავად მე ვიყავი და მეგონა მამაჩემი ამიტომ სწორედ მე მიჯავრდებოდა. მე მაბრალებდა ყველაფერ გონჯს, რაც მეშისჩოხიანებმა ჩაიდინეს.

ძალიან მინდოდა შემძლებოდა მშობლის ტკივილი მომერჩინა. ისე, ვერ ვამბობდი, მაგრამ გულში ვიფიცებოდი, გავიზრდები და უთუოდ გაგახარებ მამავ-მეთქი, აი, ნახავ, რა დრო დადგეს...

კი, კი, რაც მართალია, მთლიანად ჩემს თავზე ვიღებდი ცუდს, რაც მშობელს არ მოსწონდა. არ მინდოდა მას ახალი დრო დაეწყევლა. მეც ჩემებურად, ბალღურად ვატყობდი, რომ რალაცეები ეშლებოდათ იმ ახლისმშენებლებს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ჩემი ძროხის, ჩემი ხანუმის რძეს ისევ მე მომიტანდნენ. კი, ასე მეგონა.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

მიხარია. ღმერთმა იცის რა მიხარია, მაგრამ მიხარია კი უზომოდ. დღე, მზე, ზღვა, გემი და ხალითი. აი, გემბანზე გასულს რომ ვხედავ, თავისი მეზღვაური ბიჭებით გემბანზე რომ მუშაობს, მახარებს.

სიხარული მოყონავს, მოცოცავს, მოაშუქებს ირგვლივ ყველაფრიდან.

ილუმინატორში ვხედავ, რაღაც ძაფია ჩამოშვებული ზემოდან, მისი წვერი ისე ცარიელად ჰაერში კონწიალობს. ეს ალბათ რადიოსაანტენო შნურია. ეტყობა, მაქსიმოვმა ჩამოუშვა გუშინ ჩემთვის. იცის იურიმ, ჩემი რადიომიმღები ცუდი ანტენის გამო ვერ იჭერს შორეულ სადგურებს. სარკმელს ვაღებ და შნურის წვერი შიგ შემომაქვს. ეს თითქოს შინიდან ჩემკენ გამოწვდილი ცოცხალი ტოტია. ეს უბრალო ძაფი ამხელა, ქარებით, ნისლებით, ვარსკვლავებით და ავდრებით ამღვრეულ სივრცეში მოკრეფს ნაცნობ მშობლიურ ხმებს და ჩემს კაიუტაში გადმოღვრის.

არა, ეს უსათუოდ მონატრების სიხა-

რულია. აი, კიდეც მესმის შეჩვეული, ახლობელთა საყვარელი ხმები. უცნაური კია, ჯერ ხმა მესმის გამორჩევით, შემდეგ მის პატრონს ვხედავ.

ყველა მიყვარს, ყველასათვის მიპატიებია, თუ ვინმესაგან რამ ნამცეცი წყენა წამომყოლია. რა კარგად ვხედავ იმათ სახეებს შორიდან, როგორ მინდა გავიხსენო და თვითეული ცალ-ცალკე ჩავიხუტო.

გემის საქმეებში, ეტყობა, ისე შევიჰერი, მუქთად დრო ველარ მიპოვნია. რა ხანია ველარაფერი ჩავიწერე. დღეს დილით იური მაქსიმოვი შემოვიდა. ანტენის შნური, როგორც ვთქვი, ღამით ჩამოუშვა ალბათ. მერე კაპიტნის მარაგიდან ამოღებული მთელი თაბახი საწერი ქაღალდი შემომიტანა.

არავისთვის მიკითხავს, ჩემით მოგიტანეო, მომახარა იურიმ. მგონი თავიდან უკვე ვთქვი, იგი, იური, ყველაზე ლამაზი ბიჭია ხომალდზე-მეთქი. თუმცა, ტროპიკების სარტყელში, გემზე, შეუჩვეველი პირობების ატანა რომ გამიჭირდა, მაშინ უცებ იურიც ჩემ თვალში ოდნავ გაუფერულდა, დაგონჯდა. ახლა კი, კვლავ რომ გამომიმჯობინდა ხასიათი, მაქსიმოვი ისევ მელამაზა. მამაკაცის სილამაზეს ვერ ვიტანდი, ეს რაღაც ბუნების საწინააღმდეგო რამე მგონია ახლაც. კაცი მუხასავით ხორკლიანი, მძლავრი და ურყევი უნდა იყოს. უფრო ლამაზია.

არა, იური კი მაინც სხვანაირადაა ლამაზი. ნაზი და რაღაცნაირი, მიმოზასავით ყვავილოვანი კი არაა, ჩვენებურ, ტლანქ, უნაყოფო, მაგრამ ტანკენარ ნეკერჩხალს გავს, რომელიც ფერდობსაც უხდება, ქარსაც აკავებს და, თუ ვაზსაც მიურგავ, კაი ბორჯღალო შხავერის ლერწებს აიტოტებს მკლავებზე და კაი მტევნებსაც მოასხმევინებს.

ქაღალდი მაგიდაზე დადო. ჩამოჯდომა შევთავაზე, — ვატყობდი მასაც უნდოდა ჩემთან ცოტახნით ყოფნა-საუბარი.

თაბახზე ერთი შეხვევა „ქვაჩკა“ გააგორა. ეს ხომ ლას-პალმასიდან წამოღებული კევია. მეცა მაქვს ცოტა. ყველამ ვიყიდეთ. ჩვენი მონაგარი, საცოდავი გროშები ამნაირ ნაგავში ჩავყარე. ნაგავი უძახე შენ, შინ, ბავშვები, შენი თუ მეზობლისა, უცხოეთიდან დაბრუნებულს რომ შემოგესევიან, და უმალვე ხელებში ცქერას დაგიწყებენ, ეგება „ქვაჩკები“ გვაჩუქოსო, რას იზამ მაშინ?

რა შეიქნა ეს „ქვაჩკა“ თუ კევია, რაა ასეთი ბოლოს და ბოლოს? მართლაც, მგონი ეს გათხლეჩული სალეჭი თუ რაღაც წიწიბო, ამ ბოლო ხანამდე, მთელი კაპიტალიზმის იდეოლოგიურ იარაღად არ ვაქციეთ? აბა რა მოხდა, რა დაგვემართა ასეთი.

იური მეუბნება ქართულად: (დიახ, ეს რუსი, როგორც იტყვიან ბათუმური ჩამოსხმისაა. საოცარი გაზაფხული ჩაგენთება გულში, სხვა ერის კაცი რომ შენს მშობლიურ ენაზე ამეტყველდება. ეს, უბრალოდ, პატივისა და დაფასების, იქნებ, სიყვარულის დასტურიცაა. თითქოს უფრო მაღლდები, მაგრდები და თავისთავისაც უფრო გჯერა. ღმერთმა აგაშენა, ჩემო იური! შენ მართლაც ლამაზი ბიჭი ყოფილხარ).

ჰოდა, მეუბნება, — ამხანაგო გულო, მითხრეს, თქვენ თურმე წერთ. ამიტომაც მოგიტანე ეს ქაღალდი. კარგი ქაღალდია.

მერე ნელ-ნელა შემომაპარა და გამიმხილა, მეც ვწერო, და მინდა გაჩვენო ჩემი ნაწერებიო. ამ განცხადებამ ოდნავ დამაბნია და ცოტათი წარმოდგენაც წამიხდინა მასზე. რატომ ხდება ასე, ვერ გამიგია, მაგრამ ნირს არ ვიცვლი.

თავაზიანად მემშვიდობება, მარტო ვრჩები.

ისევ ძველ გაზეთებში ვეძებ წაუკითხავს. ან ხელმეორედ ვკითხულობ. გემი ხომ ჩემი პლანეტაა, ახალი მოძრაობით, ახალი ხილვებით, ახალი მოულოდნელობებით, ახალი იმედებითა და ფიქრებით აღსავსე. აი, ქართული ლიტერატურული გაზეთიც.

ეს რაა, — ახალი, უცნობი ავტორის ლექსები ხომ არ აღმოვაჩინე?

ვკითხულობ. უზომოდ ვბედნიერდე-

ბი. კი არ ვკითხულობ, სტრიქონებს ვისუნთქავ და წყაროსავით ვსვამ თითქოს. სხეული და სული ერთობ ჯეელდება. ის, წელანდელი სიხარული უფრო ლამაზი და ხელშესახებია. თითქოს მიწის, სიცოცხლის, და სიყვარულის ძახილი მესმის.

„ფიქრში გულაღმა ვაგდივარ სერზე,
რა ცეცხლი მხანძრავს არავინ უწყის...
ან:
ო, როგორ მსურს დედამიწად
გარდვიცვალო,
ან ავფეთქდე იებად და ენძელებად.
ან:
კახურ ვაზზე ანაგლეჯი მტევანი ვარ,
შენს ცხელ გულზე დასაწურად მოწეული“.

მეჩვენება ცვარით გალუმპული, ბუნების ნექტრით დამთვრალი, თავგანწირული გოგო თითქოს თავგამეტებით გადაშვებულა ზვიგენებით ადუღებულ ოკეანეში, რომელსაც პოეზია ჰქვია.

დიახ, ამ წუთში მინდა მთლიანად მთელ ხელოვნებას პოეზია დავარქვა.

პოეზია, რომელიც, მე მგონია, აუცილებელ თავგანწირვას მოითხოვს. სხვანაირი გულით თუ მიხვალ მასთან, სიახლოვეს არ მიგიკარებს.

ხოლო, თუ მაინც ჩაავლებ ხელს და ძალით თან წაიყვან, გულს არ გაგიხსნის, არ გენდობა, საქმეში არ მოგეხმარება, ვერ დაიმორჩილებ, ვერ ამუშავებ შენთვის. რად გინდა, ტყუილა, ეჟვანივით აჟღარუნო, პოეზია საქმიანი მიყვარს. იგი ჩემთან ერთად უნდა მუშაობდეს და ყოველ უკუღმართობას ებრძოდეს. იგი გულში, სხეულში დაუკითხავად უნდა შედიოდეს, როგორც პური, რათა უკეთესად ვიცოცხლო. უნდა მეხმარებოდეს, რათა უკეთესი ვიყო თავისთვისაც და სხვისთვისაც. იგი ამბობს იმას, რაც ჩემშია, მაგრამ აგნებს და გამოაქვს ის, რასაც მე არც კი ვთვლიდი ღირებულ რამედ. სინამდვილეში პოეზიით მოტანილი წუთისოფლის უბრალოება, უმნიშვნელობა, შეუმჩნევლობა, ყოველი მისი წვრილმანიც კი დიდ მნიშვნელობას და დიდ ღირებულებას იძენს.

პოეზია წყაროსავითაა. რაც უნდა ნაგავი ყარონ შიგა, იგი ჭუჭყს არ მიიკარებს, დაწმენდილი, ცოცხალი, ანკარა გააგრძელებს დედამიწის გულზე დენას.

პოეზია დედა-ენის დედაა. მე ასე ვამბობ, ასე მჯერა და იმიტომ, რომ ჩემმა მშობელმა კუთხემ თავისი არსებობით, თავისი ბედით დაამტკიცა ეს. როცა ყოველდღიურობის ყველაფრიდან განიდევნა ენა მშობელი, ლექსმა, ზეპირად შეთხზულ-შენახულმა ლექსმა, მოუარა და აცოცხლა იგი. ლექსმა, რომელიც მშობელი ენის ღვიძლი შვილია, ახლა უკვე, განწირულ დაჩაგრულ დამშეულ ენას თვითონ აწოვა ძუძუ, დაანაყრა, სული მოათქმევინა, თვალი კვლავ აუხილა და ისევ ამ მიწის პატრონი ადამიანების გულთა სამსახურში ჩააყენა.

ქართული ენა მოკლეს. არა, ეგონათ რომ მოკლეს. მაგრამ იგი ლექსში გადარჩა. ანბანიც მოკლეს, გააქრეს. ლექსი კი ლაღად და უშუალოდ, ღრმად, ფაქიზი ფერების ხაზებით იწერებოდა მეხსიერების დაფებზე. მას მომავლის იმედი ჰქონდა. მას მომავალი ელოდა. ისე, როგორც აჭარა დაუბრუნდა დედა-საქართველოს, ლექსიც დაუბრუნდა დედა-ენის დედა-ანბანს.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

ცოტახნით მეც ჩემს მოგონებაში შევდივარ:

ყავრით დახურული სახლი. ფიჭვის ძელებზე მზეს ფისი გამოუდენია, დაუწითლებია. კარს ვაღებ, ოთახში ტყის სუნია. ჭერი მედაბლა ძალიან, ბუხარი ბერიკაცივით ნაღვლიანად, მძიმედ და ჩუმად მიმზერს ბინდბუნდიდან. აქ უკვე სხვა სუნი, ძალიან ძველი, ძალიან ნაცნობი, ძალიან მშობლიური სუნია. სხვისთვის შეიძლება ეს სუნი აუტანელიც იყოს, ჩემთვის კი საოცრად ბევრისმთქმელია, ბევრის მომგონებელი. აქ დედაჩემის ფეშტამლის სუნი მცემს. კალთაში თავს რომ ჩავუდებდი, ზეთით, რძით, საკმაზით, ნაწურით გამუშაბმული ფეშტამლის სუნი მეცემოდა. საამო იყო და თავბრუდამხვევი ეს სუნი.

ძალიანაც რომ გაჯავრებული ყოფილიყო, დედაჩემი, როცა თავს ჩავუდებდი კალთაში, ხელს მომითათუნებდა მხრებზე, თმებში თითებს შემიყოფდა და ხელს ასე გააჩერებდა. მაშინ თავზე და მთელ სხეულში ვიგრძნობდი დედის ხელის დიდ სითბოს, არა, იგი მარტო სითბო კი არ იყო, იგი სხვა რაღაცა იყო, ენით გამოუთქმელი, ძლიერი ძალა, იმედის ძალა, სიცოცხლე იყო თავად.

ლანდები გაიწ-გამოიწევნენ. ყველაფერი თავის ადგილს იჭერს.

უცნაური ბალახები წამოზრდილან სარკეებში, საწვეთურებში, ყორისძირებში, ნალიის ბოძთან, საქათმესთან, ახორს უკან; ლერწები კედლებზე აცოცებულან, ხელმოსაკიდი პწკარი თუ პიწკები უპოვიათ, გზა გაუგრძელებიათ და სახურავებზეც დაუდვიათ ადგილსამყოფელი.

ძველი ახორიდან გამოყრილი ძელები წვიმით დამბალა, შემხმარი ფუნა აფუებულა, გაუსუქებია ირგვლივ ნიადაგი და თართქალ-თართქალ-ლერწიანი მცენარეები გაულაღებია.

ოდის კუნჭულებში ძველმა ხმებმა გაიხუხუნეს. ნალეჭი კევივით მიწებებულან და მიმხმარან ხმები კედლებზე. ახლა ხელს ვახებ მათ, და იმ ძველ ხმებს, ვაძრობ, ვაღვიძებ, ვისმენ.

* * *

აქ კი ინდოეთის ოკეანეა ირგვლივ. ბინდისფერი წყალი, საშიში და აუტანელი, ალერსით, მოფერებით ეხვევა ხომალდს და ასე მეჩვენება, ვითომ ჩვენც გულში გვიკრავს, მაგრამ, არა, არ მინდა მისი მოხვევა და ალერსი. ისეთივე მოუსვენრობის მღელვარე გრძნობა მეუფლება, როგორც პატარაობისას, დედას რომ წისქვილში წავყვებოდი. განსაკუთრებით სასაფლაოზე ასვლისას, ღამით, მეშინოდა, მაშინ ხელს მაგრად ვუჭერდი დედის ხელს. ის, დედის ხელი, იყო ჩემი ხსნა. აქაც, ახლა ჩემი ნუგეში გემია.

რამოდენა სიღრმე ექნება ნეტავ აქ წყალს? ვთქვათ ხუთი-ექვსი ათასი მეტრი? გამოდის, რომ ჩვენი მადანმზიდი თავისი ოცდათხუთმეტი ათასი ტონა ტვირთით, მიწის ზედაპირიდან ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს თხუთმეტ-თექვსმეტი მილის სიჩქარით საათში. წყალი ახლა მე ჰაერის მაგივრად წარმოვიდგინე.

ვახშმობისას მეზღვაურთა სასადილოში გავდივარ. მსურს ზინა ვნახო; არა, უბრალოდ — დავინახო, მაგრამ ვიდრე სასადილოში შევიხედავ, მარცხნივ ვუხვევ და ოცდამესამე კაიუტაში შევდივარ. აქ, ხემი საწოლი თენგოსია. ვნახავ, რამე დარჩა გემში, თუ ყველაფერი თან წაიღო? თუ წასაღები წაუღია, მაშინ ხომ გასაგებია ყველაფერი, გაქცევა ადრე გადაუწყვეტია, ყველაფერი თავიდან აუწონ-დაუწონია და განუსაზღვრავს.

ილია ქილმანი, ჩვენი მაღალი, ქერაულვაშებიანი მეანკესე, როგორც შევარჩვი მას, ჩემთან მოიჭრა. რამე საქირო ხომ არაა, ამხანაგო პაპოლიტოო, მეკითხება გაჭიმული.

ვინ ცხოვრობს ამ კაიუტაში მეთქი, ვეკითხები. აქ, ამხანაგო პაპოლიტო, ხაბაზი ცხოვრობდა.

— მეორე ვინაა?! — მკვახედ შევუვირე.

— მოვნახავ ამ წუთში, გულო მა...-იჩ — კინაღამ გამეცინა, ჩემი მამის სახელი ვერ გაიხსენა უცებ და რაღაც გაუგებარი ბგერები ჩაიბუზღუნა, ბოლოში კი „იჩ“ გამორჩეულად წარმოთქვა.

სადღაც გაქრა და მალე უკანვე მოირბინა:

— ხაბაზის თანამობინავე მეზღვაური, ზებურ ვარშანიძე, ვახტზეა, ამხანაგო პაპოლიტო, — მომახსენებს ქილმანი.

— წადი, შენ თვითონ შეცვალე და ვარშანიძე აქ მოვიდეს! — ვბრძანებ ერთგვარად ძალაუფლებამოკრებილი.

მე უკვე კაიუტაში ვიყავი, ზებურ ვარშანიძე რომ მოვიდა. მომაღლო, მორცხვი და ჩუმი ბიჭია; ვიცნობ გემზე რამდენიმე დღის ყოფნით. უთქმელი, უპრეტენზიო, იმდენად ფრთხილი და

მორიდებული, რომ ზოგჯერ მშიშარა მოგეჩვენება, მაგრამ, მაგონდება, ერთხელ მომახსენეს, სასადილოში რა უსაშველო დებოში აუტეხია, როცა ერთმა მეზღვაურმა, ჩვეულებრივად, მეგობრულ საუბარში დედის გინებაც გაურია. ზებურ ვარშანიძე მიახტა თურმე და კინაღამ ყელი გამოგლიჯა იმ საწყალ ბიჭს. ის ბიჭი კი, მგონი, გვარად ფომინი იყო, სარატოველი. ისე გაკვირვებია იმ სარატოველ ფომინს ამ მუდამ ჩუმი ვარშანიძის ასე უცები აბობოქრება, რომ გაოგნებულს ირგვლივმყოფთათვის მიუმართავს, რაშია საქმე, რა მოხდაო. დედის გინებამ გადარიაო, უპასუხეს. მოუბრუნდა ზებურს და უთხრა, ბიჭო, ა, ძმაო, რომელ ენაზეც გინდა შემაგინე ,არაფერს გეტყვიო. თანაც მისულა და გადახვევია ვარშანიძეს. ვარშანიძემ იდაყვი გაჰკრა, მოიცილა ფომინი და დამორცხვებული, დადანაშაულებული, თავჩაქინდრული გამოცურდა თურმე სასადილოდან.

ვარშანიძე ამხედ-დამხედავს და კარებთან გაშეშდება.

— რა დარჩა აქა ხაბაზს, — ვეკითხები მშვიდად.

— არ ვიცი, უფროსო, მე არაფერი არ ვიცი. ე, იქ, ზეით იწვა, ხელიც არ მიხლია, რაცხაები აქვს შენახული იქა, ე, მაღლა, მაგრამ მე არაფერი არ ვიცი.

— რა მოგივიდა, ბიჭო, რავა გეშინია, გამართულად, გაბედულად მელაპარაკე. შენ არავინ არაფერს გაბრალებს. კაცი დარჩა უცხოეთში; ჯანაბას მაგისი თავი. მაგის გარეშე დაგვენგრევა სახელმწიფო, ან ჩაიძირება გემი, თუ იცი?!

— აბა, რა ვიცი, უფროსო... დარჩა, გეიპარა, სამშობლოს უღალატა. მე, მე არაფერი არ ვიცი...

— კარგი, მოდი, ახლავე გახსენი მისი ყუთი, რაა შიგ ვნახოთ?

— მე, უფროსო, დაფიცული ვარ, არ წავაკარებ ხელს სხვის ქონებას. მე დაფიცული ვარ და, რა ვქნა, ნუ წამაკარებინებ ხელს სხვის ქონებაზე.

ვარშანიძე ხელებს მუცელზე გადაიჯვარედინებს და კუთხეში კედელს აეტუზება.

ვფიქრობ, არ ღირს ამასთან ჭიდილდა-ვი-მეთქი და თავად ვათვალიერებ ზემო საწოლსა და კედლის თაროებს.

მუხლებგამოქექილი ძველი ჯინსის შარვალი (ეს ქონებაა!) ლაზლის წინდები, მკერდმოხატული ორი მაისურა, ტრუსები, მეზღვაურის ძველი შინელი, ერთი ნატეხი სარეცხი საპონი, ცარიელი მაგნიტოკასეტები და ორიც გაუგზავნელი წერილი კონვერტში დაწებილი. აი, მთელი ქონება, რაც ხაბაზს დარჩენია.

— აბა, რაღა წაიღო თან, იცი ამის შესახებ რამე?!

ვარშანიძე იშმუშნება, ფიქრობს, ერთხანს ყუჩდება და მუდარით შემომხედავს.

— მე, უფროსო, არაფერი არ ვიცი. ტიტველი არ წასულა, რაცხა ეცვა, მეტი მე არაფერი არ ვიცი, უფროსო.

— კარგი, დაბრუნდი ვახტზე! — ვეუბნები და მეც კაპიტნის ჯიხურისაკენ მივემართები.

— ვარშანიძე! მოიცა! — ვაბრუნებ ზებურის, — დღეს ოფიციანტი ზინა გემსახურებოდათ?

— არა, უფროსო, ზინა ორი დღეა ავადაა.

კაიუტაში სიბნელეა. ილუმინატორზე ფარდაა ჩამოშვებული. კარი კი ჩაუკეტავია. შესვლისთანავე შუქს ვანთებ.

ზინა ლოგინში წევს. იგი სრულებითაც არ ინძრევა, ვაკვირდები, — სუნთქავს. მგონი, ჩემი შემოსვლა არც გაუგია. ალბათ სძინავს. საბანში სხეული ამოზვინულია.

ლამაზი გოგო... ერთადერთი ქალი გემზე...! ინდოეთის ოკეანის შუაგულში, უახლოეს ქალაქამდე მთელი თვის გზაა.

ქალი არ ინძრევა. იქნებ არც კი ძინავს? იქნებ ელოდება, როგორ მოიქცევა ის, ვინც შემოვიდაო? ხოლო, ეს ხომ იცის, რომ ის, ვინც შემოვიდა, ნამდვილად მამაკაცია?

ვხედავ, ოდნავ შეირხა, წამწამები

ააფახურა და ნელა ჩემკენ გადმობრუნდა.

— ექიმს რად არ დაუძახე, ზინა? შენ, მე გატყობ, ავადა ხარ. — ისე ბავშვია, რომ „თქვენობით" ლაპარაკი ჩემგან უხერხულიც მეჩვენება.

— აქ აღარავინ მყავს მე, გულო ძიავ. პატივცემულო, არ გამიჯავრდეთ, გაგიმხელ... რა ვქნა აბა, ვის შევჩივლო.

— ჰო, ჰო, მითხარი.

— ფეხმძიმედა ვარ, გულო ძიავ, მე ახლა რა უნდა ვქნა, ა? მითხარით, რა უნდა ვქნა, არ ვიცი.

— შენ არ იცოდი, რომ იგი გაპარვას აპირებდა?

— არავითარი, პატივცემულო, ეს რომ მცოდნოდა, აქ წამოვყვებოდი?

— ანდა, შენც დარჩებოდი, ალბათ, არა?

— მასთან ერთად ყველგან ვიქნები, მაგრამ ახლა რაღაი. რა უნდა ვქნა ახლა, არ ვიცი...

— როგორ თუ მასთან ერთად. შენ ამბობ, რომ საბჭოთა გემიდან, ესე იგი, ჩვენი სამშობლოდან სხვა, ისიც კაპიტალისტურ ქვეყანაში გადახვიდოდი სამუდამოდ?

— ასე რატომ მელაპარაკებით, გულო ძიავ?! ჩემთვის სამშობლო საყვარელი ადამიანია.

— საყვარელი ადამიანი! არ შეიძლება მოღალატე საყვარელი იყოს.

— თუ რამე ღალატად ჩაითვლება, ყველაზე დიდი ღალატი ჩემს მიმართ ჩაიდინა. მე... მე იმას მაინც ვენდობი, გულო ძიავ. ის მე არ მიღალატებს. რაღაც დეემართა ალბათ.

— თავშესაფარი მოუთხოვია. გამოდის სამუდამოდ იქ დარჩენა გადაწყვიტა. აი, ხედავ? — ვუმხელ სინამდვილეს, რათა მისგანაც გავიგონო ნამდვილი სინამდვილე ბოლომდე.

— მე წყალში გადავვარდები, მირჩევნია.

— თავს მიხედე. მოუარე თავს, გეუბნები. არ გაიტეხო გული, — მინდა მივეფერო საწყალ გოგოს და იმედის ნატამალი მაინც გავუჩინო, — არ შეიძლება ასე აგონიაში ჩაიგდო თავი. მით უმეტეს, მაგნაირ ამბავში ხარ. უფლება არა გაქვს, გენაცვალე, არა გაქვს უფლება შენს თავს სასტიკად მოექცე. მაგით თავს კი არა, კიდევ სხვას დაღუპავ, დამთავრდება ეს ყველაფერი, დავბრუნდებით შინ და...

— მადლობელი ვარ... — თვალებს ისევ ხუჭავს ზინა და მეც კაიუტიდან გამოვდივარ.

* * *

ზემოთ, კაპიტნის ხიდურზე ავდივარ. ნისლი ჩამოდაბლდა, გემბანზე დგომა ძნელდება, — პირდაპირ ცხვირში გესხმება მარილიანი, თქორიანი ნისლი. გწვავს და იკბინება თითქოს.

ისე ვარ გულდაშუშხული იმ გოგოს ნახვით, აღარაფერი მესულგულება, არც ცინცხალი ბუნებისა და უცხოს, ჯერ უნახავის, საკვირველებებით ტკბობა და არც ვინმესთან ყოფნა. თენგოს ამბავს თითქმის აღარავინ ახსენებს, ყველამ თითქოს მიივიწყა.

მოგკითხავენ, მაგრამ რას იტყვი, როცა არაფერი არ იცი. არა და, რატომ არ უნდა იცოდე. ორმოცკაციან კოლექტივში შეიძლება ადამიანი ისე დაკარგო, არაფერი გაგეგებოდეს მისი?

ჰო, ჩაცუცქულა კაპიტანი თავის ჯიხურში და გენერალურ რუკებს ჩაჰკირკიტებს. სამუშაო რუკას, რომელზეც გემის აწინდელ სვლას ხაზავს, ესე იგი, კონკრეტულ ვითარებაზე მორგებით, სამოძრაო ხაზს ავლებს რუკაზე. მაგონდება, — ეს რუკებიც ლას-პალმასში ვიყიდეთ.

ერთი თქმა, თავს ვუთხარი: შედი, გაანდე ყველაფერი კაპიტანს ახლავე, ამ საცოდავი ქალის მდგომარეობა-მეთქი. ჯობს თავიდანვე იცოდეს, მერე ხომ გვიანი იქნება. სულერთია, ერთ მშვენიერ დღეს, მაინც უნდა შეიტყოს, რომ გემზე ფეხმძიმე ქალი ჰყავს. არ ვიცი მომხდარა თუ არა როდესმე, ჩვენს რომელიმე ხომალდზე ამისთანა უცნაური და შეუთავსებელი რამე. ერთ-ორჯერ ხიდურზე ხმამაღლა ვახველებ, სარკმლიდან ვიცქირები იქით, ჯიხური-

საკენ, რომელიც აქედან მშვენივრად ჩანს. მაგრამ რა, კაპიტანს თავი არც კი წამოუწევია. გვერდის აივანზე გავდივარ. ლოტოვიც აქ ჩნდება საიდანღაც, რომ თავისი „ყოვლისმომცველი“ ცოდნა, ზღვისა და ნაოსნობისა, მომაშველოს.

ზღვას მღელვარე არ ეთქმება, მაგრამ წვრილი, თეთრქოჩრიანი ზოლებით კია დახაზული. გეგონება ჯავრით შუბლი შეიკრა და მრისხანების ნაოჭები დაიყარაო.

უფრო მესაოცრა ისა, რომ წინ, მოშორებულზე, ოკეანეს ჰკვეთს თეთრშავი ზვირთებით სწრაფად მიმდინარე ზოლი. აი, პირდაპირ მდინარის წყალივით მიედინება თითქოს. წყალი — წყალში. მიკვირს და მინდა ლოტოვს ახსნა ვკითხო. მაგრამ მე, კაპიტნის პირველ თანაშემწეს, პამპოლიტს, ბოლოსდაბოლოს, არ მეპატიება ამდენი შეკითხვა. რაღაცას ხომ თავადაც უნდა მიხვდე? მეც ავიღე და ჩემთვის გადავწყვიტე, შუა ოკეანეში, გეოგრაფიულ სარტყელთა კვეთაზე, ან ორი ოკეანის პირობით საზღვარზე, ან სხვა წყალქვეშ მიმდინარე პროცესების შედეგად, წყლის უსაზღვრო უდაბნოებში, უდიდესი სისწრაფის მდინარეებიც შეგხვდება. ასე იყო, ხომ ვნახე, აფრიკის ქვემო წერტილში, კეთილი იმედის კონცხის აქეთ, იქ, სადაც ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეები ერთმანეთს ხვდებიან და იყოფიან.

* * *

რა უცნაურია მაინც კაცის ბუნება. ახლა აგერა ხარ, ხოლო შენი ფიქრი სულ შორს, ან სულ სხვა დროში ამოყოფს თავს.

აქ, ამ ცივ ნისლთან, მლაშე სიცივეში მდგომს, კაპიტნის ხიდურს რომ გვერდის აივანი აქვს, იქ მდგომს, ისევ და ისევ მთელი თავსგადანახადი ხელმეორედ დამიტრიალდა თავში. ჰო, სულ ერთ წუთში მოხდა! წარმოიდგინე, ამდენი სახელმწიფო, ამდენი საზღვარი, ამდენი ეროვნული, პოლიტიკური, პარტიული, იდეოლოგიური ინტერესი. ამ ინტერესთა შეჯახებანი და სხვა. სადაც ძველიც ბევრია და ახალიც, მაგრამ უბრალო შედავებაც დიდ უთანხმოებებისაკენ მიცოცავს. აბა, ასეა, ძმაო, შეიძლება ჩემს მამულს ნახევრამდე თავისი მიწა-წყალი სხვასთან დარჩა, სხვამ წაართვა და იმ სხვამ კარგადაც შეირგო. მაგრამ ალარაფერს ვამბობთ. რას იტყვი? ჩვენი სახელმწიფო დიდია. ახლა, იმას მეტი საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდა. არაა ახლა ძველი ამბების გახსენების დრო, ძველი კონფლიქტების აღძვრისა. აბა, მაშინ კონსტანტინეპოლიც უნდა მოითხოვოს საბერძნეთმა. თუმცა ჩვენი ამბავი მაინც განსხვავებულია. აქ, უბრალოდ, მიწაზე კი არაა ლაპარაკი, იმ ჩვენს მიწაზე ჩვენი ხალხია. ამ ხალხმა თავის ისტორიულ მამულში და ერთად აშენოს თავისი ეროვნული ოჯახი?! ეს ხომ უფრო წინ წასწევს, საერთოდ, კაცობრიობის საქმეს?!

მახსოვს, ბათუმში თურქი ლიტერატორი ჩამოვიდა ცოლით. გამაყოლეს, აჩვენეო ქალაქი, სოფელშიც გაიყვანე, სადმე პურმარილიც მოუწყეთო. ამ პურმარილზე ნაცნობ თავმჯდომარეს შევუთვალე ერგეში. ვიცოდი, რა მადლიანად, გემრიელად და დაუყვედრებლად მოაწყობდა ყველაფერს.

პარკში ვიარეთ ერთხანს, პლაჟზეც გავიყვანე, მერე დელფინები ვაჩვენე. იქიდან თეატრთან მივედით.

გზაზე ქალი სულ რაღაცეებს ეჩურჩულებოდა ქმარს. ქმარიც თავს უკრავდა, მაგრამ ხმას მაინცდამაინც, რატომღაც, არ იღებდა. ისეთი გაუმხელი ინტერესით ათვალიერეს ყოველი სახლი, უბანი, ქუჩა. თავად უხსნიდნენ ერთმანეთს ყველაფერს. მე იშვიათად მეკითხებოდნენ. ჰო, ბოლოს რაღაცა იკითხეს, მაგრამ პასუხი, მგონი, არ მოეწონათ. კაცმა თავი გააქნია და ქალს თავისებურად აუხსნა უკვე ჩემს მიერ ახსნილი და განმარტებული. ცოტათი გავჯავრდი, მაგრამ არ მივახვედრე იმათ ჩემი გულისწყრომა: ვიღიმოდი, მივყ-

ვებოდი და ვფიქრობდი: როცა სტუმარი ასე იქცევა, იმას უნდა უთხრა სათქმელი.

ერთგან ყური მოვკარი, კაცმა უთხრა ქალს: ეს „ბუ ბიზინდი“ (ეს ჩვენი იყოო). აი, ეს მოხვდა გულს საშინელი სიმწვავით. ვიწყინე. კარგი კაცი იყო, სხვათაშორის, ზრდილი, კეთილი. მანამდე ძალიან გულიანად და პატივით ვეპყრობოდი. მეც მაინტერესებდა ბევრი რამ. საუბარიც წრფელი და მეგობრული გამოგვდიოდა, მაგრამ, აი, როგორც კი ჩაუჩურჩულა ცოლს ბათუმზე, ეს ჩვენი იყოო, გავშეშდი, დავმუნჯდი, არა, უფრო მომეშალა ნერვები.

მერე, ერგეში, სუფრაზე, ვერც ვჭამე, ვერც ვსვი, ვერც ვისაუბრე. გამინაწყენდა მეგობარი თავმჯდომარე. იფიქრა, რაღაცა, ალბათ, დავაკელი სუფრას, რაღაც, ალბათ, ისე ვერააო.

მან ხომ სუფრა უფრო ჩემთვის გააკეთა, აბა იმ თურქს სულაც ვერ იცნობდა, ან რაში სჭირდებოდა.

* * *

ამასობაში, ზღვის მდინარეს თუ გრანდიოზულ დინებას ვუახლოვდებით. მფრინავ თევზებს აქაც ვხედავ, მაგრამ, თითქოს, უფრო დიდრონი, უფრო ზანტები არიან და, თანაც, გუნდებად არ დაფრინავენ, როგორც ატლანტიკაზე. აქ უფრო დაბალზე ფრენენ. ამოხტებიან, ფრთებს აახმიანებენ და იქვე, მოშორებულზე, წყალში ჩაყვინთავენ.

ეტყობა, ამოდენა გემზე ზემოდან გადაფრენას ვერ ახერხებენ. უბრალოდ, ცაში აიჭრებიან, რამდენსაც შესძლებენ ალმა-დალმა აიწევენ და მერე, ოდნავ გვერდით გადახრილნი, ძირისაკენ ეშვებიან. კინოში მინახავს, წყალქვეშიდან რომ რაკეტა ამოიჭრება. აი, ისე ამოიჭრება აქაური მფრინავი თევზი, მაგრამ ძალა აღარ ყოფნის და მალე უკანვე ვარდება.

სულ არ მიუქცევიათ დინებისათვის ყურადღება ჩვენს შტურმანებს. ისე კი მომეჩვენა და აშკარადაც ვიგრძენი, რომ ხომალდი დინებაში შესვლისას, ერთგვარად შეირხა, შეტორტმანდა, თითქოს ცალ მხარეს გადაიწია, თითქოს გვერდიდან ქარი აწვებოდა.

სამანქანოდან უფროსი მექანიკოსი კაპიტანს იწვევს საგანგაშო ყურმილთან, რომელიც რა ხანია დევს ხიდურის ერთ კუთხეში დადგმულ ტელეფონის დიდ, წითელ, უცნაურ აპარატზე. მირიან გლასი დინჯად გადმოსცემს რაღაცას. სამანქანოში მცირე ავარია მოხდაო, მოახსენებს კაპიტანს. ეუბნება, გემი უნდა გაჩერდეს რამდენიმე საათით, სხვანაირად შეკეთება შეუძლებელიაო. კაპიტანი სახეზე წითლდება. როგორ შეიძლება ახლა გემის შეჩერება? როგორმე უნდა სცადოთ სვლაში, შეუჩერებლად აღადგინოთ დაზიანებული მანქანაო, უთხრა. მაგრამ ამ სიტყვებში უფრო ვედრება იგრძნობა, ვიდრე განმკარგულებელი, მტკიცე მითითება. შფოთავს და ქვეშქვეშ მე შემომხედავს ხოლმე შალვა. თვალებით მეუბნება, აი, ხომ ხედავ, რას მიშვრება უფროსი მექანიკოსი, როგორ უბრალო მიზეზით აფერხებს გემის სიჩქარეს, ხელს მიშლის, რომ მანძილი დროზე დავფაროთ.

კაპიტანი ვიდრე გადაწყვეტილს რაიმეს იტყვის, ვატყობ, ხომალდი სვლას უნელებს. რაღაც შორეული, სიღრმისეული გუგუნი კიდევ უფრო ნელდება.

ხიდურზე მდგომს, ვგრძნობ, ქარი ისეთი ძალით აღარ მიბერავს სახეში, როგორც წეღან, ნუთუ მართლა, აქ ამ შუა ოკეანეში, უნდა გაჩერდეს გემი?

თანაც, საღამოვდება, ცაც იღუშება, სადღაც, სივრცეში ღრუბლები საგრიგალოდ გროვდებიან.

აქედან ვხედავ, ხალითი და მისი ბიჭები, გრძელ გემბანზე გამოფენილან და ზღვას გადასცქერიან. იმათ სეირის ნახვა უნდათ, აქ ისეთი რაიონია, ზვიგენები მრავლად არიან და ჩვენს ბიჭებს აინტერესებთ ახლოდან დაინახონ ეს ზღვის ფირალები. ზოგიერთი კარგა მოხოოშრო ბაწარსაც შლის და წვერზე მავთულის ანკესებს უკეთებს. ხალითი ჩუმად მანიშნებს, აქ ჩამოდით, სეირს გაჩვენებო. მართლაც, რამდენ-

საც სვლას უკლებს გემი, ან მთლად თუ გაჩერდება, ირგვლივ უმალ ზვიგენები გაშმაგებით დაიწყებენ ხეტიალს. მეც გემბანისაკენ ვეშვები.

ხალხი გემის კიჩოზე და გემბანის კიდეებზე გავიდა, ყველა წყალს ჩასცქერის. ბიჭიკო მორბის ბაწრითა და მავთულისაგან ნაუცბათევად მოღუნული ანკესით.

ინდოეთის ოკეანის წყალი ძალიან მუქია. ამას, ალბათ, აქ, შუაგულში, სიღრმეც იწვევს. ბიჭიკო უცებ მიჯიკავებს. აი, ნახეთ, ზვიგენიაო. ერთი კი არა, ორი ერთად გამოჩნდა. გაიელვეს და გაქრნენ. მერე, ბიჭიკოს გადაგდებულ ანკესთან, ერთი ისევ მოცურდა და ჩაკიდული ანკესის ირგვლივ იწყებს სეირნობას.

იქნებ ხორცის სუნმა მიიზიდა? საშინლად უნდა ჩასანსლოს ხორცი, მაგრამ ატყობს სახიფათოა. მიუახლოვდება, მაგრამ უმალ შიშით თუ ეჭვით ხიფათს გვერდს უვლის და ისევ სიღრმისაკენ გაქანდება.

აგერ ჩვენი საახალწლო ნაძვის ხეც. რა საცოდავად გამოიყურება. ტროპიკების ცხელ ქარებს სულმთლად გაუტრუსავს. წიწვები ცეცხლზე შემწვარივით დაწითლებია და ხელის ოდნავ შეხებაზე ცვივა მართლა, ძალიან მეცოდება ნაძვი, ჩვენებურ მიწას მოგლეჯილი და ტროპიკებში იძულებით გადმოხვეწილი.

არკადი მეუბნება, აი რას ნიშნავსო სამშობლოს მიწას მოგლეჯა. ამაზე ლექსი შეიძლება დაიწეროს, თუ როგორ ვერ შეეთვისა უცხო ჰავას ჩვენებური, ჩვენს ნიადაგში ფესვგადგმული ხე. ასე ემართება ადამიანსაც, თუ იგი მშობლიურს მოწყდებაო.

უცებ ნისლი ისე ჩამოდაბლდა, რომ გემის ნახევარი აღარ ჩანს. მიწა მომნატრებია, საახალწლოდ ნაძვის მიწიან ყუთში თითებით ვთხრი გადამწვარ, ფხვიერ მიწას. მსიამოვნებს მაინც. ამასობაში, უცებ, ნამდვილი ტროპიკული წვიმა ეშვება. ხალითს და მის მეზღვაურებს უხარიათ, წვიმა გემის დამარილებულ კედლებს გადარეცხავს, ლითონი იმდენად აღარ დაიჟანგებაო.

მე, ზღვისპირელ კაცს, წვიმაში ნაცხოვრებს, დღე-ღამე თავსხმაში ნარბენს, კაი ძველ ნაცნობივით მომნატრებია წვიმა. არა — უფრო ახლობელივით მომნატრებია წვიმა ამ შუა ოკეანეში! განა ეს რაიმე მოგონებათა აღმძვრელი შეიძლება იყოს? ჯიხურიდან რკინის ვიწრო კიბით ჩავდივარ მთავარ ბანზე, თავს ვუშვერ წვიმას, წვიმის დიდრონი, თბილი წვეთები თქაფათქუფით მეცემა თავზე, მხრებზე, თქაფათქუფით გადარბის ვეება გემის ლითონის მინდვრებზე. სველი თმებიდან პაწაწინა ნაკადულები ეშვებიან ყურისძირებში, შუბლზე, ლოყებზე, წარბებიდან ბრტყელი თქეშები მეცემა ქვედა ტუჩსა და ნიკაპზე, უნებურად ვყლაპავ ნაყურს, მტკნარია, ტკბილი, გრილი.

მაინცდამაინც მორწყულ ყანაში გაუწვიმდებოდა მამაჩემს. ასეთია გლეხკაცის იღბალიო, იტყოდა, — მთელი თვე წვიმას ველოდი, ვერ მოვხანი მიწა, მოვრწყე, როგორც იქნა, მოვრწყე და მაინცდამაინც ახლა გაწვიმდაო. ახლა ეს წვიმა ხომ უბედურებად იქცა. რა ვქნა ახლა. ღმერთო, რა დაგიშავე, რად დამსაჯე ასე? მორწყული სახნავი კიდევ არაფერი, მორწყული მოხნული დამელვარება. წავა ხელიდან მიწა, გაჩნდება ღარდები, ყანა კოხზე დავა. უღლიდან ხარებს გამოუშვებდა, ჯილღას ღრმად მოსობილს ჩატოვებდა. ყაბალახს გადაიძრობდა. თავს წვიმას შეუშვერდა და ასე მიყვებოდა, ნელა, ზლაზვნით მიმავალ ხარებს. ხარებმა კი იცოდნენ საით წასულიყვნენ. ნალიისაკენ. იქ თივა ეყარა. დიახ, მახსოვს, მამა იტყოდა, უღელში შებმულ ხარს ნედლი ბალახი არ ეჭმევა, — მოეშვება, დამძიმდება, უღელს ვერ გაიტანსო. ხარს ხმელი თივა უნდა აჭამო, თუ გინდა ტანაკრეფილად და ღონივრად იმუშაოსო.

შემოვდივარ კაიუტკამპანიის წინა ბანზე. ვდგები რუკასთან. თითქმის არავინაა ჯერ აქ, ირგვლივ — ოკეანე, რუკაზე — ოკეანე. შევცქერი ზემოთ,

მარცხნივ — ინდოეთი ,მარჯვნივ, იქით — ჩინეთი. კაიუტაში დაბრუნებული ვიგონებ, ჩინეთს რომ ჩვენიანს ვეძახოდით. ის დრო მენანება დასაკარგავად, რაღაც სხვანი ვიყავით თითქმის მაშინ. რომელი მტერი გაბედავდა თვალში ჩაეხედა ჩვენთვის? „მოსკოვი-პეკინი" ქუხდა სიმღერა. ჩვენთან რომ ჩამოდიოდნენ, ჩინელები რატომღაც თავჩაღუნულნი, ჩაფიქრებულნი, დასევდიანებულნი მეჩვენებოდნენ. პრესაში მუშაობისას შევხვედრივარ მათ, მისაუბრია. ეგ, არაფერი! ათას ცხრაას სამოცდაათხი წლის ოქტომბერს — პეკინში, კანტონში, უხანში, ყოფნა მაგონდება, მერე ვიეტნამს უნდა გამგზავრებულიყო ჩვენი ხუთკაციანი დელეგაცია.

პეკინი ცივი, ქარიანი და მტვრიანი დაგვიხვდა. რაც ჩინეთის პირველი ნახვით ვიგრძენი, ეს იყო, რაღაცხაირი, უზომო, დიდი სიჩუმე. მაგრამ სიჩუმე ზოგჯერ უფრო საშიშია.

და, მაინც საოცარი იყო აეროპორტში შეხვედრის პირველი წუთები. დაძაბული, უცნაური, სიმბოლური.

აეროვაგზლის მოსაცდელში მცირე ხნით ძელსკამზე ჩამოვჯექით. კუთხეში ბუფეტიდან გამოიჭრა ფეშტამლიანი კაცი, ბოთლით ხელში და „ტავარიშ, დრუჟბა, დრუჟბას" ძახილით ჩვენთან მოვარდა. ხმელხმელი იყო, მაღალი, თავმოპარსული, თვალები წვრილი, ცეცხლოვანი, ცქვიტი. ერთხანს მიუკარებელიც მეჩვენა, მაგრამ ახლოს მოსულმა კეთილად რომ გაიღიმა, სულ ერთიანად განათდა იქაურობა. თუმცა მაინც ვერაფერს მივხვდით, რას ნიშნავდა ეს. რამე პროვოკაციას ხომ არ გვიწყობენ? — ვიფიქრე ჩემთვის. ეს იყო შიშის, ეჭვის თუ ალტაცების გრძნობათა შერწყმა, ერთად მოზღვავება გაგებისა და გაუგებრობისა, მოლოდინისა, დაბნეულობისა და რაღაც გამოუცნობი, უნდო იმედისა. სასმელი სათითურისოდენა სასმურებში ჩაგვიწვეთა და გვითხრა — აი, მე ჩვენს მეგობრობას ვლოცავო.

ჭმასობაში გამოჩნდა ჩვენი, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი, გვარად ზაროვი. მებუფეტე რომ მწვანე ჩაის მოსატანად წავიდა, ზაროვმა გაგვიმხილა მებუფეტის დღევანდელი აღტაცების საიდუმლო.

გუშინ მოსკოვში ჩვენს სამომავლო მეგობრობაზე კარგი სიტყვა ითქვა. აქ, ჩინეთში, თქვენ კარგი შეხვედრები გელით...

მებუფეტემ ისევ მოირბინა და თითო ფინჯანი მწვანე ჩაი მოგვართვა, მოგვეფერა, მოგვიალერსა, როცა იღიმოდა, მახსოვს, თვალები სულ ეხუჭებოდა და, როცა თვალებს ხუჭავდა, მთელ მის სახეზე იკითხებოდა კაცისა და ქვეყნის უკიდეგანო სიჩუმე. თვალს რომ გაახელდა, იქ, სიღრმეში, თითქოს შორეული სინათლის იმედიანი სხივი აკიაფდებოდა.

აეროვაგზლიდან გზა ბაღ-ბოსტნებში მიდიოდა. გზა — ვიწრო და მტვრიანი, მაგრამ სწორი და მანქანებით გადაუტვირთავი. გარდიგარდმო ბაღჩებში მოხრილი გლეხები მუშაობდნენ. არცერთს, აი, არცერთს, გზაზე მიმავალი ჩვენი ერთადერთი ავტობუსისთვის არ შემოუხედავს. გინდა შემოეხედათ, რა იქნებოდა, არაფერი, მაგრამ, რაღაცა არ მესიამოვნა ეს საოცარი მათი გულგრილობა.

გზები, ქუჩები მოწყენილი, დაცარიელებული მეჩვენა. სადაა ეს მილიარდი ხალხი? სულ რომ არავინ ჩანს, რა ხდება?

აქა-იქ, ხანდახან ჩაიხრიგინებდა ძველი საბარგო მანქანა.

ჩვენებური, ომამდელი დრო დამეხატა თვალწინ.

რუხ-ყვითელი ფერის უძველეს სასახლეთა გოროზი მხრები აღიმართებოდა ხოლმე უძრავი მტვრის ბლონდებში. ახალი სახლი ჯერ კიდევ არსად ჩანდა.

მაგრამ, მერე, ქალაქი თანდათან გასქელდა, გაიშალა, შენობანი გახშირდა, ქუჩები ამოძრავდა. სასტუმრო „პეკინის" ფანჯრიდან ჩანდა ქუჩა, რომლის გასწვრივ გლეხებს ბაზარი გაემართათ. იყიდებოდა მწვანე ფხალი. მერე ახლოდან ვნახე ის ფხალი. ნაზფოთლება

ფხალი. აი, ეს მთავარი პროდუქტიაო, მითხრა ვილაცამ. ასე, საღამომდე ვაჭრობს გლეხი, მონარჩენს დილამდე აქვე ტოვებს. მიუხედავად გაჭირვებისა ხელს არავინ ახლებს.

დილით პატრონი მოვა და თავის მორჩენილ ფხალს მიუჯდება, რომ ესეც გაყიდოს. ჩინელი ყადრიანია, მომთმენი, იმედიანი. იცის, — შრომა მოიტანს სიკეთეს. იცის და მალე სიუხვეც ექნება.

მთავარი სურვილი იყო, ცენტრალური დიდი საალლუმო ტიანანმინის მოედანი გვენახა. იქვე, ახლოს ის ძველი საიმპერატორო სასახლეც, მაო რომ ცხოვრობდა.

ოქტომბრის ქარი საღამოთი უფრო გაცივდა, თანაც, რალაცნაირი, უცნობი, შეუჩვეველი სუნიც მოიტანა. ვერ მივხვდი, ეს ქალაქის სუნი იყო თუ გარედან, შემოდგომის გამომშრალი ტრამალებისა და სივრცეების სუნთქვა.

ოდნავ, თხლად, თეთრი ნისლიც ჩამოდაბლდა და იმოდენა ქალაქი თითქოს დააპატარავა. ხალხი ადრე გაიკრიფა ქუჩებიდან და ქვეყნიერებას ისევ მძიმე და ცივი სიჩუმე დაეპატრონა.

მაოს სასახლეს გარს უვლიდა წითლად შეღებილი კედელი. დიდი ჩინური კედლის პატარა განმეორება იყო მგონი. ერთადერთ შესასვლელთან ორი ჯარისკაცი იდგა.

მერე ერთ ძველ ნაციონალურ რესტორანში წავედით და მიწისიატაკიან, ჩაშავებულკედლებიან, თუნუქისლუმელიან ოთახში შემოვუსხედით მაგიდას. ციცქნა-ციცქნა კერძები მოჰქონდათ ზედიზედ. თითოეულმა თვრამეტ-თვრამეტი სხვადასხვა კერძი გასინჯა, ზოგ კერძს ღვინოც ერგო, თეთრი ან წითელი. ეს რესტორანი კერძოაო, გვითხრა ზაროვმა. ჩინელი გო, რომელიც გვიახ, მაოს სასახლესთან შემოგვიერთდა, ახლა ისევ გაგვიქრა. მგონი სამზარეულოში შევიდა, რაიმე კარგი, გემრიელი რომ გამოეგზავნა ჩვენთვის. ვითომ? — ვეკითხებოდი თავს. ნუთუ ასე, ჩვენებურად, ირჯებიან სტუმრისათვის?

გო მოვიდა. ცელოფანებში შეხვეული ჩინური ჩხირები მოიტანა და საჩუქრად ჩამოგვირიგა. ის, რაც ჩხირებით უნდა გვეჭამა, ჩანგლებით უკვე შევსანსლეთ. ჩხირები კი იყო იქ, მაგრამ ვერ მოვიხმარეთ. წყვილი ჩხირის დაჭერა ცალი ხელის თითებში, ისე, როგორც ამას ჩინელები ახერხებენ, ჩვენ არ გამოგვივიდა, ამიტომ იგი გვერდით გადავაწყვეთ და ისევ ჩანგალს მივმართეთ.

კანტონის აეროპორტში ვიეტნამის კონსული დაგვხვდა. მას კიდევ ვილაც ჩინელები ახლდნენ, მოგვხვია ხელი მხრებზე და მანქანაში ჩასასხდომად მიგვიწვია.

აქ უკვე მზე და სიმწვანე, ერთად ჩახუტებულნი, ქმნიდნენ, თუ უკვე შეექმნათ, რაღაც მარადიული, თანაც ახალი და მხოლოდ სიცოცხლისათვის გაჩენილი სამყარო. ნაცნობი, შეჩვეული, მაგრამ სრულიად უცნობი ფერებით მოქსოვილი მინდვრები, გორაკები, ტბები, ხეები, ჰაერი, ცა სხეულს დამამშვიდებელ ელექსირს აფრქვევდა და გვიხაროდა ყველას. სინათლე და სირბილე იყო ყველაფრის საწყისი და შინაარსი.

კანტონთან, გორაკზე, დიდებულად აღმართულიყო გარეული თხების ვეება სკულპტურული მონუმენტი. ეს ჩინეთის გაჩენის, მისი სიცოცხლის, მისი ხალხის დაბადების სიმბოლოდაა ჩაფიქრებული თურმე. ერთ თხას პირში ბრინჯის რამდენიმე თავთავი გამოუჩრია.

გარეულმა თხამ ჭაობში ველური ბრინჯი იპოვა, მისი თავთავი აქაურ ტყის კაცს მიუტანა. კაცმა გამოფშვნა ბრინჯის მარცვლები, მერე დათესა. მიილო მოსავალი. ადამიანმა გაიჩინა მარადი საკვები, დაიმკვიდრა სამყოფი, ბინა, დაეპატრონა მიწას. გამრავლდა, გაძლიერდა, ამაღლდა, შექმნა ცივილიზაცია და არის დღეს ჩინეთი. გვითხრეს, ასეთიაო ლეგენდა. მე იმ თხების ქანდაკების ფოტოსურათი გადავიღე (რამდენიმე წლის მერე ხუნვეინბინებმა რქები მოახერხეს იმ თხებს).

მაგონდება: თხის ქანდაკების გვერდით, პატარა ქოხი იდგა, ბილიკთან.

შიგ არავინ ჩანდა, მაგრამ მაინც შევიხედე.

შიგ კაცი იჯდა, მოხრილი, ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდა.

ტკეჩისაგან რაღაცნაირ კალათებს ქსოვდა. როგორ ჩუმად იჯდა. შემომხედა, თავი დამიქნია, თითქოს რაღაცაზე თანხმობა გამომიცხადა, მაგრამ ხმა არ გაუღია. მაინც მომინდა მასთან საუბარი.

მეორე დღეს, დილით, კანტონის აეროპორტში წითელყელსახვევიანი პიონერები დავინახე ყვავილებით. გავიფიქრე, იქნებ ჩვენს შესახვედრად არიან მოსული-მეთქი.

და, აი, გემზე რომ ვარ, დღეს ვფიქრობ:

იცვლება ყველაფერი, ქვეყნები ადამიანებსა გვანან. გულმოსვლაში, წყენაში, მტრობა-მეგობრობაში. ადამიანებს კეთილი ადამიანი შეარიგებს, ქვეყნებს ვინ შეარიგებს თუ ისევ პატრონმა ჭკვიანმა ადამიანებმა არ გამოძებნეს შესარიგებელი?

თვითმფრინავიდან მიწა აკვარელით შესრულებულ ძველჩინურ ნახატს გავდა. მზე ამოდიოდა დიდი, ხანძარივით აგიზგიზებული და რაღაც შავი ფერებით შებურული.

მეგონა, მნათობი, ჩინურ დროშასავით, გრიგალებისა და ბრძოლების კვამლ-მტვერიდან გაჭირვებით ამოწეულიყო, მაგრამ თავდაჯერებული, ჩუმი, დიადი, იგი ნელა მიიზლაზნებოდა უცნობი, უსასრულო სიღრმე-სიმაღლეთა დასაპყრობად.

ქვემოთ კი, პლანტაციებში, ჩანდა კაცთა ულამაზესი ნამოქმედარი. იკითხებოდა მიწაზე დაწერილი მარადისობის ლურჯი ისტორია.

კანტონი ჩემს მოგონებაში მაინც ჩარჩა იმ დიდი გამოფენით, რომელსაც „ყველა დროის ჩინური სანათურები“ ეწოდებოდა. მრავალ ათას სანათურში არცერთი ერთმანეთს არ იმეორებდა. ზოგის შექმნაზე არა დღეების შრომა, არამედ ადამიანის მთელი სიცოცხლე იყო დახარჯული. სპილოს ძვლის ერთი ნაჭრიდან ოსტატს გამოეხვეწა საოცრად რთული, მინიატურული, ათასობით ერთმანეთისაგან განსხვავებული, მხატვრული დეტალებით დამშვენებული სანათური, რომელზეც სამოცდაათ წელიწადს განუწყვეტლად ემუშავა (კარგად მახსოვს, ექსკურსიამძღოლმა გვითხრა, ოთხმოც წელიწადს იმუშავა ამ სანათურზე ოსტატმაო, მაგრამ მე ათ წელიწადს ვაკლებ ,იქნებ უფრო დამიჯერონ).

ახლა საკუთარ თავსაც კი არ მოვუყვები ვიეტნამის დღეებზე.

ორიოდე ეპიზოდს კი მაინც ვერ ვიცილებ თავიდან.

ჰანოიში, გამომგზავრების წინა საღამოს, გვაცნობეს, ხვალ პრეზიდენტ ხო ში მინს უნდა თქვენი მიღებაო. ეს ამბავი პროგრამაში არ იყო თავიდახ გათვალისწინებული. პრეზიდენტ ხო ში მინთან, ჩვენს ძველ მეგობართან, ხელცარიელი მისვლა მთლად სასურველი არ იყო. სუვენირები კი მთლიანად გაგვითავდა.

გვიანი იყო. ვიწექი. ჩემთან შემოვიდა მაკაროვი.

— ამხანაგო ხევაძე, იქნება რამე სუვენირი დაგრჩათ, ხვალ დილის ექვსზე ხო ში მინს უნდა შევხვდეთ და თქვენ თავად გადასცემდით.

ავდექი, ვეძებე და ჩემოდანში აღმოვაჩინე ორი ცალი უბრალო ყანწი და ერთიც სვანური ქუდი. ავიღე და დელეგაციის ხელმძღვანელს გავუწოდე.

— ნამეტანი ჩვენებურია და, რა ვიცი... თუ გამოდგება, ინებეთ.

— არა, — თვალგაცისკროვნებულმა მითხრა მან, — თავად თქვენ გადასცემთ...

და გავიდა ოთახიდან. მე მოწიწებით შევახვიე საჩუქრები ქაღალდში, რომ დილით თან წამეღო ფრანგი გუბერნატორის ყოფილ სასახლეში, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია იყო, მაგრამ მარტო ჩემი ქალაქის სახელი ამ საჩუქრისათვის მეპატარავა, რადგან იგი სახელმწიფოს მეთაურისათვის უნდა მიმეცა.

პრეზიდენტი სასახლის კიბეზე შეგვხვდა. გახუნებული ტილოს შარვალ-კიტელში გამოწყობილი. ფეხზე ღაზლის

ნდეპი და ხისძირიანი სანდლები ეცვა. ჩია, კაფანდარა ბერიკაცს სულ ღიმილი ელვრებოდა პირსახეზე, დილის ნიავი თეთრ თმაწვერს ცალ მხარეზე უფენდა.

მისაღებში რომ დავსხედით, პირველმა მე დავარღვიე მყუდროება.

პატივცემულო პრეზიდენტო, ეს სახსოვარი ქართველმა გლეხმა გამოგიგზავნათ. დამაბარა, საბჭოთა ხალხის სახელით გადაეციო.

ხო ში მინი თვალანთებული ზეწამოიჭრა. ჯერ სვანური ქუდი გამომართვა და უმალვე თავზე დაიხურა. ყველას ზეიმურად გადმოგვხედა, როგორაა, მომიხდა თუ არაო, მერე, ყანწები მიუწაწკუნა ერთმანეთს და წინ, პატარა მაგიდაზე დააწყო. დაჯდა, მალე ერთი ყანწი ისევ ხელში დაიჭირა, თვალები მოწკურა და თქვა:

—ათასცხრაას ორმოცდაცხრაში, მოსკოვიდან რომ თბილის-ბორჯომში რამდენიმე დღით მივდიოდი, სტალინმა გამაფრთხილა, საქართველოში, სუფრაზე სავსე ყანწი თუ გამოგიწოდონ, არ გამოართვა, თორემ ბოლომდე ვერ დაცლი და ვერც ძირს დადგამო. ჰოდა, იქ რომ ჩავედი, სულ ყანწის მეშინოდა, ხელებს ვმალავდი. შინ ვარ, აღარ მეშინია. აი, ყანწი ხელში მიჭირავს, მასში ვასხამ ჩვენებურ სასმელს და მინდა ვადღეგრძელო ის გლეხი, აი, ეს დიდებული საჩუქარი რომ გამომიგზავნა, მისი სამშობლო — საქართველო, ჩვენი მშრომელი ხალხების მეგობრობა დავლოცოთ, ამხანაგებო! — თქვა პრეზიდენტმა და გადაჰკრა, მგონი ორიოდე წვეთი რაღაც სასმელი მართლაც იყო ყანწში.

ხო ში მინი სრულად ფლობდა ჩინურს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს და რუსულსაც. მშვენიერი რუსულით გვესაუბრებოდა. სულ იცინოდა და ძალიანაც შვენოდა მოხუცს სიცილი. მეჩხერი, თეთრი წვერი, გვგონებოდა, ნამდვილი არ იყო. ხშირად ჩამოისვამდა ხელს წვერზე და ღია სახეზე ისევ ყოვლისმომცველი, ლაღი ღიმილი აუბიბინდებოდა. უცებ, თითქოს შენიშნა, რომ მე სწორედ მის წვერს ვაკვირდებოდი, შემომხედა და მარტო მე მითხრა:

— იცით, ჩვენს კომუნისტ ბელადთა შორის დღეს მარტო მე და ფიდელ კასტრო ვართ წვერიანები. — და კვლავ ჩაიცინა. ხმამაღლა გაიცინა მთელმა დელეგაციამ.

მერე, მახსოვს, ხო ში მინი უცებ მოიღრუბლა, მუხლები ერთმანეთს მიადო, ზედ ხელები დაიწყო, თავიც ჩაქინდრა და კიდევ უფრო დაპატარავდა. შევატყე, მეხსიერების შორეულ შრეებში რაღაცებს ეძებდა. მერე, ოდნავ წამოსწია თავი, ყველას თვალი მოგვავლო და წარმოთქვა:

— ლენინის დაკრძალვაზე რომ წავედი მოსკოვს, კარგად მახსოვს. ჩინეთში, კანტონის კომუნისტთა უჯრედში ვიყავი მაშინ... ირკუტსკიდან ტრანსციმბირის მატარებელზე მოგვაწყვეს. საშინელი ყინვები იდგა იმხანად. ნელა მიჩანჩალებდა ჩვენი მოუწყობელი, დაძველებული მატარებელი. ვაგონში ნახშირის ღუმელი იყო. გაჭირვებით გვათბობდა.

ერთიც ვნახოთ, ქარმა მოგლიჯა სახურავზე საკვამლე მილი და გადააგდო. მთელი კვამლი ვაგონში ჩამობრუნდა, თვალები აგვეწვა, სული გვეხუთებოდა. საჭირო იყო სწრაფად მიმავალი მატარებლის სახურავზე ასვლა და იმ საშინელ ქარში, ორმოც გრადუს ყინვაში, მეორე, ძველი თუნუქის მილის ჩამოცმა, თანაც მავთულით დაბმა-დამაგრება. იმ ვიწრო კიბეზე სქელი კაცი ვერ ავიდოდა. ყველაზე თხელი და მსუბუქი მე გახლდით. რა თქმა უნდა, სახურავზე ასვლაც მე ვიკისრე. შემიხვიეს თავი შალის საბნით, გამიმაგრეს წელზე ბაწარი და ამიშვეს დაჭვარტლულ კიბეზე. თუნუქის მილიც კინაღამ გრიგალმა წამართვა, მაგრამ, როგორც იქნა, შევძელი და თავის ადგილას დავამაგრე. უკან დაბრუნებულს ოვაცია გამიმართეს, როგორც გმირს. — ჩაიკისკისა ჩვენმა მასპინძელმა.

მგლოვიარე, ცივი და მშიერი მოსკოვიც გაიხსენა ხო ში მინმა.

დილით სასტუმროს ოთახები ისე გაციებული იყო, უცხოეთის კომუნისტთა წარმომადგენლებს, ლოგინში მწოლარეთ, ჩამოგვირიგებდნენ შავი პურის ნამცეც ნაჭერსა და პატარა ძეხვს. ეს იყო ჩვენი დღიური ნორმა.

პრეზიდენტს თანმხლებმა რაღაც წასჩურჩულა. ამბის მოყოლა შეწყვიტა. წამოდგა და ფოტოსურათი გადავიღოთ, მიგვიპატიჟა. გარეთ გავედით და კიბეზე გავმწკრივდით.

* * *

ინდოეთის ოკეანის ღამე. თვითონ ღამეც ოკეანეს ჰგავს. მრგვალი სარკმელი, ილუმინატორს რომ ვეძახით, ღიაა.

ვწევარ გულაღმა ფართო, თავის ალაგას მკვიდრად მდგარ საწოლზე და ვიწრო სარკმელში გარბენილ ვარსკვლავებს თითო-თითოდ ვითვლი. დიახ, უცებ გადაუდარებია და ცაც მოწმენდილა. გარდა ჩუმი შორეული ვარსკვლავების შემოციმციმებისა, სარკმელში უხვად, სულ ახლოდან ისმის გემის კედლებზე მხოხავი ოკეანის გაბმული ხვნეშა და ოხვრა.

შეჭგამორთულ ოთახში თავისთავთან უფრო ახლოსა ხარ თითქოს. ისვენებ არა ფიზიკურად, არამედ განიცდი უსაზღვრო დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, რაც დასვენებაზე გაცილებით ძვირფასია. იცი, რომ მალე ძილი წაგიტყუებს და თანაც გენანება სიფხიზლე გაცვალო ძილში. უეცრად ხალითი მახსენდება, მინდა ახლოს იყოს, მაგრამ არა, არა, ახლა ამ ძვირფას მარტოობას არაფერი ჯობია.

### ხალითის მეექვსე რვეული ხატიჯე

უნდა მაპატიოთ, გულო, რომ ეს რვეული ისევ ჩემ სოფელში წაგიყვანს. ის ავტობუსი, პირველად რომ ჩავჯექი და ქალაქიდან სოფლისაკენ გავყევი, ბრეზენტით იყო გადახურული. ძელის სკამები ჰქონდა.

ნაწვიმარი ქუჩით მოვედი, დილა, დედის ნამტირალევ ლეჩაქივით, ნელი და რბილი იყო.

ფეხის თითებზე სისველეს და სიცივეს ვგრძნობდი.

ჩქარა ავედი ავტობუსში — მშრალ ალაგას დავჯდები-მეთქი, იქიდან კი მყუდროდ შევათვალიერებ ქუჩას, თანაც, დავჯდები, რომ ადგილი დავიკავო, წასვლა გავინაღდო.

ძელსკამის კიდეში დავიკავე ადგილი. აქეთ-იქით ვიყურებოდი გაფაციცებით და შიშით. ვამოწმებდი, შეიძლებოდა თუ არა დაჯდომა იმ ადგილზე. ცივ მუხლებზე ცხელი ხელები დავიწყე და მუხლის თავები შევათბე. ძალიან მესიამოვნა ამუშავებული მანქანის სუნი. აბა, ბენზინის სუნი მიყვარდა, მომწონდა. იგი ქალაქთან, კაცობრიობასთან, ცივილიზაციასთან მაახლოებდა ვითომ.

გავიხედე, ჩითისკაბიანი გოგო ამოცოცდა, მოვიდა, მაინცდამაინც ჩემს გვერდით შეათვალიერა ადგილი, მკითხა, შეიძლებაო?

რაც მართალი მართალია, გამეხარდა, გამიკვირდა, შემრცხვა, დავიბენი, შემეშინდა, შევწუხდი. მეგონა სუყველანი, ვინც ირგვლივ იყვნენ, მე მიცქეროდნენ.

— შენ სა მიხვალ, ჰო? — მკითხა იმ ციცამ გაბედულად, ძველი ნაცნობივით, თანაც ერთგვარი აგდებით. ეტყობოდა ის ქალაქში ჩემზე მეტჯერ იყო ნამყოფი და კარგად ემარჯვებოდა სხაპასხუპით ლაპარაკი და ეშმაკობა.

— რა გინდა მემრე შენ? — დაბნეულად შევეხმიანე, თანაც ვეცადე გაბედულება და სიამაყე მეგრძნობინებინა ამ გვირილისკაბიან ციცასთვის.

—ააფერი, რანდა მინდოდეს, ბლაყვი ხომ არ ხარ... მოგიჯექი და ვილაპარაკოთ პაწაი.

იქით, გვერდით რომ დასხდნენ, გოგო უფრო მომიახლოვდა, თითქმის მუხლით მომედო.

მანქანაც დაიძრა. ზღვის თქაშათქუში დაშორავდა, მიქრა, ბაზრის ყაყა-

ნიც მიილია, სახლები უფრო და უფრო აჩქარებულად მირბოდნენ უკან.

გოგო იჯდა, ვატყობდი, ნახევარი თვალით მე მიყურებდა, მაკვირდებოდა, სათქმელს არჩევდა.

— რა გქვია შენ? — ვკითხე უცაბედად, რათა მას არ დაესწრო რაიმეს თქმა. ამით ერთგვარად ინიციატივა ვიგდე ხელთ.

— ხატიჯეი მქვია.

— სწავლობ?

— ჰო, აბა, მეშვიდეში ვარ. სოფელში ვარ. კორომხეთს. ჰამა, ნენეი აქ მყავს, ქალაქში და მერვეში გადავალ და აქ გადმოვალ, ნენესთან.

— ნენეი — აქ, შენ—იქ, რატომ?

— ნენემ ბაბაი გააშვა. მიხტი, ჰო, გააშვა და სხვა კაცს გაყვა. აქავრს.

— შენ?

— მე რაი. ვარ იქა და მერვეში რომ გადავალ, აქ გადმოვალ. ნენეი ვნახე და მითხრა, ჩემთან იქნებიო... მე კაბა ცოტა მოკლე უფრო მიხდება, იცი?

ჩაიხედა წვივებზე, ჩითის დაჭმუჭნული კალთა ოდნავ ზევით ამოაჩოჩა და ტილოს სველი ფოთინები შევნიშნე ფეხებზე. დაბალ ქუსლებზე იყო, მაგრამ ხატიჯე ქუსლებს ისე წევდა ზეზე, უნდოდა ჩემთვის მოეჩვენებია მაღალქუსლიანები მაცვიაო.

რა უნდა ამ ციცას ჩემგან? — ვეკითხებოდი თავს.

— შენ სიყვარულზე წიგნი წაგიკითხია, ჰოვ? — არა ჩურჩულით, არამედ საკმაოდ ხმიერად მკითხა. მგზავრებს გადავხედე, როგორც დავრწმუნდი, არავის გაეგონა, ჩუმად ვუპასუხე:

— ელგუჯა და მზალო... იცი?

— ეგ რაა. მე, იცი, მანონზე წავიკითხე. სულ ვტიროდი. იმხელა სიყვარული, იმხელა სიყვარული, სულ ქვეყანაზე რომ არ დიეტევა.

— მერე, შენ რაი?

— იცი, ჰოვ, რა გითხრა? სიყვარულსაც სწავლა უნდა... გინდა, მოგწერო წერილი?

— მომწერე, რა მენაღვლება.

— ჰა, დამიწერე ამაზე მისამართი. —გამომიწოდა დაბღუჯული ფურცელი. ჯიბეში ჯგუტი ფანქარი მედო, ამოვიღე და დავუწერე ჩემი და ჩემი სოფლის სახელი. მუხლზე რომ დავიფინე ქაღალდი და წერა დავიწყე, მაშინ მუხლი თავისკენ მიაბრუნა ხატიჯემ. მერე, მისამართი რომ გადავეცი, ისევ შეეხო მუხლი მუხლს.

ამასობაში ავტობუსმა კახაბრის ველი ჩაათავა და კაპანდიბთან მოუხვია. ჭოროხი, მღვრიე და დატოტვილი, ნელა მიედინებოდა. ხიდქვეშ ისევ მთლიანდებოდა, მერე ჩხრიალ-გუგუნით კვლავ იშლებოდა, რათა ზღვამდე დარჩენილ მანძილზე კიდევ ერთხელ ეჯირითა ლაღად.

— შენც ჩამოდი ჩემთან ერთად, გინდა? — მომიბრუნდა ისევ ხატიჯე, — ჩემს სახლს გაჩვენებ გინდა ?

— კი, მინდა, — ვუთხარი მეც დაუფიქრებლად. მისთვის სახეზე არ შემიხედავს, მაგრამ ვატყობდი, როგორ გაოცდა ამის გაგონებაზე, რადგანაც ჩემგან ასეთ პასუხს არ ელოდა.

ავტობუსი კორომხეთის ჭოკთან გაჩერდა. ჩემი ჩამოსვლა დიდი სისულელე იქნებოდა, რადგანაც მერე შინ ვეღარაფერს გავყვებოდი. ანდა, რაზე უნდა ჩავსულიყავი? ვფიქრობდი, ვფიქრობდი, და რა მექნა ვერ გადამეწყვიტა. დრო კი ვეღარ ითმენდა. ხატიჯე ადგა, ხელი ხელზე წამატანა და, რაც მართალი მართალია, ძალით წამომაყენა.

— ხომ თქვი, ჩამოვალო? აბა ეს რაა, არ ექანები. გეშინია, ჰო?

მართლაც ვგრძნობდი, როგორ თანდათან ვწითლდებოდი სახეზე. ვგრძნობდი, ყველანი მე მიცქეროდნენ. მგზავრთა შორის ერთი-ორი ჩემი სოფლელიც იყო, რას იტყვიან ისინი? ვიღაცა კორომხეთელ ციცას წაყვაო. არ გადაირეოდნენ შინ ჩემები? მაგრამ მე უკვე ავტობუსის საფეხურიდან ძირს ჩავყავდი ხატიჯეს. ძირს რომ ჩავედით, მკლავში მაგრად ჩამავლო ხელი და ცოტაც წინ მიბიძგა.

ავტობუსი დაიძრა და ბენზინის გამონაბოლქვით შეზავებული მტვერი ცაში ავარდა. ჭოკი მავთულზე ეკიდა

და ქანაობდა. მეგონა თავბოლოთი არც იყო დამაგრებულ-დაბმული და ისე კორწიალობდა ამსიგრძე, ძელებმეჩხერი, მორყეულ-მოშლილი, ფიცარამოცვენილი ჭოკი, რომ მაზე გავლას თოკზე გავლა ჯობდა. ამ ციცას კი ეტყობოდა სწორედ ჭოკით უნდა გაეეყვანე გაღმა და მერე, ამის გარდა გულში რა ედო ვერ წარმომედგინა. შიში ვერ გავამჟღავნე და, ბაწარწაბმულ მოზვერს დასაკლავად რომ წაათრევენ, მეც ისე, გოგომ ხელგამოდებული გამიყვანა ჭოკზე.

ახლა მე თვითონ ჩავავლე ხელი მკლავში, მან კი ჩემი მკლავი ფერდზე მიიდო და ჩემი თითები გაინაბნენ გოგოს მკერდის მომაღლო ბორცვზე და აშკარად იგრძნეს ჩითის კაბაზე შიგნიდან მოწოლილი ყმაწვილქალობის სითბო.

ჩვენ მივაბიჯებდით და ჭოკი იქითაქეთ ირხეოდა და ცალი ხელით ტლანქად გვერდებზე გაჭიმულ ხოშორ, დაჟანგულ მავთულს ვეყრდნობოდი.

— რანდა ქნა, ამფერია ცხოვრება. — ფილოსოფიურად ახსნა ხატიჯემ ჩვენი უცნაური სვლა და შიშნარევი სიხარულით შემომიღიმა. — ჰო, ჰო, ამ ჭოკივით იკორწიალებს ჩვენი გზა მუდამ, ამფრად ხელიხელჩაკიდებული თუ... — ნერწყვი გაეჩხირა თუ ფეხი წამოკრა ამოშვერილ ძელს, არ ვიცი, გაჩერდა.

მე ოდნავ დავიხარე, ვითომ ყური მის ბაგეებთან მინდოდა მიმეტანა, სინამდვილეში ერთი გაუბედავი კოცნა გამომივიდა. რადგან ჩემი ტუჩები მის ლოყას ჩამოევლო ზემოდან ქვემოთ, ისე მესიამოვნა და ისე დავიბენი, სიტყვებს ახლაც ვეღარ ვპოულობ იმის გამოსათქმელად.

სად მივყავდი, საით მივდიოდი? არც მეუბნებოდა, ვერც ვერაფერს ვხვდებოდი.

სოფლის შარაზე ცოტა რომ გავიარეთ, ხატიჯემ მანდარინის ბაღისკენ გადაუხვია და ხეთა შორის გაჭიმულ თიხისფერ ბილიკს გაყვა. მეც მორჩილად მივყვებოდი და, რაც მართალია, აღარ მეშინოდა, დარწმუნებით და გადაწყვეტით თანახმა ვიყავი ქალიშვილის ყოველ განზრახვაზე ბოლომდე დამორჩილებულიყავი.

როგორც კი ბილიკი ავათავეთ, ეზოში აღმოვჩნდით. პატარა ფიცრული სახლი კოხტად გადმოგვცქეროდა. ჯერ დედაბერი შემოგვხვდა, მერე კიბესთან შუახელა ქალი შემოგვეგება და გაკვირვებით შეგვათვალიერა. შევატყვე, ეს ქალი ამ ეზოკარში ძალაუფლების მთავარი მფლობელი იყო.

—ა, უყურეთ ამას! დეიწყო ამანაც... მეიყვანა კურო. — მაღლა აიხედა გაჯავრებით და რაღაცნაირი კმაყოფილებითაც, — ბერო, ხედავ ამ ფოშას, რომ კურო მოგვაყენა სახლში?!

ზემოდან არავის არ გადმოუხედავს. ის წელანდელი დედაბერიც სადღაც მიიმალა.

ახლა კი შევშინდი.

ერთი თქმა ჩემთვის ვთქვი, მოდი მოვწყდები აქაურობას და გავიქცევი-მეთქი, მაგრამ მუხლებიც აღარ მემორჩილებოდნენ და გულიც არ მიშვებდა.

— ნუ გეშინია, გადააბიჯე ფეხი! — მიბრძანა ხატიჯემ და ხელჩავლებული წამიყვანა.

— მე ამასნა წავყვე ცოლად. ჰო, ასენა ვქნა. — მიახალა დედინაცვალს და უფრო მძლავრად მომქაჩა (დედინაცვალი იქნებოდა, ეს ჩემით მივხვდი, დედა ხომ ქალაქში სხვას გაყოლოდა).

— ამ ჭყაპ ბღუშტს უყურე შენ რაებს ბედავს! — გადაირია ქალი, — არა, ძიავ, ეს დედამისივით გიზამს შენ საქნელს. — შეუძახა ვიღაცას ზემოთ. ალბათ, იქ, მაღლა ქმარი ეგულებოდა.

— ვინ ხარ, ჭოვ, შენ?! — დამეხალა კითხვით ვიღაცა თავზე. ეს უკვე ხატიჯეს მამა იყო, მივხვდი.

თავგადაპარსული და წვერმოშვებული ისე საშინელი მეჩვენა, რომ შევკრთი. მაგრამ, ვიფიქრე, უკან დახევა აღარ შეიძლება-მეთქი და მეც წელში გავიმართე და თვალები პირდაპირ თვალებში მივაბჯინე.

— რას მერჩით. ბაღანას მივეხმარე, შინ მოვყევი და სტუმარს შინაც არ

მიშვებთ, რას გავს ეს. თქვენ ვინ ხართ, ერთი მითხარით.

ხატიჯეს ესიამოვნა ჩემი პასუხი და ხელი ხელზე უფრო მაგრად მომიჭირა.

თავმოპარსული კაცი იმ ჩემმა პასუხმა ცოტათი შეაყოვნა და ჩააფიქრა.

— კაი, კაი, ერთი! რა იცი შენ, ვინაა. — უთხრა ცოლს და კეფა მოიფხანა.

ხატიჯე ვიწრო კიბეზე მაღლა ადიოდა. მეც მივყვებოდი. ახლა უკვე ძალამოკრებილი და თავისთავში დაჯერებული.

უფროსები, შევატყვე, შეგვეშვნენ. აღარ იღრინებოდნენ. ისე, შორიახლოდან, თვალს გვადევნებდნენ, აბა ერთი, რა სწადიათო.

— რანდა ვქნა ამ სახლში... ამათ ხელში არ გეცოდები, ა? — თვალცრემლიანი მომიბრუნდა ხატიჯე, თავის პატარა ოთახში რომ შევიდა.

— კი მეცოდები, მარა...

— მომკიდე მერე ხელი და წამიყვაი. ვიქნები შენი ქალი, არ გინდა?

— მინდა, მარა, შენ ბაღანა ხარ თლათ და მეც სულ კაცი ხომ არ ვარ ჯერ.

— რაის ბაღანა ვარ. ეე, შენ არ იცი, ჰო. მე იმფერი ქალი ვიქნები, სულ ქუდაწეული ივლი შენ ქვეყანაზე. ნუ გეშინია, მომიჭირე ხელი და წამიყვაი. ერთი ამათ დავუყენო თვალები!

— კი, მარა... — ვყოყმანობდი მე.

— ეე, შენ მართლა ფხალლობიაი ყოფილხარ. მომიჭირე ხელი და წამიყვაი, ჰა, გებნევი! თვარა სულ დეგეკარგები და მერმე გვიან იქნება.

— რა ვიცი... ჯერ პაწაი მევცადოთ და...

ისე, რომ ვუყვებოდი, ხატიჯე მართლაც თანდათან გულში შედიოდა. უფრო და უფრო მიყვარდებოდა, მაგრამ ასე უეცრად, ასე მოუმზადებლად, უდროოდ, რაფრად უნდა გადამედგა ამგვარი ნაბიჯი. ვყოყმანობდი. მამაკაცის ყოყმანი კი, ხომ იცი, ქალიშვილებს არ მოსწონთ, სიმხდალე ეზიზღებათ.

ამიტომ მოულოდნელად შევიცვალე და გადაწყვეტით ვუთხარი:

— წამოხვალ? წამოი, აბა!

ამ პასუხზე ოდნავ შეკრთა გოგო.

— კაი, შენ წადი, ხიდგაღმა, ე, იმ საბძელთან დამიცაი. მოვკოჭავ, ჩემსას, რაცაა და გამევიპარები. იქ დამიცაი, ჰო?

— იქა? გაღმა?

არ დავმშვიდობებივარ არავის, ისე გამოშტერებულივით ჩავიარე კიბე, გავიარე ეზო და იმავე თიხისფერი ბილიკით შარაზე ჩავედი. ჰოკზეც გავედი და გაღმა ის საბძელიც მოვნახე.

დაბნელებამდე ვიდექი და ველოდი ხატიჯეს, მაგრამ გოგო აღარ ჩამოსულა ჩემთან.

არ ვიცი რა დაემართა. ალბათ დედინაცვალი დაუდარაჯდა და არ გამოუშვა.

ვინ იცის, რა გზით წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ხატიჯე რომ მყოლოდა. ვფიქრობ ახლა, აქ, ზღვაზე.

ჰო, ვეუბნები გულს, ბაღანა ქალის მოყვანა სჯობია. შვილები გეყოლება კაცს, შენაც გაიხარებ და ქვეყანაც.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

წუხელ, სახომალდო კრებაზე, უკვე შევამჩნიე, ბუზღუნი, წუწუნი, საყვედურები გემზე კულტმუშაობის შესუსტების გამო.

რაღა თქმა უნდა, შენიშვნები ჩემდამი იყო მომართული.

შალვა იჯდა მაგიდასთან, კაიუტკამპანიის ერთ კუთხეში და თავჩაღუნული უსმენდა ორატორებს. ორატორები, იცოცხლე, ალაპარაკდნენ. რას ეტყვი, რით იმართლებ თავს?

მაგრამ ერთ რამეს მაინც ნათლად მივხვდი — შალვა ძალიან აქტიურად იცავდა თავს, როცა საყვედური გემის საერთო ხელმძღვანელებს ეხებოდა, ხოლო ახლა, როცა სწორედ ჩემს მუშაობაზე ცალკე, გამოკვეთილად ითქვა, იგი გაჩუმებულია. სიჩუმე კი, როგორც იტყვიან ხოლმე, თანხმობის ნიშანია.

უფროსმა მეზღვაურმა დიმა ოსოვმა, პირდაპირ ხმალამოღებულმა გაილაშქრა კულტმუშაობის ახლანდელი სტილისა და მეთოდების წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვა დაუყოვნებლივ გარდაქმნა საქმისა ამ დარგში. იგი

ამბობდა: „ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შედეგია, რომ მშვენიერი კოლხეთის შვილი, რიგითი მეზღვაური, თენგო ხაბაზი, გემიდან გაგვეპარა და კაპიტალისტურ სამყაროში დარჩა. ეს ჩვენი ეკიპაჟის შეურაცხყოფაა. ეს ჩვენი ნაკლია, ეს ჩვენი პოლიტიკური ჩავარდნაა... სად იყო პამპოლიტი, სად იყო პარტორგი, სად იყო კომკავშირი? რეისის დაწყებისთანავე ასეთი დარტყმა?! გამოდის, რომ ჩვენ ვერ შევისწავლეთ კარგად ხაბაზის ვინაობა, წარსული, მშობლების საქმიანობა, გარემო, წრე, მისი ზრახვები, მისი ინტერესები და გემზე მივიღეთ ანტისაბჭოურად განწყობილი ახალგაზრდა, ესე იგი, სოციალიზმის მტერი.

ვატყობდი, კარგად ვხედავდი, რომ იმ ბიჭს ჩვენი არაფერი არ მოსწონდა.

აქ ერთი ჯინსის საყიდლად ბიჭები მთელ წელიწადს ცურავენ. ის პირველად წამოვიდა საზღვარგარეთ რეისში და უკვე შინიდანვე ჰქონდა ორი ჯინსი. ისე განებივრებული იყო, რომ ერთი ჯინსი კაიუტაში დააგდო და წავიდა.

მოხდა ასეთი ამბავი და ჩვენ ამას პირველხანს კიდეც გვიმალავდნენ. საჭიროა მთელი სისასტიკით გატარდეს პარტიული ზომები.

გარდა ამისა, იგი ოსოვი ამტკიცებდა, რომ გემზე არ შეიქმნა თვითმოქმედი წრეები, არა გვყავს მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი, არ ხდება გაზეთის ხმამაღალი კითხვა (იგულისხმება რადიოგაზეთი). ჩვენ გვყავს ნიჭიერი ხალხი, განაგრძობდა ოსოვი, ნამდვილი ტალანტები, ნამდვილი მხატვრები, მუსიკოსები, აკრობატებიც კი, და, რაღა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს პოეტები და მწერლები...

ყოველივე ამას, მოკაუჭებული თითის ჩალმა ჩაქნევით აკონკრეტებდა ოსოვი: — აქ კი დომინოს და შაშის თამაშში თითები გავიცვითეთ. ერთი ჭადრაკია და ისიც ჩვენამდე, რიგით მეზღვაურებამდე, არ მოაღწევს, რომ ხანდახან ეს თითები ჩვენც მაღალ-მაღალ ფიგურებზე ჩამოვასვენოთ.

დიახ, მას შეეძლო იუმორიც მოეხმარა.

გვერდიდან ლოტოვმა ჩამჩურჩულა, მაგი ლექსებს რომ წერს თუ იციო. არა, არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ახლა ჩემთვის გასაგებია რატომ ახსენა წეღან ნიჭიერი ხალხი და განსაკუთრებული ხაზგასმით პოეტები და მწერლები.

კარგად გამახსენდა, ეს ის ოსოვია, ნეპტუნის დღესასწაულისათვის რომ კუპლეტები შექმნა. კარგი-მეთქი, წავჩურჩულე პასუხად ლოტოვს, თუ წერს, წეროს ლექსები, კარგია ძალიან. გულს დაიმშვიდებს კაცი და დანარჩენ კაცობრიობას დაეხმარება სიმშვიდის შენარჩუნებაში. ლოტოვმა რატომღაც სიამოვნებით ჩაიღიმა. თავი ჩაღუნა ერთხანს, მაგრამ ისევ წამჩურჩულა:

— იცით, მაგას ასი კუპლეტი აქვს ლენინზე და სულ ზეპირად ამბობს — დამთავრებულიც არ ჰქონდა ლოტოვს თავისი სათქმელი, რომ ვიღაცამ დარბაზის შუაგულიდან მართლაც დაიძახა:

— ოსოვ, ჩიტაი სტიხი, ნამ ნასტაიაშაია პოეზია ნუჟნა!

ვაჰ, — აღმომხდა გულიდან, — ეს უკვე ნამეტანია. ხედავ? — ნამდვილი პოეზია გვჭირიაო, ეძახიან.

ოსოვმა თვალი გამოაპარა ჩემკენ და ისე, „კოსოდ“ გადმომხედა. მეც ვუღიმოდი და, აპლოდისმენტებში, ვთხოვდი მას ლექსი ეთქვა.

იგი, უსაზღვროდ კმაყოფილი იმით, რომ მე, — დაწერილი ტექსტების ავტორს, ზეპირი თქმით დამამარცხებდა, ამაყად გადახედა კაიუტკამპანიაში მყოფთ, ერთი მზერა კაპიტანსაც ესროლა, ჩაახველა, მარცხენა ხელი ოდნავ მაღლა ამართა და დაიწყო:

მაღალი ხმით, ჭრელ-ჭრელი სიტყვებით, რევოლუციების, სისხლის, დროშების, ტყვიისა და ცეცხლის, აგერთვე, გამარჯვების, მოედნების, ქვემეხთა ქუხილისა და უმაღლეს ჩინთა ხსენებით ლექსი თითქოს ლექსობიდან გამოვიდა, დაგლეჯილ ფურცლებივით მაღლა აიჭრა, არაფრისმთქმელ ლოზუნგებად მიეწება კედლებს, ჭერს, ჩამოეფარა ილუმინატორებს, აფრიალდა,

აფართქაშდა, ახმაურდა, აჟღრიალდა და ბოლოს ჩაცხრა.

ყველაზე მეტად აღტაცებული, რა თქმა უნდა, თავად ოსოვი იყო.

დაჯდა, შუბლზე ხელი მოისვა, ჩამოცვენილი თმებიც უკან გადაიყარა, მაგრამ ნათქვამში რომ მისეული და ნაღდი არაფერი იყო, ალბათ ეს მხოლოდ მე ვიცოდი და, ეს რომ მე ვიცოდი, ამის შესახებ მხოლოდ თვით ოსოვმა იცოდა კარგად.

ტაშის გრიალს ჩემი ტაშიც შევუერთე. ხალხს რომ არ ეფიქრა, პროფესიულ ლიტერატორს შეშურდა უბრალო, რიგითი პოეტის წარმატებაო, ტაშს მე უფრო გამორჩეულად ვუკრავდი.

გემზე ასეა, კრება მხატვრულ ღონისძიებაში გადაიზრდება ხოლმე, ხოლო შაშის თამაში — გემის ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემებზე კამათში.

ისე შევსულვარ კაიუტაში, არ გამიგია. ვწევარ ფართო საწოლზე, გულაღმა, და შევცქერი ჭერში სავენტილაციო ჭრილს, საიდანაც ჩამოღებულია მთელი მოწყობილობა, რათა ამ მხუთავ ტროპიკებში სუფთა ჰაერმა თავისუფლად იდინოს.

მძიმე, მარილიანმა ჰავამ გამომაღვიძა. დილაა. წყალი გადაღმა ხმაურობს უცხოდ, უცნობ ხმაზე.

ყველაფერი გუშინდელი წავიდა, ჩამოირეცხა.

გავიღვიძე თუ დავიბადე? ყოველ დილით გამოღვიძება და ფეხზე დადგომა ხომ ხელახლა დაბადებასა და ცხოვრების თავიდან დაწყებას გავს?

ვფიქრობ ახლა ინდოეთის ოკეანეა. შავია თუ მუქი? ამ ოკეანეს თავისი ფერი აქეს, ატლანტიკას — თავისი, ამბობენ, წყნარი ოკეანეც სხვანაირი ფერისაა.

წყალი წყალია, მაგრამ ფერი მართლაც ყველა ზღვასა და ოკეანეს ოდნავ განსხვავებული, თავისი აქვს.

ახლა, აქედან ზემოთ, ჩრდილოეთისაკენ, არაბეთის ზღვაა. თვალმოხუჭულმა წამით გადავირბინე სპარსეთის ყურე, ირანი, კასპიასაც დასავლეთიდან ჩავუქროლე და შინ დავბრუნდი...

აქედან შინაურებთან რადიოკავშირი ადვილია, მოდი მოვსინჯავ.

ავრბივარ ზემოთ, რადისტთან. ვალერი სნეგოვი აწივწივებს მიმღებებს, რაღაცას ეძებს. აი, კიდეც მიაგნო საჭირო სადგურს, რაღაც დაუკაკუნა, გადასცა, პასუხიც მიიღო, კაკუნითვე უპასუხა და გამოთიშა.

შინ მინდა კავშირი-მეთქი, — ვეუბნები ვალერის.

რადისტი თვალებს ლულავს, ანგარიშობს რაღაცას, მერე აპარატებს უბრუნდება.

მოხერხდა. აი, მოსკოვი, ბათუმიც აგერაა.,

— ალო! გიზო, შვილო, გამარჯობა! ინდოეთის ოკეანეში ვართ. კარგად ძალიან კარგად, თქვენ? ოჰ, შენი ჭირიმე, აბა, შენ იცი, ბიჭო, უთხარი დედას, სოფელში სარდაფის გასაღები ყორეშია, კართან, მარცხნით, ღვინო არ დაამჟაოთ, ბიჭო. ადით, აუცილებლად გადაიღეთ. ჰო; წიწილებს მხოლოდ სიმინდი დაუყარეთ, გესმის? ბიჭო, სკოლას, კარგად ამთავრებ თუ იცი? — ვჩქარობ. გიზო სხვას გადასცემს ყურმილს. ნაილე მგონი ქვითინებს.

შინიდან ყველა ასწრებს თითო სიტყვის თქმას. ყველა მესალმება, ყველა მეხვეწება, მალე დავბრუნდე.

დამთავრდა. კმაყოფილი ვარ. ჩავდივარ ქვემოთ.

ისევ გონების თვალმა გადაუქროლა სპარსეთის ყურით ზემოთ, კავკასიას. იქ, ირან-ერაყის ზეცაში დამწვრის სუნი მეცა, კიდევ რაღაც საზიზღარი და საშინელი სუნი — სიკვდილისა. აი, რელიგიური ძმობა, აი, მეზობლობა, აი, სიგიჟე, დიდებს არ უსმენენ, პატარები ვერ უბედავენ და ილვრება სისხლი ტყუილად, ირწყვება უდაბნოები, ილეწება ტექნიკა, იარაღი, ნადგურდება სოფლები, ქალაქები, იწვის ნავთობის ცენტრები, ნავსადგურები. ვისთვის, რისთვის, რატომ?

მინდა ვიყვირო: შეჩერდით, დაფიქრდით, დაამთავრეთ!

სარკმელში ციმციმებს წყნარი და ვებერთელა ინდოეთის ოკეანე. შემოდის დიმიტრი ოსოვი, — რადგან გუშინ ნათლობა მოხდა, გიტოვებ ჩემს ლექსებს, წაიკითხეთ და დამიბრუნეთ დღესვე, მეუბნება თავდაჯერებულად.

„დამიბრუნეთ დღესვე". ეს რას ნიშნავს? მგონი ეშინია არ მომპაროსო. ვეუბნები, ნუ წახვალთ, ახლავე წავიკითხავ და წაიღეთ-მეთქი. არა, მარტომ წაიკითხეთ, კარგად გაიგეთ და დამიბრუნეთო. „კარგად გაიგეთ!" ვკითხულობ. იგი მიდის, გასვლისას მე მიყურებს, როგორ კითხულობსო. ვგრძნობ, რომ მიყურებს.

ჭენებით ჩავიკითხე. ავდექი, ჩავირბინე შიგა ტრაპი და კაიუტკამპანიის წინა დერეფანში, რომელიც საერთო თავშეყრის და საუბრის ადგილად იქცა, ოსოვს გავუსწორდი, რვეული გავუწოდე.

— კარგია ,ამხანაგო ოსოვ, მართლა კარგია. რაა, იცით? საჭიროა ასეთი ლექსები, ჩვენ პოეტები, სამწუხაროდ, ვეღარ თუ აღარ წერენ აწეულ, ამაღლებულ ლექსებს ბრძოლაზე, გამარჯვებაზე. ეს თქვენ გამოგდით.

რასაც ვამბობ, თავადაც არ მჯერა, მაგრამ ჩავდივარ ცოდვას.

— გამომდის კი არა, გამომყავს, ამხანაგო პამპოლიტო. — მკვახედ მპასუხობს თავდაჯერებული პოეტი და რვეულს ხელიდან მგლეჯს.

იქვე, კედელზე მსოფლიოს პოლიტიკური რუკაა გაკრული. ოსოვი ისე დგას, რომ მისი თავის ზემოთ, თვალს ვავლებ ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს, დარდანელიდან გიბრალტარამდე, მერე ატლანტიკას მივყვები ქვემოთ, ცოტას ვჩერდები კანარის კუნძულებთან, ერთი წამითაც შევუხვიე დაკარში, ოდნავ ვყოვნდები ეკვატორთან, მერე, სწრაფად შემოვუარე აფრიკას სამხრეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მიმავალმა, ავუარე მადაგასკარს და აი, მოვედი იქ, სადაც ახლა ვართ.

გავყევი ვიწრო დერეფანს მარცხნივ და სპორტდარბაზში შევიხედე.

გემს რომ გარედან ტალღები ეხლება, კრაჭუნობენ და ძიგძიგებენ თავნები და კარები, გაკრიალებული სპორტული ინვენტარი ითხოვს ხელის შეხებას, ხმარებას, ვარჯიშს. აქამდე კარგად არავის გახსენებია სპორტი, მთელი მისი წარმტაცი მომხიბვლელობა.

უბრალოდ, არავის ეცალა ამისათვის. მოვიარე სხვა კუთხე-კუნჭულები, დერეფნები, გემბანები.

ვარ კაიუტაში მარტო. მოგონებები აქ უკითხავად წამოგესევიან. გემი მოგონებების ქვეყანაა.

ჰოდა, მეც ისევ ბავშვობაში ვბრუნდები, ჩემს იმ აწეწილ-დაწეწილ ღარიბ ბავშვობაში.

აი, ომამდელი სოფლის სკოლა. საპირველმაისო ზეიმი. მოსწავლეები, ხალხი, დემონსტრაცია სოფლსაბჭოს ცენტრში. სახელოწაგლეჯილი ბიჭი დოლზე კომბალს უბრახუნებს და წინ მიუძღვება ბავშვებს, მიუძღვება იქით, მოსახვევისაკენ. ის მედოლე მე ვარ.

დიახ, პირველი მაისია, ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლისა. სოფლსაბჭოს ცენტრში პურის საცხობი აშენეს. და, ჭადისმჭამელ სოფლებს, აწ და მარადის, პირველი მაისის ზეიმის დღიდან მოყოლებული, უხვად ექნებათ ნამდვილი პური.

ღაზლის ჭრელ წინდებზე ქალამნები მაცვია. ქალამანი ახალია, ხარის სქელი ტყავისაგან შეკერილი. მახსოვს, მამაჩემმა ხარის დიდ ხმელ ტყავს ჩამოჭრა ერთი ზოლი, რომელშიც ორი წყვილი ქალამანი ამოიღო ერთი, დიდი — თავისთვის, პატარა — ჩემთვის. ჯერ ტყავის ბალნიან ზოლს ერთი მუჭა ნაცარი დააყარა, იატაკზე დააფინა, მერე ასტამი შემოუსვა და ტარის წვერით ბალნის მოფხეკა დაიწყო. ცალი ფეხით ზოლის ბოლო ეჭირა, რათა არ დაჩოჩებულიყო ტყავი. გაფხიკა, გაასუფთავა, მერე ზომაზე დაჭრა და წყალში ჩააწყო დასალბობად. ამასობაში დანები დალესა. კანაფის წვრილი თოკი დაგრიხა აპეურებში ამოსაბმელად და ქალამნის შესაკრელად.

ეს საგანგებოდ, საზეიმოდ, საპირ-

ველმაისოდ გამიზნული ქალამანი იყო, ამიტომ მამაჩემი განსაკუთრებული მონდომებით კერავდა.

იდგა აპრილის ბოლო დღეები. ნალიაში სიმინდი დაცოტავებული იყო, კერჩხი ლობიოც, ბოლო ჩურჩხელა ქანქარებდა ყავარქვეშ გამოკიდული. დედაჩემი ველურ ფხალფხულებს დაეძებდა ჭალებსა და ღელე-ღურდეებში, რომ სადღესასწაულოდ კარგი ფხალლობიო შეეკმაზა.

ერთადერთი ჩავლა მოსწავლეებისა მახლობელ ბენჩქვისძირის მოსახვევამდე და უკან.

დანგი-დუნგი და დანგი-დუნგი და დანგი-დუნგი! — გაისმის ჩემი პატარა დოლის მოგუდული ხმა. ბავშვებს ფეხი აწყობილი მთლად ვერა აქვთ, მაგრამ ფეხისხმა მაინც არ ისმის, რადგან უმრავლესობას ქალამანი აცვია. ქალამანს კი ამ ხეშეშ, დალიჯმაჯულ გზაზე, რაღა ხმა ექნება.

ჩემ წინ ერთადერთი ბიჭი მიაბიჯებს. მეჯიდ კონცელიძე. ფეხებს ოდნავ მაღლა წევს და ისე მიდის, ნაბიჯის გადადგმისას ქუსლები ქვეშიდან მოუჩანს. ვხედავ ორივე ქუსლზე ქალამანი და წინდაც კარგა მოზრდილად გამოცვეთილა და, ამ ნააპრილარ ცივ ტალახში მწყობრი მარშით მიაბიჯებს ყოჩაღი მეჯიდი. ხოლო ყველაზე წინ იმიტომ არის, რომ მას ქვეყნის მეთაურის სურათი მიაქვს, ორივე ხელით მაღლა რომ აუწევია.

მეჯიდს ნახევრად შიშველი მკლავებით სულ მაღლა ეჭირა სურათი და ასე გაწკეპილი, გაჭირვებით მიაბიჯებდა, სხვადასხვა ფერის ნაჭრებით ბევრგან დანაკერები „ბლუზა“ ეცვა, რომელსაც სახელოები ნახევრამდე წახეული ჰქონდა. ვხედავდი, მკლავები სულ ნახშირივით ჩაშავებოდა წყლისპირის ცივი, ნესტიანი ქარისაგან, ბალანიც აბუჯგოდა. ვხედავდი, მაგრამ მეჯიდი მაინც მტკიცედ, შეურყევლად და არხეინად მიაბიჯებდა.

ერთგან, ბიჭმა წაიფორხილა, ეტყობოდა, შიშველი ქუსლი წვეტიან კენჭს მიარტყა. წვეტი იმ ასჯერ დანაგალ კანგასქელებულ ქუსლს ვერ ატკენდა, მაგრამ, ალბათ, ქვა გადაუბრუნდა, დაღლილმა ბიჭმა თავი ველარ შეიკავა და, ისე, სურათით ხელში, პირდაპირ შუაგზაზე პირქვე გაიშხლართა. სურათი ხელიდან არ გაუშვია, არ დაუკვნესია, არც დახმარება უთხოვია, არც არავინ მიშველებია. დემონსტრაცია არ შეყოვნებულა, მხოლოდ მიმავალი რიგები ორად გაიყო და შუაში ჩარჩა ჩაძხობილი მეჯიდი. იგი ნელნელა წამოდგა, სურათი მაღლა აღმართა და სირბილით ისევ წინ გავიდა. თავისი მეთაური ადგილი დაიჭირა .გადახეულ სახელურებიდან წუნწკლები ჩამოსდიოდა.

მაგრამ მოწაფეთა და მასწავლებელთა მარშით მიმავალმა მთელმა მასამ უცებ ხმა გაიკმინდა. შეშფოთებული და შეშინებული დირექტორი, მაღალი, საოცრად ლამაზი, ხუჭუჭთმიანი, მუდამ უზადოდ ჩაცმული, გაპარსულ-გაფაქიზებული, ბიქტორი დაეწია მეჯიდს, ჯერ სურათი შეათვალიერა ახლოდან, ხომ არ დაისვარაო და, როცა დარწმუნდა ყველაფერი რიგზე იყო, შვებით სულდათქმულმა მეჯიდსაც შეხედა სახეზე, ხელებზე, ფეხებზე, მერე ნელა გვერდზე გავიდა და გზის ნაპირ-ნაპირ ნაბიჯი აგვიწყო.

მეც ვატყობდი, რომ მოხდა რაღაც მოულოდნელი და საშიში რამ. დიდი კაცის სურათი მოსწავლემ ტალახში ჩააგდო .ყოველ შემთხვევაში, ასე მოიანათლებოდა ყოველივე ეს მაშინ, როცა „ხალხის მტრები“ ახალგაზრდა საბჭოეთს ყველგან „ძირს უთხრიდნენ“. ამიტომ იყო სწორედ ბიქტორი, ჩვენი ხუჭუჭთმიანი დირექტორი, ისე საშინლად შეშინებული და ფერწასული. ეს, ალბათ, ამდენ მოსწავლეში თავად ამოირჩია მაინცდამაინც მეჯიდ კონცელიძე. მართალია, იგი სხვაზე მაღალი, გამოსაჩენი ბიჭი იყო და დემონსტრაციას მისი წინ გაშვება ერთგვარად მოუხდებოდა, მაგრამ იგი ხომ „საეჭვო“ ოჯახიდან იყო?! ეს კარგად იცოდა დირექტორმა და ამიტომაც, ეტყობოდა, დაფრთხა, ჩაფიქრდა, იცოდა პასუხს მოსთხოვდნენ.

კი, იმ ზამთარს არაფერი მომხდარა. მაგრამ სამაისო ზეიმის წინადღეებში მაინც მოხდა მოსახდენი. ერთ ღამეს, როგორც მაშინ დაპატიმრებაზე იტყოდნენ, მეჯიდის ნენეიც „ასწიეს“.

ის მაისობა, მართალია, ასე, ოდნავ ჩაგვიმწარდა, მაგრამ გარედან თუ შეხედავდი, მაინც რიხით, ზეიმურად ჩატარდა.

ოღონდ, როგორც ბაღნებს გვეგონა, დირექტორის საქმე წამხდარი იყო. ყველა ელოდა მასაც ჰა-ჰა და „ასწევდნენ“, მაგრამ ამასობაში სასწავლო წელიც მიიწურა.

ქალაქიდან კი უფრო დიდი, მძიმე ამბები მოდიოდა.

ბევრი დიდი კაცი „ასწიეს“. გვითხრეს, ეს მამაძაღლები კოლმეურნეობებს თურმე მოხარშულ სიმინდს ათესინებდნენო, თამბაქოს პლანტაციებში ხომ დიდ მავნებლობას ჰქონდა ადგილიო. აგრონომები, თამბაქოზე წვერის გადატეხისას, ღეროებს თითქმის ნახევრამდე მოატეხინებდნენო, რათა დაკლებულიყო თამბაქოს მოსავლიანობა და ამით სახელმწიფო დაეღარიბებინათო.

ეს „ხალხის ვერაგი მტრები“ გაძვრნენ სახელმძღვანელო თანამდებობებზე და...

იმ ზაფხულს, დაბლა, აჭარისწყლისპირას, სოფლსაბჭოს ეზოში, კაკლის ხეებზე რადიო-რუპორები ჩამოჰკიდეს, რომ ხალხს კარგად მოესმინა ქალაქში გამართული სასამართლო პროცესი, სადაც, საჯაროდ, ყველას თვალწინ ირჩეოდა „ხალხის მტრების“ საქმე.

ერთ დღეს სოფლებიდან მშრომელები საბჭოს ცენტრში ჩაიყვანეს, რომ მასას თავისი ყურით მოესმინა იმ გახმაურებულ პროცესზე მიღებული „სამართლიანი“ განაჩენი, რაც ქვეყანამ „ღირსეულად მიუზღა სოციალიზმის დაუძინებელ მტრებს“.

მახსოვს, ქვემოთ მიმავალ თანასოფლელებს მეც ავედევნე.

რადიოში თუმცა ათასნაირი ხმაური და ფხაკუნი იყო, მაინც, შიგადაშიგ, გამორჩეულად გავიგონეთ სასამართლოს თავმჯდომარის რამდენიმე კითხვა ბრალდებულებისადმი.

ერთი ახლაც ჩამესმის ყურში. ეს, ალბათ, განაჩენის გამოცხადების წინ ხდებოდა:

„— ბრალდებულო გოგიბერიძე, რას სთხოვთ სასამართლოს?

რადიოში, დამსწრეთა აღშფოთების ხმები ისმოდა, ზოგი იძახოდა: „სიცოცხლის შენარჩუნება“, მეორენი კი პასუხობდნენ — „სიკვდილი ხალხის მტრებს, სიკვდილი!...“

ბოლოს დარბაზი ოდნავ მიყუჩდა და ჩვენ გამორჩეულად, ზედმიწევნით ზუსტად გავიგონეთ ბრალდებულის სიტყვები:

— ნუ შეწუხდება სასამართლო, — არაფერს არ ვითხოვ.

— საბოლოოდ რას იტყვით? — შოიხადა ვალი თავმჯდომარემ.

და ჩვენ გავიგონეთ კაკლის ხეებიდან კანკალით ჩამოღვარული სიტყვები:

— მშვიდობით, ჩემო უძველესო, გაუტეხელო, პირმწვანევ და პირნათელო სამშობლო — საქართველოვ! მშვიდობით, დიდი შოთას უკვდავო ვეფხისტყაოსანო, მშვიდობით, დიდო საბჭოეთო, მშვიდობით ტკბილო ცხოვრებავ, მშვიდობით, ჩემო ცოლ-შვილო! გამაგრდით ტირილი არ გაბედოთ. იგი მე არ დამიმსახურებია. მე ყველაფერს ვთანხმდები, ოღონდ სამშობლო იყოს... რაღაცას კიდევ ამბობდა, მაგრამ დარბაზი აღშფოთდა, აღელდა.

დამსწრეთა გუგუნმა ბრალდებულის საბოლოო სიტყვა გადალეკა. მაგრამ ღრიალში მაინც გამორჩეულად გაისმა — „სიკვდილი, სიკვდილი ხალხის მტრებს!“

იმ ზაფხულის ბოლოს კი, ახალ სასწავლო წელს, ჩვენს სკოლაში ხუჭუჭთმიანი დირექტორი, ბიქტორი, აღარ დაბრუნებულა.

* * *

დილით ადრე ტელეფონი აწკრიალდება. უფროსი თანაშემწე, სტარპომს რომ ვეძახით, ჯიმი ბაბუხია, მირეკავს.

— ამოდით, ზემოთ, ლამაზ კუნძულს გაჩვენებ.

ჯიმიმ ტროპიკებში შესვლისთანავე წვერი მოუშვა. უმრავლესობამ მოუშვა წვერი, ტროპიკებში რომ შევედით. ყველამ შეიცვალა იერი. სახის, შეხედულების შეცვლა, ზოგჯერ, მგონია, ხასიათის და რაღაც წინანდელი ჩვევების ერთგვარ გამოცვლასაც იწვევს.

ჯიმი მიუკარებელი, ცინიკოსი და უყურადღებო მეგონა. ათვალწუნებით, ოდნავ აგდებულადაც და ერთგვარად უნდობლადაც ეპყრობოდა კაპიტანს. მის ყოველ მითითებას ყოველთვის ნერვიული ბუზღუნით ღებულობდა.

მე კი, როგორც ახალბედა მეზღვაურს და არაპროფესიონალს, თანაც გემის ანგარიშგასაწევ პოლიტხელმძღვანელს, მისმენდა, მაგრამ არასოდეს არაფერს მეკითხებოდა.

ზღვაზე, სტიქიის წინაშე, თანამდებობის შეგრძნება ხშირად წაიშლება და ყველა თანასწორდება, ხოლო ზღვა რომ დაწყნარდება, როცა გემზე მშვიდი, კარგი ცხოვრება დამკვიდრდება, უფროსები თავის უფროსობას უფრო მკვეთრად გამოავლენენ, ხოლო უმცროსები უფრო მორჩილაად ეგუებიან ზემოდან წარამარა წამოსროლილ ბრძანებებს.

ჯიმის რუსული „ტელეგრეიკა" ეცვა. გათხუპნული, ჭუჭყიანი, ზეთიანი და დაჭმუჭნული, ხოლო ასეთ სამოსში წვერი მაინცდამაინც არ უხდებოდა.

„ტელეგრეიკაზე" ფრჩხილისოდენა ნამცეცა ნიშანი ეკეთა. შევნიშნე, იმ ნიშნის შუაგულში სტალინის პორტრეტი იყო.

— ნახე, ნახე, — მეუბნება ბაბუხია, რა ლამაზი კუნძული გამოჩნდა ეგერ, მარჯვნით, და რა, ლამაზი გათენება იწყება. მზე ყველგან თავისებური ფერისაა, — მიხსნის ჯიმი. — აქ, ინდოეთის ოკეანეში, მზე უფრო დიდია, მსუქანი და მორთული, უცნაური ფერადი გვირგვინებით გარშემორტყმული.

— ვხედავ, აი, გადასარევია, მართლაც, — ვეთანხმები და მიხარია, რომ ბაბუხია ასე გამოიცვალა ჩემს მიმართ.

აბა, აჰა კაცი. ახლა, მე რომ ვაპირებდე სამუდამო მუშაობას ზღვაზე, შეიძლება უფრო დამოუკიდებლობისა და მომავალი ავტორიტეტისათვის ვიზრუნო, არ გავითქვიფო, შევინარჩუნო დისტანცია ხელქვეითებთან დამოკიდებულებაში, რათა მერე იქნება წინ წამწიონ ასეთი თავშეკავებისა და პრინციპების მქონე კაცი. მაგრამ მე ხომ უკან, ხმელეთზე ვბრუნდები, ჩემი წუთისოფელი იქ უნდა გავლიო. აქ მე ყველასაგან სიკეთის, ნდობის და პატივის მოხვეჭა მირჩევნია ყოველსა სხვა რამ მოსახვეჭელსა.

ამიტომ ასე აშკარა კმაყოფილებით და დაუფარავი სიამოვნებით ვხვდები მთავარი თანაშემწის ამგვარ კეთილგანზრახულობასა და კეთილდამოკიდებულებას, — გამიმხილოს თავისი აღტაცება, გამიზიაროს იგი და ამით მასიამოვნოს.

სინათლემ რომ იმატა და კუნძულიც უფრო დაახლოვა, იქ, გორაკებზე, თეთრი კოტეჯები გამოჩნდა.

ქვემოთ, ზღვისპირზე, პატარა ქალაქი გამოიკვეთა, სწორი ქუჩებით, დიდრონი ხეებით, ფერადი რეკლამებით. აი, ვხედავთ, სხვადასხვა ფერის ავტომობილების მოძრაობასაც.

— ჩვენ აქ არ შევდივართ. ჩვენი კურსი — ჩრდილო-აღმოსავლეთია. სინგაპურისაკენ. კაპიტანს ძინავს ახლა. ნუ ეტყვით, რომ ეს კუნძული გაჩვენე ახლოდან. მე ღამით ოდნავ შევანელე სვლა. მინდოდა გამთენიას ამ კუნძულს მოვახლოვებოდი. მე ეს კუნძული მიყვარს. აქ ბევრჯერ ჩამივლია გრძელ რეისებში მიმავალს თუ მომავალს და სულ ამ კუნძულის ნახვის სურვილი მტანჯავს. რა ჯანაბა მემართება ასეთი, არ ვიცი.

ა, ქალივით მიყვარს ეს კუნძული... სულ მინდა, ერთხელ მაინც, ღუზა ჩავუშვა მის ნაპირზე, გავიარო მისი მიწის ზედაპირზე. არა და არ იქნა. ჩავივლი, შორიდან ვესალმები. მგონია ეწყინება, რომ არ შევხედო და არ მივესალმო. ჰოდა, თქვენ გაგიმხილეთ,

ჩვენი გზა უფრო ქვემოთ უნდა გასულიყო...

იგი ლოკატორის კიდეზე იდაყვდაყრდნობილი უცქეროს იმ ლამაზ კუნძულს და მგონი, ორმაგად ტკბება, რომ ამის მოწმედ და თანამოზიარედ მეც ვყავარ.

— ლიტერატურის კაცი ხარ, პოეტური გაგების და მიმიხვდებით, ან ჩემზე უკეთ დააფასებთ ამ მშვენიერებას.

— დიდებულია ნამდვილად, ჯიმი, დიდებული!

მაგრამ ერთი რამის გამხელა გადაწყვეტილად მინდა. მიწის გამოჩენამ ულამაზესი, გულისდამამშვიდებელი და რაღაცა, ამამაღლებელი ნექტარი მასხურა.

ამ ტრასაზე გემებიც ბლომად გამოჩნდნენ.

აგერ, უშველებელი, ბრტყელი ტანკერი მოდის. წინ პატარა ბუქსირი მიუძღვება.

იაპონური ხომალდი აღმოჩნდა. ეტყობა, კუნძულთან ჩაუშვებს ღუზას. ჯიმი მიხსნის, ხუთასი ათასი ტონა შეუძლია მაგას ატაროსო. იქით, ძველი, ფართო ბარჟა შევნიშნეთ. ბარჟაზე უშველებელი ლითონის ოთხი მილი ერთად აწყვია. გეგონება დაშლილი კოსმოსური ხომალდი მოაქვთო.

კუნძული თანდათან უკან-უკან მიდის, მიცურავს და პატარავდება. წინ — ისევ წყლის უსაზღვროება, რასაც ჩვენი გემის გაბმული, მონოტონური გუგუნი, როგორც ამ სიცარიელეში ადამიანის ყოფნის მაცოცხლებელი დასტური, აცხოველებს და ერთგვარად გულთან აახლოებს.

ამასობაში, ვახტიორი შტურმანის, ჯიმი ბაბუხის ცვლაც მოვიდა და ღაჟღაჟა, დაღლილი სტარპომი, ჩემთან ერთად, დაბლა ეშვება.

— თქვენთვის ერთი რაღაცა საჩუქარი მაქვს. შემოდით ჩემთან, გადმოგცემთ.

სტარპომის კაიუტის თაროები გემის სააღრიცხვო ქაღალდების შეკრული ტომებითაა გამოტენილი. ჯიმი საწერად შეკერილ სქელ წიგნს მაძლევს „მორფლოტის" დამღით. მხარზე წამოსხმულ ტელეგრეიკას იქვე, სავარძელზე მიაფენს და სარკმლიდან მომავალი სინათლე იმ პატარა სამკერდე ნიშანს ხვდება, რაზეც წელან სტალინის სახე ვიცანი.

— ეს მამაჩემისაა. ძველი ნაფრონტალია. — მიმითითა ტელეგრეიკაზე, — ნიშანიც იმან დაამაგრა ალბათ. უყვარდა სტალინი მამაჩემს. დამიბარა, ტელეგრეიკაზე იყოს ასე, არ მოაძროო. იყოს, რა მენაღვლება. ჰოდა, ვატარებ ასე გემზე, ქარაშოტებში. ხან სად წამოვწვები ხან სად ღამით, მორიგეობისას, მათბობს და...

ოცდაჩვიდმეტში დაიჭირეს ბაბუა, მაგრამ მამაჩემს მაინც სტალინი უყვარს. ხშირად მეუბნება: მაგარი კაცი იყო. დიდი კაცი იყო. დიდი კაცი კი ხელმძღვანელად შვენის ქვეყანას, ოჯახსაც შვენის მაგარი, ჭკვიანი და, ზოგჯერ, მრისხანე მამა. შიში შეიქმს სიყვარულსაო, უთქვამთ.

ის, ქვეყანა და ხალხი ჩვენს შეგნებაში ერთად იყო.

საუზმის დროა. მადლობას ვეუბნები და ჩემი კაიუტისაკენ მივდივარ.

* * *

მაგრამ, ჩემდა უნებურად, კაპიტნის კარებისაკენ ვუხვევ.

— კარგი ქენით, რომ მოდით. აი, ახლა რაციამ ცნობა მომიტანა ლონდონიდან. ერთი ინგლისური სავაჭრო ფირმა წყნარი ოკეანის ბასეინში მყოფ გემებს სთხოვს, მოიფიქრონ, მარტის თხუთმეტს, მშრალი ტვირთის მზიდავი რომელი გემი შეძლებს შევიდეს ავსტრალიის ერთ-ერთ ნავსადგურში, ხორბლის წასაღებად.

— საით მიდის ხორბალი? — ვეკითხები შალვას.

— ხორბალი, — მრავალმნიშვნელოვნად შეჩერდა კაპიტანი, — ხორბალი მგონი, ალექსანდრიაში მიდის. დიახ, ეს ფრახტი კარგ თანხას მოგვცემს. ახლა უფროსი მექანიკოსი რომ ხელს შეგვიწყობდეს და ცოტათი სიჩქარეს მოუმატებდეს, ჩვენ, როგორც გამოვთვა-

ლეთ, შეგვიძლია დარჩენილ დროში, იაპონელებს გადავუტვირთოთ მარგანეცი ,მივიღოთ საწვავი იქ მდგომი რომელიმე ჩვენი ხომალდისაგან და პირდაპირ ავსტრალიისაკენ გავწიოთ. კი, კი მოვასწრებთ თხუთმეტ მარტამდე.

— ავსტრალიაში მაინც, რომელ ნავსადგურშიო? — ახლა ამ კითხვამ, მგონი, საბოლოოდ დაარწმუნა შალვა, რომ მას საქმე აქვს საზღვაო საქმის არც თუ ცუდად მცოდნესთან, სერიოზული სახე მიიღო და ბეჯითად მითხრა:

— აი, ეგ არ ვიცი.

— იმიტომ, რომ თუ ბრისბენია, მაგალითად, ხომ, მაშინ ადვილია, ეს ქალაქი ჩრდილოეთითაა ოდნავ, ჰოდა მელბურნს, მაგალითად, სიდნეი ჯობია სიახლოვეში. ასეა, არა?

— კი, კი მართალი ხართ, — გული, — ღიმილით მიდასტურებს შალვა, — ქალაქ-ნავსადგურზე ჯერ ლაპარაკი არაა. ჯერ გემი და თანხმობაა საჭირო. ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ საზღვაო ფლოტის სამინისტროს მოსკოვში და ჩვენს სანაოსნოს, რას იტყვიან.

— მე მგონია ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ დავკარგოთ ეს ფრახტი, ახალი კონტინენტის ნახვაც, — გულში სიხარულის სითბო მეღვრება, ერთი წუთით როცა წარმოვიდგენ, რომ იაპონიის შემდეგ გემი დაუყვება სამხრეთისაკენ, ჩაუვლის ფილიპინებს, კვლავ გადაჭრის ეკვატორს, ვნახავთ ავსტრალიას.

კაპიტანი ჩაფიქრებულია, რალაცა აწუხებს კაპიტანს, რალაცა გაახსენდა არასასიამოვნო.

— მაგრამ იმ სამწუხარო შემთხვევის გამო შეიძლება ალარც დაგვიმტკიცონ ჩვენი ახალი შორი რეისები.

ვიცი, რასაც გულისხმობს შალვა. ამას ალბათ ხაბაზის შემთხვევის გამო ამბობს. რას ერჩი, — მართალიცაა. გულისპირი ჩახსნილი აქვს, ლას-პალმასში ნაყიდი ჯინსის პერანგი აცვია. შიგ, გულის კოვზთან, ვხედავ რალაც სუსტად რომ ციმციმებს: ჯვარია, ძეწკვზე დაკიდებული. სიამოვნებს. უნდა, რაა მცირე? ჰქონდეს, რა მოხდა ამით?

მე, კომისარი, პოლიტიკური ხელმძღვანელი გემისა, აი ამ წუთას, ამაში რალაც უფრო ადამიანური სევდის მარადიულობას ვხედავ. იცით, თითქოს ფორიაქის სული მყუდროვდება, სათნო, მაღალი და კეთილი იმედები გონებაში გროვდებიან. თავი მიმძიმდება, არა ტკივილით ,არამედ სინათლით. მაგრამ საიდანღაც, სიბნელის სიღრმიდან, ეშმაკის კბილივით გალეული ყიზილბაშის მახვილივით მოხრილი ჩემსკენ მოცურავს, მორბის, მოღმუის აშარი ნახევარმთვარე. მე ჩემი წასულები მაგონდებიან, ჩემი ცრემლნაფრქვევი ბალღობა მეცხადება. გიჟივით ავრბივარ ოდეს არბენილ ბილიკებზე და ნამონასტრევზე მდგარ მინარეთის ჩრდილში ოფლში ოფლს ვიწმენდ შუბლზე. აქაურობის შვილი აქაურობაზე ვიდარდებ...

მეზობელი მყავდა. ხოჯა იყო, ფანატიკურად მორწმუნე, მქადაგებელი. კარგად აკაკანურებსო, იტყოდნენ, ე. ი. გალობსო. მგალობლობა — არაბულად ლოცვისთავებს რომ კითხულობენ, დიდად ფასობს. ჩვენებურს არ ესმის არაბულისა, იგი მარტო ხმამ, მიმღერებამ უნდა მოხიბლოს, მოაჯადოოს, დაიპყროს.

ისე გაწელილად, ამაღლებულად გაჰყივიან ხოლმე მოლები, გეგონება ცხელი ხორშაკიანი ქარი შემოიჭრაო, თუ აქლემების ქარავანი მიედინება უდაბნოს უნაპირო სიტიალეში. გიღონდება გული, გისველდება თვალი, იღუნები წელში, თავს ხრი დაბლა და ხარ მორჩილი. ეტყობა, მთავარი მორჩილებაა და არა რწმენა. მორჩილება საცოდაობაა.

მაშინ კიდევ მოქმედებდა მეჩეთი. მერე კი, როცა აღარ იყო მეჩეთი, ყოფილ ხოჯას ვუთხარი, გავუბედე და ვუთხარი:

— მუსლიმანობა არაა ჩვენს ქართულ ხასიათზე მოსარგებელი რელიგია, ნუ გამიჯავრდები, ბიძაჩემო. მუსლიმანობა ჩვენთვის უცხო, ძნელი, მოუხერხებელი, უხეში, არაეროვნული

დარჩა. ჰო, ერის შესახებ მინდა რაღაცა გავიგონო შენგან.

— ხარ ქართველი შენ? — თითქოს თავის თავს ჰკითხა, მერე თითებით ჩამოივარცხნა თეთრი, ქათქათა წვერი და ჩაღრმავებულ თვალებში შორეული სინათლეები აუკიაფდა. — აბა ვინ უნდა ვიყო, შვილო?! ის რომ არ ვიყო, ვინც ვიყავი გაჩენიდან, მაშინ არავინ და არაფერი ვყოფილვარ. — იხრება ჩემკენ. — ქართველი ვართ, ბაბი, აბა ვინ ვართ, ჩემო ბაბავ? საქმე ისე წავიდა, რომ ქართველი და გიაური, ქართველი და ქრისტიანი ერთნაირს, ერთიდაიმავეს ნიშნავს. თურქები „გურჯი მუსლიმანებს" გვეძახიან. ქართველი ქრისტიანი ყველა მუსლიმანს თათარს ეძახიან. ასე, აირია ყველაფერი. რა დააწყობს ამას?

— ისტორია, დრო, ბიძაჩემო, — ვუთხარი.

— არა, ჯობდა ქართველს ერთი რელიგია ჰქონოდა, ერთად ვიქნებოდით — ამბობდა იგი და კვლავ თითებით ივარცხნიდა წვერს.

— ერთად ვართ, ბიძავ, აბა რამ გაგვარიგა. ჩვენი რელიგია ის ენაა, ერთმანეთს რომ ველაპარაკებით. ა, რას იტყვი ბიძავ, ხომაა მშობლიური ენა ჩვენი რელიგია?

— რაც იწამა, ყველას ერთად ეწამა... — ჩაიდო წვერები პირში.

— ისლამი? რელიგიას, რომელიც მშობლიურ ენაზე თავის ლოცვასაც არ მათქმევინებს, რაფრათ ვენდო, ბიძია, ა?

შემომხედა და დამარცხებულივით ჩაქინდრა თავი.

ოდნავ ჩამსხვილებული, ჩაგვირისტებული იყო. მაგარი, ჯანიანი მშრომელი. მჭამელი, მოუღლელი, მოუსვენარი და, რაც იშვიათია, მხიარული.

საბჭოობა და კოლექტივობა რომ დაეპატრონა სოფელს, — ალი-ეფენდი წავიდა ჯამედან. — როგორ, მთავრობას თუ არ უნდა, ქვეყნის პატრონი თუ ლოცვა-კითხვას საჭიროდ აღარ თვლის, მე რა უნდა ვქნა, მე ხომ სახელმწიფოს, მთავრობას არ შევეწინააღმდეგები? — ეუბნებოდა ზოგ-ზოგებს. — წადით აქედან, მე თქვენ გეუბნებით, არავითარი ლოცვა-კითხვა მეჩეთში აღარ იქნება.

გამთენიას ადგებოდა, კოლექტივის ყანაში ყველას ჩაასწრებდა. ნახევარ ნაპირს გათოხნილს დაახვედრებდა ბრიგადირს, რომელიც მზეამოსულზე რამდენიმე კოლმეურნეს ძლივს მოიყვანდა სამუშაოდ. შრომადღეში მაშინ არავინ არაფერს არ იძლეოდა. მუშაობდნენ, მუშაობდნენ მთელი წელიწადი, წლის ბოლოს — არაფერი. რამე გროშები თუ იქნებოდა, იმასაც გადასახადებში იკავებდნენ. გლეხი მარტო ხელს აწერდა უწყისზე.

ჰო, ამ ალაგას, ძველად, ჩვენი სოფლის ეკლესია ყოფილა. ირგვლივ ბზის ბუჩქებია და ბზის ბუჩქებში ძველებური, ჩვენებური საფლავებია. ეს მაშინდელი საფლავებია, ჩვენ რომ ჯერ ისევ ქრისტიანები ვიყავით. აი, იმ გორას, მაღლა რომ აწეულა და თავზე ქოჩრად ბზის ბუჩქები დაუხუჭუჭებია, ხან საყდარს ეძახიან, ხანაც ნასაყდრევს. ეტყობა, ზედ გორაზე, საყდარი იდგა. ჰოდა, იქ უფრო მეტია საფლავები.

ერთხელ, მახსოვს, ვიღაცას ასაფლავებდნენ. გაჭრეს მიწა, ზედ ძველ საფლავზე მოხვდნენ. აღარ წააყარეს მიწა. ჩავიდნენ ძირამდე, სულ ჩამდნარიყო ყველაფერი, მარტო ხმელი ძვლები ჩანდა მოპნეული. იქვე რამდენიმე თიხის ჭურჭელი იდო. ალბათ, თან ჩაყოლებული. მაშინ, ქრისტიანები რომ ვიყავით, ალბათ, სხვანაირად ასაფლავებდნენ, იმ ჩონჩხს ეტყობოდა, როგორც იყო დამარხული ძველი თანასოფლელი. მერე, მუსლიმანობა მოვიდა და, სხვანაირად დასაფლავება დაიწყეს. თავით მექისკენ, სამხრეთისაკენ.

ეკლესიის ნანგრევის ქვა მეჩეთისათვის უხმარიათ. ეტყობა, ჯამე წელამდე იმ ძველი ეკლესიის ნათალი ქვით ამოუყვანიათ. დანარჩენი, წელზედა, მუხის ძელით ძალიან მკვიდრად უშენებიათ. მაგრად აუშენებიათ. ეს ბზის ბუჩქებიც მუსლიმანობამდეა დარგულ-მოშენებული. ბზა ხომ წმინდა მცენარედ

ითვლება. სასაფლაოზე რგავდნენ პაპის პაპანი.

უცნაურია, — მეჩეთის ხის კედელზე ლაზ ოსტატებს გემი და სიმინდი მიუხატავთ .ერთი ძირი, მაღალი, წყვილტაროიანი, ფართოფოთლება მწვანე სიმინდი და, იქით — გემი. არა, იალქნიანი კი არა, ისე, ანძებიანი, საკვამურებიანი, ორთქლით მოსიარულე. შეხედავ, შეიცნობ დროს. სიმინდი და გემი, — აი, შინაარსი, ოცნება, აზრი ლაზი კაცისა, მისი იდეალი. მისი საფიცარი.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

ახალი დღე ძველ ნაცნობივით მოადგება სარკმელ-ილუმინატორს. სხივები თითებივით მოებჯინა შუშას. ქერათმიანი მზე იყურება და მაღვიძებს. ვდგები, ვიპარსავ, ვიბან, ვიცვამ და მაღლა, ხიდურზე ავრბივარ. ვესალმები მევახტეს. არც ვუყურებ ვინაა, ისე ვესალმები. უფრო კი თვით ამ დილას, ამ დღეს, მზეს, ახალგათენებულ სამყაროს ვესალმები.

ვხედავ, გრანდიოზული კონტეინერმზიდი გვერდიდან გვეწევა და წინ გვისწრებს. ვცნობ, ბრიტანული ალმით. ამნაირი ტიპის გემებით ტვირთზიდვაზე გადასვლას ჩვენი ბიჭები ფლოტში მომხდარ რევოლუციად თვლიან. იმ რაოდენობის ტვირთით დატვირთული სხვა, ტრადიციული გემის დაცლას თუ ათი დღე მაინც დაჭირდება, ამას ერთი დღეც კი ყოფნისო, მეუბნება ელექტრიკოსი ბიჭიკო, თავისი ყვითელი წვერის ვარცხნით რომ მოულოდნელად გვერდით ამეტუზა.

— სიდნეიში თუ მოვხვდით, იქ მყავს ერთი... ფერიაა ნამდვილი.

ჰო, ბიჭიკოს ძალიან უყვარს ქალებზე საუბარი. რა თქმა უნდა, ქალები უყვარს. შეიძლება თუ არა ასე გამოვთქვა აზრი? — ქალები უყვარს. კი, შეიძლება. ასე მსჯელობს ბიჭიკო.

ხანდახან გემზე იმერულად პურმარილის გაწყობას მოახერხებს ხოლმე. თავისი დაჭერილი თევზითა და თავისივე გამოცხობილი თხელ-თხელი მჭადებით.

მთელი მეზღვაურული ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთი დღით შეუვლია მის გემს სიდნეიში. მხოლოდ ერთი საათით გასულა ქალაქში, როგორც თავად იტყვის, თორმეტნახევარი სიტყვა იცის ინგლისურად. და, აი, ასეთ ვითარებაში როგორ მოახერხა გაცნობოდა „ფერიას“? მაგრამ ამგვარ წვრილმანებზე არაფერს ვეკითხები. კი, თქვას, კარგია, გავერთობი. არა, მეც ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ზოგჯერ მსიამოვნებს.

— მალე სინგაპურში ვიქნებით. ამ ქალაქს შორეული აღმოსავლეთის ბაბილონს ეძახიან. — მეუბნება ბიჭიკო, — ეს ქალაქი-სახელმწიფოა... ჰო, ერთი სიტყვით, ნახავთ. ჯობია საკუთარი თვალით ნახოთ. მაინც წინასწარ გეტყვი ,რომ იქ არის უნივერმაღები — „მოსკოვი“ და „ოდესა“. საბჭოელ მეზღვაურთა პატივსაცემად ხდება ასე, ალბათ. მაგრამ იქ, იმ ქალაქში, იცით, რანაირი გოგოები არიან? ზღაპარია პირდაპირ! საკუთარ იახტებზე ამხედრებული ლამაზმანები მიადგებიან ხოლმე უცხოეთის გემს და ოკეანეებში ნახეტიალებ ბიჭებს შეესევიან. გადაირევი, აბა რა იქნება, მაგრამ სქელჯიბიანებს შორიდან ცნობენ. ჩვენ...

მერე, ბიჭიკო წვერის ჩიჩქნით სხვა თემაზე გადადის, თანაც საათზე იყურება. მგონი თვალზე მოწოლილი კურცხალიც დამიმალა. საუზმეზე ეჩქარება, ვატყობ.

იქით, შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჰორიზონტზე, ზღვისა და ცის შესაყარში, გრძელი, მუქი ხაზი იკვეთება.

წარმოვიდგენ რუკას. ეს, ალბათ, კუნძული სუმატრაა. დიახ, კუნძული სუმატრა!

მალე დავუყვებით ამ კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირებს, გავივლით მალაგის სრუტეს და სინგაპურის მახლობლად რეიდზე დავდგებით.

აქ საზღვაო გზა თითქოს ვიწროვდება. გემების მოძრაობა ინტენსიური ხდება. სულ უფრო ხშირად ვხედავთ, →

მომავალ ხომალდებს. აი, ბიჭებმა იცნეს ერთი, საბჭოთა გემია, მგონი „კონსტანტინე პაუსტოვსკი“. კაპიტანი მაღლა ამოდის, რაციით უკავშირდებიან „პაუსტოვსკის“ კაპიტანს და შალვა ამ რაიონის გადიდებული მასშტაბის რუკებს სთხოვს. — ხომ არ მოგეპოვებათ, მასესხეთო.

იქიდან უპასუხეს, კი, მოგიგვარებთ რუკების საქმესო.

შეთანხმდნენ, განსაზღვრულ ადგილას შეანელებენ სვლას, შეჩერდებიან, ჩვენ ჩავუშვებთ მოტორიან ნავს. წავლენ შტურმანი და ორი მოტორისტი.

კაიუტის კარის სახელურში რვეულია. შორიდანვე ვცნობ, ხალითის ახალი რვეულია. ვფიქრობ: ზღვისას რას მეტყვის, თავად აგერ არა ვარ? ალბათ, ისევ ხმელეთის გახსენებამ დააწერინა. ხალით, ხალით, სეირი კაცი ხარ, შენ! რვეული სახელურიდან ამოვაძვრე და ისევ ისე ხვეულად მიმაქვს ბინაში.

ვერ ვითმენ და პირველივე ფურცელს ვკითხულობ. ეს ერთგვარი მიძღვნა თუ შესავალი წერილია. მგონი, ისე გაუშინაურდა ხალითი ლიტერატურას, რომ თავის რვეულებზე უკვე პროლოგ-ეპილოგების დატანებაც დაიწყო. მეღიმება ჩუმად, მაგრამ კითხვისას ჩემში თანდათან რწმენა-კმაყოფილება ბატონდება, ეს კი ძალიან დიდი რამეა.

ხელნაწერს არა აქვს ის ძალა, ავტორიტეტი, რაც ნაბეჭდ ტექსტს. ოდნავ სულელური და უნიჭო ნაბეჭდი ტექსტი რატომღაც უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე საკმაოდ ჭკვიანური ხელნაწერი. მე მგონია, ხელნაწერში რომ უტყუარი ნიჭიერება დროზე დაიჭირო და მისი მომავალიც მიახლოებით მაინც პირველმა განსაზღვრო, ესეც თავისთავად ძალიან დიდი ნიჭია.

ხალითი წერს, რომ იგი წუხელ ისევ თავის ზეგან სოფელს ეწვია, კვლავ თავის სიჭაბუკეში იმოგზაურა და იმ ღელე-ღურდნებიდან მოტანილი ამბავი მომიტანა მე.

დავცქერი და სუნი მცემს შორეული ახლობელი მიწისა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

* * *

წამომყე, მკვდარ ჩიტს მივასვენებ, მოვახვიე ნისლის სუდარა,
ღრუბლებზე საფლავს გავუჭრი და მას მეტი არა უნდა რა.
წამომყე, სულე, გამათხრევინე ჩიტისათვის ღრუბლის სამარე,
მერე ამის სულს გაჰყე თანა, ინავარდე და იკამარე
ამ ჩიტის საფლავთან...
წამომყე, მკვდარ ჩიტს მივასვენებ, მოვახვიე ნისლის სუდარა,
ღრუბლებზე საფლავს გავუჭრი და ამას მეტი არა უნდა რა.

* * *

გადავემალე მზეს პალმის ჩრდილში, ააქნია ფოთლები ქარმა,
შვეულმფრენივით ზე აიჭრა და წამიღო ზეცისკენ პალმამ.
გაერიდეო პალმების ჩრდილს, იჩრდილეო კაკლის ჩრდილები,
გაჩენის დღიდან სულ ამაზე მეჩურჩულებ-მეჩიჩინები
და მაინც ურჩი
გადავემალე მზეს პალმის ჩრდილში, ააქნია ფოთლები ქარმა,
შვეულმფრენივით ზე აიჭრა და წამიღო ზეცისკენ პალმამ.

* * *

ჭიამაია მიამბობს ახლა ხვალისა და ზეგის ამინდებს,
ამ ღრუბლიანში ზეცა ხვალ-ზეგ მზეს ამინთებს თუ არ ამინთებს.
თავისი პერანგი გაიხადა და ჩამაცვა თავისი პერანგი,
თავისი ფრთებიც შემასხა და გავფრინდები ფრთებით ფერადით
ჩემი მზისაკენ...
ჭიამაია მიამბობს ახლა ხვალისა და ზეგის ამინდებს,
ამ ღრუბლიანში ზეცა ხვალ-ზეგ მზეს ამინთებს თუ არ ამინთებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ალარსად არის არც მამონტი, ალარ არის არც დინოზავრი.
დიდი ხანია ალარა ჰქუხს მათზე სამონადირო ზარი...
ბულბული კი სტვენს და ასკილის ბუჩქნარებში გალობს ბულბული...
ნუთუ ასკილის ბუჩქნარებსაც დაუშენს მეხს ცა მოლრუბლული
ხვალ ანდა მერე?!
ალარსად არის არც მამონტი, ალარ არის არც დინოზავრი.
დიდი ხანია ალარა ჰქუხს მათზე სამონადირო ზარი.

* * *

გახსოვს, ჭაბუა, თოვლისა და ყინულეთის თეთრი სამეფო,
ცრემლები ჩემი გაყინული რო მინდოდა სადმე ჩამეფლო?..
სად, სად ჩავფალით?.. ხო იქნება გაუხრწნელად ყინვის ქანებში?!
ნეტავი ვინმე თუ იპოვის ოდესმე და გააქანებს შინ
და ჰკითხავს რამეს?!
გახსოვს, ჭაბუა, თოვლისა და ყინულეთის თეთრი სამეფო,
ცრემლები ჩემი გაყინული რო მინდოდა სადმე ჩამეფლო?..

* * *

თურმე დავქროდი, დავდიოდი ანტიკური ხანის ქალაქზე
და ფეხს ვადგამდი მიწამიყრილ ძვალზე, ხმალზე, თავის ქალაზე.
უძლებდა საწუთროის ქარებს უძველესი ჩემი სოფელი,
ჩიტებს გაფრენილთ ვაცილებდი და ვხვდებოდი ჩიტებს მოფრენილთ
და რა ვიცოდი, —
თურმე დავქროდი, დავდიოდი ანტიკური ხანის ქალაქზე
და ფეხს ვადგამდი მიწამიყრილ ძვალზე, ხმალზე, თავის ქალაზე.

* * *

ქარი ყვავილის მტვერს გადაიტანს მეორე ყვავილზე...
ყველას აქვს თავისი სასწაული, სვე და თავის ზნე.
ყვავილის მტვერთა შეხვედრების გზა ლოცე, ლოცე!..
გადაიქროლებს ხევხუვებსა, მინდვრებს და ბორცვებს
და... —
(საოცრება), —
ქარი ყვავილის მტვერს გადაიტანს მეორე ყვავილზე...
ყველას აქვს თავისი სასწაული, სვე და თავის ზნე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჰა ეს სანთელი, იდუმალი გზებისაკენ მისაშუქები,
გადანახული იქ, იქა მაქვს შენთვის უცხო მხრის საჩუქრები.
იმ ვარსკვლავისკენ, ჯერ რომ არ ჩანს, იმ ვარსკვლავისკენ იარე.
მე შევაჩერებ ფიცხელ ქარებს წვიმიანსა და თოვლიანებს...
იმ ვარსკვლავისკენ...
ჰა, ეს სანთელი, იდუმალი გზებისაკენ მისაშუქები,
გადანახული იქ, იქა მაქვს შენთვის უცხო მხრის საჩუქრები.

* * *

გადაირია ეს ხე წუხელის, იტრაბახა, იჭორიკანავა, —
(ქარს შევასწარი ტყეში... შევესწარ ხეების კარნავალს), —
რას იპრანჭებაო, რას იგრიხებაო ისა და ესაო?!
მეხიმც დავაყარე, ვერც კი ასწვდებიან ჩემს ცას და მზესაო...
ვერა მხედავენო?!
გადაირია ეს ხე წუხელის, იტრაბახა, იჭორიკანავა...
(ქარს შევასწარი ტყეში... შევესწარ ხეების კარნავალს).

* * *

მზეთუნახავებო, გამოვეშურე, მე ამოვხსნი მეფის ქარაგმებს,
ცხენს ფრთები შევასხი, წინ ყველა ავსულს გავაჩანაგებ.
გამოვცურავ ტბას, თუმც მკლავებზე მაგებენ გველაზებს.
ვიპოვი თქვენს ქოშებს, ნატვრისთვალსაც ვთხოვ ანგელოზებს...
ოღონდ თქვენ მელოდეთ...
მზეთუნახავებო, გამოვეშურე, მე ამოვხსნი მეფის ქარაგმებს,
ცხენს ფრთები შევასხი, წინ ყველა ავსულს გავაჩანაგებ.

* * *

შემრცხვა, ფეხშიშველი ვერ წაგიყვანე ნადიკვარამდე...
შენი ალთქმის გზას უშენოდ, აბა, მე ვითლა ვკვალავდე?!
ერთხელ წამოდექი, წამომყე, დედა, მიგიყვან ფეხშიშველს,
ჩემს ნიშს ემთხვიე, დაცხრები, აღარ ივიშვიშებ...
დაგლევს ეგ ჯავრი...
შემრცხვა, ფეხშიშველი ვერ წაგიყვანე ნადიკვარამდე...
შენი ალთქმის გზას უშენოდ, აბა, მე ვითლა ვკვალავდე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვარსკვლავებს, — კალმახებს, — კომეტების ცვივა ქვირითი,
მიწაზე ჩამქრალნი რითიღა ავანთო, ეს მარქვი, რითი?!
მოჰქროდა ციდან, ცეცხლოვანი ბილიკით მოჰქროდა,
ცის ყვავილები, — მეგონა, –– ელვარენი ჩემთვის მოჰქონდა, —
ხელთ ჩასჭკნობია...
ვარსკვლავებს, — კალმახებს, — კომეტების ცვივა ქვირითი,
მიწაზე ჩამქრალნი რითიღა ავანთო, ეს მარქვი, რითი?!

* * *

ანაზდად შევდექი ციურ ფრთოსნების ღია სამოთხესთან,
ვუცქერდი იმათ შადრევანებივით სულთა ამოხეთქვას.
აგერა ჩემიცა, გალიით გამოხსნილი ჩემი ჩიორაცა...
ჰოი, შე წმინდანო, მაგ სამოთხის მიმაჩვიო რა ცას,
ნუ მიხმობ ცოდვილს...
ანაზდად შევდექი ციურ ფრთოსნების ღია სამოთხესთან,
ვუცქერდი იმათ შადრევანებივით სულთა ამოხეთქვას.

* * *

როგორაც გინდა, წუთისოფელო, მძიძგნე და მძენძე,
ნუ მაპოვნინებ ოლონდაც ყვავილს, რომელსაც ვეძებ.
იმ იდუმალი მლვიმეების და კლდეთა ჩრდილში
ჰყვაოდეს მარად ჩემი ბედის საწყალი ნიში
უცნობ მხარეში...
როგორაც გინდა, წუთისოფელო, მძიძგნე და მძენძე,
ნუ მაპოვნინებ ოლონდაც ყვავილს, რომელსაც ვეძებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლია სტურუა

# სიყვარულის, იმედით

მთელი სიცოცხლე იმედით შესცქერი
ხვალინდელ დღეს,
მერე ხვალინდელი დღე გუშინდელად
იქცევა
იმედი — სევდად, ეს სევდები,
ერთმანეთს მიმატებული —
სასოწარკვეთად...
უკვე ცოტათი შეგეშინდება გათენების,
რაც უფრო მკვეთრად და ლამაზად
იქნება
შეღებილი ამინდი, მით უფრო...
იქნებ, იმიტომ გვაღვრის თავზე
ასეთ ცხელ დღეებს ღმერთი,
რომ არყოფნის სიცივე
შეათბოს, შეგვიმსუბუქოს...
მეც, ალბათ, მას ვბაძავ,
როცა მაცივრიდან ამოღებულ
ყინულოვან რძეს შევდგამ ცეცხლზე
და ის რომ ათუხთუხდება,
ჭურჭლიდან გადმოვა სულიერივით
და პურის მკვდარ ნაჭერს ეტყვის
ორიოდე ცხელ სიტყვას,
ვითომ ის ჯეჯილია და თვითონ მდინარე,
მაშინ მე შენ დაგიძახებ
და გაჩვენებ, როგორ მომადგა სახლში
თავისი ფეხით ზაფხულის პეიზაჟი
და, რძისა და პურისა არ იყოს,
ჩვენც გავუგებთ ერთმანეთს,
თანაც ცოტა ხნით დაგვავიწყდება,
რომ შავი მიწის კერძები ვართ ორივე
და გვეყვარება დღევანდელი დღე,
რომელსაც ბლომად ლურჯი მელანი
დაალვარა ღმერთმა,
ხოლო ხვალ რა იქნება, ეს ზამთარმა
იცოდეს
და მისმა სუსხიანმა სასოწარკვეთამ...

• • •

თავს თუ ვინმეს მოვაკვლევინებ,
ისევ, იალბუზის მთას, ზვავებიანს,
მეცოდინება, მაინც, რომ უანგაროდ
მომკლა,
რადგან არც შური აქვს ჩემი,
არც შიში,
რომ წყობილსიტყვაობაში ვაჯობებ...
თან, იქნებ, ზვავის ხმას რომ გაიგებს
და ჩემს ატირებულ ძაღლს დაინახავს,
რაღაც ეტკინოს გულში ადამიანს —
ჩემს მეზობელს, მეგობარს, ან, სულაც,
უცხოს,
მოსწყდეს ფუფუნებას,
სახლის მოოქროვილი კოლოფიდან
გამოძვრეს
და ჩემსკენ წამოვიდეს.
გზაში ადიდებული მდინარეები
შეხვდეს,
სოფლების წამლეკავი,
ბავშვებით დახუნძლულმა ხეებმა

შესჩივლონ: — მიშველეთ!
გარღვეული სახლებიდან
უმწეო ფუძემ გამოანათოს
და აუჩვილოს ტელევიზორის ჭიატით
ლურჯად გაგრილებული გუნება...
იქნებ, მაშინ იგრძნოს
როგორ კლავს თოვლი,
თითქოს, ვარდის ბუჩქი ამოგისვეს
თვალებში,
ან უპატრონო კნუტები ჩაგიყარეს შიგ,
როგორც ჭაში და ისინი გფხაჭნიან
განწირული ბრჭყალებით...
თუ არ შეეშინდება ამსიღრმე ჭის,
მე იმასაც ვეტყვი, როგორ დავიღალე
სიტყვების ყვირილით,
რომლებიც იკარგებიან უგზო-უკვლოდ,
რადგან მათი მკაფიობა
თითო-ოროლა ადამიანის სიყვარულზეა
დამოკიდებული,
ხოლო ლექსი რომ გათქმევინონ,
ისე უნდა უყვარდე,
როგორც საკუთარი თავი, შვილი,
უკიდურეს შემთხვევაში —
ერთგული ძაღლი, ან სახლის ფუძე,
რომელიც მათი გულისთვის
თავს მოაკლევინებს
იალბუზის მთას, ზვავებიანს...

## კენტავრი

ისე დავდივარ შემოდგომის ქუჩებში,
თითქოს, ყვითლად შემიგუბდა სუნთქვა.
გუშინდელი ბრინჯაოს ჭაღები,
გაჩახჩახებული,
ატირებულ, მხრჩოლავ სანთლებად
გადაიქცა,
დაიწვა ყველა ელსადგური...
ბადაგივით ტკბილი გახდა
ადამიანების ურთიერთობა,
რასაც 220 ვოლტი ძაბვის ენაზე
გაუცხოება ერქვა.
ხეებს დაევალათ ქალაქის განათება,
ყვითელს,
წითელს — სიყვარულის წახალისება,
ხოლო ზოგიერთების
კარაქიანი პურითა და ცხელი ჩაით
დაოკებულ ვნებას
ფუთი მარილის ჩაყრა პირში
და მარადიულ მწყურვალედ გადაქცევა.
ამ საქმიდან კი არ შეიძლება პოეტი
არ გამოდნეს,
რომელსაც ხმა თუ არ ეყო,
ქალაქის ფანჯრებში გამოკიდებულ
ყველა გალიას შეაგროვებს,
მომღერალი ჩიტებით სავსეს
და სახმო სიმებზე ჩამოიკიდებს,
ცეცხლს წაუკიდებს
გახამებულ თოვლისფერ ლოგინებს,
რძის ფხვნილით სავსე ქილას
ხზოს გააჩენინებს,
სიყვარულის ენით გალოკილს...
გაუგებენ კი
ოცნებას გადაჩვეული ადამიანები,
თუ ბადაგის სიტკბოთი
ღვიძლატკივებულები
საკუთარ ნაღველში ამოწობილ
ისარს ესვრიან კაცს,
რომელიც წელს ქვემოთ ცხენია,
რადგან მანქანით ვერ იარა
ამ ვიწრო და დამხრჩვალ ქუჩებში,
ვერ დაჯაბნა საწყლები,
ხალხიც შეეცოდა,
მაძღარი, კმაყოფილი, ამპარტავანი,
მაგრამ შიშველი ბარტყივით უმწეო
დროის წინაშე
და შხამიანი ენებისა და ისრების
სამიზნედ გადაიქცა,
როცა ისედაც ტკიოდა ზურგი
მაგიდასთან ჯდომისგან და წერისგან
და ახლა მთელი ტკივილი
ხერხემალში დაუგროვდა,
მაგრამ არც ხმა ამოუღია,
არც წიგნი აუფარებია,
ისე კვდებოდა...
შემოდგომა იყო ისეთი სველი და
ფერიანი,
თითქოს ყვითლად შემიგუბდა
სუნთქვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სევდიან გუნებაზე დაწერილი ლექსი

ერთადერთი, რაც გამაჩნია
განუყოფლად ჩემი — ეს არის სევდა,
რომელიც მემკვიდრეობით კი არ მივიღე,
როგორც საკმაოდ ხორციანი ფეხები
და დახვეწილი ხელის მტევნები
წითელი და ცისფერი წინაპრებისგან,
ის საკუთრად ჩემი იყო
და ისე აშკარად გამოხატული,
ასი ბავშვი რომ კბილების ქავილამდე
ტკბილ რძეს სვამდეს
და, მხოლოდ, ჩემს ჭიქაში ერიოს ხსენი...
ან, უცებ, ამ მხიარულ, ლაყლაყა ბავშვებში
ისეთი ფერწასული გამოვჩნდებოდი,
თითქოს, გასანთლულ ძაფზე ასხმული
პეპლები მესროლა ვიღაცამ...
იქნებ, უკვე მაშინ ვიცოდი,
როგორ ტირის მიწის სიღრმეში
დაუმწიფებელი პური
ან რა უმწეოდ სუსტი და წვრილია
გახამებულ საყელოში ჩატენილი ყელი...
ხოლო თავბრუ იმიტომ მესხმის,
რომ ჩემს ტვინში მუშაითი კიდია თავდაყირა,
რომელმაც ფუძის ძვალი მოიტეხა
და ახლა ისღა დარჩენილა
გასანთლული ძაფით ერთმანეთზე მიკერებული
პეპლები მაყაროს
და მეტი გაფერმკრთალება რომ
აღარ შეიძლება,
სრულიად გამჭვირვალე და გაუგებარი
დამტოვოს
ჩემს ჯანსაღ, მშვენიერ, მზეგადაყლაპულ
ახლობლებში,
რომლებსაც სულ არ ჭირდებათ იმის ცოდნა,
როგორ ტირის მიწის სიღრმეში
დაუმწიფებელი პური
ან რა სუსტი და გალეულია
გახამებულ საყელოში ჩატენილი ყელი...
ამიტომ ჩემს თვალსაჩინოებას
სიყვარულით არბილებენ, ათოებენ, ამსუბუქებენ,
და, უკვე, მე თვითონაც დამაჯერეს,
რომ ჩემს ტვინში
თავდაყირა დაკიდებული მუშაითი
უმჯობესია ჭირხლმა შეჭამოს,
როგორც გვიან და უაზროდ
ამოსული პური...

## გადასახლება

ორი თვით გადამასახლეს ყოფაში —
ავადმყოფობაში, კედლებისა და ჭერის შეკეთებაში,
წამდაუწუმ ვისინჯავ მაჯას, წნევას ვიზომავ,
ხელოსნებს ვევაჭრები და ვეპირფერები...
მეგობარი მირეკავს, რომელიც, თურმე ჩემს დღეშია:
ყელი ტკივა, გული უფრიალებს,
სახურავი თავზე ენგრევა
და მეუბნება, რომ მობეზრდა სიცოცხლე
— რას ამბობ, — ვიოცებ მე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეიძლება მოგბეზრდეს
ფორიაქი მზესა და მთვარეს შორის.
სადღაც, შუაში, თოვლიც რომ
გაეპარება ცას
დაკარგული მძივივით,
ან, სულაც, უქმური, საცერში
გატარებული
წვიმები რომ დაგლღიან
და, უცებ, აყვავებულ ატმის ხეს
გადმოაგდებს ღმერთი,
საიდანღაც ვარსკვლავებიდან,
ისეთ ვარდისფერს...
მეგობარი უგულოდ მეთანხმება,
ალბათ, ვერ დავარწმუნე,
მე კი ვუბრუნდები ჩემს გადასახლებას
აქვე, ორ ნაბიჯზე საწერი მაგიდა დგას,
რომელიც ანდამატივით მიზიდავს,
მაგრამ ახლა მასთან მისვლა
მყინვარზე ასვლას უდრის,
მე კი სულ მომიდუნდა
მთამსვლელის ჟინი და თავგანწირვა...
საღამოს ტელევიზორში ვხედავ,
როგორ ინგრევა სვანეთი,
წყლით იფარება სამეგრელო,
ნიკორწმინდას ფრთებს ატეხავს ზვავი
მე კი ვზივარ საკუთარი სახლის
მყუდროებაში
და სევდა მჭამს —
სამშობლო მენატრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მალაზონია

# ...სტუმრები

## მოთხრობა

გზა არს რამე, რომელი წინაშე თვალთა კაცთასა წრფელ იყოს, ხოლო დასასრული მისი მიმყვანებელი მთხრებლად ჯოჯოხეთისად.

იგავთა. 14, 12.

ერთმანეთს თევზაობისას გადაეყარნენ ამ ათი-თორმეტი წლის წინათ დეკემბრის სუსხიან საღამოს და მას აქეთ მხრებზე გადაკიდული ბადეებით ალმა-დალმა დადიოდნენ შეფიცული ძმებივით. იონა ჯაში, ეგნატე ხომერიკს და ბათუ ოდიშარიას მოგვიანებით ზაზა მენაბდეც შეუერთდა და სულ მოკლე ხანში ღელეც არ დაუტოვებიათ აქვეყნად დაუზვერავი. ერთმანეთი პირველი შეხვედრისთანავე მოუვიდათ თვალში და ამის მიზეზი ის იყო, რომ ბადის სროლა ყოველ მათგანს სიცოცხლეს ერჩია. თევზი მაინცდამაინც არ უყვარდათ, მუდამ ახლობლებს ან მეზობლებს ურიგებდნენ დაუყვედრებლად. ოღონდ ბადე ესროლათ მდინარეზე და, შინ ხელცარიელიც რომ დაბრუნებულიყვნენ, მაინც კმაყოფილი იყვნენ. სხვა მხრივ მათ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ, პირიქით, ამქვეყნის ავ-კარგი იმდენად განსხვავებულად ესმოდათ, რომ ყოველგვარ დავას თუ კამათს გაურბოდნენ კიდეც. ასე იყო თუ ისე, სათევზაოდ წასვლა უერთმანეთოდ ვერც წარმოედგინათ.

ასაკით თითქმის ტოლები იყვნენ — ორმოცდაათს მიტანებულები. ეგნატე ხომერიკი თუ იქნებოდა ოთხი, ხუთი წლით უფროსი, ჯუჯა ტანის, უწვერულვაშო, მკვირცხლი, კამათის მოყვარული, ყოვლისმცოდნეობის პრეტენზიის მქონე მასწავლებელი, საგნებს შორის რატომღაც არითმეტიკას რომ ალმერთებდა. ადრე გამელოტებულ, დევური აღნაგობის ბათუ ოდიშარიას უცნაურად სუსტი მკლავები ჰქონდა, შავი ულვაში, ჭროღა თვალები და როხროხა ხმა, მოზომილი, თითქოსდა დასწავლილი ნაბიჯებით დაიარებოდა თითქმის ოცდაათი წელი ერთ-ერთ ანსამბლში მღეროდა თავდაუზოგავად. მაღალი, თითქმის ჩონჩხად ქცეული ზაზა მენაბდე პირტიტველი იყო, სიტყვაძუნწი და ზანტი მიხრა-მოხრის. ადრე ათასგვარი ხელობა ემარჯვებოდა, ახლა კი არავინ იცოდა, თევზაობის გარდა რას აკეთებდა. იონა ჯაში დურგალი იყო, საშუალო ტანის, ქერათმიანი ხელოსანი, ჩაკუნთული, პირმცინარე და თხელულვაშა. ჰყავდა ოთხი შვილი და მშვიდი, გულისხმიერი, გამგონი და ოჯახს თავშემოვლებუ-

ლი მეუღლე. თითით საჩვენებელი დურგალი იყო, ოქროს ხელები ჰქონდა, მაგრამ თავგადამკვდარი მუშაობა მაინცდამაინც არ უყვარდა და ხალხიც ზარმაცს ეძახდა.

ქალაქის გარეუბანში ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ.

სათევზაოდ წასასვლელად უმეტესწილად ეგნატე ხომერიკთან იკრიბებოდნენ და სიხარულისგან ბავშვებივით აღტკინებულები გზას რომ დაადგებოდნენ, აღმა-დაღმა ხეტიალისას დიდი ხნის წინათ მიტოვებული სოფლები აგონდებოდათ, ის სოფლები, სადაც პირველად უსვრიათ ბადე ჩხრიალა მდინარეებსა თუ ყინულივით ცივ ტბებში. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ წვრილშვილიანი ზარმაცი დურგლის იონა ჯაშის გამოისობით, ფეხს ვერ ადგამდნენ შინიდან. ეს ღალატს ნიშნავდა მათთვის. პირველი, ვინც ცოფდებოდა, რა თქმა უნდა, ეგნატე ხომერიკი იყო, რომელსაც ჰკუის დარიგება და ადამიანის შეურაცხყოფა ბადის სროლაზე ნაკლებად არ უყვარდა. მერე მას დანარჩენებიც აჰყვებოდნენ და წვრილშვილიან იონა ჯაშს მიწასთან ასწორებდნენ. უცნაური ის იყო, რომ თითოეულ მათგანს რატომღაც მოვალეობად მიაჩნდა „ზარმაცი" დურგლისთვის ჭკუა დაერიგებინა, თუმცა არავინ იცოდა ვინ შეარქვა და რატომ ეძახდნენ იონას ამ სახელს. და მაინც ხალხში ისე იცნობდნენ, თითქოს ლუკმის დაღეჭვაც ეზარებოდა. მაგრამ ხელობას ვერავინ უწუნებდა. ის კი არადა, ცხრა მთას იქით რომ კარგი დურგალი დასჭირებოდათ, უსათუოდ მას მიადგებოდნენ შინ. ამას გარდა, ჭის ამოთხრა რომ მოესურვებოდა ვინმეს, ასეთი გუმანი ჰქონდა, სადაც ბარს დაჰკრავდა, წყალი ამოჩუხჩუხდებოდა. ცივი წყაროს მიგნება აღმა-დაღმა ხეტიალისას ისევე შეეძლო, როგორც მწევარს ნაკვალევზე გეშის აღება. ამიტომაც ეძნელებოდათ სათევზაოდ უიმისოდ შინიდან ფეხის გადგმა.

ერთხელაც, ადრიან გაზაფხულზე, ჩვეულებისამებრ, ეგნატე ხომერიკთან მოიყარეს თავი და ბჭობა გამართეს, როდის წასულიყვნენ ბადის სასროლად. გასულ ზამთარს ისეთი დიდთოვლობა მოჰყვა, რომ მთა და ბარი ახლაც გადათეთრებული იყო.

იონა ჯაში, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც საეჭვოდ იგვიანებდა. გულმოსასვლელი ის იყო, რომ არავინ იცოდა, გამოჩნდებოდა თუ არა ბოლოსდაბოლოს. უკვე შესაღამოვდა, მაგრამ ზარმაცი დურგალი არსად ჩანდა. მოთმინებადაკარგულმა და გაწიწმატებულმა ეგნატე ხომერიკმა იონა ჯაშის ხოტბა-დიდება წამოიწყო:

— სულ ერთი და იგივეს გონებაშეზღუდულებს უჩიჩინებენ, რამდენადაც მე ვიცი, — ტუჩების კვნეტით გაიძახოდა იგი და ბუხრით გამთბარ დაბალ პალატში დამდუღრულივით ადგილს ვერ პოულობდა.

— ასეა, კი, — ნაძალადევი ოხვრით კვერს უკრავდა ეგნატეს ბათუ ოდიშარია.

— სულ დაკარგა სინდისი, — ხელი ჩაიქნია ბუხართან დაყუდებულმა ზაზა მენაბდემ, დაბალ ჭერს უნებურად თავი აარტყა და დაშინებული სამფეხა სკამზე დაჯდა.

ეგნატე ხომერიკი ჩქარი ნაბიჯით პალატის სარკმელს მიუახლოვდა, მოწმენდილ ცას ახედა და მერე თოვლით დაფარულ ეზოს მოავლო თვალი.

— ასეთი ამინდი უნდა დავკარგოთ იმ უტვინოს გამოისობით? — წამოიძახა სახეაფაკლულმა ეგნატემ და თავი დანანებით გადააქნია, — თუმცა, უწიგნურს რა უნდა შეაგნებინო, — დაუმატა და თითქოს გული მოიფხანაო, თავდაჯერებული თუ თვითკმაყოფილი ბოლთის ცემას მოჰყვა. ზაზა მენაბდემ რამდენჯერმე გამეტებით მუხლზე ხელი დაირტყა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ფიცრული კარი ჭრიალით გაიღო, პალატაში იონა ჯაში შემოიძურწა, ქუდი მოიხადა და დამნაშავის ღიმილით კედელთან ისე აიტუზა, არავის მისალმებია. ზარმაცი დურგლის მოულოდნელი გამოჩენა ისე გაუხარდათ, რომ წყენა თუ ბრაზი იმწამსვე გადაუვარ-

დათ გულიდან და ბავშვებივით აქლურტულდნენ. ბათუ ოდიშარიამ სიმღერაც კი შემოსძახა. მხოლოდ ეგნატე ხომერიკი იდგა გაქვავებულივით და სიხარულს არ იმჩნევდა. იონამ დაიმორცხვა, თავი ჩაღუნა და რაღაც ჩაიბუზღუნა, მაგრამ, ზღრიალსა და აყალ-მაყალში მისი ნათქვამი რომ ვერავინ გაიგონა, ნირწამხდარმა სათითაოდ თვალი მოავლო ყველას და სასოწარკვეთილი ხმით ხმამაღლა წამოიძახა:

— ვერ მოვდივარ მე! ვერ მოვდივარ!

ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ ბუხარში შეყრილი შეშის შიშინი არღვევდა.

— რაო, რა თქვი? — წამოიფოფრა ეგნატე ხომერიკი და ზარმაც დურგალს მომაკვდინებელი მზერით თვალებში ჩახედა, — აბა, ერთი გაიმეორე!

— ვერ მოვდივარ, — ისე ამოღერღა იონა ჯაშმა, თითქოს ეშაფოტზე მდგარიყოს.

ეგნატე ხომერიკი რამდენიმე წამს თვალმოუშორებლად მისჩერებოდა, მერე სახე დაემანჭა, ნიკაპი აუკანკალდა, ელვის უსწრაფესად შებრუნდა, პალატის გასასვლელთან გაჩნდა და კარს ღონიერად წიხლი ჰკრა. ყველას ეგონა, რომ თვითონ ტოვებდა იქაურობას, მაგრამ მოულოდნელად იონას კუშტად მოხედა და მუქარით ხმადაბლა უთხრა:

— სადაც გინდა, იქ წადი! ოღონდ, იცოდე, რომ დღეიდან ბადეს ველარ ელირსები!

ასეთ გულქვაობას და დაუნდობლობას ეგნატესგანაც არ ელოდნენ და ყველანი გაისუსნენ.

— კაი ახლა, თუ კაცი ხარ, —ამოიკნავლა ბათუ ოდიშარიამ, — იქნება ისეთი საქმე აქვს, რომ...

— ჩვენ მოცლილები ვართ! — ნიშნისმოგებით გააწყვეტინა სიტყვა ეგნატემ, — მარტო ამ ვაჟბატონს ახსოვს საქმე და საზრუნავი! — წამოიყვირა მერე ისე, რომ იონასთვის თვალი არ მოუშორებია.

— იქნებ ვერაა კარგად, — შემრიგებლური ტონით ჩაილაპარაკა ზაზა მენაბდემ.

— ან, ხომ შეიძლება ოჯახში ჰყავდეს ვინმე ავად; ვკითხოთ ჯერ, — გათამამდა ბათუ ოდიშარია.

— თუ ასეა, მაშინ თქვას, რაა მიზეზი, რომ ასე იოლად გადაგვიდგა, — უცებ გული მოიბრუნა ეგნატემ და კარი მოხურა.

— თქვი, იონა, რატომ გვწირავ, — ხვეწნითა და მუდარით უთხრა ზარმაც დურგალს ზაზა მენაბდემ.

ისევ გაისმა ბუხარში შეყრილი შეშის შიშინი.

— მეზარება, — ჩაიბუზღუნა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ იონამ და ორივე ხელით ქუდს დაუწყო წვალება.

— ასე იცის ზედმეტმა ფერებამ! — ისევ წამოიყვირა ეგნატემ და ბოლთის ცემას მოჰყვა.

ზარმაცი დურგლის ჯიუტი ხასიათი კარგად იცოდნენ თავგადაკლულმა მებადურებმა — თუ მოეპრიანებოდა და ჯორზე შეჯდებოდა, ძირს ჩამოსვლას სიკვდილი ერჩია. ამიტომაც ყველანი გაჩუმდნენ და ბედს შეეგუენ, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, რიგრიგობით ჭკუის დარიგება დაუწყეს.

— ზარმაცს ტყუილად არ გეძახიან შენ, — თქვა ზაზა მენაბდემ, კართან მდგომ მორცხვად მომღიმარ იონას გახედა და ნელა წამოიმართა, იმის შიშით, ჭერს თავი არ ავარტყაო. მერე, წელში ოდნავ წახრილი ტახტთან მივიდა, იქვე მიგდებულ კურტაკს ხელი დაავლო და ჩაცმას შეუდგა.

— ხალხი ბრძენია, ბრძენი! — ისე წამოიძახა ეგნატე ხომერიკმა, რომ ბოლთის ცემა არ შეუწყვეტია, — ყველას და ყველაფერს თავის სახელს არქმევს!

იონამ უნებურად მხრები აიჩეჩა, მომღიმარმა თავი გადაიქნია და ფეხების ბაკუნს მოჰყვა, როგორც სჩვეოდა, როცა უხერხულობას გრძნობდა.

— სიზარმაცე დაგღუპავს შენ, — ახლა ბათუ ოდიშარია მისდგა დურგალს, — ხელის განძრევა რომ არ გეზარებოდეს, ქოხის ნაცვლად ქარვასლა

გექნებოდა დღეს. არც შენი იცი და არც სხვისი გჯერა. ჩვენთან წამოსვლა და ჰაერზე ყოფნა მუშაობის ხალისს მოგცემდა, ხელს გაანძრევდი და ოჯახსაც წაადგებოდი.

— მოეშვით, ბატონო, ამ კაცს, — უცებ შეჩერდა და ვითომდა ხვეწნითა და მუდარით წამოიძახა ეგნატე ხომერიკმა, — თვითონ იცის თავისი საქმე.

იონა გრძნობდა თავის დანაშაულს, ნირწამხდარი ქუდს აწვალებდა ისევ, თვალი ყოველ წამს გაქცევაზე ეჭირა და მოთმინებით იტანდა ძმების დაცინვას. ბოლოს, როცა ლანძღვაც დაუწყეს, კარისკენ შეტრიალდა, სახელურს დასწვდა და გაირინდა .ეს უკვე დამუქრებას ნიშნავდა, მაგრამ არავინ გამოსდევნებია. მაშინ იონამ კარი გამოაღო, ზღურბლზე გადაალაჯა და შეჩერდა.

— წადი, წადი, რა გაქვს ჩვენთან საერთო, — მიაძახა ეგნატე ხომერიკმა, — უშენოდაც გავძლებთ რამენაირად.

— გტოვებ, ხომ! სულ დაკარგე სინდის-ნამუსი, — დაედევნა იონას ბათუ ოდიშარია.

— თავი გაანებეთ! — მთელი ხმით იყვირა წამოჭარხლებულმა ეგნატემ.

იონა შემობრუნდა და ძმებს ახლა წარბმოღუშულმა გამოხედა. მერე ორიოდე გრძელი ნაბიჯით გამოღებულ კარს მიადგა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— რა გინდათ ჩემგან, არ მაქვს უფლება, ჩემს ნებაზე ვიარო?

— ცოტა გაინძერი-მეთქი, გეუბნები და ვერ შეგაგნებინე, — უცებ მოლბა თითქოსდა იონას სიზარმაცით შეწუხებული ეგნატე, სინამდვილეში კი მოეჩვენა, რომ დურგალი სათევზაოდ წასვლაზე დაიყოლია. ზაზა მენაბდემაც და ბათუ ოდიშარიამაც იგივე გაიფიქრეს.

— მიხედეთ თქვენს თავს, — ხმას აუწია უცებ იონამ და ყველანი სათითაოდ მუქარით შეათვალიერა.

— ახლა აქეთ გვიყვირი?! — დაიბნა ეგნატე, სახე ისე წამოუჭარხლდა და იმედდაკარგულმა შეჰყვირა: — თავს ხომ არ გაგივიდა ძალიან! შენ რა ღირსი ხარ ჩვენთან იარო! შენნაირმა კაცმა ბადის ნაცვლად ცარიელი ტომარა უნდა გადაიკიდოს მხარზე!

ეს უკანასკნელი სიტყვები იონასთვის იმდენად მოულოდნელი, თავზარდამცემი და შეურაცხმყოფელი იყო, რომ ადგილზე გახევდა, ხმის ამოღებაც ვერ შეძლო. თავისივე დაუნდობლობით შეცბუნებული თუ გაოცებული ეგნატე ზარმაც დურგალს თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდა. ბათუ ოდიშარიას და ზაზა მენაბდეს ნიკაპი აუთამაშდათ, ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს ძმა სასიკვდილოდ გაემეტებინათ, რამდენიმე წამის შემდეგ იონამ ჯერ რაღაც ამოიზმუვლა, მთელი ტანით შეირხა და მერე დამუქრებით ხმამაღლა დაიყვირა!

— დილით ექვსზე გავდივართ აქედან!

თქვა თუ არა ეს, ქუდი თავზე ჩამოიფხატა, შებრუნდა და გრძელი ნაბიჯით ეზოში გაბოტა.

რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღიათ. ყველასთვის მოულოდნელად ბათუ ოდიშარიას, ალბათ თავის სიცოცხლეში პირველად, ნიკაპი აუთამაშდა. ამ სასწაულმა ეგნატე თითქმის გამოაფხიზლა და ახლა წარბგახსნილი და ოდნავ დაბნეული ისეთი თვალებით იყურებოდა წინ, რომ ვერავის ხედავდა. ზაზა მენაბდეს კისერი წაეგრძელებია და პალატის კარს მიშტერებოდა.

* * *

ეგნატე ხომერიკი საკმაოდ უცნაური ბიოგრაფიის კაცი იყო: ბაქოში დაიბადა, არხანგელსკში გაიზარდა, უფაში სკოლა დაამთავრა, ვილნიუსში პედაგოგი გახდა, საინგილოში მასწავლებლობა დაიწყო, სამარყანდში დაქორწინდა, ტულაში ტყუპი შვილი შეეძინა, სიმფეროპოლში ცოლს გაეყარა, ზუგდიდში ორი სეზონი მსახიობობდა, გურიაში ბადის სროლა შეიყვარა და, ასაკში რომ შევიდა, დაღლილ-დაქანცულმა საბოლოოდ თბილისის გარეუბანში მოიკიდა ფეხი. მისი ამქვეყნად ხეტიალი მამამისის, სამსონის წყალობა იყო. ჩია ტანის სამხედრო ფერშალი

არმიაში მსახურობდა, და ბედი ხან საით მოისროდა, ხან საით. ის კი არადა, ერთხელ ეგნატემ, რამდენიმე თვით, სახალინზედაც ამოყო თავი. უმთავრესი მიზეზი მისი მომთაბარე ცხოვრებისა ის იყო, რომ მამამისს თავდავიწყებამდე უყვარდა და გვერდიდან წამითაც არ იშორებდა. ქართული წერა-კითხვაც მან შეასწავლა არხანგელსკში, რადგან დედა, თიანეთელი სანიტარი ქალი, ეგნატეს ამქვეყნად მოსვლას გადაჰყვა ბაქოში. ბავშვობიდანვე უცნაურობა დასჩემდა: ვისაც და რასაც თვალს მოჰკრავდა, იქნებოდა ეს მავთულებზე ჩამომსხდარი მერცხლები, გარნიზონის უფროსის სახეზე დაყრილი ჭორფლი, გამოღებული ფანჯრები, ფერადი ფანქრები, თაროებზე ჩაწყობილი პურები, მუნდირებზე მიკერებული ღილები, მატარებლის ვაგონში მყოფი მგზავრები თუ სხვა, ყველას და ყველაფერს გუნებაში დათვლიდა და მერე რატომღაც ორზე გადაამრავლებდა. ასეთი ახირება, როცა წამოიზარდა, ჩვევად ექცა და, ალბათ, ამანაც გაუმძაფრა არითმეტიკისადმი უსაზღვრო სიყვარული. თავის თანატოლებთან მუდამ ჯიუტი და ჯიბრიანი იყო. მოკვდებოდა და თამაშში პირველობას არავის დაუთმობდა. ფატი, მასზე უფროსი გურული ქალი, საინგილოში გაიცნო, სადაც მამამისის, სამსონის პოლკი იდგა იმჟამად, ხოლო თვითონ დაბალ კლასებში მასწავლებლობდა. ეგნატეს აზრადაც არ ჰქონია მისი ცოლად მოყვანა, რადგან გარეგნობითაც იწუნებდა, ასაკითაც და პროფესიითაც (ბუღალტრად მუშაობდა საავადმყოფოში), მაგრამ მოხდა თითქმის დაუჯერებელი რამ: როცა ერთხელ მოსწავლეებთან და ექიმებთან ერთად საინგილოდან ექსკურსიაზე სამარყანდში ჩავიდა, იქ ისეთი თვალით დაინახა ფატი, რომ მზეთუნახავად მოეჩვენა და იმავე დღეს დაქორწინდნენ. მერე ბედმა სიმფეროპოლში არგუნათ ცხოვრება, სადაც ეგნატემ, ღმერთმა იცის რატომ, ცოლზე გული აიცრუა და ღამეებს თვეობით ვიღაც ესტონელ ქალთან ათევდა. ეს ამბავი მთელმა ქალაქმა იცოდა. შვილზე ფანატიკურად შეყვარებული სამსონი, იმის შიშით, ეგნატესთვის გული არ ეტკინა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. ფატიმ დამცირებას და შეურაცხყოფას გაქცევა ამჯობინა, დაავლო ხელი ჩვილ ტყუპებს და უკვალოდ გადაიკარგა. ეგნატეც, თავისი ამპარტავნული ბუნების გამო, აღარ გამოჰკიდებია. ის კი არადა, მამამისთან ზოგჯერ ფატის მიწასთან ასწორებდა და დასცინოდა — არითმეტიკას მასხრად მიგდებდაო (სამსონი უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს, ტყუპი შვილიშვილი რომ შეეძინა ტულაში, მაგრამ მზად იყო კიდევ ათი რძალი გაქცეოდა, ოღონდ ეგნატე გვერდით ჰყოლოდა). ორი წელი მაინც ელოდა ფატი ქმარს და მერე, იმედი რომ გადაეწურა, გუნებაში მიაფურთხა არითმეტიკის მათაყვანებელ მეუღლეს და ერთი მილიციელი გაიჩინა საყვარლად.

მალე ეგნატე მამასთან ერთად სიმფეროპოლიდან ზუგდიდში გადაბარგდა.

...და იქ, სრულიად მოულოდნელად, არტისტულმა ცხოვრებამ გაიტაცა, გრიმი, პარიკი და სცენაზე დგომა ოცნებად ექცა და ისე აფორიაქდა, რომ რასაც ირგვლივ ხედავდა, გუნებაში უკვე აღარ ითვლიდა და, ადრე თუ არითმეტიკას ათაყვანებდა, ახლა კერპად თეატრი გადაექცა. ამის შემხედვარე სამსონს გული უკვდებოდა (რადგან მსახიობობა ცუნდრუკობად მიაჩნდა), მაგრამ კრინტს არ სძრავდა. მეორე სეზონზევე თეატრის აფიშებზე უცხო გვარი გამოჩნდა — ეგნატე ხომერიკი; და, ასე დაადგა ცხოვრებაში ახალ გზას ადრე არითმეტიკის მათაყვანებელი მასწავლებელი.

მაგრამ წარსდგა თუ არა მაყურებლის წინაშე ფოსტალიონის როლში (დარბაზში ზამთრის იმ საღამოს მხოლოდ წინა რიგები იყო დაკავებული), ეგნატეს ძვალ-რბილში გამჯდარმა ჩვევამ უნებურად პარტერში მსხდომი ხალხი გადაათვლევინა და ორზე გადაამრავლებინა. ამასობაში (სანამ ამ ამოცანას

გონებაში სწორ პასუხს მოუძებნიდა) სათქმელი გადაავიწყდა და სპექტაკლის უმთავრესი სცენა ჩავარდა. მსგავსი რამ შემდეგაც ხშირად ემართებოდა არითმეტიკის ყოფილ მასწავლებელს, ბოლოს და ბოლოს რეჟისორი მოთმინებიდან გამოიყვანა და ეგნატე ხომერიკი თეატრიდან თავაზიანად დაითხოვეს. სამსონს გულში უხაროდა ეს, რადგან იმედი მიეცა, გზასაცდენილი შვილი სკოლას დაუბრუნდებოდა და, როგორც თვითონ თვლიდა, ისევ „სერიოზულ", „საპასუხისმგებლო" პროფესიას მოჰკიდებდა ხელს. ეგნატეს (როგორც კი რეჟისორმა თეატრიდან წასვლაზე ჩამოუგდო საუბარი) პატივმოყვარეობა იმდენად შეელახა, რომ სცენა და საერთოდ ხელოვნება იმ დღიდან ჭირის დღესავით შეჯავრდა. გაბოროტებული შინ აღარ მიდიოდა და უკვალოდ გადაიკარგა. სამსონმა, რაღა თქმა უნდა, ვერ აიტანა მზესავით საფიცარ შვილთან განშორება (ღმერთმა იცოდა, სამუდამოდ თუ დროებით), დადარდიანდა, დასნეულდა და ეგნატეს გაქცევიდან მეხუთე თვეს მოკვდა. შვილი მხოლოდ გასვენებაზე გამოჩნდა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამსონი დიდის პატივით მიაბარეს მიწას ჯარისკაცებმა. ეგნატე ცოცხალ-მკვდარს ჰგავდა, და, ალბათ, ამიტომ აღარავის გაჰკვირვებია, ცრემლიც რომ არ გადმოვარდნია თვალებიდან...

მერე წამდაუწუმ ის დღე აგონდებოდა, როცა მამა მიატოვა და ისე ნანობდა თავის გულქვაობას, რომ მოსვენება დაკარგა, უძილობა დასჩემდა. რამდენიმე თვის შემდეგ, თითქოსდა დანაშაულის გამოსყიდვა სურდა, მოულოდნელად გადაწყვიტა იმ სოფელში ჩასულიყო და ეცხოვრა, სადაც სამსონმა ბავშვობა გაატარა. ასეც მოიქცა; სამეგრელოდან გურიაში გადავიდა და ხომერიკების დიდი ხნის წინათ გამოკეტილ ხის წაფერდებული სახლიდან კვამლი ავარდა. მეზობლობამ და მოგვარეებმა კარგად მიიღეს ეგნატე და ამას იგი მამის ხსოვნისადმი პატივისცემად ღებულობდა. ასეც იყო. იმხანებში ყურის მეზობელმა, ვიღაც წითურმა კაცმა ლორჯოებზე სათევზაოდ წაიყვანა. თავდაპირველად სოფელში რამდენიმე კვირით აპირებდა დარჩენას და მერე, თვითონაც არ იცოდა, საით გაუწევდა გული. მაგრამ, ერთხელ, მისდაუნებურად (ღმერთმა იცოდა, რატომ), მამისეული სოფლის ფლორით დაინტერესდა და იქაური მცენარეული სამყაროს ძირფესვიანად შესწავლა გადაწყვიტა, რადგან იმხანად მოეჩვენა, რომ თუ ამას მიაღწევდა, ცხოვრებაში სწორ გზას დაადგებოდა. ამ საქმიანობაში მანამ იყო ჩაფლული, სანამ ლუკმა-პურისთვის ფული ეყო და როცა (თვენახევრის შემდეგ) ჯიბე დაუცარიელდა, ისევ ზუგდიდს დაუბრუნდა ახალ გატაცებაზე უკვე ხელჩაქნეული. და, მაშინ, მამის ანდერძს მიაგნო შინ შემთხვევით, სადაც სამსონი გულისტკივილით უბარებდა შვილს, ჩამოშორებოდა „არტისტობას" ანუ „სამარცხვინო პროფესიას" და დაბრუნებოდა „მართალ და ყველასთვის საჭირო საქმეს — პედაგოგობას". ეგნატემ ამ წერილის წაკითხვისას მჯილისოდენა ცრემლებით პირველად იტირა მამა და უმალ სკოლას დაუბრუნდა (მისი გამოჩენა ყველას გაუხარდა, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც, რადგან გრძნობდნენ, რომ ამ „ჯუჯა და ფიცხ კაცს" კეთილი გული ჰქონდა). სკოლას რომ დაუბრუნდა, მივიწყებული არითმეტიკა მოაგონდა და ისევ იწყო ეგნატემ გუნებაში მისდაუნებურად ყველაფრის გადათვლა და ორზე გადამრავლება. ამ სასაცილო ახირებას თითქოს გადაჩვეული იყო, მაგრამ ნაცნობმა გარემომ მაინც თავისი უკარნახა. გარდა ამისა, სხვა უცნაურობაც სჭირდა ეგნატეს: არითმეტიკის ოთხი მოქმედებიდან განსაკუთრებით ემარჯვებოდა ორი — მიმატება და გამრავლება. შეცდომას (არც თუ იშვიათად) გაყოფასა და გამოკლებაში უშვებდა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, მუდამ მეტის, ბევრის შეძენაზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა, ასეთ მისწრაფებებს ნერვიულობა სდევდა და ვერც წარმოე-

დგინა, თუ ამქვეყნად სადმე მშვიდი ცხოვრება სუფევდა. ისე ჩაძირული იყო ყოველდღიურ წვრილმანებში, რომ სიკვდილის არსებობაც გადავიწყებული ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, წამითაც არ დაფიქრებულა ამ მარადიულ საიდუმლოებაზე. ეგნატეს ღრმად სწამდა, რომ თუ ცხოვრებაში ყველაფერი ბევრი ექნებოდა (ვთქვათ, ერთი ჩაქუჩის ნაცვლად თვრამეტი) ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ სწორ გზაზე იდგა. ყველგან თავის გამოჩენას ცდილობდა და ყველაფერში ყველასთან პირველობას ჩემულობდა. რა თქმა უნდა, ამას ვერ აღწევდა, რასაც თვითონაც გრძნობდა და დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა კიდევ უფრო უფორიაქებდა სულს. ერთხელ, მისდაუნებურად, წითური კაცი მოაგონდა და იმ დღეს, არც თუ მაინცდამაინც ხალისით, სათევზაოდ გასწია. შინ გვიან საღამოს დაბრუნდა ხელცარიელი, მაგრამ, გუნება ისე გამოუკეთდა, რომ თავის თავსაც ველარ სცნობდა: გულგახსნილი, სახეგაბადრული და გამხიარულებული წამოწვა დაობებულ ლოგინზე და დილამდე ისე უდარდელად ეძინა, რომ სიზმარში არითმეტიკაც კი აღარ დასიზმრებია. და, აი, მაშინ, ირწმუნა ეგნატემ, რომ ამქვეყნად მხოლოდ ის ადამიანი ცხოვრობს სწორად, ვისაც შეუძლია ბადის სროლა ყველაფერზე მაღლა დააყენოს. „არითმეტიკას წინ რა დაუდგება! ეს რახანია გადაწყვეტილია: არ უნდა ლაპარაკი! ოღონდ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არითმეტიკის გარდა, სხვა რამეც მოიძებნება ამ ქვეყანაზე“, — გუნებაში თავს იმართლებდა გაორებული ეგნატე და მალაზიებში ბადეს და მაღალყელიან რეზინის ჩექმებს დაეძებდა. მის ამ გატაცებას სკოლაში მორიგ ახირებად ლებულობდნენ და ბევრი დაუფარავად დასცინოდა კიდეც. ეგნატე ასეთ „თავგასულ ბრიყვებს“ (როგორც თვითონ ეძახდა მათ) ღვარძლიანი სიტყვებითა და ლანძღვა-გინებით პასუხობდა და ბოლოს იმდენს მიაღწია, რომ ბადით თევზაობას მტრებიც კი უქებდნენ. მალე დიდი თუ პატარა აიყოლია და ყოველ უქმე დღეს ბროლივით გამჭვირვალე მდინარეებში დააბოტებდა მათთან ერთად ფეხებდა-კაპიწებული. ეგნატეს ისე ეჭირა თავი, თითქოს სასწაულებრივი აღმოჩენისთვის მიეგნოს. ჭალებში ბადის სროლისას ყველას გვერდულად დგომას ასწავლიდა და უამრავ შენიშვნას აძლევდა შემწყნარებლური ღიმილით.

—ფინაჩურ თევზაობას შინ ხელცარიელი მისვლა გერჩიოთ! — უკიჟინებდა წამდაუწუმ თავის მრევლს და თუ ვინმეს ცხვირჩამოშვებულს ნახავდა, მხარზე ხელს მოუთათუნებდა და ამხნევებდა. ადრე თუ ყველაფერს ითვლიდა და ორზე ამრავლებდა, ბადით დაჭერილი თევზის დათვლა საძრახისად მიაჩნდა და მისდაუნებურად ამ უცნაურ დაანგარიშებას სულ გადაეჩვია!.. და ასეთ ახირებულ კაცს ყოველდღიური საქმეებიც ეხერხებოდა: ბაზარში ვაჭრობაც, საცხოვრებელი ოთახის იაფად დაქირავებაც, ჭრა-კერვაც და, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, სკოლაში სხვისი საათების ხელში ჩაგდებაც, ეს მაშინ, როცა ბადის სროლა თავს ერჩია.

ასე გადიოდა დრო და ეგნატეს წამდა, რომ ამსოფლად მისი არჩეული გზა სწორი იყო. ყოველ შემთხვევაში, მიაჩნდა, რომ სხვებზე მეტი ესმოდა ავიც და კარგიც და ამიტომაც არასდროს არავის არ უსმენდა. პირიქით, მოითხოვდა კიდეც, რომ ყველას მხოლოდ მისთვის დაეგდო ყური.

სულ მალე ეგნატე იძულებული გახდა სკოლიდან წასულიყო და აი, რა მოხდა: შემოდგომის ღრუბლიან კვირა დილას, როცა ბავშვებს თევზაობისას რიგრიგობით ათასჯერ გაკემსილ ბადეს ასროლინებდა, ერთ მოზარდს სიპ ქვაზე ფეხი დაუსხლტა, მდინარეში ჩავარდა და დახრჩობას ძლივს გადაარჩინეს. პირველად იმათ ამოიდგეს ენა, ვისაც ეგნატემ ბადის სროლა ძალით შეასწავლა და ისედაც თავი ჰქონდათ გაბეზრებული ჭკუის სასწავლებელი ლექციებით, ახლა, რადგან მიზეზი უპოვნეს (დახრჩობას გადარჩენილი ბავშვი

იმ დღეს ხმას ვერ იღებდა), ყველანი დაბეჯითებით მის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. მოწაფეების მშობლები ჩივილსაც კი აპირებდნენ. ეგნატემ ყველასთან შებრძოლება უაზრობად ჩათვალა და უხმოდ და უჩუმრად დატოვა სკოლა. ამის შემდეგ იგი დიდ ქალაქში გადავიდა, თავდაპირველად დროებით, მაგრამ მოხდა ისე, რომ საბოლოოდ იქ მოიკიდა ფეხი.

ასე დამთავრდა ეგნატე ხომერიკის ხეტიალი ამქვეყნად და მისი ცხოვრება გახდა ადრინდელთან შედარებით უფრო მშვიდი და უფერული. ოღონდ, ბადის სროლას ვერ შეელია და ძველებურად დადიოდა სათევზაოდ ქალაქიდან შორს, აღმა-დაღმა. ისევ პედაგოგობას დაუბრუნდა, ამჯერადაც დაწყებით კლასებში და პატარებს არითმეტიკისადმი უსაზღვრო სიყვარულს უღვივებდა. მერე ის იყო, თავის ძომავალ ძმებს — იონა ჯაშს, ზაზა მენაბდეს და ბათუ ოდიშარიას გადაეყარა შემთხვევით ბადის სროლისას. ამ დღიდან ეგნატე თავს აღარ გრძნობდა მარტოდ და მისი ცხოვრებაც უფრო აზრიანი გახდა.

* * *

ჩონჩხად ქცეულ წოწოლა ზაზა მენაბდეს ოთხი ცოლი ჰყავდა გაშვებული, როგორც თვითონ ამბობდა, აყალმაყალის გარეშე, რადგან თურმე არცერთმა შვილი არ აჩუქა და მისი ერთადერთი საზრუნავი მოხუცი დედ-მამის პატრონობა იყო. ადრე, სანამ დაქორწინდებოდა, ფილოსოფიით ყოფილა დაინტერესებული (თუმცა, სკოლა რომ დაამთავრა აღარსად უსწავლია) და ამონაწერებით სავსე რვეულებით ჰქონია ოთახი გამოტენილი. ისე კი, ლუკმაპურის საშოვნელად, მამის ხელობა — დალაქობა აირჩია. დადიოდა ხმები, რომ ზაზა მენაბდე ჩუმჩუმად რაღაც გამოგონებაზე მუშაობდა და საიდუმლო ნახაზები მუდამ თან დაჰქონდა, თითქოს იმის შიშით, სხვებს არ მიეგნოთ. სინამდვილეში კი ეს იყო ლექსებით და ძველი ბერძენი მოაზროვნეების გამონათქვამებით გავსებული ბლოკნოტები. ხშირად რაღაც გრანდიოზული საქმის გაკეთებაზე ოცნებობდა. ჩუმად ყოფნა უყვარდა და, თუ სადმე დავა ატყდებოდა, მხოლოდ მაშინ ამოიღებდა ხმას, რომელიმე ფილოსოფოსის სიტყვებს დამარცვლით წარმოთქვამდა და დამუნჯდებოდა. მერე, როცა ირგვლივ მიმოიხედა და ამონაწერების გარდა აღარაფერი შერჩა, დალაქის თეთრი ხალათი გაიხადა, რვეულები და ბლოკნოტები ნაკუწ-ნაკუწად აქცია და დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, თუ რა გზას სწეოდა, ბოლოს ირწმუნა, რომ ამქვეყნად სიმდიდრე ძალაა, ოქრო-ვერცხლი ყველაფრის წამალი და წვრილმან სპეკულიანტობას მიჰყო ხელი. როცა ცოტა ფული დააგროვა, მადა გაეხსნა და ყალბი საბუთების კეთებას შეუდგა, რის წყალობითაც ორი წელი პატიმრის ხალათი ხვდა წილად. ციხიდან რომ გამოვიდა, ერთხანს მზარეულად მუშაობდა, მაგრამ ამ საქმეს გული ვერ დაუდო და მღებავის ხელობა შეისწავლა. მოხუცი) მშობლებიც დაწყნარდნენ და კმაყოფილნი იყვნენ, რომ გზასაცდენილი შვილი ჭკუაში ჩავარდა. ამ ხნის განმავლობაში ზაზა მენაბდემ ოთხივე ცოლის გაშვება მოასწრო და დარწმუნდა, რომ ოჯახისთვის არ იყო გაჩენილი. რაც დრო გადიოდა, ნანობდა, ბრძნული აზრებით სავსე რვეულები რომ ნაკუწ-ნაკუწად აქცია: მეგობარი მას არ ჰყავდა, მოძღვრად თუ მასწავლებლად სახელდახელოდ ვინ დაუდგებოდა და ისევ წიგნებში დაეძებდა ამქვეყნად თავის სავალ გზას. მაგრამ, ვერც ბრძენთა ნააზრევში რომ სასურველს ვერაფერს მიაგნო, ძველი ხელობა გაიხსენა და დალაქის თეთრი ხალათი ჩაიცვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზაზა მენაბდემ იმ ხანებში ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია, ფარ-ხმალი დაჰყარა და გულჩახვეული და უკარება გახდა. ზოგჯერ ისეთი მტრული გამოხედვა ჰქონდა, რომ მისი სახის შემხედვარე დამფრთხალი კლიენტი წვერის გასაპარსავად სავარძელში აღარ უჯდებოდა. მერე ის იყო, ჯერ

მამა მოუკვდა მოულოდნელად (მეზობლისგან რამდენიმე ღერი სიგარეტი მიუტანა შინ, მაგიდაზე დაუყრია, თავის საწოლზე ჩამომჯდარა და იქვე სული დაულევია), სულ მალე დედაც გამოეტირა და მარტოდმარტოდ დარჩენილმა ლექსების წერა დაიწყო. სადალაქოში, როცა თავისუფალ სავარძელში ჩაესვენებოდა (კლიენტები, რაც დრო გადიოდა, იშვიათად ეკარებოდნენ), გულის ჯიბიდან ორად გაკეცილ გაცრეცილ ფურცლებს ამოიღებდა და ფანქრით ნაჯღაბნ სტრიქონებს საათობით ჩასცქეროდა. მაშინ იყო, ხმა რომ დაუყარეს — რაღაც გამოგონებაზე მუშაობს და ნახაზები თან დააქვს, სხვებს რომ ხელში არ ჩაუვარდესო. ლექსებს, რა თქმა უნდა, არავის აკითხებდა, მაგრამ ერთხელ გაბედა და კარის მეზობელს, მასზე ოდნავ უმცროს თმაგაჩეჩილ მხატვარ-ფოტოგრაფს მიუტანა გადათეთრებული რვეული. მოხდა ისე, რომ ზაზა მენაბდის პოეტობა მთელმა ეზომ შეიტყო, უფრო მეტიც, ზოგი მის დანახვაზე რომელიმე ლექსს პათეტიკურად წარმოთქვამდა, სხვები კი წარამარა სახლის კედლებზე აკრავდნენ პროკლამაციებივით. უფროსებს ბავშვებიც აჰყვნენ და დაცინვა აუტანელი გახდა. უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა ზაზა მენაბდემ და თმაგაჩეჩილ მხატვარ-ფოტოგრაფს იმდენი ურტყა, სამუდამო კანტუზია დამართა, და ხელმეორედ მოუხდა პატიმრის ცხოვრების გაცნობა, ამჯერად უფრო დაწვრილებით. ოთხ წელიწადს კოლონიაში კეთილსინდისიერად მუშაობდა (ურალს იქით ტყისმჭრელის პროფესიასაც დაეუფლა) და სხვების წაბაძვითა თუ წაქეზებით პურის ცომისგან, ცოცხებისგან, ხის ტოტებისგან და ათასგვარი ხარახურისგან ლამაზი და სასაცილო სათამაშოების კეთება ისწავლა. ზედამხედველი იმდენად მოხიბლული იყო ზაზა მენაბდის ნიჭით, რომ მას სასჯელის მოხდის შემდეგ გამდიდრებას უწინასწარმეტყველებდა. მართლაც, კოლონიიდან რომ დაბრუნდა, დალაქის ხალათის ჩაცმას სათამაშოების კეთება არჩია და ლუკმაპურის ფულიც მუდამ ჰქონდა. იმ ხანებში ერთმა მასავით წოწოლა ქალმა, რომელთანაც არც თუ იშვიათად იძინებდა, ბუში გაუჩინა. რაც დრო გადიოდა, სასაცილო და ლამაზ სათამაშოებს — კურდღლებს, მელიებს, დათვებს თუ მამლებს, ზაზა მენაბდეს ხალხი პირდაპირ ხელიდან გლეჯდა და ფულიც კარგა ბლომად დაუგროვდა. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს წოწოლა ქალმა პირწმინდად გაქურდა და ბუშიანად სადღაც უკვალოდ გადაიკარგა. ზაზა მენაბდეს აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს ამბავი, რადგან პატიმრობის წლებში ირწმუნა, რომ მხოლოდ ფულით ამქვეყნად საკუთარ გზას ვერ იპოვნიდა...

პირტიტველ სახეზე კი უკვე ნაოჭები გაუჩნდა, უფრო ზანტიც გახდა და საგრძნობლად დაეტყო. არადა, ორმოცს ისე გადააბიჯა, რომ მეგობარი არ ჰყოლია. თვითონვე გრძნობდა ამ სიცარიელეს, გამოყრუებულ სახლში ჯდომა აუტანელი ხდებოდა და სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა. მერე აღმა-დაღმა უმიზნო ხეტიალი დაჩემდა: სიამოვნებდა შინ შუაღამისას ქანცგაწყვეტილი რომ ბრუნდებოდა, რადგან ბოლო ხანებში შემოჩენილ უძილობას დაღლილობით ებრძოდა. უცნაური ის იყო, რომ ორჯერ ციხეში ნაჯდომი სიგარეტს ან არაყს დასანახავადაც ვერ იტანდა. რაც დრო გადიოდა, უჭირდა მარტოობა და კატებით აავსო ოთახი. მერე ცინდლები მის ნახელავ მელიებს თუ კურდღლებს ეთამაშებოდნენ და ეს იყო ზაზა მენაბდის ერთადერთი თავშესაქცევი.

ორმოცს გადაცილებულმა საკუთარ გზას რომ ვერ მიაგნო, სხვების ცხოვრებით დაინტერესდა, ირგვლივ მყოფ ხალხს თვალთვალი დაუწყო; ჭორიკანა დედაბერივით თითოეული მეზობლის ასავალ-დასავალი სურდა შეეტყო. მერე ბაღებსა თუ სკვერებში დადიოდა საღამოობით და ათასგვარ ამბავს იგებდა დიდისგან თუ პატარისგან. ზაზა მენაბდეს ყველაფერი აინტერესებდა — ვინ როგორ ცხოვრობდა, ვის რა აში-

ნებდა ან ვინ ვის მტრობდა ამ ქვეყანაზე. ბოლოს, კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ, დარწმუნდა, რომ თითქმის ყველა ოქრო-ვერცხლისთვის და სიმდიდრისთვის იკლავდა თავს და სავსე ქისას ყოვლისშემძლედ თვლიდნენ. თუმცა იგი, ჯერ კიდევ ადრე, კოლონიაში ყოფნისას მიხვდა, რომ ბედისგან განწირულ კაცს მილიარდერობაც ვერ უშველიდა. მაგრამ, რადგან ყოველ ნაბიჯზე ხედავდა, როგორ იბრძოდა ხალხი მეტი და მეტი ქონების შესაძენად, ისიც, სხვების ფეხს აყოლილი, ფულზე ფიქრით ათენებდა ღამეებს. და, მაინც, ბინის გაქურდვა ან ჯიბგირობა აზრადაც არ მოსდიოდა, თუმცა, ოღონდ გამდიდრებულიყო და სპეკულიანტობასაც გაიხსენებდა... თან იმის იმედი ჰქონდა, რომ ფული და ქონება სახელს მოუხვეჭდა.

სიკვდილზე კი არასდროს უფიქრია...

ერთხელ, შემოდგომაზე, ქალაქიდან გასვლა და ხეტიალი გადაწყვიტა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ფართო შარაგზას. მერე შეყვითლებული მინდვრებისკენ გადაუხვია და მოდიდებული მდინარის ნაპირს დაუყვა. როცა დაიღალა, ქვაზე ჩამოჯდა და წყალში კენჭების სროლას მოჰყვა. მოულოდნელად, შორიახლო, იმ ადგილას, სადაც მდინარე გუბდებოდა, სამი ფეხებდაკაპიწებული მებადური დაინახა. მოჰკრა თუ არა მათ თვალი, მოჯადოებულივით გაირინდა და დიდხანს გაუნძრევლად იჯდა. მეთევზეები გვერდიგვერდ იდგნენ და მდინარეში ბადეებს რიგრიგობით ისროდნენ. ზაზა მენაბდე მონუსხულივით უყურებდა შორიდან, და მერე, როცა სამთავე მდინარეს ალმა აუყვა, ქურდულად აედევნა. იგი კარგა ხნის შემდეგ წინ მიმავალმა ეგნატე ხომერიკმა შეამჩნია, სახე მოექუფრა, შეჩერდა და თავის ძმებს გაგულისებით, თითქმის ყვირილით მიაძახა:

— მგონი ვიღაც მოგვიგზავნეს! ამ აყლაყუდას, ალბათ, ბრაკონიერები ვგონივართ!

იონა ჯაშმა და ბათუ ოდიშარიამ უკან ისე მიიხედეს, რომ ნაბიჯი არ შეუნელებიათ და წოწოლა უცხოს დანახვაზე ბადეები მხრებზე უფრო მოხერხებულად მოიგდეს.

— დაბრმავდით თუ დაყრუვდით! — აღრიალდა მეგობრების გულგრილობით გაცეცხლებული ეგნატე და უცნობს მომაკვდინებელი მზერა ესროლა. ზაზა მენაბდე ისეთი შიშით და დამფრთხალი ღიმილით მიუახლოვდა მებადურებს, თითქოს მისი ბედი თუ ყოფნა-არყოფნა მათ ხელში იყო ახლა. სახეზე ცნობისმოყვარეობაც აღბეჭდვოდა, იმდაგვარი გამომეტყველება ჰქონდა, ლატაკი და წყალწაღებული ზღაპრულ განძს რომ წააწყდება მოულოდნელად.

იონამ და ბათუმ დამფრთხალი ღიმილით მომავალი უცხო რომ დაინახეს, შეჩერდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ბანდიტები სად უნდა ეძებო ამდენი აღარ იცი? — მაშინვე მიახალა ეგნატე ხომერიკმა ზაზა მენაბდეს, როგორც კი მიუახლოვდა და მებადურებს მოკრძალებითა და მოწიწებით მიაჩერდა.

— ჩვენ თუ დასაჭერი ვართ და... — წამოიწყო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბათუ ოდიშარიამ, მაგრამ რატომღაც დაშინდა, ტუჩები მოიკვნიტა და მხრები უხერხულად შეათამაშა.

— რა გვაქვს სახვეწარი ან დასამალავი! — წამოიყვირა ეგნატე ხომერიკმა და მენაბდისკენ მუქარით ნაბიჯი წადგა.

— ბრაკონიერებს ჩვენ თვითონ დავდევთ, თითქოსდა თავისთვის ჩაიბუზღუნა იონა ჯაშმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა მხოლოდ მდინარის ტალღების შხუილი.

— სათხოვარი მაქვს თქვენთან, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ზაზა მენაბდემ და მებადურებს მუდარის თვალით დაუწყო ყურება.

— რა გნებავს, — მაშინვე დამცინავად მიახალა ეგნატემ უცხოს და კიდევ ორი-სამი ნაბიჯით წაიწია მისკენ..

— ბადე მასროლინეთ ერთხელ მაინც, — ისეთი ხვეწნითა და ვედრებით ამოილუღლუღა ზაზა მენაბდემ, თითქოს

სიცოცხლის შენარჩუნებას თხოულობდა.

წოწოლა უცხოს ამ სიტყვებმა ეგნატეს და მის ძმებს აფიქრებინეს, რომ მასხრად იგდებდნენ და კოპები შეკრეს. იონა ჯაშმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მხარზე გადაკიდული ბადე ღონივრად მოიქნია და ქვებზე დაანარცხა.

— დავიჯერო, ამიტომ მოგვდევ? — ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა ეგნატემ წოწოლა უცხოს და თავით ფეხამდე ახედ-დახედა.

— კი, — გულუბრყვილო ღიმილით უპასუხა ზაზა მენაბდემ.

— ა, ბატონო, თქვენი ნება იყოს, ისროლე, სანამ არ მოგწყინდება, — მოულოდნელად წიშნისმოგებით უთხრა ეგნატე ხომერიკმა და თავისი ბადე ფეხებთან მიუგდო.

— კიდევ სხვას ხომ არაფერს გთხოვ, — იჭვნეულად შეეკითხა ზაზა მენაბდეს ბათუ ოდიშარია.

— არა, არა, — მიამიტურად უპასუხა მან, — ოღონდ ბადე მასროლინეთ და თქვენზე ვილოცებ.

იონა ჯაშმა დაიჯერა წოწოლა უცხოს გულწრფელი სიტყვები და ახლა თანაგრძნობით შეათვალიერა იგი.

— კი, ბატონო, ჩემი ისროლე, — ხმა შეარბილა ბათუ ოდიშარიამ და თავის ბადიანად ზაზა მენაბდეს მიუახლოვდა.

— სათამაშოდ გვცალია ჩვენ? — გაჯავრდა უცებ ეგნატე და ძმებს წყრომით გადახედა.

— ისროლოს, რა დაშავდება, — გამოექომაგა უცხოს იონა ჯაში, ქვებზე დაგდებულ ბადეს ორივე ხელით დასწვდა და მენაბდეს გაუწოდა.

— სათამაშოდ და საცუნდრუკოდ არ წამოვსულვართ ჩვენ! — უფრო გაბრაზდა ეგნატე, მაგრამ მას აღარავინ უსმენდა.

ზაზა მენაბდემ ისეთი მოწიწებით ჩამოართვა იონა ჯაშს მძიმე ბადე, თითქოს მეფისგან ნაბოძები ძღვენი ყოფილიყოს, და სახეგაბადრული გაირინდა. მერე ეგნატეს წამით უნდოდ შეხედა, მდინარისკენ შეტრიალდა და წყლისკენ ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით წავიდა. ბადე ისე ეჭირა ორივე ხელით, თითქოს ურჩ ბავშვს ყურებით მიათრევდა და შორს, გაღმა, მოღიმარი იყურებოდა. ეგნატემ ამრეზილი მზერა დაადევნა; ბათუ ოდიშარიას და იონა ჯაშს ცნობისმოყვარეობა აღბეჭდოდათ სახეზე. ზაზა მენაბდე რომ ნაპირთან მივიდა, შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მდინარე გამოცდილ მეთევზესავით დაზვერა, მერე წელში ოდნავ მოიხარა, ბადის ერთი ფრთა მარცხენა მხარზე მოიგდო, მარჯვენა მუჭით მეორე ჩაბღუჯა, ხელი რამდენჯერმე გაიქნ-გამოიქნია და მძლავრად, ღონივრად გასტყორცნა. გაისმა ტყლაშუნი და იონა ჯაშის გამამხნევებელი შეძახილი:

— ყოჩაღ! კარგია! თევზიც რომ არ მოჰყვეს, არა უშავს!

ეგნატე ხომერიკმა ხელი ჩაიქნია და დამცინავად ჩაიღიმა. ბათუ ოდიშარია რატომღაც მოიხიბლა უცხოს ბადის სროლით და თავს აქეთ-იქეთ აქნევდა. ზაზა მენაბდემ წყლიდან ბადე ორივე ხელით ამოზიდა და რიყის ქვებს რამდენჯერმე დააფერთხა. ამის დანახვაზე ეგნატე გადაირია და წოწოლა უცხოს გულმოსულმა გასძახა:

— რას აკეთებ, თუ იცი! ტომარა ხომ არ გიჭირავს ხელში!

მაგრამ ამ დროს რიყის ქვებზე ლიფსიტა აფართხალდა და ამ ერთადერთ პატარა თევზს რომ თვალი მოჰკრეს, მონუსხულებივით გაირინდნენ. ზაზა მენაბდე ტუჩებს აცმაცუნებდა და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. პირველად ეგნატე ხომერიკი გამოერკვა და ალტაცება რომ ვერ დაფარა, ქვებზე მოფართხალე თევზისკენ გაქანდა კისრისტეხით. მას ბათუმ და იონამაც მიბაძეს და სამთავენი ყიჟინით დაცხრნენ ლიფსიტას. თევზი ხელიდან უსხლტებოდათ; რომ ვერ დაიჭირეს, თავი ანებეს და ხტუნაობა დაიწყეს. ზაზა მენაბდე ახლა მათ მიაჩერდა, სახეზე ღიმილი მოეფინა და ტან-ფეხი შეათამაშა. ბათუ ოდიშარიამ უძველესი წარმართული სიმღერა წამოიწყო. მერე

იონა ჯაში აცეკვდა, ეგნატე ხომერიკმაც თავი ველარ შეიკავა და დურგალს დუდღუნით გადაეხვია.

უხაროდათ რომ უცხო მტერი კი არა, მოყვარე აღმოჩნდა, ბადით მოჯადოებული და მოხიბლული. მათ ზეიმს თითქოს ქვებზე მოხტუნავე თევზიც კვერს უკრავდა. ბათუმ სიმღერა შეწყვიტა, უცხოს ხელი მხარზე დაუტყაპუნა, ეგნატეს გადახედა და თვალებით რაღაც ანიშნა. იონა ჯაშს არ გამოპარვია ეს და რამდენჯერმე თავი დააქნია.

— კი, უნდა მიგიღოთ, — უთხრა ღმეჭით ეგნატემ ზაზა მენაბდეს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

იქვე ქვებზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს გაეცვნენ... მერე, როცა ზაზა მენაბდე ეგნატე ხომერიკს, იონა ჯაშს და ბათუ ოდიშარიას დაუახლოვდა და მათთან მეგობრობამ სიცარიელე შეუვსო, მიხვდა, რომ მიაგნო იმას, რასაც ეძებდა.

ასე გადაეყარნენ ერთმანეთს წუთისოფლის შარაგზაზე.

* * *

დევური აღნაგობის ბათუ ოდიშარია ისე გახდა ორმოცდაათის, რომ სულ ღიღინებდა, ყველას უღიმოდა, დიდსა და პატარას ეფერებოდა, მდიდარსაც და ჯიბეგაფხეკილსაც სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ ქვეყანა რომ დაქცეულიყო, უბედურებას გულთან ახლოს არ მიიტანდა, რადგან უდარდელობა ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი. უსაშველო მჭამელი იყო და ღვინის მოძულე. სვამდა მხოლოდ მაშინ, ისიც ორ-სამ ჭიქას, როცა დააძალებდნენ და ისიც ტანჯვა-წვალებით სცლიდა სასმისს. მოგუდული, სასიამოვნო ბოხი ხმა ჰქონდა და არაჩვეულებრივი სმენა. თუ სადმე ახალ სიმღერას მოჰკრავდა ყურს, მაშინვე იმახსოვრებდა და აღარასოდეს ავიწყდებოდა. ჰყავდა ძვალ-ტყავად ქცეული ცოლი და გვიან შეძენილი თოთხმეტი წლის ბუთხუზა ბიჭი. სტუმრად წასვლა მისთვის ზეიმი იყო, შინ ვინმეს მიყვანა კი ეჯავრებოდა. მის ასეთ სიძუნწეს თუ ხელმოჭერილობას ახლობლებიც და შორეულებიც დასცინოდნენ, მაგრამ რახან დიდებულად მღეროდა, წარამარა ეპატიჟებოდნენ. ბათუს კი ვინ რას ლაპარაკობდა, ოდნავადაც არ აინტერესებდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ამქვეყნად ის იყო, რომ ყველაფერი ბევრი ჰქონოდა, იქნებოდა ეს ოთახი, ტანსაცმელი, ბროლის ჭიქა თუ კედლის საათი. ბადე ექვსი იყიდა, როცა თევზაობამ გაიტაცა, და მაინც ვერ იჯერა გული, სურდა კიდევ მეტი ეშოვნა. რვა წყვილი მარტო რეზინის ჩექმა ეწყო შინ, მაგრამ ხმარობდა ერთსადაიმავეს, დანარჩენებს ხელუხლებლად ინახავდა უზარმაზარ სარდაფში. საქმის კეთება და მიდგომ-მოდგომა ეხერხებოდა, ოღონდ საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის კი ნაბიჯსაც არ გადადგამდა, მუხლებშიაც რომ ჩავარდნოდნენ. გული მხოლოდ მაშინ მოსდიოდა, როცა სიძუნწისთვის ვინმე ისეთი დასცინოდა, ყველაფერი მასზე მეტი რომ ჰქონდა. ასეთებს გაურბოდა და მიპატიჟებაზედაც კი უარს ეუბნებოდა ავადმყოფობის მომიზეზებით. სპილოს ძალა ჰქონდა, მაგრამ საჯაროდ რომ ვინმეს მასხრად აეგდო, ხმას ვერ გასცემდა, იმდენად მხდალი იყო. ერთსა და იმავე სკოლაში სწავლობდა, ერთსა და იმავე გუნდში მღეროდა და ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრობდა. უცხო მხარეში ფეხის გადადგმა ეზარებოდა, რადგან ეშინოდა მოშორებოდა შეჩვეულ გარემოსა თუ ატმოსფეროს და ამიტომ თვითმფრინავში ან გემზე თავის სიცოცხლეში არ მჯდარა, მხოლოდ მატარებლით მგზავრობდა ახლომახლო დაბებში, ისიც მაშინ, როცა სხვა გზა არ ჰქონდა.

ღრმად მოხუცი დედ-მამა ჰყავდა, საკმაოდ ცნობილი ფარმაცევტები, რომლებზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდა და მზრუნველობას არ აკლებდა. ადრე მშობლები ცალკე ცხოვრობდნენ, როცა დაუძლურდნენ და მუშაობა აღარ შეეძლოთ, ბათუმ თავისთან გადაიყვანა და ძვალ-ტყავად ქცეულ მეუღლეს უბრძანა, დღედაღამ ფეხზე მდგარიყო. შვიდი თუ რვა წლის იქნებოდა, ერთად-

ერთი უფროსი ძმა რომ დაეღუპა (სკოლის ქვის კიბეზე დაეცა და სული იქვე დალია). მოწაფეობისას არაფრით არ გამოირჩეოდა, სიმღერის გაკვეთილზე ფაშფაშა მასწავლებელი წკეპლით თავზე დაადგებოდა, რომ პირდამუწული მჯდარიყო. არადა, გასაოცარი სმენა ჰქონდა. ომი ახალდამთავრებული იყო, რომელიღაც ნათესავის ოჯახში, ჩაიზე, თეთრი პური და ჰალვა დაინახა, გული აუძგერდა და ყველასთვის მოულოდნელად ისეთი სიმღერა შემოსძახა, რომ იქ მყოფნი გააოგნა. მერე და მერე გათამამდა და სახელიც გაითქვა. ორი თუ სამი წელი ვეტერინარიას სწავლობდა, როცა მობეზრდა, ინსტიტუტი მიატოვა და მომღერლის გზას გაჰყვა. ოცდაათის იქნებოდა, დაოჯახება რომ გადაწყვიტა, მაგრამ შესაფერი საცოლის ძებნას დიდხანს მოუნდა, რადგან ქალი, მისი აზრით, გარეგნობით უსათუოდ შეუხედავი უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს, აუცილებლად — არაჩვეულებრივი დიასახლისი. ბოლოს და ბოლოს, მაჭანკლის დახმარებით, მიაგნო ასეთს და ხელიც მოაწერა. ქორწილი ზედმეტად ჩათვალა, სუფრასთან მხოლოდ ორი თუ სამი მეზობელი და მშობლები ისხდნენ. ქალი ისეთი მეოჯახე აღმოჩნდა, როგორსაც ნატრობდა, დილიდან დაღამებამდე ფეხზე იდგა და თვალებში შესციცინებდა. პროფესიით აგრონომი იყო, მაგრამ მუშაობა კატეგორიულად აეკრძალა და ისიც, ბედს შეგუებული, ქმარს ევლებოდა. მერე, შვილი რომ შეეძინათ, წლები ისე გადიოდა, რომ სახლიდან ფეხს ვერ ადგამდა.

ერთხელ, ზამთარში, უპატრონო ბავშვთა სახლში გამართულ უფასო კონცერტზე გოგონებმა გუნდის ხელმძღვანელს საჩუქრად თავიანთი მოქსოვილი ხელთათმანები მიართვეს. ბათუ ოდიშარიას ისე შეშურდა ეს, რომ ხმა დაკარგა და თითქმის მთელი თვე აღარ უმღერია. თან, წამდაუწუმ, გუნდის წევრებთან ბავშვების მოქსოვილ ხელთათმანებს აქებდა! ამის მიუხედავად მაინც არავის ეჯავრებოდა; ისე დიდებულად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომ უყვარდათ კიდეც და მზად იყვნენ ყველაფერი ეპატიებინათ: სიძუნწეც, სიხარბეც, შურიანობაც. ვინც ბათუ ოდიშარიას იცნობდა, უკვირდა, ასეთ ადამიანს გულწრფელი, მომხიბლავი და გადამდები სიცილი რომ შეეძლო. მართლაცდა, საოცარი იყო! რომ გაიცინებდა, გამოდარებასავით სახე გაუნათდებოდა და იქ მყოფთ, რაგინდ უჟმურ ხასიათზე ყოფილიყვნენ, ხალისიან გუნებაზე აყენებდა.

მიაჩნდა, რომ ამქვეყნად ცხოვრების აზრი უზომო ქონების შეძენაში იყო. სხვებისაგან განსხვავებით, მეტს არაფერს დაეძებდა და მიზნის მქონე კაცის თავდაჯერებით დააბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე. მხოლოდ მაშინ აფორიაქდებოდა, როცა სიხარბე თვალს უბნელებდა და შური გონებას უმღვრევდა. რახან დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზაზე მიაბიჯებდა, არასოდეს არავის არაფერს ეკითხებოდა. გარდა ამისა, ეშინოდა, ჩამორჩენილობა არ დაეწამათ მისთვის. თუ რამეს კითხულობდა, მხოლოდ გაზეთებსა და ჟურნალებში. წიგნი თავის სიცოცხლეში არ გადაუფურცლავს და ვერც იმას იტანდა, როცა სხვები ამა თუ იმ რომანზე ან მეცნიერზე ჩამოუგდებდნენ საუბარს, რადგან უვიცად და დამცირებულად გრძნობდა თავს. „ყველაფერი ბევრი კარგია“, — უყვარდა ხშირად თქმა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიბრძნემ ერთხელ კინაღამ დაღუპა, არჩეული გზიდან არ გადაუხვევია. ცოლი რომ შეირთო, იმ წელს, კარის მეზობელს მამა გარდაეცვალა და ბათუ ოდიშარიამ საჭიროდ ჩათვალა ქელეხში შესანდობარი შეესვა. სუფრასთან არხეინად იჯდა (როგორც სჩვეოდა ყველგან, ჭირში თუ ლხინში) და მის წინ მსხდომი შეურაცხყოფილი ჭირისუფალი დრო და დრო წყრომით ავლებდა თვალს. ხვდებოდა, რომ მას კიცხავდნენ, მაგრამ ბათუ ოდიშარიას გულს არაფერი ეკარებოდა! როცა მოაწია დრომ, ეთქვა ერთი-ორი სიტყვა მიცვალებულზე, რიხით წამოდგა და

მკერდზე მუშტის ბაგუნით დაიწყო ლაპარაკი ყალბი, ათრთოლებული ხმით. მაგრამ, მისი პირფერობა უცხო არ იყო საზოგადოებისთვის და ყველა, როგორც ხდება ხოლმე, მოთმინებით უსმენდა. მან კი, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამქვეყნად ყველაფერი ბევრი კარგია, იმდენი სიტყვა დახარჯა და იმდენხანს იტატყანა (რა თქმა უნდა, აქებდა და ადიდებდა მიცვალებულს), რომ ხალხი აჩოჩქოლდა, აირდაირია. ის კი მაინც გაუთავებლად ლაქლაქებდა. მოთმინებიდან გამოსულმა ჭირისუფალმა დაცინვად მიიღო მისი შესანდობარი, ერთ-ერთმა მეინახემ რამდენჯერმე მუხლი წაჰკრა კიდეც. ბათუ ოდიშარია კიდევ ბევრის თქმას აპირებდა მაინც, მაგრამ როცა იმედი გადაეწურათ, სტაცეს ხელი აქეთ-იქიდან და ჯიკავ-ჯიკავით გარეთ გააგდეს. მერე ეზოში ვიღაც გამოექომაგა — ამისთანა ხმის მქონე კაცი სუფრიდან როგორ გამოაპანღურეთო და ბათუ ოდიშარიამ შეიფერა ეს, აიფოფრა, გათამამდა და ოჯახს მკვდარი და ცოცხალი შეუკურთხა. ამის თქმა და მისი ფეხქვეშ გაგდება ერთი იყო. ისე ურტყეს და იმდენი ურტყეს მაშინ, რომ ოთხი თვე ლოგინიდან არ წამომდგარა. ამ მწარე გაკვეთილის მიუხედავად, ბათუ ოდიშარიას მაინც სჯეროდა, რომ ამქვეყნად ყოველივე ბევრი კარგია და საჭიროა. ორსართულიანი აგურის სახლი რომ ააშენა მყუდრო, ხეხილით სავსე ეზოში (რაც კი შესაძლებელი იყო დიდ ფართობზე), მთავარ შესასვლელთან ოთხი ძირი იზაბელას ვენახი ჩაყარა თავისი ხელით და წარამარა, შინ თუ გარეთ, გამრჯე მეურნის გამოცდილებას იჩემებდა. მაგრამ მისგან ეს არავის უკვირდა. საინტერესო ის იყო, რომ ყოველივე ბევრისადმი უსაზომო სიყვარული აქაც გამოამჟღავნა და ვენახს იმდენჯერ და იმდენ წყალს უსხამდა უშველებელი ვედროებით, რომ აღარცერთმა ძირმა არ იხარა.

იშვიათად ავადმყოფობდა, მაგრამ სურდოც რომ შეჰყროდა, უამრავ წამალს სვამდა განუწყვეტლივ. ბევრი აბი, რა თქმა უნდა, საერთოდ აღარ მოქმედებდა და მსუბუქად გაციებულ ბათუ ოდიშარიას ზოგჯერ კვირაობით უხდებოდა ლოგინში წოლა. ოღონდ თავისი პრინციპი დაეცვა და, ავადმყოფობა მთელი თვე რომ გაგრძელებულიყო, ფეხებზე ეკიდა. წამლის საჭირო დოზით მიღებაც კი წარმოუდგენლად მიაჩნდა, უსათუოდ ბევრი უნდა გადაეყლაპა და ძვალ-ტყავად ქცეული, თვალებგადმოკარკლული მეუღლე წამდაუწუმ უსიტყვოდ აწვდიდა აბებს.

მართალია, დევური აღნაგობისა იყო, მაგრამ ისეთი სუსტი და მომჩვარული მკლავები ჰქონდა და ისე ესირცხვილებოდა ეს, რომ რაგინდ პაპანაქება სიცხე ყოფილიყო, მაინც გრძელსახელოებიან პერანგს ატარებდა. ერთხელ, დილით, გადაწყვიტა ვარჯიში დაეწყო, ძალ-ღონე რომ შემატებოდა. იმავე საღამოს უზარმაზარ შუშაბანდში ქურთმა მუშამ თოთხმეტი ორფუთიანი სიმძიმე ჩაამწკრივა ხვნეშა-კვნესით. მეორე დღეს ბათუ ოდიშარიამ შვიდზე გაიღვიძა და მკლავებს დიდხანს სველი ტილოთი იზელდა. მერე ორფუთიანებისკენ გაემართა ნაძალადევი ქშენითა და მძიმე ნაბიჯით და მისი ტანჯვა თითქმის ცხრის ნახევრამდე გაგრძელდა. ამდენ ხანს ვარჯიში, რა თქმა უნდა, მავნებელი იყო, მაგრამ თავის ადათს არც აქ უღალატა. ამას გარდა, ყოველგვარი მომზადების გარეშე ცდილობდა რამდენიმე სიმძიმე (ბევრი რომ გამოსულიყო!), ერთად აეწია და ვერც ხვდებოდა, თავს სასაცილო მდგომარეობაში რომ იგდებდა. ბოლოს და ბოლოს, იმდენხანს და იმდენჯერ ექაჩებოდა წყვილ-წყვილ ორფუთიანებს, რომ გულაღმა გაიშოტა და იქვე მდგომმა მისმა ბუთხუზა ბიჭმა ყვირილი მორთო. თავზარდაცემულმა მეუღლემ სასწრაფო დახმარებას გამოუძახა და ბათუ ოდიშარია საავადმყოფოში გააქანეს. თითქმის ათი დღე იწვა იქ დახუთულ პალატაში და შინ რომ დაბრუნდა, შუშაბანდში ჩამწკრივებულ ორფუთიანებს ბრეზენტი გადააფარა უსაზღვროდ გახარებული მეუღლის თვალწინ.

მუდამ ბევრისადმი ავადმყოფურ ლტოლვას შემდეგშიაც ვერ ელეოდა, თუმცა სიმძიმეების აწევას სამუდამოდ გამოეთხოვა. მისთვის საერთოდ არ არსებობდა სიტყვები — —„ცოტა“, „საკმარისი“, „ნაკლები“, „სამყოფი“, და ეს იყო ამქვეყნად მისი ცხოვრების უმთავრესი მრწამსი.

და აი, ასეთი ბუნების ადამიანი, ერთხელ, კვირა საღამოს, სრულიად შემთხვევით, როცა თავის ბუთხუზა ბიჭთან ერთად ქალაქგარეთ მდინარის ნაპირს სასეირნოდ დაუყვა, იონა ჯაშს გადაეყარა თევზაობისას და ისე მოიხიბლა ბადის სროლით, რომ დურგლის ყოველ მოძრაობას რეტდასხმულივით უყურებდა...

იმ დღიდან ბათუ ოდიშარიას ცხოვრება სხვა გზით წავიდა.

* * *

თავის სიცოცხლეში წამალი არ დაულევია იონა ჯაშს. თუ ღმერთი გაუწყრებოდა და ავად გახდებოდა, თეთრხალათიანი ექიმის დანახვას თვეობით ლოგინში წოლა ერჩია და, ბედს მინდობილი, მოთმინებით ელოდა გამოჯანმრთელებას. სიკვდილის ისე არ ეშინოდა, როგორც ნემსის ან რეცეპტიანი ბოთლის. მეექვსე კლასამდე დადიოდა სკოლაში, მერე სწავლაზე გული აიცრუა და მამამისის გზას გაჰყვა — დურგალი გახდა. მუდამ მშვიდს და პირმცინარს ყვირილი და ალიაქოთი ეჯავრებოდა; თავზე რომ ჭერი ჩამონგრეოდა, მაშინაც კი ხმამაღალი სიტყვა არ დასცდებოდა. საშუალო ტანის ჩაკუნთული იონა ჯაში მხოლოდ მაშინ ჰკარგავდა წონასწორობას, თუ ვინმე გაბედავდა და შეურაცხყოფას მიაყენებდა. ასეთ დროს პირდაპირ აფთარს ემსგავსებოდა და მთელი ბანდა რომ მდგარიყო მის წინ, უკან არ დაიხევდა. არადა, იმდენად მორცხვი იყო, რომ როცა ნახელავს უქებდნენ, ბავშვივით წითლდებოდა. დურგლობა მამამისმა თავდაპირველად ძალდატანებით შეასწავლა, რადგან იონას ეზარებოდა მუშაობა, გულს ვერ უდებდა საათობით ფიცრების გაშალაშინებას თუ გარანდვას. გარდა ამისა, ძილი ისე უყვარდა, რომ დილით ადრე ადგომას სიკვდილი ერჩია. მერე მამა მოუკვდა და ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე: დედა და ორი უმცროსი დაი უნდა ერჩინა. ეს იყო უმძიმესი წლები იონას ცხოვრებაში. დურგლობის გარდა არაფერი ეხერხებოდა და სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, მამის ხელობას გულით მოეკიდა. მერე ბედმა ისეთი ცოლი არგუნა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა: დამჯერი, მშვიდი, მოსიყვარულე, ხელსაქმის მცოდნე და თითით საჩვენებელი დიასახლისი. რამდენიმე წელში იონამ კარგი ხელოსნის სახელი გაითქვა, ოთხი შვილის მამა გახდა და მის ოჯახს სიხალისე და სითბო შეემატა. საერთოდ ზანტი კაცი იყო, პატარა ფანჯრის ჩასმას თითქმის ორი დღე უნდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ მის ნახელავზე ყველას თვალი რჩებოდა. ცოლს იშვიათად გამოელაპარაკებოდა, უფრო დილით, როცა შვილები ძილს უფრთხობდნენ. მაშინ იონა თავს რამდენჯერმე გადააქნევდა და ლოლას (თავის მეუღლეს) ძლივს შესამჩნევი საყვედურის კილოთი ეტყოდა:

— ავდგები მაშინ, რახან არ მაძინებთ; აბა რა ვქნა.

ერთადერთი პერანგი რომ ჰქონოდა და ვინმეს ისიც ეთხოვა, გაიხდიდა და ჩააცვამდა. ყველაზე მეტად ისეთ კაცს სცემდა პატივს, ვისაც დიდი და გრანდიოზული საქმეების საკეთებლად თავის გადადება უაზრობად მიაჩნდა. საერთოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ფულის ყადრი არ იცოდა, მით უფრო, შენახვა ან დაგროვება. ცოლის დიდი რიდი ჰქონდა და, ალბათ, მისი ხათრით იპარსავდა ყოველ დილით წვერს და კვირაობით აბანოში დადიოდა, თუმცა კი ერთიც ეზარებოდა და მეორეც. არ უყვარდა სტუმრად წასვლა და აქეთ-იქით ხეტიალი; სამუშაოს რომ მორჩებოდა, შინისკენ გასწევდა, მადიანად ივახშმებდა, შვილებს (ოთხივე ბიჭი ჰყავდა) სათითაოდ ლოყაზე ხელს მოუთათუნებდა, ცოტა ხანს თა-

ვისთვის ჩხირკედელაობდა, კატას წაეთამაშებოდა (ეს იყო მისი ერთადერთი გასართობი) და დასაძინებლად წვებოდა. ცხოვრებაში მტრად ვინმე არასდროს მოკიდებია, მაგრამ მუდამ პირმომღიმარს ხომ ხედავდნენ, ბრიყვად თვლიდნენ და მხოლოდ კარგი ხელოსნობისთვის სცემდნენ პატივს. ზოგი კი ჭკუასუსტადაც ნათლავდა. ალბათ, ამის გამო არც თუ იშვიათად ძარტივ კითხვებს უსვამდნენ გამოსაცდელად. იონა, რა თქმა უნდა, ხუმრობად ღებულობდა ყოველივე ამას და მათ მაინც განუშორებელი ღიმილით შეჰყურებდა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ მის გონებაჩლუნგობაზე ეჭვობდნენ! ეს რომ დაეჯერებინა, დაბადებას აწყევლინებდა ყველას! არადა, ძვალ-რბილში გამჯდარმა განუშორებელმა ღიმილიანმა გამოხედვამ რამდენჯერმე დიდ უხერხულობაში ჩააგდო. ერთხელ აივნის შეკეთებას შეპირდა მეზობელს. როცა მუშაობას უნდა შედგომოდა, აღმოჩნდა, რომ სარდაფში დაწყობილი ხის მასალა წინა ღამით გაექროთ ქურდებს. ეს რომ შეიტყო იონამ, სახეზე უფრო მეტად მოეფინა ღიმილი და ტილოს ხელჩანთა ზურგზე მოიგდო.

— რას იღმიჭები ამხელა კაცი, — მიახალა გაცეცხლებულმა მეზობელმა, — ჭკუის ნატამალი ხომ უნდა გქონდეს! გამძარცვეს და გამაუბედურეს და შენ იღმიჭები?

იონას გული ატკინა ამ სიტყვებმა, სახეზე ღიმილი გაუქრა და ნირწამხდარმა უხმოდ დატოვა გაბოროტებული მეზობლის სახლი.

პირველი ბიჭი რომ შეეძინა, იმ წელს, მძახლებს გაუმასპინძლდა როგორც შეეძლო და სადგურზე გაჰყვა გასაცილებლად. როცა მატარებელი ჩამოდგა, გაახსენდათ, რომ ბილეთები შინ დარჩენოდათ. უკან დაბრუნების და მოტანის დრო კი აღარ იყო. მუდამ აუღელვებელი იონა ღიმილით შეჰყურებდა თითქოსდა დასაღუპავად განწირულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მძახლებს, რომელთა შეცხადებამ და ვაიუშველებელმა რა არ აფიქრებინა მოსეირე ხალხს. იქვე მდგომი სადგურის მორიგე დაეჭვებული უმზერდა აურზაურის ამტეხთ. ამ გაწამაწიაში მძახლებმა მომღიმარ იონას რომ შეავლეს თვალი, უფრო მეტად აყვირდნენ, მიცვივდნენ და ლანძღვა დაუწყეს. მათი შემყურე მოსეირე ხალხი ათასგვარ ჭორს თხზავდა... ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კონდუქტორის წყალობით ორი თავისუფალი ადგილი გამოიძებნა კუპეში და მძახლები გაოგნებულ იონას პირზე კოცნით გამოეთხოვნენ.

ერთხელ ვიღაც ფაშფაშა ქალს კისერზე შემობმული ღვედით უზარმაზარი ნაგაზი გამოეყვანა ქუჩაში სასეირნოდ. გვიანი საღამო იყო და იონა სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. ძაღლს ორი მუტრუკი წამოეწია, ერთ-ერთმა მოფერება დაუპირა და ზურგზე ხელი მოუთათუნა. ნაგაზი დაფრთხა და უცხოს შეუღრინა. მუტრუკმა იუკადრისა ეს და ძაღლს მუცელში წიხლი ჩააზილა. ნაგაზი ქალს ღვედიანად ხელიდან დაუსხლტა, მუტრუკს ყელში სწვდა და ჯიჯგნა დაუწყო. შორიახლო ვიღაცამ წამოიკივლა. განსაცდელში ჩავარდნილ მუტრუკს მეგობარი მიეშველა და ძაღლს ფერდებში გამეტებით წიხლები დაუშინა. ახლა მას სწვდა აფოფრილი ნაგაზი, იმავე წამს მიწაზე დასცა და ისევ ძველ მტერს მიუბრუნდა. თვალებად ქცეული ფაშფაშა ქალი ამაოდ ეძახდა გაცოფებულ ძაღლს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დაჭმულ-დაფლეთილმა მუტრუკებმა იკადრეს გაქცევა და უკან მოუხედავად ქუჩა გადაჭრეს. იქ კი იონა იდგა მომღიმარი სახით და თავს ოდნავ აქნევდა აქეთ-იქით. მუტრუკები შედგნენ, იხტიბარი მაინც არ გაიტეხეს და შარვლების ფერთხვა იწყეს. დროდადრო უკან იხედებოდნენ და ფაშფაშა ქალს, რომელსაც ღვედი უკვე ხელებში ჩაებღუჯა და ძაღლს თავისკენ ექაჩებოდა, ლოცვა-კურთხევას უთვლიდნენ. მერე იქვე მდგომი იონა რომ შენიშნეს, მისი ღიმილი დაცინვად მიიღეს და დუქმორეულები მუშტებით

მიცვივდნენ, ძაღლის ჯავრი რომ მასზე ეყარათ. ვიღაცამ ისევ წამოიყივლა შორიახლო... და იონა ჩალურჯებული თვალებით დაბრუნდა შინ, თუმცა, არც თვითონ დარჩა ვალში მუტრუკებს. ლოლა დამბლადაცემულივით მისჩერებოდა ქმარს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

თავისი განუშორებელი ღიმილის წყალობით იონა ხშირად ჩავარდნილა მსგავს ფათერაკებში, მაგრამ იგი მაინც პირმცინარი დაიარებოდა ამქვეყნად, თითქოსდა რაღაც დიდი სიბრძნე იცოდა და არავის უმხელდა. თუმცა, შემთხვევაც არ ყოფილა ვინმესთვის ჭკუა დაერიგებინოს.

მესრით შემოვლებულ ბაღჩიან პატარა ეზოში მამისგან დატოვებული, ალაგ-ალაგ შელესილი ოროთახიანი აგურის სახლი ედგა, ისეთი, ერთი შეხედვით რომ ბარაკს წააგავდა. დურგალ იონას ფიქრადაც არ მოსდიოდა ბინის გადიდება თუ გაფართოება, რადგან მიაჩნდა, რომ რაც ჰქონდა, საკმარისი იყო მისი ოჯახისთვის. საერთოდ, ზედმეტს არაფერს იძენდა, ჩასაცმელი იქნებოდა თუ დასახურავი. სადურგლო ხელსაწყოებიც კი თითოთითო ჰქონდა. მეზობლები თუ ნაცნობი ხელოსნები მამის დანატოვარ სახლზე ოთახების წამატებას რომ ურჩევდნენ (ლოლას, რა თქმა უნდა, ბინის გაფართოებაზე სიტყვაც არ დასცდენია), იონა მხრებს იჩეჩავდა მხოლოდ. „რაც მაქვს ხომ მყოფნის, მეტი რათ მინდა“, — ფიქრობდა იგი და სახლს მუშტრის თვალით შეხედავდა. ის კი არადა, პატარა სამზარეულოს მონჯღრეული კარის გამოცვლაც ზედმეტად მიაჩნდა.

რახან ერთი საათის საქმეს მთელ დღეს ანდომებდა და სახლის ნაცვლად ქოხმახი ედგა, ზარმაცი შეარქვეს. „რაც მაქვს ხომ მყოფნის, სხვებმა რა იციან ჩემი ოჯახის საქმე“, — ხშირად ფიქრობდა პირმომღიმარი იონა და მშვიდად მიაბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე.

— შენისთანა ხელოსანს ქოხი კი არა, სასახლე უნდა ედგას: ნუ იზარმაცებ და იცხოვრებ ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ, — ჭკუას არიგებდა ეგნატე ხომერიკი.

„მე მეტი არ მჭირდება“, — გუნებაში ედავებოდა იონა მასწავლებელს და თავს ისე იჭერდა, თითქოს არც ესმოდა ნათქვამი.

— ოქროს ხელი გაქვს, მართალია, მაგრამ ძალიან ნელა მუშაობ, მე თუ მკითხავ; ყველაფერში ზარმაცი როგორ უნდა იყო, — დამრიგებლური ტონით ეტყოდა ზოგჯერ ეგნატე.

„რა ეჩქარება ამ ხალხს, ერთი გამაგებინა“, — ფიქრობდა თავისთვის იონა და მხრებს იჩეჩავდა. გარჯა და შრომა არ აკლდა და მაინც ქვეყანა ზარმაცს ეძახდა! იონას სწყინდა ეს და თან უკვირდა კიდეც, რადგან ვერ ხვდებოდა, რას უსაყვედურებდნენ. „რაც მაქვს, სამყოფი მაქვს და ზარმაცს რატომ უნდა მეძახოდნენ! ციდან ხომ არ ჩამოცვენილა ჩემი სახლი და კარი“, — გუნებაში თავს იმართლებდა იგი.

ეჯავრებოდა, როცა ჭკუის სწავლებას დაუწყებდნენ, თვითონ კი არასდიდებით სხვის საქმეში ცხვირს არ ჩაყოფდა.

მეორე შვილი რომ შეეძინა, იმ წელს, ეგნატე ხომერიკის ბადით თევზაობას მოჰკრა თვალი შემთხვევით და მას შემდეგ მისი ცხოვრება გახალისდა და გაცოცხლდა. მაგრამ ბედმა ისეთ ადამიანს შეახვედრა, რომელთანაც წყნარი საუბარიც სანატრელი გაუხდა! სხვა თუ არაფერი, წარამარა ეგნატე ხომერიკის ჭკუის დამრიგებლური სიტყვების მოსმენა არც სულ მთლად ეიოლებოდა. არადა, ბადის სროლა ისე შეუყვარდა, რომ მზად იყო, უარესიც აეტანა.

თავის სიცოცხლეში არაფერი უძებნია იონა ჯაშს, მშვიდად, უხმაუროდ, ღიმილით მიაბიჯებდა წუთისოფლის შარაგზაზე და სხვათა ფაციფუცს არასდროს აჰყოლია. პატარაობიდან ერთი უცნაური ჩვევა აეკვიატა: რა გზითაც სახლიდან წავიდოდა სადმე, შინ იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყო უსათუ-

ოდ. იონას კი პატარა, მყუდრო ქუჩა ჰქონდა სასიარულოდ ამოჩემებული. ამ ახირებამ რამდენჯერმე დიდ უსიამოვნებაში ჩააგდო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ერთხელ, ზამთარში, გვიან საღამოს, სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, ორი შეიარაღებული ბანდიტი დახვდა და აივნის შეკეთებაში აღებული ფული წაართვეს (შებრძოლება, რა თქმა უნდა, უაზროდ ჩათვალა). იგივე შეემთხვა მომდევნო გაზაფხულზე. ერთი წლის შემდეგ ბანდიტებმა ახალთახალი ჩექმები წაგლიჯეს ამოჩემებულ ქუჩაზე... და იონა მაინც იმავე გზით დაიარებოდა შინ.

უსწავლელობა თუ უწიგნურობა არ ესირცხვებოდა, მაგრამ ჯიუტი და თავმოყვარე იყო. სხვისი რჩევა მხოლოდ მაშინ ეთაკილებოდა, როცა იცოდა, რა ეკეთებინა.

— მიიხედ-მოიხედე ირგვლივ და დააკვირდი ხალხს, — დამრიგებლური ტონით ეტყოდა ეგნატე ხომერიკი, — თავი ისე გიჭირავს, თითქოს სოლომონ ბრძენი იყო. ადამიანს როცა გაუჭირდება, გვერდით მდგომს ჰკითხავს ჭკუას. ასეა წესი. ჰოდა, ცოტ-ცოტა ჩვენც გაგვეგება რაღაც ამ ქვეყანაზე. თუ რამე რჩევა დაგჭირდა, მკითხე მე, ნუ მომერიდები. გამრავლების ტაბულა არ იცი და ჭკუის სწავლება გესირცხვება! ხომ ხედავ, იმ ქუჩაზე სიარულმა რა მოგიტანა. სხვა გზით იარე, სანამ დროა. დამიჯერე მე.

— კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს ამ ქვეყანაზე, — ასწავლიდა ბათუ ოდიშარია, — მე, სხვა თუ არაფერი, სიმღერის მაინც გამეგება ცოტა რაღაც. ვიღაც გადამთიელებისთვის მისწავლებია მრავალჟამიერი და შენ, თუ მიკადრებ, არ დაგზარდები.

— ფული უნდა დააგროვო, ფული, — ურჩევდა ზაზა მენაბდე, — რა იცი, სად და როდის დაგჭირდება. სხვისი იმედით ჩემმა მტერმა იცხოვრა! უფულობა ჩემზე უკეთ ვინ იცის რა არის; ამის გამოცდილება მაინც მაქვს. გასაჭირში რომ ჩავარდე, ლოცვა-კურთხევა არ გიშველის, იცოდე.

შური უცხო იყო მისთვის და თუ ვიღაც-ვიღაცების მეფურ ცხოვრებაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას, თანამოძმეთა ხათრით თავს აქეთ-იქით გააქნევდა და საქმეს მიუბრუნდებოდა. ჭორი და ამქვეყნის ავკარგზე ლაქლაქი ჭირის დღესავით ეჯავრებოდა. მერე და მერე, როცა მხარზე გადაკიდებული ბადით ეგნატე ხომერიკთან და მის ძმებთან ერთად დაიწყო ხეტიალი, უფრო ხათრიანი და დამთმობი გახდა...

თუმცა, იონა მაინც თავისი გზით დააბიჯებდა ამ ქვეყანაზე და სხვების შეგონებებსა თუ ჩიჩინს ყურს არ უგდებდა.

* * *

ერთ ზამთარს, დიდთოვლობისას, სათევზაოდ აღარ წასულან ძმადშეფიცული მებადურები. თითქოს მთა და ბარი გასწორდა, ისე იყო გადათეთრებული ველ-მინდვრები. დრო და დრო ქარბუქიც ამოიჭრებოდა დღისით თუ ღამით. მეტი თუ არა, საშიში იყო იმ ზამთარს წელამდე თოვლში სიარული. სხვა რაღა გზა ჰქონდათ, მოწყენილები ისხდნენ შინ ბადის სროლას დანატრებული ძმები და მოთმინებით ელოდნენ იმ დღის დადგომას, როცა სათევზაოდ გასწევდნენ შეგულებული ადგილებისკენ. როგორც იქნა, ამ დრომაც მოაწია. ადრიან გაზაფხულზე ხშირ-ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სალაპარაკოდ. დიდი შეხლა-შემოხლისა და წაკინკლავების შემდეგ, შაბათი დღე ამოირჩიეს და მზადებას შეუდგნენ.

იმ საღამოს იონა ჯაში შუაღამემდე კემსავდა თვალჩავარდნილ ბადეს.

მთასა და ბარში ჯერ კიდევ დიდი თოვლი იდო.

* * *

როგორც დათქმული ჰქონდათ, უთენია ეგნატე ხომერიკის პალატში შეიკრიბნენ ბადეებით და ზურგჩანთებით. ყელთან გამონასკვული ყურებიანი ქუდები ეხურათ, ეცვათ თბილი ქურთუკები და გრძელი რეზინის ჩექმები. ჯერ კიდევ ბნელოდა, ეზოდან რომ გადავიდნენ. წინა ღამით მოეყინა და მშრალ თოვლს ხრაშახრუში გაჰქონდა. ოდნავი

ნიავიც არ ქროდა. ცაზე აქა-იქ ვარსკვლავები კიაფობდნენ. ისეთი სიცივე იყო, სიხალისეს და სიმხნევეს რომ მატებს მგზავრს. გადათეთრებულ მიწაზე ოთხი სილუეტი ერთმანეთის მიყოლებით მიაბოტებდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, შორს, აღმოსავლეთით, ცა ოდნავ შეთეთრდა.

ყველაზე წინ ეგნატე ხომერიკი მიაბიჯებდა თავაწეული, უკან დევური ალნაგობის ბათუ ოდიშარია მისდევდა, შემდეგ წოწოლა ზაზა მენაბდე მიდიოდა მობუზული და ბოლოს — იონა ჯაში. დიდი მინდორი მუხლამდე თოვლში გადაჭრეს, რომ გზა შეემოკლებიათ. ცაზე ვარსკვლავები გაქრა და სილუეტებიც თანდათან გაფერმკრთალდა. როცა გზაჯვარედინთან გავიდნენ, შეჩერდნენ და იქაურობას თვალი მოავლეს. უკვე ნათელი იდგა. მოკრიალებულ იისფერ ცაზე მალე ამოიწვერებოდა მზე.

მებადურების წინ, პირდაპირ მიმავალი გზა ხეობაში ჩადიოდა, მარცხნივ — თავთხელ მდინარისკენ, მარჯვნივ — პატარა ტბისკენ, ხოლო უკან — დიდ მაგისტრალს უერთდებოდა.

ცოტა სული მოითქვეს, მხარზე გადაკიდებული ბადეები შეისწორეს და ზურგჩანთები მოიწესრიგეს. მერე აქეთ-იქით იწყეს ყურება: ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დადგომოდნენ.

— ჩემის აზრით, პირდაპირ უნდა წავიდეთ, — თავი მაღლა ასწია ეგნატე ხომერიკმა და ხელი წინ გაიშვირა, — უფრო მალეც ჩავალთ მდინარეზე და სასიარულოდაც იოლია.

— არა, მგონი აჯობებს მარცხნივ ჩავუხვიოთ, — ამოღერღა ბათუ ოდიშარიამ, — აქედან უფრო მოკლეა გზა.

— უკეთესია მარჯვნივ ვიაროთ, — ძლივს გასაგონად ჩაიდუდღუნა ზაზა მენაბდემ, — ტბას შემოვუვლით და მერე იქიდან ჩავალთ ჭალაში.

იონა ხმას არ იღებდა, იდგა თავისთვის და ოდნავ მოღიმარი სახით გზას გაჰყურებდა. უნებურად მას მიაჩერდნენ იმის იმედით, რომ თავის აზრს ისიც გამოთქვამდა. მაგრამ იონა ხმის ამოღებას არ აპირებდა. ეგნატე ხომერიკი უცებ წამოენთო და გამაღიზიანებლად მომღიმარ დურგალს დამცინავი ტონით უთხრა:

— თავს თუ გაგვიყადრებ, გვირჩიე, რომელ გზას დავადგეთ.

— სულ ერთია, — გულუბრყვილოდ უპასუხა იონამ, — ბადე ყველგან შეიძლება ვისროლოთ.

— ნამდვილად? — თითქოსდა გაიოცა ეგნატე ხომერიკმა.

— კი, — თქვა იონამ, — აბა, თევზისთვის არც ერთი არ ვიკლავთ თავს.

ეგნატემ ხელები გაშალა და ბათუ ოდიშარიას იმედდაკარგული თვალებით ისე მიაჩერდა, თითქოს შველას და თანაგრძნობას მისგან მოელოდა.

— ბადეში რომ თევზი აფართხალდება, ის მაინც სხვაა, — ისევ ჩაიდუდღუნა ზაზა მენაბდემ.

— გესმის?! — უყვირა ეგნატემ იონა ჯაშს და ნიშნისმოგებით ხმადაბლა დაუმატა, — ახლა რაღას იტყვი.

— კი, ბატონო, ჩემთვის სულ ერთია, — თავისას მაინც არ იშლიდა დურგალი.

მოთმინებადაკარგულმა და გაწიწმატებულმა ეგნატემ თოვლს ფეხებით ბეკნა დაუწყო და საკუთარი ბედ-იღბალი დაწყევლა. მერე იონას მომაკვდინებელი მზერა ესროლა, თვალები მოჭუტა და დამარცვლით ჰკითხა:

— უკან მიმავალ გზას ხომ არ დავადგეთ, შენის აზრით!

— რა ვიცი, ასეც შეიძლება, — წყნარად უპასუხა დურგალმა და მხრები აიჩეჩა.

— არა, მე დღეს სახლში გაფშეკილს მიმიტანენ ნამდვილად! — წამოიყვირა ეგნატემ და ბათუ ოდიშარიას და ზაზა მენაბდეს მოავლო თვალი.

— სანერვიულო რაა, — მშვიდად ჩაილაპარაკა იონა ჯაშმა, — რომელი გზითაც გინდათ, იმ გზით წავიდეთ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო და გულგაცეცხლებულ ეგნატეს ხან ბათუ ოდიშარია აწყნარებდა და ეფერებოდა, ხან — ზაზა მენაბდე.

მერე ვნებათაღელვა დაცხრა, რო-

გორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე და ოთხივე მხარეს მიმავალი გზის ავკარგობაში არწმუნებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ იონა ჯაში იჩეჩავდა მხრებს ისევ.

დიდხანს იდგნენ ასე გზაჯვარედინზე და წონიდნენ, საით წასულიყვნენ...

ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ისევ ეგნატე ხომერიკმა გაიტანა თავისი, ადგილიდან დაიძრნენ და პირდაპირ გასწიეს. იქ, ხეობის ბოლოში, სადაც მდინარე მკვეთრად უხვევდა, ბადის სასროლი ადგილები ეგულებოდათ. მოყინულ თოვლში ალაგ-ალაგ ფეხი ეფლობოდათ და სიარული უძნელდებოდათ. როცა ფერდობს დაუყვნენ, მზეც ამოვიდა და ცა უფრო ლურჯი გახდა. მდინარე უკვე კარგად მოჩანდა აქედან. თოვლის თვალისმომჭრელი სითეთრე ძნელად სამზერს ხდიდა ფერდობებს. მალე დათბა კიდეც და სიარული უფრო გაჭირდა.

— კაცისას ვინ რას გაიგებს, — წამოილაპარაკა უცებ ზაზა მენაბდემ და მოკრძალებულ ლურჯ ცას წამით ახედა, — ისე ცხოვრობს, თითქოს არასოდეს მოკვდება.

არავინ უპასუხა, თუმცა ყველამ გაიგონა ნათქვამი.

— ეჰ, სისულელეა ყველაფერი, — ჩაიბუზღუნა ზაზა მენაბდემ და მის წინ მიმავალ ბათუ ოდიშარიას უზარმაზარ ნატერფალს შეავლო თვალი.

— რაო, რაო? — ისე იკითხა ეგნატე ხომერიკმა, რომ უკან არ მოუხედავს.

— ერთი ბრძენის ნათქვამი მომაგონდა, ციხეში მაქვს განაგონი განათლებული ხალხიდან, — ხმამაღლა თქვა ზაზა მენაბდემ.

— რაო, მაინც, რა გითხრა ასეთი, — გამოსძახა ეგნატე ხომერიკმა.

— სრულიად უბრალო რამაა საჭირო, რომ ხალხმა ერთმანეთი არ დაჭამოსო.

— რა არის ასეთიო, იმ ბრძენმა, — ახლა უკან მოიხედა და აგდებული ტონით იკითხა ეგნატე ხომერიკმა ისე, რომ ნაბიჯი არ შეუნელებია.

ბათუ ოდიშარიას უკვე ისე დაცხა, რომ ქუდი მოიხადა და ქურქი შეიხსნა.

— რაო და, ყველამ, ქალმა თუ კაცმა, გაღვიძებისას საკუთარ თავს უთხრას, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეა და ამ რწმენით გაატაროს მთელი სიცოცხლეო; ასე რომ ცხოვრობდეს ყველა, შურისთვის და სამტროდ ვეღარ მოიცლიანო.

ეგნატე ხომერიკი შეჩერდა, მთელი ტანით შემობრუნდა, თავი ოდნავ გვერდზე გადააგდო, თვალები მოჭუტა და გაქვავდა. შედგნენ მის ნაკვალევს მიმდევარნიც. არც ერთი ხმას არ იღებდა.

— რაო, რაო? — ახლა მეორე მხარეს გადააგდო თავი ეგნატემ, კისერი წაიგრძელა და ზაზა მენაბდეს გამოხედა, — ასე რომ იყოს, იმავე დღესვე დაღამებამდე ამოვჟლეტავდი ჩემს მტრებს! გესმის რაც გითხარი? ასე გადაეცი იმ შენს ბრძენს! — მერე შებრუნდა, ზურგჩანთა შეისწორა, თავი მაღლა აიღო და გრძელი ნაბიჯით განაგრძო გზა.

იონა ჯაში ღიმილით მისჩერებოდა ზაზა მენაბდის კეფას.

ბათუ ოდიშარიამ გადაიხარხარა და ეგნატეს კვალში მიჰყვა.

— ეჰ, რა უნდა ელაპარაკო ასეთ კაცს, — ჩაიბუზღუნა ზაზა მენაბდემ და ადგილიდან დაიძრა.

— მე თუ მკითხავთ, უჭკუოს ნათქვამი არ უნდა იყოს ეს, — წინ მიმავალთ გასძახა იონამ და ნელი ნაბიჯით აედევნა.

— მოდი ახლა და ყველას წერა-კითხვა ასწავლე! — წამოიძახა კარგახნის შემდეგ ფიქრებში წასულმა ეგნატემ და თავი მწარედ გააქნია, — დასწყევლოს ღმერთმა, რას არ გაიგონებს კაცი.

ფერდობს დაუყვნენ, ფეხი უფრო ღრმად ეფლობოდათ თოვლში. ბათუ ოდიშარიას დაღლა დაეტყო, ახლა ტანტზე წამოწოლა ყველაფერს ერჩია, მაგრამ ამის გამხელას ვერ ბედავდა და კიდეც ესირცხვებოდა. ზაზა მენაბდე მხნედ გამოიყურებოდა, იმ წუთებში რატომღაც პატიმრობის წლები აგონდებოდა და დროდადრო თავს აქნევდა. წინ მიმავალი ეგნატე ხომერიკი ტუ-

ჩებმოკუმული ფიქრებში ვიღაცას გაგულისებით ეკამათებოდა. იონა ჯაში პირმომღიმარი ჩადიოდა ფერდობზე და თავისი ამოჩემებული გზა ედგა თვალწინ, სადაც ბანდიტებმა რამდენჯერმე გაძარცვეს.

ფერდობი რომ ჩაიარეს, ეგნატე ხომერიკი შეჩერდა, შედგნენ დანარჩენებიც და ხეობაში გაწოლილ მდინარეს გახედეს. უკვე ისე დათბა, რომ ქურთუკებით წამოსვლას ნანობდნენ.

— მუხლები ხომ არ დავასვენოთ ცოტა ხანს, — გაბედა და ნაფიქრალი ხმამაღლა თქვა ბათუ ოდიშარიამ.

— შეიძლება, კი, — დიდსულოვნად დაეთანხმა თავადაც დაქანცული ეგნატე ხომერიკი და, ჩამოსაჯდომი ადგილი რომ შეერჩია, ირგვლივ მიმოიხედა.

შორიახლო მკვეთრად ჩაჭრილი ფლატე დაინახა, ისეთი, ზურგის მისაყრდნობადაც რომ გამოდგებოდა და იქითკენ გასწია. ის ადგილი დანარჩენებსაც მოეწონათ და უკან აედევნენ. ზურგჩანთებით და მხარზე გადაკიდებული ბადეებით ფეხი ისე მოიყარეს ფერდობის ძირას, რომ ზურგით დათოვლილ ფლატეს მიეყრდნენ.

დედამიწას ლურჯი და კამკამა ცა დაჰყურებდა. თითქოს სიმყუდროვე და სიმშვიდე ეფინა მთის გადათეთრებულ ფერდობებზე.

რამდენიმე წუთს უხმოდ ისხდნენ და იქაურობას თვალს ავლებდნენ. შორს, თეთრი მთის ფონზე ცა კიდევ უფრო ლურჯად მოჩანდა.

გაისმა ყრუ, მოგუდული, უცხო, თითქოსდა ფარული გუგუნი და წამით ისევ სიმყუდროვე გამეფდა. მებადურებმა უნებურად ლურჯ ცას ახედეს. გუგუნი ისევ განმეორდა, თანდათან ახლოვდებოდა და მიწიერი ხდებოდა. მერე ამ ყრუ, მოგუდულ ხმაურს თითქოსდა თეთრი მთა აედევნა და დაბლა დაქანდა. თოვლის ზვავი იმ ფერდობისკენ მიგრიალებდა, სადაც მებადურები ისვენებდნენ... გამაყრუებელი გრუხუნის ექო ხეობას მისწვდა და მერე ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

მათი გვამები რომ იპოვნეს, ისევ ისე, მთის ფერდობს ზურგით მიყრდნობილები ისხდნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნარსია

## სხვა რამ ყველაფერი ზღაპარია

შვილთა სიცოცხლე
რომ მაზარია,
სხვა რაღაც თითქოს ზღაპარია...
ირგვლივ სამშობლოის მთა-ბარია,
და მდუღრავს ვიღაც თხაპარია.
ადრე წამოვსულვარ ვარდობიდან,
თითქოს ძლიერი და მამაცი ვარ...
წუხელ მომავალზე ვდარდობდი და
უეცრად ტანში გამაცივა.
ველნი პირბადეებს იფარებენ,
რაღაც ჩემეული იპარება...
სადღაც ადრეულად მიბარებენ,
სული ტკივილებით იფარება.
მგონი სალამურებს უკრავენ და
ეჭვი ამოხეთქავს დამალული...
ფიქრი გამხდომია უკარება,
ჰოდა, რაღად მინდა სალამური.
მიდის ეს სიცოცხლე ნება-ნება,
და წინ უფსკრული თუ ვულკანია...
ჩემი სინანული მენანება,
ნაღველს მთელი გული უკავია.
იქნებ ვარდობისთვემ გამახაროს,
მოდი,
ატრიალდი კამათელო...
თეთრი ღიმილით მსურს დავაღამო,
და ამგვარადვე გავათენო.
მოქრის თბილი სიოს მობრძანება
თითქოს სინათლეთა ბოძებია...
ყველანაირ დარდს მოკრძალება,
თუკი ეს დარდები მომძებნიან.
უფრო სხვანაირად ვიყინები,
დიდხანს იბოგინეს იმ ფლიდებმა...
გზაზე დავდგებოდი,
ვიყვირებდი,
მაგრამ მგონი ნისლი იფლითება.
...გუშინ სულ სხვა სევდა ღაღანებდა,
დღეს კი სხვათა ბედი მაზარია...
იქნებ გადაცურდეს დაღამება,
სხვა რამ ყველაფერი ზღაპარია.

## შიშველ თითებით...

შიშველ თითებით ნაღვერდალს ვქექავ
და ცოტა რამეს ვთხოვდი მაცხოვარს,
რომ ჩემმა შვილმა,
რომ ჩემმა ბექამ,
მადლობა მითხრას — ისე მაცხოვრა.
მომდის ღვარცოფი,
გრგვინვა და ჭექა,
დარდმაც თავისი დარდები მითხრა...
როგორც ფილტვები დაცხრილოს
ჭლექმა,
ისე დამცხრილა მამულზე ფიქრმა.
ასედაც ხდება:
თვითონვე ვკუწავ,
იმ თბილ ოცნებას, რომელსაც ვარწევ...
ამდენი ტანჯვით გავმტყდარვარ თუმცა,
უნდა გავუძლო,
წელშიც რომ გავწყდე.
ვიცი, კაცური სიცოცხლე რაც ღირს,
სხვაც რომ არ იყოს,
ეს მყოფნის დარდად...
არავითარი არ მრჩება განძი,
ტკივილისა და შვილების გარდა.

ვინ ვაზიარო ჩემეულ ტანჯვებს,
ალბათ არავინ დამიდგა მხარში...
ხომ შეიძლება უეცრად დავჭკნე,
ქვეყნად იმდენი ტკივილი ვხარშე.
ასე ვიყავ და ასე ვარ დღემდე,
სულ მიზნად მქონდა ცისაკენ ლტოლვა...
შევრჩი ბეჭებზე მოჭერილ ღვედებს,

გამწირა ყველა სწორმა და ტოლმა.
...გარეთ ყინვაა,
ხან თოვს და ხან წვიმს,
შიშველ თითებით ნალვერდალს ვქექავ...
ჩემს ვაჟს ვუსურვებ
სიცოცხლეს ხანგრძლივს,
იქნებ კაცურად იცხოვროს ბექამ.

## ტაძარი კვეტერა

ვუძღვნი შოთა ლომსაძეს

შინდების მტვერი შემომემტვერა
და მაინც,
რძისფრად ჩანდა შორიდან...
ფეხზე ადგომით შემხვდა კვეტერა,
ჩემებრ მოყვარეს სად იშოვიდა?
ძმურად გავკარი
მხარზე მას მხარი,
მინდოდა მეთქვა სანუგეშო რამ...
და ვეღარ ვკადრე სიტყვა მასხარის,
რადგან ღვთის გმობა ძალზე მეშორა.
ბილიკზე იდო ჩრდილი იფანთა
და ვიდრე ღამე ჩრდილებს დაშლიდა...
ცას რომ შევხედე,
ცა პირს იბანდა
და ვერაფერმა ვერ დამამშვიდა.
ერთ დროს ტაძარი იდგა გულფიცხად,
გაბეზრებული სპარსულ ხალათით...
მერე დააკლდა ხელი უფლისა
და სძულდა, როცა იყო ღალატი.
არ დამხვედრია იგი უნდოთა,
ერთურთს გავენდეთ იმ საღამოსაც...
მას ტკივილისგან დაცლა უნდოდა
და ვერ შევიძელ უცებ წამოსვლა.

არაკაცთაგანს ვინმეს რას ეტყვი,
ან არაკაცთან სევდას რა უნდა?..
ასე გამომყვა ფიქრი ნასეტყვი,
იმ მარტოსულის ნაუ-ნაუდან.
თუ აცივდება ან თუ დაცხება
უნდა ტევრობდეს ტევრი შვლიანი...
თავი ჩაღუნეს ნორჩმა ცაცხვებმა,
ტირილი იყო — მათი შრიალი.
ვიდრე ჭრილობას გზაზე გავფენდი,
ეშმაკეული მდევდა ტყის ლანდი...
თავზე დამადგა ღრუბლის ნაფლეთი
და ცოტა შევცბი ბარში მისვლამდი.
ტანზე მოვისხი სუნთქვა სიოთა,
რადგან კვლავ ენთო ესე ტაძარი...
თუმცა მშიოდა,
თუმცა მციოდა,
ფიქრები სხვაგან ვერსად დავძარი.
...გული საგულეს ვეღარ მეტევა
და სამშობლოსთან ის მაქვს სადავო...
რომ მარტო დარჩა, ჩემი კვეტერა
და ჯავრო ჩემო,
სიდან სადაო?

## ნანაია, ვოი, ნანა

სული შფოთვას დაემგვანა,
მოთენთილი ვარ ამ თივით...
ნანაია, ვოი, ნანა,
ქამი მადგას ჯალათივით.
მზე მაკლდება თანდათანა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავტყდი, ველარ დავფრენ ლაღად...
უბეში მაქვს მჭრელი დანა,
უნდა შევაშინო დაღლა.
ვიღაც მორბის,
ვიღაც გარბის,
კაცი მინდა ჭირშიც, ლხინშიც,
მითამაშებს ცალი წარბი,
გაწყდეს უჯიშოთა ჯიში.
ველარ ვგუობ კომპლიმენტებს,
მართალს ვარჩევ ჩემდა თავად...
გულის კარი მოვიკეტე,
ხშირად მიწევს ჭირთან დავა.
გავცქერ ეშელონის ბორბლებს,
ბორბლებივით ვეტრფი სრბოლას...
და მგონია,
ეს მე მომკლავს,
როცა სადღაც ისმის სროლა.
როცა ქარებს ეკვრით სუნთქვა,
გამწყვეტია ჯავრით ქანცი...
ზეცა მინდა,
ზეცა სუფთა,
არა ჯანღები და ქაცვი,
მოიმედეს ხვალის დღითა,
ფრენა მინდა ან ხვალ, ან ზეგ...
როცა ვინმე ცრემლებს ღვრიდა,
არასოდეს ვმდგარვარ განზე.
...კიდევ თუ მეწვევა დაღლა,
განა დავუჩოქებ, განა?..
კიდეც მოვისწრებდი ბაღნარს,.
ნანაია, ვოი, ნანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ანთაძე

# ოქროს ტახტი

მოთხრობა

### ბერი ექვთიმე:

„ქვეყნად იყო ერთი ყვავი და ის ყვავი მე ვიყავი", გავიფიქრე ახლადგამოღვიძებულმა და იმავ წამს პირჯვარი გადავისახე, რადგან ამგვარ მკრეხელობას მაცდური ჩაგვჩურჩულებს ხოლმე, მას კი, როგორც ჩანს, ადამიანი სრულად ვერასოდეს განიშორებს.

ავდექ და აღვასრულე დილის ღვთისმსახურება. „დღეს განსაკუთრებით მოეთხოვება გონებას ჩემსას გარინდება და დავანება ნათლისა წიაღ, აკი დღეს უნდა გადავწყვიტო, გავხსნა თუ არა ქანდრიის გზისკენ მიქცეული სარკმლის დარაბა"-მეთქი, ვუთხარ უფალს, ხოლო ჩემს გლახაკ თავს ვურჩიე, „აღივსე-მეთქი სიმშვიდე სულით". სწორედ ასე ვთქვი და მივხვდი, უნებურად რომ შემცდა სიტყვათშეთანხმება, პირიქით უნდა მეთქვა, მაგრამ ეგებ სწორედ სიმშვიდე აღივსება სულით და არა სული სიმშვიდით. თუმცა სულერთია — მე ხომ ფილოლოგიურ ძიებებს ჯერ კიდევ მაშინ ვანებე თავი, როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უზენაესის მადლით, ჰეშმარიტ გზას დავადექ. არც ჩემი ორწლიანი მღვდლობისას გამოვდევნებივარ სიტყვის გარეგან მხარეს, მხოლოდ კაცის ზნეობაზე ვწუხდი და მიმაჩნდა, რომ თუკი მოძღვარი ვიყავ, უნდა დამემოძღვრა კიდეც ერი. ქადაგებისას მუდამ დაურიდებლად განვაქიქებდი ყოველგვარ უწესობას, რასაც კი ირგვლივ ვხედავდი, არ ვერიდებოდი სიცხადეს და ზუსტ მისამართებს, სახელდებით ვიხსენიებდი ყოველ მოძალადესა და ღვთისმგმობს, ქურდსა და ავაზაკს, მექრთამეს და მემრუშეს იმისდა მიუხედავად, თუ რა თანამდებობა ეკავა ცოდვილს, რას ხელმძღვანელობდა ან რა უფლებებით სარგებლობდა. ვგონებ ოდნავ მაინც მოვახერხე საწმყსოს გამოფხიზლება, მაგრამ აღარ დამცალდა: ძირს დამცეს, გამთელეს, მგვემეს და გონს მომიყვანეს.

დღემდე არ ვიცი, ვინ იყვნენ ის დალოცვილები, შემთხვევით გზასშემოყრილი შარახვეტიები თუ წინასწარ შეთქმულნი ანუ ვინმე ჩემზედ განაწყენებულის მიერ მოგზავნილი შურისმგებელნი. ღამით ეკლესიიდან შინ ვბრუნდებოდი, უანაფოროდ ვიყავი, გასაძარცვავად არა ვღირდი, ჯინსისა და ნაქსოვი ჯემპრის გარდა არა მქონდა რა, თუმცა არც არავის გავუძარცვივარ, უბრალოდ გადამეყარნენ — ექვსი თუ შვიდნი იყვნენ, ჩემი ხნის ხალხი, ახალგაზრდები — უმიზეზოდ ამიხირდნენ და ისე მცემეს, რომ იტყვიან, სიგრძე განად მომიქციეს, ხმა არ ამომაღებინეს, ხელი არ გამანძრევინეს,

წიხლით შემდგნენ, მაწამეს, მაფურთხეს, სულთ ხორცამდე შეურაცხმყვეს და თავიჰანამ არ დამანებეს, სანამ სრულმა ვდიადმა არ მომიცვა.

მთელ თვეს უგონოდ ვიწექ საავადმყოფო საწოლზე. კიდევ მეტი დრო ჩემი დაჟეჟილ-დაბეგვილი ძვალრბილის გამთელებას მოუნდა. საკუთარი მდგომარეობა აღვიქვი ვეშაპის სტომაქში დანთქულ იონას სასწაულად, ამქვეყნად ერთადერთ სასწაულად, რომელიც ცოცხლთათვისაა განკუთვნილი. ბევრი ვვიქრე განკურნების დღეებში, ბევრი ვუფიქროდ განვიცადე და იმ დასკვნის ჭიბჭესთან მიველ, რომ ყოველგვარი სატანჯველი მხოლოდ ჩვენსავე სულში ბუდობს. მთელი ადამიანური წინააღმდეგობები, შეუთავსებლობები, ურთიერთგამომრიცხავი და შეუგუებელი სურვილები აქ იყო, ჩემს შიგნით, ხოლო საჯარო და მისი მოსახლე ადამიანები ქაილნი იყვნენ თავისთავად თუ არა, ჩემს მიმართ მაინც. ჩემი შეცდომაც აღმოვაჩინე — ამქვეყნიური ცხოვრების ღრად ალლუმში დაბნეული კაცის შეცომა — სხვებს ვთხოვდი პასუხს, ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში მუდამ საკუთარი თავისთვის გამესწორებინა.

ტანად კი განვკანსალდ მაგრამ სული ჩამომილამდა, გამიფერდისფერდა. ქვეყნიერება დაემსგავსა სდიან ჰანგს, რომლის დაძაბულსა და მოწყენილ ბგერებს ექოსავით ეხმიანებოდა იდუმალ საკრავთა მომხიბლავი ჰოვანება. დაცემა აღდგომის საწინდარად მომეჩვენდა, მაგრამ აღდგომა დაცემამდელი მდგომარეობის მსგავსი რომ ყოფილიყო, აღარ შეიძლებოდა. სამუდამოდ შემრჩა პირველი ცოდვით მომხდარი დაკარგული სამოთხის განცდა. მღვდლობას დავეხსენ, ბერად დავეყუდე ჭვემოსოფლის მონასტერში, სადაც ერ უკვე სამი წელია სრულ მარტოობაში ვცხოვრობ. უფლის წინაშე უმტკიცი აღქმა დავდე, არასოდეს გავადგა ფეხ აქედან და არც გამიდგამს, ეგ კი არ დაჭედილი დარაბებიც კი არ ავხსენ ერთადერთ სარკმელს, რომელიც ქანდრიის გზას გაჰყურებს, ჩავიკეტე გალავნით შემოსაზღვრულ მონასტრის სენაკებსა და ეზო-მიდამოში, გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, „თუ ბედად მიწერია ამქვეყნიურ ცხოვრებას კვლავ შევერთო, იგი თვით მომაგნებს, თავისი ფეხით მომაკითხავს და აქედან გამიყვანს“-მეთქი, მაგრამ სამი წლის მანძილზე მსგავსი არაფერი მომხდარა.

ამასობაში მეც დავმკვიდრდი მარტოობაში, გავძლიერდი.

ამიტომაც გადავწყვიტე დღეს დაფიქრება: იქნებ ჩამოვხსნა დარაბები ერთადერთ სარკმელს, რომელიც მონასტერს საერო სამყაროსთან აკავშირებს და რომლიდანაც მოჩანს ქანდრიის გზად ოდითგანვე ხმობილი, ხშირ ტყეში გაკლაკნილი, მაღლა მთისკენ მიმავალი ვიწრო შარაგზა.

ღირს?

იქნებ არ ღირს?

### თენგიზი:

იმ დღეს დილის ექვსი საათიდან მიწევდა ადამიას სახლთან მორიგეობა. კიდე კაი, მანქანა წინა საღამოსვე წამოვიყვანე პარკიდან, დაველრიჭე გარაჟის უფროსს, უთენია აქ ნუ მომათრევმეთქი, თუმანიც ჩავუჩურთე და გამომატანა. ძლივძლივობით ვიჯექი საჭესთან ამ უთენია, ვიდრე დანიშნულების ადგილს მივაღწევდი. საერთოდ, მუდამ უკმარისობის განცდა მიპყრობს ხოლმე დილაობით, გაღვიძებისთანავე, განსაკუთრებით თუ წამოსახტომი და გასაქცევი ვარ და პატარახნით ნებივრობის საშუალება არ მაქვს. მტანჯველი და შემაშფოთებელია ეს განცდა — თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გამომრჩენია მხედველობიდან და ვერ კი მივმხვდარვარ, რა წუხილი მღრღნის და რა მაშინებს. მინდა გავექცე ამ უცნაურობას, გასაქცევი კი მხოლოდ ერთია — ფიქრი. რადიოში ჰიმნის ჰანგები რომ აჟღერდა, ზუსტად ექვს საათზე, „ქიგული“ ერთი ცნობილი მხატვრის სახელოსნოს ჰიშკართან

გავაჩერე, ადამიას სადარბაზოს გასწვრივ და წამსვე ფიქრს მივეცი თავი.

თუმცა არც ჩემი მოვალეობა მავიწყდებოდა — თვალყური უნდა მედევნებინა ადამიას სადარბაზოში შემსვლელი ყოველი ძეხორციელისთვის და უბის წიგნაკში ჩამენიშნა. განსაკუთრებით სიფხიზლე მმართებდა, თუკი დგებუაძე გამოჩნდებოდა. ამ ანტისაზოგადოებრივი ელემენტის ფიზიონომიაც და მთლიანი ჰაბიტუსიც ფოტოებიდან მქონდა გაზეპირებული და თუ თვალს მოვკრავდი, სასწრაფოდ უნდა მეცნობებინა ჩვენებისთვის. ასე რომ საქმე არ მაკლდა, თუმცა ეს ხელს არ მიშლიდა ფიქრს ხულიგნობაში ავყოლოდი, მეტადრე მაშინ, როცა ნაგვის მანქანა მოვიდა და ცნობილი მხატვრის ლამაზმა ცოლმა ჩამიარა ვედროთი. სანამ მიჰქონდა ნაგავი, მისი გემრიელი თეძოებისთვის თვალი არ მომიშორებია, უკან რომ ბრუნდებოდა, საჭეზე თავი ჩამოვდე, ვითომ მეძინა, თან მალულად ვუთვალთვალებდი. ქალმა, როგორც ყოველთვის, იქვენული მზერა მტყორცნა, მერე კი თავის ცარიელ ვედროს ისე ჩახედა, თითქოს ამოწმებდა, რაიმე ნაგვის ნამუსრევი ხომ არ ჩარჩა შიგო. გულში მეცინებოდა, ვინ იცის ამ ძუკნას ვინ ვგონივართ მე და ჩვენიანები, ასე ხშირად რომ გვხედავს თავისი პიშკრის მახლობლად სიეჭვოდ გაჩერებულ მანქანაში. ალბათ, ფიქრობს, ეს ბიჭი ქურდი და მამაძაღლიაო, რას წარმოიდგენს საბრალო ქალი, სწორედაც რომ პირიქითაა.

დაახლოებით ათის ნახევარზე ადამიას სადარბაზოში ვიღაც კაცი შევიდა, დგებუაძეს ჰგავდა, მაგრამ დგებუაძე ნამდვილად არ იყო. თუმცა, რაღაი ჰგავდა, ალბათ ისიც კაი ძაღლიშვილი იქნებოდა. ჩემი თეორიით ამქვეყნად მობინადრეები რამდენიმე ქვესახეობად იყოფიან; ესენია ძუკნები, მამაძაღლები, ძაღლიშვილები, ძაღლის გაგდებულები და წესიერი ხალხი. უბრალო ჩამოთვლიდანაც ჩანს, რომ უკანასკნელნი შედარებით ცოტანი არიან.

რას იზამ?!

## ლადო:

ათ საათზე ჩვენი კარის შეზნექილის, დოცენტ ადამიას კივილმა გამაღვიძა. მწიგნობარი კაცია, ერთი სიმპათიური, მაგრამ ლოთი და ცდვისშვილია, ეტყობა. ყოველ დილით შემაზრზენი გოდებით იღვიძებს. ყვირილი! ღრიალი! რა არის ეს? ტქსინით მოწამლული ნერვული სისტემის კრუნჩხვა თუ დატყვევებულ-დათრგუნული სულის საიდუმლო ამოძახილი? თუ ორივე ერთად? „ნუ სვამ, ნუ კამ ამდენსო!" — ამის ძახილი უშველის უბედურს? მაშ რა უშველის? ტყვა? სინანული? სიკვდილი?

ან შესაძლოა იცოეს კაცმა, რა უშველის?

რაკილა გამომეღვიძა, დაძინება აღარც მიცდია. ლოგინში გვერდი ვიცვალე. ლენუკა უკვე ამოარიყო და სამზარეულოში საქმიანობდა. მე სახე მტკიოდა. ამხელა კაცი ლაწირაკების სახადი რომ დამემართა მეტის ღირსიც ვარ. ცოტა თავიც მტკიოდა, თუმცა შესაძლოა, ამის მიზეზი წითურა კი არა, წუხელ მირთმეული წითელი ღვინო იყო. მომშივდა.

— ლენუკა! — გავძახე სამზარეულოში, — ხომ არის დავლევდი, რამე ნამცხვარსაც მაყოლებდი.

მთავარი სიმშვიდე და აუმღვრევლობა დაკიდევ, რაღა თქმა უნდა, მთავარია სმე.

ბალიდან თავი წამოვყავი და მაგიდაზე კემოსოფელში წასაღებად გამზადებულ ჩემს ნახაზებს შევხედე.

სად არის ერთადერთი რამ, რაიც უნდა იყოს. სხვა ყველაფერი, თუნდაც ლექას საამო ფხაკაფხუკი ჩემს დასარებლად, უნდა მიეკუთვნოს აუხსნელ-გაუგებარი სისულელის საყვარელ კატეგორიას, რომლის ინტერგრაციას არავითარი მნიშვნელობა არა ქვს არაფრისა და არარაისთვის. სუერნეგაციაა, ტოტალური.

რა კარგია, რომ დღეს ქვემოსოფელში მივდივართ მე და ჩემი პატარა ლენუკა, ბაბუამისის მამულში, ძველ, მი-

ტოვებულ, დიდებულ სახლში, ათიოდე დღის გასატარებლად, მით უფრო, ჩემი საქმე — ჩემი ნახაზები მიმაქვს თან.

ოცდახუთი წლის ასაკში საყმაწვილო სენის — წითურას მოხდის შემდეგ გავიაზრე, რომ განვლილი მეოთხედი საუკუნიდან თვრამეტი წელი განათლების ოფიციალურ რიტუალს მიეძღვნა. „ოფიციალურს“ იმიტომ ვამბობ, რომ არაოფიციალურად „სწავლა სიბერემდეო“, ნათქვამია. ჰოდა, ერთხელაც ვიცვალე გვერდი თბილ ლოგინში და დავფიქრდი — მაინც რა ვისწავლე ამასობაში, როდესაც სიცოცხლის უკეთესი წილი წარსულს მივაბარე? ფაქტიურად, ბევრი არაფერი. მოვიპოვე ჩვენს სინამდვილეში საკმაოდ გაუფასურებული უმაღლესგანათლებამიღებული კაცის ცენზი. ეს ასე ვთქვათ, საქმის ფორმალური მხარეა. ერთხელაც გადავკოტრიალდი საწოლში. ახლა, საკუთრივ შეძენილ საუნჯეზე ვთქვათ: რა შემიძლია? შემიძლია კარგად, გამართულად ხაზვა, მათემატიკური აზროვნების მეტნაკლებად პროფესიონალური მომარჯვებით, რაც, სამწუხაროდ, ბევრს არ შეუძლია...

— ლადო, ადე, პური მოიტანე! — სამზარეულოდან გამომძახა ლენუკამ.

**ᲚᲔᲜᲣᲙᲐ:**

— ახლავე! ახლავე ავდგები! — მიპასუხა ლადომ.

მე სახელდახელო ნამცხვარს ვუცხობდი, ოღონდაც თავად არ მიყვარს ტკბილეულით საუზმობა, ჩაის კარაქიანი ბუტერბროტი თუ არ შევატანე, ვერ დავნაყრდები, პური კი ნამცეცი აღარ გვქონია სახლში.

დღეს ქვემოსოფელში მივდივართ, ლადომ აიხირა, გინდა თუ არა, იქ რამდენიმე დღე ვიცხოვროთო. თავისი ნახაზებიც მოაქვს. მე მაინცდამაინც არ მიმიწევდა გული ცის კიდეზე მიტოვებული ძველისძველი ცარიელი სახლისკენ — ათი დღეც არაა, რაც საქორწინო მოგზაურობიდან დავბრუნდით, ქალაქი მომენატრა, მაგრამ რაკი ლადომ აიჩემა, მის ნებას დავყევი.

წუხელ, ეტყობა, მოსალოდნელი მგზავრობის შფოთვა შემიჩნდა — დიდხანს არ დამეძინა, მერე კი ბებია დამესიზმრა, პირველად დამესიზმრა, რაც აღარ არის... ბაბუა ხშირად დამსიზმრებია, ზოგჯერ სხვებიც — წასულები, რაც მუდამ მაოცებს, რადგან ძილში არ მავიწყდება, ცოცხლები რომ არ არიან, და ეს გრძნობა ერთდაიმავდროს ტკბილიცაა, საამოც, შემაშფოთებელიც და სასიხარულოც: ისინი იქ არიან, მე კი ბუნდოვან ძილში წყალობასავით მეძლევა ამქვეყნად სამუდამოდ მოსანატრებელი და მონატრებული უძვირფასესი ადამიანების ნახვის მცირე უფლება. ამგვარი სიყვარულიანი განცდა სხვა არაფრის მიმართ არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ამ ბოლო ხანს ქმრის ძლიერ სიყვარულს — ძალიან მიყვარს ჩემი ლადო, ახლა საწოლში რომ ნებივრობს და პურზე წასვლას აჭიანურებს.

გემრიელ ნამცხვარს ვუცხობ. პატარა ბავშვივით უყვარს ტკბილეული.

მაინც რა კარგად მოვიფიქრე ჩვენს მამა-პაპისეულ სახლში წასვლა. ბავშვობის მერე იქ არ ვყოფილვარ. ბაბუამ იმ სახლში დალია სული. თბილისში რომ ჩამოასვენეს, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს წყინდა, ამხელა გზა რომ ჩამოატარეს და იქვე რომ არ მიაბარეს მიწას. ისე კარგს კი იზამდნენ — მაშინ აღარც მე ვნახავდი მიცვალებულს და მეხსიერებაში სულ ცოცხლად დამრჩებოდა, ისეთად, ბოლოს რომ ვნახე ამ სამი წლის წინ. მეცხრე კლასში ვიყავი, მოსანახულებლად რომ ჩამოვიდა.

ის ბოლო შეხვედრა არ მავიწყდება, ანდა რა დამავიწყებს, ისეთი თბილი და საყვარელი ამბავი მომითხრო:

„ბებიაშენი თბილისში გავიცანი, ერთ თვეში შეყვარებაც მოვასწარი და ცოლად შერთვაც. ზამთარში მოხდა ეს ამბავი და კარგა გვარიანად რომ გამოიზაფხულა, მშობლებთან წაყვანა გადავწყვიტე. ქვემოსოფლამდე ლინეიკით ვიმგზავრეთ და მთელი გზა მხიარულ

კურკურში გავატარეთ, მაგრამ ჩვენი სახლი-ხომ იცი სადაც დგას, მთის მწვერვალზე, სულ ზემოთ და იქამდე ხუთიოდე კილომეტრი კიდევ ფეხით უნდა აგვევლო. ბებიაშენის ნებიერი და ჭირვეული ხასიათი ხომ გახსოვს, ჰოდა, ზუსტად ასი ნაბიჯიც არ გვექნებოდა გადადგმული, გამომიცხადა — მე ამდენი ფეხით სიარული არ შემიძლია და არსადაც აღარ მივდივარო. ჩვენს სახლამდე რომ ბილიკი ადის, იმაზე მაშინ კი არა, ახლაც არანაირი ტრანსპორტი არ დადის. კარგი, გეყოფა, წამოდი-მეთქი, დაყოლიება დავუწყე, მაგრამ არა და არ გატყდა, რა აღარ მოიმიზეზა — ლეკებისა და დიდოების მეშინიაო. რაღა დროს დიდოობაა-მეთქი — მაშინ ყაჩაღებისა და ტერორისტების, ანდა ჟანდარმებისო. მაგათ აქ რა ესაქმებათ, შენ უბრალოდ ზარმაცობმეთქი. დიახაც, ვზარმაცობ, ფეხით სიარულს ჩვეული არა ვარ და ახლავე უკან, ქალაქში დავბრუნდეთო. ეგებ ჩემს მშობლებთან შეხვედრისა რცხვენოდა ახალრძლურად, ეგებ მართლაც ეზარებოდაო", ამბობდა ბაბუა და მოგონებას მხიარულად, ანცი ბიჭივით უღიმოდა, „მოკლედ, რომ შევატყვე ვეღარაფერს გავხდებოდი, ვტაცე ხელი, კიდე კარგი, ორმოც კილოზე მეტს არ იწონიდა, ხომ გახსოვს, რა ციცქნა ქალი იყო, და მთელი გზა სახლამდე ბავშვივით ხელში აყვანილი ავატარეო", დაასრულა ბაბუამ.

ამას რომ მიამბობდა, სულ ბებიაჩემის თეთრი, განიერფარფლებიანი, ფერადი ლენტებით შემკული ფეტრის ქუდი მედგა თვალწინ, დღემდე რომ შემოგვრჩა ოჯახურ რელიქვიად. ბაბუას გამოვუტანე და ვკითხე, ეს ქუდი ხომ არ ეხურა მაშინ-მეთქი. არ მახსოვსო, ვერ მოიგონა ბაბუამ. მოდი, იმ ქუდს წავიღებ დღეს ქვემოსოფელში. მეც ხომ ბებიაჩემის ტანისა ვარ, ბაბუას თქმისა არ იყოს, „ციცქნა" — ორმოცდასამ კილოს ვიწონი.

ჩემმა მეუღლემ ინება, როგორც იქნა, აზრძანება, ჩუსტების ფრატაფრუტით მიაშურა ტუალეტს, თან რაღაც ქაღალდებიც შეაყოლა ხელს. ახლა კარგა ხანს არ გამოვა იქიდან, შენი კაბინეტია-თქო, ვეხუმრები ხოლმე, ხან წიგნს კითხულობს იქ, ხან გაზეთს.

რა სასაცილო და საყვარელი ვინმეა.

### ლადო:

მე მგონი, ლენუკამ ვერ შენიშნა, ტუალეტში საწერ-კალამი, ქაღალდი და კონვერტი რომ შემოვიტანე. მოვუკიდე სიგარეტს, ფურცელი მუხლზე დავიდე და ასე, მუხასთან წყალნაყარი მწერლის პოზაში ჩავფიქრდი.

ბევრი აღარ დამიხანებია, სიტყვები ადრევე მქონდა მოფიქრებული და სახელდახელოდ დავწერე: „ჩემო საყვარელო მარინა! ჩვენი ურთიერთობა, რაც შვიდი წლის მანძილზე გვაკავშირებდა, უფლებას მაძლევს ეს ბარათი მაინც მოგწერო. შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი, შენ მაქციე ჩვიდმეტი წლის ლაწირაკი მამაკაცად, ადამიანად და შენი კეთილშობილება მაფიქრებინებს, რომ სწორად გაიგებ ჩემს საქციელს, შემინდობ, თუ რამ ტკივილი მოგაყენე. მე, ჩემის მხრივ, ყველაფერი გაპატიე, თუ კი რამ მაწყენინე. შენ ძველებურად განსაკუთრებული ადგილი გაქვს ჩემს გულში და პატარა არსება, რომელსაც ჩემი მეუღლე ჰქვია, ამ ადგილს არ იკავებს. მას, სწორედ გამიგე, თავისი საკუთარი როლი აკისრია. რამდენიმე თვეა, რაც მე და შენ ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ წამითაც არ დამვიწყებიხარ .მუდამ შენი ლ. P. S ჩვენი ურთიერთობის მომავალი მთლიანად შენთვის მომინდვია, თუ გინდა, აღარასოდეს გნახავ, თუ გინდა — ყველაფერი ძველებურად იყოს".

მერე წერილი კონვერტში ჩავდე და მისამართი წავაწერე. ყოველივე ამას რომ ჩავდიოდი, ლენუკასი მრცხვენოდა, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო, რადგან სიყვარულსა და სიკეთეს თაყვანს ვცემ. სხვას არაფერს არ ვცემ თაყვანს, ამ ორი რამის გარდა, არც ქეიფებს, არც მეგობრულ კონტა-

ქტებს, თუმცა ესეც საჭიროა ცხოვრებაში. ვარჯიში, სპორტი, ტურიზმიც საჭიროა ტანისა და სულის სიმრთელისთვის, ამიტომაც მივდივართ დღეს ქვემოსოფელში. თამბაქოს წევა სულ არ არის საჭირო. სიგარეტი უკანასკნელად მოვქაჩე, ნამწვი ჩავაქრე და ხელ-პირის ბანას შევუდექი. წარსულისა და წინაპრების ხსოვნაც საჭიროა და კიდევ ამიტომაც მივდივართ დღეს ქვემოსოფელში. საჭირო კია ყოველივე ეს, მაგრამ არათაყვანსაცემი. სათაყვანო მხოლოდ სიკეთე და სიყვარულია და კიდევ საქმე, საქმე, საქმე, სწორედ საქმე — ხაზვის ცოდნით რომ გამოიხატება, მაძლევს საშუალებას დღესდღეობით ლუკმა-პურისათვის ორიოდ გროში მოვიპოვო. გარდა ამისა, ცხოვრების მანძილზე ხუროთმოძღვრების ანბანის რამდენიმე „ასოც“ შევისწავლე, რაც, თუ ბედმა ინება, შემდგომ არქიტექტურაში მუშაობისთვის გამომადგება. ასე რომ ამ ეტაპზე არც ცუდად, არც კარგად, მზად ვარ ვემსახურო საამშენებლო ხელოვნებას, რომლის კარიბჭესა თუ ზღურბლთან მიახლოვებულმა უკვე ვიგრძენი, თუ რაოდენ უზარმაზარი ტვირთი და მანძილია შრომა-ძიებით დასაძლევი, თუ გსურს, რაიმე ღირებული შექმნა შემოქმედებაში.

— აღარ გამოდიხარ?! დაიკეტა პურის მაღაზია, მშია! — მეძახის ლენუკა. თავს დამნაშავედ ვგრძნობ მის წინაშე. იმ საიდუმლო კონვერტს პერანგქვეშ ვმალავ, იქვე აზრად მომდის ერთი ლამაზი ბარათი ლენუკასთვისაც დავწერო. ეგებ ამით გავაწონასწორო ჩემი საქციელი. ჩანაფიქრი სისრულეში მომყავს.

### ვოვა:

ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში მშობლების ნებასურვილით გადმოვსახლდი, რათა ცუდ წრეს გავრიდებოდი და კაიფს გადავჩვეოდი. ჩემი არსების ერთ ნაწილსაც სწორედ ეს უნდოდა. მაგრამ მეორე ნაწილი არ მასვენებდა, მებრძოდა. საბოლოოდ ასე მოვარიგე ორივე: თბილისში პრინციპულად არ მივდივარ, ძველ ამფსონებს არ ვნახულობ, წამლებსა და საქონელზე არ ვჩალიჩობ და ფულს არ ვხარჯავ, მაგრამ თუ ვინმე კეთილი ნაცნობი რაიმეს მისაჩუქრებს, უარს არ ვამბობ. ამიტომ თითქმის ყოველ დილით გავდივარ სადგურზე, იქნებ ვინმე — ან აქაური, ან თბილისელი — ჩამოვიდეს და ხელს რაიმე საინტერესო ჩამოაყოლოს.

ქვემოსოფელში მსუბუქად ცრის. სადგურზე მოლოდინით დაღლილ მგზავრებს აწვიმთ. მატარებელი მძიმედ მოჩოჩავს და ფანჯრების ათასსახიან პანორამას მოატარებს თვალწინ. გამცილებლები ტამბურებში გამომდგარან. ბაქანზე გიჟი დიდთავა ლოთი დადის ყვირილით და თავის ჭკუაში წესრიგს ამყარებს.

მცივა.

ისე, თავს ცუდად არ ვგრძნობ.

მატარებელი ჩერდება, მაგრამ მზემოკიდებული, გაჯანსაღებული ხალხის ნაკადები ვაგონებიდან არ იღვრება. ეს გაგრა-თბილისია და ქვემოსოფელში ჩამომსვლელი არავინ ჩანს, არც მებარგულების ურიკები არახუნდება, არც ტაქსის რიგი დადგება.

სულ არ მრცხვენია ახლა ბაქანზე გამოვდგე და საჯაროდ ვითხოვო სულ ცოტა ნარკოტიკი, მაგრამ, ჯერ ერთი, მაინც არავინ არაფერს მოგცემს, მეორეც — მატარებელი უკვე დაიძრა. საკუთარი სურვილის თქმისა ნამდვილად არა მრცხვენია. მხოლოდ ზნეობით ავადმყოფებს ეშინიათ თავიანთი ბილწი გრძნობების გამომზეურების.

მატარებელი თვალს მიეფარა. მე ფეხს არ ვიცვლი. თბილისიდან ორი შემადგენლობა უნდა ჩამოვიდეს. ერთ-ერთს დიმა ჩამოყვება. იმედი მაქვს, ხელცარიელი არ იქნება.

### ლადო:

ხელჩანთა ავიღე (მარინასთან გასაგზავნი კონვერტი უბეში მედო) და ში-

ნიდან გამოვედი, ნელა დავეშვი ჩემი სადარბაზოს ძველ კიბეზე. ეჰ, რაც მე ეს საფეხურები მითვლია ბავშვობაში, როდესაც სკოლაში წასვლა მეზარებოდა ხოლმე. კაცმა რომ იკითხოს, რა ასეთი ცოდნა მომცა ამდენმა სწავლამ? არც ერთ დისციპლინას ამ თვრამეტი თუ ოცი წლის მანძილზე ღრმად და დაწვრილებით არ დავვუფლებივარ. ჩემი ერუდიცია დილეტანტურია, ამ სიტყვის პირდაპირი და ვულგარული გაგებით. ყველაფერზე ზოგადი და ზედაპირული წარმოდგენა მაქვს, რადგან ადრევე მივხვდი: უსასრულობაში ჩაღრმავება უაზრობაა, მასთან შეფარდებისას სხვადასხვა სიდიდეები ტოლნი არიან, ანუ თუ რომელიმე მეცნიერის ღრმა ცოდნა ჩემს დილეტანტობას ბევრად აღემატება, ორივე ერთად მაინც არაფერს ნიშნავს აბსოლუტური ცოდნის წინაშე.

ჩვენს სადარბაზოში ოთხმოცდარვა საფეხურია. თევზს აქვს სუსტად განვითარებული თვალები. ბავშვობაში მიდრეკილებას ვიჩენდი მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართ, ბავშვობაშივე დავკარგე მათდამი ინტერესი და დღეს სავსებით მაკმაყოფილებს იმის ცოდნა, რომ მათემატიკა მხოლოდ მშრალი აბსტრაქციაა, დისკურსიული ლოგიკის „სუფთა“ გამოვლინება და თავის ულრმეს წიაღში იმ მეტაფიზიკურსა თუ მისტიურ მუსიკას უერთდება, რომელსაც საბოლოო ჯამში შემეცნების ყველა სხვა დანარჩენი გზაც ერწყმის, ხოლო ფიზიკა...

— გამარჯობა, ლადო, — მეუბნება საფოსტო ყუთთან მდგარი გასალებმომარჯვებული მეზობელი. როგორ მოხუცდა ეს კაცი. საფოსტო ყუთიც სულ დაიჟანგა, ალბათ მალე გამოცვლიან. დრო მიიწევს წინ და სიცოცხლე ცვდება, როგორც ამ კიბის საფეხურები და მოაჯირი, ცვდება და ნატიფდება, გამჭვირვალდება და ცხადდება. ლენუკას შია. უნდა ვიყიდო ერთი თეთრი და ერთი შავი პური. ეს საკმარისია. იყოს სიმშვიდე და ცოტაოდენი სითბო. მარინას წერილი უნდა გავუგზავნო. ნეტა რას იფიქრებს?

ამ პატიოსან მოხუცს სალამზე სალმით ვუპასუხე თუ არა?

## თენგიზი:

ჩემი მორიგეობის ვადა დასასრულს უახლოვდებოდა. მამაძაღლ ადამიას სახლთან სიმშვიდე სუფევდა. ძაღლიშვილ დგებუაძის ჭაჭანება არსად ჩანდა. ვიჯექი წყნარად საჭესთან და ვფიქრობდი. ფიქრი, ფიქრი, არავითარი გრძნობა — ასეთია ჩემი დევიზი.

თერთმეტ საათსა და ცამეტ წუთზე ადამიას სადარბაზოდან ჩემი ხნის ბიჭი გამოვიდა ხელჩანთით. სასწრაფოდ ჩავწერე ბლოკნოტში, თუმცა საეჭვო არაფერი შემინიშნავს. თუ არ ვცდები, მანდა ცხოვრობს, ხმელ-ხმელი, მხრებში მოხრილი შავგვრემანი ყმაწვილია. ნეტავ წესიერი კაცია თუ ძაღლის გაგდებული? სახლის კუთხეში საფოსტო ყუთს მიუახლოვდა, რაღაც იჭვნეულად მიიხედ-მოიხედა და კონვერტი ჩაუშვა. მერე სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ქუჩა, საფუნთუშეში თეთრი და შავი პური იყიდა და უკან დაბრუნდა, კვლავ შეუვინთა თავის სადარბაზოში.

მომშივდა.

## ლენუკა:

სანამ ლადო პურს ამოიტანდა, მე რაც შემეძლო ლამაზად გავაწყვე საუზმე, ისე ლამაზად, რომ ხელის ხლება დაენანებოდა კაცს. გადაწყვეტილი მაქვს, ყოველთვის ასე მოვრთო სუფრა ჩემი ლადოსთვის, ყოველი წვრილმანით გავუხალისო სიცოცხლე. ვიცი, რომ ჩემს ქმარს, ვიდრე გამიცნობდა, ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობა ჰქონდა ერთ ქალთან. ისიც ვიცი, რომ ხშირად ახსენდება წარსული და ამ დროს საოცრად ნაღვლიანი მზერა აქვს ხოლმე. მე ეს მზერაც მიყვარს, ეს ნაღველიც და ვცდილობ შევაკავო

ეჭვი თუ ბრაზი, რომელიც ჩემდაუნებურად მეძალება, როდესაც ვხვდები: აი, ახლა ის გაახსენდა, ის მეორე! ამ დროს თითქოს გაორებული ვარ: ერთის მხრივ სიყვარულია, მეორეს მხრივ — მრისხანება. ნეტავ როდის დასძლევს პირველი მეორეს? მტკივა.

მოვიდა და ჩემი საყვარელი შავი პური მომიტანა. სუფრას დახედა, უკნიდან მხრებზე მომეხვია და მითხრა:

— ისე დაგიხატავს, კი არ უნდა შეჭამო, სახსოვრად უნდა შეინახო, — და ტკბილად, ნაზად მაკოცა ყურზე. შემოვტრიალდი და ჩავეკარი.

მოვა დრო, როდესაც ყველაფერი სახსოვრად იქცევა. იმ სევდის წარმოდგენაც კი მზარავს. საჭირო არ არის, ალბათ, იმ დრომდე ვიცოცხლო.

## ლადო:

კოცნაობას რომ მოვრჩით, დავსხედით და გემრიელად შევექეცით ლამაზ საუზმეს. ღელვამ მალე ვერ წამიხდინა, თუმცა ლენუკას თვალს ვერ ვუსწორებდი, ჩემი სიცრუის მრცხვენოდა. მან მარინას არსებობაც კი არ იცის, არათუ ის, რომ წერილი გავუგზავნე ათი წუთის წინ. მრცხვენოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა: ვერ წავშლი მარინას ჩემი ცხოვრებიდან, რადგან ის არსებობს, ცოცხლობს, სუნთქავს აქვე, მახლობლად, მე კი არ მინდა, ო, როგორ არ მინდა შეზღუდული მქონდეს უფლება იქ დაბრუნების. ვიცი, რომ ბავშვობაში ან თუნდაც ახლო წარსულში ვერასდროს დავბრუნდები. იმასაც ეგუება გონება, რომ გარდაცვლილებს ველარასოდეს ვნახავ, მაგრამ აწმყოში, ამავე ქალაქში ცხოვრობდეს ადამიანი, რომელთანაც ამდენი რამ გაკავშირებს და არ შეგეძლოს მასთან მისვლა, მისი ნახვა? ამაში არის რაღაც არაბუნებრივი, ძალდატანებითი და სრულიად აუტანელი...

— ძალიან გემრიელი ნამცხვარია, — არ ვივიწყებ ქათინაურს. ლენუკას ბავშვივით უხარია, მე კი, ეგებ ჩემი ორპირობის გამო, უეცარი შფოთვა მიპყრობს. რა ხდება? ვზივარ სამგზავროდ გამზადებული, სუფთად გაპარსული, ვსაუზმობ მოსიყვარულე ცოლთან ერთად და მაშინებს დიდი კითხვის ნიშანი, მიწრიალებს თავში (თუ სულში?) ბოროტი ფიქრი. რაშია საქმე? არა, დაწყნარდი, მიდი, მიჰყევი სიცოცხლის დინებას, სწორად, მართლად, ჯანსაღად მიჰყევი. მაგრამ სად არის ძალა? სულიერი გადაღლა მიბოჭავს სხეულს, ის კი, თავის მხრივ, სულს ამძიმებს და ნერვებს ბურდავს.

— რა გემრიელი პური გიყიდია, — ქათინაურს მიბრუნებს ლენუკა და ბოლო ლუკმას სანსლავს, — მოდი, ბარემ უკვე ჩანთასაც ჩავალაგებ, არ დაგვაგვიანდეს.

მშვიდად! სხვა რამეზე უნდა გადავერთო. რას ვფიქრობდი წელან ფიზიკის შესახებ? მათემატიკა მისტიკურ მუსიკას უერთდება-მეთქი, ხოლო ფიზიკა, რომელიც ჩვენმა საუკუნემ აინშტაინის ფარდობითობის თეორიით დააგვირგვინა, საერთოდ სათუოდ ხდის რაიმე ნივთიერის აბსოლუტურობას და აქსიომატურობას, რადგან, რაკილა დრო და სივრცე ისევე ფარდობითია, როგორც „ზევით“ და „ქვევით“ (ფარდობითია არა პოეტურ-ფიგურალურად, არამედ ექსპერიმენტული ფიზიკის ზუსტი აზომვით), მაშასადამე უსასრულოდ დიდი იგივე ყოფილა, რაც უსასრულოდ მცირე, ესე იგი მატერიალური სამყარო არის და არც არის, რასაც საბოლოოდ ისევ იმ მუსიკალურ მეტაფიზიკასთან მივყავართ, რასაც მეცნიერებაზე ბევრად ხელმისაწვდომად, პოპულარულად ანუ ადამიანურად გვიხსნის რწმენაც და მისი პირმშო ჰუმანიტარული დისციპლინები, ანდა ხელოვნება.

— გმადლობთ საუზმისათვის, — ვთქვი და ბოლო ლუკმის ღეჭვით წამოვდექი.

## ბერი ექვთიმე:

დავბორიალებ მონასტრის ეზოში და ვცდილობ ნელა, ლოცვასავით ვი-

ფიქრო ჩემი საფიქრალი. გალავნის ძირას სარეველებს წამოუყვიათ თავი, გაულაღებიათ. იქვე ჩვენი ლამაზი ჭრელი ვარიკა იქექება, ბალახში ეძებს ჭია-ღუას და ამ სურათის შემხედვარე კიდევ ერთხელ, მერამდენედ, მერამდენემილიონედ ვხედავ ნათლად, თუ რა მარტივადაა სამყარო აგებული. მერედა, რას მაძლევს ეს ხედვა? ვითვლები კი სიბრმავისაგან განკურნებულად?

ბოლთის ცემით ვუახლოვდები ნახევრად გამხმარ ბებერ კაკლის ხეს. იგი მალე მოკვდება და მოსაჭრელი შეიქმნება. მისი დანახვა მუდამ მეორედ მოსვლის წინათგრძნობას აღმიძრავს.

ჩამოვხსნა თუ არა დღეს დარაბა გარესამყაროს სარკმელს?

წელან ცრიდა, ახლა ოდნავ გამოინათა. უჩვეულოდ ცივა ბებერი კაკლის მეჩხერ ჩრდილში, მზის გულისკენ მივიწევ, მაგრამ მაინც ვერ ვთბები, თუმცა ახლა აგვისტოა. უკანასკნელ ხანს ჩემს არსებაში ჩაბუდებული ორჭოფობა საცნაურვყავ — ვიგრძენ, რომ უცნაური ხიბლით მიზიდავს მარტოობა, რომელმაც ასეოდენ მტანჯა აქ ყოფნის პირველ ხანებში. ეტყობა, ანგელოზები საბოლოოდ მთხოვენ არ მქონდეს სხვა არრა მოვალეობა, თვინიერ მათდა სამსახურისა. კი, ბატონო ზიგმუნდ, თქვენებურად შეატრიალეთ ეს ამბავი და დაარქვით უკმარისობისგან გაქცევა, რელიგიაში თავის შეფარება, სუბლიმაცია და, თუ გნებავთ, სიგიჟეც. ჩემთვის სულ ერთია, მე ვარ მართალი და არა თქვენ. არაფრის კეთება ლოცვის გარდა არ მინდა, ამიტომ ხორციელად არავის არ ვჭირდები და არავინ არ მჭირდება ამ ორიოდ კეთილი ადამიანის გარდა, ვინც დროდადრო სარჩო-საბადებლით ამარაგებს ჩემს მწირ სტომაქს. მაშ რატომღა ამეკვიატა დარაბების გახსნის სურვილი? რატომ არ მინდა დავკმაყოფილდე ამ წმინდა ქვითკირის გალავნით, მადლიანი ძველთაძველი საყდრით, მყუდრო ეზოთი და მორჩილი ბალახით. ეს რომ ვიკმარო, განა მართალი არ ვიქნები? რა წამს ვიზრუნებ ხორცისათვის (იქნებ დარაბის გახსნა სწორედ ასეთ ზრუნვას ნიშნავს), იმავ წამს მოღალატე დამერქმევა. ღალატს ნუ ჩავიდენ და სხვას ყველას და ყველაფერს ზეცის კურთხევა ჰქონდეს. აკი დიდი ხანია გადავწყვიტე, სანამ ვცოცხლობ, არავის არაფერი ვთხოვო, მით უფრო, მოვთხოვო. თანდათანობით ჩამინავლდა სულმოკლეობის ნამცეცა გრძნობა და შევიცან, თუ რას ნიშნავს ერთი აზრით იყვე გამსჭვალული წლების მანძილზე, ერთი სურვილი გტანჯავდეს, ერთი მიზანი გქონდეს.

რა უცნაურად სუსტია ეს აგვისტოს მზე. იქნებ დარაბების ჩამოხსნის სურვილიც სისუსტეა და სხვა არაფერი, სულმოკლეობის შემოტევისას კი შეცდომებისა და ცოდვებისგან თავს ძნელად იზღვევს ძე-ხორციელი... მაგრამ მე ხომ ვცდილობ და ვახერხებ კიდეც, არ შევეპუო არანაირ ცდუნებას. თუმცა, მაშ რაღად მჭირდება დარაბის გახსნა?

ბალახში კაკლის ხიდან ჩამოვარდნილი მუხლუხო მიცოცავს. „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“ და ვინ მიხვდება, ვინ გამიგებს ჩემს გულისნადებს... ჭიამ კი ამ დროს ისე ღიმილისმომგვრელად წაიჩოჩა სხეულის რგოლთა ტალღოვანი რხევით, თითქოს დამცინა. აგე, ჭია-ღუამაც კი გამიგო. დროა ავდგე და ჩამოვგლიჯო ის წყეული დარაბა. ამდენ ფიქრადაც არ ღირს.

დამცინავი მუხლუხო ჩვენმა ვარიკამ ისე სწრაფად აკენკა, ვერც კი მოვასწარ წინ აღვდგომოდი ამ ავკაცობას. სწორია, ცხელ გულზე არაფერი არ უნდა გავაკეთო, სულწასულობის სულელ მუხლუხოს არ უნდა ავყვე. რა მოხდა, თუ კი დავაგვიანებ?! კაცთა ცხოვრება ხომ დაგვიანებათა უწყვეტი ნაკადია. მშია. მმართებს გმირული სულისკვეთება. მცივა. დაღლილი ვეყრდნობი გალავნის ქვითკირით ნაგებ კედელს ანუ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. ახლა ვარიკამ მომაპყრო სახის ცალი ნახევარი, თითქოს ისიც მიმიხვდა მუხლუხნაყლაპი, რომ

ეს ჩემი ფიქრი ნაძალადევი ხუმრობაა. როგორ იზრდება ჩვენი ვარიკა, ცოტა ხნის წინ პაწაწინა წიწილა იყო. უმეცარმა კაცმა მომიყვანა, იმან, საჭმელი რომ ამოაქვს ხოლმე. ჩანს, არ იცოდა, მუდმივად რომ მარხულობს ბერი. ვარიკას ყრმობის გახსენებამ ჩემი თავი მომაგონა პატარაობისას, მეცხრე კლასში დღიურს რომ ვწერდი დიდი, ბატისფეხურა ასოებით. რა შეიცვალა მას შემდეგ? არაფერი. ისევ ისა ვარ, ვინც ვიყავ. მშია, მაგრამ ვარიკა არ მეჭმევა, ერთი მწერალი, ფრიად ტლანქი და გაუნათლებელი, მაგრამ გენიოსი, ყველაზე დიდი მწერალთა შორის, თავისი არანაკლებ ცნობილი თანამოკალმის შესახებ ხშირად ამბობდა, „ეგოო ღვთაებრივი ცეცხლით დაიფერფლაო". ეჰ სად არის ეგ ღვთაებრივი ცეცხლი? ან კი რა საჭიროა იგი განდეგილი ბერისათვის? რა ვიცი. ნამდვილად არ ვიცი. არც არავინ იცის და არც შეიძლება იცოდეს. მშიერი თვალი კვლავ ვარიკასკენ გამირბის. ჯობია მოვამთავრო ეს უსაშველო ბორიალი და გადასაწყვეტი გადავწყვიტო. ღვთისმშობელო მარიამ, შენ დამიფარე... „ახლა კი დროა, სოლომონ, რომ..." და რა ხანია უკვე გადაწყდა — შევალ სენაკში და დარაბას მოვხსნი ქანდრიის გზისკენ გამავალ სარკმელს. მოვხსნი. დიახაც, მოვხსნი და მე ამის არ მეშინია.

მოვხსნი და მერე?

„მერე, დაჯექი და კერე", ბავშვობისდროინდელი ლექსი შემახსენა ვარიკამ და მრგვლად დაჭყეტილი პაწია თვალი მხიარულად ჩამიკრა.

**ვოვა:**

ქვემოსოფლის სადგურში სიწყნარეა. თბილისის პირველი მატარებელი ჯერ არ ჩამოსულა. აგვისტოს ალაგმხიანი დღეა, მაგრამ მცივა. შესაძლოა სიცივისგანაა, რომ მუცელი ამტკივდა. რელსებზე უპატრონო ძაღლმა გადმოიძუნძულა, ბაქანთან ჩაცუცქდა და მოისაქმა. ზიზღი მომედო გულგვამზე, ყელში მომაჭირა... როგორ მეზიზღება ყველაფერი ნივთიერი... ზიზღი საგნებს... ყველაფერი განავალია... თითოეული ნივთი, რაგინდ ლამაზი და ძვირფასიც არ უნდა იყოს, თავისი შინაგანი თვისებით განავალს უფრო ჰგავს, ვიდრე სულ უბრალო რიცხვს ან იდეას... სულ გამოფილოსოფოსდი ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში... ძაღლმა თავისი საქმე მოამთავრა და აპრეხილი კუდი ძირს დაუშვა. საზარელი კუდი აქვს, ნახევრად წაწყვეტილი, გაქუცული, წითლად დაიარებული და დაჩირქებული. აქამდე არ მომსვლია თავში, რომ სიკვდილი იგივე სი-კუდ-ილია, ესე იგი, სიცოცხლის კუდი.

მატარებელი ჩამოვიდა, დომა ჩამოყვა, მაგრამ ხელცარიელი. ერთი მასტიკა მომცა წამლად, „ისე კარგი რამეაო", დამიფასა კიდეც საჩუქარი და თავის გზას გაუყვა. მე მეორე მატარებლის დასახვედრად სადგურში დავრჩი.

**თენგიზი:**

არის რაღაც ადგილი ჩემს გონებაში, რომელიც ამღვრეულია და გაურკვევლად მაწუხებს. არ ვიცი, რით დავაშომინო. ეგებ შიშშილის ბრალია.

ზუსტად თორმეტ საათზე ჩემი შემცვლელი რეზო გამოცხადდა საკუთარი, უფრო სწორად კი, სიმამრის მანქანით. მაგას რა უჭირს, შეძლებული მშობლების შვილია, ჩემსავით რაიონში კი არა ჰყავს ღარიბი დედ-მამა. ბიძამისი ჩვენი შეფის მეგობარია. კაი ბიჭია, მამაძაღლი რომ არ იყოს. ხაჭაპური და ნამცხვარი მომიტანა, დედაჩემის ნახელავიაო. არ იციან ქალაქელმა ქალებმა ხაჭაპურის გამოცხობა, მაგრამ მოშიებულზე მაინც ხელად შევყლაპე. ახლა შემეძლო ჩემს გზას გავდგომოდი. მანქანა სადამომდე პარკში უნდა მიმეყვანა და ჩამებარებინა, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ კაი დრო რჩებოდა. სად წავსულიყავი? ჩემი საბრალო თანაკურსელები მომაგონდნენ და მათი შემშურდა, რადგან ახლა ალბათ ნაირნაირ პლაჟებზე ეყარნენ ძაღლის გაგდებულები, ნებივრობდნენ. ივნისში იმათ შურდათ

ჩემი, ტვინს ასხამდნენ პოლიტეკონომიას და იურისპრუდენციის ისტორიას, მე კი შეფმა სესიებიდან გამათავისუფლა და პრემია გამომიწერა, რომლითაც ახალი ამერიკული ჯინსი ვიყიდე, ახლაც მაცვია, ჯერ ისევ გაუხუნებელია. საით წავიდე?

ამ დროს ადამიას სადარბაზოდან ის ყმაწვილი გამოვიდა, წელან წერილი რომ გააგზავნა და პური იყიდა. თან ტანმორჩილი ლამაზი გოგო ახლდა. გოგოს უცნაური, ძველ სურათებზე ან კინოში რომ მინახავს, ისეთი ქუდი ეხურა და ძალიან უხდებოდა. ბიჭს მხარზე მოზრდილი ჩანთა და კიდევ რაღაც უზარმაზარი ქაღალდების შეკვრა წამოეკიდებინა. ახლა უფრო მეტად მეძაღლიშვილა, შესაძლოა იმიტომ, რომ ასეთ გემრიელ ძუკნას ფლობდა. ან ცოლი იქნებოდა, ან ისე ქალი. მანქანის გაჩერებას შეუდგნენ. აი, რა დააშოშმინებს გონების ამღვრეულ ნაწილს, ჩემს ხელობას არ აწყენს პატარა გავარჯიშება საზოგადოებრივ საწყისებზე. ტაქსი გააჩერეს და ჩასხდნენ. მანქანა დავქოქე, რეზოს, რომელიც მხატვრის ცოლის ჭკუიდანგადასაყვანად უკვე მოკალათებულიყო სიმამრის „ვოლგის“ საჭესთან, გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე და იმ ტაქსის კონსპირაციული დისტანციის დაცვით დავედევნე. ორიენტირად იმ პაწაწინას ძველებურ ბაფთებიან ქუდს დავადგი თვალი და თან ვფიქრობდი, ნეტა ვინ არის ეს ძუკნა, იმ ბრიყვის ცოლია თუ ისე კახპაა-მეთქი. კახპა თუ აღმოჩნდებოდა, ჩემთვის უფრო საინტერესო გახდებოდა დასაკვირვებლად და ამოსაცნობად მაგათი ამბავი, რადგან ყველა პატიოსანი ქალი ერთნაირად პატიოსანია, ყველა ბოზი კი — თავისებურადაა ბოზი.

გმირთა მოედნიდან ჩელუსკინელების ქუჩაზე რომ ჩაუხვიეს, მივხვდი — სადგურისკენ ეჭირათ გეზი.

## ლადო:

სადგურისკენ გზად ჩუმად ვისხედით. მე ღიმილით ვუყურებდი ლენუკას, რომელსაც საოცრად უხდებოდა ქოლოსფერი და იისფერი ბაფთებით შემკული „რეტრო“ ქუდი, ბებიამისეული სამახსოვარი. ვუღიმოდი ლენუკას სილამაზეს, ვუღიმოდი ჩემს ნახაზებს, რომლებიც ზუსტად შეავსებდნენ ქვემოსოფელში გასატარებელ მომავალ ათ დღეს. ამის გამოთვლას წითურით გატანჯული ავადმყოფი მთელ დღეს მოვუნდი, ზუსტად გავიანგარიშე რამდენი უნდა დამეხაზა, რა, როდის, რომელ დღეს. მოკლედ, ჩვენი ქვემოსოფლური არდადეგები დაწვრილებით მქონდა დაგეგმილი.

როდესაც ლენუკას პირველად გავუმხილე ჩემი მიდრეკილება ყველაფრის წინასწარ გათვლისა და დაგეგმვისაკენ, მან პედანტი მიწოდა. არ მწყენია. ერქვას ასე თვისებას, რომელიც მეხმარება წესრიგში მოვიყვანო ჩემი ამორფული და არამდგრადი ემოციები, არ მივეცე უსაქმობის ზარმაც, ბოჰემურ, დამღუპველ ინსტინქტს. გამოგონილი ვადებისა და გეგმების დადგენა უალრესად საჭიროა ჩემისთანა ყურადღებაგაფანტული კაცის გასაწონასწორებლად.

გმირთა მოედანს რომ გავცდით, ცა მოიღრუბლა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ჩემო ფილოსოფოსო, — ჩამჩურჩულა ლენუკამ და მხარზე თავი საყვარლად მომადო.

ირონიულად ჩავიცინე — ჩემს ცოლს დიდი მოაზროვნე ვგონივარ, არადა მე, ფიზიკა-მათემატიკის არ იყოს, არც ფილოსოფიას ჩავყოლივარ ყისმათში, რადგან ფილოსოფია ლაბირინთებად დაგრაგნილ, პირჩაკეტილ წრეშია გამომწყვდეული. ჩემმა ბუნებამ ვერც დაოსიზმის უმოქმედობისა და პასიური სიბრძნის მიმდევრობა შესძლო, ვერც სტოიკოსთა ფანატიური ნებისყოფისა და სიმტკიცის. ამ ორი უკიდურესობისთვის საჭირო სულის სიმაღლე მე არ გამაჩნია. ტრანსცენდენტალიზმმა, დიალექტიკამ, ფენომენოლოგიამ საბოლოო ჯამში ვერაფერი ახსნა ისე, რაც თავისთავადაც გასაგები არ არის. გასაგებია, მაგრამ მერე რა?.. მერე ის, რომ უკვე მოვედით.

ბორჯომის სადგურთან შეგვიჩერეთ, თუ შეიძლება, — უთხრა ლენუკამ მძღოლს.

### ლენუკა:

ტაქსისტს ფული გადაუხადა, ბარგთან სადარაჯოდ დამტოვა, თვითონ კი ჩორთით გასწია სალაროძი ბილეთების ასაღებად. მე ჰანქანაშივე შევნიშნე ნახაზებში ჩამალული კონვერტი, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი. წამსვე მივხვდი — იმ ქალს უგზავნის წერილს. მაგრამ რატომ აქამდე არ გაუგზავნა? რატომ მოაქვს ქვემოსოფელში? იქნებ მაინცდამაინც იქიდან უნდა გაუგზავნოს. რატომ, რა მიზანი აქვს გულში? სანამ ბილეთებს იღებდა, ცდუნება შემიჩნდა კონვერტი ნახაზებიდან ამომეცოცებინა. ვერასოდეს ვიფიქრებდი ასეთი წარმოუდგენელი უზნეობა — სხვისი წერილის მოპარვა თუ მომივიდოდა აზრად. გული მეტკინა ჩემი ბილწი ზრახვის გამო, თან ეჭვი და ტკივილიც მაწვალებს. ნეტავ ახლა არ ავტირდე და შევძლო,ვითომც არც არაფერიო, ისე გავუცინო ლადოს, ბილეთები რომ აუღია და აჩქარებული მოაბიჯებს ჩემკენ ღიმილით.

### თენგიზი:

მანქანა „ბავშვთა სამყაროს“ წინ „სტაიანკაზე“ მივაყენე და ერთხანს ტროტუარზე სევდიანად გაყუჩებულ ლამაზქუდას ვუცქერდი, ბარგს ყარაულობდა და სალაროში შესულ ქმარს ელოდა. ქმარი იყო თუ არა, არ ვიცოდი, მაგრამ სიადვილისთვის ასე დავარქვი. რაღაი ბილეთებს ახლა იღებენ, მაშ შორს არ მიდიან-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ არ ვჩქარობდი: თუ ცენტრალური ვაგზლისკენ ქნეს პირი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, ალბათ, ზღვაზე მიემგზავრებიან-მეთქი, მაგრამ თუ ბორჯომის სადგურზე ავიდოდნენ, გადაწყვეტილი მქონდა, გავარკვევ საით გაუწევიათ-მეთქი.

ასეც მოხდა. კიბეებს აუყვნენ. მეც ჩავკეტე მანქანა და შორიახლო მივყევი. ქვემოსოფლის „ელექტრიჩკაში“ შეილალენ. ვაგონს ჩავუარე, შევიჭყიტე და დავინახე, როგორ მოკალათდა თეთრქუდა ფანჯარასთან, როგორ შეალაგა ბარგი-ბარხანა მისმა ქმარმა ბადურიან თაროზე.

„ბინდისფერია ქვეყანა, უფრო და უფრო ბინდდება“, დასძახოდა რადიორეპროდუქტორი ხალხმრავალ ბაქნებს.

ვიდექი და მატარებლის დაძვრას ველოდი, ბარემ გავაცილებ ჩემს ბაფთაქუდას-მეთქი. უცებ ვხედავ ქმარი ვაგონიდან ჩამოვიდა და აჩქარებული გაუყვა შემადგენლობას. თვალი მივადევნე და, ბიჭოს, ელმავალთან არ მივიდა! დავიძარი, ნეტავ რასა შვრება-მეთქი. მემანქანეს რაღაც კონვერტი მიაწოდა და ერთხანს ელაპარაკებოდა. ისე მიახლოება ველარ მოვასწარი, რომ გამეგონა რას ეუბნებოდა, გაოცებით კი გვარიანად გავოცდი: რა საიდუმლო წერილებს არიგებს ეს კაცი დილიდან, რა უცნაურად მიედ-მოედება-მეთქი. ეგება მსხვილი ყალიბის ძაღლიშვილია, თანაც ადამიას სადარბაზოში ცხოვრობს.

„რაც მტრობას დაუნ“... — სიმღერა უცებ მოისხიპა და ინფორმატორმა ქალმა კვატის ხმით გამოაცხადა, — „მატარებელი ნომერი ექსჩანოცამეტეტი „თბილისი-ქვემოსოფელი“ გადის ბორჯომის ვაგზლის მეორე ლიანდაგიდან.

წამში ვიაზრე: ეს მარშრუტი თავიდან ბოლომდე ორსაათიანია, კვირა დღეა, საქმე არაფერი მაქვს, მანქანა საიმედოდ დგას გაჩერებაზე და მოდი, ჩემს თამაშას გავაგრძელებ-მეთქი. ბევრი აღარ მიფიქრია, პირდაპირ ვაგონში ვდურთე თავი.

### ლადო:

მემანქანეს ბარათი ჩავაბარე და ავუხსენი, რაც უნდა ექნა, საზღაურად ფული შევაძლიე. მაგრამ შორს დაიჭირა. კაი ბიჭი ჩანდა.

გამოვბრუნდი, მიხაროდა, რომ ლენუკას წინაშე ჩემი დანაშაულის გამო-

სასყიდი გეგმა ჯერჯერობით ალჩუზე ჯდებოდა.

ვაგონში მხიარულ ხასიათზე ავფრინდი და რას ვხედავ — ჩემს პატარა ლენუკას, ფანჯარაზე თავმიდებულს, თვალები ცრემლებით ავსებია.

— რა იყო? — ვკითხე და წინ დავუსკუპდი.

— არაფერი, ისე, — მითხრა და უპე ხელისგულით მოიწმინდა, — ბებია გამახსენდა.

ცხვირის წვერზე ვაკოცე. ჯერ სულ ბავშვია და უბრალო რამეებიც კი ცრემლს გვრის ხოლმე. მოდი, პატარა ლექციას წავუკითხავ, რომ ხასიათი გამოვუკეთო.

— ლენუკა, მითხარი, — დავიწყე მე, — წეღან მანქანაში ფილოსოფოსი რომ დამიძახე, მართლა ეგრე გგონია თუ დამცინი.

— დაგცინი, — მითხრა და გამიღიმა.

— სწორსაც შვები. იცი, ლენუკა, ეკზისტენციალისტებმა საერთოდ გააუქმეს ფილოსოფია და კეთილგანწყობილ ყოველდღიურ მსჯელობად აქციეს, რაც უსაქმური, ყბედი და გონებაალგზნებული ხალხის საყვარელი გასართობია, მეტი არაფერი.

— შენ სწორედ ეგეთი ხარ, — მითხრა გამოჯავრებით.

— სულაც არა. ფილოსოფიაში ახალს მე ვერაფერს ვიპოვი იმის გარდა, რაც ისედაც „ვიცი", ხოლო, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ვიცით ის, რომ არაფერიც არ ვიცით. ასე რომ ცოდნა ცნობადის ხეზე მოწყვეტილი მაცდუნებელი ნაყოფია, კაცის სწორი გზიდან ამაცდენელი. ჩემი ფიქრი და მიზანი ცოდნისაკენ არ არის მიმართული.

— აბა რისკენ? — მკითხა ლენუკამ და გამიხარდა, ასე უცებ რომ მოვახერხე მისი დაინტერესება.

— არ ვიცი. ერთსახა პასუხი ძნელი მოსაძებნია, რადგან რამდენიმე სიტყვა ერთდროულად მადგება ენაზე. ამ სიტყვებს შორის უპირველესის გამოთქმა ტყუილად და ამაოდ თვით მის მიერ გვაქვს აკრძალული.

— ნამდვილი ყბედი და ჭკუააგზნებული მყავხარ, — მითხრა ლენუკამ და მატარებელიც დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენუკა:

„წუთისოფელი ასეა", ხრიალებდა ვაგონის რადიო, მერე კი მატარებელი დაიძრა და ბორბლების რახრახმა სიმღერის ხმა შთანთქა.

ლადო დამეხმარა, თორემ უკვე ვტიროდი, რადგან მივხვდი, რომ ვაგონიდან ბოლო მომენტში იმ ქალთან წერილის გასაგზავნად ჩავიდა. ეტყობა სადღაც ახლომახლო საფოსტო ყუთია. ნეტავ რად დასჭირდა ეს საქციელი? რატომ მატყუებს? ზის ახლა და ბრძნულ აზრებს აფრქვევს — თავის ჭკუით ხასიათს მიკეთებს. მეც თავს ისე ვიჭერ, თითქოს ძალიან მახალისებდეს ეს ინტელექტუალური მასლაათი. აი იმ ყურდაცქვეტილი ბიჭის მზერა კი ნამდვილად მაინტერესებს. რას მომჩერებია? წეღან ბაქანზე დაბორიალებდა და ფანჯრიდან ერთთავად მე მიყურებდა, მერე უცებ აქ გაჩნდა, სამი სკამის იქით ზის, აუცქვეტია ყურები და თვალს არ მაცილებს. გიჟია ვიღაცაა. იქნებ ერთი ნახვით შევუყვარდი. ეჰ, ლადო, ლადო, რა დროს ეკზისტენციალიზმია, კიდევ კარგი ეს იდუმალი უცნობი შევნიშნე და ცოტა გულს გადამეყარა, თორემ შენი ფარისევლობა უკვე უკიდურესად მაღიზიანებს. ხომ იცი, რომ ვიცი! რაღას მიმალავ? არ ჯობია პირდაპირ მითხრა: იცი, ლენუკა, მე ისევ ის მიყვარს! შენ კი — ფილოსოფიაო, ცნობადის ნაყოფიო...

ის ბიჭი არა მარტო ყურდაცქვეტილი, თვალდაჭყეტილიცაა. ნეტავი ერთი მაგას. მომბეზრდა, დიდი ფეთხუმი ვინმეა. ჯობს ფანჯარას გავხედავ. იქ ელვის სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს ნაირნაირი პეიზაჟები. ამასობაში დროც გავა. ნეტავ რად გვინდოდა ეს მოგზაურობა, რა დაგვრჩენია იმ ძველისძველ სახლში? უცნაურია „დაკარგული დროის" ამბავი (ეს ლადოს ერთ-ერთი საყვარელი გამოთქმაა): როცა თავისუფალ წუთებს, საათებს რაიმეთი ვავ-

სებთ — მოგზაურობით, საუბრით, ამ ფეთხუმი ტიპის თვალთვალით, ან თუნდაც პეიზაჟებით — დრო ქრება, იკარგება და ბოლოს აღმოჩნდება, რომ სიცოცხლემ ამ მატარებელივით, ანდა მოწეული სიგარეტივით სწრაფად ჩაიარა. არადა რატომღაც, რაღაცის შიშით, ამგვარ დროის კარგვას ველტვით დღემუდამ.

## ბერი ექვთიმე:

მაშ გადავწყვიტე: ავხსნათ დარაბა და გარეთ გავიხედოთ! გადავწყვიტე, მაგრამ ვერ გავარკვიე ჩემი უცნაური ამბავი: ამ სამი წლის მანძილზე გარკვეულ მყუდროებას შევეთვისე, მეგონა მარტოობას სრულად ჩავუღრმავდებოდი, ახლა კი რაღაც ახალს ვაპირებ.

ცხადი ერთია: როცა კაცი გაურკვევლობაში ხარ, ყველაზე მართებული გზა მოთმინებაა: აცადე უზენაესს, გაირკვევა, გზა გამოჩნდება, ოღონდაც ფრთხილად იყავ. იცხოვრე მშვიდად, პატიოსნად და მოთმინებით. ამინ!

ამიტომ ავითრიე ფეხი და ჩემს ბნელ სენაკში წყნარად ჩამოვჯექ, ეკლეზიასტე ავიღე და კითხვა დავიწყე. უფალს უფრო დამამშვიდებელი და სისხლის დამაოკებელი წიგნი არ უბოძებია მოკვდავთათვის წინასწარმეტყველთა ხელით.

ბალღობისას დედა მიკითხავდა ხოლმე ზღაპრებს ძილის წინ...

ეკლეზიასტე ზეპირად ვიცი. ვფურცლავდი შეყვითლებულ მძიმე ფოლიანტს და ვფიქრობდი, ნეტავ რომელი ზღაპარი მიამბო დედამ უკანასკნელად, ან როდის იყო ეს? სამწუხაროა მახსოვრობის თვისება — არ გვებეჭდება ჩვეული და რიგითი მოვლენები, ისინი კი, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა უკანასკნელნი აღმოჩნდნენ...

წიგნი დავხურე და საყდარში გაველ. დავდექ შუაგულში და მზერა დავასვენე ნაცნობ ფრესკებზე. ნუთუ მომბეზრდა, წმინდანო, მარტოობა? რა მომელის, როცა დარაბებს გავხსნი და დიდი ხნის უნახავ სამყაროს გავხედავ? ჩვეული სიმშვიდიდან ხომ არ ამოვვარდები, დედაო ღვთისავ? ხომ არ ამამღვრევს სარკმლის მიღმა დაბუდებული ვეშაპის სტომაქი, სადაც ერთხელ უკვე მიმავლინეს მავანმა მგვემელებმა თუ ჩემივე შეცდომებმა. დამიფარე, წმინდაო გიორგი, ნუთუ მაინც განგებას ვუჯანყდები, ვერ ვეპუები, ვეგლახები უმწეოდ და შესაბრალისად? რატომ? წმინდაო ნიკოლოოზ, მსწრაფლშემწეო, განა განგებამ უკეთ არ იცის თვისი საქმე, განა მორჩილება არ მმართებს, განა ასე მძლავრია ადამიანში ხორციელი საწყისი — შეურიგებლობის, გამოუვალობის, ბრძოლის, ჭიდილის?

პირჯვარი სამჯერ-სამგზის გარდავისახე და სამზადში გაველ. შუაცეცხლი გავაღვივე, სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი და კოცონს მივუშტერე თვალი. ეტყობა ცხოვრებისგან განდგომამ დიდი ძალისხმევა მომთხოვა და ახლა საზღაურს პატარა ხუშტურში ვეძიებ. ასე იყო მაშინ, ნაცემ-ნაგვემი საავადმყოფოში მედდების სიკეთით რომ ვერა ვძლებოდი და წამით მარტო დარჩენა რომ არ მსურდა. ალბათ, ახლაც ასეა, სარკმლის გაღება რომ მინდა. ეს წვრილმანია, მაგრამ ხომ არ შეიძლება წვრილმანი სურვილის ასასრულებლად მთელი სასიცოცხლო ძალა დახარჯო, არადა, ის წვრილმანიც, შესაძლოა, წლების მანძილზე აღარ დაგეხსნას. ამას სიგიჟე ჰქვია.

დამშვიდდი, ტკაცატკუცით მეპასუხებოდა ცეცხლი, გონიერივით მიხმობდა და ვედრებით მიწვდიდა პრიალა ენებს, დამშვიდდი და დათმე.

რატომ? ვეკამათებოდი ცეცხლს, რატომ უნდა დავთმო ეს მცირედიც, როცა მთავარი უკვე დავთმე.

ცეცხლი მომნუსხავად იღიმოდა და აწეწილ არსს მიმშვიდებდა, მახსენებდა, რომ მთავარი და ძირითადი წვრილმანებისგან შედგება. ცეცხლი უდიდესი სიბრძნით მმოძღვრავდა, მაგრამ მე მას არ ვეპუებოდი.

ისევ საყდარში დავბრუნდი და ჯვარცმის წინ მოვიყარე მუხლი.

მითხარ, მაცხოვარო, რას ვებრძვი,

რას ვცდილობ ყოველ ცისმარე? რა მსურს?

ამის ცოდნა შეუძლებელია და რაც შეუძლებელია, იმის ცოდნა არც უნდა მოიწადინოს მოკვდავმა, მპასუხობდა ჯვარცმული მხსნელის მდუმარება.

უცებ ჩემს თავს მხიარულად გავუბრაზდი. რა ფილოსოფიურ-მელანქოლიურ განწყობაზე ვარ დღეს, ჩემმან მზემან! თვითდაცინვის სურვილი მომეძალა და მკრეხელურად რომ არ გამეცინა, მეტანია შევასრულე, ძირს დავემხე უფლის წინაშე. ჩემი გული კი განაგრძობდა ჩემივე თავის აბუჩად აგდებას: ადე, წადი, ჩამოხსენი ის დარაბა და მორჩი გაუთავებელ ორჭოფობასო.

ავდექ და ჩემს საკანს მივაშურე, მაგრამ ერთხელაც, უკანასკნელად შევყოვნდი, წამოვწექ ჩემს ხმელ საწოლზე და თვალები დავხუჭე. უფალს მხოლოდ დიდი სიყვარული ეგების ჩვენგან ჩვენთვისვე, სხვა რამ მას და ჩვენ არაფერი გვჭირდება. ამიტომ ვთქვი: ღმერთმა დაგვლოცოს, ადამიანებო! მისი სიკეთე და სინათლე არ მოგვკლებოდეს, ძალა მოგვცემოდეს სიყვარულისთვის. ყოველ ახალ დღეს ახალი სიხარული მიეტანოს ჩემი ნათესავ-ახლობლებისა და მოყვასებისთვის, ჩემი ნაცნობ-უცნობი თანამოქალაქეებისთვის, ჩემი თანამემამულეებისა და საერთოდ მთელი ადამიანთა მოდგმისათვის. დედა ღვთისმშობლის მადლი გვფარავდეს, განსვენებულნი მაცხოვარმა შეინდოს, ცოცხლებს წინ წმიდა გიორგი გვიძღოდეს და მსწრაფლშემწე წმინდა ნიკოლოზი ეშველებოდეს, შენს მონამორჩილს კი, ამასთან ერთად, მისი დიდი მოსახელე მთავარანგელოზი შეეწიოს. ამინ!

განვაგრძობდი უძრავად წოლას ჩემს სასთუმალზე თვალდახუჭული და ვიცოდი, რომ პირველი, რასაც ადგომისთანავე გავაკეთებდი, მრავალი წლის წინ დაგმანული სარკმლიდან დარაბების ჩამოხსნა იქნებოდა.

## თენგიზი:

მატარებელი მიქროდა. ტკბილქუდა და მისი ქმარი ხან ლაპარაკობდნენ, ხან ფანჯრიდან უცქეროდნენ გარემოს. მერე ბიჭმა რუბიკის კუბიკი დააძრო და ჩაუკირკიტდა. თეთრხალათიანმა ძალლიშვილმა თბილთბილი ღვეზლები რომ ჩამოატარა, იმათ იყიდეს და ჭამას შეუდგნენ. ვუცქერდი ლამაზ ძუკნას, მადიანად რომ ნთქავდა ერთდროს ძროხადყოფილ დაკეპილ ხორცს და ვფიქრობდი, არის თუ არა ადამიანი ბუნების უმაღლესი ქმნილება, თუ უბრალოდ ის ცხოველია, ვინც ყველა სხვა ცხოველი შეჭამა-მეთქი.

ერთი-ორჯერ კი გამომხედა, მაგრამ მგონი არ შევუნიშნივარ. უჰ, რა გოგოა! რას არ მივცემდი, ჩემი რომ იყოს. რას მივცემდი? ყველაფერს. იქნებ არც არაფერს?! ჯერ ერთი, ეს ის ქალი არ არის, ალებ-მიცემობით რომ მოიპოვება, ასეთი სულისწამლები ძუკნის ხელში ჩასაგდებად მთელი სტრატეგია დამჭირდებოდა, მე კი ქალების საკითხში სასტიკად არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელთაც უნარი აქვთ დინჯად, მოთმინებით და გონიერებით იარონ დასახული მიზნისაკენ. არც რუბიკის კუბიკის ნერვები მაქვს. სიყვარულში ვნების მონა ვარ, მძულს ჭკვიანი და კეთილშობილი მიჯნურები, ისეთები, ეს ძაღლის გაგდებული რომ არის, ჩემი ტკბილქუდას ქმარი, ეშმაკური კუბიკის ამწყობი.

მატარებლის რადიოკვანძი მთელ საათს დუმდა, მერე უცებ ჩაირთო და ახრიალდა. ამ დროს კონტროლიორმა მოაკითხა ჩვენს ვაგონს, ყველას შეუმოწმა ბილეთები, მათ შორის იმათაც. მეც მომადგა, მე ბილეთი არ მქონდა, მაგრამ საბუთი ვუჩვენე და მოკრძალებით გამცილდა.

## ლადო:

მირახრახებს მატარებელი. რადიო რაღაცას მღერის. ლენუკა მოწყენილი გაჰყურებს სივრცეს გაბუტულივით, მე

კი ხელსგამოყოლებულ რუბიკის კუბს ვაწყობ და ჩემს ნახაზებზე ვფიქრობ. საქმე და შემოქმედება ჩემთვის სხვა არაფერია, თუ არა ერთადერთი ხელმისაწვდომი საიდუმლო რიტუალი და მსახურება. ოღონდაც როგორ? რანაირად? ამის გარკვევა მესახება ძიებისა და დაოსტატების გარდუვალ მიმართულებად, მით უფრო, რომ შემოქმედება განუყოფელია პირადი ცხოვრებისა და ზნეობისაგან, რაშიც განვლილმა გზამ ყველაზე ღრმა და მწარე ცოდნა შემაძენინა: მარინას დაკარგვამ, ტკივილმა და ლენუკასთან თავისშეფარებამ დამარწმუნა, რომ ცოდვისა და ჰედონიზმის, ნეტარებისა და დროსტარების გზა ჩემი ბუნებისა თუ ჯანმრთელობისათვის მიუღებელია, რადგან იგი ამ მატარებელზე სწრაფად მიმაქანებს დაღუპვისაკენ და სასტიკად მიჭირს მონანიებამოქცევის ტანჯვასთან შეგუება. რაკილა ამას მივხვდი (როგორ უხდება ეს ქუდი ლენუკას), სჯობს საველეს გზას ამთავითვე ვუთხრა უარი, რადგან ჩემგან პავლე მაინც არ გამოვა და უმალ ავაზაკად დავრჩები. თუმცა ეს და კიდევ მრავალი სხვა საკითხი გასარკვევ-დასაზუსტებელია. რა ლამაზია ჩემი ლენუკა.

**ლენუკა:**

ისეთი თვალებით იყურება, დარწმუნებული ვარ, ისევ იმ თავის მარინაზე ფიქრობს. რადიოში კი რომანსია, ძველებური, რუსული კლასიკური რომანსი, არტისტული, ხმადაყენებული, სადღეისოდ ოდნავ სასაცილო ბარიტონით ნამღერი, ბანალურ-დრამატული და მეტად რაფინირებული. მატარებელი კი მიქრის ქალაქიდან უაზროდ, ეჭვიანი ტკივილით დამთვრალი და გზააბნეული. ბედნიერი წუთები ცოტაა და მალე ილევა, მერე კი მოდის შიში, სულელი, მაგრამ ძალიან საშიში შიში თანმხლები ეჭვით, მტანჯველი ფიქრით, უნდობლობით. არ შეიძლება, რომ მატარებელი, სადაც მე და ჩემი ლადო ვსხედვართ, გადაიჩეხოს, რაიმეს შეასკდეს, დაიწვას, აფეთქდეს. არ შეიძლება იქანი დაღუპვა, როცა ასე ლამაზია ვაგონის სარკმლიდან დანახული და ოდნავ გაცრეცილი, თითქოს რაღაცით შეწუხებული ტენორი (თუ ბარიტონი, რას გაარჩევ ამ რახრახში) თავდავიწყებით მღერის: „Не уходи!“, მერე კი სიმღერას იწყებს არანაკლებ იუმორისტული ხმა — ქალის ხმა — მეცოსოპრანო, მკერდისმიერი და ყალბი, ტირის, რაღაცას მისტირის და ტყუის. ქალაქი უკან დარჩა. ქალაქში ცხელა. მე კი კარგად ვგრძნობ, რომ სიმშვიდე და სიყვარული, ალბათ, აღარ მიმატოვებს. თუმცა, თუ „ალბათ“, მაშ რაღა კარგად ცოდნაა. არა, არა, არა, არა, ათასჯერ არა, ათიათასჯერ არა, ასიათასჯერ არა, მერე კი — დიახ, დიახ, დიახ... ფორტეპიანოს კლავიშები რიგრიგობით მოდიან თეთრი და შავი ფერებით. რუბიკის კუბს ლადო რომ ჩაღრმავებია, ფერების კიდევ უფრო მდიდარი დიაპაზონი აქვს. ნუთუ არ ვუყვარვარ? ღმერთო, ხომ არაფერი დამიშავებია, ღმერთო, მღერის მეცოსოპრანო, დაეძებს რაღაცას, თან კეკლუცობს და გაუბედავობით შეპყრობილს თავადაც არ ესმის რა სურს, რას ელტვის, რას დაეძებს. ან მე კი ვიცი? ან იცის ვინმემ? ლადომ? კონტროლიორმა? იმ ფეთხუმმა ყურდაცქვეტილმა ბიჭმა? ღვეზელების გამყიდველმა? სხვა მგზავრებმა? მელოდია კი მთლად სიცრუისკენ ვითარდება და აკივლებული დედაკაცის ყელიდან ამოღვრილი ფოლადის მავთულები მარწუხებივით დააგლეჯს ყურებს სინაზის მოსასმენად სულგანაბულ საბრალო ბიჭუნას, რომელსაც უმღერიან: „Серенада одитя!“ რა საშინელებაა, რა უსაფუძვლობაა და მაინც რა მშვენიერია თავდავიწყებით მქროლავი მატარებელი გაცრეცილი ცის ფონზე, როცა სარკმელში კრიალოსნის კენჭებივით იცვლებიან ბუნების ლამაზი ხედები. კრიალოსანი, კირიელეისონ.

ვოვა:

[illegible] დღეურის გან[illegible]ას, სკამძელზე ჩამოვჯექი და მასტიკა მთლიანად მოვწიე. ვნერვიულობდი, ეგებ „სიაფანდია“ და არ იმოქმედოს-მეთქი. ისე ავღელდი, ცახცახმა ამიტანა. საშინლად ნერვიული გავხდი ამ ბოლო ხანს, ნამდვილი ფსიქოპათი ვარ, ოცდახუთი წლისა. თმები მცვივა, კბილები ნახევარზე მეტი აღარა მაქვს. სისულე-ლ-ე-ები! რა კეთილხმოვანი სიტყვაა: სი-სუ-ლე-ლე! სულელი. რამდენად არაკეთილხმოვანია, დავუშვათ ისეთი სიტყვა, როგორიცაა „სიყვარული“. ქვემოსოფლის ბაქანი ჩამკვდარია. არავინ დადის, არავინ ფორთხავს, ბაქანზე არაფერი არ არის კარგი, ყველაფერი ცუდია. საზიზღარია წვიმა, რომელიც ნერვებს ასველებს, სველი ნერვები კი ბიოდენთა მოკლე ჩართვას ახდენს და ერთძანეთში კოშმარულად ურევენ ძველსა და ამწამინდელს. ვეება, დრუნჩმოფლაშული, წითელლოყება დევი პირს აბჩენს ბავშვობისდროინდელი ზღაპრისეული ხილვიდან. შიშველი ქალი აგონიაში იგრიხება და ორგანიზმიან კრუნჩხვას ასრულებს. მოცანცალებს რელსებზე საწყალი, ობოლი კურდღელი — მარტო, სულ მარტო, ტყეში. გო-ოლ! — ღრიალებს სტადიონის ათობითათასი მძვინვარე ხახა და მყრალი ამონასუნთქი ბუქად ტრიალებს პროჟექტორების შუქზე მერხებზე ვსხედვართ და საკონტროლოს ვიწერთ მათემატიკაში გულისხეთქებით, მასწავლებელმა არ შეგვნიშნოს-თქო. ახლა კი ვხვდები, რომ გვხედავდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა, როგორც ზოოპარკის ბუ და თავს ასოთხმოცი გრადუსით ატრიალებდა, კაუჭა ნისკარტი და ზარდამცემი გამოხედვა ჰქონდა. არაფერი... არაფერი... არაფერი... სპერმა, გადანთხეული ნაგავზე, საპირფარეშოში, ყმაწვილცოდვილობისას. ნაყოფისმომცემი სითხე სიბინძურეში უპერსპექტივოდ, მხოლოდ საბრალო სიამოვნებისათვის... გამოხრული ქათმის ძვლები, ასობით შეჭმული ქათამი, ხრტილები, ხორკლიანი კანი, სკინტლით გამოტენილი ნაწლავები, ტრუსის სუნი, ღვიძლი, მღელვარე ზღვა, ტალახიანი ქვები, მედუზები და ამღვრეული, ჭუჭყიანი წყალი... ბინძური საცვლები... ბორმანქანა... კბილის ტკივილი... სიკუდ-ილი.. კუბო, მიცვალებული მამის ნესტოდან ჩამოღვენთილი მოვარდისფრო სითხე — გაწყალებული სისხლი... ცრემლი, ჭირისუფლის, სიყვარული, სინანული, სამუდამო გამოთხოვება, ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს ნახავ... ყოველღამე ლოცვა სულის მოსახსენებლად... ბევრი ფიქრი — გრძნობა, რომ არსებობს, რომ არსებობენ... იქიდან გხედავენ... სანთელი, საფლავზე საკურთხი, ყვავილი... გადახარშული სევდა, ღიმილი პატარა ბავშვების დანახვისას: ციცქნა მრგვალი თავები, სასაცილო ყურები და ხმები... კიჭები... ახალშობილის სიმსუბუქე და შიში — არ გამივარდეს... დაამებული ტკივილი — ტკბილი, მშვიდი ძილი... ალერსიანი ქალის შეხება ხელით ლოყაზე... გადაიდარა... მზით გარუჯული გრილი კანი, ფერადი, ლამაზი კენჭები და გამჭვირვალე პაწაწინა ტალღების ლამუნი... გემრიელი ნაყინი შოკოლადით ანდა ფორთოხლით, დაშაქრული მარწყვი. ნიგვზის ტორტი, დაკაკლული ბროწეული... ოცნება პარალელურკლასელ ნაწნავიან გოგონაზე, დიდი თაფლისფერი თვალები რომ აქვს, როგორ აკოცებდი ტუჩებში თვალმოხუჭულს... ყველაფერი... ყველაფერი... ცელქი ჭრელი თუთიყუში ქანდარაზე ამოყირავდა და მხიარულად დაჰყვირა: „არრრრრრა!“ კალათბურთის თამაში ფიზკულტურის გაკვეთილზე — მოვიგეთ, გვიხარია გაოფლილებს. „დინამო! დი-ნა-მო!“ — ჩვენები იგებენ, ვყვირივართ, ვხტივართ, მერე გამოვდივართ ქუჩებში. ზეიმია, თასი ჩვენია! ვაშა! შვლის ნუკრი და კურდღელი დამეგობრდნენ ერთ დაბურულ ტყეში. მე მას ვუყვარვარ. მატარებელი ჩამოდგა. ჩემია. მარტო ვართ, თბილა, მეხვევა, მკოცნის, სიყვარულში ვიძირებით... სულ რამდენიმე მგზავრი ჩამოვიდა...

ვკოცნი, ვჩურჩულებთ... „ვაჰ, ვოვიკ, ბიჭო, საიდან!" გმირმა იშიშვლა ხმალი და ბოროტ დევს თავი წააგდებინა... ეს ხომ ჩემი თანაკლასელია, ლადო. საუკუნეა არ მინახავს... მეხვევა... კმაყოფილია ბავშვი. ზღაპარს კეთილი ბოლო აქვს. „...ეს კი ჩემი მეუღლე ლენუკაა!", „სასიამოვნოა", ხელს მიწვდის... გადაიდარა, მზე ანათებს, აცხუნებს. არაფერი არ არის ცუდი. ყველაფერი კარგია.

— რა ლამაზი ქუდი გაქვთ, — ვეუბნები მეგობრის ცოლს.

ლადო გახარებული მხარზე ხელს მხვევს. რა ბედნიერებაა ძველი მეგობრის ნახვა!

— როგორა ხარ, ვოვიკ?

— ჰაუ, მაგრად ვარ!

**ლენუკა:**

რა გაიხარეს ერთმანეთით ძმაკაცებმა! ვოვას — თმაგაცვენილ, სიმპატიურ ბიჭს საოცრად ლამაზი, სულშიჩამწვდომი მიბნედილი თვალები აქვს.

რა ხანია ეს კოხტა სადგური არ მინახავს. არ მახარებს მასთან შეხვედრა, ისევ ჩემი სევდა მკორტნის, იმ კონცერტმა რომ შემახსენა. ვცდილობ თავი არ მივანებო, თორემ სევდამ, შესაძლოა, დამაღრჩოს კიდეც. ოთხი კედელივითაა, გზა არსაით ჩანს.

უცებ ვიღაც რკინიგზელი მიახლოვდება და დიდის ამბით მეუბნება:

— ეს თქვენ, ქალბატონო! — და კონვერტს მიწვდის. ლადოს გაოცებული სახე აქვს, ვოვა საერთოდ ვერ მიმხვდარა, რა ხდება. ვერც მე ვხვდები ვერაფერს.

— გმადლობთ!... — დაბნეული ვამბობ, რკინიგზელს ზარათს ვართმევ, ის კი თავს მიკრავს და თავისი გზით მიდის.

სასწრაფოდ ვიღებ კონვერტიდან წერილს და სანამ ვკითხულობ, უცებ ინგრევა სევდის ოთხივე კედელი, ინგრევა და ეშვიან ტკივილს ქვეშ იყოლებს. პატარა ფურცელზე წერია: „ჩემო საყვარელო ლენუკა! ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, შენ ერთი მიყვარხარ! მსოფლიოში ყველაზე მეტად შენი ლ". სიხარულისგან კი არ ვტირი, პატარა ბავშვივით ვწივი და ლადოს კისერზე ვეკიდები, ვკოცნი.

**ლადო:**

სანამ ლენუკა ჩემს მოკლე უსტარს კითხულობდა, ვცდილობდი გაკვირვებული სახე მჭეროდა და თავს ვაგულიანებდი: „სიმშვიდე, სიმშვიდე, სიმშვიდე, აი რა არის საჭირო"-მეთქი, „თვითფლობა და სიდინჯე".

ხოლო როცა ლენუკა კისერზე ჩამომეკიდა და ტუჩებზე მომეწება, ისევ საქმეზე დავიწყე ფიქრი. სხვა ნეტარებათა მსგავსად, ისიც დამღუპველია. კარიერის, მატერიალური კეთილდღეობის და მისთანების დევნა არაფრით არ განსხვავდება ლოთობისა თუ მრუშობისაგან, მაგრამ ნამდვილი საქმე, ვფიქრობ, ერთადერთი გამოსავალია. ჯერჯერობით ეს უმყარესი და უცვლელი ფასეულობაა, რომელსაც ცხოვრების გზაზე მცირე გამოცდილებით მივაგენი. საქმის გარდა ყველა სხვა ფასეულობას უზარმაზარ კითხვის ნიშანთან აქვს საქმე.

მე მიყვარს საქმე. ამას უფრო თამამად ვამბობ, ვიდრე ვიტყოდი — მე მიყვარს ჩემი ცოლი, რომელსაც ახლა უცხო სადგურის ბაქანზე მოურიდებლად ტუჩებში ვკოცნი.

საბრალო ვოვა მთლად დაიბნა, თუმცა ლენუკას ძირს დავარდნილი ქუდი სასწრაფოდ აიღო ნაწვიმარი ასფალტიდან და ფაქიზად, გულმოდგინედ გაწმინდა.

**თენგიზი:**

ვეღარაფერი ვეღარ გავიგე, ეტყობა ჩემგან შერლოკ ჰოლმსი არ გამოვა. ჯერ იყო და, ვიღაც მამაძაღლი დახვდათ სადგურზე. ისე შეიცხადეს ერთმანეთის დანახვა, რომ ან მართლა შემთხვევით შეიყარნენ, ან საგანგებოდ გაითამაშეს. მერე მემანქანემ წერილი

გადასცა ძუკნას, იმან კი წიოკობა ატეხა, ქმარს მიახტა და ლამის შუა სადგურზე შარვალი ჩახადა. მივხვდი, რომ ვერაფერს ვერ მივხვდებოდი. ჩემს თავს ვუთხარი, „ფუი ეშმაკს, მიაფურთხე სატანას და ამათ თავი დაანებე“-მეთქი, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მიფურთხება დიდი უზრდელობაა და სატანას უეჭველად გაუხარდებოდა მისი საკადრისი საქციელით თუ მოვეპყრობოდი და რაკიღა ჩემი ჩიტები, უკვე გასამებულნი, გზას გაუდგნენ, გადავწყვიტე, ბარემ ბოლომდე მივყვები-მეთქი. გოგომ ისევ დაიხურა ქუდი, რომელიც თავაწყვეტილობისას ტალახში დაუვარდა და სამკუთხედის ახალმა წვერმა სასოებით მიაწოდა, ბიჭები აქეთ-იქედან ამოუდგნენ და მე უკვე აღარ ვიცოდი, რომელი იყო მისი ქმარი: ის ქმარი, რომელიც თავიდანვე არ ვიცოდი ქმარი იყო თუ არა, თუ ეს ახალი, მელოტი ძაღლიშვილი...

საზიზღარ გუნებაზე დავდექი.

თავი ამტკივდა.

### ვოვა:

ლადომ მითხრა, ლენუკას წინაპრების ძველ სახლში მივდივართო. ის მიტოვებულიო სახლი ყოფილა მაგათი, მონასტრის ზემოთ, მწვერვალზე რომაა შესკუპული. რამდენიმე კილომეტრია ვიწრო ბილიკით სავალი. აგაცილებთ-მეთქი, ვუთხარი, ნახაზების გამორთმევა მინდოდა, მაგრამ ლადომ ჩანთა დამითმო. ნელი ნაბიჯით მივყვებით ქვემოსოფლის თემშარას. გამოფხიზლებულს უჩვეულო გაუცხოება მეძალება. არ ვიცი, რა არის ეს. რაღაც ახალი ხვრელია და ამ ხვრელის ბოლოს ეს ჰაეროვანი, ყვავილის მსგავსი არსება დგას — ჩემი ბავშვობის მეგობრის ცოლი. მისი მსგავსი არავინ მინახავს ქვეყნად. ნუთუ მთელი სიცოცხლე ბნელ ხვრელებში ხელისცეცებით უნდა ვიარო. რამ უნდა მიხსნას? გონებამ? შრომამ? სიკეთემ? ჭვრეტამ? სიმშვიდემ? ნებისყოფამ? ყველაფერმა ერთად? ჰო, ყველაფერმა ერთად და კიდევ სიყვარულმა, რომელსაც ცოდნა უნდა, რომელსაც პოვნა უნდა და მოვლა უნდა. აი, ამ ყველაფერმა ერთად უნდა მიხსნას და მშვიდობით მატაროს ბნელ ხვრელთა წიაღ. გაიგე, ლადო? შენ უკვე გიპოვნია შენი ბედი და მე მეგობარი რაინდის საპატიო როლს ვკისრულობ.

— რას შვრები? როგორა ხარ? — მეკითხება.

— ვარ რა, აქეთ-იქით, ფიგარო, ჯიგარო, — ვეუბნები, — გახსოვს, მთელი კლასი შენგან რომ ვიწერდით მათემატიკას?

— მაინც რას აკეთებ? — მეკითხება.

— რა ვიცი. ვიღაც მაბრაზებს, ვინმეს დავეძებ და, აუ, რამდენი ვინმეები არიან ადამიანები, — ვეუბნები, — უაზრობისაა ეს ყველაფერი.

ამ დროს უკან მივიხედე და უკვე ცხადად დავაფიქსირე საეჭვო სუბიექტი, რომელიც ჯერ კიდევ სადგურშივე დავლანდე. კუდში მოგვყვებოდა და აშკარად გვითვალთვალებდა, ძაღლს ჰგავდა.

### თენგიზი:

რას ვშვრები, მე თუ ნორმალური ვარ?!

საქმე და საჩალიჩო გამომელია, თუ რამ გადამრია?!

წადი რა, შვილო, ფული იშოვე. რად გინდა ეს ექსპერიმენტები და ქვეყნის კიდეზე ვილაცეების დევნა?!

ვინ რას მომცემს ამ სისულელეში?!

ცხოვრება არსებობისთვის ბრძოლაა — მაინც მივდევ ამ ძაღლიშვილებს. ნეტაი რა მრჯის?

მე მგონი, რაც დრო გადის, ადამიანი სულ უფრო და უფრო იდიოტდება.

### ლადო:

— შენ რაღას შვრები, რას საქმობ, გარდა იმისა, რომ ოჯახს მოჰკიდებიხარ? მკითხა ვოვამ.

— აბა, რა ვიცი, ვოვიკ. საქმეს რაც შეეხება, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს,

რაც მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ მაგალითად ბარათაშვილი და მრავალი სხვაც ჩემ ხნობას სიცოცხლეს ამთავრებდა, მე კიდევ ახლადგამომცხვარი არქიტექტორი ვარ და სულ ოთხი-ხუთი წესიერი პროექტი მაქვს, ისიც დიდი პერსპექტივის გარეშე. მოკლედ, ასეთი ამბებია...

— აქ უნდა ავუხვიოთ, — თქვა ვოვამ და ტყისპირას შეჩერდა, სადაც მოზრდილი ალმართი ბილიკი იწყებოდა.

ლენუკა კი მოულოდნელად რაღაც უცნაურ ამაყ პოზაში გაირინდა და ისე შემომხედა, რომ ხასიათი წამიხდინა. ესპანელ ქალს დაემსგავსა — ამპარტავანსა და თავკერძას. რაღაცის თქმას აპირებდა და ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი მივაჩერდი. ვოვაც დაიძაბა. ქედმაღლობა, ღირსების ჭარბი გრძნობა, ყოყლოჩინობა, გონსმოკლებული თავმოყვარეობა ადამიანურ თვისებათაგან ყველაზე მეტად მძულს და საკუთარი არარაობის დასამალავი თავდაცვის ინსტინქტი მგონია. ამიტომ გავოგნდი, როდესაც სიცოცხლეში პირველად გავიგონე ლენუკასაგან ასეთი შეუვალი ტონით წარმოთქმული სიტყვები:

— არსადაც აღარ მოვდივარ. ახლავე უკან დავბრუნდეთ!

**ლენუკა:**

ვოვას ჭკვიან, მიბნედილ თვალებში ჩემი საქციელით გამოწვეული დაუმალავი ალტაცება ამოვიკითხე, ლადო კი ნირწამხდარი და დაბნეული მიმზერდა.

— რას მიყურებ, ვერ გაიგე რას გეუბნები?! — ტონი გავამკაცრე და მიწას ფეხი დავკარი.

— ვერ გავიგე, — ძლივს ამოღერღა ლადომ.

ანდა რას გაიგებდა. მთელი გზა მინდოდა მისთვის ბაბუას მონათხრობი ამბავი მომეყოლა, ამ დილით რომ გამახსენდა — როგორ ატარა ბებია სახლამდე ხელში ატატებული. მინდოდა, მაგრამ არ დამცალდა — ტაქსში მძღოლის გასაგონად არ ვინდომე, ვიფიქრე, მატარებელში ვუამბობ-მეთქი, მაგრამ მერე იმ კონვერტის გამო სულელურად ვიეჭვიანე და სულ გადამავიწყდა ბებია-ბაბუას ზღაპარი. აქ რომ ჩამოვედით, ახლაღა გამახსენდა, მაგრამ აქ კიდევ ვოვა შემოგვხვდა, მოკლედ, სანამ მოსაყოლად მოვიცლიდი, მანამ ერთი ახირებული აზრი მომივიდა თავში: ბებიას ტანისა ვარ, თანაც მისი ქუდი მახურავს. რა მოხდება, ოინი რომ გავიმეორო და ვნახო, რას იზამს ჩემი ლადო-მეთქი.

— ხუმრობას მოეშვი, ლენუკა, — მკაცრად მითხრა ლადომ.

— არ ვხუმრობ, ფეხით სიარულს ნაჩვევი არა ვარ.

— ვაჰ, — გაუკვირდა ლადოს, ვოვა კი უკვე ალტაცებით კი არა, თაყვანისცემით შემომყურებდა.

— დიახ. ჯერ ერთი! მეორეც — დავიღალე, მესამეც — მეშინია!

— რისი გეშინია, ნუ გამაგიჟე, — მოთმინებას კარგავდა ლადო.

— ყაჩაღების, ლეკების, ჟანდარმების, რა ვიცი, ვისი არა!

— რას ბოდავ, გამაგებინე, — აყვირდა ლადო, მე კი განვაგრძობდი:

— დიახ, მეშინია, ათასი ოხერი დადის. აგე, ნახე, ვიღაც მოგვდევს კიდევაც, რა ვიცი, ვინ არის, — ქვემოთ, შორს მართლაც მოდიოდა ვიღაც, მგონი სულაც ის თვალდაპრაწული ფეთხუმი ბიჭი მატარებლიდან.

ვოვამაც და ლადომაც მისკენ გაიხედეს. ის ადგილზე გაიყინა.

— საეჭვო ტიპია, — თქვა ვოვამ.

**თენგიზი:**

მიდიოდნენ და მივყვებოდი. მერე შეჩერდნენ და მეც ნაბიჯი შევანელე — უცებ სამივე მომიტრიალდა და შემომხედეს. შიშისგან და მოულოდნელობისგან კინაღამ ქვეშ ჩავიფსი. სანამ შარში არ გავხვევვულვარ, ჯობია იქ წავიდე, საიდანაც მოვსულვარ. კაცმა აუტკივარი თავი არ უნდა აიტკივო. აბა, სასწრაფოდ, თესი აქედან!...

ლენუკა:

— აბა, მორჩი ახლა, გეყოფა! — დამიბღვირა ლადომ, მე კი, თვითონაც რომ არ ველოდი, ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები. ბაბუა მახსენდებოდა. გული მწყდებოდა.

— რა მოგდის, ლენუკა?! — გულგახეთქილი მომვარდა ლადო.

უკვე აღარ ვთამაშობდი, გულამოსკვნილი ვტიროდი:

— დამანებე თავი! დავიღალე! დავიღალე! — ვიმეორებდი და არც კი ვიცოდი, რა დაღლას ვგულისხმობდი.

და უცებ, ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს, მერე ორივემ მარჯვენა ხელი მარცხენას მაჯაზე წაივლო, ხოლო მარცხენა მტევნები ერთმანეთის მაჯებს ჩასჭიდეს, ლამაზი, რაინდულად გრაციოზული მოძრაობით ჩამოჯდნენ და „ოქროს ტახტი“ შემომთავაზეს.

თენგიზი:

მეგონა, გავგიჟდი-მეთქი — აფორიაქებული, აღგზნებული, დაფიქრებული და გამხიარულებული ვბრუნდებოდი ქვემოსოფლის სადგურისკენ. კაცმა რომ თქვას, ისეთი რა მოხდა. ყველანი ჩვენჩვენი გზით გავნაგრძობდით სვლას — ისინი იქით — წინ და ზემოთ, მე აქეთ — უკან და ქვემოთ.

უკანასკნელად მოვტრიალდი და უკანასკნელად გავოცდი. ლამაზქუდა ხელებზე შეესვათ ბიჭებს და შორს მიჰყავდათ.

მოვტრიალდი და სამუდამოდ მივანებე თავი მათ ცქერას. დაბლა დავეშვი. ვბრუნდებოდი და ჩემი თავი რატომღაც მაგონებდა ქვაბს, რომელშიც ნელ ცეცხლზე იხარშებოდა რაღაც. რა იყო ეს „რაღაც“, ალბათ, მომავალში მივხვდებოდი...

ლენუკა:

დედოფლისავით ვიჯექი „ოქროს ტახტზე“ და გარემოს ვათვალიერებდი. ჩავუარეთ ქვემოსოფლის ფოსტას.

— ეს არის ჩვენი საფოსტო ბოსტი, — თქვა ვოვამ.

ზემოთ და ზემოთ მივიწევდით. ნელნელა. მართალია, მსუბუქი ვარ, მაგრამ ხელით ადამიანის ტარება ალბათ მაინც არ არის ადვილი. ანდა რა მეჩქარებოდა, მომწონდა კიდეც, ტაატით რომ მიდიოდა ჩემი „ოქროს ტახტი“. განა სხვაც ყველაფერი ცხოვრებაში ასევე ნელა და მძიმედ არ მიიწევს წინ. ვფიქრობდი. რას ვფიქრობდი? რაღაცას და ამ ფიქრს არაფერი სჯობდა. საერთოდ რა არის ფიქრი? იქნებ ფიქრი უბრალო საკრავია, რომელზეც შენი სურვილით შეასრულებ ან სიკეთის ან ბოროტების მელოდიას. თუმცა რა დროს ესაა, როცა დაბურული ტყის სიღრმეში ძველისძველი იდუმლის კოშკი გამოჩნდა, ლამაზი და თავაღერებული, როგორც ყოვლისშემძლე რაინდი.

— ეს არის ჩვენი ძველი კიოსკი, — თქვა ვოვამ.

ლადო არაფერს ამბობდა. ხელები ბიჭების მხრებზე მედო, სუსტი ნიავი სახეში მცემდა და ჩემი ქუდის ბაფთებს ჩუმი შრიალით აფრიალებდა. მომბეზრდა ფიქრი, ან რა უნდა ვიფიქრო, როცა ასეთ ბედნიერებას განვიცდი, თუმცა ოდნავ გაურკვევლობის ბურუსი მამძიმებს და გული უჩვეულოდ მიჩქარის. ხელებიდან მონატრების ძლიერი ვნება მეღვრება სხეულში და ინტიმური სიცხადით ვხედავ სევდიან სურათს — ბაბუას ამ გზაზე, ჩემს გვერდით, ან იქნებ რამდენიმე ნაბიჯით წინ ბებია მიჰყავს ხელში აყვანილი, ბებია იცინის და თავზე ეს ქუდი ახურავს. ეს ყველაფერი თამაშია, მაგრამ სხვა რა არ არის თამაში ამ ქვეყნად, სილამაზეც ხომ თამაშია, ამქვეყნიური თამაში. იქ კი, სადაც ბებია და ბაბუა არიან, არანაირი თამაში აღარ არსებობს. სილამაზე აქ არის, როდესაც ვინმე მიქელანჯელო თავის შეუვარებულს, შიშველს და ულამაზესს, უკვდავყოფს ქვაში და თან წარმოსახვით მორიელს დააკბენინებს. და რჩება ეს ნათამაშევი ამ ქვეყნად, როდესაც თვით მოქანდაკე

და ის ასული ქამთასვლის მორიელმა დიდი ხანია დაგესლა. ვზივარ დედოფალივით ტახტზე და ვგრძნობ, რომ მიყვარს, ისე ძლიერ მიყვარს, რომ ლამისაა ისევ ავტირდე. ნუთუ ეს ყველაფერი სიზმრისა და სიზმნძურის ულამაზო ნაჭებით დაიფარება. დრო შეუბრალებლად მიქრის, ჩვენ კი როგორ ვეძცევით ერთმანეთს — უაზროდ, უსინდისოდ. ღმერთო, რა სულელები ვართ, რა სულელები!

### ვოვა:

მივაბიჯებდი, მხარზე მისი ხელის უმსუბუქეს შეხებას ვგრძნობდი და ეს ცხოვრება უნიათობად მეჩვენებოდა: საიდანღაც გამოგდებულობის შეგრძნება დამეუფლა. ცხოვრება დანაკარგების ჯამია და შესაბამისად მუდმივი განცდა იმისა, რომ იქ, სადაც თავს კარგად გრძნობდი და სად ყოფნის სურვილიც გაქვს — არ ხარ და არც არასდროს იქნები... ირგვლივ ცხოვრებაა — საქმე, სიყვარული, დროსტარება, ჭირი და ლხინი... თითქოს ყველაფერია ბედნიერებისთვის, მაგრამ სულში ნოსტალგიაა დაკარგულ გზაზე, ხელიდან გაშვებულ ცხოვრების ვარიანტზე... და სევდა. რა გაუძლებს სევდას, რომელიც უკვე მომიტანა ამ პატარა ქალმა, ახლა ხელზე რომ მიზის... თუ შეგიძლია, აარიდე თავი ამ სევდას, იქნებ ეს ის სევდა არ არის, ყველას რომ გარდაუვალად ელის... ბოლომდე უნდა ელოდო, სანამ არ გაირკვევა ყველაფერი. დრო თვითონ დახსნის კვანძებს, დაგვაშორებს, შეგვაერთებს, გვაიძულებს, და თუმცა იღბალი, ადამიანები და საგნებიც კი კეთილად არ მეპყრობიან, მე მაინც უნდა ვძლიო ეგოიზმს... რა ვუყოთ, თუკი არ მიმატოვებს შეგრძნება, რომ „იქიდან" — რაღაცნაირად, სინათლიდან — გამომაძევეს, რადგან ადამიანი მქვია...

მივყვებოდი ბებერ ბილიკს და მხარზე მისი ხელის უმსუბუქეს შეხებას ვგრძნობდი. ავაცილებ მთის მწვერვალზე მიტოვებულ ძველ სახლში ლადოს და ლენუკას. მერე? ნუთუ აქ უნდა დავრჩე, ამ გამოყრუებულ ქვემოსოფელში? თუ მეტიც: აქედან უნდა გავთხარო სინათლისკენ და გავიდე, უკან კი მოუნელებელი ცოდვები დამრჩეს: დამანებებენ კი ეს ცოდვები, რომ ვირთხის ხვრელი სინათლის წყაროდ გადავაქციო?

რაინდად უნდა ვიქცე, მეუღლის ერთგულ მეგობრად, მარტოსულ ლომად! მრისხანე და დიდებულ მეფედ, ვისთვისაც არაფერია პირველივე ულირსი შემხვედრი გვამად წარმოიდგინოს და თავისი სულიდან გაასვენოს. მისთვის უმთავრესი პრინციპი მაცდუნებელი მარჯვენის მოკვეთაა. ის მკაცრია, სამართლიანი, მისი სასჯელი წმიდაა. ის იოლად განიკვეთავს სხვებს და მარადიულ მარტოობას ემსახურება. ის ლომია. და აი, რა უნდა ისწავლოს ლომმა: სიყალბის უარყოფა და უღალატობა, თვით საკუთარი ბოროტებასაც კი არ უნდა ღალატობდეს იგი, რადგან ღალატი უდიდესი ბოროტებაა. ლომი არ შეიძლება ამპარტავანიც იყოს, მას ისეთი ძალა აქვს, ისეთი მრისხანე გამოხედვა და სიმშვიდე, რომ საამპარტავნოდ საქმე არა და არ გაუხდება.

ლომი მარტოხელაა, მაგრამ იცის მეგობრობის ფასი.

და თუ კი ჩემისთანა ნერვებმოშლილი ნარკომანყოფილი ლომობას მოახერხებს, მე მარადიულ მეგობრობას გეფიცებით.

გესმის, ლადო?

გესმის, ლენუკა?

### ლადო:

შენი მარჯვენა მადევს მხარზე, მათბობს და ხალისით მივყვები ზეაღმავალ ბილიკს, რომელსაც მთის მწვერვალზე მიტოვებული ძველებური სახლისკენ მივყავართ. იმ სახლში, ჩემი წარმოდგენით, სპეტაკი და სულგანათლებული თეთრწვერა მოხუცის, ბაბუაშენის კეთილი სული ბინადრობს. მიხარია და ვგრძნობ, რომ მიყვარხარ, თუმცა წეღან კი შემაშინე და გული დამწყვიტე, რადგან შენს ხასიათში თავკერძობის

დანახვა არ მსურს. მეზიზღება ყოველგვარი ამბიციურობა და გულზვიადობა, პატივმოყვარეობა და თვით თავმოყვარეობაც კი. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი სიყვარულის დიდი ნაკლულობაა ადამიანში. დისტანცია და დიპლომატია უბრალო ურთიერთობაში სრულიად ზედმეტია. პირადად მე ყოველივე ამან დიდი ზიანი მომიტანა — მარინა დამაკარგვინა. არა მგონია, ჩემმა დღევანდელმა უბადრუკმა ბარათმა საქმე გამოასწოროს, მას მე მუდამ ქედმაღალი, არაგულწრფელი ვეგონები, მაგრამ მე შენ დაგიმტკიცებ, ლენუკა, რომ გულწრფელი ვარ, მუდამ უშუალო და ჩემი ბრალი არ არის, თუ ბუნებით ცივი, სხვაზე არანაკლებ ეგოისტი ვარ, ან ყალბი და გატკეპნილი მეტყველება მჩვევია. ასეთი ვარ და არაფერი მაქვს დასამალი. თუ გიყვარვარ, დაე, გიყვარდე, ლენუკა და ნუ მოითხოვ რამე საზღაურს. მეც არაფერს მოგთხოვ, თავდადებული სიყვარულის გარდა, რაც თუ გაქვს — გაქვს, თუ არა — არა. მე შენ გულის ფიქრით მოგაგენი, ჩემო ლენუკა, გიპოვნე, აღმოგაჩინე და გულის ფიქრითვე უნდა ვუტრიალო შენს სიყვარულს, რადგან უფიქროდ, ლაღად და ალალად გულის გახსნა ჩემი ნებისა კი არაა, შენი ნებისაა და იყავნ ნება შენი. ეგებ ფიქრიცა და სიცოცხლეც იმისთვის გვაქვს ბოძებული, რომ ძალისხმევით, საკუთარი ნებისყოფით მივდიოთ სიყვარულს, რადგან სხვა გზა გულის გასახსნელად, ზეგარდმო მადლის მისაღებად მე არ მიჩანს და, ალბათ, არც არსებობს, თუ კი კაცი ისეთი გულდახურული, მადლთან წილუყრელი, ცოდვიანი, არარაისგან შემდგარი, სიყვარულის უცოდინარი, უთავბოლო ფიქრებით თავსავსე, ულირსი ვნებებით და დღითიდღე მძლავრებადი სევდით გამოტენილი ინდივიდუალური ტომარა ხარ, როგორიც მე ვარ ცხოვრების ოცმეხუთე წელს.

## ბერი ექვთიმე:

დაუნდობლად ჩამოვიცილე დარაბები და ფართოდ გავაღე ჩემი საკნის სარკმელი, შევისუნთქე ტყიდან მონაბერი გრილი ნიავი და თვალი მივაპყარ ამწვანებული ბუნების სურათს, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა მონასტრის გალავანშიგა პეიზაჟისაგან. ან რისი იმედი მქონდა? განა არ ვიცოდი, რომ რწმენა უფრორე მორჩილებაშია, ვიდრე იმედში.

კვლავ ეკლეზიასტეს უკვდავი სიტყვები აღიმართნენ თვალწინ: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს“. ამ უდიდესი სიბრძნის ჭეშმარიტი წვდომა არა დამანგრეველ ,არამედ ჯანსაღ და მისაღებ განწყობას მგვრის. დიახ, ასეა, კაცო, ბერობაში ექვთიმედ წოდებულო, ასეა და ნუ გგონია, რომ გზისგასაყარზე — მარჯვნივ, მარცხნივ თუ პირდაპირ — არჩევანს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ან რასმე ჭეშმარიტს ეფუძნებოდეს მომდევნო სინანული — ნეტავ ასე კი არა, ისე მექნაო. სიცრუეა და ფუჭი, ამაო და ცრუ ამქვეყნიური იმედები, ამ სარკმელივითაა, არაფერიც რომ არ მომიტანა, ჩვენი ხვედრი კი, მიუხედავად ყველაფრისა, უტკბილესია. იყავ მშვიდი, ბერო ექვთიმე, შემთხვევითი კი არაა, ეკლეზიასტეს „ამაოება“ რუსულად „ფორიაქად“ რომ თარგმნეს — „ფორიაქი ფორიაქთა“. ჩვენი ენა მაინც დიდებულია. ქანდრიის გზაზე დბურული ბინდი დგას, მზე ძლივს ატანს ხშირ ტოტებში, სევდა დაუგროვებია მიტოვებულ ტყეს. მეც მიყვარს მარტოობა და მახარებს კიდეც, რადგან მივხვდი, რომ ადამიანად მარტო იქცევი, მარტოობაა უკეთესი მესაიდუმლე, ვიდრე სხვა ვინმე. მარტოობა კაცს თავის სინდისთან შეახმატკბილებს. მარტოსულს სინდისი არ აწუხებს. იგი ან წმინდაა, ან უსინდისო. ვინც არც წმინდაა და არც უსინდისო, ის მარტოობას ვერ მოახერხებს.

ტყე კი შრიალებს, ფრინველები ხმადაბლა ჭიკჭიკებენ. ნიავს შორიდან ადამიანთა ხმები მოაქვს, რაც სწორედ

რომ მოსალოდნელი გაგრძელებაა ჩემი დღევანდელი საქციელისა. გულაჩქროლებული, სუნთქვაშეგუბებული გავცქერი მოსახვევს, საიდანაც ძლივსგასაგონი ბგერები მესმის და სასწაულს ვხედავ: მთის გადაღმიდან ამოწვერილი მნათობივით ამოდის ქალი — სინორჩით და სიცოცხლით სავსე ულამაზესი არსება, სიფრიფანა საზაფხულო მოკლე კაბითა და ძველებური, სევდისმომგვრელი ქუდით მოსილი, კი არ მოდის, თითქოს მოცურავს და ამ ხილვით გაოგნებული, გვიანღა ვამჩნევ, რომ მართლაც არ მოდის, რადგან ორ მამაკაცს მოჰყავს იგი ხელში ატატებული და სუბუქ არს ტვირთი მათი.

აღარცერთი აზრი აღარ ბოგინობს გონებაში, შევყურებ ცით მოვლენილ ამ უჩვეულო სურათს და სიწყნარეში ესვენება ჩემი მზერა, ბგერები რომანტიულ მდუმარებაში ინთქმებიან, სივრცეც ირინდება და ნაზად, ჰაეროვნად ეფერება ნელა მომავალ სამეულს. მოჰყავთ ბიჭებს სადედოფლო ტახტზე დაბრძანებული არსება, რომელიც გამუდმებით უნდა გიყვარდეს ადამიანს, მაგრამ ვაი თუ რამ ნაღვლიანი შეგემთხვეს, რაიმე სატკივარი გამოგვიჩნდეს, ან ბოლოსდაბოლოს, წლებმა მოგვიტანონ ჭკნობის სიმწუხარე... ეგ არაფერი, გვაიმედებდა გაყუჩებული ბუნების სიბრძნე მეც და იმათაც, ყური მიუგდეთ წამების ნაზ სვლას, ადამიანებო, ხელი ჩაავლეთ სწორედ იმ სინათლეს, ახლა ამ წუთში რომ გაგრძნობინათ სინაზემ და სულისშემგუბებელმა ჰაეროვანმა სილამაზემ. გამხიარულდით, სევდიანად გამხიარულდით, იცხოვრეთ, ილაღეთ, იცინეთ, ღიმილად იქეცით სიყვარულისთვის. დაე დაიწვათ, დაიხარჯოთ, ჩანავლდეთ განცდების ცეცხლით, დაე, მიიკარგოს, მისუსტდეს ძალა და ღონე. სილამაზე, სინაზე და სათნოება ხომ მაინც შერჩება სამყაროს და რას იზამ, თუ კი შედეგად სევდიანი მოგონება დარჩება—ჩუმი, სუსტი, მარტოხელა და დალმავალი, მაგრამ მართალი და კდემამოსილი, სუფთა და პატიოსანი, როგორც მინდვრის მკრთალი ყვავილი, რომელიც ამიერიდან მუდამ მომაგონებს ამ პატარა, საოცარ არსებას, ახლა ასე მომხიბლავად რომ დაბრძანებულა კაცის ხელთაგან მოწნულ სადედოფლო ტახტრევანზე და გზას მიჰყვება ზემოთ, ცის დასალიერისაკენ...

ისე ჩამიარეს, ერთხელაც არ გამოუხედავთ ჩემი მონასტრისკენ, ვერ შემნიშნეს. გამცდნენ, ზურგი მაქციეს, მე კი კიდევ დიდხანს მივაცილებდი მზერით დასალიერისკენ დაშვებული მზის სხივებში მოლივლივე ფერადბაფთებიან ძველებურ თეთრ ქუდს, რომელიც სულ მაღლა, მაღლა მიიწევდა და ნათელს ერთვოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნუგზარ კობერიძე

* * *

მიყვარს ეს ქარი,
სველ თმაზე რომ
გადებდა ბორკილს,
მიყვარს ეს ტალღა,
შენი კაბით
ჩემსკენ რომ მორბის.
დილაა,
სოფელს ათენებენ შავი მამლები
მიყვარს ეს ძაღლი,
შენგან თბილად
ხელშენავლები.

მიყვარს ეს ნისლი,
თლილ თითებში გამოპარული,
ღიმილში ლანდი ეშმაკისა
ცად მიმალულის,
ხანჯლებზე ცეკვავს მზე,
თვალები
მევსება სილით,
ვზი,
ვარდნაბური მარტოობით
გულგასენილი.

* * *

აღარა ჩანდა
ქვეყნის სიავე.
ჩამოფრენილი სხვა სამყაროდან
თეთრად ყვაოდა

შავი ქლიავი,
შავი ქლიავი
შენთვის ყვაოდა.

* * *

ავადმყოფივით შემოგცქერი,
რომელმაც იცის,
არაფერი არ ეშველება.

რას იზამ ნეტა,
მომატყუებ?
არ მომატყუებ?

* * *

დღეს ბედნიერი
არა ხართ სულაც,
ხვალ სევდიანი
დახედავთ სურათს.

მიდის სიცოცხლე
მღვრიე კადრებად,
ვიცი, ხვალ ეს დღე
მოგენატრებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცივია შენი თეთრი ხელები,
ცივია მკერდი,
მზერაც ცივია,
სახეს იხოკენ ჩალისღერები
და შეშლილები მზეს უცინიან.

* * *

გულის უდაბნო
დახრული ცრემლით,
ცა
მოსარკული ფარშევანგებით...

მიყვარს ის ქალი,
რომელიც მწყევლის,
ქალი — სიკვდილის,
ქალი — განგების.

* * *

მომძახოდა და მომკიჟინებდა,
სისხლით ღვივისო ბედის მარცვალი.
აზია — ჩემი მახინჯი დედა
ევროპა —
ტურფა დედინაცვალი

* * *

გამარჯვებისას წაგებულ ომებს,
დამსხვრეულ შუბს და
აცდენილ მიზანს
ვიგონებ,

როგორც ღიმილს
მონისას,
რომელიც უნდა
შეუგდონ ლომებს.

## ნატვრა

ქარში აზმორებს დახეულ ბადეს,
მზე — ოქროს თევზი
გდია ბადეზე.

გულზე ამ ტალღის ლოდი დამადეთ,
ზედ ვარსკვლავების წვიმა
დათესეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე ცხელი შუბლი
მიდევს შენს ხელზე,
შენს თლილ თითებზე
ზის ჩემი სული,
მაინც დაგეძებს,
მაინც დაგეძებს
კაცი
სიგიჟის ზღვარს გადასული

. . .

ქაშვეთის ზარი
მწუხრისას რეკავს,
ფანჯრებს ეხლება
აღრენილი ხეთა ტოტები,
წვიმს,
სავსეა ბიბლიოთეკა,
რაზეც ახლა ოცნებობს ხალხი,
მე წიგნზე მძინავს
და სიზმრად ვხედავ.

. . .

მე რომ შემეძლოს,
ახლა ყველაფერს,
ქვეყნად ყველაფერს მივატოვებდი
და მოვითხოვდი
თავშესაფარს
ჭიანჭველების სახელმწიფოში.

. . .

სიზმრებში ყველას
ბედნიერს და
ამაყებს გხედავთ,
სიკვდილის მერეც რომ დამესიზმროთ,
თანაც ისეთნი,
ნამდვილად რომ ხართ,
იმ სიზმრებიდან რაღას გიშველით.

. . .

ბეღურები ზამთრობით
არ ტოვებენ ქვეყანას,
ერთგულება იციან
ბეღურებმა ალბათ,
მაგრამ განა მერცხლები
გაფრენილი ინდოეთს
უკან არ ბრუნდებიან
დამსხვრეული ფრთებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

არა ლიქნით და
ბაგეთაფლობით,
არცა ოხვრით და
ცრემლის ღრუბლებით,
შემოგეჭრები, როგორც დამპყრობი,
როგორც ამკლები და
დამღუპველი.

. . .

წვიმამ ზღვა მოიტაცა
და ჩიტივით წაიღო
მკერდი პალმისა
ქარმა დატორა
დილით დავტოვე
საღამოთი
მზე აღარ იყო

გაჰქონდათ ღრუბლის
ალიგატორებს
სერზე შევდგები
თეთრი მხედარი
შევმართავ შუბს და
ცას მივატოვებ

. . .

აქვეა მტერი,
ქვეყნის გამცემიც,
აქეთ ტაოა,
იქით ზღვებია,
ქალებს ნატრობენ ჯარისკაცები
და ყაზარმებში
იხარშებიან.

. . .

ქრება სხეული,
შენ რომ ჯვარს აცვი,
სულისკვეთებავ,
ჩავლილო ფუჭად,
ამოიოხრებს ზღვა, როგორც კაცი
და ციკლოპივით
მზის თვალს დახუჭავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ დანელია

## მზის წვიმა

თოვს მარტის ცა — საოცარი.
ცისფერ ველით მიდის დილა.
მზე ეხვევა ყელზე ცაროს
და ნიავი — ლალადელა.

შვლისთვალება გაზაფხული
ნახა ცამ და გაიღიმა.
მზის — მოვიდა სასწაულზე
უსასწაულესი — წვიმა!

თოვს მარტის ცა საოცარი.

## თუ გინდა, მომკალი მერე

წითელი პეპელა ნანგრევებს ციხისას
დაჰფრენს. ცა იისფრად მღერის.
იქნება შენი მზე ჩემს ზეცას ეღირსოს,
თუ გინდა, მომკალი მერე!

წითელი პეპელა ნანგრევებს ციხისას
დაჰფრენს. სასწაულს ელის!
იქნება შენი მზე ჩემს მინდორს
ეღირსოს,

შენივ. სიცილის ფერი!

ფრთებმთვრალი პეპელა ნანგრევებს
ციხისას
დაჰფრენს. ცა იისფრად მღერის.
შენი მზე ოღონდ ჩემს ზეცას ეღირსოს,
თუ გინდა, მომკალი მერე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძნელია მეშვიდე სართულიდან...

ძალიან მიყვარს გამოსვლა აივანზე.
ახლაც... ვდგავარ და ვუყურებ —
მეშვიდე სართულიდან — თუ როგორ
ეცემა
მიწაზე
ჩემი
ლანდი!..

ძალიან მიყვარს... —
ხვალიდან, ალბათ, აღარ გამოვალ
აივანზე, —
ძნელია
მეშვიდე
სართულიდან
მიწაზე
დანარცხება!

## სამეგრელოში წელს წვიმა სულაც...

სამეგრელოში წელს წვიმა სულაც
მოსვლას აღარა ნებობს.
ჩემი ხორცი და სული
წვიმაა, უნაბებო!

სამეგრელოში წელს წვიმა სულაც
მოსვლას აღარა ჩქარობს.
ჩემი ხორცი და სული
წვიმაა, ლურჯო ქარო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

# სამი მოთხრობა ერთი მკვლელობის შესახებ

## გ. დაბადება მეორე

— ეს რა ქენი, ბიჭო! — სინანულით წაიჩურჩულა მამუკა ლეჟავამ.

წვიმდა.

სკოლის ეზოდან ბიჭები გამორბოდნენ. ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევდი. ნაცრისფერ, მოძრავ ლაქებად აჩნდნენ დანისლულ, მქრქალ სივრცეს. ეს იყო ფონი, უკანა ხედი. თვალწინ კი, თითქოს ფართო ეკრანზე აისახაო, ისე მედგა მამუკას უცბად დასევდიანებული უსაყვედურო, ცოტათი გაკვირვებული თვალები. ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო, რაც მოხდა... ხელ-ფეხი წამერთვა თითქოს. გაოგნებული ვიდექი. სულის სიღრმეში დაიბადა ტკივილი, თანდათან გაძლიერდა და მთელ სხეულში ისე დამიარა, თითქოს მამუკას კი არა, მე დამარტყეს დანა, ვილაცამ დაუნდობლად შემაგება იგი და ახლა ულონოდ ველოდი, ვინ მომეშველებოდა, ჭრილობიდან ვინ ამომაცლიდა... პირზე ხელი ვიტაცე უნებლიედ, მეშინოდა სისხლი არ ამომენთხია და სწრაფად გავეცალე. მამუკა სადღაც გადაქანდა, თითქოს კადრიდან გაქრა. მეხსიერებაში ჩამებეჭდა ბოლო ხატი: მამუკას დაწინწკლული პირისახე და აბურდული თმები, რომლებშიც ვერცხლისფერი წვეთები ბრწყინავდა. გაქრა ეს კადრი და თვალწინ ატმის დაკვირტული ტოტი ჩამოეშვა. ამ კვირტებზეც გამჭვირვალე წვეთები ეკიდა, პირზე რომ მომხვდა, მომესხურა. ჩემკენ დაიძრა ატმის ხეთა რიგი, მოლივებული კუტიკარი, მწვანე, სველი ეზო, სკოლის თეთრი შენობა... ბარბაცით მივდიოდი და ყველაფერი ეს ჩემთან ერთად აღმადგმა ქანაობდა. შადრევნის ტუმბო მომიახლოვდა მორჩილად, ჩქრიალა წყალი მომასხურა ხელებზე. მაშინღა დავინახე, მხურვალებისაგან გავარვარებულ ხელში წითელი დანა მეჭირა. სწრაფად ჩავიბანე, თითქოს ალის ჩაქრობას ვლამობდი. დანაც ჩავრეცხე, მაგრამ წითელი კვალი ვეღარ მოვაშორე და ზიზღით მოვისროლე...

„ეს რა ვქენი?.. ეს რა ვქენი?..“ — სიტყვები აჩემებულად, ჯიუტად აკაკუნდა ტვინში. მთელი სიღრმე უფსკრულისა ჯერაც ვერ გამეზომა, მაგრამ საშინელი შიში დამეუფლა... „ეს რა ვქენი?..“ — უწყვეტად მეორდებოდა კითხვა, პასუხი, კი დამვიწყებოდა... ყოველივე დამვიწყებოდა და ანგარიშმიუცემლად მივფრინავდი ორღობეში, ფეხს მიწას არ ვაკარებდი. სახეზე ცივი წვიმა მიტყლაშუნებდა, თითქოს მეუბნებოდა: გონს მოდი!.. გონს მოდი!..

მივფრინავდი, რათა გავქცეოდი სიმართლეს, მაგრამ სიმართლე კვალზე დამეწია, საიდანღაც ამოტივტივდა შემაძრწუნებელი, დაუჯერებელი აზრი: „მე მოვკალი მამუკა!.. მე მოვკალი მამუკა!..“ ეს არ იყო ჩემი ხმა, არ შეიძლებოდა ჩემი ხმა ყოფილიყო. თითქოს გამოჯავრება უნდაო, ჩახრინწული, შეცვლილი ხმით მიმეორებდა ერთსა და იმავეს, მარწმუნებდა, მოვკალიო... ვერა და ვერ გამეგო რას ჩამძახოდნენ, ვერ ჩავწვდომოდი ამ სამად-სამი სიტყვის ჭეშმარიტ შინაარსს...

ორღობე უცბად გაფართოვდა, ეზოებმა აქეთ-იქით ჩაიწიეს. ფართო, მოხრეშილი მოედანი შემომეგება. ცით ჩამოცვენილი მსხვილი წვეთები იმსხვრეოდა, ცეკვავდა გუბის ზედაპირზე და ჭუჭყიანი გუბე მხიარულად ატყლაშუნდა ფეხქვეშ. ჩემი სხეული აღარ ემორჩილებოდა ჩემს გონებას, თავისით ლევდა სივრცეს. წინ კი წვიმის ფარდიდან გამოცურდა ფართოდ გაშლილი მაგნოლიის ხე, მის ძირას მიყუჟული მომცრო სახლი, სველი კიბე, აივანზე მომლო-

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 6.

დინე ჭოტო გვილავა, რომელიც თითქოს არც იყო ცოცხალი, ხანთლიხგან ნაძერწსა ჰგავდა რომელიღაც პანოპტიკუმიდან. კიბის საფეხურები ფეხიდან გამომეცალა, გადაქანდა, ჭოტო გვილავა უცებ გაცოცხლდა, ხელი შემომაგება.

არ მახსოვს როგორ ამიყვანა აივანზე, ზღურბლზე როგორ გადამატარა.

ოთახში, ხკამზე დავეცი და ხმამაღლა წარმოვთქვი ის სიტყვები, თავში რომ განუწყვეტლივ მირეკდა:

— მე მოვკალი... მე მოვკალი მამუკა!

ცვლილება პირველად სიზმარში ვიგრძენი. არა, უფრო ადრე!.. სიზმარი ალბათ შედეგი იყო... ის შემთხვევაც შედეგი იყო, კოტორას რომ იმ დღეს დანაზე ხელი ავუკარი. ადრევე ვიცოდი, კოტორას ხალათის სახელოში პატარა ბებუთი ედო. ღამღამობით რკინის საწოლს უხახუნებდა, ჩუმ-ჩუმა ლესავდა. შარზე იყო, თორემ რისთვის ჰირდებოდა. კოტორას ბოლმა ახრჩობდა ყველასა და ყველაფრის მიმართ, „მამაჩემი ქურდია, დედაჩემიც ქურდია, უფროსი ძმა ქურდია, უმცროსი ზის სხვა საქმეზე — ყური მოაჭამა მეზობელს!“— ამაყად მითხრა და ზედ ეტყობოდა, თვითონ უნდა გადაეჭარბებინა... იმ დღეს კოლონიის უფროსმა ცხვირწინ რომ გაუარა, კოტორამ მოულოდნელად ხელი აიქნია. იქვე ვიდექი, თითქოს წინასწარ განვჭვრიტე, რომ იქ უნდა ვმდგარიყავი. ანგარიშმიუცემლად ვსტაცე ხელი და ბებუთი კვლავ ხალათის სახელოში დაბრუნდა... ყველაფერი წამში მოხდა, ერთ გაელვებაში... კოლონიის უფროსი, ახალგაზრდა, კოხტად მოხვეპილი ოფიცერი ხწრაფად შემობრუნდა, ეჭვით შემოგვხედა: „რა მოხდა?“ „ფეხი დამიცდა, უფროსო!“ თვალები ალბათ მეტად მართალი მქონდა. ოფიცერმა დაკვირვებით შეგვათვალიერა, ეჭვი თითქოს გაუქარწყლდა და გზა განაგრძო. „განანებ!“ — ჩაისისინა კოტორამ და გამშორდა. შიში არ მიგრძვნია, პირიქით, თითქოს ავმჩატდი, სიმსუბუქე ვიგრძენი და იქით გავიხედე, გალავნის მიღმა, სადაც ავჭალას შემოდგომის გახამებული გორაკები ზლუდავდა, ზევიდან კი ლურჯი, ოდნავ გაცრიატებული ცა ჰქონდა მორგებული... სიმსუბუქის ეს შეგრძნება მთელი დღე არ მომშორებია, მაშინაც კი, სასადილოში, სხვებთან ერთად რომ ვსვლეპდი წყალწყალა წვნიანს, ცირამუას ბიჭმა კი, ქურდების ბელადობას რომ იჩემებდა, იდაყვი ფრთხილად შემახო და თავაულებლად მკითხა: „წითლებში ჩაეწერე?“ „ჭრელებში!“ — ცივად ვუპასუხე. ცირამუას ბიჭმა ბატკანივით უწყინარი თვალები მომაპყრო. მინდოდა მეთქვა, მე დღეს ორი კაცი გადავარჩინე, ერთი ვერასოდეს გაიგებს, რომ გადარჩა, მეორე კი, სულელი რომ არ იყოს, ხიკეთეს დამიფასებდა-მეთქი, მაგრამ ეს სიტყვები ტრაბახს უფრო ჰგავდა და და სხვანაირად ვთქვი: „უთხარი კოტორას, სათამაშო გადააგდოს, თორემ...“

მთელი ის კვირა უცნაურზე უცნაური სიზმარი ამომიჩემდა, ყოველღამ მიმეორდებოდა და იმ ღამესაც მეწვია. ვითომ გამათავისუფლეს მოულოდნელად, ვითომ ჰუბურიშში ჩავედი, ხანწალეს პირას მივსეირნობ. მთელი კლასი აქ შეყრილა, წყალში ჰყუმპალაობენ. გამოიხედეს და ერიამული ატეხეს: „მამუკა მოვიდა, ჩვენი მამუკა მოვიდა!“ შევცბი. მინდა ავუხსნა, მამუკა კი არა, ზაზა ვარ, როგორ ვერა მცნობთ-მეთქი. ხმის ამოღებას არავინ მაცლის, მბუბნიან, მკოცნიან, ერთ ამბავში არიან... თავი ძლივს დავიძვრინე, შინისკენ მივემართები, ოღონდ სულ სხვა ბილიკით. აგერ სიძველისა და უპატრონობისაგან მოფშვნეულ ღობეწნულზე გადავდივარ, ტალახი ქუსლზე მეგლისება. ლაფაროში კუნძი გდია და ფეხსაცმელებს იმაზე ვიფხეკ. ფიცრული ოდის აივანზე ცინტუ ბებია მოაკაკუნებს ყავარჯნებს. კიდეც მეშინია და კიდეც მიხარია. გაქცევაც მინდა, რაღაც ძალა კი წინ მექაჩება. წამში კიბის თავზე მოვექეცი. ცინტუ ბებიას ყავარჯნები უცვივა, ძლივსღა დგას ფეხზე, აგე, აგე წაიქცევა. მივეჭერი, ხელები შევაშველე. „ნენაია, ნენა, ჩემი ობოლი მამუკა!“ — სიხარულის ცრემლი სდის ცინტუ ბებიას. სინდისი მქენჯნის, ქვეყანას ხომ ვატყუებ, ამ საბრალო დედაბერს მაინც რას ვემართლები-მეთქი. მაგრამ ხმის ამოღება არ შემიძლია...

თითქოს მიბიძგესო, უცბად გამომეღვიძა...

კუთხეში მოწითალო ნათურა ბჟუტავს. ვიწრო სარკმლებს ბნელი ღამე მოსწოლია. ორიარუსიან საწოლებზე სძინავთ უწლოვან ქურდებს, მკვლელებს, ხულიგნებს. ზოგს ბედმა უმუხთლა, ზოგსაც ჭკუამ უღალატა... ბალიშებზე ჩამომწკრივებულან ერთნაირად გადახოტრილი თავები, ახლა რომ სიზმრებს გაუთავისუფლებია სახჯელისაგან... ვიღაცა ქშუტუნებს, ვიღაცა ფშვინავს, ვიღაცა ხრიალებს, ვიღაცა ძილში გულამოსკვნით ტირის... ღამის სიწყნარე ელმავლის გუგუნმა გაარღვია, დაგადუგი გააქვს მატარებელს. ავჭალაში შემოგრიალდა. გარემო აახმაურა, გაიღვიძეთ, რა დროს ძილიაო... ძილი გამიტყდა, თვალს ვხუჭავ, ვცდილობ სიზმარი შევიბრუნო, თუმცა ვიცი, ცდა ამაოა... მატარებელი ჩერდება, ვაგონები ერთმანეთს ჭახაჭუხით ეხლებიან. კვლავ სიწყნარე სადგურდება. და უცებ, კატის თათები ლბილად შეეხო იატაკს, ვიღაცა სუნთქვაშეკრული ჩასრიალდა საწოლებს შორის... არა, მომეჩვენა!.. სიწყნარეა... ალბათ გუშაგსაც ჩასთვლიმა, დერეფანში არ ისმის მისი ფეხის ხმა... ვიღაცა იატაკზე გასრიალდა... გუშაგი ძილს მიენდო, საშიშროება გამოეპარა.. გატრუნული ვწევარ, ფეხები ამოვიკეცე, სხეული ზამბარასავით დავძაბე... აი, ლანდმა გაიელვა

კიდელზე, კოტორას მძულვარე სახე წამოიმართა და ბიბუთიანი ხელი ასწია კოტორამ. ხწრაფად შევქანდი, შეტყუპებული ფეხები მკერდში ჰატაკე და იატაკზე გაგორებულს სულის მოთქმა არ ვაცალე, ზევიდან დავაფრინდი. იმავე წამს სხვა ხელმა მსტაცა ღონივრად, განზე გამათრია, თან ჩურჩულით მამშვიდობდა: „ჩუმად, ჩუმად, ნუ ხმაურობთ!“ კოტორა სიტყვის უთქმელად გაიძურწა... „ჩუმად!“ — ერთხელ კიდევ წაიჩურჩულა ცირამუას ბიჭმა და ძლივს მოვასწარი საბანში ჩამალვა. საკეტმა გაიჩხაკუნა. გუშაგმა შემოიხედა. ვგრძნობდი, აქეთკენ იყურებოდა. მერე ალბათ დიდხანს გვითვალთვალა ჭუჭრუტანიდან... გადაიარა!.. ცირამუას ბიჭმა შორიდან მუშტი მოუღერა კოტორას, შემრიგებლურად ჩამიკრა თვალი და ისევ სიწყნარე ჩამოწვა, მშვიდი ფშვინვა მოისმა...

დილამდე ჯერ კიდევ შორსაა. საბანი ყელამდე ამოვიქაჩე და მზერა ჭერს მივაპყარი. დღევანდელი ამბები გავიხსენე, გახსენებას ზედ ოცნებაც მიენასკვა... წარმოვიდგინე, ვითომ იქ, იმ წვიმიან დღეს, სკოლის ნაკვეთში, ჩიორამ მომისწრო, დროზე ამიკრა ხელი და ყველაფერი შერიგებით დამთავრდა. ისე თვალნათლივ დავინახე ყოველივე, წამიერი ბედნიერება ვიგრძენი, მაგრამ წუთის შემდეგ სიზმარში გაცხადებული ცინტუ ბებია გამახსენდა და სიმწრისაგან თვალი დავხუჭე, მკერდზე გადავბრუნდი, ბალიშს ჩავეხუტე...

ჯოჯოხეთის ყველა წრე გავიარე უკვე. იმ წუთიდან, როცა მამუკა ლეჟავას უბრალო სიტყვებმა — „ეს რა ჰქენი, ბიჭო!“ — მზერამ, სულის სულში რომ ჩამწვდა, იქაურობა ამომიშანთა, იმ წუთიდან ჯოჯოხეთში შევაბიჯე. მერჩივნა თვალი დამვსებოდა, სმენა დამეხშო, არაფერი მენახა, არაფერი გამეგონა, ჩავმძვრალიყავი სადღაც შავეთში, სადაც ვერა სინათლე ვერ ჩააღწევდა, სადაც გავითქვიფებოდი ერთიან, თანაბარ რაღაცაში, რასაც სახელი არა აქვს. ეს იყო სურვილი გავქცეოდი ერთადერთ სასჯელს, სიკვდილზე უფრო მძიმეს — საკუთარ მეხსიერებას: რატომ, როგორ, რანაირად, რისთვის?.. ისევ და ისევ უნდა გამეცა პასუხი, ისევ და ისევ გონებაში უნდა აღმედგინა ყოველი წვრილმანი, უნდა გამომეჩხრიკა მიზეზთ-მიზეზი...

სად უნდა წავსულიყავი, სად გავქცეოდი ამ კითხვებს? თავდაპირველად შევეცადე ლოკოკინასავით შევმძვრალიყავი „არ ვიცის“ ნიჟარაში... „არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი!“ — ვიძახდი გაუთავებლად. „ბოლოს და ბოლოს შენ ხომ ზაზა ჩიმიკაძე ხარ? — ბრაზით აენთო შერაზადაშვილი. „არ ვიცი!“ — ვუპასუხე. „შენ ხომ ზაზა ჩიმაკაძე ხარ!“ — იქედნურად ჩაიღიმა დიმიტრი ფარცვანიამ. „არ ვიცი!“ — ვუპასუხე. მერე თითქოს ტვინი უკულმა გადამიტრიალდა, შხამი და ბოლმა გულში ჩამელვარა, გამისივდა, გამისივდა ეს ოხერი გული და მკრეხელურად ვიკივლე: „თვითონ იყო დამნაშავე!.. ყველაფერში თვითონ იყო დამნაშავე!..“ დიმიტრი ფარცვანიამ კი — ცოტა მოგვიანებით მოსამართლემაც — მშვიდად: „ვინ?“ „ვინა გყავთ მხედველობაში?“

მართლაც, ვინ „თვითონ“?

ზოზინით ჩაიარა ერთ მთლიან, განუწყვეტელ ტკივილად გადაქცეულმა ძიებამ, სასამართლომ... მოვიქანცე, გადავილალე და, ბოლოს, თითქოს ყველაფერი სულ ერთი გახდა. თუმცა კიდევ მეყო ღალატის ძალა, როცა განაჩენი გამომიტანეს. ყელში ბურთი გამეჩხირა, ნერწყვი ვერ გადავყლაპე, სირცხვილისაგან არ ვიცოდი სახე სად წამეღო, რადგან სასჯელი მეცოტავა. ლუბა დედამ კი სახეზე ხელები აიფარა, აქვითინდა, ებევრა, ამდენი წლის მანძილზე სიყმაწვილე შემოელევაო. მერე, უკვე დახურულ მანქანაში, გისოსებში გამომწყვდეულს, ცრემლი წარმომდინდა და უმისამართოდ ავლუღლუღდი: „დანა ჩემი იყო, თქეში მოდიოდა, ვინ მოიგონა, მყნობა უნდოდაო!“ მე უკვე არავინ მისმენდა და მეხსიერებიდან სიზმარივით ამოიშალა გზა კოლონიამდე. ერთმანეთს წაეწყო უსიხარულო დღეების წყება, როცა ნებისმიერ კითხვაზე არსებობს მხოლოდ ორი პასუხი, დიახ და არა! ლოლნი პატიმრის შავ პურს, ხვრეპ წყალწყალა წვნიანს, მორჩილად დგახარ დაზგასთან, უგულოდ ჩარხავ, არ გაინტერესებს რას და რისთვის, ბეჯითად ზიხარ საღამოს სკოლის გაკვეთილებზე, თუმცა გონება თითქმის გადაიკეტა და, როცა გეკითხებიან, ორჯერ ორი რამდენიაო, თვალებს ახამხამებ დაბნეულად.

გამიქრა სიამაყე, გადავეჩვიე თავაწეულ სიარულს. მხრებში მოვიხარე და მიწას მავაჩერდი. არაფერი მაინტერესებს, არც ქურდების დაუსრულებელი ტრაბახი, შემთხვევით მკვლელთა მონანიება, მოხულიგნო ბიჭების ყოჩობა და ფარული ძიძგილაობა. თანდათან თითქოს მავიწყდება ვინცა ვარ, რისთვის გამომამწყვდიეს აქ, რა შევცოდე... ერთხელ, ეზოში სეირნობის დროს, გისოსიან კარს მივადექი და მოულოდნელად სული შემეხუთა, სუნთქვა არ მეყო. გისოსებს ჩავეჭიდე, დავეჯაჯგურე. ავყვირდი, დუჟი გადმომსდინდა. რკინაზე თავს ვახლიდი, ვცდილობდი ეს მძიმეზე მძიმე კარი ჩამომეღო, აქედან გავქცეულიყავი, სადმე შორს, იმ გორაკებს მიღმა, მოუსავლეთში გადავკარგულიყავი. თვალებში სინათლე წამერთვა და ველარ გავიგე როდის მომცვივდნენ, კუთხეში მიმიმწყვდიეს, ხელები გადამიგრიხეს და ძირს დამცეს... ყველაფერი ეს თითქოს სიზმარში გადამხდა. მერე კი აღარაფერი მახსოვს...

გონს გვიან მოვედი. ლოგინში ვიწექი. იქვე ექთანი იდგა, შპრიცი ეჭირა. ღონე არ მყოფნიდა და ხმადაბლა ვიკითხე: „რა მოხდა?“ ექთანმა ტუჩზე თითი მიიდო, ნუ ლაპარაკობო.

თვალი კვლავ დავხუჭე, ძილში ჩავიძირე, იმ ძილში კი შავეთის მეტი არაფერი იყო. ხანდახან თუ გაიელვებდა რაღაც მნათობი, თითქოს მნათობი კი არა, პირისახე იყო, სულ ერთნაირი, მრავალგზის გამეორებული ახლა უკვე არარსებული დედნისა... მერე ჩურჩული მომესმა და თვალი გავახილე. კოლონიის უფროსი ესაუბრებოდა ექთანს. წამოწევა მოვინდომე, ხელის მოძრაობით გამაჩერა. უფროსს მკაცრი სახე ჰქონდა, ტუჩის კუთხეში ფარული ღიმილი გაუკრთა, ზაირა მჟავიას დაემსგავსა წამით. „რა იყო, გმირო, გვაშინებ?“ „არაფერი მახსოვს, უფროსო!“ „სულ არაფერი?“ „თითქოს ბაჭჯგვლიანი მაიმუნები დგმესიენ, მახრჩობდნენ, მე კი ვუძალიანდებოდი!“

დამიჯერა? ან მე თვითონ დავიჯერე? კარგადაც მახსოვდა, გისოსები უნდა ჩამომელო და გავქცეულიყავი. სად? ვითომ იმ მწვანე გორაკებზე ან იმ გორაკებს მიღმა ვპოვებდი განთავისუფლებას? ჩემი სულის საპატიმრო ჩემივ სხეული იყო. მაშ, როგორღა გავიქცეოდი?.. ან რა უფლება მქონდა სახელს გავქცეოდი?.. ვიწექი თვალდახუჭული და ერთსა და იმავე აზრს ვიმეორებდი. ტვინი ამიდუღდა, ყველაფერი აშერია, თავი და ბოლო ვერ გავარკვიე, მილიონნაირად შევატრიალე და დახსნა ვერ გამოვიტანე. საფეთქლები ამტკივდა, გასკდომაზე მქონდა. საღამოს ძილის წამალი ვითხოვე, შავ ბურანში ჩავიძირე, დილით კი ფიქრი კვლავ ამედევნა, მოსვენება დამაკარგვინა. ოღონდ ეს იყო, — აზრის ქაოტურ დინებაში, რაღაც ახლებურ წესრიგს მივაგენი თითქოს...

მესამე დღეს დამაბრუნეს მედპუნქტიდან. ცნობისმოყვარე თვალები მომაცივდნენ. ცირამუს ბიჭმა დრო იხელთა და მკითხა: „რისთვის ზიხარ?“ პასუხი შევაყოვნე. კარგადაც მახსოვდა, რისთვის ვიჯექი, მაგრამ იქნებ სწორი არ იყო ეს ჩემი ცოდნა, იქნებ ავი სიზმრიდან გამომყვა იგი. „იაპონური მაგნიტოფონი მოვიპარე, მთავარი აგრონომისა იყო, კეპატრიშვილისა!“ თვითონაც არ ვუწყოდი, რატომ მოვიტყუილე. თუმცა იქნებ არ ვტყუოდი, იქნებ ამ სიტყვებში იყო სიმართლის ნაწილი. რაღაც დაემართა ჩემს მეხსიერებას, რაღაც მოიშალა. დამავიწყდათ, იმასაც ვერ ვიტყოდი. ყოველივე ხომ აშკარად მახსოვდა... დედა და მამა, თუმცა თითქოს სხვათა დედა და მამა უფრო იყვნენ ისინი... ქუბურიშის სანახები, თუმცა სულ სხვა თვალით დანახული... ჩამესმოდა ხანწალეს მშვიდი შხუილი, სულ სხვა ყურით მოსმენილი... ვიხსენებდი მზის მცხუნვარებას და ჩრდილის სიგრილეს, მაგრამ უფრო მწვავედ, უფრო სხვანაირად... თითქოს მახსოვდა და არც მახსოვდა ჩემი ბავშვობა, სკოლა, ახლობლები, ყოველივე უკვე იყო და არც იყო, მქონდა და ხადღაც დამეკარგა... ყველაფერს უცნაური ნისლი გადაეფინა და საგნებმა და მოვლენებმა დაკარგეს გარკვეულობა... ცირამუას ბიჭმა ბატკნის უწყინარი თვალები მომაპყრო და მოფერებით დამარიგა: „მაგისთვის ახკდები ნერვებს? აგერ, კოტორას ვერ უყურებ, მკვლელად დაბადებულა და ფეხებზეც ჰკიდია!“

მკვლელად დაბადებულა? — ცირამუას ბიჭი ბატკნის უწინარი თვალებით მიყურებს... არა, სხვა არაფერი უგულისხმია! მართლაც კოტორაზე თქვა. მე კი გულ-ღვიძლი ამეწვა, ცეცხლი მომეკიდა. შემზიზღდა ეს ხელი, დანა რომ აიქნია, ეს სხეული, იმ დღეს, წვიმის ქვეშ შურისგების სამსახურში რომ იდგა, სული, ამ სხეულს რომ მკვლელად წვრთნიდა... რატომ დავიბადე ზაზა ჩიმაკაძედ, ვინ გადაწყვიტა ეს?.. ხომ შეიძლებოდა სხვა სახელი მრქმეოდა, სხვა მშობლების შვილი ვყოფილიყავი, მაშინ ხომ ყოველივე სხვანაირდ შებრუნდებოდა... თავში დიდხანს ვატრიალე ეს აზრი, მაგრამ სხვათა დადანაშაულებამ შვება ვერ მომგვარა.

დილამდე ჯერ კიდევ შორია. ძილი კი არა და არ მოდის. მეხსიერების ვრცელ საწიერზე ისევ და ისევ ბრუნავს ერთი და იგივე ფერი, ყოველი წამი გარდახდენილისა რომ აღუნუსხავს და იძულებული ვარ გამადიდებელი შუშით ვათვალიერო ეს კალეიდოსკოპი, რათა ის წვრილმანებიც ტკივილით შევიგრძნო, სულის სიღრმეში რომ დაფარულა... „მე დღეს ორი კაცი გადავარჩინე, — თავის გასამხნევებლად ვიმეორებ, — ერთი ვერასდროს გაიგებს, რომ გადარჩა, მეორე კი, სულელი რომ არ იყოს, სიკეთეს დამიფასებდა!..“

ვინ მე?.. ვინ აუკრა ხელი კოტორას?.. ზაზა ჩიმაკაძემ თუ იმან, ვისაც სიზმარში ვაფარებ თავს?..

დილამდე შორია, ძილი კი არა და არ მოდის...

საშვიდნოემბროდ ამანათი მომივიდა. თავი უკვე უთვისტომო მეგონა და გამიკვირდა. ყუთში მანდარინები ეწყო. ზედ წერილი იდო. ვილაცას უკვე წაეკითხა და სტრიქონების ბოლოს გაავადევნე მზერა: „ლუბა-დედა“. რაღაც აიმღვრა სულში. ცრემლი მომაწვა, თავი დროზე შევიკავე. ამანათი სკამზე დავდე. იქვე ჩამოვჯექი. წერილი მუხლზე გავასწორე. გარინდებული დავყურებდი, კითხვით კი ვერ ვკითხულობდი, ასოები ოკრობოკროდ გარბოდნენ და მზერამ ვერ შეძლო მათი დაკავშირება. ვილაცამ ქიმუნჯი გამკრა. ცირამუას ბიჭი იყო, თვალებში მოლოდინი ეწერა. სხვა ბიჭებიც შორიახლო იდგნენ და მელოდნენ. „აიღეთ!“ — თავი დავუქნიე, თვითონ კი კვლავ წერილს დავაშტერდი. ერთადერთი სიტყვის წაკითხვაღა შევძელი: „ლუბა-დედა!“ ვინ იყო

ეს ლუბა-დედა, ვინ დედა იყო, რა უნდოდა?.. განა რამე დამავიწყდა, განა მართლა არ ვიცოდი ვინ იყო ვინ, მაგრამ ამ წუთას აზრი თითქოს გამეყინა, გული კი შიშით მითრთოდა, მეშინოდა უნებლიე აზრისა, გონებაში რომ უნდა ანთებულიყო... თავი ავწიე, ძლივს ვიცანი კოტორა. ცხვირწინ ატუზულიყო და საწყალობლად შემომყურებდა. „მეც ავიდო?“ „აილე!“ „ბოლო ყოფილა!“ — ყოყმანით თქვა კოტორამ და დაცარიელებულ ყუთში ბოლო მანდარინს ფრთხილად შეეხო. „აილე!“ — გავუმეორე და მოულოდნელად ბრაზი გულზე მომაწვა: „ხომ გითხარი, აილე-მეთქი!“ წერილი მოვჭმუჭნე, ყუთში ჩავაგდე...

თვის თავზე კი, კვირა დღეს, ლუბა-დედა ჩამოვიდა. დილახვე გამომიცხადეს, კარგი ყოფაქცევის გამო დედის თხოვნა შევიწყნარეთ და ნახვის უფლება მოგეცითო. არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ არა. გულზე თითქოს ცივი ხელი მომიჭირესო. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ისეთი რამ მოხდეს, ლუბა-დედას ნახვა ამიკრძალონ-მეთქი. მაგრამ ისეთი რა უნდა მომხდარიყო. დრო სწრაფად გავიდა, რამდენიმე პატიმარი გამოგვიძახეს, დაგვაწყვეს რიგში, დაგვარიგეს, თუმცა ფიქრებით სულ სხვა მხარეს დავფრინავდი და თავში არაფერი მიჩერდებოდა.

და აი, ფარდულისმაგვარი, გრძელი ოთახი, შუაში რომ ხის ბარიერი ჰყოფს. ერთ მხარეს მე ვდგავარ, პირისპირ, ბარიერს მიღმა—ლუბა-დედა. სხვა პატიმრებიც და მნახველებიც ასე დგანან. ყველა ერთად ლაპარაკობს, ჩქარობენ, ერთმანეთს სიტყვას პირიდან სტაცებენ. მე კი ვდგავარ და ჩუმად შევყურებ ლუბა-დედას, ასე უცებ დაბერებულს, შეცვლილს, გაუცხოებულს. „კარგი მასწავლებელი იყო!“— გავიფიქრე და ამ ფიქრმა შემაკრთო. ეს ხის ბარიერი თითქოს სამუდამოდ აღიმართა ჩვენ შორის... ლუბა-დედა დგას, ხმას ვერ იღებს, თვალებში ქცეულა, მიყურებს და მიყურებს, თითქოს არკვევს, ვარ თუ არა ისევ ის, ვინც ადრე ვიყავი, შევიცვალე თუ არა. საბედნიეროდ, მან არაფერი იცის!

„როგორ არიან?“ — ძლივს გავიღე ხმა. ვერა ვთქვი, „მამა როგორ არის?“ ვერ გავბედე, „ძია თანდო როგორ არის?“ მაგრამ ამ უმისამართო კითხვაში მეტი იგულისხმებოდა და ლუბა-დედა ალაპარაკდა. ჩქარ-ჩქარა ჩამომითვალა სოფლის წვრილმანები, ოჯახური ავან-ჩავანი, ჩემს სმენას კი მისი ხმა თითქოს არ ეკარებოდა, ვერაფრით ჩავსწვდი, რასაც მიყვებოდა.

„მასწ, ცინტუ ბებია როგორაა?“ — მხოლოდ პირველი სიტყვა წამომცდა, დანარჩენი ვეღარა ვთქვი. თვალი გაუფართოვდა, ისე უადგილოდ, ისე ლიტონად გაისმა ეს სიტყვა „მასწ!“ თითქოს ჩვენ შორის აღმართულ ბარიერზე თვით ჰერამდე ყინულის კედელი დაეშენებინოს.

ლუბა-დედა შეკრთა, გაკვირვებით შემომხედა, ხმა ჩაუვარდა, მერე, წუთის შემდეგ, გონს მოეგო, დამდუღრულივით ჩამეძია, რა მოგივიდა, შვილო, ზაზიკო, მოგიკვდეს დედაო. რა უნდა მეთქვა? რისი ახსნა შემეძლო საბრალო ქალისათვის. „დედაბერი როგორ არის?“ — კითხვა შევაბრუნე და ძლივს გამაგონა უსისხლო ტუჩებით: „ცინტუ ბებია დავმარხეთ, შვილო!“

ძლივს გამაგონა-მეთქი... გაგონებით კი გამაგონა, მაგრამ ცნობიერებამდე გვიან მოაღწია. „ცინტუ ბებია დავმარხეთ, შვილო!“ — ბარე ათჯერ განმეორდა ტვინში, თითქოს თავში მაჭედებდნენ ამ აზრს, გაიგე, გაიგე, დავმარხეთო, მე კი წინააღმდეგობას ვუწევდი, ჩემს ცნობიერებაში არ ვუშვებდი ამ სიტყვებს, იქ არ იყო მათი ადგილი. უცებ ყველაფერი ნათელი გახდა და მე შორიდან შევხედე საკუთარ თავს. აი, ვდგავარ გრძელ ფარდულში, რომელსაც ორ ნაწილად ჰყოფს ხის ბარიერი. ერთ მხარეს თავგადახოტრილი, ულაზათო შარვალ-ხალათში ჩაცმული ბიჭები დგანან, მეორე მხარეს მათი მშობლები და ახლობლები. ერთად ლაპარაკობენ, ხელებს იქნევენ... ზოგი ოხრავს, ზოგი ჩხუბობს, ზოგი ქაქანებს, ზოგი ჩუმადაა. ლუბა-დედაც ჩუმადა დგას. ვერ მიმხვდარა, რა თქვას, როგორ მოიქცეს. მეც ჩუმად ვდგავარ. თვალებიდან ღაპაღუპით ჩამომდის ცრემლი და იმასღა ვფიქრობ, რატომ დამავიწყდა ჯიბეში ცხვირსახოცის ჩადება. ლუბა-დედას უჭირავს ხელში ცხვირსახოცი, მოუჭმუჭნია, მაგრამ უფლება არა აქვს მოქმაწოდოს, ცრემლი მომწმინდოს, დამამშვიდოს.

— დამთავრდა! შეხვედრის დრო ამოიწურა!

თავი ზევით არ ამიწევია, ისე გავშორდი ლუბა-დედას. „რა მოგივიდა?“ — მეკითხება ჰკოლონიის უფროსი, „არ ვიცი!“ მართლაც არ ვიცი, რა მემართება. ცრემლი ღვარად ჩამომდის, არ შემიძლია თავის შეკავება. მინდა ცნობისმოყვარეთა მზერას დავემალო, მაგრამ მარტო დარჩენის უფლება არა მაქვს, სადმე დამალვის, გადაკარგვის უფლება არა მაქვს, ყველანაირი უფლება წართმეული მაქვს და იძულებული ვარ, ვიდგე მზით განათებულ პლაცზე და ყველას ვუჩვენო ჩემი სისუსტე. „რა მოგივიდა?“ — მეკითხება მორიგე ოფიცერი. „არ ვიცი!“ „რამე ხომ არ გტკივა?“ „არა!“ როგორ არა მტკივა, საშინლად მტკივა, მაგრამ ჩემს ტკივილს ვერა ექიმი ვერ მოარჩენს და ამიტომაც ვერავის ავუხსნი. „არ ვიცი!“—ვეუბნები ცირამუას ბიჭსაც, თან სხვებთან ერთად მეც გამალებით ვსვლეპ ცხელ წვნიანს, შიგ კი წკაპა-წკუპით მიცვივა ცრემლი, იქნებ ამიტომაც დამკრავს მლაშე გემო.

სიზმარშიც ეს ცრემლი ჩამყვება. შუაღამით მეღვიძება. ვგრძნობ, ბალიში დამისველებია, გადავაბრუნებ და ისევ ვიძინებ. კვლავ მეღვიძება. ახლა ბალიშის ეს გვერდიც სველია. მძინავს თუ მღვიძავს, ცრემლი მდის და მდის... უკვე მეშინია, ვაითუ, საერთოდ არ შემიწყდეს, ვაითუ, სულ ასე ვიტირო. „რა მოხდა?" — საკუთარ თავს ვეკითხები და პასუხს ვეღარა ვპოულობ...

საკანში მზემ შემოაჭყიტა. ორ იარუსად ჩამწკრივებულ საწოლებზე თავგადახოტრილი პატიმრები წვანან. ზოგს ჯერაც სძინავს, ზოგს თვალი გაუხელია და ადგომის ნიშანს ელოდება. მზის სხივმა ირიბად გადაკვეთა სივრცე და იმ საწოლს დაეცა, სადაც აქამდე კოტორა იწვა... წავიდა კოტორა, სრულწლოვანი გახდა და წავიდა!.. მის ადგილას სხვა ბიჭი წევს, ლამაზი, მოხდენილი, ოღონდ ჭკუაცეტი, უდარდელი, ვინც „ფისო-კამფეტის" გულისათვის მეზობლის ხუთი წლის ბავშვი ასფალტზე დაახეთქა. ახლა კი ისეთი ხალისით ცხოვრობს, ვითომ დანაშაული არაფერი ჩაედინოს, ღიმილით, მხიარულად, დაუფიქრებლად გაწირავს ყველას და ყველაფერს, ოდნავადაც არ შეაწუხებს სინდისის ქენჯნა... თავი ბალიშში ჩავრგე... თვითონ უარესი ვიყავი. რა, უფლება მქონდა ვინმე განმესაჯა...

თვითონ უარესი ვიყავი?.. მაგრამ მე უკვე არ ვიცოდი, ვინ ვიყავი, მეხსიერების თეთრ უდაბნოეთში ხელახლა ვაშენებდი საკუთარ წარსულს. პირვანდელი, ცინცხალი ფერებით ვხედავდი, მაგრამ ხედვის კუთხე შეცვლილიყო და ეს მანცვიფრებდა... აი, სანწალეში ვბანაობთ... ეგერ ზაზა ჩიმაკაძე მედიდურად ზის ნაპირზე და გვიყურებს... ჩვენ კი დგაფუნით ვცვივივართ წყალში, ყირაზე გადავდივართ... მე თავს ვიგიჟიანებ და ციცინო მჟავიას ვაყურყუმელავებ. ის კი წივის, ტკარცალებს, მისხლტება... შელამებულზე მარტო ვზივარ სანწალეს პირას, ყურს ვუგდებ წყლის ლუკლუკს, თანდათან კამკამა წყლით ივსება სივრცე... ფრთხილად მივცურავ ლურჯ ზვირთებში, მკლავებს ნელა, მოზომილად ვუსვამ... სასაფლაოზე ავეხეტე, გადასახედზე, ბალახში ვწევი, მზის ამოსვლის სასწაულს გავყურებ. ნელ-ნელა ამოდის დიადი მნათობი და ეკალბარდებს თითქოს ხანძარი ედება. ცას სწვდება ეს ხანძარი. ცაზე კი ლურჯი ზღვა გადმოპირქვავებულა და ხანძარი ზღვაში ირეკლება... სკოლისაკენ მივდივართ აგერ. თინიკო კელაპტრიშვილი მიირხევა მედიდურად. ზაზა ჩიმაკაძე ყინჩად მიყვება გვერდით. ტროტუარი ვიწროა და მე ვერ ვეტევი. ფეხდაფეხ მივათრევ მძიმე ჩანთას, თანაც ისეთი ბედნიერი ვარ, ღირსად რომ ჩამთვალეს ვიყო თინიკო კელაპტრიშვილის საჯურჭლეთმტვირთველი, ვირის მუშა... ფიცრული ოდა, ვიწრო ოთახი... ფანჯარაში მილეული მთვარე იჭყიტება. ბნელი ღამე იგვერგვება, სუსტი მთვარე კიდევ უფრო ამუქებს ღამეულ ფერებს. ჭრი... ჭრი... ჭრიჭინებს ჭრიჭინობელა... თვალგახელილი ვწევარ, ვუსმენ ჭრიჭინობელას, ცინტუ ბებიას ჩუმ წუხილს და ველოდები ძილს, ქუთუთოებს რომ დამიმძიმებს და სიზმრებს ვერცხლის ფერებით ამიბრჭყვიალებს... პრინცესას თეთრ კაბაში შემოშრიალდება თინიკო კელაპტრიშვილი, გამომიწვდის ხელს და ჩვენ ორივენი გავფრინდებით მთვარის სხივებით გამსჭვალულ მქრქალ ეთერში.

ეს უცნაური ფიქრი-ზმანება, ეს გახსენება-არგახსენება, თავდაპირველად სუსტი, გაუბედავი, უსაგნო და უსხეულო მთელი დღე თან დამდევს, აზრს მიბნევს, არ მშორდება...

„ჩიმაკაძე!" — ალმზრდელ-მასწავლებელი მკაცრად მიყურებს. ხმას არ ვიღებ. „ჩიმაკაძე!" მე რატომ მიყურებს? მე ჩიმაკაძე არა ვარ!.. „ჩიმაკაძე!" ვუთხრა, რომ ცდება? ის კი შემეკითხება, რა გვარი ხარო. თვითვე დაეჭვდება, ალბათ შევცდიო. ჟურნალში ჩაიხედავს. ჟურნალში კი შეცდომით წერია. „მაშ, რა გვარი ბრძანდებით?" — ბრაზით შემეკითხება. რა შემიძლია ვუპასუხო? არავითარი გვარი არა მაქვს, არც სახელი მაქვს! ყველა საბუთი მოგონილია, ყალბია. მე ვარ „ვიღაცა", ვისაც ახლობლები „ზაზა ჩიმაკაძეს" ეძახიან... ეს ფსევდონიმია, მეტსახელია, სხვათაგან გამორჩევის საშუალებაა, საქონლის დამღასავითაა... ალმზრდელ-მასწავლებელს ამას ვერ აუხსნი. უმჯობესია, მორჩილად წამოვდგე და ვიცრუო— „ვარ, პატივცემულო!" „ბოლო დროს უყურადღებობას გატყობ!" — გამომცდელად მეუბნება ალმზრდელ-მასწავლებელი. უწყინარი თვალებით ვუყურებ, მზერას არ ვარიდებ, თქმით არაფერს ვამბობ.

— ბოლო დროს შეიცვალე, უყურადღებო გახდი, მასწავლებლები და ოსტატები გიჩივიან! — კოლონიის უფროსის მკაცრ სახეში თანალმობა ილანდება.

— ჩემს მოვალეობებს ზუსტად ვასრულებ, უფროსო!

— ვხედავ, მაგრამ გულში რაღაცა ჩაიხვიე და ცდილობ, დაგვიმალო!

ვინ გაარკვევს გულში კაცმა რა ჩაიხვია! მოვალეობებს ხომ ვასრულებ პირნათლად. ვდგები, როცა ასადგომია, ვწვები, როცა მიბრძანებენ. ყოველი სიტყვა კანონია. გულში კი... ამ მუდამ გამოწკეპილ ოფიცერს როგორ ავუხსნა, რაც თვითონ არ მესმის.

— შეცვლილი მეჩვენები! —დაფიქრებით ამბობს კოლონიის უფროსი.

დიახ, შევიცვალე! ვცდილობ, შევიცვალო! უხილავი ცენზორი მიმჯდარა მეხსიერების შორეულ კუნჭულში და შავი მელნით შლის, რაც ზედმეტია. წვრილი, მძივივით გაბნეული ასოებით წერს აქამდე არნახულ, უცხო, ხაიდან-

ლაც შემოღწეულ ტექსტს, წამის შემდეგ რომ ჩემი ხდება... დაძაბული ვუსმენ სულის წიაღში მომუშავე ცენზორს, ხანდახან ინთება უხილავი ნათურა და ვხვდები, რაღაც სხვანაირად მიყვარს, სხვანაირად მძულს, რაღაცას სხვანაირად ვესწრაფვი, რაღაცას თავს ვარიდებ... თანდათან, თანდათან...

რამდენი დრო გავიდა ასე?.. დღე, კვირა, თვე... ზამთრის ცივი, მოწყენილი დღეები, ადრე გაზაფხულის წვიმებმა შეცვალეს. სულშიც თითქოს განუწყვეტლივ წვიმს... მაშინაც კი, როცა მზემ გამოიხედა, ნაწვიმარი შეაშრო და ჰაერში სინედლის სუნი დატრიალდა. არ ვიცი, რა დამემართა, უცებ, თითქოს ვიღაცამ შემიღიტინაო, სიცილი ამიტყდა. ნეტა რა მაცინებს?.. ალბათ გაზაფხულის თბილი მზე მიღუტუნებს და იმიტომ ვიცინი. თან მზეს ვუჭვრიტინებ, თან ვხითხითებ ჩემთვის, ცირამუას ბიჭის გაკვირვებულ მზერაში აშკარად იხატება — შეჰქანებულა ეს საწყალი!“ ვიყო მერე შეჰქანებული. ამით რა დაშავდება. მეცინება და ვიცინი. გულის გულში რაღაცა მიღიტინებს, რაღაცით მევსება სულის ყველა კუნჭული... ვგრძნობ, შემიყვარდა ყველა და ყველაფერი— გაზაფხულის მზე, ცირამუას ბიჭის მიამიტი თვალები, გალავანს მიღმა წამომართული მწვანე გორაკები, კოლონიის უფროსის მკაცრი, გამომცდელი შემოხედვა და, რაც მთავარია, მოგონებები, არ ვიცი საიდან მოსული, ვისგან ნასესხები — ლაჟვარდის ფერებით აელვარებული... პირზე ხელი მივიფარე, გავჩუმდი, შემეშინდა. ისე მოულოდნელი და უცნაური იყო ეს სიცილი... საიდან მოვიდა, როგორ გაჩნდა?

სარკეში მომინდა ჩახედვა. ამ ხნის მანძილზე სარკეში არ ჩამიხედავს, შევიზიზღე საკუთარი სახე. თვალს ვერ ვუსწორებდი საკუთარ მზერას, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილსა და ტანჯვას თუ აღმოვაჩენდი... ახლა კი რაღაცა შეიცვალა და სარკეში ჩახედვა მომინდა. „ჯიბის სარკე ხომ არა გაქვთ?“ „მაქვს! რად გინდა?“ „თუ შეიძლება, ჩამახედეთ!“ თავგადახოტრილი ყმაწვილის ანარეკლმა სწრაფად შემომხედა სარკიდან, მზერაში გაოცება აესახა. ვერ მიცნო. მე ვერ მიცნო ჩემმა ანარეკლმა. კარგა ხანს ვაკვირდებოდი. იყო, რა თქმა უნდა, რაღაც ნაცნობი, ახლობელი, მაგრამ რაღაცნაირად შელბილებული, დაეჭვებული... „გმადლობთ!“ — სარკე პატრონს დავუბრუნე, ჩემი ახალი სახე კი მეხსიერებაში ჩავიბეჭდე: „შენ ახლა ახეთი ხარ!“ — კარგი იყო ეს თუ ცუდი, ამის გარკვევა არ ძალმიძდა, მაგრამ ახლა მე „ახეთი“ ვიყავი...

„ახე ნუ დამიძახებ!“ — ცირამუას ბიჭს ვთხოვე. ვერ გამიგო. რომც ამეხსნა, მაინც ვერ გამიგებდა. მხარზე ხელი მოვუთათუნე: „რამე შემარქვი, აგერ კოტორასათვის არც არასოდეს გიკითხავს ნამდვილი სახელი!“ „ე, — გაკვირვებით შემომხედა, — კოტორა კოტორაა, სხვა რა დავუძახო, შენ კი...“ შეყოყმანდა. ღიმილით წავახალისე, თუმცა ნაწვალები იყო ეს ღიმილი და მიმიხვდა. „ბოლმა ხარ რა!“ „ვიყო თუგინდ ბოლმა!“ — თავი მორჩილად დავხარე. აქამდე აზრადაც არ მომსვლია, ბოლმა რომ ვიყავი. ვინმეს თუ ვებოლმებოდი, მხოლოდ საკუთარ თავს. ახლა ის საკუთარი თავიც სადღაც დავკარგე და უკვე აღარ ვიცი, ვის ვებოლმო. „ვიყო თუგინდ ბოლმა!“ — გავუმეორე. „კაცი ვერ გაგიგებს, ბოლმა ხარ და ეგაა!“ — იმანაც გამიმეორა, მერე უცებ დაუმატა: „გინდა კუკნას დაგიძახებ!“ გამეღიმა. კუკნა ალბათ პატარასა და მოცუცქნულს ნიშნავდა, მე კი ორი მტკაველის სიმაღლიდან დავყურებდი ცირამუას ტანმორჩილ ბიჭს. გინდ ბოლმა ვიყო, გინდა კუკნა, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ მაინც „რატომ კუკნა?“ „გვყავდა ერთი კუკნა, ბოლმის ერთა იყო და ბოლმა კუკნას ვეძახდით!“ „ახლა სად არის?“ „ჩაიხრჩო ალბათ თავის ბოლმაში!“ — ცირამუას ბიჭმა გაიცინა. მე არ გამიცინია. მეტი არაფერი მითქვამს. არჩევანი ჩემზე იყო.

მომდევნო დილით, გამეღვიძა თუ არა, პირველი სიტყვა ეგ იყო. „კუკნა!“ — ხმამაღლა შევეხმიანე საკუთარ თავს. „როგორა ხარ, კუკნა?!“ — ცირამუას ბიჭმა თვალი ჩამიკრა. „ვა, კუკნა ყოფილა?!“ — ვიღაცამ გაკვირვებით იკითხა. კუკნაო, — რა ჩქარა მიეკერება ადამიანს მეტსახელი. ერთი კვირაც არ გასულა, თვითონვე შევეგუე. ლუბა-დედას მორიგი წერილი რომ მივიღე, უკვე კუკნა ვიყავი. მეგონა, სხვის წერილს ვკითხულობდი. შვილის დამშვიდებას ცდილობდა ლუბა-დედა, გულს უკეთებდა ალბათ, წერილს კი ცრემლის კვალი აჩნდა. ახო-ახო ვკითხულობდი და სიტყვებს უკულმა ვიგებდი. კარგადა ვართ, ცოტათი გავცივდით, — იწერებოდა ლუბა-დედა. ალბათ ძალიან ცუდად იყო, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. თანდიც კარგადააო, ხანდახან ცოტ-ცოტას სვამსო. ესე იგი სმას მიჰყო ხელი, იხრჩობა ღვინოში... თითქოს შორეული, უცხო ხმები ჩამესმოდა, გულს მიფორიაქებდა, დანაშაულის გრძნობას მიძლიერებდა. თავს ძალა დავატანე, საპასუხო წერილი მივწერე — „ქვირფასებო!“ ქვევით კი — „თქვენი კუკნა!“ მახვდნენ კი რას ნიშნავდა ეს მინაწერი? იქნებ იმასაც მიხვდნენ, სხვა რომ ვიყავი, ზაზა ჩიმაკაძე თითქმის მოვკალი ჩემში...

„თითქმის მოვკალი?“ დიახ, ნიადაგ ვაშთობ ზაზა ჩიმაკაძეს, ნიადაგ ვკლავ, ის კი არა და არ კვდება, წინააღმდეგობას მიწევს. ვცდილობ გავაქრო, მას კი გაქრობა არა სწადია. მეხსიერების სარბიელზე გამართულ ომში მარტოლა ვარ, ერთი ჯარისკაციც არა მყავს. ყველანი მის მხარეს არიან, ისინი, ვინც მის მეგობრებად

თვლიან თავს და ისინიც, ვისაც იგი ხძულთ. ჩემს მხარეზე კი ჯერჯერობით მხოლოდ კუკნაა, „ბოლმა კუკნა".

„ქურდების ამქარში მიგილეს?" — კოლონიის უფროსს ხელები ზურგს უკან შემოუწყვია. ისე გამართული დგას, რაც არის, იმაზე მაღალი ჩანს.

„ა-არა! — უნებლიე გაკვირვებით ვპასუხობ — რატომ მეკითხებით, უფროსო?"

„ქურდული სახელი შეგირჩევია, კუკნა!"

„ანგლობაა, უფროსო!"

ვიღაცამ დამახმინა, მიურბენინა. მე ეს არა მწყინს. ამიერიდან მის მეხსიერებაშიც ხომ კუკნა ვიქნები.

მასწავლებლებს მაინც ვინ გააგებინა? მათემატიკის მასწავლებელი დაფასთან მიხმობს: „კუკნა, გამოდი, გამოიყვანე!" მოვწონვარ, ითლად ვიყვან და საქმეს ვუადვილებ.

ოსტატი ალმაცერად მიყურებს. ცდას არ ვაკლებ, გულმოდგინედ ვჩარხავ. ხელი ისე გავიწაფე, ზეინკლობით შემიძლია თავი ვირჩინო. ჩემზე უკეთ თვითონაც ვერ ჩარხავს, მაინც ცდილობს წუნი დამდოს, ბოლმით სისინებს: „შე მართლა, კუკნა, შენა!"

ესეც არა მწყინს. რახან კუკნა ვარ, ვიყო კუკნა!

დღე აუტანლად ნელა მიზოზინებს, უსასრულოდ იწელება. ძლივს თენდება და ძლივს ღამდება.

აჰა, გაზაფხულიც მიილია, ზაფხული დადგა. წინ ორი საბუთი მიდევს, საშუალო განათლების ატესტატი და ზეინკლის მოწმობა. ორივეში წერია „ზაზა ჩიმაკაძე", მე კი კარგა ხანია კუკნა ვარ...

თითქოს არასოდეს გათავდება ცხელი ზაფხული. გადამწვარ გორაკებზე ლივლივებს მხურვალე ჰაერი. ცა მოსარკულია, ისეთი სილურჯე ილვრება, თვალსა ტკენს... გარინდული ვზივარ ჩრდილში... ვფიქრობ... მე მუდამ ვფიქრობ... სამუშაოზე ვარ — ვფიქრობ, სადილსა ვჭამ — ვფიქრობ, ღამე, ლოგინში ცხელა, ვერ ვიძინებ და ვფიქრობ... ისევ და ისევ ვკლავ ათასჯერ მოკლულს, თავიდან ვიშორებ, ის კი არ მშორდება... მამუკა ლეჟავას დანის ერთი აქნევა დასჭირდა, ზაზა ჩიმაკაძეს კი აგერ წლები ვებრძვი და ვერაფერი მომიხერხებია. მინდა ჩიხში მოვიმწყვდიო, ჩიხში კი მე ვარ მომწყვდეული... „კუკნა?"

უცებ გაღიზიანებული უხეშად ვაწყვეტინებ ცირამუას ბიჭს:

— კუკნა არა, ის არ გინდა!

ნაწყენი მშორდება... ვიცი „ბოლმა კუკნა" უბრალოდ ფარსია, სამალავია, თავშესაფარია და მეტი არაფერი, გასაქცევი ადგილია...

ეს რომ გავიფიქრე, იმ წუთას მოკვდა „ბოლმა კუკნა"...

თავდახრილი ვდგავარ, ხელში ქუდს ვჭმუჭნი. ვხვდები რატომაც გამომიძახეს. მაგიდას კოლონიის უფროსი უზის. ორი სხვა ოფიცერი აქეთ-იქიდან მიმჯდარა, ერთი მოადგილეა, მეორეს ვერა ვცნობ. უფროსი საბუთებს ხელს აწერს. ერთიმეორეზე დინჯად ადებს და სამაგრს უკეთებს. უცნობს უწვდის. ისიც აუჩქარებლად ათვალიერებს, ტუჩებს აცმაცუნებს, თავს აქიცინებს.

— ხვდები, რატომ გამოგიძახე? — თვალს არ მაცილებს კოლონიის უფროსი. — თვრამეტი შეგისრულდა, ძმაო, ჩვეულებრივ კოლონიაში უნდა გადაგიყვანოთ! კარგ საბუთებს გატან. შუამდგომლობა დავწერე, იქნებ სასჯელი შეგიკვეცონ. ხვალ გაგამგზავრებენ! ჭკვიანად იყავი, დამიჯერე, არავითარი კუკნა და ბოლმა!.. გესმის, ჩემო?

მინდა ვუთხრა, სასჯელის შეკვეცა არ მიხოვია-მეთქი. მეტიჩრობად ჩამეთვლება და მხოლოდ ორ სიტყვას ვამბობ:

— მესმის, უფროსო!

მაშ, თვრამეტი შემისრულდა?.. სადილზე ცირამუას ბიჭმა თავისი კომპოტი გადმომიდგა. არ მინდოდა, მაგრამ ისე შემომხედა, უარი ეწყინება-მეთქი და მადლობის ნიშნად თავი დავუქნიე. სამი თვის წინ თვითონ ჩვიდმეტი შეუსრულდა და მეც ჩემი წილი კომპოტით გავუმასპინძლდი.

საქმე არაფერი მაქვს. ჩემი დაბადების დღეა და არ მასაქმებენ. მარტოობას ვეძებ. კუთხე-კუთხე დავდივარ. ვიცი, ეს შეუძლებელია, მაინც ვცდილობ, მარტო ვიყო... სიცრუეა ყოველივე! ბორკილები — ჩემი საბუთები, უსახური ქაღალდების ასხმულა კვალზე მომყვება, ყოველ ნაბიჯს ალმინუსხავს და მომავალ ნაბიჯებსაც განსაზღვრავს... მე არ მსურს საბუთების მონობაში ვიყო, ვცდილობ თავი დავაღწიო ყოვლისშემძლე ქაღალდებს. რა ვქნა, როგორ მოვიქცე? იქნებ თავი მოვიკატუნო, დაე, ქვეყანამ კვლავ ზაზა ჩიმაკაძედ ჩამთვალოს. მერე კი, აქედან რომ გავალ, ეს ქაღალდები ცეცხლს მივცე და ყოველივე ნულიდან დავიწყო... ვითომ თავიდან დავიბადე, სულ სხვა სახელი და გვარი მექნება, თვითონაც სხვა ვიქნები და ცხოვრებაც სხვანაირად აეწყობა... ზღაპარი იყო ეს, ნაოცნებარი, მაგრამ ვერა და ვერ ვეშვებოდი. ისე ნათლად წარმოვიდგენდი, ყოველივეს, ცხადი და ზღაპარი ამერია... კარგა ხანია, ამერია...

ნავახშმევს მორიგე ოფიცერმა, აქამდე სიტყვის ღირსადაც რომ არ ჩავუთვლივარ, დაბადების დღე მომილოცა, კაცობის ასაკისათვის მიგიღწევიაო და პაპიროსი გამომიწოდა. ჯერ არ ვეწეოდი. არ გავაწბილე, მადლობა მოვახსენე და პაპიროსს მოვუკიდე. ბოლს ვერ ვულაპავდი, ხველება ამიტყდა. ოფიცერმა ზურგზე ხელი დამარტყა და გამიცინა. კარგ

გუნებაზე იყო და ამით ვისარგებლე. ვთხოვე, შეუძლოდ ვარ და ცოტა ადრე დავწვები-მეთქი. არ შეიძლებოდა, მაგრამ, მიდი, დაიძინეო, თავი დამიქნია.

თავი ბალიშზე მივდევი და უმალვე ოდინდელი სიზმარი გამიცოცხლდა. მაშინ ახალბედა პატიმარი ვიყავი. სოფელთან ჭერაც ცოცხალი ძაფები მაერთიანებდა და მთელი კვირა ერთი და იგივე სიზმარი მიმეორდებოდა... ვითომ ჭუბურიშში ვარ, ვითომ სანწალეს პირას მივსეირნობ. მთელი კლასი აქ შეყრილა, ჭყუმპალაობენ. დამინახეს და ჟრიამული ატეხეს: „მამუკა მოვიდა, ჩვენი მამუკა!“ შევცბი. მინდა ავუხსნა, მამუკა კი არა, ზაზა ვარ, როგორ ვერა მცნობთ-მეთქი. იცინიან, მბუბნიან, მკოცნიან, ჩიორა კი მეუბნება, ნუ გვატყუებ, ზაზა ხომ დიდი ხანია მოხკალი, დაგავიწყდა კიდეცო... მართლა? როდის მოხდა ეს ამბავი? ერთად მიხსნიან, ერთმანეთს პირიდან სიტყვას სტაცებენ და ვერაფერს ვიგებ... თავს ძლივს ვაღწევ, შინისაკენ მივეშურები. ფიცრული ოდის აივანზე ცინტუ ბებია მოაკაკუნებს ყავარჯნებს. კიდეც მეშინია და კიდეც მიხარია. კიბეზე ავრბივარ. ცინტუ ბებიას ყავარჯნები უცვივა, ფეხზე ძლივსა დგას, აგე, აგე, წაიქცევა. მივიჭერი და ხელები შევაშველე. „ნენაია, ნენა, ჩემი ობოლი, ჩემი მამუკა!“ — სიხარულის ცრემლი სდის ცინტუ ბებიას. სინდისი მქენჯნის. ქვეყანას ხომ ვატყუებ, ამ საბრალო დედაბერს რას ვერჩი-მეთქი... თვითონაც ავტირდი ვითომ, ოღონდ არ ვიცი, სიხარულისაა ეს ცრემლი თუ მწუხარებისა...

ვილაცა უხეშად მანჯღრევს. „გაიღვიძე, ბიჭო, გაიღვიძე!“ — თვალს ძლივს ვახელ. არსად არ წავსულვარ, აქვე ვარ, მოზარდთა კოლონიაში, ვწევარ ჩემს თხელ ლეიბზე, მახურავს თხელი საბანი და ცირამუას ბიჭი მანჯღრევს ლონივრად. „ისე ხმამაღლა ზლუქუნებდი, შემეშინდა!“

კედლისაკენ შევბრუნდი უსიტყვოდ. მერჩივნა სიზმარს დავბრუნებოდი, ჩემი დალუპული სიყმაწვილე გამომეტირა.

ბნელ კედელს მივაშტერდი. გონება თითქოს გამინათდა. ქვეცნობიერი, ფარული ზრახვები სიტყვიერად ჩამომიყალიბდა და პირველად ახლა, პირისპირ შევხედე საკუთარ თავს, უეშმაკოდ შევეკითხე, მითხარი, რა გინდა, რას ესწრაფვი, რას უმალავ სხვებსაც და შენს უხილავ მსაჯულსაც...

„მე არა ვარ ზაზა ჩიმაკაძე! — ამ სიტყვებით წარვსდექ ჩემი მსაჯულის წინაშე. — მე უკვე არა ვარ ზაზა ჩიმაკაძე!..“ ჩემში ალბათ ადრე ცხოვრობდა იგი, მერე მისი მთლიანობა, ერთიანობა დაირღვა, დაიშალა... ნაწილ-ნაწილ შემომეფანტა ის, რახაც და ვისაც ზაზა ჩიმაკაძე ერქვა... ახლა როგორ მოვიქცე?.. ის სხვაა, მე სხვა ვარ. ნუთუ მოვალე უნდა ვიყო, მთელი ცხოვრება ვზიდო ტვირთი სხვისი დანაშაულისა? ნუთუ ვერასოდეს განვთავისუფლდები? არასოდეს დამიბრუნდება ის განცდა, როცა პირისპირ ვდგავართ მე და არსებობა კაცისა, მე და დანარჩენი სამყარო, მე — მთლიანი, ერთი, სამყარო — მრავალფეროვანი და მაინც ერთი.

იქნებ ჯობდა, თავი მომეკლა?.. თავდაპირველად მართლაც ასე მქონდა გადაწყვეტილი. არაერთგზის ავწონე კიდეც, მაგრამ არ ვიცოდი, რითი, რა საშუალებით განმეხორციელებინა... მერე განვსაჯე, „იმას“ რას უშველიდა ჩემი სიკვდილი, „იმისთვის“ რა შეიცვლებოდა? მაშინ ამოტივტივდა უცნაური, გიჟური აზრი, ჯერ უფორმო, მკრთალი... მერე და მერე, მრავალგზისი წვდომის შედეგად მოიპოვა ამ აზრმა მყარი უფლებები, თანდათან დაიპყრო ჩემი სული და გადაწყვეტილებად იქცა... ჩემში უნდა მომეკლა ზაზა ჩიმაკაძე! უნდა მომესპო თვით მოგონება მასზე, ჩემი სახით კი ფერფლიდან აღმოცენდებოდა სულ სხვა პიროვნება, ბიჭი, რომელიც ერთხელ უკვე მოკლეს, მაგრამ მოკლეს მისი ფიზიკური არსი, რამეთუ ყოველივე დანარჩენი მე უნდა მეტვირთა...

— დიახ, მე ვიქნები მამუკა ლეჟავა! — ხმამაღლა წამომცდა.

მეზობელ საწოლზე ცირამუას ბიჭი შეინძრა და ჩამეკითხა:

— რა თქვი?

— არაფერი!

მთელი ღამე ვიწრიალე. თავი ისე ამტკივდა, თითქოს რკინის სალტეები მომიჭირესო. არაქათი გამომელია. დილით ძლივს ავლასლასდი, სახეზე ცივი წყალი შევისხი. საუზმე უგემურად დავლიე. მხოლოდ ცირამუას ბიჭს გამოვემშვიდობე. „როცა გახვალ, მომნახე!“ „ჰო, მოგნახავ!“ სიცრუე იყო, ჩვენ ერთმანეთს ვერ მოვნახავდით, რადგან მე უკვე სხვა ვიქნებოდი.

დახურული მანქანით წამიყვანეს. გისოსებს მიღმა გუშაგის ბავშვური სახე ჩანდა. თვალი დავხუჭე. დრო ბევრი მქონდა. ამიერიდან იმედით უნდა მეცოცხლა. აშკარად ვგრძნობდი, ჩემს სხეულში სხვა სული ჩასახლდა. ძველი პატრონი, საკუთარი დანაშაულის სიმძიმემ რომ მოტეხა, თანდათან მიიშრიტა და ბოლოს მთლად ფერფლად იქცა... იმ ფერფლზე კი უნდა აღმოცენებულიყო ახალი, ნორჩი, ხალასი, ხათუთად ნალოლიავები, გაუმხელელი, ექვის დილეგში მრავალგზის დაკითხული და გამონაცადი...

შეიარაღებული ბადრაგი ოთხივე კუთხეზე რკინის ალმებს არჭობს. ეს არის ზღვარი. იმის იქით გასვლა აკრძალულია. აი, ამ მიკროსამყაროში უნდა ვიმუშაო. ჩაის ხასხასა რიგებს

მივყვები. გვერდზე წნული კალათა მკიდია და დუყებით ვავსებ.

რიგს მეორე მხრიდან ლიპიანი ბიძაკაცი მოჰყვება. პატიმრის რუხი ხალათი ულაზათოდ აცვია. ვიცი, მეკუჰნავე იყო და იმდენი შემოექამა, ათ მისთანას ეყოფოდა... ცხელა. მეკუჰნავეს ვარდისფერი ლოყები ალაელაეებია. ხანდახან ქუდს მოიხდის, მელოტზე ოფლის წინწკლებს მოიწმენდს და ჩაის ბუჩქისაკენ დაიხრება. უჭირს. მუცელი ჩამოჰკიდებია და როცა წინ იხრება, ქვევით ეზიდება... სხვა რიგებს სხვა პატიმრები მიჰყვებიან. უკვე ყველას ვიცნობ. ვიცი, ვის რა ჰქვია, ვის რა მეტსახელი აქვს, ვინ რისთვის ზის. „ინტელიგენტთა“ მარაქაში მოვხვდი. არც „კანონიერი“ ქურდი გვირევია, არც რეციდივისტი. წვრილფეხობაა! პატარ-პატარა ცოდვებს ინანიებენ. დიდი-დიდი ორი-სამი წელი კრიფონ ეს ჩაი. შემდეგ კი შეეცდებიან მალევე დაივიწყონ ცხოვრების განრიგის ეს გუთვალისწინებელი შესწორება.

ყველას სათითაოდ ვიცნობ. ისინიც მიცნობენ. ჰგონიათ, რომ მიცნობენ. იციან, რომ საბუთებში ჩიმაკაძე მიწერია. ამის დაფარვა შეუძლებელია, დღეში ათჯერ დაგვაწყობენ რიგში, გადაგვთვლიან, ერთი ბადრაგი მეორეს გადაგვაბარებს... „პატიმარი ჩიმაკაძე!“ — ასე ამოიკითხავენ საიდან, პროტესტის უფლება არა მაქვს. ან რა მნიშვნელობა აქვს, სიაში რა წერია. ამათ, ჩემს ბედში მყოფთ, კარგად დაიმახსოვრეს, რაც უნდა დამიძახონ. „რა გქვია?“ — პირველ წუთს მკითხეს. „მამუკა! — ვუპასუხე და ყოველი შემთხვევისათვის ავუხსენი: — საბუთებში სხვა სახელი მიწერია!“ სხვა სახელი იმავე საათს გაიგეს, მაგრამ არავინ დაიმახსოვრა. „მამუკა, პაპიროსის ნამწვი ხომ არა გაქვს?“ „მამუკა, წყალი მომაწოდე, შენს გაზრდას!“ „მამუკა, ნორმას ვერ ვასრულებ, იქნებ ცოტა წამეხმარო!“ რაღაცნაირ, ტკივილნარევ სიამოვნებას მანიჭებს და ამიტომ თხოვნას უმალ ვუსრულებ. იქნებ საჭიროზე უფრო ჩქარა, ცქვიტად შევეხმიანები ხოლმე. ჩემი სულსწრაფობა თვითონვე მწყინს. ვიცი, ეს ნაკლია. მართლაც მამუკა რომ ვიყო, ასე არ ავჩქარდებოდი. რას ვიზამ? ბევრნაირად დასახვეწი ვარ, მაგრამ დროა ჩემი შემწე, იმისი იმედი მაქვს. ჩვილი რომ იბადება, არაფერი იცის, მხოლოდ ინსტინქტებითაა აღჭურვილი. ცხოვრება ყოველ წუთს უტარებს გაკვეთილს, მისი სული თანდათან იწრთობა, თანდათან ყალიბდება... მეც ჩვილივითა ვარ, თითქოს გუშინ დავიბადე და ცხოვრებისეულ ანბანას ახლალა ვითვისებ, ჩემი სული ფერფლიდან აღმოცენდა და ახლა შორეული, ეკლიანი გზები უნდა განვლო, მიზანს რომ მივაღწიო.

კალათას სწრაფად ვავსებ, სხვებზე სწრაფად. სამუშაო მეიოლება. შემიძლია შევყოვნდე, ცოტათი შევისვენო. ჩაის მწვანე ბუჩქებში მზის სხივი იხლართება, ფოთლებში ბრწყინავლებს. ცა ისე ლურჯი და კამკამაა, ამაზე ლურჯი და კამკამა არც შეიძლება იყოს. ალბათ არც არასოდეს განვიმდება. თითქოს მთლიანად ქარსაცავის ფიჭვნარი ჩამუქებულა. ჩეროს სიგრილე ხანდახან ჩემამდეც აღწევს. სამხრეთისაკენ გორაკების წყება იტალღება, დაბლა და დაბლა ეშვება, პლანტაციებსა და ქარსაცავებს დაუფარავს. ჩრდილოეთით კი თეთრად წამომართულა კავკასიის მაღალი მთები... ზოგჯერ ავხედავ, იქნებ გრილი ნიავი ჩამოვიდეს იქიდან, ოხშივარი განდევნოს და პირისახეზე მოგველამუნოს, ოფლი შეგვაშროს... მაგრამ ლოდინი ამაოა...

სანამ ვისვენებ, მეკუჰნავე წამომეწევა. ხვნეშის, ოფლი ასკდება. კალათა სანახევროდაც ვერ გაუვსია. ჩემი კალათიდან ვუყრი ბლუჯაბლუჯა. სახე პირფერული ღიმილით ებადრება. მისი მადლობა არაფერში მჭირდება. „სალოლ, მამუკაჯან!“ თავს უსიტყვოდ ვუქნევ და კვლავ რიგს მივყვები.

დრო ჩქარა გადის. რაც აქ ჩამომიყვანეს, დროის მდინარება აჩქარდა. დღეების ჩამოთვლას ვერ ვასწრებ, უკვე კვირა გასულა. ერთსახოვანია ეს დღეები და იქნებ იმიტომაც ვერ ვამჩნევ დროის სწრაფვას. დღესაც, თითქოს ახლახან ვისაუზმეთ, მზემ კი უკვე გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა. სადაც მე ვკრეფ, ქარსაცავის ჩრდილი გადმოეფინა და აგრილდა. მეკუჰნავის სიგრილე ესიამოვნა და აჭიკჭიკდა, ოკახის ამბებს მიყვება. უკვე ოცდაათჯერ აქვს მოყოლილი, მომბეზრდა, მაგრამ არ ვაწყვეტინებ. რას მიშავებს, მოიოხოს კაცმა გული. მე ჩემი საფიქრალი მყოფნის და თავში იგი მიტრიალებს. „მამუკაჯან, მგონი, არ მისმენ!“ „ჰო!“ — ანგარიშმიუცემლად ვპასუხობ. „რა ჰო, მისმენ თუ არ მისმენ?“

სასტვენის ხმა მშველის. მუშაობა დამთავრდა. ზლაზვნით მოიწევენ პატიმრები, რიგში ვეწყობით. ყველას ერთნაირად გვაცვია, უსიხარულო, შავი სატინის შარვალ-ხალათი. გვამოწმებენ, გვთვლიან. იქნებ დღეს სია სულაც არ წაიკითხონ, რამდენიმე წუთს მაინც მოვიგებთ. ბადრაგი თავის ადგილს იკავებს. ნელა მივდივართ. ხანდახან ვჩერდებით. სხვა კოლონები უნდა გამოვატაროთ. სანამ საკანში შევაღწევდეთ, მთელი საათი გაივლის. დროს უქმად არ ვკარგავ. ჩემი ტვინი მუდამ მომართულია, ერთსა და იმავე საგანს დაჟინებით უკირკიტებს. თავის მოწაფეს, ჯერაც ჩვილ სულს წვრთნის და მოძღვრავს. თითქოს დრო ბევრი მაქვს, ფიქრში ჩაღრმავებას კი ვერ ვასწრებ. ვიღაცა მკლავზე მექაჩება: „მამუკა, ხომ არ ჩაგეძინა?“ სიაში ამომიკითხეს, მე კი პასუხი შევაყოვნე...

საკანი ფართოა, ბევრნი ვეტევით. ოფლის

მძიმე სუნი დგას, მაგრამ შევეჩვიე, არაფრად ვაგდებ. ყველა თავისი საქმითაა დაკავებული. მეც ჩემი საქმე მაწუხებს. ვზივარ და თვალი კედლისაკენ მიმიპყრია, კვლავ ჩემს ფიქრებს ვუღრმავდები. არ მაცლიან. „მამუკა, არ გესმის, ვახშამია!“ ფიქრი მეფანტება, „ვახშამი, თორემ არ მოგართვან შემწვარ-მოხრაკული!“ — ხითხითით ურთავს მეკუჭნავე.

ვსვამ უგემურ, ნელ-თბილ ჩაის და იმახლა ვფიქრობ, ნეტა როდის მივლაგდებით-მეთქი. ეს წუთიც დგება. ვწვები ჩემს ვიწრო ლოგინში, ერთადერთ ადგილას, სადაც შემიძლია განვმარტოვდე. ძილ-ღვიძილში ვატარებ ღამეს, ხან სიზმარში ჩავეშვები, ხან ცხადში ამოვალ. კარგა ხანს ვწევარ თვალდახუჭული. არ მძინავს, ძალაუნებურად ყურს ვუგდებ ღამეულ ხმებს. დრო გადის, შეგრძნება ჟამის მდინარების მეკარგება. უკვე არ ვიცი, მძინავს თუ არა. უცნაურ ზმანებაში ვეფლობი. თითქოს სხვაგან ვწევარ, ალბათ მიწის სიღრმეში. მყუდრო სასახლე მიუჩენიათ ჩემთვის. განძრევა არ შემიძლია. არცა მაქვს განძრევის სურვილი. ისიც არ ვიცი, საერთოდ ვარ თუ არა ვარ. სიმსუბუქის ნეტარი გრძნობა მეუფლება. ეს პატარა, ვიწრო საკანი თითქოს მთელი სამყაროა და ამ უკიდეგანო სამყაროში დავფოფინებ. გონებას ძალას ვატან, უნდა გავიაზრო, უნდა მივხვდე რა ხდება. თითქოს მივხვდი კიდეც. მე აქ დამმარხეს, დიდი ჭადრების ჩრდილში, ჭუბურიშის გადასახედზე. შორიახლო, მიწაში რაღაც დაგრაგნილა. არა, ეს უნასი როდია, ჭადრის მსხვილი ფესვია, ცოტცოტაობით ჩემკენ მოიწევს, ალბათ მალე მოაღწევს და მაშინ მე ჭადარში გადავსახლდები... მინდა ხელი გავაცოცო, ჭრილობა შევიმოწმო. კი არ მტკივა, იმიტომ ვამოწმებ, რომ გავარკვიო, მე ვარ თუ არა. თუმცა ისიც არ ვიცი, ხელი სადა მაქვს... ბნელში რაღაც თეთრად ფუთფუთებს. ეს ჩემი მოძმეა, საფლავის ჭია. მეხმარება, რათა არარაში ჩავიძირო, დავიწყების მრუმე სიღრმეებში... ჩემი სული ისე მჩატეა, ისე მსუბუქი, ყოველ წამს შეუძლია უსასრულობაში განქარდეს... ძინძინ-ძინ! — საიდანღაც ჩამესმის მოგუდული ხმა სკოლის ზარისა... უცებ მივხვდი, რომ ზევით ავიწიე... მაღლა ავიწიე და იქიდან დავხედე ჩემს სხეულს. უმტკივნეულო იყო ეს განსვლა საკუთარი სხეულიდან, ტკბობას განვიცდიდი, თითქოს განვთავისუფლდი უსაშველო ტანჯვისაგან...

უხეშად იგრიალა უცებ. შიშისაგან შევხტი. ბნელ სარკმელს მიღმა იელვა და გადაიხრიგინა ჭექა-ქუხილმა. შხუილით წამოუშინა კოკისპირულმა. გული ამიჩქარდა. მძიმე და მტკივნეული ყოფილა საკუთარ გვამში დაბრუნება. ხელახლა უნდა მეტვირთა გადაწყვეტილების მძიმე ტვირთი. ვიწექი, ვუსმენდი მოულოდნელად მოვარდნილი წვიმის შხრიალს და ვფიქრობდი: „რა იყო ეს? რა მეზმანა?..“

დილაუთენია კვლავ შემოიჭყიტა მზემ. ხეთა ტოტებიდან წკაპაწკუპით ცვიოდა ცივი, გამჭვირვალე წვეთები. სველ მიწას ოხშივარი ასდიოდა. ოთხ-ოთხად ჩამწკრივებულნი, ბადრაგის თანხლებით მივდივართ პლანტაციისაკენ. უკვე დავითვალე, შვიდასი დღე დამრჩენია კიდევ. შვიდასჯერ უნდა დავადგე ამ გზას დილაუთენია და შვიდასჯერ უნდა მოვბრუნდე საღამოს. შვიდასჯერ გამიმეორდება ჩემი უცნაური სიზმრები. წინასწარ ვიცი, ყოველდღე თითო ღერი თმა გამითეთრდება, მაგრამ თითო მცირე კენჭიც მოემატება შენობას, მე რომ ვაშენებ...

მოსახვევთან მანქანას დაველოდე და მაინცდამაინც ჯოტო გვილავამ გამიჩერა. უმალვე ვიცანი, შევყოყმანდი კიდეც, მაგრამ უკანდახევა გვიანი იყო და შინაურულად გავუღიმე.

— მთელი საათია, ავტობუსს ველოდები! — შევეცადე ხალისით მეთქვა.

ჯოტო გვილავა წინ იყურებოდა, ალბათ საუბრის გუნებაზე არ იყო, ზრდილობის გულისათვის შემეხმიანა:

— ერთი დანჯღრეული ნაგვის ყუთი დაგვიდის, ვინ იცის, როდის ჩამოივლის!

მივხვდი, ველარა მცნობდა. ამან ცოტათი დამამშვიდა. ყურადღება გზაზე გადავიტანე. მძიმე იყო გადაწყვეტილების მიღება. შინაგანი ხმა მკარნახობდა, აქეთკენ ფეხი ამოიკვეთეო, უმჯობესია, სადმე შორს გადაიკარგო, ხომ ცხოვრობს მილიონობით ადამიანი, ვინაც ჭუბურიშის სახსენებელიც არ იცისო, მაგრამ ვიცოდი, სხვა გზები ჩემთვის არ არსებობდა...

— ჩიმაკაძის ბიჭი არა ხარ შენ?

შევეცადე, უნებლიე კრთომა დამემალა, უხმოდ დავუქნიე თავი.

— გაგათავისუფლეს? — ჯოტო გვილავა აქამდე მოწყენით ატრიალებდა საჭეს, ახლა კი გამოცოცხლდა, ალაპარაკდა: — რა ჩქარა გადის, კაცო, დრო, ჰა! ძალიან შეცვლილი კი მეჩვენები, დავაჟკაცებულხარ, დაკაცებულხარ!.. — აქ ხმაში სევდა შეეპარა: — გეცოდინება ალბათ, თქვენები აქედან აიყარნენ!

თავი ისევ დავუქნიე.

— შენ ნუ გეწყინება და... ძველი სატკივარის გახსენება, რა თქმა უნდა, ძნელია... აბა, რა ექნათ თქვენებს? თანდი მთლად წახდა, შვილი მომიკვდაო, გამოგიგლოვა. მუშაობას თავი მიანება, სმა დაიწყო. დედაშენიც ავადმყოფობდა. ხალხიც, ხომ იცი, ათასნაირი ჯურისაა, როგორღაც თავისთავად მოხდა, თითქოს განზე გაირიყნენო...

— ყველაფერი ვიცი, ჯოტო ბიძია! — ხმა ძლივს ამოვიღე. — ყველაფერი ვიცი, მაგრამ

სხვანაირად არ შემეძლო, მე აქ უნდა მოვსულიყავი!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ნაჩქარევად მიპასუხა, მომეჩვენა, არც თუ გულწრფელად. — მერე აქ ვისთან უნდა გაჩერდე? თუ გინდა, ჩემთან წამოდი!

— გმადლობ, ჯოტო ბიძია, მაქვს მე გასაჩერებელი ადგილი!

— შენი საქმისა შენ იცი!

მეტი არაფერი გვითქვამს. ჩუმად ვისხედით. გავყურებდი ჩემი ბავშვობის ადგილებს, ნანატრ ადგილებს და გული სევდით მევსებოდა. მერე იქიდან, სადაც დაღმართი იწყება, უცბად გადაიშალა ჭუბურიშის სანახები. რამდენი დრო გავიდა და ყველაფერი ისევე ჩანდა, როგორც ადრე... თუმცა არა, ფერებს უფრო მკვეთრად აღვიქვამდი და სუნსაც, ნიავს რომ ფანჯარაში შემოჰქონდა...

სასაფლაოსთან გავაჩერებინე. მადლობა მოვახსენე. გაკვირვება არ დაიმჩნია და დინჯად დამარიგა:

— ცუდი არაფერი მოიწიო, ბიძიკო, შენ ახლა სასჯელი მოხდილი გაქვს. უკან არც უნდა მიიხედო, მთელი ცხოვრება წინ გიდევს!

— ის ბიჭი არა ვარ მე, ჯოტო ბიძია, თქვენ რომ მიცნობდით!.. სულ სხვა კაცი ვარ ახლა მე!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას! — ჯოტო გვილავამ მანქანა დაძრა, მე კი ბილიკს დავუყევი.

ხომ არ ვიცოდი ის ადგილი, გუმანით მივაკვლიე.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს ვიდექი და თვალს ვერ ვაშორებდი მარმარილოს მომცრო სვეტს... „მამუკა ლეჟავას, თანაკლასელებისაგან“, ცოტა ქვემოთ კი, უფრო გვიან ამოკვეთილი — „ცინტუ კვირკველია“.

მოგვიანებით, როცა მინდოდა გამეხსენებინა ის პირველი წამები, ვერაფერი მოვიგონე. თავდაპირველად თითქოს არაფერი მიგრძვნია. შემთხვევით შემოხეტებული ადამიანივით ვათვალიერებდი ორ თანაბარ ბორცვს და ამ პატარა მარმარილოს სვეტს. რატომღაც ვერ აღვიქვი, შინაარსი ვერ ჩავდე ჩემ წინ გაშლილ სურათში. ეს გრძნობა უცხოობისა რამდენიმე წამს გაგრძელდა მხოლოდ და უცბად, თითქოს ცა მოირღვა, მთელი თავისი სიმძიმით დამაწვა, მომშლუნა, წელში გამწყვიტა. რამდენი დღე და საათი სულ ერთსა და იმავე ფიქრს ვუტრიალებდი — როგორ მოვიდოდი ამ საფლავებთან, მუხლებს მოვიყრიდი და — რადგან ეს იყო ჩემი ერთადერთი საყდარი, ერთადერთი სალოცავი ადგილი — გულწრფელი აღსარების შემდეგ შენდობას ვითხოვდი... ალბათ მოვუყვებოდი ამბავს მკვლელის სასტიკად დასჯისა, მისი არარად, ფერფლად ქცევისა და გამოვითხოვდი ნებართვას მეცხოვრა ახალ ჰიპოსტასში... და აი, მოვედი, ვდგავარ, ვუყურებ და ვგრძნობ, ყოველი ნაფიქრალი წამში დამეფანტა, ყოველი იმედი უსუსური და უსაფუძვლო ყოფილა... აქ მოსვლამდე მე უკვე დავიჯერე, რომ სხვა ვარ!.. სწორედ აქ, საფლავის ამ პატარა სვეტთან უნდა გამერკვია საბოლოოდ ყოველი, უნდა გადამელახა შეუძლებლობის ბარიერი და რაოდენ მტკივნეული, მძიმე აღმოჩნდა იგი.

დიდხანს ვიდექი იმ ადგილას. წინ, ლორთქო სანახებში ჩაფლული ჭუბურიში თვლემდა მომლოდინედ...

მინდოდა მეიძულებინა ჩემი თავი, ხმამაღლა მეთქვა: „მე ვარ მამუკა ლეჟავა, დიახ, ლეჟავა!“ მაგრამ ვერ ვაიძულე, რადგან სიტყვები თამაშსა ჰგავდა, ისინი გულწრფელ მოწოდებას თითქოს კლავდნენ. ძირს დავემხე და ავტირდი. ცრემლმა სულის ხვატი შემინელა, ტკივილები დამიყუჩა და მე — მამუკა ლეჟავა გავშორდი ჩემს საფლავს, ვიწრო ბილიკით სოფლისაკენ დავეშვი...

მზე უკვე დასავლეთისაკენ გადაქანდა, მცხუნვარება შენელდა.

უკანა ეზოებით ვარჩიე სიარული. ხან მეშინოდა, ვინმეს არ გადავყროდი, ხან პირიქით, მეწადა სოფელი შემეყარა და მეყვირა: „ხალხო, ვეღარა მცნობთ, მკვდრეთით აღმდგარი მამუკა ვარ!“

ჩიმაკაძეების სახლის სახურავი დავლანდე შორიდან, თუმცა ის უკვე არ იყო ჩიმაკაძეებისა. რა მესაქმებოდა ჩიმაკაძეებთან, მაგრამ გულის ჩხვლეტა მაინც ვიგრძენი.

სანწალეს მივაღწიე, სამ მუხასთან გავედი, მუხები მოუჭრიათ თურმე. ნამუხარზე წვრილი ჩოჩქი ამოყრილიყო, ისიც თხას გადაეჭამა და გული დამწყდა. ჩაშრეტილი სანაწლე მშვიდად მიჟღურტულებდა ქვებში. ერთგან გუბდებოდა, იქ, სადაც საბანაო გვქონდა. რამოდენა გვეჩვენებოდა მაშინ და რა პატარა ყოფილა. გამახსენდა თინიკო კელაპტრიშვილი, მამიკოს მანქანიდან თოჯინასავით რომ გამოყო თავი. გამახსენდა, როგორ შემრცხვა, შარვლის ტოტში რომ ვერ ვახვედრებდი ფეხს. ციცინო მჟავიამ კი იტირა. ამ გახსენებამ ერთხელ კიდევ მატკინა გული. გახსენებამ-მეთქი, განა ერთი წუთით დავივიწყე რაიმე. ისე ნათლად, ისე გამოკვეთილად მახსოვდა ყოველივე, მაგრამ ახლა, სანწალეს გამჭვირვალე წყალში რომ ვიცქირებოდი, ზედმიწევნით ცოცხლად შევიგრძენი ყოველი წამი.

ამოვიოხრე. სად არის ნეტავ ციცინო მჟავია? სად არიან ბიჭები და გოგონები? რას აკეთებენ? როგორ მიმიღებენ? ამას რომ ვფიქრობდი, გული შიშისაგან მეწურებოდა... ხსნას ოცნებაშიღა ვეძებდი, დროს ძალისძალათი ვაჩერებდი. იმ დღეების შემობრუნება მინდოდა, როცა სკოლაში დავდიოდი და თი-

ნიკო კელაპტრიშვილის მძიმე ჩანთას მივათრევდი...

კელაპტრიშვილების დიდი სახლი რომ დავინახე, მზერა იქითკენ გამექცა და ფიქრში შევუძახე: „ეჰეი, თინიკო კელაპტრიშვილო, ჩამოვედი შენი საჭურჭლეთმტვირთველი, შენი სანჩო!“... მაგრამ ჩემი მტერი — შიში ფეხდაფეხ მომდევდა და გავშორდი იქაურობას.

მზე უკვე ცის კიდეზე ეშვებოდა, როცა ეზოს უკანა მხრიდან მივადექი. წკნელის ღობემ ჩემს სიმძიმეს ვერ გაუძლო. ნაყანევი ბალახს დაეფარა. რაც ცინტუ ბებია მიიცვალა, ბარი და თოხი ამ მიწას არ გაჰკარებია. აქამდე არც დავფიქრებულვარ, თუ როგორ შევიდოდი „ჩემს სახლში“. ვინ იცის, იქნებ ცინტუ ბებიამ სიკვდილის წინ გაყიდა სახლ-კარი, ან ვინმეს უანდერძა, ან უსახლკარო ვინმე შემოასახლა სოფელმა. ფეხი ავითრიე, სითამამე შემინელდა. ასე გადავჭერი ნაყანევი და ნაბოსტნარი. ფიცრული ოდის ლაფაროში დიდხანს ვაბრაგუნე ფეხი, თუმცა ტალახი არ მომცხებია. სახლში სრული მდუმარება სუფევდა, არავინ გამომეხმაურა, ყოველივეს აჩნდა მიტოვებულისა და რღვევის კვალი.

კიბეზე რომ ავდიოდი, წინა აივანზე ცინტუ ბებია დავლანდე. წამოიწია ჩემს შესახვედრად, ყავარჯნებს დაეყრდნო. გული შემიჩქროლდა. მეორე წამს მივხვდი, შუშაზე მზის მეწამულმა ანარეკლმა გაიელვა და იმან შემაცდინა. დამშვიდებით კი აბა რა დამამშვიდებდა. აივნის ფიცრები რომ ავაჭრაჭუნე, კინაღამ მუხლები მომეკვეთა. მოაჯირს ვსტაცე ხელი და მცირე ხანს სულს ვიბრუნებდი.

ადამიანი ყოველივეს ეგუება. მეც უნდა შევგუებულიყავი ჩემს ახალ ცხოვრებას. მივიხედმოვიხედე. აივანზე, ალბათ ჭერ კიდევ შემოდგომაზე, გამხმარი ფოთლები შემოეხვეტა ქარს. ნიავის შემოქროლვაზე სუსტი შარიშური ისმოდა.

კარი მიხურული იყო უბრალოდ და შევალე. ნესტისა და ობის სუნი მეცა. ყველაფერს მტვერი ეფინა. ჭერი ერთიანად მოებლანდა ობობას. ამ ბუხარში წლების მანძილზე ცეცხლი არ ენთო. ცინტუ ბებიას რკინის საწოლი ჟანგს შეეჭამა. სასადილო ოთახში ჭამ-ჭურჭლის ნამსხვრევები ეყარა. ალბათ რაც კარგი იყო, ვიღაცამ გაზიდა... კუთხის ოთახში ხის ტახტი, დანჯღრეული განჯინა და უპატრონოდ მიყრილმოყრილი წიგნები დამხვდა. ხელი ამიკანკალდა... იატაკიდან რვეული ავიღე და გადავშალე. რა აცაბაცა ასოებით ვწერდი!.. ცინტუ ბებია მიწყრებოდა, მიწუნებდა ბატიფეხურს, მელნის ლაქებს, მე კი ყურადღებას არ ვაქცევდი...

განჯინის უჯრა გამოვწიე. ვიცოდი, რაც იქ ინახებოდა. სიძველისა და ნესტისაგან დაშლილი საოჯახო ალბომი ამოვაჩინე. ფოტოები ამოვკრიფე და გავშალე.

თავდაპირველად ძველთაძველი სურათები დავათვალიერე. ჩოხაახალუხიანი, წვერულვაშშევებული მამაკაცები და ჩიხტიკოპიანი ქალები წინა საუკუნიდან შემომცქეროდნენ თითქოს. ეს ლამაზი გოგონა ალბათ ცინტუ ბებია იქნებოდა. გაყვითლებულ დაგეროტიპზე მისი სახე ოდნავ აჩნდა... მერე ახალგაზრდა წყვილის სურათს წავაწყდი. ვაჟს კიტელი ეცვა, ქალს კი აბრეშუმის თხელი კაბა. დიდხანს ვაკვირდებოდი, საკუთარ თავს ვამსგავსებდი. ესენი ალბათ დედ-მამა იყვნენ... მერე კვლავ ცინტუ ბებიას სურათი ვიპოვე. თეთრი ბერეტი ეხურა და ნიკაპი კოპწიად ჩამოეყრდნო მჭიდზე.

უცებ ორად დაკეცილი ქაღალდი გადმოვარდა. დაბადების მოწმობა იყო. დიახ მე — მამუკა ლეჟავა დავიბადე ამა და ამ წლის ამა და ამ თვის ამა და ამ რიცხვში... მოწმობა ჯიბეში ჩავიდე და ახლაღა ვიგრძენი, რა უსაშველოდ დავიღალე.

პიჯაკი დავიფინე და ისე დავეგდე ტახტზე. თვალი დავხუჭე. როგორმე უნდა დამეძინა. ძილი ნერვებს დამიწყნარებდა, დამამშვიდებდა, ვერ იქნა, თავი ვერ ვაიძულე, შფოთიანი ფიქრები ამედევნა. საფეთქლები ამტკივდა. ობისა და ნესტის სუნმა სუნთქვა დამიხშო. წამოვიწიე, ფანჯარას ხელი ვკარი... სიბნელიდან გრილი ნიავი შემოიჭრა, გულზე მომეფინა და უმალვე ჩამეძინა...

თითქოს ორიოდე წუთიღა გავიდა. მე მომეჩვენა ასე. კიბემ დაიჭრაჭუნა. მერე ფეხის ხმამ აივანზე გადაინაცვლა და თვალი დავაჭყიტე.

მზე უკვე მაღლა იდგა.

წამოვხტი. გული სწრაფად მიცემდა, არ ვიცი, შიშისაგან, არ ვიცი, უცაბედად რომ წამოვხტი, იმიტომ.

ფეხის ხმა მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე გავიგონე, ვიღაცამ სახლს აუჩქარებლად შემოუარა. მივხვდი, მოღიავებულ ფანჯარასთან გაჩერდა. ცოტა ხანს იყუჩა, მერე ჩაახველა, გამაფრთხილებლად, აქაოდა ნურაფერი შეგეშლება, აგერა ვარო. მძიმედ ამოაბიჯა კიბეზე, ააჭრაჭუნა აივნის ფიცრები და კარს მოაწვა.

— მობრძანდით! — ხმამაღლა გავძახე. თავს თითქოს ყოჩაღად ვგრძნობდი, ხმა კი მიკანკალებდა და ამან გამაკვირვა.

კარი გაიღო, ჭოტო გვილავა გაეჩხირა გვერდულად. თვალები მოეჭუტა და ვერ მივხვდი, ოთახის ბინდს აჩვევდა, თუ მე მსწავლობდა. მერე უკან დაიხია და ხვეღებ-ხვეღებით ჩაიხრიალა:

— გამოდი აივანზე!

გამოვედი. აივნის ხვეტს მივეყრდენი და მდუმარედ შევხედე.

— ესაა, ბიჭო, ღამის გახათევი მაქვსო?

მის კითხვაში ყოყმანი ვიგრძენი. არ იცოდა, რანაირად შეეფახებინა ჩემი მოქმედება.

იქნებ ჯობდა დაბადების მოწმობა ამომელო ჯიბიდან, მეჩვენებინა და ამეხსნა, ჯობდა ბიძია, ჩემში მოკვდა ზაზა ჩიმაკაძე, მე მამუკა ლეჟავა ვარ-მეთქი. მივხვდი, ამის თქმა არ ღირდა, ვერაფერს გავაგებინებდი.

მხრები ავიჩეჩე.

კარგა ხანს მიყურა. ალბათ ელოდა, თავის მართლებას დაიწყებსო, მერე უკმაყოფილოდ გააქნია თავი, რა თქმა უნდა, ფსიქიატრის პაციენტად ჩამთვალა და გამშორდა.

ვიდექი და ვუყურებდი. ჰიშკართან შეჩერდა, მუშტი მომიღერა და მუქარით დაიხროტინა:

— არ განახოს ჩემმა თვალებმა!... უუ, ლაწირაკო!

ამ სიტყვებს გარდა ვერაფერი გავიგე, თუმცა კარგა ხანს მესმოდა მისი გაავებული დუდღუნი.

დავრჩი გულნატკენი და დაბნეული, თუმცა რად უნდა მქონოდა სხვა იმედი?

საშინლად მომშივდა. კურტაკი გადავიცვი და ეზოდან გავედი. ორღობეში არავინ შემხვედრია. ორღობე რომ შარაგზას უერთდება, იქ ერთი პატარა „საჩაიეა". ისე ერქვა „საჩაიე", თორემ ლუდისა და არყის გარდა სხვა სასმელი არ იცოდნენ, კერძი კი, რაც დავიბადე, ერთი და იგივე იყო — ჯიგრის ყაურმა.

— კათხა ლუდი და ერთიც ყაურმა!

დახლიდარმა ცნობისმოყვარედ შემათვალიერა. მიცნო? ვერ მიცნო? ჩემთვის რა მნიშვნელობა მქონდა, ანგარიში გავუსწორე და კუთხის მაგიდას მივუჯექი. თავაუღებლად ვჭამდი და წინჯაის სიცხარეს ცივი ლუდით ვაქრობდი. ვიცოდი, მითვალთვალებდნენ. გასაკვირი რა იყო. ზოგისთვის მთლად უცხო სტუმარი ვიყავი, სოფელია, სტუმარს მოურიდებლად ათვალიერებენ. ზოგმა იქნებ ჩემს გარეგნობაში ჩიმაკაძის ბიჭი ამოიცნო... ეს აზრი დიდად არ მსიამოვნებდა და შევეცადე, იქაურობას მალე გავცლოდი.

სხვა სად უნდა წავსულიყავი, დავუყევი გზას და ფეხებმა თავისით მიმიყვანეს სკოლაში. ხომ ორიოდე ნაბიჯია, ისე მოვთავდი, შესასვლელთან რომ ძელსკამია, თავი იქამდე ძლივს მივიტანე. ახლაღა გამახსენდა, არდადეგები იყო და ბავშვების ჟრიამული იმიტომაც არ იკლებდა იქაურობას. არ მახსოვს რამდენ ხანს ვეფიცხებოდი მზეს, თითქოს გულ-მუცელი გამყინვოდა და მზის ეს მცხუნვარება ცოტათი მაინც მათბობდა.

ფეხის ხმამ გამომაფხიზლა. ქალი მოაკაკუნებდა მაღალ ქუსლებს. ღმერთო ჩემო, ეს ზაირა მჟავია იყო. ხელნაკრავივით წამოვხტი, ჯარისკაცივით ავისვეტე და გავფითრდი, გავფითრდი, მთლად ქაღალდივით გავიცრიცე ალბათ, სახეზე სისხლის ნატამალი არ შემრჩა. მე კი მხოლოდ მის სანახავად მოვედი აქ, მისი სიტყვების მოსმენა მეწადა, მისი მსჯავრი უნდა გამეგო. ამას იმ წუთას მივხვდი, როცა ცოცხალ-მკვდარი ველოდებოდი ზაირა მჟავიას მოახლოებას.

თვალი დავხუჭე, დავიბრმავე.

ფეხსაცმელების კაკაკუკი კი შენელდა, შენელდა და შეწყდა.

თვალი დავაჭყიტე. ისიც ისე გამტკნარებული იდგა, მომშტერებოდა და ვერაფერი ეთქვა.

ჩემს სულში აკივლდა ხმა: „ზაირა მასწ, თქვენ თუ გამიგებთ, ზაირა მასწ!" მაგრამ ხმის ამოღება ვერ შევძელი, თვალი დავხუჭე და სკამზე დავეშვი. კვლავ აკაკუნდა ფილაქანზე ფეხსაცმელები, სწრაფად გამშორდა, მე კი სახეზე ხელები ავიფარე და გავირინდე.

მერე, კარგა ხნის შემდეგ, ფიქრი კვლავ ამოძრავდა. რა უნდა მექნა?.. იქნებ შევსულიყავი სამასწავლებლოში. წარმოვიდგინე კიდეც, რა ამბავი ატყდებოდა. ზოგიერთი მასწავლებელი ალბათ ვერც მიცნობდა, ზოგი თვალს განგებ ამარიდებდა, ზოგი კიდევ არაფრისმთქმელი ფრაზებით გამომისტუმრებდა. დავდგებოდი ალბათ და დავიწყებდი აბდაუბდას იმაზე, თუ ვინა ვარ და რა ვარ. ესენიც იფიქრებდნენ, შექანებულაო და ერთი სული ექნებოდათ, როდის გავეცლებოდი. ისიდორე დიდმელაშვილი მორთავდა ხვნეშას და ხელების ფშვნეტას, იმდენს იზამდა, სამასწავლებლოდან გაიძურწებოდა. პეტრე კუჭუხიძე თავს სინანულით გააქნევდა, რა მათემატიკოსი დამეღუპაო. მისი ცხოვრების ოცნება ხომ ეგ იყო, ერთი ცნობილი მათემატიკოსი მაინც გამოეზარდა. აბესალომ ფალავანდიშვილი — სკოლის დირექტორი — ალბათ სხვაზე მეტ პირდაპირობას გამოიჩენდა. შეაპარებდა ხელს პერანგში, მკერდს მოისრესდა და ხვნეშა-ხვნეშით ამოთქვამდა: „რა გინდა, ბიძია, მთავრობამ ხომ გაპატია, წადი ახლა, გადაიკარგე და იცხოვრე ჩუმად!"

ისეთი გუნებით ავდექი სკამიდან, თითქოს აბესალომ ფალავანდიშვილი მართლაც მენახოს და მართლაც ეთქვას ეს სიტყვები. უკან დავუყევი ერთადერთ ტროტუარს. გამახსენდა ის უწყინარი სულის თრთოლვა, მაშინ რომ მეუფლებოდა, როცა თინიკოს მძიმე ჩანთას მივათრევდი. ამ გახსენებამ ძალა შემმატა. ახლა თინიკო კელეპტრიშვილის სახელი იყო ჩემი გადამრჩენელი. სხვა არსაითკენ მქონდა გზა და მეც სწრაფად მივაღწიე მთავარი აგრონომის სახლამდე.

კელაპტრიშვილების ჭიშკარზე უზარმაზარი ბოქლომი ეკიდა. კარ-ფანჯრები ისე მიეგმანათ, ალბათ კარგა ხანია, აქ არავინ ცხოვრობდა. ვიწრიალე ერთ ადგილას, მინდოდა გამეკითხა მთავარი აგრონომის ახავალ-დასავალი. ბოლოს პატარა ბიჭუნამ ჩამიარა და იმას ვკითხე.

— ესენი?.. ესენი ქალაქში გადავიდნენ, საბჭოს ქუჩაზე! — უდარდელად მითხრა და შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპით გამშორდა.

ღონემიხდილი მივლასლასებდი და მხოლოდ იმ წუთზე ვოცნებობდი, ეზოში რომ შევაღწევდი, სადმე ჩეროში, პირდაპირ შიშველ მდელოზე დავეგდებოდი და დავიძინებდი... ისე მაგრად დავიძინებდი, მთელი კვირა ვერავინ გამაღვიძებდა...

ტრიფოლიატს რომ მივაღწიე, ხმები შემომესმა. ზევიდან გადავიჭვრიტე. ჩემი თანაკლასელები იყვნენ... ვისაც ალბათ ხმა მისწვდა, აქეთ გამოეშურნენ და ეზოში მელოდებოდნენ. უკან მიბრუნებას აზრი არ ჰქონდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, თავი მაღლა ავწიე და ისე შევაბიჯე... შუაში, სკამზე ზაირა მჟავია იჯდა. ბიჭები ზოგი ხეს მიყრდნობოდა, ზოგიც პირდაპირ მიწაზე წამოწოლილიყო. გოგონებიც აგერ იყვნენ, ცალკე ჯგუფად, ზაირა მასწავლებლის ზურგს უკან იდგნენ.

ყველამ ჩემკენ მოიხედა და მივხვდი, ეს სამხჯავრო იყო. არც გამკვირვებია, არც პროტესტის გრძნობა დამბადებია. ალბათ ამათ ჰქონდათ მსჯავრის დადების ყველაზე მეტი უფლება.

უხმოდ გავჩერდი, გულზეხელგადაჭდობილი, თითქოს ამით ვამბობდი, აბა, შემომხედეთ! შევიცვალე? იგივე დავრჩი? იქნებ უკვე სხვა ვარ?

ბეშქენ დავითულიანმა თვალი ამარიდა, ამოიოხრა. ციცო ფალავანდიშვილი მიუახლოვდა, მკლავზე ჩამოეყრდნო. „დაქორწინებულან!“ — დავასკვენი და ალბთ არც შევმცდარვარ. ციცინო მჟავია გალამაზებულა, გამხდარი, აშოლტილი ქალიშვილი დამდგარა. თვალებში დაღლა ეტყობა, ნამეცადინებია. ალბათ ჯერჯერობით არ გაუმართლდა და ხელახლა ემზადება გამოცდებისათვის. ეკა ცქვიტინიძე ჩამრგვალებულა, თითზე ბეჭედი უკეთია. ნეტავი ვინ გააბედნიერა? ავთანდილ ბებიას კოტიტა ხელებს მაზუთის კვალი ამჩნევია, ალბათ ტრაქტორისტია ანდა თვითმცლელ მანქანას დააქროლებს. დავით ქანთარია უკვე გაშავებულა მზეზე, ჩაის საკრეფზე მუშაობს, ეგ ამბავი უკვე ვიცი. გოგა ჯიჭონაია მთლად გაცრეცილა, ახლაც თვალებში შიში უკრთის. ალბათ ესეც ემზადება. იქნებ სტუდენტია და სტუდენტურ სესიებზე ფიქრი ზარავს. ჩიორა ისევ ჩიორად დარჩა, ალბათ კვლავაც რაღაცას თავკაცობს, ახლა კი, ამ წუთას თანაკლასელთა ნაჩქარევ ყრილობას.

— აბა, რითი გაგვანათლებ? — მეკითხება. მის ხმაში არც სითბო ისმის, არც სიცივე, მხოლოდ და მხოლოდ მდუმარების დასარღვევად გაისმა.

და მე ავლაპარაკდი. თავდაპირველად ცოტა არეულად, მერე თანდათან ნერვები მოვთოკე და სიტყვები მწყობრად დალაგდნენ. რაც მეტს ვლაპარაკობდი, ნათქვამი მით უფრო ლოგიკური და დამაჯერებელი მეჩვენებოდა. მათს სახეზე ვკითხულობდი ცნობისმოყვარეობას, განცვიფრებას, მიხვედრის სურვილს. ვყვებოდი დანაშაულზე, ტანჯვის იმ თვეებზე, როცა მინდოდა თავი მომეკლა, სასამართლოზე, განაჩენის სიმსუბუქეზე, რამაც სული უფრო დამიმძიმა, სასჯელზე, საკუთარ თავს რომ მივუსაჯე... უძნელეს მიზანზე, რომლის განხორციელებას ამდენი ღონე შევალიე. შინაგან, დაძაბულ მუშაობაზე დღედაღამ, როცა ნერვები დაწყვეტაზე გაქვს. თანდათან ჩემში ჩავკალი ზაზა ჩიმაკაძე. მოვსპე მისი ხსენება, მეხსიერებიდან ამოვშალე იგი და თუ ადამიანის მეხსიერება გადამწვარ უდაბნოს დაემსგავსა, იგი უკვე აღარ არსებობს. ასე დავსაჯე სიკვდილით ზაზა ჩიმაკაძე და განთავისუფლებულ სხეულში ჩავასახლე მამუკა ლეჟავა... ნაბიჯ-ნაბიჯ გაცოცხლდა იგი... მე ახლა გარეგნულადაც უფრო მამუკა ლეჟავას ვგავარ, მისი ფიქრებით ვფიქრობ, მისი მეხსიერება დამაქვს, მისი ტკივილები მტკივა...

უცბად, მოწყვეტით გავჩუმდი, თითქოს სიტყვები მოჩხრიალე წყალი ყოფილიყოს და ვილაცამ ონკანი გადამიკეტა. ისინი მდუმარედ შემომცქეროდნენ. არ ვიცი, კიდევ მოელოდნენ რამეს, თუ, რაც ვთქვი, იმას ითვისებდნენ. დუმილი გაჭიანურდა. მე კი ვიდექი და უხერხულობისაგან ხელ-ფეხი შემებორკა.

— ლამაზად ლაპარაკობ! — ძაფი გაწყვიტა ჩიორამ. — რკინის ლოგიკა გაქვს, ოღონდ ეს უფრო ზაზა ჩიმაკაძის ლოგიკაა!

თითქოს უბიძგესო, ყველა ერთბაშად ალაპარაკდა. აღარც მახსოვს, ვინ რას ამბობდა, ვინ რას... ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა მივხვდი, რომ ვერ ავუხსენი, ვეღარ გავაგებინე... მხოლოდ ზაირა მჟავია იჯდა ჩუმად, მკაცრად მოეკუმა ბაგეები, ცივად შემომცქეროდა.

მოულოდნელად წამოდგა. სხვებმა უმალ შეწყვიტეს ლაპარაკი და სამარისებურ სიჩუმეში ზაირა მჟავიამ ხმადაბლა მკითხა:

— შენ რა, ვერ აკმარე? ახლა მეორეჯერ უნდა მოკლა?

სადაც ვიდექი, იქვე გავთავდი. გული თითქოს გამიჩერდა... კვლავ ალაპარაკდნენ, ზუზუნებდნენ, კამათობდნენ, მე კი დიდი ხანია შევბრუნდი და გავიქეცი... იქნებ აუჩქარებლად მივაბიჯებდი, მაგრამ მე კი მეგონა, მთელი ძალღონით გავრბოდი... როდის გავედი ეზოდან, როდის ჩავირბინე ორღობის ბოლომდე, ვინ გამიჩერა მანქანა... არაფერი მახსოვს!.. გონს რომ მოვეგე, რაიცენტრში ვიყავი — ბულვარში.

თითქოს დავმშვიდდი, გარეგნულად მაინც. ფიქრი არაფერზე მეწადა, არაფრის გახსენება არ მინდოდა. მომწყინდა აქ ჯდომა, ავდექი და უმიზნოდ წავეხეტე. ბულვარი მაინცდამაინც მოსეირნეებით არ იყო სავსე, მაგრამ უცხო ადამიანთა ნახვა მაღიზიანებდა და პირველსავე ქუჩაში შევუხვიე.

არცთუ ისე გრძელ ქუჩას რაიონის ცენტრის პირობაზე ერთგვარი გამორჩეულობა ეტყობოდა. ასფალტი, ტროტუარები, დაბალი, თანაბრად გადაკრეჭილი გაზონები... ორივე მხრიდან

ლამაზი ჭიშკრები და მწვანე ეზოები, ორ-ორსართულიანი სახლები, — მათი პატრონები სიმდიდრეს თვალში არ გჩრიდნენ, მაგრამ არც ფულის უკმარობა ეტყობოდათ. ქუჩის სახელწოდება გვრან წავიკითხე, საბჭოს ქუჩა იყო.

არ ვიცი რას დავაბრალო, შემთხვევითობას, ბედისწერის უკუღმართ თამაშს, ოღონდ გავიხედე და ახლახან აშენებული, სოლიდური სახლის პარმაღზე თინიკო კელაპტრიშვილი დავინახე... როგორ შეცვლილა!.. არა, სილამაზე არ დაკლებია, მაგრამ სად წავიდა ის მომხიბლავი გოგონა?.. პარმაღზე სულ სხვა ვიღაცა იდგა, კარგად მოვლილი მანდილოსანი, შინაურული. ჭრელი ხალათი ეცვა, ორივე ხელი აეწია, თმებში ჩაეყო, დაჭორფლილი სახე მზისთვის მიეშვირა და თვალებდახუჭული ნებივრობდა. მუცელი დასტყობოდა საკმაოდ, იქვე კი ხალათის კალთას ჩასჭიდებოდა ფეხებგაჩაჩხული ორიოდე წლის გოგონა და ჭირვეულად ექაჩებოდა.

მინდოდა შეუმჩნევლად გავპარულიყავი. ბავშვმა ტირილი მორთო, თინიკომ თვალი გაახილა და შემომხედა.

უმალვე მიცნო, თუმცა ხმა არ ამოუღია. სახე გადაუფითრდა, დაიხარა, ბავშვს დაუტატანა, დასტაცა ხელი და მოღიავებული კარისაკენ გააქანა.

გაცლა დავაპირე და ამ დროს შემპარავი, ნაცნობი ხმა მომესმა: — ჩიმაკაძე!

გამომძიებელი დიმიტრი ფარცვანია ბრძანდებოდა. პირდაპირ პიჟამოთი გამოვიდა ეზოდან. ამასაც დასტყობია ასაკი. დამრგვალებულა, თავზე თმა შეთხელებია. უფრო დაბალი მეჩვენა, ვიდრე მაშინ. მისი სახე კმაყოფილებას ასხივებდა, თავდაჯერებული ადამიანის მიხრამოხრით მიახლოვდებოდა.

— გამარჯობა შენი, გამოგიშვეს?

ხელი გამომიწოდა. ვითომ ვერ შევამჩნიე. არ ვიცი, რატომ განვეწყე იმთავითვე აგრე ცუდად, რისთვის ავუხირდი. იქნებ იმიტომ, თინიკო კელაპტრიშვილი მისი დიასახლისი რომ აღმოჩნდა, იქნებ ადრიდანვე მქონდა ანგარიში გასასწორებელი, თუმცა თვითონ ალბათ თავს მადლობის ღირსად თვლიდა.

ჩუმად ვიდექი, ის კი მოჭუტული თვალებით შემომცინცინებდა და უცებ ჩაიხითხითა:

— ბევრი კი ვიჯახირე შენს საქმეზე მაშინ, იმედია აწი მაინც არ გაუყრი ვინმეს დანას!

რაღაც მომაწვა, თავშეკავებამ მიღალატა, პიჟამოს საყელოში ჩავაფრინდი და დამარცვლით ვუთხარი:

— ქრთამად რა აიღე, ჰა, თინიკო კელაპტრიშვილი?

სახე წამოუჭარხლდა, დაფეთდა, თვალები განზე გაექცა. ღონე ჩემზე მეტი ჰქონდა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო და იოლად მოიშჩვარა.

ჩუმი წამოკივლება მომესმა. თინიკო იდგა ჭიშკართან და თვალებგაფართოებული მიყურებდა. მის მზერაში შიშის გარდა ვერაფერი დავინახე. მივანებე თავი და წამოვედი.

მატარებელი მხოლოდ საღამოს გადიოდა. დრო კიდევ მქონდა, მაგრამ დალაპარაკება არავისთან მინდოდა. ავიღე ბილეთი და ლიანდაგებს მიღმა, თხმელნარში შევიმალე. ერთ მოფარებულ ადგილას კუნძი ეგდო და იმაზე ჩამოვჯექი.

დიმიტრი ფარცვანიას რას ვერჩოდი. იმან ის აიღო, რაც ცუდად იდო. ყველაფერი მხოლოდ საკუთარი თავისათვის უნდა დამებრალებინა. ამას რომ ვფიქრობდი, უცაბედად უძირო უფსკრულს წავადექი. მართლა მოკვდა ჩემში ზაზა ჩიმაკაძე? მართლა გადავიქეცი მამუკა ლეჟავად? იქნებ ეს არის მხოლოდ თამაში, ფარსი, სახიობა!.. თავზარი დამეცა... რამდენი ვიტანჯე ამ წლების მანძილზე, რა შრომად დამიჯდა ეს გარდასახვა, შედეგად კი მხოლოდ ნანგრევები დამრჩენოდა... ან იქნებ მხოლოდ ნახევარი გზაა გავლილი, უფრო მძიმე, უფრო მტანჯველი გზა წინ მომელის... ალბათ მე მოვკალი ზაზა ჩიმაკაძე, მაგრამ ვერ გავაცოცხლე მამუკა ლეჟავა და ახლა, აი, ამ კაცს, თხმელნარში, კუნძზე მზეს რომ მიფიცხებია, საერთოდ არა აქვს თავისი „მე“. ამ კაცმა დაკარგა საკუთარი თავი...

ძლივს წამოვდექი, სადგურის ბაქანზე გავედი. აუჩქარებლად ჩამოვუარე ვაგონების რიგს. გულში ყინული მედო და უკვე არაფერი მაღელვებდა. ან რას უნდა ავეღელვებინე, მე ხომ ადამიანი არ ვიყავი, მე არ გამაჩნდა მეობა, მე ვიყავი მკვლელი, რომელმაც ორი ახალგაზრდა იმსხვერპლა — მამუკა ლეჟავა და ზაზა ჩიმაკაძე. რა აზრი ჰქონდა იმას, რომ აგერ ამ ვაგონში შევიდოდა სხეული არარსებული ადამიანისა, კუპეში დაიკავებდა ადგილს, უინტერესოდ გახედავდა ფანჯარას, მერე დაწვებოდა, დაიძინებდა, დილით კი ჩავიდოდა რომელიმე ქალაქში, — სულ ერთი იყო რომელში, — და იქ განაგრძობდა ამებასავით არსებობას...

ბილეთი მოვიძიე ჯიბეში, გავუწოდე ვაგონის გამყოლს და მოულოდნელად ჟრუანტელმა დამიარა. მოუსვენრობამ შემიპყრო. ვიგრძენი, ზურგს უკან ვიღაცა მითვალთვალებდა.

სწრაფად შევტრიალდი.

ზაირა მჟავია იდგა ბაქანზე. ცხვირსახოცი პირზე მიედო და მიყურებდა.

მინდოდა მეყვირა, „ზაირა მასწ!.. ზაირა მასწ!..“ მაგრამ ველარ გავბედე.

დაიგუგუნა მატარებელმა, ნელა დაიძრა.

— მივდივართ, მივდივართ! — წამოიძახა ვაგონის გამყოლმა.

დარეტიანებული შევბრუნდი, ავედევნე ვაგონს, შევახტი.

ზაირა მჟავია კვლავ ისე იდგა და მიყურებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარლო კალაძე — 80

გიორგი ნატროშვილი

# ოთხმოცი წლის ჭაბუკი

თოვლი მოსულა? — ვიმეორებ და უნებურად ვშიშობ, არ მითხრან: დათოვლილა, დაბერებულა.

კარლო კალაძე

განვლილი ათეული წლების მანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენი რამ დაწერილა კარლო კალაძეზე, როგორც პოეტსა და დრამატურგზე, როგორც ადამიანზე; წერდნენ, პირველ ყოვლისა, მისი თანამემამულენი, აგრეთვე მოძმე ერების თვალსაჩინო ოსტატები, რომელთაც აინტერესებდათ მისი ლექსი, როგორც ქართული პოეზიის ეროვნული ტრადიციების, ეროვნული სულისა და კოლორიტის ნათელი და თავისებური გამოვლინება. ამ უამრავი წერილებიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე გამოხმაურებას შევახსენებთ მკითხველს.

დავიწყებთ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით:

„1980 წელს მე საკუთარს არაფერს მიბეჭდავდნენ, ამიტომაც ვთარგმნე უოლტ უიტმენის ლექსები. პოლიტიკური გამომცემლობის რედაქტორი იმჟამად იყო კარლოს მამა, განსვენებული რაჟდენ კალაძე.

მან თავის სახლში მიმიწვია და მთხოვა თარგმანის ხელნაწერი მიმეტანა.

მე ეს სურვილი შევუსრულე მას.

რაჟდენმა მთხოვა რამდენიმე სტროფი ამომელო უიტმენის თარგმანიდან. მე გავჯიუტდი. იქვე იჯდა თვრამეტიოდე წლის ახალგაზრდა, იგი ადგა და მამამისს უთხრა: მამაჩემო, შენ არა გაქვს ნება კონსტანტინე გამსახურდიას რაიმე შეუსწორო!

რაჟდენი მოლბა და ჩემს თარგმანს წააწერა: უცვლელად დაიბეჭდოს.

უნდა განვაცხადო:

კარლო კალაძე იმჟამადაც ისეთი სპეტაკი ადამიანი იყო, როგორც დღეს...

კარლოს მადრიგალები მთელმა ტფილისმა იცის ზეპირად, ასე რომ, ეს ჩემს მიერ გამოგონილი კომპლიმენტი არ არის.

კ. კალაძეს ემარჯვება როგორც ინტიმური ლექსი, ისე ურბანისტულიცა.

პოეტთაგან ზოგს არ ესმის, რომ სხვის მიერ ნახმარი ბოლორითმა ისევე უხეიროა, როგორც ნასხვისარი ტანისამოსი.

როცა კარლომ თავისი ორტომეული მომიძღვნა, მე ოდნავ შევკრთი, როგორ გაუძლებსმეთქი ამოდენა შრომას მათი ავტორი. ჩემი მოუცლელობის მიუხედავად, მთელი თვე ვიკითხე ეს ლექსები. გავიხარე, რომ ამ უზარმაზარ შრომაში ვერსად ბანალობას და უგემოვნებას ვერ შეხვდებით“.

რუსი პოეტი პავლე ანტოკოლსკი წერდა:

„არც მეტი, არც ნაკლები! — ეს არის რაბლის პერსონაჟი! ის საოცრად სიცოცხლისმოყვარულია, გულლია და გულზიარი კაცია. მას უყვარს გაუთავებელი, შუაღამეს გადაცილებული საუბრები, პირდაპირ რაღაც გაოგნებით უყვარს ყოველი ადლი მიწისა, მთელი ათასფერადი, თითქოს შიგნიდან, გულიდან განათებული სიუხვე კაცთა ცხოვრების დიდი შუადღისა“.

ნიკოლოზ ტიხონოვი ასევე ხაზგასმით გამოჰყოფდა კარლო კალაძის „მარადიულ ალმაფრენას“, და ამბობდა, რომ მას აქვს „გამჭრიახი პოეტური თვალი, რომელიც ხედავს ახალ ფერებს და შეჰხარის სამყაროს“

ამ პოეტებმა, საერთოდ, ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამაც და მკითხველმაც თავიდანვე შეამჩნია კარლო კალაძის პოეზიის ერთი

თავისებურება — ესაა მის ლექსში გამოხატული რაღაც უსაზღვრო სიცოცხლისმოყვარეობა. გზნებითა და ხალისით სავსეა მისი სტრიქონები. პოეტმა აგერ ოთხმოც წელს მიაღწია და მისი ლექსი კვლავ ჭაბუკურია. თითქოს უჩვეულოა ეს ამბავი, მაგრამ ფაქტია. „მკერდით ვიღაც ზღვას მიაპობს ვაჟკაცურად, სურათს 20 აწერია. და ეს მე ვარ“ — წერს იგი ერთ ლექსში; მეორეში გვიხატავს თავის ჭაბუკობისდროინდელ რუსთაველის პროსპექტს; ქუჩაც, ქალაქიც და მათი პოეტიც ახალგაზრდები არიან, პროსპექტს ამკობენ და ამშვენებენ „ცისთვალა ციციშვილის გოგონა“ და „ხალებდაწინწკლული თოიძე“, გარემოს ჭაბუკურ იერს აძლევენ „ჩემი თანაკლასელები“, ყრმა პოეტები, ლექსები „ლილაწუყვეტილი უბით რომ დააქვთ“; ამ პროსპექტზე გაიელვებენ მარჯანიშვილის ჯადოთი სავსე თვალები და ამ თვალებზე პოეტი ამბობს: „მტუქსავს ახლაც და თავისას აღარ იშლის: არ მაქვს ნება რომ არ ვიყო ახალგაზრდა“... (პოეტი ოცდაათიან წლებში მარჯანიშვილთან მუშაობდა — მისი თეატრის დირექტორი იყო).

ყოველივე ეს მარტო მოგონებები არ არის. არ ემორჩილება გული ბუნების კანონს — არ ემორჩილება და ეგ არის. შიშობს პოეტი — არ უთხრან — დათოვლილია, დაბერებულიაო: „გავუყუჩდები და იმედიც მაქვს ამ გულისა, თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა“. ეს სიხალისე ჩქეფს, მოღელავს, იფრქვევა, ადნობს ზამთრის სუსხს, ხმაურობს ყველა ლექსში, ყველა პოემაში, მაგრამ ყველაფერი ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კარლო კალაძე ერთი უდარდელა, გულმხიარული პოეტია, გახიზნული სადღაც მყუდროზე, თავშეფარებული ისეთ ადგილს, სადაც ქვეყნის ხმაური და აურზაური არ სწვდება. არა, ეს ასე არ არის! ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც კარლო კალაძე იღწვის დიდ სამწერლო ასპარეზზე. ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე რამდენმა ქარიშხალმა გადაუარა მსოფლიოს, რამდენი განსაცდელი გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ; და ყველა ამ განსაცდელმა გაიარა პოეტის გულშიც... მან თავისი თვალით იხილა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის საშინელებანი, ნახა როგორ ეკიდა ჯოჯოხეთური ცეცხლი ჩრდილო კავკასიას, მან ნახა ბევრი უბედურება და განა შეიძლებოდა ამ აურაცხელ საფლავებს, ამდენ ტკივილებს თავისი კვალი არ დაეტოვებინათ პოეტის სულში! ამით იმის თქმა მინდა, რომ, მიუხედავად ფართოდ გავრცელებული აზრისა, კარლო კალაძე, ამავე დროს, მძაფრი ტრაგიკული ხმის პოეტია. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც მისი „აფხაზური სიმღერა“.

სიმღერას მარტო ხალისი, მარტო ალტაცება როდი იწვევს; ხშირად მისი სათავე — ტკივილია. კარლო კალაძის ლექსში აფხაზი ჭაბუკი, სასიკვდილოდ დაჭრილი, არ კადრულობს კვნესა-გოდებას. ამავე დროს, მძიმე ჭრილობის გამო ვერ წამომდგარა ფეხზე. მარტოა მაღლობში და არ უნდა, მარტო მოკვდეს, ხმას ვერ მიაწვდინოს თავისიანებს: და აი, ჭაბუკი იწყებს აფხზურ „ვარაიდა ვარადას“: „ეს არც ჩემი თხოვნაა და არც შმაგი ძახილი, და არც ლონეწართმეულ კაცის გმინვა დალლილი! არც სიკვდილის შიშია, მხდალს რომ კვნესით ამხელდეს. ასე მხოლოდ გაბედულს შეუძლია, ამღერდეს... ამ სიმღერას განაბვით კაცმა როგორ უყუროს, აქ შავ კლდესაც ვერ ნახავ, ისე ყრუს და უგულოს — მთიდან მთას არ გადასცეს, ცად არ დააგუგუნოს! ასე ისმის ყოველთვის „ვარაიდა-ვარადა“, დაუძლეველ მებრძოლის ბედი ზემაყვარა და, როცა ჩემი დღეებიც გარბის ნიალვარადა, მინდა მხოლოდ ვიმღერო „ვარაიდა-ვარადა!“.. აფხაზი მხედარი კი არა, ეს თვითონ კარლო კალაძე მღერის თუ გმინავს.

იმღერო ხმამაღლა, რომ შენი ტკივილი ქვეყანას გააგებინო, ოღონდ ისე, რომ არ დაიჩივლო, როცა იცი, რომ ჭრილობა განუკურნებელია და ვერარავინ ვერ გიშველის, ეს ნათქვამია არა მარტო მებრძოლზე, არამედ პოეტზეც, რომელმაც იცის, პლანეტაზე, რომელსაც დედამიწა ჰქვია, ბევრი ტკივილია, ბევრი ცრემლი, ბევრი საწუხარი... ამას დაუმატეთ პირადი სატკივარი, პოეტის ოჯახური ტრაგედია — როგორც სიზმარში, ისე შემოდიან კარლოს ლექსებში მოხუცი მამა, ჭაბუკი გულდა, თამარი, გულიკო... უნებურად გახსენდება კაცს კარელ ჩაპეკის სიტყვები, თავის პიესას „დედას“ რომ წაუმძღვარა; მარტოდმარტო დარჩენილ დედასთან ყოველ საღამოს მოდიან დაღუპული შვილები, მოდის დიდი ხნის გარდაცვლილი მათი მამაც. და მწერალი პიესის დამდგმელის საყურადღებოდ წერს: „ავტორი თხოულობს, რომ მიცვალებულებს, რომლებიც დედის ირგვლივ იყრიან თავს, ნუ გამოიყვანთ სცენაზე, როგორც საშინელ მოჩვენებებს. ისინი უბრალო და კეთილი ადამიანები არიან და შინ ბრუნდებიან, შეჩვეულ გარემოში, ისინი ზუსტად ისეთები არიან, როგორც სიცოცხლეში იყვნენ იმიტომ, რომ სამუდამოდ ასეთები დაამახსოვრდა დედას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დედას არ შეუძლია ხელით შეეხოს მათ და კიდევ ის, რომ ისინი ნაკლებად ხმაურობენ, ვიდრე ჩვენ, ცოცხლები“...

ფრიად საგულისხმო ამბავი მოგვითხრო პოეტმა მშვენიერ ბალადაში, რომელსაც „ტაროლა“ ეწოდება. ამ ფაქტს თვითონ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: „ნათელი მთელ ჩემს სიცოცხლეს ამ ერთმა წუთმა მოჰფინა, რაც თვალით ვნახე, უბრალოდ ნეტავი მაამბობინა“. რა ნახა მან ასეთი საოცარი? მცხუნვარე ზაფხულის შუადღისას ის თურმე მუხრანის ველზე მიდიოდა. გახურებული მკის დროა. ნაპუ-

ალში უცებ მოულოდნელად შეჩერდა. თვალი ჰკრა ნამჯებში ჩავარდნილ მკვდარ ჩიტს: „ხელთ ავიტაცე, ვიფიქრე — ვინ მოჰკლა-მეთქი ტოროლა? სოფლის ბიჭები მხვდებოდნენ გზადაგზა, თითო-ოროლა, იმათაც ებრალებოდათ, თქვეს აუხსნელი რამ არის, ტოროლას მაინც არ მოვკლავთ, ბევრიც რომ გვქონდეს წამალი! მუხრანის ველზე გავედი, ბოლოს გზაც მქონდა იქითკენ. — ვინ მოჰკლა-მეთქი — მუხრანელ მოხუცებშიაც ვიკითხე. აჰა, ერთმა მოხუცმა სიმართლე შემატყობინა (სიჭაბუკეში მემინდვრე და ლამის მეხრე ყოფილა). სიჭაბუკეშიც გავიგე, ამბავი გახლავთ ცნობილი, ეგ არაერთხელ მინახავს მეც აგრე სულგაბრთხობილი! როცა ჯერ კიდევ ცისკართან ბრუნავს მზე ნაპერწკლიანი — მისი გალობა გაისმის და მისი ჩანგის წკრიალი! მაღლა, სულ მაღლა მიიწევს, ხიბლავს სილაღე დილისა, ვიდრე არ შეიკუმშება გული ცას მოწყვეტილისა! — მაშინღა შესწყვეტს გალობას და ფრთები მოეკეცება, მზისკენ თუ მიისწრაფოდა, დედამიწაზე ეცემა“.

ასეთია ბალადაში მოთხრობილი ამბავი, მაგრამ უფრო საინტერესოა ლექსის ფინალი, რაღაც მოულოდნელი და გასაოცარი: „შენ ჩემო სწრაფო სიცოცხლევ, მინდა მეც შენებრ ვიჩქარო, ღრუბლებგადაყრილ ღამეში თმაშევერცხლილო ცისკარო, შენ, ჩემო დიდო მტკვრისპირო, გაშლილო ქედით ქედამდი — მზე წითლად ამომავალი როგორ მიყვარდა, ხედავდი! მეც მხიბლავს ჩემი ცისკარი, მეც არ ვარ კაცი უგულო, ყანა კი არა — ზღვა არი, ვერ შესძლებ ჩუმად უყურო, — გულო, აფრინდი, აფრინდი, განთიადები გელიან, პურის მღელვარე ყანები სიმღერით მოსამკელია! მზეს დახვდა ფრენა-გალობით, უკეთეს ბედს ნუ დაეძებ — და შემდეგ თუნდაც ჩიტივით ცას მოწყვეტილი დაეცე — არა, ეგ წყენად არა ღირს, მკვდარი იმ ლალ გულს არ ჰქვია, ცაში, რომელმაც სიცოცხლე გალობით მიმოაფრქვია!“

მე თითქმის მთელი ლექსი ამოვწერე, მინდოდა ხელახლა ეგრძნო, ხელახლა განეცადა მკითხველს ის დარდიანი სიხარული, როგორც პუშკინი ამბობს, ის ნათელი მწუხარება, ერთ წამად, ერთ წვეთად შეკრული ელდა და სიხარული, რომელსაც ეს ბალადა შეიცავს. თქვენ თითონ იპოვეთ, მკითხველო, მიჯნა აქ ტრაგიზმისა და ოპტიმიზმს შორის. თურმე, ცალ-ცალკე ისინი არ არსებობენ, ეს თვითონ წუთისოფელია, სადაც სიმღერა გლოვასთან ერთად ხელგადახვეული დადის, ბნელი ნათელთან ერთად, სიკვდილი სიცოცხლესთან ერთად — ეს არის მისი ჭეშმარიტი დიალექტიკა.

კარლო კალაძე ეკუთვნის ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელთა იმ თაობას, რომელიც პირველი მიესალმა ქვეყნის განახლებასა და თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებას. ახლის დასაწყისი მუდამ ძნელი საქმეა და იმ დროსაც ლიტერატურის ფრონტზე საკმაოდ რთული ვითარება იყო შექმნილი. ბევრმა არ იცოდა, საით უნდა წასულიყო ქართული პოეზია. იყო აუარებელი სკოლები, მანიფესტები, ათასგვარი თეორიები და ყოველი მათგანი პრეტენზიას აცხადებდა, რომ ერთადერთი ის არის ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი. იყვნენ ისეთი კოსმოპოლიტურად განწყობილი ადამიანებიც, და არც ისე მცირე ძალაუფლების მქონენი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ამიერიდან დგება რაღაც „ზენაციონალური კულტურის“ ხანა და ეროვნული კულტურის ადგილიც მან უნდა დაიჭიროსო. ეს იყო ნამდვილი ეროვნული ნიჰილიზმი, რომელსაც რევოლუციის იდეებთან არაფერი ჰქონდა საერთო. იმ ხანებში ჰყვებოდნენ ასეთ ამბავსაც: თურმე საზღვარგარეთ, ემიგრაციის წრეებში, ცნობა რომ მიიღეს, რევოლუციამ გაიმარჯვაო, ხალხმა დაიწყო მზადება სამშობლოში წამოსვლისათვის; სხვებთან ერთად, ერთ ქართველ რევოლუციონერსაც მიულოცეს ეს სასიხარულო ამბავი — საქართველოში დაბრუნება; მან თურმე გაოცებით უპასუხა მიმლოცველებს — რას ამბობთ, სადღაა საქართველო, მე მივდივარ კოსმოსის ერთ პატარა ნაჭერზეო. სასაცილო ამბავია, მაგრამ ის კაცი სრულიადაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე და რაღაც გარკვეული წრეების მისწრაფებებს ასეთი კარიკატურული ფორმით გადმოსცემდა. ეს ბურუსი, ეს გაუგებრობა მწერლობასაც უნდა გაეფანტა და აქ, კარლო კალაძემაც თქვა თავისი სიტყვა: მან გვიჩვენა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთმიმართება და ხაზგასმით აღნიშნა, ბრძნული დედააზრი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელმაც ფართო ჰორიზონტი გადაუშალა და წინსვლის ყველა პირობა შეუქმნა ეროვნული, კერძოდ, ქართული თვითმყოფადი კულტურის აყვავებას.

პირველივე ლექსებით ახალგაზრდა პოეტმა კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს, რაოდენ ძველია და ურყევი ქართული მოდგმის შორეული ფესვები, შეახსენა, რომ „ჩვენ ვართ შვილები ძველი ხეთების, ჩვენ ვართ სიმწვანე ახალ მდელოთა“, და რომ არ ჩაქრება „პირველ მზით ანთებული ცეცხლი“, თუმცა ბნელი საუკუნეების მანძილზე მტერი სულ ამის ცდაში იყო. პოემაში „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელიც დაიწერა 1926 წელს, პოეტი მიმართავდა ფერეიდნელ ქართველებს:

თუ თქვენ იბრძოდით რომ შეგერჩინათ
შაჰების მიერ მოჰრილი ძარღვი,
ჩვენში ვერ ჩაჰკლეს ვერც ერთხელ მტრებმა
ნატრულ სიცოცხლის წყურვილი მძაფრი.

და განწირულებს კვნესით რამდენჯერ
ჩვენივე ხორცი დაგვიკბენია,
მაგრამ ქედმაღალ კავკასიონის
ძვირფასი მიწა ისევ ჩვენია.

პოეტს აქვს ორიგინალური შეგრძნება თუ შეცნობა სამშობლოს მიწა-წყლის ხილამაზისა და სიცოცხლისა. მის ლექსში მიწა ცოცხალი არსებაა და ნამდვილმა პოეტმა, მიწის ძარღვებში რომ სისხლი ჩქეფს, მისი ძახილი უნდა გაიგონოს. „და მე ვიფიქრე: მიწის ძარღვებთან თუ ვარ შეზრდილი, როგორც ხევსური, სისხლის ძახილი უნდა მესმოდეს". ცოცხალია არა მარტო მიწა, არამედ ხეობებში ჩაკარგული ნაკადულებიც, „უფსკრულებიდან მომსკდარი მათი ქუხილი" — ეს გულმართალი კვნესაა; ცოცხალია მყინვარებიც — „ასე სიმძაფრით მკერდი რომ უძგერთ". ჩამონგრეულ ციხეთა ლოდები — ეს ერის სხეულის ნაფლეთებია, „მტრის გასახარად გარშემო რომ ბყრია", ხოლო ციცაბო კლდეზე კბილითა და ფრჩხილით მოთხრილი მღვიმე — ეს სიკვდილს გადარჩენილი თვალია, ლიად დარჩენილი თვალი, საქართველოს რომ გამოსცქერის წარსულიდან, შავბნელი საუკუნეებიდან.

ესაა მხატვრის შთაგონებული ხილვით გადმოცემული ისტორიის თავისებური ფილოსოფია. ამ თვალსაზრისით, ადამიანი ისეა შერწყმული დედა-ბუნებასთან, დიდი დედის — მიწის სიცოცხლესთან, რომ მისი ყოველი ძარღვი, მთლიანად გამოძერწილია „მშობლიურ მიწის მხურვალ გულიდან", მას ვერ გაექცევი, ვერსად წაუხვალ, მისი შვილი ხარ, მისი სისხლი და ხორცი, მისი სუნთქვა და სიხარული, ის შენშია, და შენ მასში ხარ, მისია შენი პირველი გალიმებაც და სულ ბოლო ამოქშენაც, ამიტომ მარად მასთან უნდა იყო, არასოდეს განილტვოდე მისგან, თუ არ გინდა, ეს საშინელი წყევლა დაგატყდეს თავს:

კრულ იყოს ორგულ ვაჟკაცის მკლავი
და გამძაფრებულ სისხლის მგმობელი...

იმავე წლებში კარლო კალაძემ დაწერა „ალმოსავლური რუბაიები". აქაც იგივე ბუნებასთან განუყრელი ერთიანობაა, — პოეტი ცდილობს თავისი ბიოგრაფიაც და წინაპრების სიცოცხლეც, მათი სამარეც მუხის ფესვებთან და მის მაღალ ტოტებში ეძებოს:

მოღლილი ძვლები აქ განისვენებენ,
სამარის შუაგულ მუხაა დარგული;
ტანმაღალ ტოტებში მამათა სისხლი სჩქეფს,
აქ რომ ეცემოდნენ ყელ-გამოღადრული.
— შენ ჩემი მოდგმის ხორცით ხარ ნაზარდი,
ჩვენ ღვიძლი ძმები ვართ, ვხარობ რომ
გიყურებ!

მუხაო, შენს ფესვებს ვერ მოთხრის გრიგალი,
და თუ მანდ დამმარხეს — ცოცხალი მიგულე.

უდაბნოს შვილი, ბედუინიც იმ რწმენით სულდგმულობს და ის ეიმედება, რომ მშობლიურ ველებს არასოდეს, არც სიცოცხლეში და არც სიკვდილში არ მოშორდება: „მშობლიურ ველებს გშორდებით, მივდივარ, შორეულ უდაბნოს ივლის ქარავანი... მაგრამ ჩვენ ყოველგან ერთადვე დავრჩებით, მუდმივ განუყრელი და ერთად მავალი. ო, ნუ იდარდებ, თუ სადმე დავეცე, სილაში დამმარხვენ უდაბნოს ქარები! თქვენ ცას, ცრემლით სავსე თვალივით ყოველღამ მთვარე გადმოივლის და ეს მე ვიქნები".

უდაბნოს სილაში წანამქრული კაცი ისევ სამშობლოს დასცქერის თავს, როგორც ცრემლით სავსე თვალი. სამყაროს ამგვარ ხილვას აქვს თავისი ღრმა ფილოსოფიური ფესვები როგორც ჩვენს ძველ ლიტერატურაში, ისე ქართულ ფოლკლორშიც, რომელშიც მუდამ წინა პლანზე იყო ძიება სიცოცხლის ფესვებისა, ხილვა სამყაროსი მის განუწყვეტელ დუღილსა და ბორგვაში, ერთდროული ყოფნა წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ის დაძლევა სიკვდილისა და არყოფნისა, რასაც ოცნებით მიელტვის ადამიანი, რომლის სიცოცხლე უსასრულო წრებრუნვაშია მოქცეული. პოეტი სიცოცხლის ამ ფილოსოფიურ გააზრებამდე მიდის უშუალოდ, ინსტინქტით, და განყენებული ცნებების მეშვეობით.

ეს მსოფლშეგრძნება მიჰყვება კარლო კალაძის მთელ შემოქმედებას მომდევნო ათეული წლების მანძილზე; მის წიგნებში, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი „მისი სიცოცხლე", მისი „ცხოვრების ამბავი, ფიქრი და გულისცემაა". მაგრამ ეს მარტო ერთი კაცის, ერთი მწერლის სიცოცხლე არ არის, ამ წიგნში მეტყველებს თვითონ ჩვენი დრო, საუკუნე, მეტყველებს მოაზროვნე მწერალი, რომელიც ადამიანის სულს ასე ღრმად ჩასწვდენია და მისი საიდუმლოების ამოხსნა უცდია.

ასეთია კარლო კალაძის სიმღერა — გამოხატულება მეოცე საუკუნის რთული და დახლართული წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებისა, დიდი კატაკლიზმების ეპოქის — მასში ნათელი შეაქვს ძმობის, მეგობრობის მადლს, ლურჯ ზეცას, ადამიანი მუდამ რომ შეჰხარის და ნეტარებაში წასული ლოცვად განეწყობა:

გავაღებ ცის კარს —
გაუმარჯოს ცხრა მთას, ცხრა წყაროს!
საქართველოდან
ვუთვალთვალებ კვლავაც სამყაროს,
პირველი სიტყვა
არის ძმობა, არის ფიც-ვერცხლიც,
ძმობა რომ არა —
განწირულიც რამ დამაწყნაროს —

და ისევ როცა
  სამეგობროდ ავიდგამ ენას —
ასე მგონია
    ქებურია მასწავლის ფრენას —
ცას მივწვდე
    ერთი ამღერების ძალ-ღონეც კმარა!

აქ უკვე ფართო ჰორიზონტი იშლება პოეტის თვალწინ. ამ ლექსში გამოიხატა ქართველი კაცის გულღიაობა, მისი კეთილი სული, მისი ტრფიალება მაღალი საკაცობრიო იდეალებისადმი, მისი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი. პოეტებს პირველებს გააქვთ თავიანთი ქვეყნის სახელი მსოფლიოში. და კარლო კალაძეც იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც თამამად შეუძლია თქვას, რომ მის გულში მკვიდრი ბინა უნახავს თავისი ხალხის სიხარულსაც და ტკივილსაც, მის შემართებასაც და თავგანწირულებასაც, მის მაღალ აზრს, მის კეთილ გრძნობას და სულის სილამაზეს, სიმდიდრეს, ყველაფერს, რასაც კი ხალხი და სამშობლო თავის პოეტს მიამადლებს ხოლმე.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაციაო... ამ მადლის შუქი გამოკრთის კარლო კალაძის ლექსის სტრიქონებიდან და ეს არის ყველაზე მომხიბვლელი ამ პოეზიაში. კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ სულის რაღაც განუზომელ სიხალვათეს. აი თუნდაც ლექსი—„მტკვრის ამ ხიდიდან ლესელიძემდის"; აქაა მთელი საქართველო, უზომოდ საყვარელი ყოველ ნაბიჯზე და ყველა ხეობაში, აქ არის საქართველო — ერთი თვალის გადავლებით დანახულ-დახატული; „სულ რომ ერთი დღის სიცოცხლე დამრჩეს — ეს გზაა მხოლოდ ჩემი ნუგეში... ქართლო გაშლილო, მადლი შენს გამჩენს — შემოვიჭრები შენს სიჩუმეში! ტალღა მტკვრისა და ტალღა რიონის, ქვაში ჩასმული და ჩახატული — არის შუქ-წერა კავკასიონის, მისი სიახლე, მისი ქართული! დიდება ყველას, ვინც ივაჟკაცა, სიკვდილს ვინც ისე გაუთამამდა, რომ შუქნათელი მზე ძირს არ დასცა — დროშა დიდების, დროშა მამათა! ისაა ისევ რწმენა იმედის, მზე ისევ გულის ძაფზე ჰკიდია... მტკვრის ამ ხიდიდან ლესელიძემდის საუკუნეთა გზა და ხიდია"...

ამ ლექსში, ისევე როგორც მთელ ციკლში „ფიქრი გზადაგზა" რომ ჰქვია, („მუხრანის ველი", „ამ სოფელს უნდა ბერმუხა ერქვას", „ცეცხლის გამძლეა მიწა, ქეთევან", „მზე და ველ-მინდვრის ყვავილები", „სოფლის დილა" და სხვ.). დახატულია დღევანდელი საქართველოს სურათი და, ამავე დროს, გრძნობ ისტორიის სუნთქვასაც, საუკუნეთა ქარტეხილებს. აქ არის ახლებური ისტორიზმი; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსად დაწერილი ნოველა „მუშა-კაცს, ვენახს, დარსა და ავდარს". მე მახსოვს, როგორ დაიწერა ეს მშვენიერი ნოველა. ზაფხული იყო, თბილისში ამბავი ჩამოვიდა, საგარეჯოს ვენახები დაისეტყვაო. პოეტებმა — კარლო კალაძემ, რევაზ მარგიანმა, კომპოზიტორმა სულხან ცინცაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა საგარეჯოს ზვრებში წასვლა გადავწყვიტეთ. რით უნდა ანუგეშო კაცი, ვისაც ვენახი დაესეტყვა, რა მალამო უნდა მოუძებნო მის დაჭრილ გულს, რომელსაც სტიქიამ მთელი წლის დაძაბული შრომა წყალში ჩაუყარა? მაგრამ პოეტმა მოძებნა საჭირო სიტყვა. ამის შესანიშნავი ნიმუშია ზემოხსენებული ნაწარმოები. პოეტმა ნინოწმინდელ მევენახეს დაბრკოლებათა გადალახვის დიდი ტრადიცია გაახსენა, საქართველოს მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია დაიმოწმა და მჭევრმეტყველურად დაასაბუთა, რომ მამაცი არასოდეს უშინდებოდა განსაცდელს და, მით უმეტეს, არც ახლა შეუშინდება:

ფეხთქვეშ ჩრდილივით ჩაიგდოს შიში
ძალაა თვით ამ სიცოცხლის ჟინში
და კვლავ მიენდოს იმედს გუშინდელს, —
გმინვას სიმღერა არ შეუშინდეს...
მე ჩემს დასეტყვილ ლერწსა და ღეროს
გასამხნევებლად ახლაც ვეყოფი,
აქვე ილავდა ხომ საქართველოს
მკერდგანგრეული ციხის ბექობი.

ეს არის თვით ბუნების ხმა და, იმავე დროს, ხმა მრავალჭირგამოვლილი ერის ისტორიისა, რომელიც განსაცდელში არასოდეს არ გატეხილა.

ასე ემსახურება პოეზია მშობლიურ ხალხს. კარლო კალაძის ამ ციკლის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „კოლხური ნოველა", „ჩემი ბალვენახის ჭიშკარი", „ოჯალეში" და სხვ. ამ ციკლშივე შედის ლექსი „დაისი", რომელშიც კარგად არის გადმოცემული ეპოქათა მემკვიდრეობითობა, თანამედროვეობის კავშირი გარდასულ საუკუნეებთან; პოეტი მიმართავს გელათის ტაძარს:

— ტაძარო, კვლავაც დაუმარცხებელ
ქვათა რწმუნებას როგორ არ ვენდოთ:
ქვას აწერია, რომ ვერ გასძლებენ
საუკუნენი უერთმანეთოდ.
მაშ, კვლავაც ჯაჭვი კარიბჭეს ახსენ,
წარსულის ზღუდევ, გალავნიანო!
რომ გულგადაღლილ დავითის ქვაზე
აწ ჩვენმა წლებმა გადაიარონ!
და აჰა, აჰა, ჩვენი დაისიც —
ის განა ჩამქრალ კერის დარდია! —
ისაა გულის ცეცხლი და ისიც
საკურთხეველის ქვებში ანთია!

გულის ეს დიდი და კეთილი ცეცხლი ანთია

პოეტის ლექსში, ისევე როგორც გულათის ქვებში, მთელი ძალით ანთია იგი და ბრწყინავს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, მის ძალას მიჰყავს ისტორია წინ, ნათელი მომავლისაკენ.

პოეტი არა ერთგზის მიგვანიშნებს, რომ მისმა ლექსმა ექსპრესია, ძალა და ენერგია საქართველოს ბუნებისაგან აიღო, კარლო კალაძე უაღრესად ეროვნული პოეტია და, ამავე დროს, უაღრესად ინტერნაციონალურიც არის. მის ლექსში არის უსაზღვრო სიყვარული საქართველოსიც და მთელი სამყაროსიც — პოეტი ყველას ეფერება და ესიყვარულება, უნდა რომ ყველას მიესალმოს, გამოელაპარაკოს, გაეცნოს და სიყვარული აუხსნას ყველას — დიდსაც და პატარასაც.

კარლო კალაძის ლექსმა შეძლო, მოეხვეჭა ყველაზე ძნელად მოსახვეჭი — მკითხველთა სიყვარული. ეს სიყვარული პოეტს მოუპოვა და დაუმკვიდრა დაუღალავმა და დაუცხრომელმა შრომამ, ტალანტმა და ლაღმა პოეტურმა ფანტაზიამ, პოეტურმა გულმა, რომელიც ავსავსეა წრფელი და მგზნებარე სიყვარულით სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ყოველივე იმისადმი, რაც აზრს აძლევს და ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას.

პოეტის მაღალ დანიშნულებას კარლო კალაძე ყოველთვის ერთგულად ასრულებდა. რევოლუცია, საყოველთაო-სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლა — ზოგისთვის შეიძლება წიგნში წაკითხული ამბავი იყოს, კარლო კალაძისათვის კი ეს საკუთარი ბიოგრაფიაა; წერო რევოლუციაზე, ეს მისთვის ნიშნავს, გაიხსენოს მამა, რევოლუციის უშიშარი ჯარისკაცი; გაიხსენოს დედა, ცხრაასორ წელს პირველი გაფიცვა რომ მოაწყო სამტრედიის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში, რასაც „ივერიაც" და „კვალიც" გამოეხმაურნენ — ან აქამდე როგორ გაუძლეს საცოდავმა მუშა-ქალებმა — ფაბრიკა კი არა, ჯოჯოხეთი გაუხსნიათო. პოეტის დედამ პირველმა მოქსოვა და ამოქარგა წითელი დროშა და დემონსტრაციაზე გამოიტანა. და განა მარტო დედ-მამა ჰყავდა ასეთი! აი სტრიქონები ლექსიდან, რომელიც თბილისის წარსულს ეხება:

თბილია ჩემთვის თბილისის მკერდი,
განა სამარის ცივი მიწაა,
ნაძალადევის ცხრა ძმაში ერთი,
ძმებო, ალალი ჩემი ბიძაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ჩვენი ერის ისტორიას იცნობს, ის უმალ მიხვდება ვისზეა აქ ლაპარაკი. ცხრაასხუთ წელს, ნაძალადევის ზღურბლზე, სადგურის ხიდთან, ცხრა კაცი გადაუდგა წინ კაზაკების გამხეცებულ ურდოს, რომელიც ქალაქის ამ აბობოქრებული უბნის დასარბევად მიეშურებოდა. ცხრანივე იქვე დაცხრილეს კაზაკების ტყვიებმა. ამ ცხრა უშიშარ რაინდთა შორის იყო მინა კალაძე, უმცროსი ძმა პოეტის მამის — რაჟდენისა. ეს ადამიანები ნამდვილი სიცოცხლით ცხოვრობენ პოეტის ხსოვნაშიც და მისი წიგნების ფურცლებზეც.

თბილისელებმა კარლო კალაძე თავიანთ დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს; როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, იგი სრულუფლებიანი წარმომადგენელია თავისი ხალხისა, მისი სულის განუყოფელი ნაწილია; მისი პოეზიისადმი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა ისიც, რომ მისი ლექსები უთარგმნიათ პასტერნაკსა და ტიხონოვს,, სიმონოვსა და ანტოკოლსკის, მეჟიროვსა და ევტუშენკოს, ახმადულინასა და ლუკონინს, ბაჟანსა და პერვომაისკის, ნაგნიბედას და ვორონკოს, აშოტ გრაშისა და გურგენ მაარის და კიდევ, ვინ მოთვლის... მისი ახლო მეგობრები იყვნენ ელიშე ჩარენცი და ნაზიმ ჰიქმეთი, ედუარდ ბაგრიცკი და სამედ ვურღუნი, და ყველგან, ყველა ენაზე, ყველა ქალაქში მისი ლექსიც და თვითონ ავტორიც მახლობელნი და საყვარელნი იყვნენ და არიან.

კარლო კალაძე დღესაც ერთგულად იცავს იმ სასახელო ტრადიციას, რომელიც ქართული სიტყვის დიდოსტატებმა დაამკვიდრეს. კარლო კალაძის პოეზია — ქართული მიწიდან არის წამოსული. აქ არის ტრფიალი იმ ხმებისა და ფე-რებისადმი, იმ ფიქრებისა და ოცნებებისადმი, იმ დიდი ადამიანურობისა და კეთილშობილებისადმი, რაც ოდითგანვე ფუძედ ედო ქართული პოეზიის თვითმყოფობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ მუზაშვილი

# „პოეტის სიკვდილი“

წერილში სიტყვაკაზმული მწერლობის რამდენიმე ნიმუშის ანალიზის გზით გვინდა ვისაუბროთ ინტელიგენტური ბუნების ზოგიერთ ისეთ მხარესა თუ თვისებაზე, რომელზე მსჯელობის საშუალებასაც, ჩვენი აზრით, იძლევიან ეს თხზულებანი. უფრო კონკრეტულად, გვინდა გავერკვეთ ინტელიგენტური ბუნების იმ თვისებათა კომპლექსის არსში, რომლის გამოსახატავად გარკვეული ტიპის ადამიანთა წრეში ერთგვარი ტერმინიც კია შექმნილი. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „უხერხემლო ინტელიგენტი“. ამ სიტყვათშეხამების კარგად საგრძნობი ირონიული სარკაზმი უნდა მომდინარეობდეს იმ გალიზიანებიდან, რასაც არაინტელიგენტებში იწვევს ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ხსენებული გალიზიანების მექანიზმი, თითქოსდა სანახევროდ ხუმრობით, ჩვენი დროის ერთმა თვითონ დიდებულმა ინტელიგენტმა ასე ახსნა: შეიძლება ძუნწმა ხელგაშლილად მოგვაჩვენოს თავი, უპატიოსნომ — პატიოსნად, მაგრამ არაინტელიგენტი ვერ შესძლებს ინტელიგენტად წარმოგვიდგინოს თავი. ესეცაა ერთი მიზეზი არაინტელიგენტთა გაბოროტებისა ინტელიგენტების მიმართ.

ამ სიტყვების შემდეგ მაინც სრულიად უდავო უნდა იყოს ის გარემოება, რომ არც უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი და არც არავითარი წოდება, რაგინდ შთამბეჭდავიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, თავისთავად სრულიადაც არ განაპირობებს მათი მფლობელის ინტელიგენტობას. ერთი ცნობილი რუსი პოეტის თქმისა არ იყოს, ინტელიგენტობა სპეციალობა არ არის, იგი სულის თვისებაა, სამყაროსთან და ადამიანებთან მიმართების რთული, არაერთმნიშვნელოვანი სისტემა. ცამდე მართალია თამაზ ბიბილური, როცა ამგვარ ადამიანებს პოეტებს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამ უკანასკნელთ საერთოდ არასოდეს დაეწეროთ ლექსი. აი რატომ არის შეუძლებელი არაინტელიგენტის ინტელიგენტად გარდასახვა.

მაგრამ სიტყვათშეხამება „უხერხემლო ინტელიგენტი“ კეთილმოსურნის პოზიციიდანაც წარმოთქმულა და საკმაოდ მწვავედაც. საერთოდ ყოველთვის, მაგრამ ზოგჯერ მაინც განსაკუთრებით მწვავედ, ის ე. წ. „ინტელიგენტური კომპლექსი“ ოდნავადაც არ შეესაბამება ხოლმე ამა თუ იმ ეპოქის ან სიტუაციის რეალურ მოთხოვნილებებს. იქმნება მდგომარეობა, როცა ისედაც განკერძოების მოტრფიალე ინტელიგენტი სრულიად გარიყული აღმოჩნდება ცხოვრებიდან. ხოლო ვითარება, როცა ინტელიგენტის ადგილს არაინტელიგენტი იკავებს, ცხადია, ვერც ნორმალურად ჩაითვლება და ვერც მისაღებად. საბოლოოდ წაგებული რჩება არა მარტო თვითონ ინტელიგენტი და არა მარტო უწყალოდ აღრეული კრიტერიუმების გამო.

ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ის ადამიანური მდგომარეობა, რაც ჩვეულებრივ იგულისხმება ხოლმე ამა თუ იმ ინტელიგენტის „უხერხემლოდ“ მონათვლის დროს. არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს შეტყობა იმისა, რატომ ან საიდან ჩნდება სულის ამგვარი მდგომარეობა, და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა მისი დაძლევა. ამოცანის ასეთმა კონკრეტულმა ხასიათმა თავისთავად განაპირობა ის გარემოება, რომ ქვემოთ მოხმობილი ლიტერატურული ნაწარმოებები გვაინტერესებდა მხოლოდ ამ კუთხიდან, რის გამოც, ბუნებრივია, წარმოდგენილ ანალიზს ოდნავადაც არ შეიძლება ჰქონდეს ხსენებულ თხზულებათა სრულად განხილვისა თუ შეფასების პრეტენზია.

1.

კითხვა: როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი?
პასუხი: ისეთში, როგორც ლამპარი ქარში.
(შუა საუკუნეების დიდაქტიკური საკითხავიდან).

თუ მოვინდომებთ თამაზ ბიბილურის ძალზე საინტერესო რომანის „შვიდი ხმისა და ტროლასათვის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, კერძოდ, ბერდია ლუდუშაურის სულიერი მდგომარეობის ორიოდე სიტყვით გამოხატვას, უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი ღრმა სულიერი დისკომფორტით იტანჯება. ეს არის ის შრე რომანის იმ ნაწილისა, სადაც ბერდიას ტრაგიკულ ცხოვრებას ვეცნობით, რომელიც ყოველგვარი კვლევა-ძიების გარეშეც კარგადა ჩანს. სრულიად აშკარაა, რომ ადამიანი მძიმე სულიერ დეპრესიას შეუპყრია. მწერალი ამის შესახებ პირდაპირ გვესაუბრება. აზრთა სხვადასხვაობა მაშინ იჩენს თავს, როცა ბერდია ლუდუშაურის ასეთი სულიერი მდგომარეობის მიზეზებზე ვიწყებთ ფიქრს.

იგი სოფელში დაიბადა და გაიზარდა. უნივერსიტეტში განსწავლის შემდეგ, გარკვეული გარემოების წყალობით იქვე დარჩა. მალე დისერტაციაც დაიცვა, დაოჯახდა კიდეც და სამოთახიანი ბინაც მიიღო ქალაქის რესპექტაბელურ უბანში. ყველა დაგვეთანხმება, რომ სამეცნიერო მოღვაწეობის სარბიელზე შემდგარი ახალგაზრდა კაცისათვის ცუდი დასაწყისი არ არის. პირიქით, საარსებო სივრცისა თუ ადგილის მოპოვების ურთულესი პროცედურა, ქალბატონ მედეა კალაძის თავგანწირული მცდელობის შედეგად, შეუდარებლად ადვილად და უმტკივნეულოდ გაიარა ახალგაზრდა ბერდიამ, მთავარიც ეს იყო — კარგი დასაწყისი! მაგრამ წლები გადის და დოცენტი, ბერდია ლუდუშაური, სრულიადაც ვერ გრძნობს თავს ბედნიერად. მავანისა და მავანის გასაოცრად, ნათელი ხდება, რომ განსხვავებით ფოლკლორისტიკის კათედრის სხვა პროფესორთაგან, მას არც ხმაურიანი სამეცნიერო წოდებების ბრწყინვალება იზიდავს და არც ის პრივილეგიები, რაც ამ წოდებებს უნდა მოჰყვეს მარჯვე კაცის ხელში. ერთი სიტყვით, ბერდია ცხოვრების მატერიალური მხარისადმი არაფრით არ ავლენს განსაკუთრებულ ინტერესს და ამდენად, მისი სულიერი დისკომფორტის მიზეზების ძიება ამ მიმართულებით არასწორი იქნებოდა.

თითქოსდა ყველაფერი იქითკენ გვიბიძგებს, რომ ბერდიას სულიერი ტანჯვის მიზეზად ის ნოსტალგია მივიჩნიოთ საკუთარ სოფელზე, ჩალაურზე, მთელი სიცოცხლე ღია ჭრილობასავით რომ აწუხებდა მას. ამგვარი ფიქრი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული თუნდაც იმიტომ, რომ როგორც გვახსოვს, ბერდია არც ქალაქად დარჩენას აპირებდა და არც მეცნიერულ კარიერაზე უოცნებია როდისმე. მაგრამ თუ დარჩა კიდეც და მეცნიერების აღმართებსაც არ შეუშინდა, ეს, როგორც უკვე ითქვა, მთლიანად ქალბატონ მედეა კალაძის ჟინიან ხასიათს უნდა მივაწეროთ. ხოლო თუ გავიხსენებთ იმ გარემოებასაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბერდია ვეღარ დაიოკებს გულისთქმას და ჩალაურში გაიპარება (ნამდვილად გაიპარება, რადგან სახლში დაიბარებს, — თელავში მგზავნიან ლექციების წასაკითხადო), თითქოს საკვლევ-საძიებელიც არაფერი რჩება.

მაგრამ მეჩვენება, რომ ბერდია ლუდუშაურის პიროვნების მთლიანად ამ სიბრტყეზე დაყვანა მწერლის ჩანაფიქრის უკიდურესად გაერთმნიშვნელიანება-გამარტივება იქნებოდა.

„შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“ არ არის ქალაქური ცივილიზაციით გულგამოჭმული ადამიანებისგან სოფლური მყუდროებისა თუ პირველყოფილი უშუალობის მონატრებისა და ძიების ისტორია. რომანის შინაარსი უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია, მტკივნეული და საჭირბოროტო როგორც სოფლელის, ისე ქალაქელისათვის.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ შვიდეულიდან ჩალაურისკენ რომ მიისწრაფვიან, არც ერთი არ არის ქალაქელი, გარდა ზაზა ლუდუშაურისა (ბერდიას ერთადერთი შვილი) და ისიც მხოლოდ ბებიის ხათრით დასდგომია გზას. სოფელში დაბადებულ და მთელი სიცოცხლე იქვე ნაცხოვრებ ადამიანებზე, ცხადია, არ შეიძლება თქმა, სოფელი მოენატრათო. ამდენად, ჩალაური გარდა იმისა, რომ ერთი ჩვეულებრივი, შორს, მთებში ჩაკარგული პატარა სოფელია, სადაც დაიბადა და გაიზარდა ბერდია ლუდუშაური, იგი სხვა რამეცაა, განუზომლად უფრო მეტი და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი სოფელი. „ჩალაური ოცნებაა, შორეული, სადღაც ცაშია... იქნებ ჩალაური ის ადგილია, სადაც მივდივართ და არ ვუწყით უკან მოვბრუნდებით თუ არა...“ სხვაგან ასე გვეტყვის რომანის ავტორი (იხ. „მნათობი“, 1986, № 9, გვ. 127). ხოლო სახლიდან სამი დღით ჩალაურში გაპარული ბერდია კი, უკან რომ მობრუნდება, ცდილობს შვილს მაინც გააგებინოს:

„ჩალაური მოგონილი არ არი, ჩალაური არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცთა მოდგმა.

ჩალაური ყველაფერია: ჩვენი სხოვნა, ჩვენი მოგონება, ჩვენი წარსული.

ვიდრე ჩალაური გვახსოვს, არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს.

სიკვდილისაც კი...

ყველას თავისი ჩალაური აქვს. ყველანი ჩვენი ჩალაურიდან მოვდივართ.

მოვდივართ, არხეინად, გალაღებულნი და

არის ერთი დრო, სიჭაბუკის დრო, როცა აღარც კი გვახსოვს, რომ ჩალაურიდან წამოვედით.

ეს ხანმოკლე დროა... ვიდრე ერთბაშად ისევ მძაფრად არ გაგვახსენდება, რომ სადღაც არის ჩვენი ჩალაური და იმ ჩალაურიდან ვართ წამოსულნი.

გადის ხანი და უფრო მძაფრდება სურვილი იმ ჩალაურში დაბრუნებისა.

რაც უფრო ვბერდებით და წუთისოფელს ვემშვიდობებით, ჩალაური ჩვენი ხსნა გვგონია.

ბოლოს ყველანი, ფიქრით მაინც, აუცილებლად. ისევ ჩალაურში ვბრუნდებით. ამგვარია ჩვენი ჩალაური" (თ. ბიბილური, შვიდი ხმისა და ტოროლასათვის, თბ., 1984, გვ. 309).

ერთი სიტყვით, ბერდია ლუდუშაური დღევანდელ ლიტერატურაში და განსაკუთრებით პოეზიაში უკვე ყოველგვარი მიმზიდველობისა და სიახლისგან დაცლილი ერთგვარი ტიპის (ქალაქს დასახლებული სოფლელი, მამა-პაპეული კერა რომ ენატრება მუდამ, უკან დაბრუნებას კი ვერა და ვერ ახერხებს) ახალი ვარიანტი არ არის. როგორც უკვე ითქვა, რომანში ჩალაური გაცილებით უფრო ღრმა შინაარსით ივსება, თუმცა, რა თქმა უნდა, თავისი გარკვეული როლი და მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ ყველაფერთან ერთად ჩალაური კონკრეტული სოფელიცაა, სადაც თავის დროზე დაიბადა ბერდია და სადაც დღემდე დგას მისი მამისეული სახლი. მაგრამ ჩალაურის რთულ სიმბოლოზე მსჯელობა სხვა საუბრის თემაა და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ჩვეულებრივ, როცა ე. წ. „ტრადიციული გმირის" სულიერი ტკივილების მიზეზებს ვიკვლევთ, მოქმედებს ხოლმე ერთგვარი სქემა: „გარედან შიგნით". პერსონაჟის გარშემო მომხდარი ფაქტების ანალიზის გზით იხსნება ამავე პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა. მოტივირების ეს სისტემა ჩვენს შემთხვევაში გამოუსადეგარია: ბერდიას „გარეთ" აბსოლუტურად არაფერი ხდება ისეთი, რასაც შეეძლო ყველა შემთხვევაში ასეთი ძლიერი სულიერი დეპრესია გამოეწვია, იმდენად ძლიერი, რომ ბოლოს და ბოლოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ნაადრევად ჩაიყვანა სამარეში. ვერც ერთი გარეგნული ფაქტი ამ შემთხვევაში თავისთავად ვერაფერს აგვიხსნის, პირიქით, შეიძლება უფრო დაგვაბნიოს. რადგან ცნობილია, რომ მრავალთათვის ამ ქვეყნიური ბედნიერების ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტი სწორედ ბერდიას ცხოვრების გარეგნული მოდელია. ამიტომ ვითარებაში გასარკვევად მოგვიწევს ზემოხსენებული სქემის შემოტრიალება: არა „გარედან — შიგნით", არამედ, პირიქით, „შიგნიდან — გარეთ". ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემის გასაღები თვით ბერდიაშივე უნდა ვეძიოთ. ამ საქმეში ჩვენ მისი შვილი, ზაზა ლუდუშაური დაგვეხმარება, რადგან მწერალი სწორედ ზაზას თვალით იყურება ბერდიას სულში.

უკვე წამოზრდილმა ზაზამ კარგად არც კი იცის, უყვარს თუ ეცოდება მამა. ამ ორი გრძნობიდან სიყმაწვილეში, ცხადია, პირველი ჯიბნიდა მეორეს. შეცოდების გრძნობა მას დეკემბრის ერთ ცივ, წვიმიან საღამოს გაუჩნდა, როცა მამა იმგვარად დაინახა, როგორიც ნამდვილად იყო. სახლიდან გამოსული ყრმა ლუდუშაური ავტობუსის გამოჩენამდე სათონესთან თავმოყრილ ხალხს შეავლებს თვალს და „ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას არაფერს მიაქცევდა, იმ ხალხში საკუთარი მამა რომ არ დაენახა. მამა იყო, მაშ ვინ, წელში ოდნავ მოხრილი, აწოწილი, გამხდარი, შეშინებული. მხოლოდ მამამისს შეეძლო ასე დგომა, წელში ასე მოხრა და ისე ცქერა აქეთ-იქით, თითქოს მარტო ამ ხალხის კი არა, მთელი ქვეყნიერების წინაშე რაღაც დიდი დანაშაული მიუძღოდა და ახლა ყველაფერზე ერთად იხდიდა ბოდიშს..."

ზაზა ლუდუშაური ჩამომდგარ ავტობუსს გაუშვებს და მამის თვალთვალს გააგრძელებს, „რომელიც ამ წუთში მამა სულაც აღარ იყო, იყო მხოლოდ უცხო კაცი... გარშემო რომ არავის ჰგავდა. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი ემოსა, მაგრამ სამოსითაც არ ჰგავდა ვინმეს. მთელი თავით მაღალი იყო სხვებზე, მაგრამ რაღაც განგებით ყველას მაინც ქვემოდან შესცქეროდა. ყველასათვის ერთნაირად წვიმდა, მაგრამ წვიმა ამ კაცის მოძველებულ ფეტრის ქუდს და ნაცრისფერ საწვიმარს მაინც სხვებზე მეტად ასველებდა. სხვები წრიალებდნენ, ნერვიულობდნენ, ემდუროდნენ ცასა და მიწას, შოფრებს და ხაბაზებს, ეს კაცი კი მშვიდად იდგა, თითქოს მისთვის სულერთი იყო, დაასველებდა თუ არა წვიმა მის შელახულ საწვიმარს, დროზე გამოცხვებოდა თუ არა პური და დროზე გასწევდა თუ არა შინისაკენ... მაშინ მოუნდა ბიჭს მისულიყო მამასთან თუ ამ უცხო კაცთან, და ეთქვა:

— გამარჯობათ, პურს მე აგილებთ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც მისულა და არც ეს სიტყვები უთქვამს. სამაგიეროდ ფიქრში სხვა რამემ გაუელვა, რაც ორიოდ წუთში აუცხადდა კიდეც და რამაც საბოლოოდ განუმტკიცა სიბრალული ამ აწოწილი, გამხდარი და საწყალი კაცისადმი, რომელიც მამა იყო მისი: თუ ამდენ ხალხში ვინმე უპუროდ დარჩა, აუცილებლად მამაჩემი იქნებაო... და ის იყო, ლავაშიც გამოიტანეს.

ხალხი კარებს მიაწყდა. მამა თუ ის უცხო კაცი, სადღაც გაქრა, ბოლოს კი, როგორც იქნა გამოჩნდა. გაბრწყინებულ ხალხს ხელში ცხელი, სურნელოვანი ლავაშები ეჭირა, ის უცხო კაცი კი, რომელიც მამა იყო ჭაბუკი ლუდუშაურისა, ხელცარიელი იდგა, ხალხისგან განაპირებული, დაბნეული და გაოცებული.

ბიჟი გაცოფდა, ჩამომდგარ ავტობუსს შეახტა და წავიდა" (გვ. 282-284).

„ამგვარი ადამიანები მე ძალიან მიყვარს, — გვეტყვის სხვაგან თამაზ ბიბილური, — მზადა ვარ ხოლმე, მათ წინაშე დავიჩოქო. მორიდება და კრძალვა ინტელიგენტის უპირველეს თვისებად მიმაჩნია" („მნათობი", 1986, № 9, გვ. 128).

ხალხისგან განაპირებული, საწყალი, დაბნეული, გაოცებული.... აი ხატი ინტელიგენტისა, რომელსაც ცხოვრებას ხარბად მისეული ბრბოს ორომტრიალში უხდება არსებობა. მაგრამ ბერდია კონკრეტულად არავის დაუჩაგრავს, არავის გაუნაპირებია... ეს ყველაფერი მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. მორიდებითა და კრძალვით ავსავსე ადამიანს არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, ასეთია მისი სამყაროსთან მიმართების ფორმა. ამდენად, ბერდიას ტრაგედია — ინტელიგენტის ტრაგედიაა, ანუ შედეგი (და როგორც ჩანს სრულიად კანონზომიერი) გარკვეული სულიერი აგებულების ადამიანის მიმართებისა ცხოვრებასთან. გარეშეთათვის ეს ყველაფერი აბსოლუტურად გაუგებარი, მიუღებელი და სასაცილოც კია. უახლოეს ადამიანებში ასეთმა კაცმა შეიძლება სიბრალული გამოიწვიოს, მაგრამ ეს არა კმარა სულის დასანახად. „უფხობად" თუ „უხერხემლობად" აღქმული ხასიათი ბოლომდე ასეთად რჩება.

ამგვარი იოლად მოწყვლადი ბუნება უკვე თავისთავად განაპირობებს სულიერი წონასწორობის თითქმის სისტემატურ რღვევას. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა მაშინ იქმნება, როცა ამგვარი სულიერი აგებულების კაცისათვის ერთგვარად სულის მოსათქმელად მაინც, ცხოვრება ადარაფერს აღარა სტოვებს.

„სულ იმის შიში მაწუხებს, სხვის ადგილს ხომ არ ვიკავებ, იქნებ ის სხვა ჩემზე უკეთესი იქნებოდა და ახალგაზრდებს უკეთესად ასწავლიდაო", — განსაკუთრებით ბოლო ხანებში აეკვიატა ამგვარი ეჭვი ბერდიას. მაგრამ ყველა პატიოსანი კაცისათვის დამახასიათებელი ამგვარი შინაგანი დაეჭვებისა თუ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ბერდიას რომ განსაკუთრებული ძალით აწამებს, სრულ ანაქრონიზმად მოჩანს ცოლის მიერ მოყვანილი ფაქტების ფონზე: ვთქვათ, ვინმე პროფესორი ხურცილავა არავითარი ეჭვებით არ იტკივებს თავს, აუდიტორიაში ყოველთვის ცხვირაწეული შედის, არასოდეს არ ედავება სტუდენტებს, შენიშვნასაც კი არ მისცემს, დგას და ლაპარაკობს თავისთვის. ქვეყანა რომ დაიქცეს, აუდიტორიაში ხმას არ აუწევს, ფეხს არ მოიცვლის, სანამ ზარი არ დაირეკება. ხოლო ვინმე პროფესორი მაგრაქველიძე, დღეს თუ ხვალ აკადემიკოსი რომ უნდა გახდეს, ლექციის წაკითხვის ნაცვლად სტუდენტებს ელლაბუცება, კოლეგებს ლანძღავს, მინასთან ასწორებს და ა. შ. და ა. შ.

ცხადია, ეს ყველაფერი ცოლზე უკეთ თვითონ ბერდიამ იცის. რადგან ეს წამხდარი და ყოველგვარი კანონზომიერებიდან ამოვარდნილი ფარსი ყოველდღე მის თვალწინ თამაშდება. ამიტომ ის დაუკმაყოფილებლობა, საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში ის, მტანჯველი დაეჭვება, ბერდიას რომ მოუსწრაფავს სიცოცხლეს და რაც ცოლს ანაქრონიზმი თუ იდიოტიზმი ჰგონია, ის საპასუხო რეაქციაა, რითაც შეიძლება უპასუხოს ბერდიას სულმა ასე ურცხვად დაკანონებულ სრულ ამორალიზმს, თავდაყირა დაყენებულ საუკუნოვან ჭეშმარიტებებს. კათედრაზე გამეფებული წვრილმანი, ქვენა ვნებები, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების აუტანელი სიყალბე და უხამსობა, ვინმე ღვაწლმოსილი ათეისტის წყალწყალა სტატიები — მკითხველს შეუძლია ფანტაზიის დაუძაბველად გააგრძელოს ჩამოთვლა — ქმნის ვითარებას, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს, გაანადგუროს ბერდიას პიროვნება. აკი ასეც მოხდა. მაგრამ სიკვდილის შემდეგაც არ დაანებეს თავი. დაკრძალვის დღეს, საფლავის თავთან, ამაღლებულ ადგილზე რომ შედგება პროფესორი ხაჭაპურიძე და გამოსათხოვარ სიტყვას იტყვის, მაშინ სწორედ ზაზა ლუდუშაურს მამის ნათქვამი მოაგონდება: სიკვდილისა არ მეშინია, მარტო იმისი მეშინია ჩემ საფლავზე პროფესორ ხაჭაპურიძეს არ ათქმევინონ სიტყვაო...

ნამდვილად მეორედ მოკვდა იმ დღეს ბერდია ლუდუშაური.

მაგრამ ბერდიას ხსოვნის საპატივცემულოდ თუ საკუთარი პატივმოყვარეობის დასაამებლად გამართული მთელი იმ ფუსფუსიდან, ობოლი მარგალიტივით გამოირჩა ვინმე ლაბორანტ მარიკა ჭირაქაშვილის წერილი, რომელიც სასწავლებლის მრავალტირაჟიან გაზეთში დაიბეჭდა და როგორც მწარე ირონიით გვეტყვის მწერალი, მარტო კათედრა კი არა, მთელი სასწავლებელი აატირა. შთაგონების დაღი წერილის ბოლო ნაწილს აჩნდა განსაკუთრებით: „შენ მთის ლალი არწივი იყავი, მთის წყაროსავით ანკარა და მჩქეფარე. ამ წყაროს ჩვენ, ყველანი, ხარბად ვეწაფებოდით და ვაგლახ, რომ ამიერიდან ეს წყარო დაშრა... მის წკრიალა ხმას ველარ გავიგონებთ. ველარ დაგინახავთ შენ, და ველარ ჩაგეღვრება სულში წმიდათაწმიდა ნათელი. საუკუნო იყოს ხსენება შენი!"

მამას ეს რომ სცოდნოდა წინასწარ, საიდანღაც ძალას მოიკრებდა და კიდევ დიდხანს იცოცხლებდაო, ფიქრობს ზაზა ლუდუშაური.

ჭეშმარიტად! — ეთანხმება მკითხველი.

* * *

ძირითადად იგივე „ინტელიგენტური კომპლექსის“ მოქმედებას ვხედავთ თეიმურაზ მალლაფერიძის მოთხრობის „სოლო სიმღერა შემოდგომაზე“ („მნათობი“, 1986, № 6) მთავარი გმირის ცხოვრებაშიც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს პერსონაჟიც თავიდანვე „უხერხემლო ინტელიგენტად“ მოინათლა. იგი ბერდია ღუდუშაურის სულიერი ძმაა. მათი ცხოვრება გარეგნულადაც ჰგავს ერთმანეთს: ორივე ცნობილ უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობს და ორივე ჰუმანიტარული მეცნიერების ჭაპანს ეწევა. და რაც მთავარია, ორივე „პოეტია“. შესაბამისად ორივე იტანჯება. ცხოვრებაც ერთნაირად გაასრულეს — ორივე ხსენებულ ტანჯვას ემსხვერპლება. მაგრამ არის განსხვავებაც და საკმაოდ მნიშვნელოვანიც.

საქმე ის არის, რომ თ. მალლაფერიძის მოთხრობაში ზემოთ არაერთგზის ნახსენები ე. წ. „ინტელიგენტური კომპლექსი“ ერთგვარად უფრო სუფთა სახით, ყოველგვარი მინარევის გარეშე არის მოწოდებული. თუ ბერდია ღუდუშაურის სულიერი დეპრესიის მიზეზები გარკვეული მსჯელობის შემდეგ მაინც შეგვიძლია გამოვიყვანოთ გარეგანი ფაქტებიდან (მართალია, ეს არ იქნებოდა სწორი, მაგრამ ვგულისხმობთ იმ შესაძლებლობას, რაც მართლაც არის რომანში), მოთხრობის გმირის სულიერი დეპრესია ამ მხრივ სრულიად აუხსნელია. ჩვენ ვერაფრით ვერ მოვახერხებთ რაიმე გარეგანი ფაქტის ან მოვლენის საფუძველზე ავხსნათ ამ პერსონაჟის სულიერი დისკომფორტის მიზეზები, რადგან ასეთი ფაქტი ან მოვლენა მოთხრობაში არ არის. ამის გამო, მოთხრობის გმირის ტანჯვის ისტორია, მოთხრობილი გმირისავე პირით, როგორღაც თითქოს კამერულია, ერთგვარად ელიტარული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თავისი სულის ისტორიას მოგვითხრობს ინტელექტუალი კაცი, ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ასოციაციური წიაღსვლები თუ პარალელები მსოფლიო კულტურის ისტორიაში, რასაც ჩვენი გმირი მძიმე წუთებში მიმართავს.

გამოდის, რომ მოთხრობაში განსაკუთრებით მწვავედ უნდა იგრძნობოდეს ის დისპროპორცია, რაც საგრძნობი იყო ბერდია ღუდუშაურის ცხოვრებაში. მხედველობაში გვაქვს, ერთი შეხედვით, უცნაური შეუთავსებლობა ადამიანის საზოგადოებრივ და სულიერ მდგომარეობათა შორის. ამგვარი ტრაგიკული გახლეჩა მოთხრობის გმირს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული: „...ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. მონოგრაფიებისა და სტატიების ავტორი XIX-XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, მის სიტყვას ენდობიან და ანგარიშს უწევენ კომპეტენტურ წრეებში. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სტუდენტობის პატივისცემაც არ აკლია... დიახ, ის ოთარ ნეიძეა, საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, რომელიც სავსეა ხალისითა და შრომის უნარით, ნაირნაირი ლიტერატურული გეგმებითა და მიზნებით, ასე იცნობენ მას. სინამდვილეში კი ერთი უკიდურესად აწეწილ-აფორიაქებული, მარტოობის ჯვარზე მილურსმული ორმოცდაათი წლის მამაკაცია...“ (გვ. 14).

იგი მისთვის ჩვეული ოდნავ მანერული სტილით ასე გვიხატავს საკუთარ სულიერ ვითარებას: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ირგვლივ უკიდეგანო, უდასაწყისო და უდასასრულო, ამოუხაპავი და ამოუწურავი სიცარიელე სუფევს, დადიხართ ამ თეთრ სიცარიელეში ზუსტად ისე, როგორც ზოგიერთი ფილმის შენელებულ კადრებში დადიან, ხოლო ამაზრზენი სიცარიელე თან დაგყვებათ ყველგან, ყოველთვის და გეტმასნებათ ტანზე, გეკრობათ ტუჩებზე და თვალებზე, რაც ყველაზე აუტანელია. გიძვრებათ სულში, დაჟინებით გიძვრებათ სულში და თიმთიმებს დაუსაბამო, ბინძურ სითეთრედ. აი, ასეთი სიცარიელე დამდევს თან ამ ბოლო დროს“ (გვ. 8).

ამგვარი გლობალური სიცარიელე რაიმე გარკვეული, ხელშესახები მიზეზის უქონლად ნავანს შეიძლება ისეც მოეჩვენოს, თითქოს ვინმე ლიტერატორი კაცის ლიტერატურულად დამუშავებული პოზა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. მოთხრობის პერსონაჟის ტანჯვა ისევე რეალურია და გულისმომწყვლელი, როგორც ტანჯვა ბერდია ღუდუშაურისა. ზემოხსენებული სქემა მთლიანად ამ შემთხვევაზეა ზედგამოჭრილი, ანუ ტანჯვის მიზეზები „გარეთ“ კი არა, თვით ამ პიროვნების სულიერ აღნაგობაშია ჩაშენებული.

ჩვეულებრივი „გარეთ“ დამარცხებული, შეურაცხყოფილი კაცისთვის ერთადერთ ნავსაყუდელად საკუთარი ოჯახი იქცევა ხოლმე, როგორც ადგილი, სადაც შესაძლებელი ხდება სულიერი წონასწორობისა და ძალების აღდგენა. მაგრამ მოთხრობის გმირი ყველაზე ცუდად სწორედ საკუთარ ოჯახში გრძნობს თავს. ვთქვათ, დილით, სამსახურში წასვლამდე აფუსფუსებული ოჯახის წევრების ყოვლად ჩვეულებრივ ხმაურზე ეს ადამიანი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვარდება: „რა ვქნა, სად წავიდე, სად გადავიკარგო?“ — კითხულობს იგი უმწეოდ. სრულიად სხვა რიგის პრობლემებით დამძიმებულ მის სულს არ სურს და არც შეუძლია ოჯახის თავის ტვირთი ზიდოს. ფაქტიურად იგი ერთგვარ თვითგვემას ეწევა, როცა მთლიანად ეთანხმება გაკაპასებული ცოლის სიტყვებს: „მთელი ცხოვრება მხოლოდ შენს თავზე ფიქრობდი, მხოლოდ შენი პირადი სატკივარი გაწუხებდა, ოჯახს არაფრად აგდებდი... დავრდო-

მილ დედაშენსაც მე უნდა მოვუარო. ოჯახის ტვირთიც მე უნდა ვწიკო, შვილებსაც სირცხვილ-ნამუსი მე მოვწმინდო, შენ კი... უნიათო იყავი მუდამ..."

როგორც გვახსოვს, ბერდია ლუდუშაურს ყველაზე მეტად აწამებდა დაუკმაყოფილებლობის, საკუთარ თავში დაეჭვების გრძნობა. ამგვარი განწყობილება ასევე მწვავედ დაუფლებია მოთხრობის გმირსაც: „...როცა ორმოცდაათისა მოვიყარე, აღმოჩნდა, რომ ცხოვრება თითებშუა ჩაბნეულ ქვიშასავით გამპარვია, გაკეთებითაც, ვაგლახ, არაფერი გამიკეთებია, ხოლო ამის საფასედ, როგორც მოსალოდნელი იყო, უქმად ჩავლილი ცხოვრების მტანჯველი შეგრძნება და მარტოობისა და მიუსაფრობის მსახვრალი განცდა მომიმკია მხოლოდ". ხოლო მუდმივი კონფლიქტი განსხვავებული სულიერი აგებულების შვილთან, კიდევ უფრო ამძაფრებს და ახლოებს ტრაგედიის ბოლოს. ძირითადად იგივე ფუნქცია ეკისრება გმირის ურთიერთობას გაურკვეველი საქმიანობის, მაგრამ ფულმრავალ ვილიუკლებასთან. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველია ჩვენი გმირის ურთიერთობა, ანისთან. ეს ხაზი დაახლოებით იმ როლს უნდა ასრულებდეს მოთხრობაში, რასაც ბერდიას ცხოვრებაში ასრულებს მისი სამსახური. ანისთან დამოკიდებულება აღმოჩნდება ის სარკე, სადაც მთელი სისავსით წარმოჩნდება მოთხრობის გმირის ბუნება: მარადიული ყოყმანი, ნერუყობა, გაუბედაობა, რაღაცნაირი „სანახევრო" ურთიერთობა ამ ქალთან და განსაკუთრებით მძიმე სცენა ფასანაურის უბადრუკ სასტუმროში, რომელსაც ერთგვარი ლაიტმოტივივით გასდევს ადმინისტრატორი ქალის უადგილო ხითხითი, ცხადია, კეთილად ვერ განაწყობს მკითხველს გმირისადმი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონდა მწერალს, რითაც მჟღავნდება გმირისადმი მისი მიმართების ხასიათიც: მიუხედავად მწერლის კეთილგანწყობილებისა და თანაგრძნობისა თავისი გმირისადმი, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმის ამგვარი ბუნების კაცისა, მაინც თვლის, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. იგივე მოტივი თამაზ ბიბილურის რომანშიც უნდა ისმოდეს და ეს ბუნებრივია. ამას განაპირობებს ის გარდაუვალი ჩიხი, რითაც ასეთი ცხოვრება მთავრდება ხოლმე. ალბათ უამრავი მოდიფიკაცია არსებობს „პოეტის" ცხოვრებისა, შეიძლება ყველა არც დასრულდეს ასე ნაადრევად და ტრაგიკულად, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი რამ, ეს არის ერთი შეხედვით სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი ტანჯვა, რაც ჯოჯოხეთად აქცევს ხოლმე მათ ცხოვრებას.

მ. ზოშჩენკო თავის საინტერესო წიგნში „მზის ამოსვლის წინ" შეგვახსენებს მრავალი დიდი ადამიანის ცხოვრებას, რომელთაც არა ერთი და ორი მწარე დღე გაუტარებიათ ამ დემონის ხელში. ლევ ტოლსტოი წერდა: ვმალავ თოკს, რათა მარტოობის ჟამს ჩემსავე ოთახში თავი არ ჩამოვიხრჩო. სანადიროდ რომ მივდივარ, თოფი არ დამაქვს, მეშინია, ვერ გავუძლებ ცდუნებას და თავს მოვიკლავ. ასე მგონია ჩემი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ სულელური ფარსი იყო. ცხადია, უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ამგვარ ადამიანთა ტანჯვის მიზეზები მოუგვარებელ ცხოვრებაში, სოციალურ პირობებში და საერთოდ, რაიმე საყოველთაო ხასიათის პრობლემებში იყოს, რადგან, როგორც ჩერნიშევსკის უთქვამს თავის დროზე, მსოფლიო პრობლემების გამო ადამიანები არც თავს იხრჩობენ, არც ტყვიას იხლიან და არც სიგიჟემდე მიდიან. როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთ სიტუაციაში ძირითადად დამნაშავეა ხოლმე ე. წ. „ინტელიგენტური კომპლექსი", მაგრამ როგორია იგი კონკრეტულად და საიდან იღებს დასაბამს? უნდა ვიფიქროთ, რომ ალბათ ყოველთვის და ყველაფერს ამ პრობლემასთან ფიზიოლოგიური მიდგომაც ვერ ახსნის.

## 2.

„იგისაგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო"

ჯემალ ქარჩხაძე

თ. მალლაფერიძის მოთხრობის გმირი ერთგან გაკვრით ახსენებს ჰერმან ჰესეს ცნობილ რომანს „ტრამალის მგელი" (იხ. „მნათობი", 1986, № 6). როგორც დიდი გერმანელი მწერლის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი, რეზო ყარალაშვილი, წერს, გარკვეულად ჰ. ჰესეს მთელი შემოქმედება ადამიანის შინაგანი წონასწორობის აღდგენის ცდა და დაკარგული ჰარმონიის ძიებაა. მით უფრო ეს ითქმის ისეთ რომანზე, როგორიცაა „ტრამალის მგელი", რომელიც, როგორც ცნობილია, წერილის ერთ-ერთი დიდი სულიერი კრიზისის პერიოდში დაიწერა. რომანის მთავარი გმირის, ჰარი ჰალერის, ცხოვრებაზე დაკვირვებამ ბევრი რამ საინტერესო უნდა გვითხრას ჩვენთვის მნიშვნელოვან პრობლემაზე, რადგან, როგორც ჰალერის, ისე ჩვენი გმირების ტანჯვას ერთი სახელი აქვს, ეს არის მკვეთრი შინაგანი დისონანსი, ღრმა სულიერი დისკომფორტი. მათ ტანჯვას განსაკუთრებით აძლიერებს სრული დაპირისპირება, შეუთავსებლობა „არსებობის ბიურგერულ ფორმებთან", ანუ რაც იგივეა, „პროტესტი სამომხმარებლო იდეალების მიმართ".

რომანს თანდართულ „ავტორის ბოლოთქმაში" ჰერმან ჰესე სთხოვს თავის მკითხველს, აუცილებლად გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ „თუმცა ეს წიგნი სულიერ ტანჯვაზე მოგვითხრობს, იგი მაინც სასოწარკვეთილი კი არა, რწმენასთან წილნაყარი კაცის ნალ-

ვაწია“ და, რომ „მართალია, ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის“ (ჰ. ჰესე, ტრამალის მგელი, გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები რეზო ყარალაშვილისა, თბ., 1985,).

როგორც მკითხველისადმი ამ მიმართვიდან ჩანს, რომანში არა მარტო ხსენებული „ინტელიგენტური კომპლექსის“ ფესვებია გაშიშვლებული, არამედ მითითებულია ერთგვარი გზაც ტანჯვიდან თავდაღწევისა. გასაგებია, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც პირველი, ისე მეორე მომენტი, მაგრამ ვერცერთს ვერ ჩავწვდებით რიგიანად, თუ მანამდე არ ვნახეთ, კონკრეტულად როგორ ესმის ჰ. ჰესეს „ბიურგერობა“.

ბიურგერობა, მწერლის აზრით, ადამიანური არსის განუყოფელი თვისებაა. იგი „სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი მეცადინეობა დაიცვას წონასწორობა, დაიმკვიდროს შუალედური ყოფა ამქვეყნიურ უკიდურესობებსა და დაპირისპირებულობათა შორის“. ავიღოთ ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილი: წმინდანი და მრუში. „ბიურგერი ცდილობს ამ ორ გზას შუა იაროს და არსად გადაუხვიოს, იგი არასოდეს განუდგება არც საკუთარ თავს და არც ქვეყნიერებას, ღვინოს არ მიეძალება, წმინდანობას არ დაიჩემებს და არც თავს გაინადგურებს, რადგან მისი იდეალი თვითგანდგომა კი არა, თვითდაცვაა... ერთი სიტყვით, ბიურგერი წინააღმდეგობათა შორის დამკვიდრებას ლამობს ჯანსაღსა და ზომიერ სარტყელში, სადაც არც ქარიშხალი მძვინვარებს და არც ჭექა-ქუხილი გრგვინავს. აკი კიდევაც აღწევს მიზანს, თუმცა ამას სისხლსავსე ადამიანურ გრძნობებს ანაცვალებს, რასაც ადამიანს გარდუვალობითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ანიჭებს... ბიურგერი, ნაცვლად იმისა, მთელი არსებით იყოს შეპყრობილი ღმერთთან სიახლოვის წადილით, დამშვიდებული სინდისით ცხოვრობს ქვეყანაზე, ნეტარების ნაცვლად სიამოვნებით კმაყოფილდება, თავისუფლებას კეთილმოწყობილ ცხოვრებას ანაცვალებს...“

რა თქმა უნდა, ეს იგივე ე. წ. „ნელ-თბილი“ ადამიანია იოანეს გამოცხადებიდან (8. 15, 16), რაც იმას მოწმობს, რომ ბიურგერობა ადამიანური არსის მართლაც მარადიული და საყოველთაო კატეგორიაა.

„პოეტის“ სულიერ დისკომფორტს და ხშირად ტრაგედიას ფესვები აქა აქვს გადგმული. იგი ვერაფრით ვერ ეგუება, ვერ „ეტევა“, ვერ „იმართება“ ამგვარ ადამიანთაგან დადგენილ, დაკანონებულ ცხოვრების წესში. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ხშირად ვერც მისგან განთავისუფლებას, იქიდან „ამოვარდნას“ ახერხებს. „მსგავს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ინტელიგენტთა უმრავლესობა, ხელოვანთა უდიდესი ნაწილი, — წერს ჰ. ჰესე, — მათ შორის მხოლოდ უძლიერესთ შესწევთ ძალა მოწყდნენ ბიურგერულ ნიადაგს და ზეაიჭრან კოსმოსში, დანარჩენები დამარცხებას ეგუებიან და ფარხმალს ყრიან. მართალია, ბიურგერობა სძულთ, მაგრამ მას მაინც ვერ აღწევენ თავს და იძულებული არიან განამტკიცონ და განადიდონ იგი, რათა ბოლოს ამქვეყნიური სამკვიდრო შეიქმნან. ასეთი ადამიანების რიცხვი ძალზე დიდია. მათ არ შესწევთ ძალა გასწიონ ტრაგიკული ცხოვრების ჰაპანი, მათ მხოლოდ თავიანთ ავბედით ყოფასთან შეგუება შეუძლიათ, რომლის ჯოჯოხეთშიც იკუპრება და ილექება მათი ნიჭიერების მადლი. ის თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები, რომლებიც თავს აღწევენ ყოველივე ამას, აბსოლუტს ეზიარებიან და ღირსეულად იღუპებიან... მათი რიცხვი ძალზე მცირეა...“

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობ, ზედმეტია, მკითხველისათვის ჩვენი გმირების ცხოვრების გზის შეხსენება. ისედაც ყველაფერი ნათელია. მაგრამ იბადება ორიოდე კითხვა, რომელთაც პასუხი უნდა გავცეთ:

1. საიდან ან რატომ უჩნდება „ინტელიგენტთა უმრავლესობას, ხელოვანთა უდიდეს ნაწილს“ ბიურგერობის სიძულვილი და შესაბამისად მასთან შეუთავსებლობის, დაპირისპირებულობის გრძნობა?

2. როგორ, რა გზით არის შესაძლებელი „ბიურგერულ ნიადაგზე“ ამაღლება, ანუ ტანჯვისაგან თავდაღწევა?

კითხვებს რომ ვუპასუხოთ, საჭიროა თუნდაც ძალზე მოკლედ და სქემატურად დავალაგოთ, როგორ წარმოედგინა ჰერმან ჰესეს განკაცების, პიროვნების თანდათანობითი სრულქმნის პრობლემა.

ჰ. ჰესეს აზრით, ყოველმა ადამიანმა ფიზიკური ზრდაგანვითარების პარალელურად შინაგანი მომწიფების გზაც უნდა გაიაროს, რომლის საწყისი ეტაპი ძირითადად სრულდება ერთგვარი სოციალური ნიღბის შექმნით. ეს უკანასკნელი, რომელიც დროთა განმავლობაში ისე შეეზრდება ხოლმე ადამიანს, რომ ძნელი გასარჩევი ხდება, თუ სად თავდება ნიღაბი და სად იწყება პიროვნება, ძალზე მოსახერხებელი რამაა გარე სამყაროსთან ურთიერთობისას, რის გამოც ადამიანი ხშირად სრულიად აიგივებს თავს მასთან. მწერალი თვლის, რომ ამგვარი ვითარება ძალზე საზიანოა, რადგან იგი შუა გზაზე ამუხრუჭებს განკაცების პროცესს: მას, ვინც ნიღაბი მხოლოდ საზოგადოებისაგან მოწონებული ნიშანთვისებებისაგან შეიქმნა, ბრბოში გათქვეფა და ე. წ. „ჯოგურ ადამიანად“ გადაქცევა ემუქრება. ხოლო ის, ვინც არად ჩააგდო საზოგადოებრივი აზრი და ნიღაბი საკუთარი ოცნება-სურ-

ვილის მიხედვით შეიქმნა, მეტად ირთულებს მდგომარეობას, რადგან ამის შემდეგ იგი მუდმივ განხეთქილებაში უნდა იყოს საზოგადოებასთან.

ჰ. ჰესეს აზრით, მუდმივ დაპირისპირებასა თუ ტრაგიკულ შეუთავსებლობას „პოეტსა“ და საზოგადოებას შორის სწორედ ეს უკანასკნელი ვითარება უდევს საფუძვლად, უფრო კონკრეტულად, სოციალურ ნილაბთან თავის გაიგივება ანუ შუა გზაზე შეწყვეტილი განკაცების პროცესი. ამგვარი მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა პირველივე ეტაპზე შეწყვეტილი ხსენებული განკაცების პროცესის გაგრძელებაა.

საქმე ის არის. რომ ადამიანი არ ამოიწურება მხოლოდ ცნობიერი ფსიქიკით. იგი ცნობიერებიდან განდევნილ შინაარსებსაც და პიროვნულსა და კოლექტიურ არაცნობიერსაც მოიცავს. ამდენად, პიროვნების ჭეშმარიტი მთლიანობა ფსიქიკის ცნობიერ და არაცნობიერ შინაარსთა ერთობლიობაშია.

„პოეტმა“ უნდა მოახერხოს უარი თქვას თავის ნილაბზე და თვალი გაუსწოროს საკუთარი ცნობიერი ფსიქიკიდან განდევნილ შინაარსებს, ანუ შინაგან ხატს, ეს უკანასკნელი კი თავის დროზე სხვადასხვა მოსაზრებებით (ეთიკური, ესთეტიკური...) დათრგუნვილი და განდევნილი ამბებისაგან შედგება. ეს პროცესი ძალზე მძიმეა და რთული („მხოლოდ უძლიერესთ შესწევთ ძალა, მოწყდნენ ბიურგერულ ნიადაგს და ზეაიჭრან კოსმოსში...“), მაგრამ იგი აუცილებელია, რადგან „საკუთარი ბუნების საწინააღმდეგო მხარეთა შერიგება ჭეშმარიტი ადამიანის იდეალის განხორციელებისა და საკუთარ თავში არსებულ შესაძლებლობათა რეალიზაციის საწინდარია“ (რ. ყარალაშვილი, ჰერმან ჰესეს შემოქმედების პრობლემები, თბ., 1980, გვ. 22).

მაგრამ სწორი არ იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ცნობიერისა და არაცნობიერის ამგვარი სინთეზით კონფლიქტს „პოეტისა“ საზოგადოებასთან ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება და უკვალოდ გაქრება. სრულიადაც არა, რადგან ხსენებულ კონფლიქტს ერთგვარად მარადიული საფუძველი აქვს. ბიურგერისა თუ მეშჩანისათვის „პოეტი“ ასეთ შემთხვევაშიც არანორმალური, ჭკუიდან შეშლილი დარჩება, თუნდაც იმიტომ, რომ მათ სჯერათ თავისი გუმანისა და იციან, უმალ გაგიჟდებიან ვიდრე ხელოვანის, ფილოსოფოსისა და მორწმუნე კაცის დარად შეეცდებიან, თვალი გაუსწორონ თავის შიდა სამყაროს უძირო წიაღს (ჰ. ჰესე). ამრიგად, ხსენებულ დაპირისპირებას ყავლი არასოდეს არ გასდის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჰესეს მიხედვით, ადამიანური ბუნების საწინააღმდეგო მხარეთა შერიგების შემთხვევაში პიროვნება ისეთ ღვთაებრივ სისავსეს, ისეთ ყოვლისმომცველ მთლიანობას ეზიარება, როგორსაც რომანში „უკვდავნი“ (გოეთე, მოცარტი) განასახიერებენ. ამის შემდეგ კი „სამყაროს გაშლილ სივრცეებში აჭრილი“, „აბსოლუტს ნაზიარები“ პოეტი უკვე მიუწვდომელი ხდება ყველა იმ სამიზროებისათვის, რომელნიც უხვადა აქვს თავის არსენალში „ნელ-თბილთა“ საზოგადოებას (განკაცების პრობლემის შესახებ უფრო ვრცლად იხ. რომანს წამძღვარებული რ. ყარალაშვილის წერილი „შეშლილობის“ აპოლოგია).

„ტრამალის მგელში“ ეს კონცეფციაა მხატვრულად ხორცშესხმული. ჰარი ჰალერს მაშინ ვეცნობით, როცა მან დიდი ძალისხმევის შემდეგ, ცოტაც და, უნდა მოახერხოს საკუთარი ნილბის დაძლევა. ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად იგი ცდილობს თვალი გაუსწოროს საკუთარ არაცნობიერს. მთელი „მაგიური თეატრი“ და იქაური თავგადასავლები სხვა რა არის, თუ არა ჰალერის არაცნობიერის ის შრეები, რომელთაც იგი წლების განმავლობაში სხვადასხვა მოსაზრებებით მკაცრად თრგუნავდა და ჩქმალავდა. იგი ცდილობს, აღადგინოს საკუთარი ბუნების ეს აქამდე უარყოფილი ნაწილი, „რათა ამ გზაზე, ვინ იცის, ერთხელაც პიროვნების იმ ჭეშმარიტ მთლიანობას მიაღწიოს, რომელიც განკაცების იდეალური მიზანია“ (რ. ყარალაშვილი).

რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“, სადაც მწერალმა ჩვენთვის საინტერესო პრობლემა თავისებური კუთხით დააყენა.

ნაწარმოებში მოქმედება გადატანილია პრეისტორიულ ხანაში და მოგვითხრობს „პირველი“ პოეტის დაბადებისა და ტრაგიკული აღსასრულის ისტორიას. მოთხრობაში იმდენად უჩვეულო სიცხადეა მიღწეული „პოეტისა“ და საზოგადოების ურთიერთმიმართების რთული და არაერთმნიშვნელოვანი სისტემის დახატვის დროს, რომ ნაწარმოებს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ფორმულა საზოგადოებისა და პოეტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მწერალი ცდილობს, მოგვითხროს პრეისტორიულ ადამიანებში დატრიალებული „პირველი პოეტური ტრაგედიის“ შესახებ. ამ გარემოებამ საშუალება მისცა მწერალს, დაეხატა მხოლოდ მთავარი, არსებითი და ნაკლებად, ან საერთოდ არ ეზრუნა უამრავი ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალის (რაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მოქმედების ადგილის და დროის ერთგვარი ფონი) გადმოცემაზე, რომელთა გარემოცვაში ზოგჯერ ძნელი მისაგნები ხდება ხოლმე ის, რისთვისაც საერთოდ დაიწერა ესა თუ ის ნაწარმოები.

მოთხრობაში „პოეტს“ იგი ჰქვია.

თავიდანვე ვგებულობთ, რომ მეორე დღეს, გათენებისთანავე იგი მაღალ ქარაფზე უნდა ავიდეს და იქიდან დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვას, ანუ სიკვდილით უნდა დაისაჯოს. უჩვე-

ული ამ სიტუაციაში ის არის, რომ მანამდე მსგავსი ამბავი არასოდეს მომხდარა. ამ საბედისწერო დღემდე დიდი დაძინების ქარაფზე მხოლოდ ის ადიოდა (ე. ი. ამ წესით მხოლოდ ის უნდა მომკვდარიყო), ვისი დაბადებაც აღარავის ახსოვდა და ვისაც აღარც კეტის ტრიალი შეეძლო და აღარც ნადირის დევნა. ამ გზის გავლა უწევდა დამარცხებულ ბელადსაც... რაც შეეხება იგის, ეს უკანასკნელი არც დაძაბუნებული ბებერია და არც დამარცხებული ბელადი, მაგრამ მაინც უნდა ავიდეს დიდი დაძინების ქარაფზე. ასე გადაწყვიტა განრისხებულმა ბელადმა, ასე სურთ სხვა თანამოძმეებსაც.

ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, რომ მწერლის ნებით ჩვენ, მკითხველები უდიდესი უსამართლობის დაბადების თანადამსწრენი უნდა გავხდეთ: ხვალ, გათენებისთანავე ვიღაცის ნებით სიცოცხლეს უნდა გამოესალმოს ადამიანი, რომელიც არც ქურდი ყოფილა, არც მკვლელი და არც სხვა რამ სახის დამნაშავე. ერთადერთი დანაშაული, რაც ამ კაცს მიუძღვის საზოგადოების წინაშე ისაა, რომ იგი „პოეტია". ამდენად, პირველი პოეტის დაბადებას მოჰყვა სიკვდილით დასჯის დაუწერელი კანონის გაჩენაც...

ეს ამბავი იმ წვიმიან დღეს დაიწყო, როცა ახლანდელი ბელადის (ვის დანახვაზე ძლიერი ნადირებიც კი დამფრთხალი გარბოდნენ) მამა, შვილისგან დამარცხებული ბელადი, უკანასკნელად ააცილეს დიდი დაძინების ქარაფზე. ყველაზე ბოლოს მდგარი იგი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ თავის თანამოძმეებივით წყალში მოხრილი აღარ არის. „იგი ისეთი არ არის, როგორიც არიან სხვები"—ზარივით დარეკა უცებ მის თავში, მაგრამ რიგიანად ვერც კი მოასწრო ამ ფაქტის გააზრება, რომ ინსტიქტური შიში იგრძნო. ეს შიში რეალობად მაშინ იქცა, როცა წყალში გამართულ იგის თანამოძმენი ისე შეხედავენ, თითქოს მანამდე არ ენახოთ, ხოლო მისი დანახვისას ბელადს (ვის დანახვაზეც ძლიერი ნადირებიც კი დამფრთხალნი გარბოდნენ) ისეთი ავი ღრენა აღმოსკდება ხორხიდან, რომ შეუძლებელია იგის დაავიწყდეს.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იგის შიშზე არანაკლები ძალით ტანჯავს მარტოობის გრძნობა. მწერალი მართალ, ზუსტ ფრაზას გვეტყვის: „როცა მარტო იყო იგი, მაშინ არ გრძნობდა მარტოობას, სხვებთან როცა იყო, მაშინ გრძნობდა". იგი ყველამ გაინაპირა. კაცები ისე უყურებდნენ, როგორც უცხო რამ სულიერს და მის გვერდით ყოფნას ერიდებოდნენ. ხოლო ბელადს იგის დანახვაზე კბილები ავად უელავს და თვალებში მრისხანება უდგება.

ამრიგად, მოქმედებას იწყებს ცნობილი მექანიზმი: ადამიანთა მასა ვერ ითმენს, ვერ იტანს მის გვერდით განსხვავებულს, სხვას. კონფლიქტი გარდუვალი ხდება.

მაგრამ თანამოძმეთაგან განსხვავებულ განვითარების გზაზე ახლად ფეხშემდგარი იგი, მოვლენების ასეთი განვითარებით სასტიკად დაფრთხება და ძალზე წინდახედულად გადაწყვეტს: „იგი ისეთი უნდა გახდეს, როგორიც არიან სხვები. მაშინ იგი მარტო აღარ იქნება და წუხილიც თავს დაანებებს".

თვითშენახვის გრძნობით ატანილი იგი გადაწყვეტს კვლავ წყალში მოიხაროს, რადგან სალი აზრი უკარნახებს, რომ თანამოძმეებთან დაპირისპირება ცუდი შედეგების მომტანია. მაგრამ კვლავ წყალში მოხრა ვერ აღმოჩნდა იოლი საქმე — იგის წინ მძიმე ფიზიკური ტკივილები გადაელობა.

გასაგებია, რომ მოთხრობაში წყალში გამართვა ან პირიქით, მოხრა ერთგვარი მეტაფორაა, რომლის უკან ვრცელი და ღრმა შინაარსია საგულვებელი. ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ იგი ხელმეორედ წყალში მოხრა, ანუ მასაში გათქვეფა, ძლიერ გაუჭირდება. და თუმცა, ბოლოს და ბოლოს მოახერხებს ამას, მაგრამ ძალზე სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ მიღწეული წონასწორობით ტკბობა ძალზე ეფემერული გამოდგება.

ერთ ღამეს, როცა გამოქვაბულში ყველას ეძინა, იგის კვლავ მოაკითხა წუხილმა და მარტოობის შეგრძნებამ, ოღონდ ამჯერად გაათკეცებული ძალითა და ენერგიით. იგი უსაზღვროდ იტანჯება, რადგან ვერაფრით ვერ გაუგია რა უნდა: „იგის ველარაფერი გაეგო, განა იმისათვის არ იწვალა ამდენი, რომ წუხილის ნება შეესრულებინა და ისეთი გამხდარიყო, როგორიც არიან სხვები? განა ამას არ მოითხოვდა წუხილი მისგან? მაშ რაღად დაბრუნდა? რაღას მოითხოვს? იგის ველარაფერი გაეგო".

მაგრამ როცა მძვინვარე სულიერი ტკივილებისგან ღამე გარეთ გამოგდებული იგი შემთხვევით კვლავ წყალში გაიმართა — წუხილი გაქრება.

შემთხვევითო ვთქვით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, ცხადია, მწერალი ასეთ მნიშვნელოვან გარემოებას მხოლოდ შემთხვევის იმედზე ვერ მიაგდებდა. მოვლენებს სრულიად გარკვეული კანონზომიერება მართავს.

იმ ღამეს, როცა სულიერმა ტანჯვამ ძილიც დაუფრთხო და გამოქვაბულიდან გარეთაც გამოაგდო იგი, მან დიდხანს იხეტიალა, მაგრამ შვება ვერსად ვერ ნახა. ბოლოს გასავათებული ზღვის ნაპირას ჩამოჯდა. „უცებ შორს, სადაც ცა ზღვაში ეშვებოდა, სხივი გამოჩნდა. იგი დააკვირდა და თვალი ააყოლა. სხივი ერთ ადგილას გაწყვეტილი იყო, ზემოთ ისევ ჩანდა. იგიმ უფრო მაღლა ააყოლა თვალი, კიდევ უფრო მაღლა, კიდევ უფრო მაღლა. ზურგში ტკაცანი გაისმა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს სხივის დედა დაინახა, ღამის თვალი, რომელიც ღრუბელზე იჯდა და იგის უყურებდა. მთელი ცა ბრჭყვიალა კენჭებით იყო მოფენილი.

იგის რაღაცნაირი ხმა აღმოხდა...

და მაშინვე იგრძნო, რომ წელში გამართული იჯდა.

სწრაფად წამოხტა, გაშეშდა და საკუთარ სხეულს მიაყურადა.

წუხილი გამქრალიყო".

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მშვენიერი, ამავე დროს, ღრმა სიმბოლური შინაარსით დატვირთული სურათია.

იმ ტომიდან, რომელსაც იგი ეკუთვნის და რომელიც ახლა გამოქვაბულში შეყუჟულა და სძინავს, მხოლოდ იგის აქვს სურვილი და უნარი, თავის გარშემო ისეთი საგნები შეამჩნიოს, შემდეგ კი გაოცდეს და დატკბეს მათი იდუმალი მშვენიერებით, როგორიცაა, ვთქვათ, შუაღამის ტყეში ბალახის სუსტ ფოთოლზე საიდანღაც შემოპარული მთვარის სხივისაგან აკიაფებული ნამის წვეთი... ასეთი „უსარგებლო" საგნების აღსაქმელადაა გადახსნილი იგის სული. ამ ლოგიკის ძალით, სწორედ მაინცდამაინც იგის უნდა შეემჩნია სადღაც ჰორიზონტის კიდეზე აკიაფებული იდუმალი სხივი, სწორედ იგი უნდა დაინტერესებულიყო მისით და სწორედ იგის უნდა აედევნებინა თვალი იმავე სხივისათვის და არა სხვა ვინმეს, რათა ბოლოს ისეთი საოცრება ეხილა, როგორიცაა ღამეული, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.

ამჯერად უკვე საბოლოოდ წელში გამართული, ბუნების ამ გრანდიოზული სურათის მჭვრეტელი, ადამიანთაგან პირველი პოეტი იგი, საოცარი ჰარმონიით ივსება. მისი სული იდუმალ მეტამორფოზას განიცდის:

„იგი იდგა გამართული და ცის თვალს შესცქეროდა. და ცის თვალსაც, შორეულ ბრჭყვიალა კენჭებსაც, ტყესაც და ზღვასაც ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ხელ-ფეხს.

არაფერი არ იყო „ცუდი". არაფერი არ იყო „კარგი". ყველაფერი ისე იყო, რომ ვერც „ცუდი" დააკლებდა რამეს და ვერც „კარგი" შემატებდა.

მერე საკვირველი სითბო, რომელსაც ზღვა გამოსცემდა, ცა, ცის თვალით მკრთალად განათებული ქედები, ტყე და ყველაფერი, რაც ირგვლივ ჩანდა, ყოველი მხრიდან შემოვიდა იგის სხეულში. იგიმ უნებურად თვალები დახუჭა და იგრძნო, რომ ისე იყო, თითქოს სულაც არ ყოფილიყო".

ამ ჭეშმარიტად კოსმიური, რაღაცნაირად პირველყოფილი უშუალობით ბუნებაში განზავების შემდეგ იგის დიდი სიმშვიდე დაეუფლება. ეს იგივე „სამყაროს გაშლილ სივრცეებში აჭრა" და „აბსოლუტს ზიარება" უნდა იყოს, რაზედაც ჰ. ჰესე წერდა, მაგრამ სხვა გზით განხორციელებული. იგის არსებიდან უკვალოდ გაქრება შიში და მარტოობის დამთრგუნველი გრძნობა, ერთ დროს რომ ხელახლა წელში მოხრა აიძულა. ამიერიდან მას რაღაცნაირი ყველაფრის მიმტევებლური გრძნობა უჩნდება როგორც თავის წელში მოხრილ თანამოძმეთა მიმართ, ისე მათ შორის ყველაზე მეტად მოხრილ, ვიწრო და ბრტყელ შუბლიან, მრისხანედ კბილებდაკრეჭილ ბელადის მიმართაც, რომლის დანახვაზე ძლიერი ნადირებიც კი დამფრთხალნი გარბოდნენ.

ამიერიდან იგის საქციელში ე. წ. სადი აზრისგან აღარაფერი რჩება. ამიტომ მისი სიკვდილის წამი სწრაფად ახლოვდება. მაგრამ ეს არის „აბსოლუტს ნაზიარები ადამიანის ღირსეული სიკვდილი", რომელიც უნდა ვიფიქროთ, განუზომლად მაღლა დგას იმ უნიათო და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებაზე, რაც შიშით წელში მოხრილ იგის ელოდა.

მოვლენები სწრაფად განვითარდა.

ერთხელაც იგი დაასკვნის: „იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც თვით ბელადმაც კი არ იცის". ხოლო ბელადებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ამგვარი ადამიანები. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ იგის უპირატესობა არ არის ფიზიკურ-მატერიალური ხასიათისა, ამიტომ კეტით ვერაფერს მოუხერხებ, მაგრამ მისი არც მოთმენა შეიძლება. ასეთ უჩვეულო სიტუაციაში ჩავარდნილი ბელადის ტლანქი გონება მონახავს ყველაზე მოულოდნელ, ყველაზე ბარბაროსულ, მაგრამ კაცმა რომ თქვას, იმავდროულად მისთვის ერთადერთ გამოსავალს:

„ბელადმა კეტი მაღლა შემართა და სიჩუმე რომ ჩამოვარდა, თქვა:

— როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება.

ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.

შეშფოთებამ იგის თავით ფეხამდე დაუარა.

იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა. ბელადმა ახალი სიტყვები გააჩინა.

იგიმ არ იცოდა, მისი სხეულის რომელი ნაწილი გრძნობდა, რომ ეს სიტყვები აღარასოდეს გაქრებოდა და ყველა მომავალი ბელადის თავში იქნებოდა საშიში და გამზადებული, როგორც მომარჯვებული კეტი".

თავისთავად უბრწყინვალეს სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს: პირველად სიკვდილით დასჯილი კაცი პირველი პოეტი იყო...

თითქოს ამ მოთხრობას ეხმაურებაო, ჰ. ჰესე წერდა:

„...შეუძლებელია, რომ „ნორმალურს" ებიძგოს და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წაეწიოს კაცობრიობა. ნორმალურები მუდამ კონსერვატორები იყვნენ და იქ ერჩივნათ დარჩენა, სადაც ნაკლები ხიფათი ელოდათ... ნორმალური მაიმუნი არასოდეს არ ინატრებდა, ხე მიეტოვებინა და წელში გამართულს გაევლო დედამიწაზე. ის, ვინც პირველმა გააკეთა ეს, პირველმა იოცნება და შეეცადა ფრთები შეესხა თავისი ოცნებისათვის... პოეტი და ნოვატორი, შერეკილი და ახი-

რებული ვინმე გახლდათ, და არა ნორმალური. ნორმალურები, ასე მგონია, იმისთვის იყვნენ გაჩენილნი, რათა რომელიღაცა რასის, სახეობისა და ცხოვრების წესის ერთხელ ნაპოვნი ფორმა შეენარჩუნებინათ, დაეცვათ და განემტკიცებინათ... შერეკილები კი იმისთვის გააჩინა ღმერთმა, რომ... ისეთ რამეებზე იოცნებონ, რაზეც ჯერაც არავის უოცნებია, რათა, ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს თევზი ხმელეთზე გამოვიდეს, ხოლო ჩვეულებრივი მაიმუნი ადამიანის მსგავს მაიმუნად იქცეს".

სწორედ ამ პათოსითაა გამსჭვალული ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის ფინალი.

თავის უკანასკნელ გზაზე, დიდი დაძინების ქარაფზე მძიმედ ალმავალ იგის ყველაზე მეტად ის აწუხებს, რა დარჩება მისგან სიკვდილის შემდეგ. უფსკრულში ბოლო ნაბიჯის გადადგმამდე იგი სწრაფად შემოტრიალდა „და უცებ შეკრთა. სხეულში თბილმა ტალღამ დაუარა. და სანამ თვალები მიხვდებოდნენ რა დაინახეს. სიტყვებმა უხმოდ თქვეს: „იგიმ იცის, რა დარჩება მისგან!" ისინი (თანამოძმენი) იდგნენ მოხრილები, გრძელი ხელები კოჭებამდე დასთრევდათ, ვიწრო შუბლები მიწისთვის მიეშვირათ და ქვემოდან შემოსცქეროდნენ იგის... და იგი მიხვდა, რომ ყველაზე, უფრო, ცის თვალებზე, შორეულ ქედებზე, ზღვაზე და ტყეზე უფრო, მისი წელში მოხრილი, ვიწროშუბლიანი ძმები შესთხოვდნენ და ევედრებოდნენ: გაიმართოს იგი! დაწინაურდეს იგი! და ბოლოს, როცა უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა და ფეხქვეშ მიწა ველარ იგრძნო, უხმოდ თქვა თავის სხეულში: „იგისაგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო".

* * *

ასე წარმოგვიდგება „პოეტის" ცხოვრებისა და აღსასრულის ძირითადი თავისებურებანი, რომელნიც ადამიანური არსებობის უცნაური კანონზომიერების გამო თითქმის ყოველთვის ტრაგიკულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ღლონტი

# ქვეყნად სიკეთის მთესველი

## გიორგი ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავის შესრულების გამო

ქართული ენათმეცნიერების ისტორიას სამი განუყრელი პირის სახელი ამშვენებს. ესენია: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი. მათ სახელებსა და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული საუნივერსიტეტო ენათმეცნიერების ჩასახვა და განვითარება საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა იმ თანავარსკვლავედში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდა, ხსენებულ სამ პირს ჭეშმარიტ მნათობთა როლის შესრულება დააკისრა ისტორიამ და ეს მისია მათ სასახელოდ შეასრულეს. აკი თავად ი. ჯავახიშვილი ბრძანებდა: „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძისა, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, გარდაცვალების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა“. მართლაცდა აკ. შანიძემ ქართველური ენების შესწავლა განვითარების მწვერვალზე აიყვანა, გ. ახვლედიანმა კი ჩვენში სათავე დაუდო ზოგად ენათმეცნიერებას და, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, ცოდნის ეს დარგი მნიშვნელოვნად დააწინაურა, აღზარდა სპეციალისტთა თაობები, რომელთა შემოქმედებითი წარმატებები დღეს საქვეყნოდაა ცნობილი.

გ. ახვლედიანი გამორჩეული პიროვნება იყო, ჭეშმარიტად განუმეორებელი, ნათელი შუბლის მოქალაქე იყო. ვის დაავიწყდება მისი განუყრელი ღიმილი და ალერსი, მამობრივი მზრუნველობა ახალგაზრდობაზე, მცირე და დიდ საქმეზე. მის სახელთანაა უშუალოდ დაკავშირებული ჩვენში ზოგადი და ქართული ფონეტიკის, ინდოლოგიის, ირანოლოგიის, რუსისტიკის, ლოგოპედიის განვითარება. ის გახლდათ ცოდნის ამ დარგების მეაკვნე და პირველი თეორეტიკოსი. მის მიერ აღმოჩენილი და დადგენილი კანონზომიერებანი ახვლედიანის კანონის სახელითაა გავრცელებული. მათ კარგად იცნობს ლინგვისტიკური სამყარო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ორტომიანი მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, ავტორებმა გ. ახვლედიანს რომ მიუძღვნეს მ. პეტერსონსა და გ. წერეთელთან ერთად. გ. ახვლედიანმა მშობლიურ ენაზე შექმნა ქართული და ზოგადი ფონეტიკის პირველი მონოგრაფიები, რუსული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა, ენათმეცნიერების შესავლისა და სანსკრიტის პირველი სახელმძღვანელოები, პირველი ლოგოპედიური გამოკვლევები. გ. ახვლედიანი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც სამშობლოში ეახლა და თავის დედაენაზე ესაუბრა მახათმა განდის, ინდოეთის დიდ შვილს. ცნობილია, თუ ამ ფაქტმა თავის დროზე რა ცხოველი გამოძახილი გამოიწვია მხოფლიოში.

გ. ახვლედიანს გულით ახარებდა ყოველი სიახლე. ირგვლივ მუდამ სიკეთეს აფრქვევდა. ალერსით ათამამებდა ყველას, ვინც ემსახურებოდა ხალხის საქმეს, თავისი წვლილი შეჰქონდა მეცნიერების, კულტურის, განათლების, სპორტის განვითარებაში. ბევრ მათგანს უძღვნიდა საკუთარ წიგნებს სამახსოვრო წარწერებით, უგზავნიდა საოცრად თბილ წერილებს. ამ წერილების ადრესატები ცხოვრობდნენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. დაჯილდოებული იყო საუკეთესო ადამიანური თვისებებით. მაღალი ინტელიგენტურობა, თავმდაბლობა, უშურველობა, სხვისი გარჯის საკადრისად დაფასება, სიახლისკენ დაუცხრომელი ლტოლვა — ყოველივე ეს ამშვენებდა მთელ მის, რო-

გორც მეცნიერისა და ერისკაცის, ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გ. ახვლედიანმა ფართო ენათმეცნიერული განათლება მიიღო. 1916 წ. წარმატებით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ინდური, ძველი სპარსული, ძველი გერმანული, სლავური ენები, დაეუფლა შედარებით ენათმეცნიერებას. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები—აკად. ი. ენძელინი და პროფ. ს. კულბაკინი. ი. ენძელინის წარდგენით ის 1916 წ. დატოვეს ხარკოვის უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების კათედრის ასპირანტად. ცოდნის გასაღრმავებლად ახალგაზრდა მეცნიერი გაიგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მეცადინეობდა აკად. ნ. მარის (ქართული და სომხური ენები), აკად. ლ. შჩერბას (ზოგადი და ექსპერიმენტ. ფონეტიკა) და აკად. კ. ზალემანის (ინდური ფილოლოგია) ხელმძღვანელობით. მის მეცნიერულ წარმატებებში დიდი როლი ითამაშა აკად. ი. ენძელინსა და აკად. ლ. შჩერბასთან მუშაობამ და თანამშრომლობამ. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ თავისი ფუნდამენტური ნაშრომი — „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ მან მიუძღვნა მოძღვრებს სამახსოვრო წარწერით: „ძვირფასი მასწავლებლის“, ვინც ჩამინერგა ფონეტიკის სიყვარული, აკადემიკოს ლევ შჩერბას ნათელ ხსოვნას და ძვირფას მასწავლებელს, ვინც მასწავლა მეცნიერებისათვის თავდადება, ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე ენძელინს ვუძღვნი ამ წიგნს“.

ხარკოვის უნივერსიტეტში, როგორც ეს, მ. კილაბერიას ცნობის საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნულია შ. ძიძიგურისა და ს. ჟღენტის ნარკვევებში, მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ ეძღვნება, გ. ახვლედიანს ჩამოუყალიბებია რევოლუციონერ სტუდენტთა წრე, რის გამოც ის 1918 წ., რამდენიმე ქართველ სტუდენტთან ერთად, დაუპატიმრებიათ და ექვს თვეს ციხეში მჯდარა.

მისმა პირველმა სტუდენტურმა ნაშრომმა „ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნები სანსკრიტში, ბერძნულში, ლათინურსა და სლავურ ენებში“ ოქროს მედალი მოიპოვა.

გ. ახვლედიანის სამეცნიერო მოღვაწეობა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით. მისი კვლევა-ძიების (ძირითადი) სარბიელი ზოგადი ენათმეცნიერება იყო. თბილისის უნივერსიტეტში შექმნა ზოგადი ენათმეცნიერების პირველი კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამდის ხელმძღვანელობდა, დაარსა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, სათავე დაუდო ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებასა და სწავლებას ჩვენში. „ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, — ამბობს სამართლიანად შ. ძიძიგური, — ის სარბიელია, სადაც გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით მთელი თაობები ეზიარებოდნენ ენის თეორიულ საფუძვლებს, ზოგადენათმეცნიერულ მეთოდოლოგიას, ეუფლებოდნენ კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადებისა და პრინციპული თვალსაზრისით განხილვის ჩვევებს. პირდაპირ უნდა ითქვას: თუ დღეს საქართველოში თეორიული ენათმეცნიერული აზროვნება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, ეს უმთავრესად გიორგი ახვლედიანის ღვაწლია. საენათმეცნიერო კულტურის დამკვიდრებას საქართველოში მან შეუქმნა მტკიცე საყრდენი, და ეს შეეძლო ისეთ ფართოდ ერუდირებულ ლინგვისტს — მრავალი ენის მცოდნეს, საუკეთესო სკოლაგავლილს, დიდად ნიჭიერ ადამიანს, როგორიც თავად ბრძანდებოდა. უკლებლივ ყველა ქართველი მკვლევარი მომდევნო თაობებისა, ამჟამად რომ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ საენათმეცნიერო დისციპლინებში, გიორგი ახვლედიანის ყოფილი მოწაფეა და მის მიერ ენის თეორიაში სამაგალითოდ გაწვრთნილი“.

გ. ახვლედიანი ავტორია „ენათმეცნიერების შესავლის“ პირველი თეორიული კურსისა, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის უნივერსიტეტში 1918 წ. წაკითხული 15 ლექცია. ის გამოირჩევა პრობლემატიკისა და ნაირფეროვანი ფაქტობრივი მასალის სიუხვით. ზოგადი საკითხების ქართული ენის მასალაზე გაშუქებით, ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის, ენის ფილოსოფიის რთული პრობლემების ფართოდ განხილვით. ამ უნიკალურმა კურსმა დიდი როლი ითამაშა ჩვენში ენათმეცნიერული კვლევა-ძიების გაშლაში. მასზე თაობები აღიზარდნენ. ნაშრომში ზოგადი პლანით არის განხილული ბგერითი და ჟესტმიმიკის ენა, ენისა და აზროვნების ურთიერთობა, ენის ცვალებადობა, ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციები, სამეტყველო ორგანოები, გრამატიკის დარგები და კატეგორიები. აქ პირველად დასმულმა საკითხებმა შემდეგ განვითარება პოვეს ავტორის სპეციალურ გამოკვლევებში.

თავისი ზოგადი ფონეტიკური მოძღვრება გ. ახვლედიანმა ჩამოაყალიბა ფუნდამენტურ ნაშრომში „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ — ფილოლოგოსთა სამაგიდო წიგნში. ძნელია ამ ნაშრომის გადაჭარბებით შეფასება. ის იმ რიგისაა, რისაც ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“, აკ. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“; ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის არა მარტო საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომია, არამედ ცოდნის ამ ხფე-

რის მთელი ენციკლოპედიაა. აქ ფონეტიკის კარდინალური საკითხები მრავალი ასპექტითაა განხილული, დადგენილია ზოგადი ფონეტიკის საბუნებისმეტყველო საფუძვლები, შესწავლილია ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია, ოპტიმალურადაა აღწერილი საწარმოთქმო ორგანოები, ექსპერიმენტულად გამოკვლეულია ქართულ თანხმოვანთა სისტემა, სრულიად ახალი კონცეფციაა განვითარებული ხშულმსკდომი (ბფპ, დთტ, ძცწ, ჯჩჭ, გქკ, პყ), ნაპრალოვანი (ვ, ზს, ჟშ, ღხ, ჰ), აფრიკატი (ძცწ, ჯჩჭ), ვიბრანტი (რ), ლატერალი (ლ), ნაზალი (ნ), ფარინგალური თანხმოვნების შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა შეფასებული ამ თანხმოვანთა (ცალეულები, წყვილეულები, სამეულები, ოთხეულები), განსაკუთრებით ქართულ აბრუპტივთა (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ) სპეციფიკა და ადგილი კავკასიურ ენათა ფონემურ სისტემაში. მეცნიერმა ექსპერიმენტულად შეისწავლა ფონეტიკური აკუსტიკა, ტონი და ჩქამი, ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლივობა, ტემბრი, პაუზა ბგერათწარმოთქმაში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანხმოვანთა კლასიფიკაციას; გადმოცემულია ორიგინალური შეხედულებანი ბგერათა სიმჟღერე-სიყრუის, სონორობის, ხმოვნის, თანხმოვნისა და „ნახევარხმოვნის“ შესახებ. ავტორის ეს შეხედულებანი დღეს მეცნიერებაში გაზიარებულია ისევე, როგორც მიღებულია მისი თვალსაზრისი ხმოვანთა სამი რიგის (წინა, შუა და უკანა) შესახებ, რაც საფუძვლად უძევს ქართული ენის ხმოვანთა ე. წ. სამკუთხედს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ავტორის ბგერათშეერთების (კოარტიკულაციის) თეორია. მან დამაჯერებლად ცხადყო, რომ „ჩვეულებრივს მეტყველებაში ცალკეული ბგერა არ წარმოითქმება, რამდენადაც იგი არაა რაიმე მნიშვნელობის მატარებელი. თუ ზოგჯერ ჩვენ განძრახ წარმოვთქვამთ განცალკევებულ ბგერას, მაგ., ა-ს, ის უთუოდ განსხვავებული იქნება მეტ-ნაკლებად იმ ა-ებისაგან, რომლებიც გვაქვს, მაგ., სიტყვებში: აქ, რა, ბანი, ქალი და ა. შ. მაშასადამე, ჩვეულებრივად (სიტყვაში) ყველა სამეტყველო ბგერა მოცემულია სიტყვის სხვა ბგერებთან შეერთებაში“. ნაშრომში დადგენილია ბგერათშეერთების ზოგადი წესები, ნაჩვენებია ბგერათშეერთების დეცესიურ-აქცესიურ პროცესთა ერთმანეთისაგან განსხვავება და მსგავსება, კერძოდ ის, რომ ამ წესის თანახმად დეცესიურ კომპლექსში შემავალ თანხმოვნებს ერთჟამიერი შემართვა აქვთ. წამოყენებულმა თეორიამ ავტორს საშუალება მისცა, ქართულში გამოეყო თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები და განესაზღვრა მათი ორი სისტემა. (პირველი: ბგ-ფქ-პკ: აბგა, ფქვა, აპკი; დგ-თქ-ტკ: ადგა, თქვა, ტკივილი; ძგ-ცქ-წკ: ბგერა, ცქერა, წკირი; ჯგ-ჩქ-ჭკ: ჯგლეთა, ჩქარი, ჭკნობა; მეორე: ბლ-ფხ-პყ: ბლავილი, ფხა, პყრობა; დლ-თხ-ტყ: დლე, თხა, ტყე; ძლ-ცხ-წყ: ძლოლა, ცხელი, წყალი; ჯლ-ჩხ-ჭყ: ჯლაბნა, ჩხირი, ჭყივის). ასევე დიდმნიშვნელოვანია კოარტიკულაციის ორი სახის (პალატალიზაცია, ველარიზაცია) დადგენა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე მითითება.

ნ. მარის შემდეგ გ. ახვლედიანი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც შექმნა ქართული მახვილის ოპტიმალური მოძღვრება. ავტორმა ცალ-ცალკე გამოყო და აღწერა დინამიკური და მუსიკალური, ლოგიკურ-ემოციური და ლინგვისტური, მარცვლის, სიტყვის, შესიტყვების, კითხვის, ძახილის მახვილები. მისი აზრით, მახვილის (როგორც დინამიკურის, ისე მეტადრე მუსიკალურის) სახეცვლილება უსასრულოდ მრავალფეროვანია მარცვალში, სიტყვასა და მეტადრე სიტყვათშეერთებაში. მახვილი სხვადასხვა სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს მთქმელი: თხრობას, კითხვას, ძახილს, გაკვირვებას, აღტაცებას, სასოწარკვეთილებას, გაჯავრებას, ალერსს... თითოეული ამათგანის გამოხატვაც სხვადასხვა ინტონაციას გვაჩვენებს. მეცნიერმა ძირითადად გაიზიარა ნ. მარის თეორია სიტყვათმახვილის შესახებ და, ამასთან, მასში ცვლილებაც შეიტანა: „ნ. მარის აზრით, — ამბობდა გ. ახვლედიანი, — ქართულ სიტყვაში მახვილიანი მარცვლებია ბოლოდან მეორე და მესამე; მრავალმარცვლიან (ე. ი. ორზე მეტ მარცვლიან) სიტყვაში მახვილი შეიძლება იყოს ბოლოდან მეორეზე ან მესამეზე“; „მახვილის ადგილი სიტყვაში ნ. მარს საერთოდ სწორად აქვს დადგენილი... სავსებით გასაზიარებელია აგრეთვე მეორე მახვილის (ე. ი. თანამახვილის) არსებობა ოთხსა და მეტ მარცვლოვან სიტყვაში. მაგრამ, რაც შეეხება დებულებას, რომ მრავალმარცვლიან სიტყვაში (მაგ., ქართველი, მარგალიტი) მახვილი შესაძლებელია მეორე მარცვალზე ბოლოდან... ამას არ ადასტურებს ჩვენი დაკვირვება: მთავარი სიტყვათმახვილი ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვაში შესაძლებელია მხოლოდ მესამე მარცვალზე ბოლოდან“. მახვილის პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება ავტორის მარცვლის თეორია. ღრმა მეცნიერული ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება აქვს გ. ახვლედიანის ცნობილ დებულებას: „ქართულში მხოლოდ აბრუპტივი მიისწრაფვის მიეკედლოს მომდევნო მარცვალს; დანარჩენი თანხმოვნები ნეიტრალურია მიკედლების მხრივ: შეუძლიათ მიეკედლონ როგორც წინმდგომს, ისე მომდევნო მარცვალს. ყოველ შემთხვევაში, ქართულ მარცვალს, ჩვენი აზრით, მიდრეკილება აქვს ღიაობისადმი, თუ სხვა რამ ფაქტორი (მაგ., სიტყ-

ვის მორფოლოგიური შედგენილობა) ხელს არ უშლის; ქართულ მარცვალს ადვილად შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით (ე. ი. იყოს ღია), არამედ ხონორული თანხმოვნითაც".

გ. ახვლედიანმა შექმნა სამეტყველო ბგერისა და წერის, ენის ფონეტიკური ცვალებადობის, ფონეტიკური კანონის, რუსული ენის ბგერითი შედგენილობის ქართულთან მიმართულების მოძღვრება, რომელსაც დღეს წარმატებით ავითარებენ მისი მოწაფეები. მეცნიერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფონოლოგიის განვითარებაშიც. ფონოლოგიის პრობლემატიკით ის დაინტერესდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მასზე ახე გაცხოველებით ალაპარაკდებოდნენ დასავლეთის ენათმეცნიერული სკოლები.

ასევე თვალსაჩინოა ავტორის შეხედულებანი ენობრივი მოვლენების შეპირისპირებით შესწავლაში. „ორი სიტყვის ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავება, — ამბობდა ის, — შესაძლებელია მხოლოდ დაპირისპირების გზით, და ორი სიტყვის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად საკმარისია ერთი დაპირისპირებაც". ამ აზრის პოსტულირებამ მკვლევარს საშუალება მისცა დაესაბუთებინა, რომ „საწარმოთქმო მოძრაობები ავტომატიზებული პროცესია", სიტყვაში შემავალ ფორმათა ხმარება ცოცხალ მეტყველებაში სრულდება გაუცნობიერებლად, ე. ი. თითოეული ფონემა, რომლის სხვა ფონემასთან დაპირისპირებაზე ვლაპარაკობდით, გაუცნობიერებელია. მაშასადამე, თვით დაპირისპირებაც წარმოადგენს ჩვევად ქცეულ გაუცნობიერებელ მოვლენას. არავითარ წინასწარ განზრახულ ნებისმიერ დაპირისპირებაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ვიხილავთ ბუნებრივად წარმოთქმულ სიტყვებს". ამიტომ, ავტორის აზრით, ფონემები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა შემთხვევით, არამედ თავისი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებებით. ფონოლოგია ჩვენს მეცნიერს გაგებული აქვს როგორც ფუნქციონალური ფონეტიკა, მნიშვნელოვანი ეტაპი ზოგადი ფონეტიკის, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში. უაღრესად ფასეულია გ. ახვლედიანის წვლილი საბჭოური ფონოლოგიის წარმატებებში.

სრულიად ახალი სიტყვაა მეცნიერებაში ქართული ენის თანხმოვანი ფონემების ავტორისეული კვალიფიკაცია, მათი პოზიციური განაწილებისა და სახეცვლილებათა კანონზომიერებების დადგენა, რასაც ათობით გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის: „თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების სუპერაციის საკითხისათვის", „ყრუ მედიე ქართულში", „აბრუპტივები და მკვეთრი ხშულები ქართულში", „ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების საკითხისათვის", „დიალექტთა შერევის ორი ნიმუში" და სხვ.

ამ გამოკვლევებმა გ. ახვლედიანს ფართოდ გაუთქვეს სახელი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მათ მსოფლიო აღიარება აქვთ.

საყოველთაოდ ცნობილია გ. ახვლედიანის შრომები ინდოევროპულ ენათა შესახებ. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მისი დიდად საინტერესო გამოკვლევები, რომლებიც ოსურ ენასა და დიალექტებს ეძღვნება. ის ქართული ოსოლოგიის ფუძემდებელია. ოსოლოგიაში ახალი მიმართულებები შექმნა ავტორის ცნობილმა ნაშრომებმა: „სამი „ტ" ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან", „პროთეტული ხმოვნის საკითხი ოსურში", „ოსური ენის ისტორიისათვის", „გემინირებული და ნაზალიზებული აფრიკატები ოსური ენის დვალურ დიალექტში", დაკვირვებანი ი. იალღუზიძის ოსურ მასალაზე, ოსური ენის დიგორულსა და დვალურ დიალექტებზე. 1960 წ. ავტორის ოსური ეტიუდები გამოიცა ცალკე კრებულად, ხოლო 1968 წ., მისივე რედაქციითა და მონაწილეობით, გამოვიდა ოსური ენის ფუნდამენტური გრამატიკა, კოლექტიური ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა თავისი მაღალი მეცნიერული დონით. ამ ნაშრომებსაც მსოფლიო აღიარება აქვთ.

გ. ახვლედიანს დიდმნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. ქართული ინტელიგენციის, ახალგაზრდობის სამაგიდო წიგნებია მის მიერ შედგენილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", „რუსულ-ქართული ლექსიკონი" (ხ. იორდანიშვილთან ერთად), „ქართულ-რუსული ლექსიკონი" (ვ. თოფურიასთან ერთად). მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით გამოცემულია ცოდნის მრავალი დარგის ტერმინოლოგია.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეცნიერი რუსისტიკის განვითარებას. ის ქართული რუსისტიკის აღიარებული მეთაური იყო. ჯერ კიდევ 1919 წ. დაბეჭდა „რუსული ენის გრამატიკა", ხოლო „რუსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის", რომელიც 1988 წ. გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, რუსული და ქართული ენების პირველი შეპირისპირებითი გრამატიკაა. ნოვატორი მეცნიერის მიერ ამ ნაშრომში განვითარებულმა იდეებმა საყოველთაოდ შეისხა ფრთები. ეს წიგნი, რუსული ენისა და ლიტერატურის სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად, რომლებიც გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობითაა შედგენილი, დღესაც წარმატებით ემსახურება სკოლას. გ. ახვლედიანმა ბევრი რამ გააკეთა, უაღრესად დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწია ჩვენს საშუალო და უმაღლეს სკოლებს რუსული ენის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით

შეიქმნა და განმტკიცდა რუსული ენის კათედრები რესპუბლიკის უმაღლეს სკოლებში.

გ. ახვლედიანის სახელთან დაკავშირებულია ჩვენში ლოგოპედისის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, ჩასახვა და განვითარება. ლოგოპედიის პრაქტიკული მნიშვნელობა განუზომელია. ჩვენი მეცნიერის ღვაწლი ამ დარგში უაღრესად თვალსაჩინოა.

გ. ახვლედიანი თავისთავში აერთიანებდა სახელოვანი მეცნიერისა და ბრწყინვალე პედაგოგის ყველაზე საუკეთესო თვისებებს. მთელი თავისი სიცოცხლე, ერუდიცია და ანალიტიკური ნიჭი მოახმარა ერის სამსახურს, მეცნიერების განვითარებას, ახალი თაობის აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. საოცრად გულისხმიერი და გულჩვილი კაცი, უაღრესად პრინციპული და მრისხანე იყო, როდესაც საქმე მეცნიერების პრესტიჟს ეხებოდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, როგორც ქართველური, ისე მთელი რიგი ინდოევროპული ენების (მათ შორის რუსულის, ოსურის, გერმანულის, ფრანგულის, ინგლისურის) გრამატიკული წყობის, ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებზე. გამოვიდა ასოცზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო შრომის ოფიციალურ ოპონენტად, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, როგორც ფაქტისა, რომ გ. ახვლედიანი იყო ჩვენი დროის ისეთ გამოჩენილ ლინგვისტთა სადოქტორო დისერტაციების ოპონენტად, როგორებიც არიან აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა, თამაზ გამყრელიძე და გიორგი წერეთელი, შოთა ძიძიგური და სერგი ჟღენტი, თამარ ბელინსკაია და მერი იანქოშვილი, მირა გუხმანი და აგნია დესნიცკაია, კონსტანტინე წერეთელი და სხვები. მისი ბევრი დისერტანტი, ქართველებთან ერთად, იყვნენ რუსი, ოსი, აზერბაიჯანელი, ყაზახი, სომეხი, ინდოელი, ბენგალიელი და ა. შ. ცნობილმა ინდოელმა მეცნიერმა, პროფესორმა ჯეკ ლიტონისმა, რომლის სადოქტორო შრომის („ბენგალიური ენის გრამატიკა") ოფიციალურ ოპონენტად გ. ახვლედიანი გამოვიდა, თავისი მადლობა და აღტაცება ოპონენტის მიმართ შემდეგი გულთბილი სიტყვებით გამოხატა (1962 წ.): „ყოველთვის, როცა ჩემთვის ამ ძვირფას სახელს წარმოვთქვამ, უნებლიეთ ვიგონებ პირველ შეხვედრას. ეს მოხდა ათიოდე წლის წინათ, მაშინ მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტად ვმუშაობდი. მახსოვს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, როგორც იქნა, დავასრულე სადოქტორო დისერტაცია. ერთ-ერთმა ჩემმა ახლობელმა მირჩია, მიმემართა სახელგანთქმული ინდოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ახვლედიანისათვის და მეთხოვა ოპონენტობა სჯარო პაექრობაზე. სიმართლე რომ ვთქვა, დიდხანს ვმერყეობდი, როგორღაც უხერხულად მიმაჩნდა შემეწუხებინა მნიშვნელოვანი საქმეებით დატვირთული ადამიანი, რომელიც მოსკოვიდან ათასზე მეტი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. რამდენჯერმე მოვკიდე კალამს ხელი წერილის დასაწერად და ისევ შევჩერდი. და აი, ერთხელ როგორღაც მტკიცედ გადავწყვიტე თბილისში გამგზავრება და სტუმართმოყვარე საქართველოში მასთან შეხვედრა. მართალია, მხცოვან მეცნიერს არ ვიცნობდი, მაგრამ მის მოღვაწეობას თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გულმოდგინედ თვალყურს ვადევნებდი, ვიცოდი, რომ იგი უმნიშვნელოვანესი შრომების ავტორი იყო და ეს ადამიანი მიზიდავდა, უბრალოდ მინდოდა, გადავხვეოდი, მადლობა მეთქვა იმისთვის, რომ საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ფართო მკითხველს ჩემი ქვეყნის წეს-ჩვეულება, ლიტერატურა" („თბილისი", 1962 წ., № 98; შ. ძიძიგური, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 571-572).

უკეთესად ძნელია გიორგი ახვლედიანის პიროვნების, საუკეთესო ადამიანური თვისებებისა და ღვაწლის შეფასება.

გ. ახვლედიანი არ ყოფილა კარჩაკეტილი, თავის ნაჭუჭში გახვეული პიროვნება. ის მეცნიერების ორგანიზატორი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ.

ახლა გიორგი ახვლედიანი და ქართველ მეცნიერთა ის შესანიშნავი პლეადა (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი), რომელმაც იტვირთა ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმე და გზა გაუკაფა ახალ ქართულ მეცნიერებას, ეკუთვნის ისტორიას. ერის სახიქადულო მოღვაწეთა ამ გუნდიდან ასი წლის აკაკი შანიძე სულ ახლახან გააცილა ქართველმა ხალხმა თავის უკანასკნელ გზაზე. საქმე მათი უკვდავია. ღვაწლი მათი მუდამ აღაფრთოვანებს და ღრმა პატივისცემით აღანთებს შთამომავლობას. ქვეყნად სიკეთის მთესველი სიკეთეს მოიმკის უკუნითი უკუნისამდე.

ბოლოს, სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ „მნათობის" რედაქციამ მომცა საშუალება, ეს მოკრძალებული სტრიქონები ჩამომეწერა ჩემი დაუვიწყარი მასწავლებლის ნათელი სახის გასახსენებლად და მისი დაბადების ასი წლისთავის შესრულების აღსანიშნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ბიბილური

# ქრისტიანული რელიგიის საწყისები საქართველოში

„...საწყისები ამ მნიშვნელოვანი ფაქტისა მეცნიერებაში სათანადოდ გარკვეული არაა. პირიქით, მგონია, არცერთი საკითხი ჩვენი ისტორიისა ასეთი ბურუსით არაა მოცული, როგორც ქრისტიანობის დასაწყისი ქართლში. ეს საკითხი ღირსია იმისა, რომ ის კვლავ გახდეს კვლევა-ძიების საგნად.

აკად. კორნელი კეკელიძე

ქართული ისტორიული ტრადიცია ქართლში პირველი ქრისტიანული თემების ჩასახვას გულისხმობს ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან და უკავშირებს მცხეთასა და მის მიდამოებში მცხოვრებ ებრაელებს. „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობების თანახმად, მცხეთელი ებრაელების ერთი ნაწილი ქრისტიანებად ჩანან უკვე ახ. წ. პირველსავე საუკუნეში („და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მუნით დახუდეს ჯუარცმასა უფლისა"; „...ბოლო კუართი იგი უფლისა წილათ ხუდა მცხეთელთა").

საინტერესოა, რომ VIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე იოანე საბანის ძე თხზულებაში — „წამება წმინდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი" წერს, რომ ქართველები „ხუთასი წლისა ჟამსა და უწინარეისლა შჯულდებულ ყოფილ არიან წმინდითა მადლითა ნათლის ღებისაითა" (1). ამრიგად, იოანე საბანის ძე, აკად. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „...თავისი დროის მისაბაძავი, სამაგალითო ისტორიკოსი" (2). ქართლში მესამე და უწინარეს საუკუნეებში ხედავს ქრისტიანული რელიგიის ფესვებს.

ქართლის (იბერიის) სამეფოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა-გავრცელებას რეალურად მიიჩნევს ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უეჭველია, ამ მნიშვნელოვან ამბავს (ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, თ. ბ.) თავისი წინასწარიცა და მერმინდელი ისტორია უნდა ჰქონდეს" (3).

„ჩვენ გვაქვს საფუძველი, — წერდა აკად. ს. ჯანაშია, — რომ ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად ქცევამდის საქართველოშიც უნდა არსებულიყო (რა თქმა უნდა, უპირატესად ქალაქებში, მაგ., მცხეთაში) ადგილობრივი წვრილი ქრისტიანული თემური ერთობანი, დაახლოებით ისეთივე ხასიათის მქონენი, როგორიც ჰქონდათ მათ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში" (4).

მეტი კატეგორიულობით მსჯელობენ ამ საკითხზე გ. ლომთათიძე და პ. ინგოროყვა. „ჩვენი აზრით, — წერდა გ. ლომთათიძე, — ქრისტიანთა ჩანასახოვანი კომუნები პირველსავე საუკუნეში გვაქვს მცხეთას საგულისხმებელი თუნდაც „უფლის კვართის", ელიოზისა და სიდონიას ცნობილი გადმოცემის მიხედვით, სვეტიცხოვლის ისტორიას რომ ედება საფუძვლად" (5).

იგივე აზრს ადგას პ. ინგოროყვა. „ქრისტიანობა, — წერს იგი, — საქართველოში ვრცელდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე, რა დროიდანაც ქრისტიანობა

მოეფინა საქართველოს მეზობელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და რომის იმპერიის პროვინციებს.

საისტორიო წყაროების ჩვენებით ირკვევა, რომ ქრისტიანობა ფართო გავრცელებით სარგებლობდა საქართველოში უკვე მე-8 საუკუნეში" (6).

ამ კონკრეტული თარიღის გამოყენებისას მკვლევარი ეყრდნობა იოანე საბანის ძის თხზულების ზემომოტანილ ნაწილს.

საკითხს ქართლში ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელების შესახებ რამდენჯერმე შეეხო რ. რამიშვილი. მკვლევარის მიერ შემოთავაზებული მსჯელობის არსი მდგომარეობს შემდეგში: „ქრისტიანულ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო მასებთან ერთად არისტოკრატიული წარმოშობის გარკვეული ნაწილიც ყოფილა ჩართული" (7). „როგორც ჩანს, — განაგრძობს მკვლევარი, — ასეთმა ხელსაყრელმა ვითარებამ მირიან მეფეს საგრძნობლად გაუადვილა იმ უდიდესი რეფორმის განხორციელება, რასაც ახალი იდეოლოგიის აღიარება მოჰყვა. ქართლის მეფეს, ჩანს, ყველა სოციალურ ფენაში ჰქონია დასაყრდენი" (8).

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რამდენად ეთანხმება წერილობითი წყაროების მონაცემებს სამარხეული ძეგლები? ანუ, ცნობილია თუ არა დიდი მცხეთის ახ. წ. I-III სს. სამაროვნებზე სამარხები, მიცვალებულთა გაპატიოსნება-დაკრძალვის ქრისტიანული წესით?

ვიდრე უშუალოდ სამარხეული ძეგლების განხილვაზე გადავიდოდეთ, ჯერ საჭიროა, გავარკვიოთ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ქრისტიანულ სამკვდრო წესში.

დღეისათვის ქრისტიანული სამკვდრო წესი წერილობით, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, შემდეგნაირად გამოიყურება: 1. მიცვალებულის გაშოტილ მდგომარეობაში დასვენება გულაღმა; 2. მიცვალებულის მიმართვა თავით დასავლეთისაკენ, ე. ი. პირისახე მუდამ მზის ამოსვლისაკენ უნდა ჰქონდეს მიმართული (9); 3. ხელები დაკრეფილი მკერდზე ან მუცელზე ჯვრის სახით, იშვიათ შემთხვევაში ჩამოშვებული ტანის გასწვრივ; 4. მიჩნეულია, რომ ქრისტიანულ სამარხებში ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთების, მცირეოდენი სამკაულისა და მინის ჭურჭლის (უმთავრესად სანელსაცხებლეების) გარდა, ინვენტარი თითქმის არ გვხვდება; 5. ქრისტიანული სამკვდრო წესის ერთ-ერთ ნიშნად სამრავალკაცო სამარხებს მიიჩნევენ; 6. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ სიმბოლურ ნიშნებს.

ჩამოთვლილი ექვსი ნიშნიდან ორი, მიცვალებულის გულაღმა გაშოტილი დაკრძალვა, ხელების ჯვრის ფორმის დაწყობა, ფიქსირებულია როგორც წერილობით, ასევე სამარხეულ ძეგლებში. მაგ., გიორგი მცირე თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმიდელისა" წერს: „...განირთხა წმინდანი იგი ფერხნი მისნი წესიერად..., და ხელნი ხანჯტრელნი..., უმანკოსა და უბიწოსა ზედა თვისსა დაჯვარედინა" (10).

სამარხებში ნივთების ჩატანების აკრძალვის შესახებ წერილობით წყაროებში ვერაფერი მოვიძიეთ. ქრისტიანული პერიოდის სამაროვნებზე დაკვირვებით კი თითქოს ჩანს, რომ გარკვეული დროიდან ნივთების ჩატანება სამარხებში მაინცდამაინც სასურველი აღარ ჩანს. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება: ქრისტიანული სამარხების პარალელურად და მათ მსგავსად, ნივთების რაოდენობა მინიმუმამდე მცირდება მათ თანადროულ არაქრისტიანულ სამარხებშიც. ამასთან, როგორც ქრისტიანულ, ასევე არაქრისტიანულ სამარხებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მინის ჭურჭელს. ეს ფაქტი დაკავშირებულია სამემკვიდრეო და სხვა სოციალური ინსტიტუტების ჩასახვა-განვითარებასთან, მაგრამ მათი კვლევა სცილდება აქ წარმოდგენილი თემის ფარგლებს.

ქრისტიანული რელიგიის ადრეული ეტაპის კვლევისას, როგორც უკვე ითქვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ სიმბოლურ ნიშნებს.

1978 წ. მცხეთაში, მიწის სამუშაოების დროს, დაზიანდა გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები, რომელიც შეისწავლა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძ. აკად. ა. აფაქიძე) სვეტიცხოველის რაზმმა. არქეოლოგიური გათხრებისას, სხვა ძეგლებთან (შენობის ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, ქვევრები და სხვ.) ერთად, აღმოჩნდა ორი თიხის ფილასამარხი, მსგავსი ამ ტიპის უკვე ცნობილი სამარხი ნაგებობისა. ერთ-ერთ მათგანში (№ 17) დაკრძალული იყო დედა-შვილი. ორივე მიცვალებული დაუსვენებიათ გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა ერთადერთი სანეკე ბეჭედი, ზრდასრული მიცვალებულისა.

დაკრძალულთა პოზა, დამხრობა, ნივთიერი მასალის სიმცირე, სანეკე ბეჭედი, სარდიონის თვალ-ინტალიოთი, ერთ მხარეს მიმართული ორი — თევზისა და ლუზის გამოსახულებით, მიგვანიშნებს, რომ სამარხი ქრისტიანთათვის გაუმართავთ (11).

ლუზისა და თევზების გამოსახულება ხშირია ხელოვნების, პირველ რიგში, კი წინაქრისტიანული ხანის გლიპტიკის ძეგლებზე. სწორედ წარმართული ხელოვნების ეს სიუჟეტები გამოიყენა ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის საწყის ეტაპზე და, სხვა ნიშნებთან ერთად, აქცია იგი ადრეული ქრისტიანობის

სიმბოლოებად. ახლად ჩასახული რელიგია ამითაც ცდილობდა თავი დაეღწია წარმართთა მხრივ ქრისტიანების დევნისაგან.

ადრექრისტიანულ სიმბოლურ ნიშანთა რიგს, ლუზისა და თევზების გარდა, განეკუთვნებიან ხომალდი, მტრედი, პალმის რტო, სიცოცხლის ხე და სხვ. ზოგი ნიშნის შეერთებით მიიღებოდა კიდეც უფრო რთული შინაარსის სიმბოლო. მაგ., ლუზა, როგორც ცნობილია, გამოხატავს იმედს და ამდენად მარტო ლუზის ამოკვეთა-გამოხატვაც კი სამარხი ნაგებობის კედელზე, მაგ., რომის ადრექრისტიანულ კატაკომბებში ან გემაზე, სრულიად გასაგები და ბუნებრივი იყო. ასევე კონკრეტულ აზრს გამოხატავს თევზის გამოსახულებაც, მაგრამ ამ ორი ნიშნის ლუზა, თევზის შეერთებით მიიღებოდა სულ სხვა აზრის შემცველი სიმბოლური ნიშანი. ამასთან, თუ თევზები და ლუზა ერთ მხარეს არიან მიმართული, ეს უკანასკნელი ჯვარს აღნიშნავდა, ხოლო თევზი მაცხოვარს. ა. ფონ ფრიკენის აზრით, ეს სიუჟეტი, მოთავსებული ეპიტაფიასთან ერთად, ან ჭრილა ქვებზე, აღნიშნავდა მეუღლეებს (12). სამარხის კედლებზე გამოსახვის შემთხვევაში, იგი მიუთითებდა მათი დაკრძალვის ადგილს, ხოლო გემაზე გამოსახვის შემთხვევაში, შეუღლებას იმედისა და რწმენის საფარველის ქვეშ (13).

განხილული სიუჟეტი საკმაოდ ფართოდაა ცნობილი მთელს იმდროინდელ მსოფლიოში და მიჩნეულია საწყისი ქრისტიანობის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ სიმბოლოდ. იგი შექმნილი ჩანს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ახ. წ. II საუკუნეებში. ამ სიმბოლური გამოსახულების ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად მიჩნეულია ახ. წ. IV საუკუნე. II საუკუნით თარიღდება გემები რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან, აგრეთვე, კატაკომბები, რომელთა კედლებზეც სწორედ ლუზა და თევზებია გამოხატული (14). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ბოსფორი, ნოვოტრადნოეს სამაროვანი ქერჩში) აღმოჩენილ ანალოგიურ გემებს, სამარხულ კომპლექსებზე დაყრდნობით, ათარიღებენ ახ. წ. III საუკუნით (15). II საუკუნეს მიაკუთვნებენ მსგავს გამოსახულებებს რეინის მხრიდან (16).

ქრისტიანული რელიგიის ჩასახვა-განვითარების ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობას მრავლად ჰყავს როგორც აქტიური მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი და იგი იქცევა იმდროინდელი საზოგადოების საგანგებო ყურადღების საგნად, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აქ განხილული სიუჟეტი ადრინდელი ქრისტიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა და არა მხოლოდ სამკაულის ჩვეულებრივ სახესხვაობას.

ქრისტიანული სამკვდრო წესის ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს, ნახსენები ფილასამარხის გარდა, მეტ-ნაკლებად პასუხობენ დიდი მცხეთის სამაროვნებზე მიკვლეულ-შესწავლილი სხვა საკრძალავებიც. კერძოდ, ქრისტიანული სამკვდრო წესების მეტნაკლები დაცვით გაპატიოსნებიათ მიცვალებულები სამთავროს სამაროვანზე 1938-1940 და 1976-1988 წწ. გათხრილი სამარხების ერთ ნაწილში (17); მცხეთა-ქალაქში, სვეტიცხოვლის მიდამოებში შესწავლილი სამარხების ერთ ჯგუფში (18) და სხვ. ყველა ეს საკრძალავი ზოგადად ახ. წ. II-III, უფრო მეტად კი III საუკუნეს განეკუთვნება.

ამრიგად, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ ისტორიული დიდი მცხეთის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ქრისტიანულ რელიგიას ეზიარა მის (ქრისტიანობის) ოფიციალურ აღიარებამდე 100-150 წლით ადრე.

ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება, არსებული მასალების (როგორც არქეოლოგიური, ასევე ნარატიული და ეპიგრაფიკული) მიხედვით, გვესახება შემდეგნაირად: ახ. წ. პირველ საუკუნეებში, შესაძლოა II საუკუნის დასაწყისში, ქართლის მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, კი მცხეთაში, ჩნდებიან პირველი ქრისტიანები, რომლებიც ფარულად იწყებენ ახალი რელიგიის ქადაგებას იბერიის სამეფოში. ახლა ძნელია (თუ შეუძლებელი არა) დადგენა იმისა, თუ ვინ იყვნენ ეს პირველი მისიონერები, სპეციალურად მოვლენილი, თუ შემთხვევითი პირნი (უფრო სავარაუდოა პირველი); ან იქნებ სულაც, გარკვეულ ნაწილს ქრისტეს სჯულის მქადაგებლებისა წარმოადგენდნენ ადგილობრივნი (ვაჭრები, ტყვედ ჩავარდნილი ან მონობაში ნამყოფი პირნი და სხვ.), რომლებიც ქრისტიანობას ეზიარნენ პალესტინაში, იუდეაში ან რომის იმპერიის სხვა პროვინციაში, სადაც სწორედ ამ დროისათვის ისახება, ყალიბდება, ებრძვის ერთმანეთს და წარმართულ რელიგიებს ათობით ქრისტიანული მიმდინარეობა.

შესაძლოა, ქრისტიანული იდეების ერთ-ერთ პირველ გამავრცელებლად გვევლინება იბერთაის ლაშქარი, რომელიც, ქართლის მეფის მითრიდატე III (გ. მელიქიშვილის მიხედვით) ძმის ამაზასპის მეთაურობით, მიემართება რომაელთა დასახმარებლად პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ვარაუდების სფეროა. მთავარი მაინც ის არის, რომ დღეს ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ქრისტიანული რელიგია ჩვენში შემოვიდა სწორედ როგორც დაბალი ფენების რელიგია, საზოგადოების ფართო ფენების რელიგია. ამასთან, აუცილებელი არ არის დაბალ ფენებში მაინცდამაინც, საერთოდ, უქონელნი და ბოგანონი ვიგულისხმოთ. გავიხსენოთ ცნობილი ფაქტი ნინოს მცხეთაში მისვ-

ლისა და მის მიერ ქადაგების დაწყებისა. მისიონერი ქალი თავდაპირველად უარს ამბობს სამეფო კართან რაიმე კონტაქტზე და იწყებს მოღვაწეობას სწორედ მოსახლეობის ფართო ფენებში. სწორედ აქედან გამოდიან ისინი, ვინც „...მას თანა ქადაგებდეს...“; ესენი არიან „...შუიდნი დედანი ნათესავნი ურიათანი, ასული აბიათარის, და ექუსნი სხუანი და სამოთხისა მცველნი იგი დედანი და ცოლ-ქმარნი, აბიათარ მღდელი, ახალი [illegible] (ქ-ეს ც-ბა, 1942, გვ. 62 7-11). ვფიქრობ, მსგავსი სურათი უნდა ყოფილიყო ნინოს მცხეთას მოსვლის წინა ხანაშიც.

## შენიშვნები.

1 ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (თბილისი, 1977, გვ. 61).

2 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (I-XVIII სს., თხ. 12. ტ., ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 76).

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I (თხზ. 12, ტ., ტ. 1, თბილისი, 1979, გვ. 212).

4 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (შრომები, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 213).

5 გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა ახ. წ. I—XIII სს. (თბილისი, 1976, გვ. 160, შენ. 206).

6 პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (თხზ. კრებ., 7 ტომად., ტ. II, თბილისი, 1978, გვ. 277).

7 რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში (თბილისი, 1979, გვ. 95).

8 იქვე, გვ. 95.

9 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში (თბილისი, 1979, გვ. 13).

10 ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (თბილისი, 1977, გვ. 334).

11 თ. სურგულაძე, თ. ბიბილური, მ. ძნელაძე, ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 101, № 3, 1981, გვ. 741-742).

12 ა. ფონ ფრიკენი, რომაული კატაკომბები (II, გვ. 102, რუსულ ენაზე).

13 ა. ს. უვაროვი, ქრისტიანული სიმბოლიკა, (ნაწ. I, მ., 1908 წ. რუსულ ენაზე).

14 ა. ფრიკენი, მით. ნაშრ., გვ. 100-104.

15 ტ. მ. არსენიევა, სამაროვანი სოფ. ნოვოოტრადნოესთან (კრებ.: მასალები და გამოკვლევები სსრკ არქეოლოგიაში, 1970, № 155, გვ. 82-142, რუსულ ენაზე).

16 ა. ეპლიტონ, რ. ბრიჯი, სიმბოლიზმი ლიტურგიკულ ხელოვნებაში (ინგლისურ ენაზე).

17 თ. ბიბილური, საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან (ძეგლის მეგობარი, № 62, თბილისი, 1983, გვ. 94-43).

18 თ. ბიბილური, თიხის ფილასამარხები ანტიკური ხანის საქართველოში (დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი. 1983. გვ. 39-44. ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ბაბაშვილი

# საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში

საუკუნეების მანძილზე საქართველო ისე მჭიდროდ იყო ჩაბმული მსოფლიო ისტორიულ პროცესში, რომ მისი ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის გარკვეული პერიოდები და წერილობითი წყაროები უცხოელი მეცნიერების ყურადღებას იზიდავდა და იზიდავს. ამის ნათელი მაგალითია ახალგაზრდა იაპონელი ისტორიკოსის სეიჩი კიტაგავას შემოქმედება. სტუდენტობისას მან წაიკითხა დევიდ ლენგის ერთ-ერთი ქართველოლოგიური სტატია, რომელმაც ისეთი ღრმა ინტერესი აღუძრა საქართველოს წარსულისადმი, რომ გადაწყვიტა დაუფლებოდა ქართულ ენას და შემდგომ მეცნიერულად შეესწავლა საქართველოს ისტორია. მალე ს. კიტაგავა მიიწვიეს ჰოკაიდოს უნივერსიტეტში, სადაც შექმნა ნაშრომები, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიის საკითხებს, კერძოდ, საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანას. ავტორი იკვლევს საქართველოში მონღოლთა მიერ გატარებულ პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იაპონიაში მონღოლთა ისტორიის შესწავლის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს. ს. კიტაგავას შრომები კი აღრმავებენ და აფართოებენ მას, ამავე დროს, საფუძველს უყრიან იაპონიაში ქართველოლოგიის განვითარებას.

ქართველი ხალხის ისტორიის გაცნობამ გამოიწვია მისი დაინტერესება მთლიანად ამიერკავკასიისადმი. ვინაიდან, როგორც თვით ს. კიტაგავა აღნიშნავს, საქართველო წარმოადგენდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად უაღრესად დაწინაურებულ ქვეყანას და მისი დამორჩილება ამიერკავკასიაში გაბატონების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, ამიტომაც იაპონელი მეცნიერის შრომებში საქართველო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

მსოფლიოში ალბათ ძალიან ძნელია მოიძებნოს ორი ისეთი ქვეყანა, რომლებიც ყოფით, ზნე-ჩვეულებით და ისტორიული სვე-ბედით ისე დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც საქართველო და იაპონია. საქართველო თავისი არსებობის მანძილზე დამპყრობთა თარეშის ასპარეზს წარმოადგენდა, იაპონია კი ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისი იყო. პირველმა ოკუპანტმა ამერიკელი ჯარისკაცის სახით „ამომავალი მზის ქვეყნის" მიწაზე მხოლოდ 1945 წელს დაადგა ფეხი. თავიანთი მძლავრობის პერიოდში (XIII-XIV სს.) იაპონიის დაპყრობას მონღოლებიც თავგამოდებით ცდილობდნენ. მაგრამ მათი ყველა ცდა ამ მიმართებით მარცხით დამთავრდა. იაპონიის კუნძულების ხელშეუხებლობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. მაგრამ იგივე ფაქტორები განაპირობებდნენ, რომ ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად ქვეყანას ხშირი ნგრევა და აოხრება არ ასცდენია. სწორედ ამ გარემოებამ დაღი დაასვა როგორც ერის ფსიქოლოგიურ წყობას, ისე მისი თანამედროვე ყოფის სხვა მხარეებს.

როგორი გზით წარიმართებოდა იაპონიის განვითარება მონღოლებს რომ დაეპყროთ იგი? იქნებ იაპონიის სპეციფიკის გათვალისწინებით ისინი ამ ქვეყნის მიმართ შესაბამის პოლიტიკას განახორციელებდნენ? იაპონელი მეცნიერის შრომებით, მონღოლები ხომ საკმაოდ დახვეწილ პოლიტიკოსებად გვევლინებიან. უეჭველია ერთი რამ — ამდაგვარი კითხვები, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, ს. კიტაგავას სტიმულს აძლევდა მეტად შრომატევადი და რთული საქმისათვის მოეკიდა ხელი.

იაპონელი ისტორიკოსის ქართველოლოგიურ ნაშრომებს ჩვენ ორიგინალში გავეცანით და პირველად ვცადეთ თანამიმდევრულად და

მთლიანობაში წარმოგვედგინა მისი შემოქმედება, რომელიც ენობრივი ბარიერის გამო დღემდე უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის.

ს. კიტაგავას პირველი ნაშრომი, რომელიც საქართველოს ეხება, 1975 წელს დაიბეჭდა ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „შიხო"-ში („საისტორიო მოამბე") სათაურით „ილხანთა ბატონობა ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში და ორბელიანთა ოჯახის აღზევება". იმავე ჟურნალში 1976 წელს გამოქვეყნდა კიტაგავას შემდეგი სტატია „უფლისწულ ოლჯაითის ქორწინების გარემოებანი და ილხანთა პოლიტიკა საქართველოში". როგორც ნაშრომში დამოწმებული ლიტერატურიდან ირკვევა, ავტორისათვის მთავარი წყაროა მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ქართველი ჟამთააღმწერლის თხზულება რასაც ემატება ქართველოლოგთა შრომები და ზოგიერთი აღმოსავლური წყარო.

მკვლევარი თხრობას იწყებს საქართველოში დავით დემეტრეს ძის გამეფებით, რომელსაც მონღოლებმა მთელი საქართველო გადასცეს, გარდა ჯაყელების სამფლობელოსი. ამასთან, მათ დავითს ცოლად შერთეს ქელათუ ყაენის და ოლჯათი, რასაც, მეცნიერის აზრით, ხელი უნდა შეეწყო საქართველოში მონღოლთა ბატონობის განმტკიცებისათვის. აღნიშნულ ფაქტს ს. კიტაგავა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, რაზედაც თვით ნაშრომის სათაურიც მეტყველებს. შემდეგ ნაჩვენებია, რომ დავითს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მონღოლთა წარჩინებულ პირთან თუქალთან, რომლის სადგომიც საქართველოს სამხრეთში იმყოფებოდა და რომელიც მონღოლებს შორის ძალაუფლებისათვის ამტყდარი ბრძოლის დროს ყაზანის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა. როდესაც ყაზანმა ყაენობას მიაღწია, მან დავითს კატეგორიულად მოსთხოვა თუქალის მისთვის გადაცემა. გარკვეული ყოყმანის შემდეგ დავითი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. აქვე კიტაგავას მოჰყავს ჟამთააღმწერლის ცნობა, რომ ყაენის რისხვის მომლოდინე დავითი ურდოში ჩასვლას ყოველნაირად თავს არიდებდა. დავითის ყაენისადმი უნდობლობის მთავარ მიზეზად ს. კიტაგავა მიიჩნევს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ამავე პერიოდში იწყება ქრისტიანული ეკლესიების რბევა. დავით მეფე იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და მთიულეთში შეეფარებინა თავი. ს. კიტაგავა კვალდაკვალ მიჰყვება ლტოლვილ ხელმწიფეს და გვიჩვენებს კავკასიის მთიანეთის იმ ადგილთა სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელსაც დავითმა შეაფარა თავი. აღნიშნავს, რომ დავითი გამაგრდა მთიულეთში, შავი არაგვის ზემო დინებაზე. მან გაამაგრა აგრეთვე ჟინვალის ციხე-სიმაგრე, რითაც საიმედოდ ჩაკეტა დარიალის ხეობის მისასვლელები.

ს. კიტაგავა დარიალის ხეობას დიდ სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც ის წარმოადგენდა საქართველოში შემოსასვლელ ძირითად გზას, რომლის გადმოვლითაც ილხანთა სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილ ოქროს ურდოს საქართველოში შემოჭრის რეალური შესაძლებლობა ეძლეოდა. ამის ნათელსაყოფად მეცნიერს მოჰყავს ეპიზოდები ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის ადრეული ომებიდან, რომელთა დროსაც ილხანთა ყაენი ჰულაგუ უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა დარიალში გაზრდილი რაოდენობის ჯარების ჩაყენებასა და ვიწროების ჩაკეტვას.

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარების თავისებურებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ის ფაქტორიც, რომ ქვეყნის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ილხანთა მოცილე ოქროს ურდო. სავსებით გასაგებია, განაგრძობს კიტაგავა, რომ თვით ილხანთა ტერიტორიის უშიშროების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო ამ უკანასკნელს საქართველო მორჩილებაში ჰყოლოდა, რათა „იქ სიმშვიდეს ჰქონოდა ადგილი". მკვლევარის აზრით, ილხანები სწორედ ამიტომ ანიჭებდნენ საქართველოს გაზრდილ პოლიტიკურ მნიშვნელობას და ამითაც უნდა აიხსნას ოლჯათის დავითზე ქორწინებაც.

როგორც ზემოთ მოტანილიდან ჩანს, ილხანები ენერგიულ ზომებს იღებდნენ, რათა ოქროს ურდოსათვის ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრის გზები — დარიალი და დარუბანდი ჩაეკეტათ. ამის შემდეგ ლოგიკურად გამოიყურება კიტაგავას მტკიცება იმის თაობაზე, რომ დავითის განდგომამ და მთიულეთში გამაგრებამ ძლიერ შეაშფოთა ყაზან ყაენი. ავტორი დაწვრილებით აღწერს ილხანების ყოველგვარ ღონისძიებას მიმართულს დავითთან კარგი ურთიერთობის დამყარებისათვის. ამის მთავარ პირობად კი ყაენს დავითის ურდოში ჩასვლა მიაჩნდა. სანაცვლოდ ყაზან ყაენი დავითს ფიცის წიგნისა და მძევლების მიცემასაც კი ჰპირდებოდა. მიუხედავად ამისა, დავითი მაინც მტკიცე უარზე იდგა, რაც იწვევდა ყაზანის მიერ დამსჯელი ოპერაციების ჩატარებას.

ყაზანსა და დავითს შორის ურთიერთობის ისტორიის გადმოცემისას ავტორი იშველიებს თითქმის ყველა მასალას, რომელსაც ჟამთააღმწერელი გვაწვდის და ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია შევჩერდეთ აღნიშნულ საკითხზე. აქ უპველად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეცნიერი დეტალურად აღწერს ქართველთა ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ. მართალია, როგორც კიტაგავა აჩვენებს, მონღოლები და-

ვითის დასამორჩილებლად ყველა ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ სწადელს ვერ მიაღწიეს, თუმცა მათ საქართველოს დიდი ზიანი მიაყენეს. სწორედ ამიტომ მონღოლებმა ახალ ხრიკებს მიმართეს და დავითს დაუპირისპირეს მისივე ძმა ვახტანგი, რომელიც საქართველოს მეფედაც კი გამოაცხადეს. შექმნილ ვითარებაში დავითმა თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და ყაენს აღუთქვა, რომ მზად იყო ხლებოდა მას, თუკი მის პირობებს შეასრულებდნენ. დავითი, პირველ ყოვლისა, მძევლების გადაცემას მოითხოვდა, რაზედაც მონღოლები დათანხმდნენ. თავის მხრივ კი დავითმა მონღოლებს მძევლად ოლჯათი გაუგზავნა. შემდგომში კი, მისი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მონღოლებმა იგი უკან აღარ დაუბრუნეს. ამით, როგორც კიტაგავა მიიჩნევს, ჩაიშალა დავითის მონღოლებთან მორიგების ყოველგვარი შესაძლებლობა.

ს. კიტაგავას სტატიიდან აშკარაა, რომ ოლჯათის პიროვნებას ის უფრო დიდ ადგილს უთმობს და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული. იაპონელი მეცნიერი შემდეგ მოსაზრებასაც კი გამოთქვამს: „საუკუნის (XIII ს.) ბოლოს ილხანთა პოლიტიკის პრობლემას წარმოადგენდა დავითის ხელახალი დამორჩილება. დავითის დამორჩილების პოლიტიკის აგრერიგად თანმიმდევრულად გატარების, აგრეთვე მოლაპარაკების გახანგრძლივების მიზეზი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობდა, რომ დავითს ცოლად ჰყავდა მონღოლი უფლისწული ოლჯათი. ამის გარდა, პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას, აშკარაა, განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ დავითს დარიალის ხეობა ჰქონდა დაკავებული“.

ს. კიტაგავას აღიარებით, დარუბანდისაგან განსხვავებით, ოქროს ურდოს ჯარს აღნიშნული ხეობა არ გადმოულახავს. უფრო მეტიც, ასეთი გეგმის არსებობის შესახებ არაფერია ცნობილი, თუმცა უფრო ადრე, დავით ლაშას ძის აჯანყების დროს, მონღოლები ძლიერ შეაშფოთა ქართველების მიერ დარიალიდან ოქროს ურდოს ჯარების შემოყვანის საშიშროებამ. სწორედ ამიტომ დარიალის დასაცავად მონღოლებმა თავისი ჯარები გაგზავნეს. 1296 წელს, განაგრძობს მეცნიერი, ოქროს ურდოში ამტყდარი პოლიტიკური ბრძოლის დროს, ნოღაის ოჯახი ილხანებთან გაიქცა და ყაზან ყაენს დახმარება სთხოვა. აღნიშნული მოვლენები ილხანებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. როგორც ს. კიტაგავა შენიშნავს, ამჯერად დარიალის ხეობიდან დავითის განდევნას ყაზან ყაენისათვის უკვე აღარ ენიჭებოდა ადრინდელი მნიშვნელობა, რადგან შინაპოლიტიკურად აღრეულ ოქროს ურდოს სამხრეთისაკენ გამოხალაშქრებლად არ ეცალა. ამასთან, შექმნილი ვითარება ქმნიდა რეალურ პირობებს ჩრდილოეთის ურდოსთან ილხანთათვის სასურველი მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად. ამას დაემატა ვახტანგის ძალაუფლების სტაბილიზაცია, ხოლო კავკასიის მთებში შეხიზნული, მცირერიცხოვანი ჯარის ამარად დარჩენილი დავითის გავლენა უზომოდ შეიზღუდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დავითის მონღოლთათვის დამორჩილების პოლიტიკური აუცილებლობა მთლიანად გაქარწყლდაო, წერს მეცნიერი.

კარგადაა ცნობილი ის შეფასება, რომელიც ი. ჯავახიშვილმა მისცა დავით VIII მოღვაწეობას, კერძოდ, მის მიერ მონღოლთა თანამდგომი ერისთავის შალვა ქვენიფნეველის ტერიტორიის დარბევის ფაქტს. ს. კიტაგავას უკომენტაროდ მოჰყავს სათანადო წყარო. იგი ასევე იკავებს თავს დავითის მოღვაწეობის საერთო შეფასებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერს ახასიათებს მეტად თავშეკავებული მანერა, ვინაიდან ის გრძნობს, რომ ეხება უცხო ხალხის ტრაგიზმით აღსავსე ისტორიას. იაპონელი ისტორიკოსი თავს არიდებს ზედმეტ კომენტარებს. მაგრამ ქართული წყაროების შერჩევისა და მათდამი დამოკიდებულებიდან ჩანს მისი ღრმა სიმპათია ჩვენი ხალხისადმი, პატივისცემა ჩვენი ისტორიული წარსულისადმი. მართლაც ს. კიტაგავას მოჰყავს ჟამთააღმწერლის თითქმის ყველა ცნობა, რომლებიც ასახავენ ქართველთა მძიმე მდგომარეობას მონღოლთა ბატონობის დროს, მათ ვაჟკაცურ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ს. კიტაგავას შემდეგი ნაშრომი „ილხანთა ბატონობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და სამცხე-საათაბაგოს ჩამოყალიბება“ („შიხო“) იმითაცაა საყურადღებო, რომ აქ მკვლევარი უკვე ფართოდ იყენებს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ ცალკეულ ავტორთა მონოგრაფიებსა და სამეცნიერო ნაშრომებს. ავტორი აღნიშნავს, რომ თავის ადრეულ შრომებში მან ყურადღება მიაქცია მე-18 საუკუნეში ორბელიანთა, მხარგძელთა, მანკაბერდელთა ოჯახების წარმომადგენლების მიერ ბაგრატიონთა სამეფო კარზე ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობების დაკავების ტენდენციას. მისი აზრით, ეს გარემოება აიხსნებოდა ზემოხსენებულ დიდგვაროვანთა „ზურგს უკან მდგომი მონღოლების ძლიერი მხარდაჭერით“. მაგრამ გიორგი ბრწყინვალის გამეფების შემდეგ, განაგრძობს ავტორი, აღნიშნული თანამდებობები ხელთ იგდო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხის) მთავრის ჯაყელის ოჯახმა. აქვე ხაზგასმულია, რომ საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში ჯაყელთა ოჯახს, სხვა წარჩინებულ საგვარეულოსაგან განსხვავებით, ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებდა. კერძოდ, ყაენის სანქციით ჯაყე-

ლების სამთავრო საქართველოს გამოეყო და დროებით უშუალოდ მონღოლებს ექვემდებარებოდა. იაპონელი მეცნიერი აღნიშნულ გარემოებას მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად, რომელიც მონღოლებმა შეიტანეს „მათდამი დაქვემდებარებული ქვეყნის სახელმწიფო მექანიზმში“.

სამცხე-საათაბაგოს სამთავროს პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებული იაპონელი მკვლევარი, ქართულ და აღმოსავლურ წყაროებთან ერთად, წარმატებით იყენებს ყველა იმ ქართველი მეცნიერის შრომას, რომელიც ეძღვნება საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდის სამცხის პრობლემატიკას.

ვინაიდან, იაპონელი მეცნიერის აზრით, 1817 წლამდე ჯაყელთა ოჯახის ქრონიკები და მონღოლური წყაროები მეტად მწირ ცნობებს იძლევიან სამცხე-საათაბაგოს ისტორიის შესწავლისათვის, ს. კიტაგავა ძირითადად იყენებს ჟამთააღმწერლის ცნობებს და ზოგიერთ აღმოსავლურ წყაროს. მათზე დაყრდნობით მკვლევარი წარმოაჩენს ჯაყელებისა და ბაგრატიონებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობას, შინაარსსა და ხასიათს, რის საფუძველზეც ცდილობს აჩვენოს თუ რა მიზეზით, როგორ და რა პირობებში მოხდა სამცხის გამოცალკევება, ხოლო მოგვიანებით ისევ შემოერთება.

ნაშრომის პირველ თავს ეწოდება „ჯაყელები მონღოლთა შემოსევამდე“ და მთლიანად ეძღვნება მათი საგვარეულოს წარმოშობის ისტორიას.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მონღოლთა მიერ საქართველოს დამორჩილების შემდეგ ქართველი დიდებულები, უპირატესად ჯაყელები, მონღოლთა სამსახურში ჩადგნენ. მაგალითად, მკვლევარს მოჰყავს ჟამთააღმწერლის ცნობა იმის შესახებ, რომ 1248 წელს რუმის სულთანთან მონღოლების ომის დროს სარგის ჯაყელი ამ უკანასკნელთა სამსახურში იმყოფებოდა. ამ და სხვა მსგავსი მოვლენების კონსტანტაციის დროს ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ქართული პირველწყაროები.

ს. კიტაგავას ნაშრომების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ საკითხის წარმოჩენის ზემოაღნიშნულ მეთოდს ავტორი მიმართავს არა მარტო საკუთარი კონცეფციის დასაბუთებისათვის, არამედ იმ მიზნითაც, რომ იაპონელი მკითხველებისათვის მისაწვდომი გახადოს ქართული წყაროები.

სამხედრო ბეგარის გარდა, მონღოლებმა საქართველოს მძიმე ხარკი დააკისრეს. განსაკუთრებით აუტანელი იყო მონღოლი გადასახადების ამკრეფის ხოჯა აზიზის მოქმედება. დავით ლაშას ძის გადაწყვეტილებას აჯანყებისათვის მიემართათ, დიდებულებმა მხარი არ დაუჭირეს და უცხოეთში სალაშქროდ გაჰყვნენ მონღოლებს. გამონაკლისს მხოლოდ სარგის ჯაყელი წარმოადგენდა. ს. კიტაგავა სპეციალურად დიდ ადგილს უთმობს ამ წყაროს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი ერთგულება გამოიჩინა სარგისმა მეფისადმი და აჯანყების საქმისათვის მას მთელი რესურსები გადასცა. ჟამთააღმწერლის ფართო ციტირებით ავტორი მიგვანიშნებს, რომ ჯაყელის ასეთ ერთგულებას არ შეიძლება არ შეეშფოთებინა მონღოლები და არ დაეფიქრებინა, მაგრამ იმ დროისათვის მათ მხოლოდ სამხედრო აქციების ჩატარება შეეძლოთ.

შემდეგ დეტალურად აღწერილია ბრძოლები რომლებიც აჯანყებულმა მესხებმა მონღოლებს გაუმართეს. ხაზგასმულია მონღოლთა რიცხობრივი უპირატესობა და ქართველ აჯანყებულთა ვაჟკაცური ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ავტორი აღნიშნავს, რომ მონღოლებმა ქართველების მებრძოლი სული ვერ გატეხეს, თუმცა მესხეთი განადგურების პირას მიიყვანეს, რამაც აიძულა მეფე და სარგის ჯაყელი მონღოლებისათვის მორჩილება შეეთავაზებინათ. კონტექსტიდან ჩანს, რომ ს. კიტაგავა ასეთი გადაწყვეტილებას გარდუვალად მიიჩნევს.

სამშვიდობო მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ მონღოლები მზად იყვნენ ეპატიებინათ დავით მეფისათვის აჯანყების მოთავეობა, ჯაყელისათვის კი არა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯაყელი მეფესთან ერთად გაემგზავრა ყაენთან. ასეთი ერთგულებით აღფრთოვანებულმა მეფემ ჯაყელს ქვაბლიანი და ზოგიერთი სხვა ტერიტორია გადასცა. ეს ფაქტი ს. კიტაგავას მიაჩნია ჯაყელთა ტერიტორიის გაფართოების საწყისად, რაც უნებლიედ უწყობდა ხელს მათი ძალაუფლების ზრდას და მომავალში მეფისადმი მათ დაპირისპირებას. ყაენის კარზე ჩასული სარგის ჯაყელი სასჯელისაგან ოქროს ურდოს შემოსევამ იხსნა. ასეთ ვითარებაში ილხანებს ხელს არ მისცემდა საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება. ამიტომაც, დავითსა და ჯაყელს დანაშაულის გამოსასყიდად ოქროს ურდოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა უბრძანეს. ამ ბრძოლაში ჯაყელმა ისე ისახელა თავი, რომ მონღოლებმა გადაწყვიტეს მისთვის კარნუ-ქალაქის გადაცემა. ს. კატაგავა გვიჩვენებს, რომ ეს იყო აშკარა პოლიტიკური ნაბიჯი, რასაც მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების დასუსტება უნდა გამოეწვია. ავტორს კარგად ესმის, რომ ეს ფაქტი დავით მეფემ სათანადოდ შეაფასა და მიიღო შესაბამისი ზომები. ავტორისათვის მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ დავითის მიერ ჯაყელის დატყვევება ეწინააღმდეგებოდა მონღოლთა პოლიტიკურ მიზნებს და მისი განთავისუფლება აბაღა ყაენის პირადი ჩარევის შედეგი იყო. როგორც ის მიუთითებს, სამცხის საქართველოსაგან გამოყოფის ინიცი-

ატივა სწორედ მონღოლებისაგან მომდინარეობდა.

ნაშრომის შემდეგ თავში — „ჯაყელების ოჯახი ილხანებისადმი უშუალო დაქვემდებარების პერიოდში“, ნაჩვენებია ის შედეგები, რაც მოჰყვა საქართველოსგან სამცხის გამოყოფას. ხაზგასმულია, რომ ამიერიდან იწყება ჯაყელების ტერიტორიის საგრძნობი გაფართოება. ავტორი დაწვრილებით მსჯელობს იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ჯაყელების სამფლობელოების გაფართოება არტანუჯის, ნიგალის, ჯავახეთის, შავშეთისა და სხვა ტერიტორიების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ სამცხისათვის მიერთებული ტერიტორიების ტოპონიმიკა ზუსტად არის გადმოცემული, რაც იაპონური ენის, რადიკალურად განსხვავებული ფონეტიკისა და დამწერლობის პირობებში მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს.

ს. კიტაგავა გარკვეულ ადგილს უთმობს მონღოლ წარჩინებულთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის საკითხს, კერძოდ, თეგუდარის აჯანყების ისტორიას. აღნიშნული ამბები მას აინტერესებს მონღოლთა შორის პოლიტიკურ ბრძოლაში ჯაყელების მიერ დაკავებული პოზიციის თვალსაზრისით. მისთვის მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, რომ ჯაყელები ლოიალობას იჩენდნენ მონღოლთა მიერ დამყარებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მიმართ.

შემდეგ ლაპარაკია ბექა ჯაყელის ურთიერთობაზე ყაზან ყაენთან, რომელსაც „ის ხარაჯას უხდიდა და დამხმარე ჯარებს აწვდიდა“. კიტაგავას ჟამთააღმწერლიდან მოაქვს შესაბამისი მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ეფექტიანად იყენებდნენ მონღოლები ჯაყელებს საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო მიზნებისათვის. მაგალითად, როდესაც დავით VIII დასამორჩილებლად ყუთლუშახ მეთაურობით გაიგზავნა მონღოლთა ჯარი, მის შემადგენლობაში ბექას სამხედრო ნაწილებიც იყო. ხოლო როდესაც ყაენმა პირველად დალაშქრა სირია, ბექამ რჩეული ჯარები გადასცა მას. იგივე მოხდა 1307 წელს, მონღოლების გილანში ლაშქრობის დროსაც.

განხილულ წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერი დაასკვნის, რომ ჯაყელთა ლაშქარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც მონღოლთა უცხოურ ლაშქრობებში, ისევე საქართველოში მათი ბატონობის განმტკიცებისა და „ქვეყნის შიგნით სიმშვიდის შენარჩუნების თვალსაზრისით“.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად, ს. კიტაგავა გარკვეულ ადგილს უთმობს სამეფო ოჯახსა და ჯაყელებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაგრატიონთა ყოველი ცდა, ზემოქმედება მოეხდინათ მონღოლთა ხელშეწყობით აღზევებულ ჯაყელებზე, უშედეგოდ მთავრდებოდა.

ნაშრომის შემდეგი თავი მთლიანად ეძღვნება სამცხის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხს. ავტორის მტკიცებით, ჯერ კიდევ ულჯეითუ ყაენის დროს მონღოლთა შორის წარმოიშვა აზრი საქართველოს კვლავ გაერთიანების მიზანშეწონილობის შესახებ. ს. კიტაგავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიორგი ბრწყინვალისათვის სამცხის გადაცემა მონღოლთა ფაქტიური განმგებლის ჩობანის დამსახურება იყო. ავტორი ფართო ციტირებას ახდენს ჟამთააღმწერლის თხზულების იმ ადგილებისა, სადაც ეს ამბებია მოთხრობილი. აქ ხაზგასმულია ჩობანის პირადი სიმპათია გიორგი მეფისადმი, მაგრამ ავტორი თხრობას ისე აგებს და მას წყაროებს ისე უფარდებს, ჩანს სურს აჩვენოს, რომ საქართველოსათვის სამცხის გადაცემა წარმოადგენდა არა სუბიექტურ და შემთხვევით, არამედ გეგმაზომიერ აქტს. აქ ავტორი იზიარებს დ. ლენგის აზრს იმის თაობაზე, რომ ჩობანმა გიორგი ბრწყინვალეს სამცხე გადასცა პოლიტიკური მოსაზრებით, მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე. აქვე აღნიშნულია ისიც, რომ ჯაყელები იძულებულნი იყვნენ ყაენის გადაწყვეტილებას დამორჩილებოდნენ. მითუმეტეს, რომ მათი ტერიტორია არ შემცირებულა და ერთგვარი კომპენსაციის სახით მათ გადაეცათ მნიშვნელოვანი თანამდებობა ათაბაგისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მათ მონოპოლიას წარმოადგენდა. დაბოლოს, აღნიშნულია, რომ მე-16 საუკუნეში ოსმალებმა მოახდინეს აღნიშნული ტერიტორიის ანექსია.

დასკვნაში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯაყელთა ილხანებისადმი დაქვემდებარებისა და შემდეგ ისევ მეფის მორჩილებაში შესვლის დროს მონღოლებისათვის მათ ნებასურვილს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. უფრო მეტიც, მკვლევარის აზრით, აღნიშნულ საკითხზე ყაენთა გადაწყვეტილება ცალმხრივ ხასიათს ატარებდა. მონღოლებს გააჩნდათ ამიერკავკასიაში ბატონობის საკუთარი პოლიტიკური ხაზი, რომლითაც მანკაბერდელთა, მხარგრძელთა, ორბელიანთა პოლიტიკურ კარიერას წარმართავდნენ. „მათი მანიპულირების საშუალებით მონღოლები ახერხებდნენ მეფის ძალაუფლების გარკვეულ ფარგლებში მოქცევას და თავისებური კონტროლისადმი დაქვემდებარებას“. მაგრამ ეს მათი პოლიტიკის მხოლოდ ერთი მხარე იყო. ერთდროულად მონღოლები ხელს უწყობდნენ მეფის ძალაუფლების მექანიზმის ფუნქციონირებას, რადგანაც მასში საკუთარი ინტერესებისათვის სასარგებლოსაც ხედავდნენ.

1980 წელს იაპონიის ისტორიული საზოგადოების კრებულში „სიგაქუ ძასი“-ში („ისტორიულ მეცნიერებათა ჟურნალი“), რომელსაც ტოკიოს უნივერსიტეტი სცემს, დაიბეჭდა

ს. კიტაგავას სტატია — „საქართველოში ილხანთა ბატონობა და არწრუნთა ოჯახის აღზევება“. ავტორი წერილის დასაწყისში გვიხატავს საქართველოს საერთო ვითარებას აღნიშნულ პერიოდში, გვაძლევს იმ ისტორიული პიროვნებების დამაჯერებელ დახასიათებას, რომლებიც მოღვაწეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე. შემდეგ ჩამოთვლის ყველა იმ ტერიტორიას, რომლებსაც ბაგრატიონები განაგებდნენ. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხარგრძელები, მანკაბერდელები, ორბელიანები თავიანთ ტერიტორიებზე გარკვეულ ავტონომიას ინარჩუნებდნენ და, ამავე დროს, სამეფო კარზე დიდ თანამდებობებს იკავებდნენ. მართლაც, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოს სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობანი, აღნიშნავს ს. კიტაგავა, მხარგრძელთა ფაქტიურ მონოპოლიას წარმოადგენდა. მაგრამ გარკვეულ პერიოდში ადგილი ჰქონდა მათი გავლენის დასუსტებას, ხოლო ერთდროულად აღინიშნებოდა ორბელიანთა და მანკაბერდელთა აღზევება.

იაპონელი მკვლევარი იზიარებს თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის ლ. ბაბაიანის კონცეფციას ზემოაღნიშნულ წარჩინებულ პირთა დაწინაურების თაობაზე. ს. კიტაგავას აზრით, მან მკაფიოდ გვიჩვენა მონღოლების მიერ სომხეთში გატარებული პოლიტიკისა და აღნიშნული მთავრობის აღზევებასა და დაცემას შორის პირდაპირი კავშირი. იაპონელი მეცნიერი ბაბაიანის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ სომხეთის მაგალითზე მან გვიჩვენა მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების პოლიტიკური მართვის მექანიზმის თავისებურებანი. აქვე მნიშვნელოვანია ისიც, რომ იაპონელი ისტორიკოსი იწონებს და ქებით იხსენიებს რა ლ. ბაბაიანის ზოგიერთ მოსაზრებას, ამავე დროს, კრიტიკულადაც ეკიდება მის რიგ მტკიცებას. კერძოდ, ნათქვამია, რომ ლ. ბაბაიანის კვლევის არეალი მეტად შეზღუდულია. ეს, ს. კიტაგავას აზრით, იმით აიხსნება, რომ ბაბაიანი სომხეთის ისტორიის ამ პერიოდს საქართველოს ისტორიისაგან მოწყვეტით განიხილავს, მაშინ, როდესაც იმდროინდელი სომხეთი საქართველოს სამეფოში შედიოდა. ასეთი არასწორი პოზიცია, ამტკიცებს იაპონელი მეცნიერი, გამოდის სომეხი ისტორიკოსის მცდარი კონცეფციიდან, თითქოს სომხეთის მთავრები თავისი ტერიტორიის ფარგლებში სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იაპონელი მეცნიერი კიდევ ერთხელ დარწმუნებით აცხადებს, რომ მონღოლთა ბატონობის პირობებში ქართველ მეფეთა ძალაუფლება სომხეთზე კვლავ ვრცელდებოდა, „რაც მონღოლთა ინტერესებს უბრალოდ კი არ შეესატყვისებოდა, არამედ სანქციონირებულიც კი იყო მათ მიერ“.

მონღოლთა ბატონობის რაობის უკეთ გაგებისათვის იაპონელ მკვლევარს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია ადგილობრივ პოლიტიკურ ურთიერთობათა შესწავლის მასშტაბების გაფართოება. ასეთ შემთხვევაში მთავარია, განაგრძობს იაპონელი ისტორიკოსი, ქართველ მეფეთა და სომეხ მთავართა შორის ურთიერთობის დეტალურად გააზრება. ამას გარდა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორი ხასიათისა იყო და რაში გამოიხატებოდა ის უშუალო მხარდაჭერა, რომელსაც მონღოლები უწევდნენ ორბელიანებს, მანკაბერდელებს, მხარგრძელებს, რაც, მეცნიერის თქმით, მათი აღზევების უშუალო მიზეზს წარმოადგენდა. როგორც კიტაგავა ფიქრობს, აღნიშნულ კითხვებზე გარკვეული პასუხის მიღება შეიძლება სადუნ მანკაბერდელის მოღვაწეობის ღრმად შესწავლის, მისი ბიოგრაფიისა და პოლიტიკური კარიერის მთავარი ეტაპების გაანალიზების შემთხვევაში. ასეთი განცხადების შემდეგ სავსებით გასაგებია, თუ რატომ უთმობს ს. კიტაგავა განსაკუთრებულ ადგილს მანკაბერდელის აღზევების ისტორიას. საკითხის განხილვისას მეცნიერი ეყრდნობა ქართულ, სომხურ და ნაწილობრივ აღმოსავლურ წყაროებს.

ს. კიტაგავა ჟამთააღმწერლისა და გრიგოლ აკნერცის ცნობების საფუძველზე, აღწერს ფალავანთა ტურნირში სადუნ მანკაბერდელის გამარჯვებას, რითაც ამ უკანასკნელმა ყაენის ყურადღება მიიპყრო და მისი გულიც მოიგო. ამას შედეგად მოჰყვა მისთვის თარხნის წოდების მინიჭება. ეს იაპონელ ავტორს მიაჩნია სადუნ მანკაბერდელის აღზევების საწყის ეტაპად. სადუნმა მონღოლთა კიდევ მეტი პატივისცემა დაიმსახურა მათ დამპყრობლურ ომებში აქტიური მონაწილეობით. ზემოაღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით ს. კიტაგავა დაწვრილებით აღწერს ყველა იმ ბრძოლას, რომლებშიც სადუნი იღებდა მონაწილეობას.

ს. კიტაგავა ცალკე განიხილავს მანკაბერდელთა წარმოშობის საკითხს, რასაც ერთ თავს უძღვნის. აღნიშნული პრობლემის გარკვევისას მკვლევარი ყველაზე მისაღებად მიიჩნევს სომეხი მემატიანეების — გრიგოლ აკნერცისა და კირაკოზ განძაკეცის ვერსიას, რომელთა მიხედვითაც მანკაბერდელი არწრუნთა ოჯახს ეკუთვნოდა, რომ ის ამირა ქურდის შვილიშვილი და სერბაკუნის შვილი იყო. იქვე ამირა ქურდი გაიგივებულია თამარისდროინდელ თბილისის ამირასთან — აბულასანთან. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოაღნიშნულ კონცეფციებს ქართული ისტორიოგრაფია არ იზიარებს. ამიტომაც, თუ ს. კიტაგავა სადუნს მოიხსენიებს როგორც არწრუნად, ისე მანკაბერდელად, ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ ფორმას ვიყენებთ.

ს. კიტაგავა დიდ ადგილს უთმობს მხარგრძელთა სამფლობელოში სადუნის მოღვაწეობის

საკითხს. სხვადასხვა სახის წყაროებიდან ამოკრეფილი მასალების მიხედვით, მეცნიერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მხარგრძელთა კარზე სადუნს ყოველნაირად მფარველობდნენ აბაღა ყაენი და მისი ფინანსთა უწყების განმგებელი შამს ად დინი ჯუვეინი. ამასთან ხაზგასმულია, რომ აღნიშნულ პერიოდში, სადუნი მხარგრძელთა ვასალად რჩებოდა და, ამის შესაბამისად, მეფესაც ემორჩილებოდა. ის მხოლოდ ხვაშაქის მაგიერ უძღვებოდა მხარგრძელთა საქმეებს და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ მხარგრძელთა სამფლობელო ამ გვარის ერთ-ერთი შტოს ხელში არ გადავიდა.

ს. კიტაგავას აზრით, სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სადუნის გაბატონება არ გამომდინარეობდა იქიდან, რომ თავის დროზე სადუნს ხვაშაქის კარზე დიდი თანამდებობა ეკავა. ბუნებრივია, ასეთი განცხადების შემდეგ ავტორი ეხება მანკაბერდელის დაწინაურების ნამდვილ მიზეზებს, რისთვისაც საჭიროდ თვლის ღრმად ჩაიხედოს სადუნისა და მონღოლთა ურთიერთობაში.

სადუნ მანკაბერდელის დაწინაურების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად ავტორს მიაჩნია 1260 წელი, როდესაც დავით მეფემ სადუნს გადასცა ფართო ტერიტორიები.

ინტერესს იწვევს რაშიდ ად დინის ერთი ცნობის ს. კიტაგავასეული ინტერპრეტაცია. აღნიშნული ცნობის მიხედვით აბაღას ყაენად გახდომის შემდეგ მონღოლებმა საქართველო გადასცეს დავითს და მის შვილს სადუნს. ავტორი მიუთითებს სპარსული წყაროს მცდარობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს ს. კიტაგავა, აქ კარგად ჩანს ყაენ აბაღას ხელშეწყობით სადუნის ძალაუფლებისა და გავლენის ზრდა ბაგრატიონთა სამეფოს კარზე, რასაც შემდეგ მოჰყვა სადუნისათვის ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობის ბოძება.

ჟამთააღმწერლის ცნობებზე დაყრდნობით, მკვლევარი გვაწვდის თითქმის ყველა შესაბამის მასალას, რომელიც ეხება სადუნის საქმიანობას მისი კარიერის ზენიტში. კერძოდ, ნაჩვენებია მონღოლთა დახმარებით როგორ ჩაიგდო მან ხელთ სამეფო ტერიტორიების — თელავის, ბელაქანისა და ყარსის განმგებლობა. აქვე ფართოდაა წარმოჩენილი სადუნის ურთიერთობა მონღოლებთან, ლაპარაკია მის მრავალცოლიანობაზე და სხვ.

შემდეგ საკმაო ადგილი ეთმობა სადუნის ძის ყუთლუ-ბუღას მოღვაწეობას. ნაჩვენებია ის ინტრიგები, რომელთა საშუალებითაც მან დაიბრუნა ათაბაგის თანამდებობა, რომელიც სადუნის შემდეგ მანკაბერდელთა კონკურენტებს — ორბელიანებს გადაეცათ. მაგრამ, როგორც ს. კიტაგავა მიუთითებს, საბოლოოდ ყუთლუ ბუღასვე ხრიკებმა განაპირობეს მანკაბერდელთა საქართველოს პოლიტიკური არენიდან გაქრობა.

დასასრულ კიტაგავა ხაზს უსვამს იმ ვარემოებას, რომ სადუნის აღზევება ნათელი ნიმუშია იმ სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმისა, რომლის საშუალებითაც ილხანები კონტროლს უწევდნენ სამეფო დინასტიებს, მათ შორის ბაგრატიონებსაც. ს. კიტაგავას კონცეფციის მიხედვით: „მონღოლები მეფეებად, ვასალებად, მათზე დამოკიდებულ უფრო დაბალი რანგის ვასალებად ნიშნავდნენ იმათ, ვინც მათდამი ერთგულებას იჩენდა და რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იყო". მართვის ასეთ სისტემას მონღოლებისათვის კარგი შედეგი მოჰქონდა. მონღოლები საქართველოს მართავდნენ როგორც მეფის ძალაუფლების, ისევე ათაბაგის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის ინსტიტუტების მეშვეობით. ძალაუფლების ასეთი დანაწილება მონღოლთა ბატონობის მიზნებს უფრო კარგად შეესაბამებოდა. მრავალგვარი წყაროსა და ფაქტის განხილვის შემდეგ იაპონელი მკვლევარი ბოლოს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ სადუნ მანკაბერდელი, ჯაყელებისაგან განსხვავებით, მაინც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა.

1988 წელს ჟურნალ „შიხო"-ში გამოქვეყნებული ს. კიტაგავას ვრცელი ნაშრომი „მონღოლთა ჯარები საქართველოსა და შარვანში" მრავალმხრივადაა საინტერესო. ამჯერად ავტორი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს მონღოლთა ჯარების, როგორც ილხანთა პოლიტიკის დასაყრდენი როლი მათ მიერ დაპყრობილ საქართველოსა და შარვანში. ამ ქვეყნების ერთ სიბრტყეში გაერთიანება ს. კიტაგავას იმიტომ დასჭირდა, რომ, მისი აზრით, ილხანები ორივე სახელმწიფოში იდენტურ სამხედრო პოლიტიკას ახორციელებდნენ (აღსანიშნავია, რომ ავტორი საქართველოს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და მას ცალკე თავებს უძღვნის).

აღნიშნული ნაშრომით ახალგაზრდა ავტორი გამოცდილ და ფართო შესაძლებლობის მკვლევარად წარმოგვიდგება. შთამბეჭდავია მის მიერ გამოყენებული ლიტერატურის სია, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის აღმოსავლური წყარო, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს სამეცნიერო ბრუნვაში არ არის მოქცეული. ნაშრომში სპარსულ და არაბულ ენებზე დამოწმებულია შემდეგი ავტორები: რაშიდ ად დინი, ჰაფეზ აბრუ, ქაშანი, ელ კალკაშანდი, ყაზვინი, სამარყანდი, ნაბაი, ჯუვეინი, ვახაფი, ბანაკეთი და აჰრი. მათზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს დაადგინოს საქართველოში მონღოლთა ჯარების სადგომების რაოდენობა და ადგილმდებარეობა, გაარკვიოს მათი დანიშნულება. მას აინტერესებს გვაჩვენოს საქართველოში მოღვაწე მონღოლი მხედართმთავრების ვინაობა და სადაურობა, მათი აღზევებისა

და დაცემის მიზეზები, ურთიერთშორის ბრძოლა და ქიშპობა. აქედან ავტორი ლოგიკურად გადადის ბოლო თავზე, სადაც აშუქებს მონღოლთა უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების მიზეზებს.

შესავალში ავტორი ლაკონური შტრიხებით გვაწვდის ცნობებს ილხანთა სახელმწიფოს შესახებ. ხაზგასმულია, რომ ილხანთა სახელმწიფოსა და მათდამი დამორჩილებულ ქვეყნებში ძალაუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა მრავალ ადგილას განლაგებული მონღოლთა ჯარის სადგომები.

ს. კიტაგავას მტკიცებით სადგომები წარმოადგენდნენ არა მარტო მონღოლ სამხედროთა და მათი ოჯახის წევრთა დაბანაკების ადგილს, არამედ შრომითი საქმიანობის ცენტრსაც, სადაც ისინი მესაქონლეობას ეწეოდნენ და წარმოების საკუთარი სისტემა ჩამოაყალიბეს. შორს იყვნენ რა მიწათმოქმედებისაგან, ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან გაცვლის პროცესში ჩაებნენ (თავის პროდუქციას მონღოლები ძირითადად ხორბალსა და ხელოსნურ ნაწარმზე ცვლიდნენ).

ს. კიტაგავას მტკიცებიდან გამომდინარეობს, რომ სადგომები განაპირობებდნენ დაპყრობილი ხალხების სულიერ და მატერიალურ ჩაგვრას, „ზურგს უმაგრებდნენ მონღოლთა გადასახადების ამკრებთა მოქმედებას". მონღოლთა წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შემთხვევაში სადგომში განლაგებული ჯარის მობილიზაცია სწრაფად ხდებოდა.

ნაშრომში სპეციალური თავი ეძლვნება ჟამთაალმწერლის მიერ ხშირად მოხსენიებულ „სიბა"-ს (ჩრდილოეთიდან დარუბანდით ოქროს ურდოს შემოტევის ალკვეთის მიზნით დაარსებული სამხედრო ბანაკი). აღნიშნულ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერი მიზნად ისახავს დაადგინოს სიბას აგების დაწყების ზუსტი თარიღი, ადგილმდებარეობა და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა. აქ აღნიშნულია, რომ ოქროს ურდოს შემოტევის შესაკავებლად ან მის წინააღმდეგ იერიშის მიტანისათვის დარუბანდზე კონტროლის უზრუნველყოფა აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ მტკიცების ნათელყოფას ავტორი ცდილობს ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის გაჩაღებული საომარი მოქმედებების დეტალური აღწერით, რომლებშიაც საქართველოც იყო ჩათრეული. ფაქტების უნარიანი გამოყენებით ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ თავისი მნიშვნელობით დარუბანდი მეტად საჭირო ფორპოსტი იყო. თუმცა, გადამწყვეტი ბრძოლების წარმოების თვალსაზრისით, ის არ წარმოადგენდა ხელსაყრელ ასპარეზს, რაც იმაშიც კარგად ჩანს, განაგრძობს კიტაგავა, რომ ჩრდილოეთ ურდოსა და ილხანთა შორის მთავარი ბრძოლები მტკვრის მისადგომებთან იმართებოდა. კიტაგავას აზრით, ილხანისთვის სწორედ ეს ადგილები წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციას.

მიუთითებს რა სიბას სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ს. კიტაგავა წერს, რომ ის ძნელია მივიჩნიოთ ილხანთა ქვეყნის სასაზღვრო სამხედრო ბაზად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უნდა ვიფიქროთ ამტკიცებს მეცნიერი, რომ სიბა იყო პირველი, ავანგარდში მყოფი ჯარის განლაგება.

სიბას ადგილმდებარეობის ზუსტად დადგენის მიზნით ავტორს მოჰყავს ავტორიტეტული მეცნიერების (ბოილი, დოსონი, ალი-ზადე) მოსაზრებანი ამ საკითხზე. ხსენებულ ავტორებს აღნიშნულ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა ახასიათებთ. უკეთებს რა ანალიზს წყაროებსა და მეცნიერთა მიერ გამოთქმულ კონცეფციებს, იაპონელი ისტორიკოსი ემხრობა იმ ვერსიას, რომელიც წყაროებში ნახსენებ „ქურდეიანს" აიგივებს აზერბაიჯანში განლაგებულ გერდმანთან. აქედან გამომდინარე, ს. კიტაგავა სიბას ზუსტ ლოკალიზაციას ახდენს — არანსა და შარვანს შორის. ასეთი მოსაზრების შემდეგ მართლაც სრულიად სხვანაირ ჟღერადობას იძენს კიტაგავას მიერ მოყვანილი რაშიდ ად დინის ერთი ცნობა, სადაც, ნათქვამია, რომ ოქროს ურდოსთან ახალი ომის გარდაუვალობაში დარწმუნებულმა ჰულაგუ ყაენმა 1262 წელს ილხანთა ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში თავდაცვის გამაგრების მიზნით მიავლინა თავისი წარმომადგენლები, მათ შორის იაშმუტი არანსა და აზერბაიჯანში გაიგზავნა, ანუ სწორედ იქ, სადაც, კიტაგავას მოსაზრებით, შემდგომ სიბა განლაგდა. იაპონელი მეცნიერი აღნიშნული პირის გაგზავნას ამ რეგიონში სიბას მოწყობის სამუშაოების დაწყებას უკავშირებს. როგორც ვხედავთ, მეცნიერის მტკიცებით, სიბას მოწყობა იწყება არა აბლა ყაენის დროს, რაზედაც მიუთითებენ აღმოსავლური წყაროები, არამედ რამდენადმე უფრო ადრე, ჯერ კიდევ ჰულაგუს ყაენობის ბოლო პერიოდში. მაგრამ ფაქტიურად ამის შესახებ ჟამთაალმწერელი ხომ პირდაპირ გვეუბნება. მართლაც, ს. კიტაგავას მოჰყავს ჟამთაალმწერლის სათანადო ცნობა, რაც მის სანდოობაზე მიუთითებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სიბას დაარსების საკითხში ს. კიტაგავა ორიგინალური და დამოუკიდებელი გზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომელიც თავის დროზე გამოთქვა და შესანიშნავადაც დაასაბუთა ი. ჯავახიშვილმა.

ნაშრომის შემდგომ თავში გადმოცემულია საქართველოში მონღოლთა მხედართმთავრების ბიოგრაფიული ცნობები და მათი საქმიანობა. ყურადღებაა გამახვილებული მათ შორის პოლიტიკური ქიშპობის ფაქტებზე.

ნაშრომის აღნიშნული ნაწილი რამდენიმე

ეთავისაგან შედგება. მათში ცალკ-ცალკე განხილულია მონღოლთა ჯარები, რომლებიც ძირითადად ტომობრივი პრინციპით იყვნენ შედგენილნი.

პირველ ნაწილში ლაპარაკია სუნიტთა 10 ათასკაციან ჯარზე. მისი ერთ-ერთი პირველი სარდალი იყო ჰარმალანი (ჩორმაღუნი). ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ამ პიროვნების წარმოჩენას.

შემდეგ ავტორი ეხება კერეიტოს თემის ათასკაციან ცხენოსან ჯარს, რომელსაც ალინაყი ხელმძღვანელობდა (მის ადგილსამყოფელად კიტაგავა ჯავახეთის მთებს აცხადებს) და შემდეგ მისი შვილი ყურუმჩი.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ალინაყის და ყურუმჩის მონაწილეობას მონღოლთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. სპარსელ ისტორიკოსზე ჰაფეზე აბრუზე დაყრდნობით ნაჩვენებია ყურუმჩის და ზოგიერთი მისი მომხრის მოქმედება საქართველოსა და ამიერკავკასიაში მონღოლთა გავლენიანი პირის ჩობანის წინააღმდეგ. ავტორს ეს აინტერესებს მონღოლთა შორის პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობების გამოვლენის თვალსაზრისითაც. როგორც კიტაგავა მიუთითებს, ყურუმჩის უსამართლოდ მიაჩნდა, როდესაც მასზე უფრო დაბალი წარმოშობის პირს, ჩობანს, უფრო დიდი თანამდებობა ეკავა, მეტი გავლენა გააჩნდა და ცდილობდა დაეჩაგრა ისინი, ვინც წარმოშობით მასზე უფრო მაღლა იდგნენ. ყურუმჩის ამბოხების დამარცხების შემდეგ ჩობანი დაინიშნა საქართველოში მონღოლთა ჯარების მთავარსარდლად.

ჩობანის აღზევება გადმოცემულია ნაშრომის ცალკე ნაწილში — „სულდუზის თემის ჯარი და ჩობანის ოჯახის ბატონობა საქართველოში", რომელიც ძირითადად დაწერილია აღმოსავლური წყაროების მიხედვით.

აქ იაპონელი ავტორი აქცენტს აკეთებს მონღოლებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის გაღვივებაზე, რითაც ლოგიკურ ნიადაგს ამზადებს შემდეგ თავზე გადასასვლელად, რომელიც მთლიანად ეძღვნება საქართველოსა და შარვანის მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნების საკითხს. ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ თავის დროზე დ. ლენგმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გადასინჯულია გიორგი ბრწყინვალის პერიოდის ისტორიის ზოგიერთი მონაკვეთი. დ. ლენგის აზრით, ჩობანის დაცემას მოჰყვა გიორგი ბრწყინვალის ძალაუფლების შეზღუდვა და საქართველოს დასუსტება. ასეთ პირობებში კი, მისი თქმით, გიორგი ვერ განახორციელებდა იმ აქციებს, რომელთაც მას ისტორიკოსები მიაწერენ. ქართველმა მეცნიერებმა ეს მოსაზრება უარყვეს. სულ ახლახანს კი გამოქვეყნდა ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსის ვაჟა კიკნაძის ნაშრომი, რომელშიც ახლებური, არგუმენტირებული მსჯელობით დასაბუთებულია დ. ლენგის ზემოაღნიშნული მოსაზრების მცდარობა.

მეტად საგულისხმოა, რომ ს. კიტაგავას ის ნაშრომი, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიხილავთ, ამაგრებს ქართველ მეცნიერთა პოზიციას ზემოაღნიშნულ საკითხზე. იაპონელი მკვლევარი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მონღოლთა შორის ქიშპობის გახშირება სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ძირს უთხრიდა მათ ძლიერებას, ხოლო საქართველო ამით სარგებლობდა და ძალებს იკრებდა. აშკარაა, რომ ასეთ დასკვნებამდე ავტორი საკუთარი გზით მიდის. ამაზე ერთი საინტერესო მაგალითიც მეტყველებს, კერძოდ, თავისი პოზიციის წარმოჩენისას ავტორი მარჯვედ მოიშველიებს ჰაფეზე აბრუსთან დადასტურებულ ჩვენი მეცნიერებისათვის უცნობ ფაქტს, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ 1821 წელს სევანის ტბის მახლობლად განლაგებული ჯარის აჯანყების ჩახშობის დროს საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა მონღოლთა ჯარის რიცხვი. მონღოლთა მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი გახდა. ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ მეცნიერი ისევ ჟამთააღმწერელს მიმართავს და გვაუწყებს, რომ ჩობანის დაცემის შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ ისარგებლა რა მონღოლებს შორის ამტყდარი შინაომებით, უნარიანი მოქმედებით მონღოლები საქართველოდან გააძევა.

ავტორი საგანგებოდ არკვევს მონღოლთა ბატონობისაგან საქართველოს საბოლოოდ განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის ზუსტ თარიღს. ამ საკითხს მეცნიერი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ახდენს ქართული წყაროების აღმოსავლურთან შედარებას. ამ წყაროების ანალიზმა ავტორს უჩვენა, რომ აბუსაიდის ყაენობის ბოლო წლებში არეულობისა და ქიშპობის პირობებში, მონღოლებმა ვერ შეძლეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე კონტროლის შენარჩუნება. ნაწილობრივ აღნიშნულ დროს და ძირითადად კი ჩობანიანების პერიოდში მონღოლთა ბატონობა საქართველოში დასრულდა. შემდეგ მეცნიერი გამოთქვამს თავის მოსაზრებას ზემოაღნიშნულ პრობლემაზე. ის წერს „აბუსაიდის ყაენობის ბოლო წლებში (30-იანი წლების დასაწყისი) საგრძნობლად შემცირდა მონღოლ მეომართა რიცხვი, ილხანთა ხახელმწიფო დაიშალა, ყაენი კი მხედართმთავრების ხელში მარიონეტად გადაიქცა. საქართველოსა და შარვანში განლაგებულ მონღოლთა ჯარებს აღარ შესწევდათ უნარი ყველგან ეწარმოებინათ სამხედრო ოპერაციები. ამას დაემატა შინაგანი უთანხმოებანი. ყოველივე ამან გამოიწვია მონღოლთა სამ-

ხედრო ძლიერების დაცემა". ამის შემდეგ, წერს უცხოელი ისტორიკოსი, მონღოლები გაძევებულ იქნენ მტკვრის მარცხენა სანაპიროდან, რასაც მოჰყვა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება.

ს. კიტაგავას ბოლო ნაშრომი როგორც თემის შერჩევის, ისე მისი გაშუქების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, მეტად ყურადსაღებ დასკვნებს გვაწვდის. საერთოდ კი აღნიშნულ ნაშრომში, ისევე როგორც მის ადრეულ სტატიებში, ს. კიტაგავა ამჟღავნებს მაღალ მეცნიერულ დონეს და ფართო ერუდიციას, სწორედ ისეთს, როგორიც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში დაწინაურებული ქვეყნის წარმომადგენელს შეეფერება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ს. კიტაგავას მოღვაწეობის სხვა მხარეებსაც, რაც აშკარად შეიმჩნევა მის შემოქმედებაში. ეს არის მისი სურვილი პოპულარიზაცია გაუწიოს საქართველოს ისტორიულ წარსულს და მისაწვდომი გახადოს ის იაპონიის საზოგადოებრიობისათვის. სწორედ ამიტომ კიტაგავას ყოველ სტატიას ერთვის ზუსტი გეოგრაფიული რუკები და მოქმედების ადგილების აღწერილობა, ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა გენეალოგიები და ბიოგრაფიული ცნობები, ხოლო სქოლიოებში ჩატანილია საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ ყველა ის ცნობა, რომლებიც მკითხველს უადვილებს სრულიად უცხო სამყაროს აღქმას. ამაზევე მეტყველებს მის მიერ 1980 წელს გამოცემული ბიბლიოგრაფიული ცნობარი, სადაც მოცემულია საქართველოს ისტორიის წყაროებისა და ქართველ ისტორიკოსთა შრომების მიმოხილვა.

ამჟამად ის მუშაობს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს თარგმანზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული ს. კიტაგავას დიდ დახმარებას უწევს სტუდენტებთან ლექციების მაღალ დონეზე ჩასატარებლად (ამჟამად ის ჰიროსაკის უნივერსიტეტის თანამშრომელია). აღსანიშნავია, რომ ს. კიტაგავა საქართველოს ისტორიის კურსის წასაკითხავად მიიწვიეს იაპონიის სამედიცინო ტექნიკის ინსტიტუტშიც კი. ამ ფაქტმა გაკვირვება რომ არ გამოიწვიოს, აღვნიშნავთ, რომ იაპონიაში სხვადასხვა სპეციალისტების მომზადების დროს ჰუმანიტარულ საგნებს დიდი ადგილი ეთმობა, რაც, მათი აზრით, ხელს უწყობს ახალგაზრდობის ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

ამ რამდენიმე წლის წინ კიტაგავა სამეცნიერო მივლინებით იყო საქართველოში. მან სამეცნიერო და მეგობრული კონტაქტები დაამყარა ქართველ კოლეგებთან, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ უცხოელი მეცნიერის ღრმა ინტერესსა და თაყვანისცემას ქართველი ხალხისადმი, მისი კულტურისა და ისტორიისადმი. სასიამოვნოა, რომ უცხოელი ისტორიკოსის ეს კეთილგანწყობილება ლეიტმოტივად გასდევს მის მეცნიერულ შრომებსაც.

იეროგლიფიური დამწერლობით ამეტყველებული ჟამთააღმწერლის სტრიქონები კიდევ ერთხელ ღაღადებენ ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილების დიდ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები, მოგონებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

## არნოლდ ჩიქობავას რამდენიმე მოსაზრება

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა წლების განმავლობაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას ის გამოთქვამდა თავის საფუძვლიან აზრს, ლოგიკურად გამართულსა და მუდამ საინტერესოს.

არნოლდ ჩიქობავა ივანე ჯავახიშვილის სკოლის მოღვაწე იყო, რომელსაც კარგად მოეხსენებოდა დედაენის მნიშვნელობა ერის მეობის შენარჩუნებისათვის, ქართული სალიტერატურო ენის როლი ქართველი ხალხის ისტორიული და აწინდელი ერთიანობისათვის.

გავეცნოთ მის ერთ გამოსვლას აკადემიის საერთო კრებაზე 1957 წლის 28 მარტს.

„ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა; კულტურას ენის გარდა სხვა ფორმებიც მოეპოვება (მხატვრობა, ხუროთმოძღვრება...). მაგრამ ენა არის კულტურის ძირითადი ფორმა. ამიტომ ბუნებრივი და კანონზომიერია, თუ ენის საკითხი აინტერესებს ყველას, ვისთვისაც ერის კულტურის საკითხი ძვირფასია. ქართული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა ამჟამად არის სოციალისტური ქართული კულტურის ძირითადი ფორმა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენა მუდამ იყო კულტურის განვითარების ფორმა მთელი ქართველობისათვის, არასოდეს არც სვანებს, არც მეგრელებს თავისი სალიტერატურო ენა არ ჰქონიათ. ეს შეიძლება დადგენილ ფაქტად იქნეს მიჩნეული (მართალია, დასავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს სვანებშიც, მეგრელებშიც, ლაზებშიც ქრისტიანობა შემოვიდა ბიზანტიის გზით და საეკლესიო ენად თავდაპირველად ბერძნული ენა უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ჭანურში, მეგრულში და სვანურში დაცული ტერმინებიდან ჩანს...).

ეს ეხება მე-5 საუკუნეს და უახლოეს მომდევნო საუკუნეებს, მაგრამ დამახასიათებელი ისაა, რომ ბიზანტიას არ უცდია აქ, საქართველოში შეექმნა მეგრელებისათვის, ან სვანებისათვის მწერლობა მეგრულ ან სვანურ ენაზე. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ეკლესია, წინააღმდეგ რომის ეკლესიისა, ყოველთვის თარგმნიდა წიგნებს იმ ხალხის ენაზე, სადაც მას ქრისტიანობა შეჰქონდა. ქართული ენა იყო სალიტერატურო ენა მეგრელებისათვის, სვანებისათვის (აგრეთვე ჭანებისათვის, როცა ჭანები საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდნენ).

მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაისვა საკითხი მეგრელებისა და სვანებისათვის საკუთარი მწერლობისა და საკუთარი ანბანის შექმნის შესახებ. საკითხი დასვა კავკასიის სასწავლო ოლქმა, სცადეს შეედგინათ ანბანი მეგრელებისათვის, ანბანი — სვანებისათვის, ვითომცდა პედაგოგიური მოსაზრებით. რა თქმა უნდა, ეს ცდა მიზნად ისახავდა არა მართებული პედაგოგიური პრინციპის განხორციელებას, არამედ იმას, რომ მეგრელი და სვანი ბავშვებისათვის მოესპოთ საშუალება ქართული „დედა ენა" ხელში აეღოთ და ქართულ სალიტერატურო ენას, ქართულ კულტურას ზიარებოდნენ. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა გამოეთიშათ მეგრელები და სვანები ქართული ეროვნული კოლექტივისაგან.

ბუნებრივია, რომ ამ ცდამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია საქართველოს მოწინავე საზოგადოების მხრივ და კავკასიის სასწავლო

ოლქი იძულებული იყო ამ ცდაზე ხელი აეღო...“[1]

ვფიქრობთ, მისი სტილისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს, აგრეთვე, ნაწყვეტი მისი ერთი გამოსვლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1960 წლის 31 მარტს:

„ჩვენ მოვისმინეთ აკადემიკოს-მდივნის ს. დურმიშიძის საანგარიშო მოხსენება, მოკლე მოხსენება, რომელშიც თავმოყრილია და შეკუმშულად წარმოდგენილი არსებითი, რაც კი არის ვრცელ მოხსენებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური მუშაობის შესახებ.

რამდენიმე ციფრი, რომელიც აქ, ამ მოხსენებაში იყო დასახელებული, ცხადად გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ აკადემიის მუშაობა თანდათანობით უფრო იშლება, აკადემია იზრდება: გაშლისა და ზრდის მაჩვენებელია ეს ციფრები.

ამ უკანასკნელთა შორის საკმარისია ჩვენ დავასახელოთ მეცნიერ მუშაკთა საერთო რაოდენობა — 82 დოქტორი, 765 მეცნიერებათა კანდიდატი, 865 მეცნიერ-თანამშრომელი, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ ხარისხი. ეს ძლიერი კოლექტივია. ჩვენ რომ მოვისმინოთ, რა ვიყავით ამ 18-19 წლის წინათ, როცა მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა და შევადაროთ ახლანდელ მდგომარეობას, აი, მხოლოდ ამ კადრების ზრდა გვიჩვენებს იმას, რისთვისაც მივვიღწევია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თავისი სამეცნიერო კოლექტივის მიხედვით, უთუოდ სათანადო ადგილს იჭერს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკურ აკადემიათა შორის, არა უკანასკნელ ადგილს, რბილად რომ ვთქვათ; (მეცნიერებაში ტრაბახი არ შეიძლება).

ახლა დრო გვიჩვენებს: აი ამ 1700 კაციან კოლექტივში, კერძოდ ამ 1500 ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკში, რამდენი აღმოჩნდება ისეთი, რომელიც მეცნიერებას ემსახურება და რამდენი იქნება ისე, რომელიც მეცნიერებაში მსახურობს. მაინც ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძირითადი ბირთვი ამ კოლექტივისა მეცნიერებას პირნათლად ემსახურება და მოემსახურება...“[2]

პროფესორ თეოფანე დავითაიას პირდაპირ აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევამ ქართველ მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. ადრე იგი საქართველოში არ მუშაობდა და ამის გამო კოლეგებს გარდა სხვა სპეციალობის მეცნიერები ნაკლებად იცნობდნენ. არჩევნები ჩატარდა. თ. დავითაია ერთხმად იქნა არჩეული აკადემიკოსად და თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. ყველამ იცოდა, რომ თეოფანე დავითაია ჩემი მეგობარი იყო და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას უპირველესად მე მომაკითხავდნენ ხოლმე. ალბათ, ამ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ ერთხელ ბატონმა არნოლდმა მთხოვა გამომეყო მისთვის ერთი საათი თავისუფალი დრო, მეტად სერიოზულ პრობლემაზე უნდა გვესაუბროთო. აკად. არნოლდ ჩიქობავას მე იმავე დღეს ვთხოვე მობრძანებულიყო.

— ბატონო სერგი, მე ძალიან მაინტერესებს ის, რაც 1947-1948 წლებში მოხდა საბჭოთა კავშირში ბიოლოგიურ მეცნიერებათა ფრონტზე. ვიდრე თქვენ შეგაწუხებდით, მე უკვე ვესაუბრე აკადემიკოსებს ვასილ გულისაშვილს და თეოფანე დავითაიას. მათთან შეხვედრამდე გავეცანი ორივეს ზოგიერთ შრომას. ბატონი ვასილი შეგნებულად იცავს ლისენკოს მთელ რიგ დებულებებს, ლისენკოს მემკვიდრეობა მთლიანად გადასაყრელი არ არისო. ბატონი თეოფანეს სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი სავსეა ლისენკოს მოსაზრებითა და ციტატებით. თქვენ გაკვირვებული მომჩერებიხართ, ალბათ ფიქრობთ: რაშია საქმე, ენათმეცნიერ არნოლდ ჩიქობავას რატომ აინტერესებს ასე ბიოლოგიური პრობლემებიო. 1947-1948 წლების ტრაგედიას, ჩემი აზრით, სამი კუთხიდან უნდა შევხედოთ: პირველი, ეს არის წმინდა მეცნიერული სიმართლე, მეცნიერული სიწმინდე, მეცნიერული ნამუსი; მეორეა — მონოპოლიის საკითხი, თავისუფალი აზრის დარბევა, უდიდესი უსამართლობა და, ბოლოს, ყოველივე ამასთან ი. სტალინის დამოკიდებულება. მეცნიერულმა საზოგადოებამ გარკვევით უნდა იცოდეს მეცნიერული დანაშაულის ყოველი ნაბიჯი და მკაცრად უნდა აგებინოს ყველა დამნაშავეს პასუხი. მე მქონდა ბედნიერება ენათმეცნიერების საკითხებზე შევხვედროდი ი. სტალინს და დავრწმუნებულიყავი, თუ რა გზით წარიმართა 1947-1948 წლების დისკუსიები და რა სამწუხარო შედეგებიც მოჰყვა. ეს უშუალოდ ი. სტალინის მიერ არ ყოფილა განსაზღვრული. ტრ. ლისენკოს საქმიანობამ არაპირდაპირი გზით ენათმეცნიერებიც დააზარალა. თქვენ, ბატონო სერგი, რაც დარწმუნებით იცით ამ საკითხის შესახებ, მომიყევით. მე იქნებ ოდესმე დავწერო კიდეც ჩემი შეხედულებები ბიოლოგიის დარბევის თაობაზე.

ბატონ არნოლდს შეძლებისდაგვარად ვუამბე, თუ რა ხდებოდა იმ დროს მოსკოვში 1948 წლის აგვისტოს დისკუსიის შემდეგ. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ

1 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამდივნოს საქმე, № 102², წიგნი II, საარქივო ფონდი № 1.

2 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამდივნო, საქმე № 102, საარქივო ფონდი, № 1.

მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ პროფ. დიმიტრი საბინიანმა თავი მოიკლა, რომ კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის რექტორი აკადემიკოსი ვასილ ნემჩინოვი მოიხსნა სამსახურიდან, რომ ამავე აკადემიის აგროქიმიის კათედრის პროფესორს გოლუბოვს დამბლა დაეცა, როდესაც მისი ოჯახი ბინიდან გამოასახლეს იმის გამო, რომ მან არ უარყო გენის არსებობა. და ვინ იცის, რამდენი მეცნიერის გზა აირია მაშინ, ახლა ვინ მოთვლის ყველა მსხვერპლს, ან რა აანაზღაურებს თუგინდ აკადემიკოს ნიკოლოზ ვავილოვის დაკარგვას!.. წინააღმდეგობა სცადეს ნ. ვავილოვმა, დ. საბინიანმა, ვ. სუკაჩოვმა, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს.

ვასილ გულისაშვილი, როგორც მეცნიერი-მეტყევე, გულწრფელად იზიარებდა ტრ. ლისენკოს მცენარეთა სტადიური განვითარების თეორიას და ამდენად იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს მედროვე მეცნიერთა რიგებს.

თეოფანე დავითაიას იმ დროს მოუხდა სადოქტორო დისერტაციის დაცვა, როდესაც ლისენკოსათვის ხარკის გადახდა სავალდებულო გახდა. მხოლოდ თეოფანე დავითაიას აბა რა შეეძლო!

ბატონი არნოლდი ჩემმა ზოგიერთმა განმარტებამ არ დააკმაყოფილა. განსაკუთრებით არ მოეწონა „ხარკის“ ინტერპრეტაცია.

— რას ბრძანებთ, ბატონო სერგი, თქვენ თვითონ ახლა არ ბრძანეთ, თუ მეცნიერები სიცოცხლეს როგორ სწირავდნენ ჭეშმარიტებას, რა დისერტაციებზე შეიძლება ლაპარაკი. მე მაინც მგონია, რომ თქვენ, ბიოლოგები, მეტად პასიურად მოიქეცით; ყველას რომ გაბედულად გებრძოლათ, ფარ-ხმალი არ დაგეყარათ, რაც მოხდა, არ მოხდებოდა; ი. სტალინი თავის დროზე გაიგებდა, თუ ვინ იყო ტრ. ლისენკო.

გავიდა ხანი და შემდეგ ბატონი არნოლდი ამ საკითხს აღარ დაბრუნებია.

ბატონი არნოლდის გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ მივიღე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ XII ტომი (1975 წ.). ამ კრებულშია დაბეჭდილი აკად. არნოლდ ჩიქობავას წერილი — „როდის იყო და როგორ“. გავეცნოთ ამ წერილიდან რამდენიმე ადგილს, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ბატონი არნოლდის პოზიციას (გვ. 24-88):

„1947 წელს, როცა დღის წესრიგში დადგა ომის წლების მძიმე შედეგების დაძლევა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო დისკუსია ბიოლოგიის საკითხებზე. ბიოლოგიური მეცნიერების ბედი ტრ. ლისენკოს — მცენარეთა განვითარების სტადიური თეორიის ავტორის ხელში აღმოჩნდა.

ეს თეორია იჩემებდა, თითქოს შეეძლო „კარტოფილის ორი მოსავლის“, „დატოტვილი ხორბლის“ და სხვა სიკეთეთა უზრუნველყოფა, დაიწყო აკად. ტრ. ლისენკოს და მისი სტადიური თეორიის მონოპოლიის მძიმე ხანა.

1948 წ. ლენინგრადში ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა საგანგებო სესია მიუძღვნა ბიოლოგიის საკითხებზე გამართული დისკუსიის შედეგებს: თუ მცენარეთა განვითარების სტადიურმა თეორიამ ოფიციალური სანქცია მიიღო, იმასვე იმსახურებდა მარისეულ ენათა სტადიური განვითარების ისტორია.

...მონოპოლია საბჭოთა ენათმეცნიერებაში ნ. მარის „ახალ მოძღვრებას“ მიეკუთვნა. სხვაგვარად მოაზროვნეთ ბრალად ედებოდათ ყველა მომაკვდინებელი ცოდვა — იდეოლოგიურიც, პოლიტიკურიც...

1949 წელი საბჭოთა ენათმეცნიერებაში მძიმე წელი იყო“.

საკუთრივ ტრ. ლისენკოს მოქმედების შესახებ ი. სტალინის შეხედულებას ბატონი არნოლდი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ერთხელ, წერილის პროექტის ტექსტზე მორიგი მსჯელობისას, ი. სტალინმა ყოველგვარი კონტექსტის გარეშე წარმოთქვა: „ლისენკო გასაქანს არავის აძლევს“ (ტრ. ლისენკოს მიერ ბიოლოგების დამუშავება, მათთვის „ვეისმანიზმ-მორგანიზმის“ დაბრალება, როგორც ჩანს, ი. სტალინს არ მოსწონდა).

მეორე შეხვედრის დროს მან კვლავ გაიმეორა: „ლისენკო ხომ გასაქანს არავის აძლევს“.

„ამბობენ კარტოფილის ორი მოსავლით, დატოტვილი ხორბლით“ — ვთქვი მე (იმდროინდელ გაზეთებში ბევრს წერდნენ ამის შესახებ).

„კარტოფილის ორი მოსავალი! დატოტვილი ხორბალი!“ ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ლისენკო კი გასაქანს არავის აძლევს — და დასძინა: „ჩვენ მას გავაკრიტიკებთ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბატონი არნოლდი იმ აზრის იყო, რომ თუ ი. სტალინამდე მიიტანდნენ საჭირო მასალებს ტრ. ლისენკოზე, დადებითი შედეგი არ დაყოვნდებოდა, როგორც ეს ენათმეცნიერებაში მოხდა. საბჭოთა ენათმეცნიერების საკითხებზე დისკუსია ხომ აკად. არნოლდ ჩიქობავას წერილით „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ“ დაიწყო („პრავდა“, 1950 წ., 9 მაისი).

ბატონი არნოლდის დასკვნა ასეთია: „ტრ. ლისენკოსეული „მცენარეთა სტადიური განვითარება“ გახდა იმის საფუძველი, რომ მოეთხოვათ (ნ. მარის მიმდევართ) მონოპოლიური მდგომარეობა ნ. მარისეული ენის შესახებ სტადიური მოძღვრებისათვის.

ახლა კი ცხადი გახდა როგორც ერთის, ისე მეორის უსაფუძვლობა“ (გვ. 28).

— ბატონო სერგი, არ იფიქროთ, მე ბიოლოგიაში ვაპირებ გადასახლებას. ახლაც შემთხვევითა ვარ თქვენთან მოსული. ამ დღეებში ერთმა თქვენმა „მეგობარმა" მომიტანა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ 1955 წ. მოსკოვში გამოქვეყნებული თქვენი მონოგრაფია, მიჩვენა ადგილი, სადაც თქვენ თქვენი მასწავლებლის აკადემიკოს ანდრია კურსანოვის ერთ-ერთი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრს ავითარებთ და თან დააყოლა: „აი, როგორ გადაუხადა მოწაფემ თავის მასწავლებელს ამაგიო". მე საკამათო დებულების აზრს ვერ ჩავწვდი, წმინდა ქიმიური მსჯელობაა, მაგრამ მოწაფისა და მასწავლებლის პაექრობამ დამაინტერესა. თუ შეიძლება ორი სიტყვით მითხარით, რაში იყო საქმე და როგორი იყო თქვენი მასწავლებლის რეაქცია მოწაფის კრიტიკაზე.

— ბატონო არნოლდ, მე უეჭველად უნდა გამომეთქვა ჩემი მოსაზრება ჩემს მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი ქიმიური ნაერთის დაჟანგვის გამო. ასეთი ნაერთების დაჟანგვის ქიმიზმზე აკად. ა. კურსანოვს უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული თავისი ჰიპოთეზა. ამის გვერდის ახვევა შეუძლებელი იყო. მე გამოვთვალე თეორიულად ორგანული ელემენტების ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელი შედეგები. ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში აკად. ა. კურსანოვის შეხედულება არ გამართლდა. შრომის გამოქვეყნებამდე, რა თქმა უნდა, ყველაფერი ბატონ ანდრიას ვაჩვენე და ვთხოვე რჩევა მოეცა, თუ როგორ მოვქცეულიყავი. მე შემეძლო ექსპერიმენტის ეს ნაწილი სრულიად გამომეტოვებინა, ამით მონოგრაფიის საერთო მნიშვნელობას არაფერი დააკლდებოდა. აკად. ა. კურსანოვმა დინჯად მომისმინა, გამოანგარიშებები თავისი თანდასწრებით გამამეორებინა და, როდესაც დარწმუნდა, რომ მე მართალი ვიყავი, დაბეჯითებით მითხრა:

— აუცილებლად შეიტანეთ მონოგრაფიაში, სხვამ რატომ უნდა გამოავლინოს ჩვენი მოსაზრებების სუსტი მხარეო.

— ბატონო სერგი, თქვენი და თქვენი მასწავლებლის მეცნიერული ჭეშმარიტებისადმი დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა სანიმუშოდ მიმაჩნია. მე ყველა მოწაფეს და მის მასწავლებელს მოვუწოდებდი, რომ მათ შორის ურთიერთობის ამოსავალი წერტილი ყოველთვის ყოფილიყო მხოლოდ მეცნიერული ჭეშმარიტება. თუ ჩვენი მოვალეობაა მეცნიერული ჭეშმარიტების ძიება და დადგენა, მაშინ სხვაგვარად როგორ შეიძლება მოვიქცეთ! საინტერესოდ მეჩვენება ისიც, რომ თქვენი და აკად. ა. კურსანოვის ურთიერთობის ამბავი ჩემამდე იმიტომ მოიტანეს, რომ მე თქვენზე უარყოფითი შეხედულება შემქმნოდა. სამწუხაროდ, მე ვალდებული ვარ მისი ვინაობა საიდუმლოდ შევინახო. ისე კი კარგი იქნებოდა, თქვენ რომ შეგეძლოთ მასთან მისვლა და მადლობის თქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის შეიძლება საინტერესო იყოს კიდევ ერთი ამბავი. ერთმა ასაკით თქვენმა ტოლმა მეცნიერმუშაკმა „საიდუმლოდ გამანდო", რომ თქვენ საჩხერეში „ნათათრებს" გეძახიან. მე მას ავუხსენი, რომ თქვენი წინაპარი გამაჰმადიანებული ლაზი იყო და ეს „ნათათრი" იქიდან მოდის, თქვენს გვარში შვილის აღმნიშვნელი ნაწილაკი ორჯერ არის: „იშ" და „ძე". იყო დურმიში — ლაზური დაბოლოებით „იშ", და როდესაც მამათქვენის ბაბუამ იოსებმა კვლავ მიიღო ქრისტიანული სჯული, „იშ-"ს დაუმატეს ქართული „ძე" — ასე შეიქმნა თქვენი ახლანდელი გვარი. ცნობები თქვენი ლაზური წარმოშობის შესახებ ნიკო კეცხოველმა მომაწოდა.

1967 წლის აგვისტო იდგა. თბილისში სიცხეები მძვინვარებდა. ჩემს სამუშაო ოთახში ფოსტას ვარჩევდი და მუშაობა მიპირდა. ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც მდივანმა მამცნო: აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა მოვიდა თქვენთან, თქვენი ნახვა სურსო. მისაღებ ოთახში მივეგებე ბატონ არნოლდს და ვთხოვე მობრძანებულიყო. შემომხედა თუ არა, შუბლი შეიკრა, სახე მოეღუშა და მკაცრი ტონით მომმართა:

— თქვენ დღეს აკადემიის პრეზიდენტს ცვლით, ოფიციალური პიროვნება ხართ, როგორ გაცვიათ, რატომ არ იცავთ ეტიკეტს, განა შეიძლება აკადემიკოსი ასეთი პერანგით იმყოფებოდეს სამსახურში?! მოკლე სახელოებიანი და ისიც გულგაღეღილი!

ახლა შევნიშნე, რომ ბატონ არნოლდს კოსტიუმი ეცვა, პერანგის საყელო შეკრული ჰქონდა და ჰალსტუხი მაგრად შეკრული ეკეთა. ჩემს შეცდომას მივხვდი, მაგრამ სიტყვა არ მითქვამს, ვიდექი ფეხზე და შემდეგ შეგონებას ვუცდიდი.

— მე მრავალჯერ ვყოფილვარ სიცხეების დროს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში და იქ არავინ მინახავს ისე ჩაცმული, როგორც თქვენა ხართ. რა თქმა უნდა, ძნელია ამ სიცხეში პიჯაკში ყოფნა, მაგრამ თქვენ ვალდებული ხართ თავი შეიზღუდოთ და დაწესებულებას, რომელსაც თქვენ ახლა წარმოადგენთ, მეტი პატივი სცეთ. მე თქვენს ასეთ დახვედრას არ მოველოდი!

ბატონი არნოლდი ყველასათვის პატივცემული მეცნიერი იყო და მისი ყოველი მოსაზრება ანგარიშგასაწევად მოგვაჩნდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი... უხერხული მდგომარეობიდან თვითონ ბატონმა არნოლდმა გამომიყვანა:

— დაბრძანდით... იმედი მაქვს, რომ სხვა დროს სათანადოდ ჩაიცვამთ და ისე მოხვალთ

აკადემიის პრეზიდიუმში სამუშაოდ. მე თქვენი დიდი პატივისცემა მაქვს და იმიტომ მოგახსენეთ ასე გულახდილად ჩემი შეხედულება. ალბათ, გაწყენინეთ კიდეც, მაგრამ რას იზამთ, ასეთი რამ ზოგჯერ აუცილებელია.

რამდენიმე წუთი უსიტყვოდ ვისხედით მაგიდასთან. ბატონი არნოლდი იმდღევანდელ გაზეთებს ათვალიერებდა, მე გაოცებული მივჩერებოდი მას. მაინც რა იყო, რა მოხდა, როგორ დამაცხრა თავს!... ისე კი, კაცმა რომ თქვას რა არის ის კულტურა, რომელმაც ამ სიცხეში სული უნდა ამოგხადოს!

— ბატონო სერგი, მე დღეს თქვენთან სრულიად სხვა მიზნით მოვედი, აქამდე რა საუბარიც გამოგვივიდა, ამას არც მე მოველოდი. ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტში" წავიკითხე თქვენი შთაბეჭდილებები ესპანეთში მოგზაურობის გამო. თქვენ უცხოეთში მოგზაურობის შემდეგ თითქმის ყოველთვის აქვეყნებთ შთაბეჭდილებებს. მე მათ გულდასმით ვკითხულობ. პირდაპირ გეტყვით: მომწონს თქვენი წერის მანერა. ეს უნარი თქვენთვის ღმერთს მოუნიჭებია და იმედია, მრავალ საინტერესო წერილსა და ნარკვევს დაწერთ. მე დღეს მოსული ვარ თქვენთან იმისთვის, რომ მადლობა გითხრათ იმ დიდი ყურადღებისა და სიყვარულისათვის, რომელსაც თქვენ ქართული ენისადმი იჩენთ. ლიტერატურულ ენაზე წერა ძნელი საქმეა. დიდი დაკვირვება, შრომა და ენის სიყვარულია საჭირო, რომ წერილი ენობრივად გამართული იყოს. რასაც თქვენ გადმოგვცემთ, იგივე სხვაგვარადაც შეიძლება დაიწეროს, სტილი ინდივიდუალური მოვლენაა, მაგრამ მთავარია, რომ თქვენ დედაენას ფაქიზად ექცევით, დიდ პატივსა სცემთ. ბიოქიმიკოსი ბრძანდებით და ქართული ენისადმი თქვენი ასეთი დამოკიდებულება მეტად დასაფასებელია. როდესაც თქვენ სოფლის მეურნეობის მინისტრად დაგნიშნეს, ყველა დიდი ინტერესით გადევნებდით თვალყურს. თუ არ ვცდები, მაშინ ორი მინისტრი იყავით პროფესორის წოდებით — თქვენ და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დავით მამათავრიშვილი. და სწორედ მაშინ იყო, პროფესორი ქეთევან ლომთათიძე ერთ დღეს რესპუბლიკური თათბირიდან დაბრუნდა და გვითხრა — სოფლის მეურნეობის მინისტრმა მოხსენება გააკეთა და მისი ქართული მეტყველება ყველას გვესიამოვნაო. ჩემს მადლობას მე თხოვნაც მინდა მივაყოლო: განაგრძეთ ქართული ენის სწავლა, ეს თქვენ უეჭველად შეგამკობთ. უხერხული რომ არ იყოს, მე თქვენს ლექციას უნივერსიტეტში მოვისმენდი და ჩემს შენიშვნებსაც მოგახსენებდით. დედაენაზე დიდი იარაღი ადამიანს არაფერი გააჩნია. მაპატიეთ, რომ გაწყენინეთ, მთავარ ყურადღებას ამას ნუ მიაქცევთ. თქვენ მხედველობაში ის მიიღეთ, თუ რა მიზნით მოვედი დღეს მე თქვენთან, რატომ გადაგიხადეთ მადლობა! ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ. იმედი მაქვს, რაც უნდა დიდი წარმატება გქონდეთ ბიოქიმიაში, ქართულ ენას, მშობლიურ ენას არ უღალატებთ, გამუდმებით სრულყოფთ ქართული ენის ცოდნას.

ბატონი არნოლდის ორივე დარიგება, ორივე შეგონება ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო...

ჟურნალ „მნათობის" მთვარ რედქტორთან არჩილ სულაკაურთან შეთანხმებით, რედაქციის სახელით მივმართე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების აკადემიკოსების ერთ ნაწილს, რათა პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: „აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებას, და, თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი? მათი მოსაზრებები სათაურით „თვრამეტი მეცნიერის პასუხი ერთ შეკითხვაზე" გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობის" 1984 წლის მე-9 ნომერში. ამ შეკითხვაზე ბატონი არნოლდის პასუხი ასეთია:

„პოეზია თუ ესთეტიკა!

დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერებების შერჩევასა თუ გამოვლენას მკვლევარისათვის მოაქვს, ესთეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა.

ამის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?)".

ბატონი არნოლდი ფართო ინტერესების პიროვნება იყო. ყველაფერი, რაც ქართული მეცნიერებისა და ქართული კულტურის აწმყოსა და წარსულს შეეხებოდა, მასში დიდ ინტერესს აღძრავდა და ეს ინტერესი ყოველთვის იყო არსებითი, ღრმა.

ჩემი მოგონებათა წიგნი რომ გამოვიდა, რასაკვირველია, მაინტერესებდა ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების აზრი მის შესახებ. ბუნებრივია, ბატონი არნოლდისათვის დამახასიათებელ პირუთვნელ მოსაზრებასაც მოუთმენლად ველოდი, ზეპირად თუ წერილობით გამოთქმულს. სამწუხაროდ, ვერ მოუხერხდა... მაგრამ მისი აზრი ჩემთვის მაინც ცნობილი გახდა წერილიდან, რომელიც მისი უახლოესი და ერთგული მოწაფის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ვაჟა შენგელიასაგან მივიღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან

### ბორის პასტერნაკი რილკეს

მოსკოვი, 12 აპრილი, 1926

დიადო, უსაყვარლესო პოეტო!

არ ვიცი, სად დამთავრდებოდა ეს წერილი, ან რაღა განასხვავებდა მას ცხოვრებისაგან, ოცწლიანი სიყვარული, განცვიფრება და მადლიერება ერთიანად რომ მექცია სიტყვად.

მე თქვენ გიმადლით, თქვენს ქმნილებად ვთვლი ჩემი ხასიათის ძირითად ნიშან-თვისებას, ჩემი სულიერი წყობის თავისებურებას. ამის გამოსათქმელად მე მაქვს სიტყვები, რომელთაც იმ შორეული მოვლენებისთვის უხმობენ ხოლმე, ჩვენი ბედ-იღბლის სათავედ რომ მივიჩნევთ შემდგომ. ქარიშხალივით ამოვარდა სიხარული ჩემს არსებაში, რაკი უფლება მომეცა, პოეტური ალსარებით მოგმართოთ და ეს სიხარული არა ნაკლებ უჩვეულოა, ვიდრე ესქილესა თუ პუშკინის წინაშე წარდგომა მომანიჭებდა, ასეთი რამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო. სიტყვა რას შესწვდება ბედის დამუხტვის, დაუჯერებლობის, დაძლეული შეუძლებლობის იმ განცდას, ახლა რომ მავსებს, როდესაც თქვენ გწერთ. სასწაულებრივმა შემთხვევამ, რომ თქვენს მზერაში მოვხვდი, ერთიანად შემძრა. ჩემამდე მოღწეულმა ამ ამბავმა სულის ელექტრულ მოკლე-ჩართვასავით იმოქმედა. მე მარტო ვიყავი ოთახში, ჩემიანები შინ არ იყვნენ, როდესაც ლ. ო.-ს წერილი[1] წავიკითხე. ალარაფერი მესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ვტიროდი. შემდეგ მოვიდა ჩემი ვაჟი, გამზრდელთან ერთად, შემდეგ მეუღლე. მე კი ვდუმდი. ერთ ხანს ხმის ამოღება ვერ მოვახერხე.

აქამდე თქვენი პოეზიის ვრცელი, ხანგამძლე, უძირო სიკეთის გამო მმართებდა, თქვენთვის მადლიერება გამომეხატა. ახლა კი მადლობას გწირავთ იმ უეცარი სიკეთისათვის — ჩემს ბედ-იღბალში რომ ჩამოიღვარა და ამ უცნაური შემთხვევით ვლინდება. ეს რომ ბოლომდე განვმარტო, ნიშნავს, დიდი ხნით მივიპყრო თქვენი ყურადღება, რასაც ვერ გავბედავ, ვიდრე თავად არ დამრთავთ ნებას. ამავე დროს ეს ნიშნავს, ისტორიის მთელი რიგი ტრაგიკული ამბების წვდომასა და მათ მოყოლას, რაც, ალბათ ჩემს ძალებს აღემატება.

ერთს კი უთუოდ ასწავლის ჩვენი აქაური ცხოვრებისეული გამოცდილება ყველას, ვისაც სწავლა სწადია: რომ დიადი, როდესაც ის პრაქტიკულად მოქმედებს, ყოვლად წინააღმდეგობრივი სახით წარმოგვიდგება, რომ ის, თავისი სიდიადის კვალად პატარაც არის, თავისი აქტივობის კვალად — დუნეც. აი, ასეთი გახლავთ ჩვენი რევოლუცია: წინააღმდეგობრივი უკვე თავის გამოვლენაში: მსხლტომი, დენადი ჟამის ერთი ნატეხი — უძრავი, ნაყოფიერი ღირსშესანიშნაობის ფორმით. ასეთივე გახლავთ ჩვენი ბედ-იღბალი — ბნელი და ამაღლებული ისტორიული იშვიათობის უძრავი, დროებით-დროითი ქვეშემრდომი, ტრაგიკული თვით უმცირესშიც, თვით სასაცილოშიც. თუმცა რაზე გესაუბრებით! რაც შეეხება პოეზიასა და პოეტს (ანუ განსაკუთრებულ გარდატეხას საერთო-ევროპული სუ-

---

1 ლ. ო.-ს წერილი — ლეონიდ პასტერნაკმა მიიღო რილკეს წერილი, სადაც რილკე ქებით იხსენიებს ბ. პასტერნაკის ლექსებს, რომლებიც მან პარიზში ერთ-ერთ ანთოლოგიაში წაიკითხა. ამ წერილის ასლი ლ. პასტერნაკმა გერმანიიდან გაუგზავნა თავის ვაჟს. ბ. პასტერნაკმა ეს წერილი მიიღო 1926 წლის 3 აპრილს.

ლიერების სინათლისა, ერთი ეპოქის ადამიანების ერთ ნაკადად მიმდინარე ბედისწერათა საიდუმლოებისა) მისი საქმე ისევ ისეა, როგორც უწინ იყო. როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც და ახლაც ყველაფერი სასიკეთო შემთხვევაზეა დამოკიდებული, შემთხვევაზე, რომელიც, — თუკი მას ღრმად და დროულად იგრძნობ, იმ გარდატეხას გამოიწვევს, ჩვენ რომ ვსაკლისობთ. მაშინ ყველაფერი უბრალოვდება, სულელური, არაისტორიული და დროებითი, თავისუფალი და ფატალური ხდება. მაშინ ისევ თავიდან ხდები, პოეტი. მას შემდეგ რაც მთელი რვა წელიწადი მოწყვეტილი იყავი ამ გამომფიტავ ბედნიერებას. სწორედ ასე დამემართა ამ დღეებში. მანამდე ყოვლად უბედური ვიყავი და თითქმის მკვდარი, მთელი ის რვა უსასრულო წელიწადი. თუმცა, არასდროს დამვიწყებია რევოლუციის ტრაგიზმი, თვით უმწარეს წუთებშიც კი არა. საერთოდ აღარ შემეძლო წერა, ინერციითღა ვცოცხლობდი. ყველაფერი უკვე 1917-1918 წლებში მქონდა დაწერილი.

ახლა კი თითქოს ხელახლა დავიბადე — ორი შემთხვევის წყალობით. პირველზე უკვე მოგახსენეთ, მეტისმეტი მადლიერება მამუნჯებს, რამდენიც არ უნდა ვწერო, ჩემი გრძნობა მაინც გამოუთქმელი დარჩება. ნება მომეცით, მეორე შემთხვევაც გაუწყოთ, მით უმეტეს, რომ ორივე ფაქტს ერთმანეთის მონათესავედ აღვიქვამ: საქმე ეხება პოეტ ქალს, რომელსაც ისევე ძლიერ და ისეთივენაირად უყვარხართ, როგორც მე. ეს პოეტიც, ჩემი არ იყოს, თქვენივე პოეტური ისტორიის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ვგულისხმობ თქვენი პოეზიის გავრცელებას და ზემოქმედებას. იმავე დღეს, როდესაც თქვენს შესახებ შევიტყე, აქაური ირიბი გზებით ჩემამდე მოაღწია ერთმა პოემამ, ისეთმა მართალმა და ჭეშმარიტმა ქმნილებამ, როგორსაც აქ სსრკ-ში ვერავინ დაწერს. ეს იყო იმ დღის მეორე გულის შემძვრელი ამბავი. ის პოეტი გახლავთ **Марина Ивановна Цветаева**, დაბადებით პოეტი, დიდი ტალანტი დებორდ ვალმორის[1] დიაპაზონისა. მე ვინატრებდი, ო, მომიტევეთ, მომიტევეთ ეს სითამამე, ერთი შეხედვით მოურიდებლობად რომ მოჩანს, უფლებას მივცემდი ჩემს თავს, მესურვა, რომ მანაც განიცადოს ამ სიხარულის მსგავსი გრძნობა, რაიც თქვენის წყალობით მე გადმომეფრქვა. წარმოვიდგინე, რა იქნებოდა მისთვის წარწერა-დართული თქვენი რომელიმე წიგნი, ვთქვათ „დუინოური ელეგიები“, რომელიც მე მარტოოდენ ყურმოკვრით ვიცი. ო, შეპატიეთ, გეთაყვა! მაგრამ ამ ღრმა, ფართო შემთხვევის გარდატეხილ სინათლეში, ჩემი აწინდელი აღფრთოვანებული მდგომარეობის სიბრმავეში ალბათ უფლება მაქვს ვიოცნებო, რომ ეს გარდატეხა სინამდვილეა და ჩემი თხოვნის შესრულება — შესაძლებელი, რომ ეს თხოვნა რაღაცნაირად საჭიროა. ვისთვის? რისთვის? ამის თქმა არ ძალმიძს. ალბათ პოეტისთვის, რომელიც პოეზიაში მკვიდრობს და სხვადასხვა დროში სხვადასხვა სახელს ატარებს. მას ჰქვია **Марина Ивановна Цветаева**, და ცხოვრობს პარიზში: **19-me, arr, 8, rue Rouvet.**

ნება მომეცით, ჩემი ამ თხოვნის ასრულება თქვენს პასუხად ჩავთვალო და იმის ნიშნად, რომ მომავალშიც უფლება მაქვს მოგწეროთ. პირდაპირ პასუხზე ოცნებასაც ვერ გავბედავ. გარდა ამისა, ისედაც უკვე ბევრი დრო წაგართვით ამ გრძელი წერილით, რომელიც რა თქმა უნდა შეცდომებითა და აბსურდებითაა სავსე. როდესაც დავიწყე, ვფიქრობდი, რომ ეს ნამდვილი «hommage»[1] იქნებოდა. უკვე მერამდენედ, ერთბაშად ისევ თვალწინ დამიდგა ის გამოცხადება, რაც თქვენ ხართ ჩემთვის და დარჩებით სამარადისოდ. მე დამავიწყდა, რომ ასეთი განცდები, რომლებიც გასდევენ წლებს, მთელ ცხოვრებას, უამრავ ადგილსა და ვითარებას, — ვერასდროს მოიყრიან თავს ერთბაშად ერთ(!) წერილში. მადლობა ღმერთს, რომ დამავიწყდა. მაშინ ხომ ამ უსუსურ სტრიქონებსაც აღარ დავწერდი. ხომ აქ მიწყვია ჩემი ნაწერით სავსე ფურცლები, რომელთა გამოგზავნა მათი მრავალსიტყვაობისა და მოურიდებლობის გამო ვერასდროს გავბედე, ხომ აქ მიძევს ლექსების ორი რვეული,[2] როგორც დაშიფრული სიტყვის გუნდა წერილისათვის. და ასევე ვტოვებ, რადგან მეშინია, რომ ერთხელაც აზრად მოგივათ, ამ დაშიფრული სიტყვის წაკითხვა. მაგრამ ეს ყოველივე ზედმეტი გახდება, როდესაც გეტყვით ყველაზე უმთავრესს: მე თქვენ მიყვარხართ, როგორც პოეზია უნდა გვიყვარდეს, როგორც პოეზიას ნებავს, გვიყვარდეს, როგორც კულტურა ზეიმობს თავის გზაზე საკუთარ მწვერვალებს, განცვიფრებული, აღფრთოვანებული. მე თქვენ მიყვარხართ და ვამაყობ, რომ ჩრდილს არ მოგაყენებთ ჩემი სიყვარულით არც მე და არც ჩემი უდიდესი და ალბათ ერთადერთი მეგობარი ქალი, ვისი სახელიც უკვე გაუწყეთ. და თუ ინებებთ, რომ თქვენი ავტოგრაფით მომანიჭოთ ბედნიერება, მაშინ გთხოვთ, ისარგებლოთ

---

1 დებორდ ვალმორი — (1786-1859) — ფრანგი პოეტი და მწერალი ქალი, მრავალრიცხოვანი პოემებისა და ზღაპრების ავტორი. დიდად აფასებდა ბოდლერი, ვერლენის პოეზიაშიც იგრძნობა მისი გავლენა.

1. (ფრ.) პატივისმიგება.

2 «Сестра моя жизнь». 1917, «Темы и вариацни», 1919.

ისევ ცვეტაევას მისამართით. შვეიცარიიდან წერილების მიღება აქ სათუოა.

თქვენი Борис Пастернак.

## რილკე მარინა ცვეტაევას

ამჟამად: ვალ-მონტი, ლიონის მხარე, ტერიტედ (ვო), შვეიცარია. 3 მაისი 1926.

ძვირფასო პოეტო ქალო!

ეს-ეს არის მივიღე ბორის პასტერნაკის უსასრულოდ შთამბეჭდავი, სიხარულითა და მღელვარებით პირთამდე სავსე წერილი. მთელი ის მღელვარება და მადლიერება, რასაც მისი წერილი ჩემში აღძრავს, უპირველესად თქვენსკენ უნდა წარმოდინდეს. ასე გავიგე მე მისი სტრიქონები, და შემდეგ თქვენგან, თქვენის მეშვეობით კვლავ მისკენ აიღოს გეზი. ორივე ეს წიგნი (ჩემი უკანასკნელად გამოცემული წიგნები), ამ წერილს რომ მოჰყვება მალე, თ ქ ვ ე ნ ი ა, თ ქ ვ ე ნ ც ე კ უ თ ვ ნ ი თ. შემდეგ კიდევ ორ ეგზემპლარს მიიღებთ, რაც კიდევ გამაჩნია, აი ეს ბოლო ორი კი გაუგზავნეთ Борис Пастернак-ს, უკეთუ ცენზურა გაუშვებს. იმდენად შეძრული ვარ მისი წერილის ძალითა და სისავსით, რომ დღეს სხვა აღარაფრის თქმა არ შემიძლია: წერილსდართული ცალკე ფურცელიც გადაუგზავნეთ მეგობარს მოსკოვში, როგორც სალამი და მოკითხვა ჩემგან. უნდა მოგიყვეთ? ალბათ იცით, რომ უფლება მაქვს, ბორისის მამა ლეონიდ ო. პ., რომელსაც 26 წელიწადზე მეტია მოსკოვიდან ვიცნობ, ჩემს ძველ უერთგულეს მეგობრებს მივათვალო. ხანგრძლივი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამ ზამთარს (ზამთრის დამდეგს) უცებ მიპოვა მისმა ერთ-ერთმა (ბერლინიდან გამოგზავნილმა) წერილმა და მეც იმ სიხარულით გავეპასუხე, რაც ამ ერთმანეთის-კვლავ-პოვნამ მოგვანიჭა, მაგრამ Леонид Осипович-ის ცნობა არ დამჭირვებია იმის შესატყობად, რომ ამასობაში მისი ვაჟი სახელიანი და ძლიერი პოეტი გახდა. მისი ნაწერები უკვე შარშან (პარიზში) მიჩვენეს მეგობრებმა და მეც გულაჩუყებულმა დიდის მღელვარებით წავიკითხე. (რადგან რუსულად ჯერ ისევ ვკითხულობ, თუმცა მცირე გონსმოსვლა და წავარჯიშება მჭირდება ხოლმე. წერილები უფრო მეადვილება). იმ რვა თვის განმავლობაში, რაც პარიზში ვიცხოვრე, კვლავ შევხვდი ჩემს რუს მეგობრებს, ოცდახუთი წელი რომ არ მენახა. მაგრამ, რატომ — ახლა ვეკითხები ჩემს თავს — რატომ არ მომეცა შესაძლებლობა, თ ქ ვ ე ნ შეგხვედროდით, Марина Ивановна Цветаева? ბორის პასტერნაკის წერილი მაფიქრებინებს, რომ ეს შეხვედრა ჩვენ ორთავეს ულრმეს, უშინაგანეს სიხარულს მოგვანიჭებდა. აღვადგენთ როდისმე იმას, რაც გამოვტოვეთ?!

## რაინერ მარია რილკე

ფრანგული გერმანულივით ახლობელია ჩემთვის. ამას იმ შემთხვევისთვის მოგახსენებთ, თუკი ფრანგული, თქვენი მშობლიური ენის შემდეგ ყველაზე უფრო გეადვილებათ.

## რილკე ბორის პასტერნაკს

ვალ-მონტი, ლიონის მხარე, 3 მაისი, 1926.

ჩემო საყვარელო ბორის პასტერნაკო,

თქვენი სურვილი მაშინვე ასრულდა, როგორც კი თქვენი ეგზომ უშუალო წერილი ფრთების ცემით მონაბერი ქარივით შემომეხვია: „ელეგიები" და „სონეტები ორფევსისადმი" უკვე პოეტი ქალის ხელთაა. იგივე წიგნების სხვა ეგზემპლარებს თქვენც უახლოეს ხანში მიიღებთ. რ ო გ ო რ გიმადლით, რომ დამანახეთ და მაგრძნობინეთ, თუ რა გიმრავლებიათ თქვენს არსებაში ასე საოცრად. ის, რომ თქვენ გძალიძთ თქვენი სულის ეგოდენ დიდი ნამატი ჩემსკენ მომართოთ, თქვენი ნაყოფიერი გულის ნამდვილ აღზევებას მოწმობს. გფარავდეთ ღმერთი ყველანაირი განსაცდელისაგან. გეხვევით.

თქვენი რაინერ მარია რილკე

## მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სურ-ვი,[1]
9 მაისი, 1926.

რაინერ მარია რილკე!

შემიძლია, ასე მოგმართოთ? თქვენ, განსხეულებულმა პოეზიამ ხომ უნდა უწყოდეთ, რომ თქვენი სახელი — უკვე ლექსია. რაინერ მარია: ეს ჟღერს ტაძრულად — და ბავშვურად — და რაინდულად. თქვენი სახელი დროს არ ერითმება — ძალზედ ადრეული ხანიდან მოდის, ან გვიანდელიდან — ო დ ე ს მ ე დ ა ნ. თქვენმა სახელმა ინება ეს, და თქვენ აირჩიეთ ეს სახელი (საკუთარ სახელებს თავადვე ვირჩევთ, რაც მერე მოდის — მოსდევს).

თქვენი ნათლობა მთელი თქვენი პიროვნების პროლოგი იყო, და ქურუმმა, ვინც გაგნათლათ, ნამდვილად არ უწყოდა, თუ რას იქმოდა.

თქვენ არა ხართ ჩემი უსაყვარლესი პოეტი (უსაყვარლესი — საფეხურია), თქვენ ბუნების მოვლენა ბრძანდებით, რომელიც არ შეიძლება ჩემი იყოს და რომელიც კი არ უყვართ, არამედ უძლებენ, ან (ესეც მეტისმეტად ცოტაა) განსხეულებული მეხუთე სტიქია ხართ: თავად

1 პატარა საზღვაო ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში.

პოეზია, ანდა (ესეც ძალზე ცოტაა) ის, რაც ბადებს პოეზიას და რაც პოეზიაზე (თქვენზე) მეტია.

ლაპარაკია არა რილკე-ადამიანზე (ადამიანი: ის, რაც იძულებულნი ვართ ვიყოთ!), არამედ რილკე-სულზე, რომელიც აღემატება თავად რილკესაც და ჩემთვის სწორედაც რომ რილკეს ნიშნავს: ხვალინდელ, ზეგინდელ რილკეს.

თქვენი თავი ჩემი თვალებით უნდა დაინახოთ, თქვენი სიდიდე — მათი სიფართოვით, როგორც ისინი მიფართოვდებიან, როდესაც გიმზერთ: ამ სიშორიდან.

რაღა უნდა გააკეთოს პოეტმა თქვენს შემდეგ? ოსტატი (მაგალითად: გოეთე) შეიძლება დაძლიოს კაცმა, მაგრამ თქვენი დაძლევა — ეს ხომ პოეზიის დაძლევას ნიშნავს. პოეტი არის ის, ვინც ძლევს ცხოვრებას (უნდა დაძლიოს).

თქვენ შეუძლებელი ამოცანა ხართ მომავალი პოეტებისთვის. თქვენს შემდეგ მოსული პოეტი თ ქ ვ ე ნ უნდა იყოს, ანუ კვლავ უნდა დაიბადოთ, ისევ და ისევ.

თქვენ სიტყვებს ანიჭებთ მათ პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ აზრს, და საგნებს — მათ პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ სიტყვებს (ღირებულებებს). მაგალითად, როდესაც ამბობთ: „დ ი დ ე ბ უ ლ ი ო“, დ ი ა დ გ ვ ა რ ო ბ ა ს (სიდიადეს) გულისხმობთ, იმას, რაც იგულისხმებოდა თავდაპირველად (ახლა კი „დიდებული“ ცარიელი შეძახილია და სხვა არაფერი!).

რუსულად უფრო ნათლად გეტყოდით ამ ყოველივეს, მაგრამ არ მსურს ზედმეტად გაგსარჯოთ კითხვისას, მირჩევნია, მე გავისარჯო წერისას.

პირველი, რამაც თქვენი წერილის წაკითხვისას სიხარულის უმაღლეს კოშკზე ა მ ტ ყ ო რ ც ნ ა (არა — ამზიდა, არა — ალმართა), იყო სიტყვა **May** (მაისი), რომელსაც თქვენ ასო **y**-ით ძველი კეთილშობილება დაუბრუნეთ: **Mai, i**-თი, შეეფერება პირველ მაისს — არა მშრომელთა დღესასწაულს, რომელიც ოდესმე მშვენიერი იქნება (შეუძლია იყოს), არამედ დანიშნულთა და შეყვარებულთა (არ ვამბობ ძალიან ავად) მოთვინიერებულ, ბურჟუაზიულ მაისს.

რამდენიმე მოკლე ბიოგრაფიული (მხოლოდ აუცილებელი) ცნობა: რუსული რევოლუციიდან (არა რევოლუციური რუსეთიდან, რევოლუცია ცალკე ქვეყანაა, საკუთარი — მარადიული კანონებით!) გავემგზავრე — ბერლინის გავლით — პრაღაში, თქვენი წიგნებიანად. პრაღაში პირველად წავიკითხე თქვენი „ადრეული ლექსები“. ასე შემიყვარდა პრაღა — პირველსავე დღეს — როგორც თქვენი სტუდენტობის ადგილი.

პრაღაში 1922 წლიდან 25 წლამდე დავრჩი, სამი წელი. 1925 წლის ნოემბერს კი გავემგზავრე პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ [illegible]

იმ შემთხვევაში, თუ იქ [illegible]

რატომ არ მოვედი თქვენთან? რადგან თქვენ ჩემი უსაყვარლესი რ ა მ ხართ. ამ ქვეყნად. სრულიად უბრალოდ. და — რადგანაც მე არ მიცნობდით. მტანჯველი სიამაყის გამო, მოწიწების გამო შემთხვევის (ბედისწერის) მიმართ, სიმხდალის გამო — რომ არ მსურდა გამეძლო თქვენი უცხო შემოხედვისთვის — თქვენი ოთახის ზღურბლზე. (ხომ არ შეგეძლოთ უცხო მზერით არ შემოგეხედათ, და ეს კიდეც რომ ყოველი ადამიანისთვის განკუთვნილი მზერა ყოფილიყო — მ ა ი ნ ც ხ ო მ უცხო იქნებოდა!)

კიდევ ერთი რამ: თქვენ მე ყოველთვის რუსად აღმიქვამთ, მე კი — თქვენ — წმინდაადამიანურ (ღვთაებრივ) მოვლენად. ეს არის ჩვენი მეტისმეტად ინდივიდუალური ეროვნულობის სიძნელე — რომ ყველაფერი, რაც ჩვენში მე-ა ევროპელებისთვის მახ რუსი ჰქვია.

ასევე ვართ ჩვენც ჩინელთა, იაპონელთა, ზანგთა მიმართ — ძალიან შ ო რ ე უ ლ თ ა ან ძალიან ვ ე ლ უ რ თ ა მიმართ).

რაინერ მარია, არაფერი დაკარგულა- გაისად (1927 წელს) მოდის ბორისი,, და გინახულებთ — სადაც არ უნდა იყოთ. ბორისს ნაკლებად ვიცნობ და მიყვარს იგი, როგორც შეიძლება უნახავი (უკვე ყოფილი ან მომავალი: მომდევნო), აროდეს-ნანახი და აროდეს-ყოფილი უყვარდეს ადამიანს. ის არც ისე ახალგაზრდაა, 33 წლის[1] უნდა იყოს, მაგრამ — ბავშვური. არაფრით არ ჰგავს საკუთარ მამას, (ყველაზე კარგი, რაც შეიძლება ვაჟმა გააკეთოს) მე დედის ჯიშზე წასული ვაჟების მჯერა. თქვენც ასეთი ბრძანდებით. ქალური შტოის მამაკაცი — ამიტომაც ესოდენ მ დ ი დ ა რ ი (ორგვაროვანი).

ის რუსეთის პირველი პოეტია. მე ვიცი ეს და იცის კიდევ რამდენიმემ. დანარჩენები კი მის სიკვდილს უცდიან.

თქვენს წიგნებს ისე ველოდები, როგორც ავდარს მოახლოებულს, რომელიც, მინდა თუ არა — თავს დამატყდება; როგორც გულის ოპერაციას. (მეტაფორა არ არის! ყოველი ლექსი (შენი) გულს მიკვეთს და მიტვიფრავს თავისი ცოდნის მიხედვით — მინდა თუ არა) არაფრის სურვილი!

იცი, რატომ მოგმართავ შენობით, და რისთვის მიყვარხარ — და — და — და — რადგან ძ ა ლ ა ხარ. უიშვიათესი.

---

1 1926 წელს ბორის პასტერნაკი 36 წლისა იყო.

ნუ მიპასუხებ, ვიცი, რას ნიშნავს დრო, და ვიცი, რა არის ლექსი. ისიც ვიცი, რა არის წ ე რ ი ლ ი. მაშ ასე.

ათი წლის გოგონა (1903) ვო-ში, ლოზანში[1] ვიყავი. და ჯერ კიდევ ბევრი რამ მახსოვს. პანსიონატში ერთი ჩვენზე უფროსი, ზანგი გოგონა გვყავდა, რომელსაც ფრანგული უნდა შეესწავლა. არაფერს სწავლობდა და იებს ნთქამდა. ჩემი უსაშინლესი მოგონება: ლურჯი ტუჩები — ზანგის ტუჩები ა რ ა რ ი ს წითელი, და ლურჯი იები. ჟენევის ლურჯი ტბა მერე მოდის.

რა მინდა შენგან, რაინერ? არაფერი. ყველაფერი. რომ ნება დამრთო ყოველ წუთს შენ ამოგაპყრო თვალი — როგორც მთას, მე რომ მიფარავს (მფარველი ქვის ანგელოზი). ვიდრე არ გიცნობდი, ე ს ა ს ე იყო, ახლა კი, როდესაც გიცნობ — შენი ნებართვაა საჭირო.

რადგან ჩემი ს უ ლ ი კარგად აღზრდილია.

წერით კი მსურს მოგწერო — გსურს შენ თუ არა. შ ე ნ ს რუსეთზე (მეფეთა კარზე და ბევრ სხვა რამეზე).

შენი რუსული ასოები. გ უ ლ ი ს ა ჩ უ ყ ე ბ ა. მე ინდიელის (თუ ინდელის?) არ იყოს, არასდროს ვტირი, მე თითქმის........

შენი წერილი ოკეანის პირას წავიკითხე, ოკეანეც ჩემთან ერთად კითხულობდა, ორივენი ვკითხულობდით. ხელს ხომ არ გიშლის ასეთი თანამკითხველი? სხვაგვარი არასდროს არ იარსებებს — მე მეტისმეტი ეჭვიანი ვარ (შენს მიმართ — უეჭველად).

აი, ჩემი წიგნები — წაკითხვა არ არის საჭირო — შენს საწერ მაგიდაზე დააწყე და ერწმუნე ჩემს სიტყვას: ისინი ჩემამდე მ ა ნ დ არ ყოფილან (სამყაროს ვგულისხმობ, არა მაგიდას).

10 მაისი, 1926

იცით, დღეს (10-ში) როგორ მივიღე თქვენი წიგნები? ბავშვებს ჯერ კიდევ ეძინათ (დილის 7 საათზე), უცბად წამოვხტი და კარისკენ გავიქეცი. ი მ ა ვ ე წუთს — უკვე ხელი მქონდა კარის სახელურზე — ფოსტალიონმაც მომიკაკუნა, პირდაპირ ხელზე.

ჩემი ქესტილა უნდა დამესრულებინა და ჯერ ისევ მოკაკუნე ხელიდან წიგნები მიმელო.

ჯერ არ გადამიშლია, რადგან მაშინ ეს წერილი დღეს ველარ დამთავრდება — არადა, უნდა გამოფრინდეს.

როდესაც ჩემი ქალიშვილი (არიადნა) ჯერ კიდევ სულმთლად პატარა იყო — რაღაც ორი, სამი წლის — , ხშირად მეკითხებოდა ხოლმე ძილის წინ — А ты будешь читать Реинеке»?

რეინეკე — ასე ჟღერდა მისთვის მის ბავშვურ-სწრაფ-სმენაში ეს სიტყვა: რაინერ მარია რილკე. ბავშვებს არ ესმით ინტერვალების აზრი.

მინდა Vandée[1]-ზე მოგწერო, ჩემს ჰეროიკულ, ფრანგულ სამშობლოზე (ყოველ ქვეყანასა და საუკუნეში სულ ცოტა — ერთი მაინც, არა?). აქ ამ ს ა ხ ე ლ ი ს გამო ვიმყოფები. როდესაც კაცს ჩემსავით არც ფული აქვს, არც დრო, ყველაზე აუცილებელს ირჩევს: ყველაზე საჭიროს.

შვეიცარია რუსებს არ იღებს. მაგრამ მთებმა უკან უნდა დაიხიონ (ანდა გაიპონ!) — რათა ბორისი და მე მოვიდეთ შენთან!

მე მჯერა მთების[2] (შენი სტრიქონები — ჩემებურად შეცვლილი, რაც საბოლოოდ არც არის შეცვლა, — რადგან მთები და ღამეები ერთმანეთს ეწყვილებიან: ხომ მეთანხმები?)

მარინა ცვეტაევა

[მინაწერი]

თქვენი წერილი ბორისისადმი დღესვე გაიგზავნება — დაზღვეული და ყველა ღმერთებს მიბარებული. რუსეთი ჩემთვის ჯერ ისევ რაღაცნაირი საიქიოა.

## რილკე მარინა ცვეტაევას

ვალ-მონტი, ლიონის მხარე,
10 მაისი, 1926.

მარინა ცვეტაევა, განა ახლახან არ იყავით აქ? ან ს ა დ ვიყავი მ ე? ჯერ ისევ ათი მაისია — და საოცარია, მარინა, Марина ეს რიცხვი დაგიწერიათ (წინასწარ ისროლეთ, დროში, წინასწარ გასტყორცნეთ უჟამო წუთში, როდესაც მე უნდა წამეკითხეთ!) თქვენი წერილის ბოლო პწკარების თავზე. ათში ელოდით ჩემი წიგნების მიღებას გაღებულ კარიდან) როგორც წიგნს გადაშლიან ხოლმე)... იმავე ათ რიცხვში, დღეს, სულის მარადიულ დღევანდელ დღეს, დღეს, მარინა, მიგიღე ჩემს არსებაში, მთელს ჩემს ცნობიერებაში, რომელიც ისე აზვირთდა შენით, შენი აქ მოსვლით, თითქოსდა შენი თანამკითხველი, ოკეანეც თან მოგყოლოდეს, გულის მოქცევავ, წყალდიდობავ,

---

1 ლოზანი — ქალაქი შვეიცარიაში, ვო- — ადგილი ლოზანთან ახლოს.

1 ვანდე — 1793 წ. ვანდეში იფეთქა დიდმა კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ. მ. ცვეტაევა ახალგაზრდობაში ფრანგ როიალისტებს უთანაგრძნობდა.

2 პარაფრაზი რილკეს სტრიქონისა: „მე მჯერა ღამეების“ („ჟამნი“).

და შენთან ერთად დამტყდომოდეს თავს. რა გითხრა? შენ ხელები გამომიწოდე, და ისევ გულზე დაიკრიფე, შენი ხელები, მარინა, ჩემს გულში ჩამოჰყავი, როგორც მედინი წყაროს აუზში და ახლა შენსკენ მოედინება, ვიდრე ისევ იქ ძირავ ხელებს, აღელვებული წყლის ნაკადი, გადმოდის და ილვრება შენსკენ... მი. იღე იგი. რა უნდა გითხრა, ჩემი სიტყვები (თითქოს ისინი შენს წერილში იყვნენ ყველანი და უცდიდნენ სცენაზე გამოსვლას), ჩემი ყველა სიტყვა ერთდროულად მოილტვის შენსკენ, ერთმანეთს ასწრებს. განა ხალხი ასე იმიტომ არ გამორბის თეატრიდან, რომ იმდენი შეთავაზებული სინამდვილის შემდეგ, ფარდას ველარ იტანს? — მეც ასე მიმძიმს შენი წერილის დახურვა (გავშლი, დავკეცავ, გავშლი დავკეცავ), მაგრამ, მახე, ეს ფარდაც რომ ნუგეშს იძლევა! შენი ლამაზი სახელის გვერდით, ამ ალმტაცი სენ-ჟილ-სიურ-ვის (სიურვი) გვერდით ვიღაცას დიდი, ალერსიანი, ლურჯი შვიდიანი დაუწერია (ასე: 7!), შვიდი — ჩემი კურთხეულ-მწყალობელი რიცხვი! ატლასი გადავშალე: (რადგან გეოგრაფია ჩემთვის სახმარი საგანია და არა მეცნიერება!) და უკვე შეტანილი ხარ, მარინა, ჩემს შინაგან რუკაზე: სადღაც მოსკოვსა და ტოლედოს შორის სივრცე შევქმენი შენი ოკეანის მოზღვავებისთვის. სინამდვილეში კი შენ კუნძულ დ' იე-ს[1] ხედავ, შენსკენ მოქცეული Pointe de Corbeaui-ს[2] და არიადნა (რამდენი წლისაა? სადამდე გწვდება?) შენთან ერთად იყურება იქით, და... „ბავშვებიო“, ამბობ, „ბავშვები“ — მრავლობით რიცხვში? და 1903 წელს, როდესაც როდენს დავშორდი, შენ ხომ პატარა გოგონა იყავი, რომლის მოსაძებნადაც უპირველესად ლოზანში წავალ. (ეჰ, ზანგ გოგოს უფრო შევხვდები, თუკი იებით მივიტყუებ. ასეთი ვნახე იგი რენე ობერჟონუას[3] ნახატზე... შ ე ნ როგორი დაგინახო?

პოეტო, გრძნობ, როგორ დამძლიე? შენ და შენმა დიდებულმა თანამკითხველმა. მეც შენსავით ვწერ და წინადადებიდან ორი საფეხურით ქვემოთ ჩავდივარ შენსავით — ფრჩხილების შუალედურ სენაკში, სადაც ასეთი დაბალი ჭერია და ადრეული ვარდების სურნელი მეფობს, სურნელი, რომელიც არ იფანტება. მარინა: რ ო გ ო რ დავსახლდი შენს წერილში და რა საოცარია: რომ შენი სიტყვის კამათელი, გადაგდების შემდეგ, ერთი საფეხურით უფრო ღრმად ვარდება და მიჩენს შემავსებელ, საბოლოო (ხშირად უფრო დიდ) რიცხვს. ბუნების ძალაა, განა, საყვარელო, რაც მეხუთე სტიქიონის მიღმა დგას, და მას [illegible] გაშლის და კუმშავს? და მეც ისეთი განცდა მქონდა, თითქოს შენგან ბუნება შემესიტყვა და დასტური მითხრა: — მთელმა მოდასტურე ბაღმა ერთი წყაროს ირგვლივ გაშლილმა, კიდევ რის ირგვლივ? — მზის საათისა. როგორ თავს დამქრი, თავს დამბიბინებ შენეული სიტყვის ზაფხულის მაღალი ფლოქსით.

მაგრამო, ამბობ, საქმე არ ეხება რილკეადამიანსო: მ ე ც განხეთქილება მაქვს მასთან, ძვირფასო, მის სხეულთან, რომელთანაც მუდამ ისეთ წმინდა თანხმობაში შემეძლო ყოფნა, რომ ხშირად არც ვიცოდი: ვ ი ნ უფრო ბედნიერად ახერხებდა პოეტობას: ის, მე თუ ორივენი ერთად? (ტერფი და ქუსლი, ნეტარები, რა ხშირად, ნეტარებდნენ ერთად-სიარულით ყველგან, დედამიწაზე, პირველ-ცოდნით, წინარე-ცოდნით, თანა-ცოდნით, ცოდნას რომ სცილდება!) და აი, ახლა: გაორება, უთანხმოება: — სული სხვაგვარად შემოსილი, სხეული — შეფუთული, სხვაგვარად. დეკემბრიდან მოკიდებული ამ სანატორიუმში ვარ და ექიმსაც არ ვუშვებ ჩაერიოს ჩემი თავის ჩემს თავთან ურთიერთობაში, ვერავითარ შუამავალს რომ ვერ იტანს (ვერავითარ აქეთ-იქით-მტარებელს, რომელიც აუცილებლად წარმოშობს მანძილს, ვერავითარ მთარგმნელს, რომელიც ამ ურთიერთობას ორ ენაზე თარგმნიდა) (მოთმინება, ხანგრძლივი, დაძენძილი, ისევ გამთელებული...) ჩემი საცხოვრებელი ადგილი, მ ი უ ზ ო ტ ი (ხსნად რომ მომევლინა ომის ორომტრიალის შემდეგ) აქედან ოთხი საათის სავალ მანძილზეა: ჩემი (შეიძლება, სიტყვა-სიტყვით გიპასუხო?)... „ჩემი მეროიკული, ფრანგული სამშობლო“. შეხედე: თითქმის ესპანეთი, პროვანსი, რუანის ველი Austére et melodieux[1] ერთი მაღლობი, ძველ კოშკთან შერწყმული.

რაინერ მარია

1 კუნძული დასავლეთ საფრანგეთის სანაპიროს წინ.

2 სიტყვა-სიტყვით: „ყვავის მწვერვალი“.

3 რენე ობერჟონუა (1872–1957) ამ მხატვრის გამოფენა რილკემ დაათვალიერა 1926 წლის 17 აპრილს ლოზანში.

## მარინა ცვეტაევა რილკეს

სენ-ჟილ-სიურ-ვი, 12 მაისი, 1926

საიქიოს (არა ეკლესიურად, არამედ, უმალ — გეოგრაფიულად) უკეთესად იცნობ ვიდრე საქაოს; იცნობ ტოპოგრაფიულად თავის მთებიან-კუნძულებიან-ციხექალაქებიანად.

სულის ტოპოგრაფია — ესა ხარ შენ. და შენი წიგნით2 (ოჰ, ეს არ იყო წიგნი, ის გახდა წიგნი) სიღატაკის, პილიგრიმობისა და სიკვდილის შესახებ უფრო მეტი გააკეთე ღმერთისთვის, ვიდრე ყველა ფილოსოფოსმა და ქადაგმა ერთად.

1 (ფრან.) „მკაცრი და მელოდიური“.

2 იგულისხმება ლექსების ციკლი „ჟამნი“.

ქურუმები მხოლოდ ხელისშემშლელნი არიან ჩემსა და ღმერთს (ღმერთებს) შორის. შენ, შენა ხარ მეგობარი, რომელიც აღრმავებს და ამაღლებს იმ დიადი წუთის სიხარულს, ამ ორს (მარადიულ ორს) შორის რომ ჩამოდგება ხოლმე; მეგობარი, ურომლისოდაც ვერ იგრძნობ მეორეს, და ვინც ორივეს სჭირდება, უყვარს.

ღმერთი. მხოლოდ შენ უთხარი ღმერთს რაღაც ახალი. შენ ხარ აშკარა, გამოთქმული იოანე-ქრისტეს ურთიერთობა (გამოუთქმელი ორივე მხრიდან). მაგრამ შენ მამის რჩეული ხარ, არა ძისა, შენ მამა-ღმერთის (ვისაც ახეთი არ ჰყოლია) იოანე ხარ. შენ მამა აირჩიე, რადგან ის უფრო მ ა რ ტ ო ს უ ლ ი იყო და შესაყვარებლად შეუძლებელი.

არა, დავითი — არა. დავითს მთელი თავისი ძალის მთელი მორიდებულება ავსებდა, შენ კი — შენი ძალის მთელი შემართება და ხელალება.

სამყარო მაშინ ძალზე ნორჩი იყო. ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი უნდა მომხდარიყო — რომ შ ე ნ მოსულიყავ.

შენ გაბედე და ი ს ე შეიყვარე (გამოთქვი!) მამა-ღმერთი, როგორც ვერასდროს გაბედა იოანემ ადამიანური ძ ი ს შეყვარება. იოანეს უყვარდა ძე მკლავებით (სამუდამოდ რომ დაემალა თავის სიყვარულს იესოს მკერდში), თვალებით, საქმით. სიტყვა — სიყვარულის ჰეროიკაა, რომელსაც მუდამ უტყვად (წმინდად ქმედითად) ნებავს ყოფნა.

ნეტავ, თუ იგებ ამ ჩემს ცუდ გერმანულს? ფრანგულად წერა გაცილებით მეადვილება, ამიტომაც არ მსურს ფრანგულად მოგწერო. ჩემგან შენსკენ არაფერი არ უნდა წარმოდინდეს ადვილად: სრიალ-სრიალით. შეიძლება მხოლოდ გამოფრინდეს! თუ არა და — სჯობს იბორძიკოს.

იცი, რა მემართება შენი ლექსების კითხვისას? პირველ წამს ყველაფერი ვიცი — შემდეგ — ღამე: არარაფერი — შემდეგ: ღმერთო, რა ნათელია! — და როცა უნდა უკვე მივწვდე (ალეგორიულად არა, თითქმის ხელით) — წაიშლება ხოლმე: ნაბეჭდი სტრიქონებიღა დარჩება. ელვა ელვაზე (ელვა — ღამე — ელვა), აი, ასე მემართება, როცა გკითხულობ. ალბათ შენც ასე ხარ, როცა შენს თავს წერ.

„რილკე ადვილი გასაგებიაო“ — ასე ბრძანებენ მათთვის ჩვეული ნათელმხილველური მედიდურობით ანტროპოსოფები და სხვა მისტიკური სექტანტები (არაფერი მაქვს მათი საწინააღმდეგო, სოციალიზმს მაინც ჯობია — მაგრამ...) „ადვილი გასაგები“: დაქუცმაცებული, ნამცეც-ნამცეც: რილკე — რომანტიკოსი, რილკე — მისტიკოსი, რილკე — მითების ბერძენი და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ,აბა სცადეთ მთლიანი რილკეს წვდომა. აქ მთელი თქვენი ნათელხილვა ვერას გიშველით. სასწაულს ნათელხილვა არ სჭირდება. ა რ ი ს და მორჩა. ყველა, გლეხიც დაინახავს — თვალებით, დაადასტურებს. სასწაული: ხელშეუხები: მიუწვდომელი.

ორი ღამეა ვკითხულობ შენს „ორფევსში“ (შენი „ორფევსი“ ქვეყანაა, ამიტომაც: „ში“) და სწორედ ახლა მივიღე პარიზიდან ერთი წმინდად ლიტერატურული, რუსული გაზეთი (ჩვენი ერთადერთი ასეთი გაზეთი უცხოეთში),[1] ასეთ სტრიქონებს რომ შეიცავს:

„აქედან („პოეტი კრიტიკის შესახებ“ — ჩანაწერები, პროზა) ვგებულობთ, რომ ქალბატონი ცვეტაევა დღემდე უნუგეშოდ დასტირის ორფევსის სიკვდილს, და მრავალ სხვა სასაცილოსაც ამჟღავნებს...“

ერთი კრიტიკოსი წერდა ბლოკზე: „ამ ოთხმა წელმა, პოეტის სიკვდილს რომ გვაშორებს, შეგვარიგა კიდეც ამ სიკვდილთან. დიახ, — თითქმის ნუგეშიც გვაპოვნინა“.[2]

მე ვუპასუხე: „თუკი ოთხი წელი საკმარისია ისეთი პოეტის სიკვდილთან შესარიგებლად, როგორიც ბლოკია, მაშინ როგორღაა პუშკინის (1888)[3] საქმე, ანდა ორფევსის (?) ყოველი პოეტის სიკვდილი, რა ბუნებრივიც არ უნდა იყოს, მაინც ანტიბუნებრივია მუდამ, ანუ მკვლელობაა, ამიტომაც არასდროს მთავრდება, არასდროს წყდება, ის წამი მარად, მარად გრძელდება. პუშკინი, ბლოკი, და ყველა ერთად რომ დავასახელოთ — ო რ ფ ე ვ ს ი არ შეიძლება მოკვდნენ, რადგან ამ წუთშიც (მარადიულად!) კვდებიან.

**В каждом любящем — заново, и в каждом любящем — вечно.** ამიტომ — — არავითარი ნუგეში! ვიდრე ჩვენ თავად არ გარდავიცვლებით (დაახლოებით ასე, რუსულად უკეთესი იყო).

ცხადია, ჩემი პასუხი „ლიტერატურას“ (belles lettres) არ ეკუთვნის, ამიტომ დამცინეს. ეს რომ ლექსად მეთქვა (აქაოდა, პოეტი (სულელი!), რომელიც ქვემოთ ეშვება:

---

1 იგულისხმება: რუსული ემიგრაციის ყოველდღიური გაზეთი («Возрождение»), რომელიც 1925 წლიდან გამოდიოდა პარიზში. აქ დაიბეჭდა პ. ბ. სტრუვეს გესლიანი სტატია მ. ცვეტაევას წინააღმდეგ. («О пустоутробии и озорстве», 6, V, 1926), სადაც იგი განაქიქებდა მ. ცვეტაევას წერილებს: «Цветник»-ს და «Поэт о критике», რომლებიც (დაიბეჭდა ჟურნალში: «Благонамеренный» «Журнал русской литературной культуры», 1926 წელს) მიმართული იყო განსაკუთრებით გეორგ ადამოვიჩის წინააღმდეგ.

2 ციტატა გ. ადამოვიჩის ნაშრომიდან «Литературные беседы» დაიბეჭდა 1925 წელს, პარიზში.

3 პუშკინი გარდაიცვალა — 1837 წელს.

პროზაში), ეს რომ ლექსად მეთქვა, გაჩუმდებოდნენ და — ამოიოხრებდნენ კიდეც. (ძველი ლეგენდა ორფევსზე და ცხოველებზე. ნეტავ იმ ცხოველებში სახედრებიც ერივნენ?).

ხომ გესმის, რომ ჩემი შეურაცხყოფა შეუძლებელია, რადგან მე ქალბატონი ცვეტაევა არა ვარ, როგორც მათ ჰგონიათ; მაგრამ ნაღვლიანი კი ვარ: ო, პოეტისა და ბრბოს ეს მარადიულად განმეორებადი ისტორია, ბრბოსი, რომელსაც ასე სიამოვნებით მოიშორებდი თავიდან!

შენი „ორფევსი". პირველი სტრიქონი:

ხე აღიმართვის. ო, სიწმინდე ამაღლებისა![1]

აი, სწორედ ეს არის დიდებულება და როგორ ვიცი ეს ყოველივე! ხე თავისთავზე უფრო მაღალია, თავისთავს აღემატება, — ამიტომაცაა ასეთი მაღალი. ერთი იმ ხეთაგანია, რომელთაც ღმერთი, საბედნიეროდ, მზრუნველად არ დასტრიალებს თავს. (თავიანთ თავს თვითონ უვლიან!) და რომლებიც პირდაპირ ზეცას შეეზრდებიან ხოლმე, სამოცდამეათე ცას. (ჩვენ, რუსებს შვიდი გვაქვს: Быть на седьмом небе от радости. Видеть седьмой сонъ, კვირა ძველ-რუსულად — седьмица. Семеро одного не ждут. Семь Симеонов (ზღაპარი). 7 — რუსების რიცხვია! ო, კიდევ ბევრია ასეთი: Семь бед — один ответ, და სხვა მრავალი.

„სიმღერა არის არსებობა (აქ ყოფნა, ვინც არ მღერის, ჯერ არ არის, მოსავლელია!)[2]

„მძიმეა მთები, მძიმეა ზღვები..."[3] (თითქოს ბავშვს ანუგეშებ, ამხნევებ). და თითქმის გეღიმება მის უმეცრებაზე.

...მაგრამ ჰაერნი, მაგრამ სივრცენი...[4]

ეს სტრიქონები წმინდა ინტონაციაა (ინტენცია) მაშასადამე, წმინდა ანგელოზური მეტყველებაა. (ინტონაცია: ინტენცია, რომელიც გახმიანდა. განსხეულებული ინტენცია).

...რა საჭიროა სხვა სახელთან[5]
გამოგონება. ეს ორფევსია
აწ და მარადის, როდესაც მღერის.

(ანუ როდესაც კვდება — პოეტებს შორის ის, რასაც წელან ვგულისხმობდი).

„აქაურია?"[6] და უკვე იგრძნობა მოახლოებული არა. ო, რაინერ, არა მჭირდება ამორჩევა (ამორჩევა — ჩხრეკაა და წრიალი და სი-

1 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ; I სონეტი. დედანშია: „ხე აღიმართა".

2 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ; III სონეტი.

3 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ; IV სონეტი.

4 „სონეტები ორფევსისადმი", I ნაწ; IV სონეტი. ბოლო სტრიქონი.

5 იქვე, V სონეტი.

6 იქვე, VI სონეტი.

მწირე). არ შემიძლია ამორჩევა, ვიღებ პირველსავე ბრწყინვალე სტრიქონებს, რომლებიც სმენაში მიხმიანებს, თითქოს პირდაპირ სასმენელში ჩამიწერე შენი სიტყვები და მეც სმენით წაგიკითხე.

„ეს სიამაყე, ამოზრდილი დედამიწიდან" (ცხენი, ამოზრდილი დედამიწიდან). რაინერ! ჩემს წიგნს მიიღებ — „ხელობა-ს" (Ремесло"), იქ იპოვნი წმინდა გიორგის, რომელიც თითქმის მთლიანად ცხენია, ცხენი კი — თითქმის მხედარი. მე მათ არ ვაცალკევებ, არც ვასახელებ. შენი მხედარი! რადგან მხედარი როდია იგი, ვინც მიაჭენებს, მხედარი ორივე ერთადაა, ცხენიც და კაციც, ახალი ფიგურა რაღაც ისეთი, რაც აქამდე არა ყოფილა. არა ცხენი და ცხენოსანი. მხედარი. ცხენი და ცხენი: მხედარი. მხედარი.

შენი ჩანაწერი (ასე უნდა ვთქვა? არა. ალბათ — მინაწერი) ფანქრით — სამი საყვარელი, მსუბუქი სიტყვა An den Hund (ძაღლს). საყვარელო, ამ ლექსმა პირდაპირ თერთმეტი წლის ასაკში დამაბრუნა, ჩემი ბავშვობის გულის-გულში, მაშასადამე შვარცვალდში[1] დამსვა. და აი, გამგე (ქალბატონი ბრინკი ერქვა და საზარელი იყო) ბრძანებს: „ამ ეშმაკის ნაშიერს, მარინას ყველაფერი უნდა აპატიო, როდესაც „ძაღლით" ამბობს!" (ძაღლი აღტაცებით, გულ-აჩუყებით, სურვილით აწკავწკავებულ-აყმუვლებული, სამი უ-უ-უ-უ ჯიშიანი ძაღლები არა ყოფილან, ქუჩის ძაღლები იყვნენ!)

რაინერ! უწმინდესი ბედნიერება, ბედნიერყოფნა: — შუბლი, ძაღლის შუბლზე მიდებული, თვალი — ძაღლის თვალში გაყრილი, და ძაღლი გაკვირვებულ-დამორცხვებულ-ნასიამოვნები (ყოველდღე ხომ არ ხდება ასეთი რამ?) წკმუტუნებს და შემდეგ პირს ხელით დახურავ — რადგან კბენა შეუძლია, გულაჩუყებისაგან — და ჰკოცნი. ჰკოცნი.

გყავს მაინც, სადაც ხარ, ძაღლი? და სადა ხარ? ვალ-მონტი (ვალმონტი) ასე ერქვა მკაცრი და გონიერი წიგნის გმირს: ლაკლოს[2] „სახიფათო კავშირები", რომელიც ჩვენთან, რუსეთში, არც კი ვიცი რატომ — (ყველაზე მორალური წიგნია!) — აკრძალული იყო, კაზანოვას (რომელიც მე მხურვალედ მიყვარს!) მემუარებთან ერთად. პრაღაში მივწერე, ჩემი ორი დრამატული პოემა (დრამები, მე მგონი, არ არის „თავგადასავალი" და „ფენიქსი. კაზანოვას აღსასრული")[3] გამომიგზავნონ. კაზანოვი

1. შვარცვალდი — ადგილი დასავლეთ გერმანიაში, სადაც მ. ცვეტაევა 1904-5 წლებში დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა.

2 ლაკლო (1741-1803) — ფრანგი მწერალი.

3 «Приключение», პრაღა, 1923 წ. «Феникс. Конец Казановы», მოსკოვი, 1922.

— მბრძანებელი 75 წლის, მარტოდ-მარტო, ძველ-მოდური, გამახხრებული, მისი უკანასკნელი სიყვარული: 75 წლისას — 18 წლისა. უნდა წაიკითხო, ადვილი გასაგებია (ენას ვგულისხმობ) და — არ გაგიკვირდეს — ჩემმა გერმანიკულმა სულმა დაწერა ეს, არა — ფრანგულმა.

...„ერთურთს ვეხებით, რითი? ფრთების ფართქალით...[1] რაინერ, რაინერ. ეს შენ მითხარი, ისე რომ არ მიცნობდი, როგორც ბრმა (ანუ მხილველი!) ისვრის ალალბედზე, საუკეთესო მსროლელნი ბრმები არიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ქრისტეს ამაღლებაა.

რა კარგია! ცა ამ სიტყვებზე ჩემს ოკეანეს ემსგავსება: ზვირთებაშლილი. და ქრისტე — მაღლდება.

ახლა სადაცაა შენი წერილი მოვა. დროა, ჩემი გზა გამოუდგეს,

მარინა

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

---

1 მიძღვნილი პირველი სტრიქონი, რომელიც რილკემ წააწერა მ. ცვეტაევასათვის გაგზავნილ „დუიონური ელეგიების" ტომს.

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისო ჟიჟიაშვილი

# „და მაინც ეს ანატოლ ფრანსია!"

ანატოლ ფრანსის ისტორიული რომანები და მოთხრობები ორგანულადაა დაკავშირებული თანამედროვეობასთან. მათში სწორედ ის პრობლემები, საკითხებია მწვავედ დასმული და მაღალმხატვრულად გამოხატული, ფრანსისდროინდელ საზოგადოებას რომ აღელვებდა. ხაზგასმულია ის შეცდომები და გაუგებრობანი, კაცთა მოდგმას დასაბამიდან რომ მოჰყვება. ან. ფრანსი იმიტომ კი არ მიმართავს სატირას, ფარსს, გროტესკს და იუმორს, რომ ადამიანი, ან ის საზოგადოება სძულს, რომელშიც ცხოვრება უხდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამხილოს, დღის სინათლეზე გამოიტანოს კაცთა მოდგმის დიდი ნაწილის შეცდომები, უგუნურობა და უწმინდურობა. ღრმად ჩაგვახედოს ადამიანის სულში, მხატვრული ხერხებით დაგვანახოს, თუ სადამდე მიჰყავს კაცი პატივმოყვარეობას, სიხარბეს, შურს, ეგოიზმს, ავხორცობას, ფანატიზმს და გაუტანლობას, ფაქტებზე დაყრდნობით გვიჩვენოს როგორც ძველი, ისე ახალი საზოგადოებრივი წყობის მმართველობისა და კანონების უსამართლობა, ცალმხრივობა. საზოგადოების ერთი ფენის სხვებზე გაბატონების მანკიერი პრაქტიკა, რაც, მწერლის აზრით, ხელს უშლის საზოგადოების ნორმალურ, ჰარმონიულ განვითარებას. აი, ასეთ საკითხებს სვამდა მწვავედ ან. ფრანსი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში და ამით თავისი მოქალაქეობრივი წვლილი შეჰქონდა როგორც ფრანგი ხალხის, ასევე მთელი კაცობრიობის სწორი, გონივრული, ჰუმანური გზით განვითარებაში.

ან. ფრანსი არასოდეს არ აყენებდა გონებას გრძნობაზე მაღლა, ხშირ შემთხვევაში, მწარედაც კი დასცინოდა იმ სწავლულებს, წიგნის მეტი რომ არაფერი ახსოვთ და გრძნობისაგან დაცლილნი არიან, იგი მხოლოდ ისეთი გრძნობების წინააღმდეგ ილაშქრებდა, რომელთაც ადამიანები უკიდურეს იდეალიზმამდე და ფანატიზმამდე მიჰყავთ. ამიტომ მის ისტორიულ რომანებსა და მოთხრობებში ხშირად სწორედ ფანატიზმი უპირისპირდება გონიერებას, ცხოვრების ცოდნა და გამგებიანი ღიმილი — მიუწვდომელი იდეალებისათვის უკომპრომისო ბრძოლას, ფართო აზროვნება—დოგმატურობას. საზოგადოების განვითარების ტენდენციებსაც კი ან. ფრანსი ამ მკვეთრ დაპირისპირებათა ფონზე გვიშლის და გვიხატავს.

რომანი „თაისი", რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა, ეხება კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდს, როცა ქრისტიანობა უკვე ძალას იკრებდა, მაგრამ ოფიციალურ რელიგიად არ იყო აღიარებული. მწერალი გვიხატავს იმდროინდელი ელინური ქალაქის, ალექსანდრიის ცხოვრებას და კონკრეტული პერსონაჟის, მეუდაბნოე ბერის პამფნუტის მაგალითზე გვიჩვენებს, ზოგჯერ რა სისასტიკემდე შეიძლება მიიყვანოს ფანატიზმმა ადამიანი და რა უარყოფით გავლენას ახდენს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. მთავარი გმირის მაგალითზე მწერალი გვიჩვენებს, რომ თუ ადამიანი ცოცხალი გრძნობებითა და ვნებებით დაჯილდოებულ არსებას წარმოადგენს, თუ მისი სული ისე არაა შეპყრობილი ღვთის შიშით, რომ ყოველი მოქმედების, ყოველი ნაბიჯის გადადგმისა ეშინია, — ვაი თუ შევცდე და ცოდვა ჩავიდინოო, თუ სულიერად და ფიზიკურად ისე არაა გამოფიტული, რომ სასუფევლის დამკვიდრების მეტი აღარაფერი აწუხებს, მას არ შეუძლია მთლიანად გამოეთიშოს ცხოვრებას, იქცეს არაბუნებრივ არსებად, მიწაზე მცხოვრებ არამიწიერ მეუდაბნოედ, რომელსაც არსებობის არავითარი საფუძველი არ გააჩნია. იგი კაცი კი აღარაა, არამედ ცხოვრებისათვის უცხო სულდგმული, განყენებული სიმბოლო, რომელიც საზოგადოების განვითარებაში მონა-

წილეობას არ ღებულობს და გმობს ყველაფერს, რაც ცხოვრებისეულ კეთილდღეობასა და სილამაზესთანაა დაკავშირებული. ბლეზ პასკალი თავის „აზრებში“ ასეთი ადამიანის შესახებ ამბობს: „როცა კაცი ცდილობს უკიდურესად სრულყოს თავის სიქველე, მას ნელნელა მოეძალება ბიწიერება, უხილავი გზებით შემოადგება მცირე უსასრულობიდან დაძრული ბიწიერება, მერე დიდი უსასრულობიდან მოაწყდება ბიწიერების მთელი ხროვა. ასე რომ, ყელამდე ბიწში ჩაფლული, ვეღარსად ხედავს სიქველეს და ზოგჯერ მზადაა ნაცარტუტად აქციოს თავისი სრულქმნილება“, „ადამიანის უბედურება ისაა, რაც უფრო მეტად ცდილობს, ანგელოზს დაემსგავსოს, მით უფრო მეტად ემსგავსება ცხოველს“...

სწორედ ეს ცვლილება განიცადა ან. ფრანსის რომანის მთავარმა გმირმა, უდაბნოში დაყენებულმა ბერმა პამფნუტიმ, რომელიც რომანის დასაწყისშივე ქრისტიანული რელიგიის დიდად ღვაწლმოსილი, მკაცრი და ქველი მსახური იყო. სანამ გაქრისტიანდებოდა, ბერად აღიკვეცებოდა, უდაბნოში გაიხიზნებოდა და გაასკეცდებოდა, პამფნუტი, იმდროინდელი ეგვიპტის უმდიდრესი და უგანათლებულესი ქალაქის, ალექსანდრიის, შეძლებული, არისტოკრატული ოჯახის შვილი, ისეთსავე ცხოვრებას ეწეოდა, როგორც მაშინდელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები. დროს ქეიფსა და ღვინის სმაში, მორთვა-მოკაზმვაში, გართობასა და სტოელების ფილოსოფიური ტრაქტატების კითხვაში ატარებდა, დადიოდა მეჯლისებზე და თეატრში, პირველად მან სწორედ თეატრში იხილა თაისი და მაშინვე განიმსჭვალა მის მიმართ ვნებით. ერთი სიტყვით, დროს უქმად ფლანგავდა და სულის ხსნაზე მეტად ცხოვრებით დატკბობაზე ზრუნავდა. ეს ის პერიოდია, როცა ანტიკური ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია ინგრევა, ხოლო ქრისტიანობა უკვე ისეა მომძლავრებული, რომ დაუძლურებულ იმპერიას არ შეუძლია ამ ფართოდ გავრცელებულ რელიგიურ მოძღვრებას ანგარიში არ გაუწიოს. მწერალი არ გვიხსნის იმ მიზეზებს, თუ რატომ შედგა პამფნუტი ბერად, მაგრამ შესაძლოა მისი ბერად შედგომის ერთერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ წინასწარ გრძნობდა ძველი ცივილიზაციის დამხობასა და ახალი საზოგადოებრივი წყობისა და რელიგიური მოძღვრების გამარჯვებას. რომის იმპერია რომ თვალსა და ხელს შუა ინგრევა, ამას ყველა ხედავს, ცარიელდება მისი ტაძრები და სამლოცველოები, ირღვევა კანონები და მეურნეობა, ღირებულებას კარგავს სულიერი ფასეულობანი, სკეპტიციზმი და პესიმიზმი იპყრობს მის მმართველებს და მესვეურებს. თუ როგორი განწყობილება სუფევს რომის იმპერიის მმართველ საზოგადოებაში, ამაზე ცხადად მეტყველებს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ფილოსოფოსი ჰერმოდორი, რომელიც მეჯლისზე თანამეინახეებსეუბნება: „რაც შემეხება მე, ლუციუს, ვფიქრობ, რომ მმართველობის კარგი ფორმა საერთოდ არ არსებობს და თუ ბევრი ეძებს და ასეთი რამ ვერ იპოვეს ეშმაკური გონების პატრონმა ბერძნებმა, რომელთაც ამდენი მშვენიერი რამ მისცეს მსოფლიოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ფორმის პოვნა საერთოდ შეუძლებელია. ამიერიდან ჩვენ მისი პოვნის არავითარი იმედი არ გაგვაჩნია. უდაო ნიშნების მიხედვით ადვილია იმ დასკვნის გამოტანა, რომ მსოფლიო მალე სიბნელესა და ბარბაროსობაში ჩაეფლობა. ჩვენ ბედმა გვარგუნა, ლუციუსს, დავესწროთ ცივილიზაციის საშინელ აგონიას. ყველა სიტკბოებიდან, რასაც გონება, მეცნიერება და სათნოება გვანიჭებდა, დაგვრჩა მხოლოდ ერთი — უმოწყალო სიხარული, ვიყოთ მოწმენი ჩვენივე სიკვდილისა“. და იქვე განაგრძობს: „რისთვის მოვიტყუოთ თავი? ბარბაროსებისათვის ადვილია მომაკვდავი იმპერიის ხელში ჩაგდება. ელინური გენიისა და რომაული შრომისმოყვარეობის მიერ აშენებულ ქალაქებს მალე გაძარცვავენ მთვრალი ბარბაროსები. ქვეყანაზე აღარ იქნება არც ხელოვნება და არც ფილოსოფია. ღმერთების გამოსახულებანი დაიმსხვრევიან სამლოცველოებშიც და ჩვენ სულებშიც. დადგება გონების დაბნელებისა და ქვეყნის დასასრულის ჟამი. მართლაცდა ძნელი დასაჯერებელია, რომ სარმატები ოდესმე გონებრივ მუშაობას დაიწყებენ, გერმანელები მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლას შეუდგებიან, ხოლო კვადები და მარკომანები უკვდავ ღმერთებს სცემენ თაყვანს. არა, მსოფლიო მიექანება უფსკრულისკენ. ძველი ეგვიპტე, ერთ დროს რომ მსოფლიოს აკვანი იყო, მისი აკლდამა გახდება. სიკვდილის ღმერთს, სერაპისს, მიუძღვნიან მომაკვდავთა უკანასკნელ საიდუმლოებებს და მე ვიქნები უკანასკნელი ღმერთის უკანასკნელი ქურუმი“.

აი, ასეთი უიმედო, დეკადენტური განწყობილება სუფევდა იმ ეპოქაში გაბატონებული მონათმფლობელური კლასის წარმომადგენლებს შორის. ისინი ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობას ისე ეტანებოდნენ, თითქოს ხვალინდელი დღე არ გაუთენდებოდათ და სწორედ ამ კლასის წარმომადგენლებს, მათ ბიწიერებასა და მათ განწყობილებას განერიდა პამფნუტი, ირწმუნა ქრისტე, მისი მოძღვრება, მარადიული ცხოვრება ღვთის საუფლოში, კეთილი და ბოროტი, წარწყმედა და ცხონება, თითქოს პიროვნება მთლიანად გარდაიქმნა, გასათნოვდა და გაღვთისნიერდა, მაგრამ იმ ცხოვრებიდან, რომელსაც გაექცა, მას მაინც გაჰყვა მისი კლასისათვის დამახასიათებელი თვისებები — მოქმედებისადმი ლტოლვა, ვნებათაღელვა, სიამაყე და სწორედ ამან გაუმრუდა სული და გზა.

ამან მიიყვანა იგი დაუოკებელ სიყვარულამდე, პროტესტამდე, სულის წარწყმედამდე. უდაბნოში გახიზნული და თითქმის წმინდანობამდე მისული ბერი პამფნუტი გრძნობს იმ წინააღმდეგობას, მის სულში რომ სუფევს, მაგრამ სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავს, თავის მოტყუებას იწყებს. იგი ცდუნებას პირველად მაშინ აჰყვა, როცა ალექსანდრიის თეატრის მსახიობი, ულამაზესი და უტურფესი თაისი მოელანდა და გადაწყვიტა, ურწმუნო, კერპთთაყვანისმცემელი ქალი მოექცია, ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა და წარწყმედისა და სასჯელისაგან ეხსნა. იგი შეყვარებული იყო იმ დღიდან, რა დღესაც პირველად იხილა თაისი, სიყვარული მის სულში ისე ბჟუტავდა, როგორც ნაცარწაყრილი ნაპერწკალი და იგი ამას ან არ ხედავდა, ან ვერ ხედავდა, მაგრამ უდაბნოში, სადაც ტურებისა და მასავით დაყუდებული ბერების მეტს ვერავის ხედავდა, სადაც ადამიანი ადვილად ეძლევა ზმანებებსა და ხილვებს, ეს გრძნობა უკიდურესობამდე გაუმძაფრდა და ერთგვარად მკაცრი, სასტიკი ხასიათიც კი მიიღო. გრძნობის ეს სიმკაცრე თვით პამფნუტის სისუსტიდან მომდინარეობს. იგი გაორებულია, თაისიც უყვარს და ღმერთიც, თაისთან სიახლოვეც სურს და სულის ხსნაც, მიწიურიც და ზეციურიც და ან ბოლომდე არ ესმის, ანდა ესმის და არ უნდა იწამოს, რომ ორი სურვილის, ამ ორი ერთმანეთის გამომრიცხავი მისწრაფების შეთავსება შეუძლებელია. ამიტომაც ექცევა თაისს ხან სასტიკად და ულმობელად, ხანაც უზომო თაყვანისცემითა და ალერსით, ხან არაადამიანურად უყვარს, ხანაც მოსისხარი მტერივით სძულს და იმასაც კი არ დაუშლის გული, რომ მოჰკლას.

ალექსანდრიაში იგი თაისის სულის გამოსახსნელად, მისი ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად კი არ ჩავიდა, არამედ საკუთარი სულის დასაშოშმინებლად, იმედი ჰქონდა, როცა თაისს ქრისტეს რჯულზე მოაქცევდა და მონასტერში გამოკეტავდა, მის მიმართ სიყვარული გაუქრებოდა, ამით კეთილ საქმეს ჩაიდენდა და ღვთის წყალობას დაიმსახურებდა, აღარ იფიქრებდა იმაზე, რომ მისი რჩეული და საყვარელი ქალი ურწმუნოებასა და ბიწიერებაში ატარებს ცხოვრებას. მაგრამ თაისთან შეხვედრის შემდეგ ქალისადმი სიყვარული კიდევ უფრო გაუმძლავრდა, მას არ უშველა თაისის მონასტერში გამოკეტვამ და უდაბნოში დაბრუნებამ, ლოცვაში ღამის თევამ და მარხვამ, ყოველ ღამე ეჩვენება თაისი, შეპყრობილი და შეძრულია მისდამი სიყვარულით. რას არ აკეთებს, რა ხერხს არ მიმართავს თავის დასახსნელად! პირველი იწყებს ასკეტთა შორის მესვეტეობას, ფარაონთა აკლდამაში გველებთან ერთად სძინავს და მხოლოდ ხანგრძლივი გვემის, ტანჯვისა და წამების შემდეგ მიხვდება, რომ მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო, უაზრო იყო და არავის სჭირდებოდა, რომ თავიც დაიღუპა და თაისიც დაღუპა, საკუთარი ხელით მიიყვანა ისეთ ადგილას, სადაც ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეული ქალი დიდხანს ვერ გაძლებდა. მან ღმერთიც დაჰკარგა, სასუფევეელიც, საყვარელი ქალიც და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ მომაკვდავ თაისს აბლავლებული ეუბნება: „არ მოკვდე, თაის, მე შენ მიყვარხარ, არ მოკვდე! მისმინე, ჩემო თაის! მე მოგატყუე, მე მხოლოდ უბადრუკი შეშლილი ვარ. ღმერთი, ცა, ყველაფერი ეს არარაა. ჭეშმარიტება მხოლოდ მიწიერი ცხოვრებაა და ცოცხალი ადამიანების ერთმანეთისადმი სიყვარული — მე შენ მიყვარხარ!" მაგრამ უკვე გვიანია. ის ქალი, რომელიც აწამა და რომლის გამოც თვითონაც ეწამა, მის ხელში განუტევებს სულს...

კლერიკალიზმს ან. ფრანსი მთელი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა, მაგრამ ისე, არაფერი სძულდა და აღშფოთებდა, როგორც საერთოდ, ფანატიზმი და, კერძოდ, რელიგიური ფანატიზმი. ფანატიზმი მას ყოველთვის მიაჩნდა საზოგადოების განვითარების საშიშ მტრად და ცხოვრების შემაფერხებელ, სისხლისღვრის გამომწვევ მოვლენად. ფანატიზმი, მისი აზრით, შეუწყნარებელი და მებრძოლი ძალაა, რომელიც თავის შეხედულებებს ძალდატანებით ახვევს სხვებს თავს და ან ურწმუნოთა დამორჩილებას მოითხოვს, ანდა მათ მოსპობას. ფანატიზმი ებრძვის საღ აზრს, მეცნიერებას, ხელოვნებას. ან. ფრანსი მხოლოდ მორალური ნორმების ზუსტ დაცვას მოითხოვს. ამიტომ პამფნუტი, როცა თაისს მონასტერში წასვლაზე დაითანხმებს, ჭეშმარიტ გზაზე შემდგარს, ბიწიერებაში გატარებული წარსულიც რომ ჩამოაშოროს, გადაწყვეტს მთელი მისი სიმდიდრე დაწვას. როცა იგი მოედანზე მონებს ცეცხლს დაანთებინებს და სამკაულებსა და ხელოვნების ნაწარმოებებს კოცონში ყრის, თაისი მას ერთ-ერთ ქანდაკებაზე ეუბნება: „მამაო, ნუთუ ესეც უნდა დაიწვას? იგი ძველი და მომხიბვლელი ნამუშევარია და ასჯერ მეტი ღირს, ვიდრე მთელი ოქრო. თუ იგი დაიღუპა, ამის გამოსწორება აღარ მოხერხდება, რადგან მსოფლიოში აღარასოდეს აღარ დაიბადება ოსტატი, რომელიც შესძლებს ამგვარი ეროსის გამოქანდაკებას", მაგრამ პამფნუტი მას ხელიდან გამოსტაცებს ეროსის უიშვიათეს ქანდაკებას და მასაც კოცონში ჩააგდებს. აი, ამგვარი ფანატიზმის მოწინააღმდეგეა ან. ფრანსი, ფანატიზმისა, რომელიც არ ინდობს ცოცხალს, მაგრამ განსხვავებულ აზრს, ახალ მეცნიერულ იდეებს, ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს, არ ინდობს არაფერს, რაც კაცობრიობამ თავის განვითარების გზაზე საჭიროდ სცნო, მის შესაქმნე-

ლად შრომა დაზარჯა და შექმნილს სახელი უწოდა, ფანატიკოსს ჰგონია, რომ კაცთა მოდგმის განვითარებას მისთვის სასურველ ეტაპზე შეაჩერებს.

ცხოვრების საზოგადოებრივ განვითარებას რომ ვერაფერი აღუდგება წინ, ქრისტიანობის გამარჯვება რომის დრომოჭმულ რელიგიურ კულტმსახურებაზე რომ გარდუვალი და აუცილებელი იყო ამას ან. ფრანსი კარგად ხედავდა. როცა რომან „თაისს“ წერდა და ეს პროცესი დამაჯერებლად აქვს დახატული. ქრისტიანობას ეტანებოდა და ქრისტიანად ინათლებოდა რომის უზარმაზარი იმპერიის თითქმის ყველა დაპყრობილი ხალხები, ქალაქების გაღატაკებული, დამშეული, ფენები, მონების უზარმაზარი არმია, რომელთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვს და რომაული ლეგიონების ჯარისკაცები. ქრისტიანულ რელიგიაში ისინი ხედავდნენ ქომაგს, მხსნელს, მათი ადამიანური ღირსების დამცველს, მათი სინდისისა და „მეობის“ ამღიარებელს. ქრისტიანული რელიგია ყველა ადამიანს, სულერთია, რა ეროვნებისა და ფენის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო იგი, ღმერთის გაჩენილად, საკუთარი ნებისა და სინდისის მატარებლად თვლიდა და ადამიანების უფლებრივად განთავისუფლებისათვის იბრძოდა. სამართლებრივი კანონების ნაცვლად მას ცხოვრებაში მორალური კანონები შემოჰქონდა, რაც ხელსაყრელი იყო ყველა დამონებულის, გაჭირვებულისა და უფლებააყრილისათვის. ამიტომაც გვიხატავს თბილი და მიმზიდველი ფერებით ან. ფრანსი „თაისში“ ნიბიელ ქრისტიან მონას ახმესს. თაისის მშობლები ამ მონას ბევრად უარესად ექცევიან, ვიდრე შინაურ ცხოველებს. სცემენ, აშიმშილებენ, ყოველგვარ ბინძურ სამუშაოს ავალებენ (თუმცა უკეთესად ისინი არც საკუთარ მშვენიერ ქალიშვილს ექცევიან). მაგრამ ახმესი ჭეშმარიტი ქრისტიანია. ამიტომ თვინიერად. უდრტვინველად იტანს ყველაფერს, რადგან სწამს, რომ იმქვეყნად სასუფეველს დაიმკვიდრებს და ღმერთი ასკეცად აუნაზღაურებს იმ ტანჯვას, მიწიერ ცხოვრებაში რომ იგემა. პაფნუტისაგან განსხვავებით, იგი არ გარბის უდაბნოში, არ ეძებს მრევლსა და მოწაფეებს, რომ ელოდება ღმერთის გამოცხადებას ან მის ნიშანს, არ მოაქვს თავი იმით, რომ წმინდანის ცხოვრებით ცხოვრობს. სამაგიეროდ, ახმესი პაფნუტზე სათნოა და ჭეშმარიტად უყვარს მოყვასი თვისი, უკეთ არჩევს კეთილს ბოროტისაგან და როცა გაბოროტებული პატრონის დაბეზღების გამო ჯვარზე გააკრავენ, უფრო დაუჩივლელად, უფრო ვაჟკაცურად კვდება, ვიდრე პაფნუტი მოკვდებოდა. ალექსანდრიელმა ქრისტიანებმა ყოფილი მონა წმინდანად შერაცხეს და როცა თაისი მისი მოსახსენიებელი დღის წირვას დაესწრო იმავე ეკლესიაში, სადაც [illegible] კიდევ ბავშვობაში მონათლა, [illegible] რა ძალა შესწევდა იმ კაცს, რო[illegible] სათნო და მოსიყვარულე ეგონა. [illegible] მა მონებმა დაამხეს რომის იმპერიის მონათმფლობელური წყობა, მათი დრომოჭმული რელიგია და დასაბამი მისცეს საზოგადოებრივი განვითარების ახალ ფორმაციას. აი, ამის თქმა სურდა, ან. ფრანსს, როცა ნიბიელი მონის ახმესის სახეს გვიხატავდა და მის აუტანელ ცხოვრებას აგვიწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან. ფრანსის მკვლევარმა, ლეონ კარიასმა, მშვენივრად განმარტა მიზეზები უდიდესი წარმატებისა, რომელიც იმთავითვე მოიპოვა „თაისმა“, რენანის დებულებათა ამ რომანულ უტილიზაციაში იდეების შესაძლებლობანი პრობლემებით დაინტერესებული საზოგადოების ინტელექტუალურ დონეზეა... მეორე მხრივ, რა გასაკვირია, რომ ცხოველური ადამიანის უხამსობით შეძრწუნებული მკითხველი წარმტაცი მოულოდნელობით ისუნთქავდეს თაისის, ამ „ნორჩი და არომატული ყვავილის სურნელებას“, იისფერთვალებიანი თაისისა, რომელიც ფრანსმა სიტკბოებისა და სიწმინდის ორმაგი შარავანდედით შემოსა“. (ლეონ კარიასი, ანატოლ ფრანსი, პარიზი, 1981, გვ. 72).

ან. ფრანსი ღრმა გულისტკივილით აგვიწერს ელინური ცივილიზაციის მიერ შექმნილ კულტურულ ფასეულობათა ხელყოფას ბარბაროსებისა და გამარჯვებული ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილის მიერ. ან. ფრანსის მიხედვით ბარბაროსებისა და ფანატიკოსების გამარჯვებამ კარგა ხანს დააყოვნა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესი, აჯობებდა, კულტურული საზოგადოება და კულტურის განვითარების პროცესი ისევ ახალი ფორმაციის კულტურულ საზოგადოებას და განვითარების ასეთივე კულტურულ პროცესს შეეცვალა, მაგრამ ისტორიისა და საზოგადოების განვითარება ასე სწორხაზოვნად, არ მიმდინარეობს, სანამ სარმატებმა გონებრივი მუშაობა ისწავლეს, ხოლო გერმანელებმა მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლას მოჰკიდეს ხელი, საუკუნეები გავიდა... სწორედ ეს გარემოება გვრის სევდას ან. ფრანსს და აეჭვიანებს ადამიანის გონიერებაში.

ან. ფრანსს დიდად აინტერესებდა რომის იმპერიისა და ქრისტიანობის, იმპერიის მმართველებისა და ეკლესიის მამების ურთიერთდამოკიდებულება და ამ საკითხს მეცნიერული გულმოდგინებით სწავლობდა. რომანში „თეთრ ქვაზე“ იგი სწორედ ამ ურთიერთდამოკიდებულების გაშუქებას ისახავს მიზნად და ნაწარმოების ერთ-ერთ თავში, რომელსაც „გალიონი“ ჰქვია, გამოხატავს იმ შეფარულ პროცესებს, რომელთაც შემდგომ საზოგადოებრივი

ცხოვრების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ფრასი საინტერესოდ აღწერს რომის იმპერიის პირველი საუკუნის შუა წლების სინამდვილეს, საბერძნეთის ქალაქ კორინთოს ცხოვრებას, და ამ ქალაქის მკვიდრთა ყოფას. სწორედ ამ ქალაქში ხდება ის ურთიერთდაპირისპირება, მწერალის ეპოქის უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად რომ მიიჩნიეს.

რომანში „თეთრ ქვაზე“ მოქმედება ქრონოლოგიურად უფრო ადრე ხდება, ვიდრე „თაისში“, მაგრამ მასში უკვე იგრძნობა რომის იმპერიის რღვევის ის ნიშნები, რომელთა დაუნახაობა „თაისში“ უკვე შეუძლებელია. გალიონი რომის ერთ-ერთი დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, რომის პროკონსულია საბერძნეთში. მისი სარეზიდენციო ქალაქი კორინთოა. სანამ კორინთოს ყოფასა და მისი მოსახლეობის ცხოვრებას დაგვიხატავდეს, მწერალი გვიხასიათებს რომის იმპერიის ამ დიდ მოხელეს: „გალიონის კლიენტები და განთავისუფლებული მონები ადიდებდნენ მისი ხასიათის სირბილეს და, მართლაც, ეს იყო კეთილგანწყობილი ადამიანი. არავის უნახავს იგი, მრისხანებას აჰყოლოდა. სიფიცხე მას ყველაზე უარყოფით და ყველაზე ნაკლებად მისატევებელ თვისებად მიაჩნდა. ყოველგვარი სისასტიკე ზიზღს ჰგვრიდა. მხოლოდ ფესვგადმული ჩვევები ან საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედება უშლიდა ხელს, სისასტიკე ღირსეულად შეეფასებინა. ხშირად იგი იმ სიმკაცრეშიც კი, წინაპართა ზნეჩვეულებებითა და გარკვეული კანონებით რომ იყო მირონცხებული, უარყოფით უკიდურესობებს ხედავდა, მათ წინააღმდეგ იყო განწყობილი და სიამოვნებით გააუქმებდა, მისთვის ყოველ დღე რომ არ ემტკიცებინათ, კეთილდღეობისათვის სასარგებლოაო. იმ დროს, კეთილსინდისიერი მოსამართლეები და მოუსყიდველი თანამდებობის პირები იშვიათობა როდი იყო იმპერიაში. მათ შორის, ცხადია, გვხვდებოდნენ გალიონზე არანაკლებ პატიოსანი და სამართლიანი ადამიანებიც, მაგრამ არცერთი მათგანი მასზე მეტად ადამიანური არ იყო“.

და ეს ყველაზე ადამიანური ადამიანი ცხოვრობს დიდებულ ვილაში ფუფუნებითა და განცხრომით, დროს მეგობრებთან და ფილოსოფოსებთან საუბარში ატარებს, განათლებული და ჰკვიანია, სწამს რომის იმპერიის დიდება და მომავალი, გამოთქვამს საკუთარ თვალსაზრისს, თუ როგორი იქნება რომის ხელმძღვანელობით კაცობრიობის მომავალი. მაგრამ იგი რეალურად ვერ აღიქვამს იმ სინამდვილეს, მის თვალწინ რომ ხდება, ვერ გრძნობს სულიერ ძალასა და ფანატიკურ თავგანწირვას იმ ადამიანებისას, რომელთაც ზიზღით უყურებს ზემოდან და, რადგან ისინი ბოგანონი და გაუნათლებელნი არიან, მათ საშიშ მეტოქეებად არ თვლის, ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას რომ ძალა რწმენაშია და არა განათლებაში. ხოლო ეს რომ ასეა, ამას ცხადყოფს გალიონისა და მისი მეგობრების საუბარი, სადაც უფრო მეტად იგრძნობა სკეპტიციზმი, იუმორი, ურწმუნობა, რაიმეს მტკიცება მხოლოდ მტკიცებისათვის და არა ურყევი რწმენა, რომელიც იბრძვის და მოქმედებს, რომელიც დარწმუნებულია საკუთარ ძალაში და არ ეპუება არავის, ვისაც არ სწამს, ის, რაც თვითონ სწამს. რომანის ასეთი პერსონაჟია ქრისტიანი სტეფანე, რომელმაც წინასწარ იცის, რომ ურჯულოები, თუნდაც ისინი მისი თანამემამულენი, ებრაელები იყვნენ, სცემენ, ჩაქოლავენ, მოკლავენ, მაგრამ მაინც ამაყად უცხადებს მათ, რომ იგი პავლე მოციქულის მიმდევარია.

გალიონი დარწმუნებულია რომის იმპერიის ძალასა და მარადიულობაში. როცა საუბარი კაცობრიობის მომავალზე ჩამოვარდება, ლუციუს კასიუსი გამოთქვამს აზრს, — თუ რომმა მთელი მსოფლიო დაიპყრო, მაშინ ომები აღარ იქნება და ადამიანები როგორღა შეძლებენ ხასიათის სიმტკიცე, სულის სიდიადე და სამშობლოსადმი სიყვარული გამოამჟღავნონ. გალიონი მომავალზე ლიტუსისაგან განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს: „დამშვიდდი, ლუციუს, როცა ადამიანები ერთმანეთის დამარცხებას შეწყვეტენ, ისინი ბოლოს და ბოლოს ისწავლიან საკუთარი თავის დაძლევას. და ეს იქნება ყველაზე ქველი გამარჯვება, როგორის მოტანაც მათ შეუძლიათ, მათი ვაჟკაცობისა და სულიერი კეთილშობილების ყველაზე ამაღლებული გამოყენება. დიახ, რომი — უდიდესი პატრიარქი, რომლის ნაოჭები და დროისაგან გაჭაღარავებული თმები ჩვენში უდიდეს მოწიწებას იწვევს — დედამიწაზე მშვიდობას დაამყარებს. და მაშინ ცხოვრება გახდება მშვენიერი. იგი ღირსი იქნება იმისა, რომ ცხოვრება ერქვას. ცხოვრება ხომ მერყევი ცეცხლის მსგავსია, რომელიც ორ უსასრულო სიბნელეს შორის ანთია და იგია ჩვენში დანთებული ღვთიური ნაპერწკალი“.

ამას წარმოთქვამს იმპერიის დიდი მოხელე, უზარმაზარი პროვინციის მმართველი, რომელმაც იცის, რომ მისი სარეზიდენციო ქალაქის ნავსადგურსა და გარეუბნებში უამრავი ღარიბღატაკი, ქურდი, ხეიბარი, საჭურისი, შემლოცველი, კეთროვანი, მკვდრის გამძარცველი, კაცისმკვლელი და მეძავი ცხოვრობენ, ამას ამბობს კაცი, რომელმაც იცის, რომ ქალაქების ხელოსნები, მონები, მონადყოფილნი მძიმე შრომისაგან წელში არიან გაწყვეტილნი, ამას წარმოთქვამს კაცი, რომელმაც იცის, რომ იმპერიას არაერთხელ დასჭირვებია დაპყრობილი ხალხის ხელმეორედ დაპყრობა, რომ დაპყრობილ ხალხში დამპყრობლისადმი სიძულვილი არასოდეს აღმოიფხვრება. გალიონს, როგორც

ყოველი იმპერიის ყოველ მესვეურს, ჰგონია, რომ რომს სიკეთე და კეთილდღეობა მოაქვს დაპყრობილი ხალხებისათვის და არაფრით არ უნდა დაიჯეროს ლუციუს კასიუსის სიტყვები, რომ: „ბრძენ ადამიანებს კიდევ უფრო სურთ განჭვრიტონ მომავალი, ვიდრე ბრბოს და, ასე ვთქვათ, ჩაყურყუმელავდნენ მასში. ეს კი უდაოდ იმით აიხსნება, რომ ადამიანები იმედოვნებენ ამით თანამედროვეობის მჩაგვრელ ტვირთს გაექცნენ, რაც მათ მწუხარებითა და ზიზღით ავსებს. დიახ, როგორ არ უნდა ჰქონდეთ ჩვენი დროის ადამიანებს მძაფრი მოთხოვნილება იმისა, რომ თავიანთი უბადრუკი დრო დაივიწყონ? ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, რომელიც დაღდასმულია სიმდაბლის ნიშნით, გაბინძურებულია სამარცხვინო ამბებით და მდიდარია ბოროტმოქმედებით“.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ან. ფრანსს უყვარს პარადოქსები და ამ ნაწარმოებებშიც პარადოქსი ისაა, რომ ქალაქ კორინთოში ერთმანეთს ხვდებიან რომის იმპერიის ერთ-ერთი უგანათლებულესი და უკეთილშობილესი მმართველი საბერძნეთის პროკონსული გალიონი და ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ეკლესიის დიდი, უწმინდესი და უნეტარესი მამა პავლე მოციქული. გალიონი არჩევს ებრაელთა სინაგოგის რაბინის, სოსაფენისა და პავლე მოციქულის საქმეს. მართალია, იგი ვერ გაერკვევა, რას ედავება სოსაფენი პავლეს, მაგრამ ვერც პავლე მოციქულში დაინახავს იმ კაცს, რომლის იმპერიას და მის რელიგიას რომ ძირს უთხრის. ეს მახინჯი, თვალებდაჩირქებული ქრისტიანი, რომელიც თავს ქსოვითა და კარვების კერვით ინახავს, საბერძნეთის პროკონსულში მხოლოდ ზიზღის გრძნობას იწვევს, მაგრამ გალიონს და, საერთოდ, რომის იმპერიის მესვეურთ რომ დაენახათ, რა ძლიერი იყო სულით ეს მახინჯი კაცი, რა ფანატიკურად სწამდა თავისი ღმერთი, რა თავდაუზოგავად ავრცელებდა ხალხის დაბალ ფენებში ქრისტეს რჯულს, სხვა თვალით შეხედავდნენ მას და ღირსეულ მოწინააღმდეგედაც ჩათვლიდნენ. გალიონისა და პავლე მოციქულის შეხვედრით მწერალს იმის თქმა სურს, რომ იმ მონაცემების მიხედვით, რაც გარედან ჩანს, შეუძლებელია მომავლის განსაზღვრა, იმ შეუმჩნეველი, ყოველდღიური, თვალსმიფარებული მოვლენების დანახვა, შემდეგ რომ ერთ დიდ, მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა და საზოგადოებრივ განვითარებას სხვა კალაპოტში გადააგდებს.

ან. ფრანსი რომ დიდად აფასებდა ბერძნულ და რომაულ კულტურას და ამ კულტურების მოსპობა, საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, უკანდახევად და რეგრესულ მოვლენად მიაჩნდა, ამაზე მეტყველებს ნექტარის ნაამბობი რომანიდან „ანგელოზების აჯანყება“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაწარმოები ან. ფრანსის „მთელი შემოქმედების გვირგვინია, სადაც ოცნებისა და სიყვარულის სიუჟეტის მიღმა აღმართულია ჭეშმარიტი ტაძარი და მთელი სისტემა კაცობრიობისა“. (კლოდ აველინი „ნარკვევი“, ჟენევა-პარიზი, 1948). მწერალი იმდენად საფუძვლიანად იცნობს ბერძნულ და რომაულ კულტურას, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს, როგორც ბერძენი, ასევე რომაელი კაცის ხასიათს, რომ ამა თუ იმ კონკრეტული პერსონაჟის დახასიათების დროს, მთელი ხალხის თვისებებსა და ხასიათს გვაცნობს. ან. ფრანსი აღტაცებულია ძველი ბერძნების დემოკრატიზმით, აზრის თავისუფლებით, დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობით, იმ კულტურითა და ცივილიზაციით, რაც მათ შექმნეს და კაცობრიობას მემკვიდრეობად დაუტოვეს. აი, როგორ ახასიათებს საბერძნეთსა და მის კულტურას ნექტარი: „ბედნიერ ბერძნებს უშრომელად არ შეუქმნიათ ბრძნული კანონები და ხელოვნების სხვადასხვა დარგები. მათი პირველი ტაძარი იყო დაფნის ტოტებით მოლობილი ქოხი, ღმერთის პირველი გამოხატულება — ხე, პირველი საკურთხეველი იფიგენიას სისხლით შეღებილი ქვა. მაგრამ მცირე დროში მათ სიბრძნისა და სილამაზის ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, როგორსაც ვერცერთი ხალხი ვერ მიუახლოვდა ვერც მანამდე და ვერც მის შემდეგ. საიდან გაჩნდა ეს ერთადერთი საოცრება დედამიწაზე, არკადი? როგორ გაზარდა იონიისა და ატიკის წმიდა მიწამ ეს შეუდარებელი ყვავილი? ეს იმიტომ მოხდა, რომ საბერძნეთში არ იყო სამღვდელოება, დოგმები და გამოცხადება. ბერძნები არ იცნობდნენ შურისმაძიებელ ღმერთებს. ელინები ღმერთებს თავიანთი გენიით, თავიანთი წარმოსახვის მიხედვით ქმნიდნენ და როცა ბერძენი თვალს ცისკენ ალაპყრობდა, ღმერთში მხოლოდ თავის სახეს ხედავდა. იგი ყველაფერს საკუთარი საზომით ზომავდა და მიაგნო კიდეც თავისი ტაძრებისათვის სრულყოფილ პროპორციებს. მათში მოცემულია გრაცია, ჰარმონია, წონასწორობა და სიბრძნე. ყველაფერი იმ უკვდავთა ღირსია, იქ რომ ცხოვრობდნენ და თავიანთ კეთილხმოვან სახელებში და სრულყოფილ ფორმებში ადამიანის გენიას აქსოვდნენ. კოლონებში, რომლებსაც მარმარილოს არქიტრავები, ფრიზები და კარნიზები ეყრდნობოდნენ, იყო რაღაც ადამიანური, რაც მათ სიდიადეს ანიჭებდა, ხშირად კი, მაგალითად, ათენსა და დელფოსში მშვენიერ ახალგაზრდა ქალიშვილებს, ძლიერთ და მოღიმართ, ზეაღმართული ხელებით ეჭირათ საჭურჭლეთა და სამლოცველოთა სახურავები. ო, ბრწყინვალება, ჰარმონია, სიბრძნე“.

ძველ საბერძნეთში სიბრძნის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავებას ან. ფრანსი ხსნის

იმით, რომ საბერძნეთში არ იყო სამღვდელოება და დოგმატური რელიგიური მოძღვრება, თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის არავის დევნიდნენ, არავის აზვევდნენ ძალად თავს ვიწრო ზნეობრივ კანონებს, არავისეუბნებოდნენ ასე და ასე უნდა იცხოვრო და არა ისე, როგორც ცხოვრობო, არავის რისხავდნენ ადამიანის სხეულის შიშვლად გამოხატვისათვის, სამყაროს განსხვავებული მოდელის შექმნისათვის ,ერთი სიტყვით, თავისუფლებამ და დემოკრატიამ თავისი ნაყოფი გამოიღო და წარმოშვა ის კულტურა, მწერალი რომ საოცრებას ეძახის.

რომაელმა მიწის მუშამ და ჯარისკაცმა კი სულ სხვა რამ შესძინეს კაცობრიობას, სხვაგვარი კულტურა მისცეს იმპერიაში შემავალ ხალხებს. რომმა მსოფლიოში კანონმდებლობა და სამართალი მოიტანა, უზარმაზარ იმპერიაში გაიყვანა გზები, -ნაგო ნავსადგურები, ააშენა დიდი ქალაქები, განავითარა ვაჭრობა და ხელოსნობა, ბერძნებისაგან ისწავლა ტაძრების მშენებლობა, ხატვა, ძერწვა და მთელ იმპერიაში დაამყარა წესრიგი და კანონიერება. ამავე დროს, დემოკრატიის მოსპობისა და იმპერატორების ტახტზე ასვლის შემდეგაც კი რომი დემოკრატიულ, კანონებზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ დარჩა და არ შეუზღუდავს ადამიანის პირადი თავისუფლება, საკუთარი აზრისა და შეხედულებების გამოთქმა, ხელისუფალნი არ გადაქცეულან იდეოლოგებად და ფანატიკოსებად.

ფრანგი კრიტიკოსი ვ. ჟირო წერდა: „მე მგონია, ლათინურ გენიაში არის რაღაც ურყევი და მამაცური, ანატოლ ფრანსი არის უკანასკნელი და იქნებ ყველაზე სრულყოფილიც ალექსანდრიელ ხელოვანთაგან“ (ვ. ჟირო, ანატოლ ფრანსი, პარიზი, 1984, გვ. 255).

ჟიულ ლემეტრი აღნიშნავდა: „ანატოლ ფრანსი... გაცილებით უფრო ძვირფასი ნაერთია, ვიდრე კორინთოს მეტალი, რომელიც შეიცავს რასინს, ვოლტერს, ფლობერს, რენანს, და ეს მაინც ანატოლ ფრანსია! ეს კაცი გრაციული სრულქმნილებაა. იგი ლათინური გენიის უკანასკნელი ყვავილია“.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17.

გადაეცა ასაწყობად 15. 04. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 05 87 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09620. ტირაჟი 32.000. შეკვ. 996. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

672/102

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ